

# სამართლებრივი გზამკვლევი

## ქალებისთვის



„კონსტიტუციის  
42-ე მუხლი“



giz  
Deutsche Gesellschaft  
für Internationale  
Zusammenarbeit (GIZ) GmbH



ნიგნი გამოცემულია ააიდ „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ მიერ,  
გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებისა (GIZ) და  
გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN) ფინანსური მხარდაჭერით.

ტექსტში მოცემული დასკვნები და შეფასებები არ უნდა იქნეს განხილული, როგორც  
გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მოსაზრება.

ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ საიტზე:  
[www.giz.de/law-caucasus](http://www.giz.de/law-caucasus) და [www.article42.ge](http://www.article42.ge)

**ავტორები:**

ელენა ფილევეა  
ნაზიბრილლე ჯანებაშვილი  
მარიამ ზაქარევიშვილი  
თამარ გაბსონია  
რუსუდან მჭედლშვილი

**კონსულტანტები:**

თეა თადაშვილი  
დანა ბერეკაშვილი

**რედაქტორი და კორექტორი:** თამარ ლეფსვერიძე  
**დაკაბადინება:** ნინო ყაველაშვილი  
**ტექნიკური უზრუნველყოფა:** დავით ნინიკაშვილი

© გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2010.

ISBN

უკანასკნელ წლებში საქართველომ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა გენ-დერული თანასწორობის ხელშეწყობის თვალსაზრისით. ეს ძალზე მნიშვნელოვანია, ვინაიდან გენდერული თანასწორობა დემოკრატიისა და მთელ მსოფლიოში ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების არსებით ელემენტს წარმოადგენს. საქართველოს მთავრობამ კონკრეტული ნაბიჯები გადადგა იმ ვალდებულებების შესასრულებლად, რომელიც მან აიღო ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაეროს კონვენციისა (CEDAW) და ადამიანის უფლებების შესახებ სხვა საყოველთაო, თუ რეგიონიალური საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში. გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) გაეროს სხვა სააგენტოებთან და საერთაშორისო განვითარების სფეროში პარტნიორებთან ერთად, ტექნიკურ დახმარებას უწევს საქართველოს მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოებას ამ ვალდებულებების შესრულებაში ისეთი კანონმდებლობის, პოლიტიკის, პროგრამებისა და მომსახურების შესაქმნელად, რომელიც არსებითია გენდერული თანასწორობის მიღწევისათვის ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.

ნინამდებარე გზამკვლევი, რომელიც მოამზადა არასამთავრობო ორგანიზაციამ „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასა და გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან მჭიდრო თანამშრომლობით, მიზანად ისახავს სხვადასხვა ეროვნული საკანონმდებლო აქტით გათვალისწინებული ქალთა უფლებების შესახებ ამონბეურავი და პრაქტიკული ინფორმაციის გავრცელებას. მიუხედავად იმისა, რომ მის სამიზნე აუდიტორიას უპირველეს ყოვლისა ქალები წარმოადგენენ, მიგვაჩნია, რომ გზამკვლევი თანაბრად საინტერესო იქნება, როგორც ქალების, ისე კაცებისათვის და რომ იგი თავის წვლილს შეიტანს ქვეყანაში დე ფაქტო გენდერული თანასწორობის მხრივ დარჩენილი გამოწვევების შესახებ ცნობიერების აბალების საქმეში.

### ერიკა კვაპილოვა გაეროს ქალთა ორგანიზაციის ნარმომადგენელი საქართველოში

In recent years, Georgia has made visible progress towards promoting gender equality - an essential component of democracy and socio-economic progress in all countries around the globe. The Government of Georgia has taken concrete steps towards meeting obligations under the UN Convention on the Elimination of All Forms of Discrimination against Women (CEDAW) and other global and regional human rights treaties, as well as under the relevant domestic laws.

UN Women together with other UN agencies and international development partners provides technical support to the Government of Georgia and civil society in meeting these obligations through adoption of relevant laws, programmes and policies and creation of services that are essential to achieving of gender equality in various areas of life.

The present guide, developed by NGO "Article 42" in close collaboration with GIZ and UN Women, aims at providing comprehensive and practical information on women's rights enshrined in different pieces of national legislation. Although primarily focusing on women's rights, we believe that the publication will be equally attractive for both, men and women, and contribute to raising awareness on remaining challenges on the way to achieving de facto gender equality in the country.

**Erika Kvapilova,**  
UN Women Country Representative

გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) არის გაერთიანებული ერების საა-  
გენტო, რომელიც განდერული თანასწორობის ხელშეწყობისა და ქალთა შესაძლე-  
ბლობების გაზრდის საკითხებზე მუშაობს. ქალებისა და გოგონების ინტერესების  
დამცველი გაეროს ქალთა ორგანიზაცია იმისთვის დაარსდა, რომ ქალებისა და  
გოგონების საჭიროებები მთელი მსოფლიოს მასშტაბით იქნას დაკმაყოფილებული.  
გაეროს ქალთა ორგანიზაცია დახმარებას უწევს გაერთიანებული ერების წევრ სახ-  
ელმნიფოლებს შეიმუშავონ საყოველოთ სტანდარტები გენდერული თანასწორობის  
მისაღწევად და თანაბმრომლობს მთავრობებსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან  
ისეთი კანონმდებლობის, პოლიტიკის, პროგრამებისა და მომსახურებსს შესაქმნე-  
ლად, რომელიც აუცილებელია ამ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყ-  
ოფად. ორგანიზაცია ხელს უწყობს ცხოვრების ყველა სფეროში ქალთა თანასწორ  
მონაწილეობას, განსაკუთრებული აქცენტით ხუთ ძირითად მიმართულებაზე: ქალთა  
ლიდერობისა და მონაწილეობის გაზრდა; ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა;  
ქალთა მონაწილეობის უზრუნველყოფა სამშვიდობო და უსაფრთხოების პროცესების  
ყველა ასპექტში; ქალთა ეკონომიკური გაძლიერება; და გენდერული თანასწორობის  
პრინციპების, როგორც მნიშვნელოვანი პრიორიტეტის ინტეგრირება ქვეყნის გან-  
ვითარების დაგეგმვისა და ბიუჯეტის განსაზღვრის პროცესებში. ამასთან, გაეროს  
ქალთა ორგანიზაცია ახდენს გაეროს სისტემაში გენდერულ თანასწორობასთან  
დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაციასა და წახალისებას.



[www.unwomen.org](http://www.unwomen.org)

[www.facebook.com/unwomen](http://www.facebook.com/unwomen)

UN Women is the United Nations organization dedicated to gender equality and the empowerment of women. A global champion for women and girls, UN Women was established to accelerate progress on meeting their needs worldwide. UN Women supports UN Member States as they set global standards for achieving gender equality, and works with governments and civil society to design laws, policies, programmes and services needed to implement these standards. It stands behind women's equal participation in all aspects of life, focusing on five priority areas: Increasing women's leadership and participation; Ending violence against women; Engaging women in all aspects of peace and security processes; Enhancing women's economic empowerment; and Making gender equality central to national development planning and budgeting. UN Women also coordinates and promotes the UN system's work in advancing gender equality.

Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH (გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება) გერმანიის ფედერალური მთავრობის დაკალებით მუშაობს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. იგი მხარს უჭერს გერმანიის ფედერალურ მთავრობას, განახორციელოს სხვადასხვა პროექტი საერთაშორისო თანამშრომლობისა და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის მიზნით.

1993 წლიდან GIZ-ი ხელს უწყობს სამართლისა და იუსტიციის რეფორმების გატარებას სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. მისი მიზანია სამართლებრივი სახელმწიფოს საკითხებზე ტრანსაციონალური დიალოგის წარმართვა და კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მყოფი სამართლებრივი სისტემის განმტკიცება. სხვა ღონისძიებებთან ერთად, ადგილობრივი და გერმანელი ექსპერტების მჯიდრო ურთიერთთანამშრომლობით ხორციელდება საკანონმდებლო კონსულტაციები, კვალიფიკაციის ასამაღლებელი სემინარები და გამოცდილებების გაზიარება. გარდა ამისა, GIZ-ი ხელს უწყობს იურიდიული ლიტერატურის შექმნას და სამართლის პოპულარიზაციას.

GIZ-ის სამართლის პროგრამის პუბლიკაციების ელექტრონული ვერსიების ჩამოტვირთვა შესაძლებელია ვებგვერდიდან:

[www.giz.de/law-caucasus](http://www.giz.de/law-caucasus)

Die Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH ist ein weltweit tätiges Bundesunternehmen. Sie unterstützt die Bundesregierung in der internationalen Zusammenarbeit für nachhaltige Entwicklung und in der internationalen Bildungsarbeit. Die GIZ trägt dazu bei, dass Menschen und Gesellschaften eigene Perspektiven entwickeln und ihre Lebensbedingungen verbessern.

Seit 1993 unterstützt die GIZ die Rechts- und Justizreformen in den Ländern des südlichen Kaukasus. Damit sollen ein länderübergreifender Rechtsstaatsdialog etabliert und verfassungskonforme Rechtswesen gefestigt werden. In enger Zusammenarbeit von lokalen und deutschen Lang- und Kurzzeitexperten werden unter anderem Gesetze beraten, Fortbildungen durchgeführt und Erfahrungen ausgetauscht. Weiter werden Fachpublikationen und Rechtspopularisierungsmaßnahmen unterstützt.

„მთავრობამ და სხვა სუბიექტებმა უნდა განახორციელონ ისეთი აქტიური და თვალნათელი პოლიტიკა, რომელიც მათ ნებისმიერ პროგრამასა თუ საქმიანობაში გენდერული თემების ძირითად მიმდინარეობად ჩართვას ემსახურება {...}.“

პეკინის დეკლარაცია და მოქმედების პლატფორმა, ქალთა მეოთხე მსოფლიო კონფერენცია, პეკინი, 1995

გენდერული თანასწორობისა და ქალთა და მამაკაცთათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის ხელშეწყობა უკვე მრავალი წელია საერთაშორისო თანამეობრობის ერთერთ სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს. ქალთა მესამე და მეოთხე მსოფლიო კონფერენციებზე ახალი კონცეფციის „გენდერის როგორც ძირითად მიმდინარეობს“ წარმოდგენ და განვითარება მოხდა. აღნიშნული გულისხმობს წნორედ გენდერული საკითხების სისტემურ და კომპლექსურ ჩართვას პოლიტიკისა თუ საქმიანობის ნებისმიერ სფეროში. კონცეფციამ თავისი გამოხატულება ერთოავშეირის ჯერ ამსტერდამის (1997 წელი), ხოლო შემდეგ ლისაბორნის (2008 წელი) ხელშეკრულებებში ჰპირი.

**გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებისათვის (GIZ)**, როგორც გერმანიის ფედერალური მთავრობის მანდატით მოქმედი ორგანიზაციისათვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გენდერული სამართლიანობის ხელშეწყობას. ეს პროცესი პროგრამების, ღონისძიებებისა და გვაგმვისა და კონცეფციების შეჯერების ეტაპებიდან იწყება. თითოეული მოქმედების დაგეგმვისას, მხედველობაში მიღება მისი გენდერული ასპექტები და შესაძლო შედეგები, რაც გვეხმარება უკვე მომდევნო ეტაპებზე მაქსიმალურად დავიცვათ გენდერული ბალანსი და სამართლიანობა.

ჩვენი როგორც საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაციის და ამასთან სამართლის პროგრამის საქმიანობა სხვასთან ერთად მიღიარულია განათლებისა და საზოგადოებრივია აზრის განვითარების ხელშეწყობისაკენ. გენდერული საკითხებისადმი საზოგადოების ყურადღების მიქცევა, საზოგადოებრივი წრეებში გენდერული საკითხების სამართლებრივი ასპექტების წარმოვა, ვიზირობის, კარგი საფუძველია ამ მიმორიგულებით მართლებრივის ამაღლებისა და საზოგადოებრივი აზრის სწორად ფორმირების გზაზე.

წინამდებარე გზამცვლევი შეეხება თითქმის ყველა ძირითად პრაქტიკულ სამართლებრივ საკითხს, რაც კანონმდებლობით, საერთაშორისო თუ ეროვნული სასამართლო პრაქტიკით არის მოწესრიგებული; სამართლებრივი რეგულირებების ზოგად ჩარჩოებსა და წესებზე მსჯელობას წითელ საზღვანი გასდევს გენდერული ჭრილობის მიზანთ განვითარებული აქცენტი ქლოთ უფლებებზე გაეცემოთ გადატაცაზობის ინფორმაციის ფართო სპექტრს და განკუთხილია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. მასში შეგიღლივა გაეცნოთ საოჯახო, მემკვიდრეობის, სამენარმეო, სისხლის, შრომით და სოციალურ სამართლთან, განათლების და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებთან და კავშირებულ თემებს.

გვინდა, მაღლობა გადავუხადოთ არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლს“, გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN) ნარმომადგენლობას საქართველოში და გზამცვლევის ავტორებს, რომელთა აქტიური მონაწილეობისა და მთავარ ნაყოფიერი თანამშრომლობის გარეშე ვერ მოხერხდებოდა აღნიშნული პუბლიკის შექმნა და გამოცემა.

იმედს ვიტოვებთ, რომ წინამდებარე გამოცემა მოგცემთ უხევ მასალას თქვენთვის საინტერესო თემებზე და უპასუხებს ღიად დარჩენილ შეკითხვებს. თქვენი აქტიური გამოხმაურების შედეგად შევძლებთ მომავალში უფრო სრულყოფილი, პრაქტიკული და საინტერესო წიგნის შემთავაზებას.

გისურვებთ, სასიამოვნო და საინტერესო კითხვას!

**ნონა გელაშვილი,**  
საერთაკერძო პირი გენდერულ საკითხებში  
GIZ, სამართლისა და იუსტიციის რეფორმის  
კონსულტაცია სამხრეთ კავკასიაში

## ძვირფასო ქალბატონებო,

აღნიშნული წიგნი წარმოადგენს ქალთა იურიდიული გზამკლევის მეორე გამოცემას. თავდაპირველი გამოცემის შექმნის მიზანი იყო ერთი წიგნის მეშვეობით საჭირო იურიდიული ინფორმაციის მიწოდება ქალბატონებისათვის, რათა იურიდიული ლაბირინთები უფრო გასაგები გახდეს ნებისმიერი ქალისათვის, მიუხედავად მისი პრივატული ასაკისა, ფინანსური მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა, ეროვნებისა და სხვა ნიშნებისა.

პირველი გამოცემა განხორციელდა გერმანიის საერთაშორისო საზოგადოების ფინანსური მხარდაჭერით. მეორე, განახლებული გამოცემა, გერმანიის საერთაშორისო საზოგადოების (GIZ) გარდა, გაერთს ქალთა ორგანიზაციის მიერ იქნა მხარდაჭერილი (UN WOMEN).

„კონსტიტუციის 42 მუხლი“ მადლობას უხდის ორივე ორგანიზაციის მხარდაჭერისა და თანამშრომლობისთვის.

პირველი გამოცემის გამოშვების შემდგომ, აღნიშნული წიგნი საზოგადოებაში ფართოდ გავრცელდა, ასევე წიგნში მოცემულ სხვადასხვა საკითხებზე საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ჩატარდა და ამჟამდაც ტარდება ტრენინგები.

ჩვენთვის სასიხარულო იყო ის, რომ გზამკლევის არსებობა საზოგადოების მხრიდან დადგითად შეფასდა, ამჟამად კი, საზოგადოება განახლებული ვერსიის მოლოდინშია. სასიამოვნოა ამგვარი დამოკიდებულება, ვინაიდან წიგნის მომზადებაში ძალიან ბევრი ადამიანის შრომაა ჩატარდა ამჟამდაც ტარდება ტრენინგები.



განსაკუთრებით სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ გამოცემის მკითხველები გახდნენ არა მხოლოდ ქალბატონები, არამედ მამაკაცებიც, განსაკუთრებულ ინტერესს იჩინენ სხვადასხვა ფაულტეტის სტუდენტები.

ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი მიზანი – გზამკლევის ყველასთვის მარტივი და გასაგები ენით დაწერა, რათა თანაბრად იქნას გამოყენებული ყველა პროფესიისა და ასაკის, შეხედულებებისა და მრნამსის ადამიანის მიერ, მიღწეულია.

ხშირად, ჩვენი უფლებები ირლვევა იმის გამო, რომ ჩვენთვის არ არის ცნობილი ქცევის კონკრეტული წესები და მათი შეუსრულებლობის შედეგი, ხოლო კანონის არ ცოდნა არ გვათავისუფლებს იმ პასუხისმგებლობისაგან, რაც შეიძლება დადგეს კანონმდებლობის ნორმათა შეუსრულებლობით ან/და არასწორ შესრულების გამო.

სწავლაში დახარჯულს მიღებული ცოდნა აანაზღაურებს!!!

ახალ ვერსიაში განახლებული სახით წარმოდგენილია ძველი მასალა და დამატებულია სხვა თემებიც.



გარდა ამისა, შევეცადეთ, რომ გზამკელევი უფრო პრაქტიკული გაგვეხადა. ტექსტი გამდიდრებული კონკრეტული სასამართლო გადაწყვეტილებებით, რაც შესაძლებლობას იძლევა, უფრო თვალსაჩინო გახდეს სამართლებრივი პრობლემა და მარტივად შევძლოთ გამოსავლის პოვნა წიგნის მეშვეობით. ამასთანვე, კონკრეტული სასამართლო მაგალითი წებისმიერ მკითხველს დააყენებს სწორ გზაზე საუკეთესო სამართლებრივი გამოსავლის პოვნისთვის. განახლებულ გამოცემში ასევე წარმოდგენილია კონკრეტული საქმეებიც, განხილული საერთაშორისო სასამართლოების მიერ.

განახლებული ვერსიის შექმნაში დაგვეხმარა თბილისის საქალაქო სასამართლოს ორი მოსამართლე. მადლობას ვუხდით მათ თანამშრომლობისა და განეული სამუშაოსთვის.

პირველი გამოცემისაგან განსხვავებით, რომელსაც თან ერთვოდა CD დისკი, სადაც ჩაწერილი იყო კონკრეტული განცხადებების ნიმუშები, ამ პროექტის ფარგლებში განხორციელდება წიგნის ელექტრონული ვერსიის შემუშავება, რომელიც შესაძლებელია იხილოთ ორგანიზაციის ვებ გვერდზე [www.article42.ge](http://www.article42.ge). საძიებო სისტემის მეშვეობით მარტივად შეძლებს წებისმიერი ადამიანი მისთვის საინტერესო თემაზე სასარგებლო ინფორმაციის მოძიებას.

აღნიშნული გამოცემა, პირველის მსგავსად, ორ ენაზე – ქართულად და რუსულად, რათა საქათველოში მცხოვრები ეთნიკური და ნაციონალური უმცირესობებისათვის და უცხოელებისთვის ხელმისაწვდომი იყოს.

ჩვენ კვლავ ღია ვართ თქვენი რეკომენდაციების, შენიშვნებისა და რჩევებისათვის!

თამარ გაბისონია,  
„კონსტიტუციის 42-მუხლი“-ს  
აღმასრულებელი დირექტორი

ელენა ფილევა,  
პროექტის კოორდინატორი,  
„კონსტიტუციის 42-მუხლი“-ს  
გამგეობის წევრი

## ორგანიზაციის შესახებ

„კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ არის არასამთავრობო, აპოლიტიკური, ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაცია, რომელიც დაფუძნდა 1997 წლის 12 სექტემბერს. ორგანიზაციის წევრები არიან პროფესიონალი ადვოკატები, რომლებიც ადამიანის უფლებათა დარღვევის მსხვერპლთ უფასო იურიდიული დახმარებით უზრუნველყოფები ადგილობრივ და საერთაშორისო სასამართლო ინსტანციებსა თუ სახელმწიფო დანესებულებებში. ორგანიზაცია მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს საქართველოს სამართლებრივ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას, ადამიანის უფრდამენტულ უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვისა და საზოგადოებრივი მართლშეგნების ამაღლების გზით.

„კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ არის უფლებადამცავი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ხელს უწყობს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებისა და თავისუფლებების, ასევე, საერთაშორისო სამართლით აღიარებული სხვა უუნდამენტური უფლებების დაცვას, სახელმწიფო პოლიტიკისა და ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაციას საერთაშორისო სტანდარტებთან, საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებას ეფუქტური სამართალწარმოების, სამიზნე ჯაშუფების გაძლიერების, სამოქალაქო მონიტორინგის, კვლევისა და ანალიზის და სამართალშემოქმედებით ინიციატივებში მონაწილეობის გზით.

ორგანიზაციის მიზნები:

- საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით და მეორე თავის სხვა მუხლებით, აგრეთვე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით და სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ადამიანის უფლებების დამკვიდრება და მათი განხორციელებისათვის ხელშეწყობა;
- კანონის უზენაესობის პრინციპის დამკვიდრება;
- მართლმსაჯულების სისტემის განვითარებაზე ზრუნვა;
- ადამიანის უფლებადამცველ პირთათვის მათი საქმიანობის განხორციელებაში თანადგომა და მათი პროფესიული დონის ამაღლების ხელშეწყობა;
- საზოგადოების სამართლებრივი კულტურისა და მართლშეგნების ამაღლება;
- იურიდიული განათლების განვითარების ხელშეწყობა.

ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ მოიპოვება საიტზე: [www.article 42.ge](http://www.article 42.ge)

# ს ა რ ჩ ი ვ ი

გელიარალი თანასწორობის განვირზეა ...	14
<b>ოჯახი და ქალის უფლებები</b> .....	<b>17</b>
ქორწინება .....	17
ქორწინების პირობები .....	19
ქორწინების რეგისტრაცია .....	20
<b>გაულება უფლებები და მოვალეობები</b> .....	<b>22</b>
პირადი უფლებები .....	22
ქონებრივი უფლებები .....	23
მეუღლეთა საკუთრების გაყოფა .....	26
საქორწინო ხელშეკრულება .....	28
მეუღლეთა ურთიერთრჩენის მოვალეობა .....	29
<b>მოვალეობის უფლება-მოვალეობები შვილის მიმართ</b> .....	<b>30</b>
შვილების წარმოშობის დადგენა .....	35
როგორ ხდება მამობის დადგენა? .....	36
ბავშვის მიტოვებულად აღიარება .....	40
შვილის სახელისა და ვაკარის განსაზღვრა .....	40
მშობლის უფლება-მოვალეობების შეზღუდვა, შეჩერება და ჩამორთმევა .....	43
მშობლების საალიმენტო უფლება-მოვალეობები შვილების მიმართ .....	43
ოჯახის სხვა წევრების საალიმენტო მოვალეობანი .....	44
ალიმენტის განვირიშებისა და გადახდის წესი .....	45
მეურვეობა და მზრუნველობა .....	47
შვილად აყვანა .....	48
საერთაშორისო გაშვილება .....	56
მინდობით აღზრდა .....	57
საერთაშორისო გატაცება .....	59
ბავშვების დაბრუნება .....	60
ბავშვთა გატაცების თავიდან არიდების დამცავი მექანიზმები .....	61
<b>ქალი და მემკვიდრეობა</b> .....	<b>63</b>
რას გულისხმობს მემკვიდრეობის უფლება? .....	63
კანონით მემკვიდრეობა .....	64
დაუქორწინებელი, განქორწინებული და ფაქტიურად განქორწინებული	65
პირების უფლება სამკვიდროზე .....	65
ქორწინების გარეშე შობილი ბავშვის მემკვიდრეობის უფლება .....	66
ჩასახული მემკვიდრის უფლებები .....	66
მშვილებლისა და ნაშვილების მემკვიდრეობის უფლება .....	67
მემკვიდრეობა წარმომადგენლობით, მემკვიდრეობითი ტრანსმისა	67
ანდერძით მემკვიდრეობა .....	68
როგორ შევადგინთ ანდერძი? .....	68
ანდერძით ქონების განაწილება .....	71
ანდერძის შეცვლა, მოშლა, ძალადაკარგულად ან ბათილად ცნობა .....	72
საანდერძო დანაკისრი (ლეგატი) .....	75

ანდერძის ალსრულება	76
სავალდებულო წილი	77
სამკვიდროს გახსნა	79
სამკვიდროს მიღება	80
სამკვიდროს მიღებაზე უარი	86
უპირატესი ქმედების უფლება	90
სამკვიდრო ქონება	91
სამკვიდროს გაყოფა, გათანაბრება სამკვიდრო ქონებაზე	92
მოქმედი საგადასახადო რეჟიმი	94
მამკვიდრებლის კრედიტორების დაკამაყილება მემკვიდრეთა მიერ	94
უმკვიდრო ქონება	96
მამკვიდრებლის რჩენაზე მყოფ პირთა უფლებები	96
მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის საფუძვლები და პირობები	96
<b>კალის საქართველოს და ვალებულებით-სახართლებრივი</b>	<b>100</b>
ურთიობობები	100
სესხი – ფულადი ვალდებულება	100
ვალის დაუყოვნებლივ მითხოვნის უფლება	103
სესხის შეპირება	103
იძულებითი იპოთეკა	104
უძრავი ქონების შეძენა და რეგისტრაცია	111
უძრავი ქონების იჯარა და ქირავნობა	118
<b>კალის მრომათო უფლებები</b>	<b>123</b>
შრომითი ურთიერთობების სუბიექტები	124
შრომითი ურთიერთობის წარმოშობა	125
ინფორმაციის მიღების უფლება	125
შრომითი ხელშეკრულება	126
გამოსაცდელი ვადა	127
სამუშაო დრო და დასვენების დრო	127
ანაზღაურების მიღების უფლება	128
შვებულება	129
შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა	133
სამსახურიდან გათავისუფლების გამომრიცხავი გარემოებები	138
დაფის განხილვა სხვა სახის დაწესებულებებში	140
ვადები	140
ხარჯები	141
<b>კალი და განათლება</b>	<b>142</b>
განათლების უფლება	142
<b>კალი კოლიტიკასა და საზოგადოებრივ შემორჩენი</b>	<b>144</b>
ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა და საარჩევნო თანასწორობა	145
საარჩევნო ხმის მიცემის უფლება და უფლება იყოს არჩეული	146
<b>კალი და პიზნესი</b>	<b>148</b>
მენარმე იურიდიული პირის რეგისტრაციის პირობები	152
საგადასახადო ვალდებულებები, გადასახადების გადახდის წესი	152
გადასახადის გადამზდელად აღრიცხვა	155

საშემოსავლო და მოგების გადასახადის გადახდის ვადები	155
დღგ-ს გადახდის განაკვეთი და ვადები	156
აქციზური გადასახადის გადახდის ვადა და განაკვეთები	157
ქონების გადასახადის განაკვეთები და გადახდის ვადები	157
გადასახადის გადამხდელის სამართლებრივი დაცვა	158
გადასახადის გადამხდელისათვის ინფორმაციის მიწოდება	159
საგადასახადო დაცვები და სასამართლო პრაქტიკა	160
ქალთა საერთაშორისო და თანამედროვე სოციალური მდგომარეობა	160
ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა და საარჩევნო თანასწორობა	162
საარჩევნო ხმის მიცემის უფლება და უფლება იყოს არჩეული	162
ქალი და არასამენარმეო საქმიანობა (საზოგადოებრივი საქმიანობა)	164
არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის	
რეგისტრაციის პირობები	166
არარეგისტრირებული კაშირი (გაერთიანება)	169
სასარგებლო რჩევებზე ბიზნესსაქმიანობისას	
და საზოგადოებრივ ურთიერთობებში	169
<b>კალი და უფლება პაროქოლობაზე</b>	<b>171</b>
ინფორმაციის მიღების უფლება	174
ინფორმირებული თანხმობა	177
პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და კონფიდენციალურობა	181
ორსული და მეძუძური დედების უფლებები	185
ხელოვნური განაყოფიერება	187
სურვიგაზე დედა	187
აბორტი	188
ქალი და შიდსი	188
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები	192
ფსიქიურად დაავადებული პირის ქმედუსაროდ აღიარება	195
ფსიქიატრიული დახმარების სახეები	195
არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების	
მიზნით პირის სტაციონარში მოთავსება	196
ფსიქიური დარღვევის მქონე პირთა უფლება	
ისარგებლონ თავშესაფრის უზრუნველყოფის პროგრამით	198
პაციენტის უფლებების დაცვის სამართლებრივი საშუალებები	199
<b>კალი და სოციალური საერთაში</b>	<b>201</b>
სოციალური სუბსიდიები	201
სოციალური დახმარების სახეები	202
საყოფაცხოვრებო სუბსიდია კომუნალური ხარჯების გასაწევად	203
ფულადი სოციალურ დახმარების შეწყვეტა	204
სოციალური პაკეტის დანიშნვანა, გაცემა, შეჩერება, შეწყვეტა,	
განახლება და გადაანგარიშება	204
გადაწყვეტილება სოციალური პაკეტის დანიშნვის თაობაზე	206
სოციალური პაკეტის შეწყვეტა	207
საპენსიო უზრუნველყოფა და დაზლვევა	209
სახელმწიფო პენსია	210
შეღავათები და დახმარებების შეჩერება	217
საპენსიო თანხის ანაზღაურება	218
2012 წლის სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამები	223

ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები.....	224
კერძო სადაზღვევო ურთიერთობები.....	225
დევნილი ქალებისათვის საინტერესო ინფორმაცია .....	230
განსახლება .....	237
სტატუსი .....	238
საქართველოში მცხოვრები ნაციონალური უმცრესობების ქალები .....	239
ლგბტ პირთა სიტუაცია .....	243
<b>ქალის უფლებების სისხლის სამართალი</b> .....	<b>245</b>
დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ.....	245
ქალთა უფლებების დაცვა საქართველოს სისხლის სამართლის მიხედვით .....	255
დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ.....	258
თავისუფლების უკანონო აღკვეთა.....	263
ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი).....	264
დანაშაული ოჯახისა და არასრულნლოვნის წინააღმდეგ .....	270
პატიმარ ქალთა უფლებები .....	274
სამართლებრივი დაცვის ეროვნული მექანიზმი (გასაჩივრების საშუალებები) .....	277
ინფორმაციის მიღების უფლება .....	280
ადმინისტრაციული ორგანოს მუშაობის ზოგადი წესები .....	280
სასამართლოსადმი მიმართვა/გასაჩივრების უფლება.....	282
სასამართლო ხარჯები.....	283
მხარეთა უფლებები.....	286
სასამართლო პროცესი.....	287
გადაწყვეტილების გამოტანა სასამართლოს მიერ და გასაჩივრების წესი .....	288
საოჯახო საჯემთა განხილვის თავისებურებანი .....	289
უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმი.....	291
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო .....	292
სასამართლო განხილვის პროცედურები .....	294
შუალედური ზომები .....	295
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს როლი .....	296
ქალთა უფლებათა დაცვის კუთხით .....	297
მეურვეობასთან, კონტაქტებსა და ზრუნვასთან დაკავშირებული საკითხები .....	297
საკომუნიკაციო პროცედურა .....	299
<b>ქალთა მკაფიოებები</b> .....	<b>302</b>
რას წარმოადგენს ოჯახში ძალადობა? .....	302
ძალადობის სახეები .....	304
დამცავი ორდერი .....	309
ორდერის მოქმედების ვადა .....	315
როგორ ხდება სტატუსის მინიჭება .....	317
მსხვერპლის უფლებები .....	318
მოძალადის მიმართ არსებული მექანიზმი .....	318
<b>ზოგიერთ გამოყენებულ ტერმინთა გამოარტება</b> .....	<b>320</b>
<b>პატიმარები</b> .....	<b>359</b>

# გენდერული თანასწორობის განვითარება



გენდერული უთანასწორობის პრობლემა ყველაზე სერიოზული და გავრცელებული ადა-მიანის უფლებების დარღვევაა.

მიუხედავად იმისა, რომ თანასწორობის პრინციპის დაცვა საერთაშორისო კანონმდებლობითაა გარანტირებული, ქალები მამაკაცებთან შე-დარებით მოკლებულნი არიან უფლებებს მინისა და ქონების, ფინანსური რესურსების მართვის, დასაქმების, განათლებისა და სხვა სფეროებში. თუმცა, არის სახელმწიფოები, სადაც ქალებს მინიჭებული აქვთ სრული და თანაბარი უფლებები და შესაძლებლობები. ასეთი სახელმწიფოები შედარებით მეტად მშვიდობიანი და წარმოადგინებენ არიან.

საქართველოში დასაქმების სფეროში უთანასწორობა ყველაზე მწვავე პრობლემაა, რაც უკავშირდება ქალის გათხოვებასა და დედობას. აღნიშნული პრობლემის აღმოსავარელად, დამსაქმებელმა უნდა შეცვალოს დასაქმებული ქალისადმი დამოკიდებულება. უნდა მოიძებნოს პრობლემის დაძლევის გზები, რომელიც ქალების დედობრივი მოვალეობების სამუშაოსთან შეთავსებას შეუწყობს ხელს.

გენდერული უთანასწორობის დაძლევის მთავარი არსი ისაა, ქალებმა თავად გააცნობიერონ რომ, ქალსა და მამაკაცს შორის დო-მინანტი არ არსებობს. რა თქმა უნდა, ისეთ ქვეყნებში სადაც ტრადი-ციები და სტერეოტიპები ქალს მეორე ადგილზე აყენებს, გენდერული უთანასწორობის დაძლევის პროცესი ნელა მიმდინარეობს, მაგრამ წარ-მოუდგენელია, რომ მსოფლიოში დარჩეს რეგიონები, სადაც გენდერული უთანასწორობა იარსებებს.

უმთავრესია, ქალებმა საკუთარ თავში აღმოაჩინონ და დაძლიონ ფსი-ქოლოგიურად უთანასწორობის განცდა და საკუთარი უფლებები შეუსაბა-

მონ საკუთარ შესაძლებლობებს, წინააღმ-დეგ შემთხვევაში, ადამიანის უფლებების დამცველი ვერცერთი ორგანიზაცია ვერ შეძლებს უთანასწორობის პრობლემის დაძლევას საფუძვლიანად.

ტრადიციულ ადათ-წესებზე დაყრდნობით, სამოქალაქო საზოგადოება ყოველთვის მყაც-რად აკონტროლებს ქალის ქცევასა თუ სექსუალურ ურთიერთობებს. ქალის ქცევას უფრო მეტად აკრიტიკებს, ვიდრე მამაკაცისას. განსაკუთრებით რეგიონებში ჯერ კიდევ გახვდება ქალის მოტაცების ფაქტები, რასაც თან ახლავს გაუპატიურება და ქალზე სხვადასხვა ფიზიკური თუ ფსიქიკური ძალადობა. მოტაცებულ ქალს, ხშირად, ოჯახში აღარ აპრუნებენ, რად-განაც საზოგადოებრივი აზრი ქალის მიმართ ნეგატიურია. სწორედ აյ ვხვდებით ტრადიციულ სტერეოტიპს, რომელიც დაკავშირებულია უთანასწორობასთან. გენდერული მიღო-მა ეფუძნება არა მხოლოდ განსაზღვრულ ბიოლოგიურ ურ-თიერთობებს, არამედ სექსთა ურთიერთობის სოციალურ-კულ-ტურულ დრინგიკას. მიმდინარე ტრანსფორმაციული პროცესები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებაში ქალის სტატუსისა და როლის შეც-ვლაზე.

თანამედროვე ცხოვრებაში ქალისა და მამაკაცის როლების ტრადიციული თანა-ფარდობა გამუდმებით იცვლება. ერთ-ერთი ძირითადი დეტრმინანტი ხდება გენდე-რული ურთიერთობების ცვლილებები და თანასწორი უფლებების, თავისუფლებისა და შესაძლებლობების პრაქტიკული რეალიზაცია.

არსებობს დასაბუთება ქალსა და კაცს შორის არსებული სხვაობის შესახებ, მაგრამ მეცნიერები კვლავ აგრძელებენ ახალი სხვაობის ძიებას, რათა ახსნან საზო-გადოებაში არსებული დისკრიმინაციის არსი. სქესს გააჩნია ბიოლოგიური და სოცი-ალური კატეგორიები.

გენდერული კვლევები ხშირად გაიგივებულია ქალთა პრობლემების კვლევას-თან. გენდერში, როგორც პროცესში, იგულისხმება სექსობრივი განსხვავების ნიშნით კაცის მხრიდან ქალის ყოველგვარი დისკრიმინაციის ლიკვიდაცია.

გენდერის მიზანია დაიცვას ერთი სქესი, საწინააღმდეგო სქესის ზემოქმედების-გან, ძალადობისგან.



სქესი არის ქალსა და კაცს შორის

სოციალური ურთიერთობის



ორგანიზებული მოდელი



## საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის მიხედვით:

„ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, ნარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.“

## საქართველოს კონსტიტუციის 38-ე მუხლი ადგენს ასევე საქართველოს მოქალაქეთა თანასწორობის გარანტისა, რომლის შესაბამისად:

„საქართველოს მოქალაქენი თანასწორი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრისაში განურჩევლად მათი სქესობრივი, ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა.“

რესურსების ნაკლებობა, ენობრივი ბარიერები და სხვა.

ქალებს გააჩინათ უფლება, რომ მათთვის მართლმსაჯულებების სისტემები მამაკაცებთან მიმართებაში თანაბრად ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. დღესდღეობით, მიუხედავად სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებისა და ტექნიკური თვალსაზრისით დახვეწილობისა, მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის კუთხით ქალებისთვის მაინც მრავალი დაბრკოლება არსებობს. მაგალითებად შეგვიძლია ჩამოვთვალოთ: იურიდიული უფლებების შესახებ ცოდნის ნაკლებობა, ჩვენების მიცემის შეში,

სასამართლო პროცესში მხარეებს უნდა ჰქონდეთ სამართლებრივი დაცვის თანაბრი შესაძლებლობა. სასამართლო პროცესის დროს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანასწორობის დაცვა, ერთის მხრივ (ფინანსურად) უზრუნველყოფილ და მეორეს მხრივ (ფინანსურად) ნაკლებად უზრუნველყოფილ მხარეს შორის. კერძოდ, ეს გულისხმობს პროცესში ადვოკატის სავალდებულო ჩართვას, ასევე, ნაკლებად უზრუნველყოფილი მხარისთვის საპროცესო ხარჯების ანაზღაურების მიზნით განეულ დახმარებას. სამართლებრივი დაცვის ხარისხი არ უნდა იყოს დამოკიდებული პირის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. განეულმა ხარჯებმა არ უნდა შეუქმნას საფრთხე პირის საარსებო მინიჭუმს.

დღესდღეობით, სქესის ნიშნით ადამიანთა თანასწორობის პრინციპი საკანონმდებლო დონეზეა დარეგულირებული. ამას არეგულირებს როგორც საქართველოს კონსტიტუცია, ასევე საქართველოს კანონი

„გენდერული თანასწორობის შესახებ“, რომელიც მიღებულია 2010 წლის 26 მარტს. კანონი მნიშვნელოვანია გენდერული თანასწორობის საკითხების დასარეგულირებლად, ნორმატიულ-სამართლებრივი დაცვის განსამტკიცებლად. აღნიშვნული კანონი შედგება 4 თავისა და 15 მუხლისაგან.

კანონის მიზანია სქესის ნიშნით პირთა დისკრიმინაციის დაუშვებლობა. დისკრიმინაციად განიხილება სქესის ნიშნით ნებისმიერი განსხვავება თუ შეზღუდვა, რომელიც უფლებრივ უთანასწორობაში აყენებს ქალსა თუ მამაკაცს.

დისკრიმინაცია გულისხმობს ადამიანის ძირითადი თავისუფლებებისა და შესაძლებლობების შესუსტებას, უარყოფას, არათანაბარ გამოვლენას.

თანასწორ შესაძლებლობებში იგულისხმება განსხვავებული სქესის ადამიანთა შორის, როგორც უფლებრივი თანასწორობის, ასევე თავისუფლების თანასწორობის აღიარება და განხორციელება.

თანასწორი მოპყრობა კი გულისხმობს ქალსა და მამაკაცს შორის დისკრიმინაციის დაუშვებლობას, თანაბარი განათლების მიღების უფლებას, შრომისა და სოციალური პირობების თანაბარ უფლებებად წარმოჩენას, საოჯახო ურთიერთობებში თანაბარ მდგომარეობაში აღიარებას, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ყველა სხვა სფეროში გათანაბრებას, მართლმსაჯულებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. დღესდღეობით, მიუხედავად სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებისა და ტექნიკური თვალსაზრისით დახვეწილობისა, მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის კუთხით ქალებისთვის მაინც მრავალი დაბრკოლება არსებობს. მაგალითებად შეგვიძლია ჩამოვთვალოთ: იურიდიული უფლებების შესახებ ცოდნის ნაკლებობა, ჩვენების მიცემის შეში,

# ოჯახი და ქალის უფლებები

არათუ ყველა ქალისთვის, თითოეული ადამიანისთვის ოჯახი და ოჯახური ურთიერთობები მისი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე ძირითადი და მნიშვნელოვანი ნაწილია. იმისათვის, რომ ოჯახური ცხოვრების სამართლებრივი ასპექტები იყოს მაქსიმალურად მოწესრიგებული და დაბალანსებული, აუცილებელია, ყველა იცნობდეს იმ სამართლებრივ ნორმებსა და რეჟიმს, რასაც სახელმწიფო ადგენს ჩვენი ცხოვრების ამ სფეროში.

## ქორწინება

ოჯახის შექმნა იწყება ქორწინებით. მართალია, ცნება „ქორწინება“ შესაძლოა სხვადასხვა ადამიანისთვის განსხვავებულ შინაარსს ატარებდეს, მაგრამ წინამდებარე წიგნში ვისაუბრებთ იმაზე რას ეწოდება „ქორწინება“ ჩვენი მოქმედი სამართლით და რით განსხვავდება ადამიანთა უბრალო თანაცხოვრებისგან.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ქორწინება ესაა ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში.

საქართველოს უზენაესმა სასამართლო ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განმარტა რეგისტრირებული ქორწინების სამართლებრივი მნიშვნელობა და მიუთითა, რომ „სამოქალაქო კოდექსის 1151-ე მუხლის თანახმად, მუდლეთა უფლება-მოვალეობებს წარმოშობს მხოლოდ სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში რეგისტრირებული ქორწინება. ქორწინების რეგისტრაცია დაწესებულია როგორც სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების უზრუნველსაყოფად, ისე თვით მეუღლეთა და მათი შვილების პირადი და ქონებრივი უფლებების დაცვის მიზნით. იგი ამარტივებს მეუღლეთა შორის ურთიერთობას სხვა სახის საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემაში და შესაძლებლობას აძლევს სახელმწიფოს,

## ოჯახის შექმნა იწყება ქორწინებით



ფაქტობრივ საქორნინო ურთიერთობაში მყოფთაგან განსხვავებით, გამორჩეულად დაიცვას მეუღლებისა და მათი შვილების ინტერესები. რეგისტრირებული ქორნინება მეუღლებს ანიჭებს საბინაო, მატერიალურ, სამემკვიდრეო და სხვა უფლებათა განხორციელების გარანტირებულ შესაძლებლობას.“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება 2013 წლის 14 იანვარი საქმე №ას-1155-1084-2012)

როგორც ხედავთ, კანონი ქორნინებას უცილობლად უკავშირებს მისი რეგისტრაციის ფაქტს. არარეგისტრირებული კავშირი ქალსა და მამაკაცს შორის, თუნდაც იგი ხანგრძლივი დროის განმავლობაში გრძელდებოდეს, არ ითვლება ქორნინებად და არ წარმოშობს ქორნინების სამართლებრივ შედეგებს. მართალია, საქართველოს სახელმწიფო აღიარებს მართლმადიდებლური ეკლესის მიერ შესრულებულ ჯვრის-წერას, მაგრამ მას მანც არ ათანაბრებს სამოქალაქო რეესტრში რეგისტრირებულ ქორნინებასთან. შესაბამისად, არც ჯვარდაწერილ, და არც სხვა რიმე რელიგიური წესით დაკავშირებულ წყვილს არ წარმოშობა ერთმანეთის მიმართ ის სამართლებრივი უფლება-მოვალეობები, რაც განსაზღვრულია კანონით.

ჯვარდაწერილ მეუღლეთა შორის ქორნინები დავის დროს შეუძლებელია სამოქალაქო კოდექსით დადგენილი დანანესების გამოყენება მეუღლეთა მიერ რეგისტრირებული ქორნინების განმავლობაში შეძენილი ქორნების გაყიფის თაობაზე. როდესაც ერთ-ერთმა ჯვარდაწერილმა მეუღლემ სარჩელი შეიტანა და მოითხოვა თანაცხოვრების დროს შეძენილი ქორნების გაყიფა, სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი და მოსარჩელეს განუმარტა შემდეგი: „უსაფუძვლოა კასატორის მოსაზრება, რომ სასამართლომ არარეგისტრირებული ქორნინების საკათხს შეფასება უნდა

მისცეს საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციულო-ავტოკოეფალურ მართლმადიდებელ ეკლესის შორის კონსტიტუციური შეთანხმების მე-3 მუხლის შესაბამისად, რომლის ძალითაც სახელმწიფო აღიარებს ეკლესის მიერ შესრულებულ ჯვრის-წერას კანონმდებლობით დადგენილი წესით. სამართლებრივ ურთიერთობებში გამოიყენება ქორნინების სახელმწიფო რეგისტრაციის მონაცემები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კონსტიტუციური შეთანხმების მითითებული ნორმით, საეკლესიო წესით ჯვრის-წერის სახელმწიფოსაგან აღიარება დეკლარაციული ხასიათისა და მეუღლეთა კანონით დადგენილი უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობის საფუძველი ვერ გახდება. საკასაციო სასამართლო მხარეთა უყრადღებას მიაცემს იმ გარემოებასაც, რომ ამავე ნორმით ზუსტად განსაზღვრულია სახელმწიფოს მიერ ჯვრის-წერის აღიარების ფარგლები, კერძოდ, მითითებულია, რომ აღიარება სდება კანონმდებლობით დადგენილი წესით და სამართლებრივ ურთიერთობებში გამოიყენება ქორნინების სახელმწიფო რეგისტრაციის მონაცემები. ამ დანანესიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნას, რომ ეკლესის მიერ შესრულებული ჯვრის-წერის აღსრულების შემდეგ, ახლადშექმნილი ოჯახი მართლმადიდებლური წესით ხდება კანონიერი და მას რაიმე თანამდევი

კანონით გათვალისწინებული იურიდიული შედეგი არ მოჰყვება. ამდენად, მითითებული კონსტიტუციური შეთანხმებით დეტალურად არის რა განსაზღვრული საეკლესიო ჯვრის-წერის დანიშნულება და მოქმედების ფარგლები, ნორმის განმარტებაც კანონით დადგენილი ფაქტების შესაბამისად უნდა მოხდეს. აღნიშნული გამორიცხავს კასატორის მოთხოვნას, ჯვრის-წერის საფუძველზე, მისა, როგორც მეუღლის, სამოქალაქო უფლების – თანასაკუთრების წარმოშობის თაობაზე.“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება 2008 წლის 15 მაისი საქმე №ას-968-1269-07)

## ქორნის პირობები

კანონი განსაზღვრავს იმ აუცილებელ პირობებს, რომლის არსებობაც საჭიროა დაქორნინებისთვის. ეს პირობებია: ასაკი და დასაქორნინებელ პირთა თანხმობა.

დაქორნინების ასაკად დადგენილია 18 წელი. თუმცა, ამ ზოგადი წესდან არსებობს გამონაკლისი. 16 წელს მიღწეულ პირებს შეუძლიათ დაქორნინდნენ მშობლების წინასწარი წერილობით თანხმობით, ან თუ მშობლები არ იძლევან თანხმობას და არსებობს რაიმე საპატიო მიზეზი, მაგალითად, გოგონას ორსულობა, ან რომელიმე დასაქორნინებლის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის მიმართ არსებული საფრთხე – დაქორნინების ნებართვა შეიძლება გასცეს სასამართლომ. 16 წელს მიუღწეველ პირთა დაქორნინება კანონით აკრძალულია.

დასაქორნინებელ პირთა თანხმობა დაქორნინების მეორე აუცილებელი პირობაა. კანონმდებელი ხაზს უსგამს იმ გარემოებას, რომ ქორნინება აუცილებლად ნებაყოფლობითა უნდა იყოს ორივე მხრიდან. დაუშვებელია ქორნინების იძულება ერთ-ერთი დასაქორნინებელი პირის, მშობლების, ან ნებისმიერი სხვა პირის მიერ. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ წინასწარი თანხმობა ქორნინებაზე, იგივე ნიშნობა – არ წარმოშობს შემდგომში დაქორნინების ვალდებულებას. დანიშვნის შემდეგაც, ორივე მხარეს სრული უფლება აქვს, უარი განაცხადოს დაქორნინებაზე. კანონით დადგენილია, რომ ასეთ შემთხვევებში, ნიშნობასთან დაკავშირებული საჩუქრები მხარეებს უკან უბრუნდებათ.

სასამართლო პრაქტიკაში ხმირია დავები ნიშნობასთან დაკავშირებული საჩუქრების დაბრუნების თაობაზე. ამ კუთხით საინტერესო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილება, სადაც სასამართლომ განმარტა, რომ წინაბასთან დაკავშირებული საჩუქრები დაუქორნინებლობის შემთხვევაში მხარეებს უკან უბრუნდებათ და ამისთანავე, დაასაბუთა თუ ვის აქვს უფლება მოითხოვოს ნიშნობის დროს გადაცემული საჩუქრის უკან დაბრუნდება.<sup>1</sup>

სასამართლომ აღნიშნულ გადაწყვეტილებაში განმარტა კანონი და განაცხადა, რომ მითითებული ნორმა ასახავს საზოგადოებაში დამკვიდრებულ ტრადიციას, დაქორნინების მსურველ პირთა ნათესავებმა და ახლობლებმა სამომავლო ქორნინების აღსანიშნავად დასაჩუქრონ მომავალი მეუღლები, რაც ეფუძნება ვარაუდს, რომ დანიშნული წყვილი გარკვეული პერიოდის შემდეგ უთუოდ იქორნინებს. კანონმდებელი ნიშნობის ფაქტს რაიმე სავალდებულო სამართლებრივ შედეგს, დაქორნინებას არ უკავშირებს და ადგენს ნიშნობის საჩუქრის (რაც ხმირ შემთხვევაში ძვირად ლირებულ ნივთებია) მხარეთათვის დაბრუნების წესს. იმის გათვალისწინებით, რომ წინაბასთან მხარეებს წარმოადგენონ დასაქორნინებელი პირები, საკასაციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში ასევე განმარტა, რომ ზემოხსენებული საჩუქრის დაპრუნების შესახებ მოთხოვნის წარდგენა შეუძლია ნიშნობის ერთ-ერთ მხარეს, რომლის მიმართ პატივისცემის გამოხატვის მიზნითაც შედგა ჩუქრება.

საქართველოს უზენაესა სასამართლოს 2010 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილებაში მკაფიოდ განმარტა, რომ წინაბასთან საჩუქრის უკან გამოიხოვაზე უფლებამოსილი პირები მხოლოდ ნიშნობის მხარეები არიან და არა მჩუქრებელი, რომელმაც ნაჩუქარი ნივთი ნებაყოფლობით საკუთრებაში გადასცა ნიშნობის მხარეებს.

<sup>1</sup> საქართველოს უზენაესა სასამართლოს 2010 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილება

## ქორწინების რეგისტრაცია

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქორწინება რეგისტრირდება სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებში. რეგისტრაცია ხდება დასაქორწინებელ პირთა განცხადების საფუძველზე.

დაქორწინების მსურველ პირებს შექვეთ განცხადება მათი სურვილის მიხედვით არჩეულ ნებისმიერ ტერიტორიულ სამსახურში და უთითებენ, რა დროს სურთ ქორწინების რეგისტრაცია, რაც უნდა აღმოატებოდეს განცხადების შეტანიდან 2 თვის ვადას. ამ ვადის გასვლის შემდეგ განცხადება ძალას კარგავს.

ქორწინების რეგისტრაცია შეიძლება მოხდეს განცხადების შეტანის დღესვე, თუმცა სამსახურმა შეიძლება უარი თქვას განცხადების იმავე დღესვე რეგისტრაციაზე, თუკი იმ დღეს სამსახურში დაქორწინების მსურველთა ბევრი განცხადება შესული. მიუხედავად ამისა, სამსახური ვალდებულია რეგისტრაცია განახორციელოს

განცხადების შეტანის დღესვე, თუკი არსებობს ისეთ განსაკუთრებული გარემოებები, როგორიცაა პავშვის დაბადება, ერთ-ერთი მხარის სიცოცხლისთვის რეალური საფრთხე და სხვა.

### დასაქორწინებელ პირთა თანხმობით ქორწინების რეგისტრაცია

#### ტარდება საზეიმო ვითარებაში.

განცხადების შეტანა დაქორწინების მსურველთა მიერ უნდა მოხდეს პირადად. განცხადებაში მათ უნდა დაადასტურონ, რომ მათვის არ არსებობს ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები, ცნობილია ერთმანეთის ჯანმრთელობისა და ოჯახური მდგომარეობა, იციან თუ მერამდენეა თითოეულისათვის ეს ქორწინება და აღნიშნონ, ჰყავთ თუ არა შვილები.

სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის თანამშრომელი, რომელიც მიიღებს დასაქორწინებელ პირთა განცხადებას, ვალდებულია მათ განუმარტოს ქორწინების წესი და პირობები, მეუღლეთა და მშობელთა უფლება-მოვალეობები და გააფრთხილოს ისინი, რომ პასუხს იგებენ ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების დაფარვისთვის. სამსახურის თანამშრომელმა უნდა გაარკვიოს არსებობს თუ არა ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები და რომ დაქორწინების მსურველთავის ცნობილია ერთმანეთის ჯანმრთელობის და ოჯახური მდგომარეობა.

დასაქორწინებელ პირთა თანხმობით, ქორწინების რეგისტრაცია ტარდება საზეიმო ვითარებაში. მათი თხოვნით, საპატიო მიზეზის არსებობისას, რეგისტრაცია შეიძლება განხორციელდეს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს სამსახურის გარეთაც.

ქორწინების რეგისტრაცია შესაძლებელია განხორციელდეს ორი ან მეტი სრულწლოვანი მოწმის თანდასწრებით.

იმ შემთხვევაში, თუ: სააგენტოს ტერიტორიულმა სამსახურმა უარი გითხრათ ქორწინების რეგისტრაციაზე და თქვენ ეს უარი უკანონოდ მი-

გაჩნიათ, შეგიძლიათ იგი გაასაჩივროთ სასამართლოში ადმინისტრაციული ან სა-მოქალაქო წესით იმის მიხედვით, თუ რას ეფუძნება სააგენტოს უარი ქორწინების რეგისტრაციაზე.



კანონით განსაზღვრულია ქორწინების დამაბრკოლებელი გა-რემოვებები, რომელთა არსებობისასაც ქორწინება არ დაიშვება. დაქორწინება არ დაიშვება:

- ა) იმ პირთა შორის, რომელთაგან თუნდაც ერთ-ერთი უკვე იმყოფება ქორწინებაში სხვასთან;
- ბ) პირდაპირი აღმავალი და დამავალი შტოს ნათესავებს შორის (განმარტება: პირდაპირ აღმავალი და დამავალი შტოს ნათესავები არიან პირები, რომლებიც ერთმანეთისგან ნარმოიშვნენ: შვილთაშვილი, შვილიშვილი, შვილი, დედ-მამა, ბებია-ბაბუა, დიდი ბებია-ბაბუა და ა.შ.)
- გ) ბიოლოგიურ და არაბიოლოგიურ და-ძმას შორის;
- დ) მშვილებელსა და ნაშვილებს შორის;
- ე) იმ პირებს შორის, რომელთაგან თუნდაც ერთი, სულით ავადმყოფობის ან ჭეუასუსტობის გამო სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ არის ცნობილი.

საქართველოს კანონმდებლობით აღიარებულია ერთქორწინების პრინციპი, ანუ დაუშვებელია პირი ერთდროულად იმყოფებოდეს ორ ან მეტ ადამიანთან ქორწინებაში. ხელახლა დაქორწინება დაიშვება მხოლოდ მას შემდეგ, რაც პირი კანონით დადგენილი წესით განქორწინდება წისა მეუღლესთან, ან ქორწინება სხვა საფუძლით შეწყდება (იხ. თავი „ქორწინების შეწყვეტა“). ამის დასადასტურებლად პირი სა-აგენტოს ტერიტორიულ სამსახურში უნდა წარადგინოს ან განქორწინების მოწმობა, ან თუკი ქორწინება წინა მეუღლის გარდაცვალების გამო შეწყდა – გარდაცვალების მოწმობა.

# მეულლეთა უფლებები და პოვალეობები

დაქორწინებით ორივე მეუღლე ერთმანეთის წინაშე კისრულობს როგორც პირადი, ისე ქონებრივი უფლება-მოვალეობების მთელ რიგ ჩამონათვალს. ქალიც და მამაკაციც ვალდებულია, კეთილსინდისიერად და სრულად შეასრულოს ყველა ეს უფლება-მოვალეობა ქორწინების მთელი დროის განმავლობაში.

კანონი ადგენს, რომ საოჯახო ურთიერთობებში მეუღლები სარგებლობენ თანაბარი პირადი და ქონებრივი უფლებებით და ეკისრებათ თანაბარი მოვალეობანი.

დაქორწინებისას და საოჯახო ურთიერთობებში არ დაიშვება უფლებათა პირდაპირი ან არაპირდაპირი შეზღუდვა, პირდაპირი ან არაპირდაპირი უპირატესობის მინიჭება წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიისადმი დამრკიდებულების, საქმიანობის სახეობისა და ხასიათის, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა გარემოებათა მიხედვით!

## პირადი უფლებები

დაქორწინების დროს მეუღლეებს სურვილისამებრ შეუძლიათ აირჩიონ ერთ-ერთი მეუღლის გვარი თავითან საერთო გვარად, ანდა თოთოეულს შეუძლია დაიტოვოს თავისი ქორწინებამდელი გვარი, ანდა ორივეს შეუძლია შეუერთოს თავისი გვარი მეუღლის გვარს. გვარების შეერთება მხოლოდ იმ შემთხვევაში არ შეიძლება, თუ ორივე მეუღლეს ან ერთ-ერთს უკვე ორმაგი გვარი აქვს.

მეუღლეები სრული თანასწორობით სარგებლობენ შვილების აღზრდისა და ოჯახის სხვა საკითხების გადაწყვეტილისას.

თითოეულ მეუღლეს თავისუფლად შეუძლია აირჩიოს საქმიანობა და პროფესია, ასევე, თავისი შეხედულებისამებრ აირჩიოს საცხოვრებელი ადგილი, თუ ეს უკანასკნელი არ ეწინააღმდეგება ოჯახის ინტერესებს.

## ქონის რიცო უფლებები

მეუღლეთა ქონებრივი უფლება-მოვალეობები პირად უფლება-მოვალეობებზე არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვინაიდნ სწორედ ქონება და მისი სარგებლობის და განკარგვის პირობები განსაზღვრავს ოჯახური ცხოვრების მატერიალურ საფუძველს.

კანონი განასხვავებს მეუღლეთა ინდივიდუალურ და საერთო საკუთრებას. ინდივიდუალურია თითოეული მეუღლის ის საკუთრება, რომელიც მას დაქორწინებამდე ეკუთვნონდა, და ასევე ის, რომელიც ქორწინების განმავლობაში მიღებულია მემკვიდრეობით ან ჩუქებით. ინდივიდუალური საკუთრებაა ასევე ქორწინების განმავლობაში შეძენილი ინდივიდუალური სარგებლობის ნივთები, პირადი მოხმარების საგნები, გარდა ძვირფასეულობისა – თუნდაც ასეთი საგნები მეუღლეთა საერთო თანხებით იყოს შეძენილი. ინდივიდუალური საკუთრება მხოლოდ ერთ მეუღლეს ეკუთვნის და მთლიანად ამ უკანასკნელის უფლებამოსილებაა მისი ფლობა, სარგებლობა და განკარგვა. არცერთი მეუღლე არ არის ვალდებული, მეორე მეუღლეს შეუთანხმოს თუ როგორ განკარგავს იგი თავისი ინდივიდუალურ საკუთრებას.

სრულიად განსხვავებული რეზიდია საერთო საკუთრებასთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში, პირიქით, ორივე მეუღლე ვალდებულია, ურთიერთშეთანხმებით მართოს ასეთი ქონება. რა შეადგენს მეუღლეთა საერთო საკუთრებას?

მეუღლეთა საერთო საკუთრებაა ყველაფერი ის, რაც მათ ქორწინების განმავლობაში შეიძინეს, თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი, რაზეც ქვემოთ ვისახებრებთ.

მეუღლეთა თანასაკუთრების საკითხზე სასამართლოში არაერთი დავა განხილულა. საინტერესოა უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა აღნიშნული კატეგორიის დავიბზე. ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დააკმაყოფილა მომჩინეობის მოთხოვნა, რომელიც ითხოვდა საერთო საკუთრების გაყოფას. სასამართლომ კონკრეტულ საქმეზე აღნიშნა, რომ ქორწინების პერიოდში ქონება შეძენილი იყო ოჯახის გაძლილის საერთო მიზნების უზრუნველსაყოფად, ამიტომ დავის შემთხვევაში, ქორწინების განმავლობაში ქონების შეძენის ფაქტი (კონონით დადგენილი გამოიყვალისების გარდა) საქმარისი საფუძველია, რომ მიზანმიზნობრივი მეუღლეთა თანასაკუთრებად.

სასამართლომ ამავე გადაწყვეტილებაში ყურადღება გამამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სასამართლოს შეუძლია გადაუზვიოს არასრულწლოვანი ბავშვების ინტერესებიდან გამომდინარე საერთო წესს და თითოეული მეუღლის საკუთრებად ცნოს ის ქონება, რომელიც შეძენილია თითოეული მათგანის მიერ ქორწინების ფაქტობრივი შეწყვეტის ან მათი ცალ-ცალკე ცხოვრების დროს. ქორწინების რეგისტრაციის ფაქტს, ამ შემთხვევაში, არ ეკისრება გადამზეყვატი მნიშვნელობა; ივარაუდება, რომ ეს ქონება არ არის შეძენილი ოჯახის ინტერესებისათვის და საერთო სამეურნეო საქმიანობის გაძლილის მიზნით. ამასთან ერთად, უნდა არსებობდეს ერთ-ერთ მეუღლესთან არასრულწლოვანი შვილების ცხოვრების ფაქტი; მეორე მეუღლის მიერ საერთო ქონების ოჯახის ინტერესების საზიანოდ ხარჯების ფაქტი.

საყურადღებოა, რომ ხშირად ერთ-ერთი მეუღლე მუშაობს და არჩენს ოჯახს, მეორე კი ეწევა საოჯახო საქმიანობას, უვლის შეიღებს და არა აქვს დამოუკიდებელი შემოსავალი. ასეთ შემთხვევაშიც, თუნდაც მხოლოდ ერთი მეუღლის შემოსავლით შეძენილი ქონება ითვლება საერთო საკუთრებად!

საერთო საკუთრებაა როგორც მოძრავი, ისე უძრავი ქონება, რომელიც ქორწინების განმავლობაში იყო შეძენილი. თუმცა, უძრავ ქონებასთან დაკავშირებით

აუცილებელია რამდენიმე პრაქტიკული საკითხის გათვალისწინება: საქართველოს კანონმდებლობით, უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოიშობა მხოლოდ და მხოლოდ საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. რას ნიშნავს ეს? თუნდაც ქონება შეიძინოთ მართლზომიერად, მაგალითად, იყიდოთ ბინა ან მიწის ნაკვეთი, გააფორმოთ ხელშეკრულება, გადაიხადოთ თანხა და ა.შ. თუკი არ მიხვალთ საჯარო რეესტრში და თქვენს სახელზე არ დაარეგისტრირებთ შეძენილ ქონებას, თქვენ ჯერ კიდევ არ ჩაითვლებით კანონიერ მესაკუთრედ.

საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებული პრაქტიკის თანახმად, როდესაც ქორნინების განმავლობაში ქმარი იძენს რამე უძრავ ქონებას, იგი ამ ქონებას ავტომატურად მხოლოდ თავის სახელზე არეგისტრირებს, მიუხედავად იმისა, რომ ქონების ნახევარი ცოლის საკუთრებაცაა. შესაბამისად, გამოდის რომ ერთადერთ მესაკუთრედ რეგისტრირდება ქმარი.

საქართველოს უზენაესამა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში ქონების გაყოფასთან დაკავშირებით მოსარჩევის მოთხოვნა მიიჩნია უსაფუძვლოდ იმ მოტივით, რომ სადაც ვი ბინა შეიძინა ქორნინების რეგისტრაციამდე და ამდენად, მისი პირადი საკუთრებაა, როს გამოც არ შეიძლება გავრცელდეს მეუღლეთა შორის წარმოშობილი ის ქორნებრივი უფლებები, რაც თანასაკუთრებაში არსებული ქონების გაყოფაში გამოიხატება.

სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებულია ისეთი შემთხვევაც, როცა მეუღლებმა ქორნინების განმავლობაში ქონებაზე ერთობლივად გაწიეს ხარჯები და ამის შედეგად მისი ლირებულება მნიშვნელოვნად გაიზარდა. ასეთ დროს, ეს ქონება შესაძლებელია ჩაითვალოს თანასაკუთრებად.

**საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ამგვარი დავის გადაწყვეტისას აღნიშნა შემდეგი:** “საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1163-ე მუხლის თანახმად, თითოეული მეუღლლის ქონება შეიძლება ჩაითვალოს მეუღლეთა თანასაკუთრებად, თუ დადგინდება, რომ ქორნინების განმავლობაში გაწეული ხარჯების შედეგად ამ ქონების ლირებულება მნიშვნელოვნად გადიდება (გადაგეგმარება, მშენებლობის დასრულება, გადაკეთება და სხვა). მოცემული წესი არ გამოიყენება, თუ საქორნიხო ხელშეკრულებით სხვა რამ იქნება გათვალისწინებული. გასათვალისწინებელია, რომ განსახილევლი ნორმის თანახმად, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება გასამახვილებელია ქორნინებამდე შეძენილი ქონების ლირებულების მნიშვნელოვნად გაზრდაზე იმ ხარჯების შედეგად, რაც ქორნინების განმავლობაში იქნა გაწეული. ქონებაზე ქორნინების პერიოდში ჩატარებული სარეკონსტრუქციო სამუშაოები და გაწეული ხარჯი, რომლის შედეგად გაიზარდა ქონების ლირებულება, არ არის საქმარისი სამართლებრივი რეჟიმის ტრანსფორმაციისათვის. აუცილებელია ქონების ლირებულების მნიშვნელოვანი გაზრდა. ქონების ლირებულების მნიშვნელოვან გაზრდად ითვლება გადაგეგმარება, მშენებლობის დასრულება, გადაკეთება... ე.ი. კანონმდებრივი ყურადღებას ამავილებს არა მარტო ქონების ლირებულების გაზრდაზე, არამედ ამ ლირებულების მნიშვნელოვნად გაზრდის თავისებურებაზე. სადაც ქონების სამართლებრივი რეჟიმის ტრანსფორმაციისათვის არ არის საქმარისი მიმდინარე სარემონტო სამუშაოების ჩატარება, რაც არ იწვევს ქონების არსებით შეცვლას. საქმეში წარმოდგენილი არცერთი მტკიცებულებით არ დასტურდება, რომ სადაც საცხოვრებელი სახლი გადაგეგმარდა ან არსებითად გადაკეთდა, ან მშენებლობა დასრულდა.” (საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება 2005 წლის 22 მარტი საქმე №ას-1650-1638-2004)

მართალია, კანონი ადგენს, რომ საერთო ქონების განკარგვა უნდა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით, მაგრამ რა ხდება მაშინ, როდესაც ქონების ერთადერთ მესაკუთრედ დარეგისტრირებული ქმარი ცოლთან შეუთანხმებლად ასხვისებს ამ ქონებას?

ამ დროს ცოლი იწყებს დავას, მიმართავს სასამართლოს და ითხოვს, რომ ხელშეკრულება, რომლითაც მოხდა ქონების გასხვისება ან სხვაგვარად განკარგვა, ცნობილ იქნას ბათილად, ვინაიდან ქონება იყო საერთო საკუთრება და მისი განკარგვა მოხდა ცოლის აუცილებელი თანხმობის გარეშე.

და როგორ წყვეტს სასამართლო ამ კატეგორიის დავებს?  
სამწუხაროდ, არა ცოლის სასარგებლოდ.


უზენაესი სასამართლოს მიერ უკვე დიდი ხნის დადგენილი პრაქტიკის თანახმად, განისაზღვრა, რომ ასეთ შემთხვევებში პრიორიტეტი ენიჭება მესამე პირის – ანუ ქონების ახალი შემძენის ინტერესებს, ვინაიდან მან არ იცოდა და არც შეეძლო ცოდნობა ქონების მეორე მესაკუთრის არსებობის შესახებ, რადგან ეს უკანასკნელი არ იყო რეგისტრირებული საჯარო რეესტრში. ხოლო

რაც შეეხება მეუღლეს, მას თავისი უფლებების დაცვა შეეძლო უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოიშობა თავის დროზე მესაკუთრედ რეგისტრაციით, და მხოლოდ მისი ბრალია, თუკი ეს არ განახორციელა. ის რომ მესაკუთრედ

ყოვილიყოფ რეგისტრირებული, ქონების განკარგვა მის დაუკითხავად ვერ მოხდებოდა. როგორც ვხედავთ, ასეთ დროს, კანონი იცავს ქონების კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესებს და მეუღლე ვერ მიაღწევს წარმატებას ნასყიდობის ბათილად ცნობის თაობაზე სარჩელის სასამართლოში შეეტანით, თუკი ეს ნესი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ შემძენი კეთილსინდისიერია. რას ნიშნავს კეთილსინდისიერება? რა შემთხვევაში და ვინ არის კეთილსინდისიერი შემძენი? ამას ცოტა მოვინანებით გავეცნობით უძრავი ნივთის შეძენისა და რეგისტრაციის ნაწილში.

თუ ქონების ერთადერთ მესაკუთრედ დარეგისტრირებული ქმარი ცოლთან შეუთანხმებლად ასხვისებს ამ ქონებას, ასეთ დროს ცოლს შეუძლია მოითხოვოს მხოლოდ ქონების ასეთი განკარგვით მიღებული სარგებელი ანუ გასხვისების შედეგად აღებული თანხის ნახევარი და სარჩელი სასამართლოში შეუძლია წარადგინოს მეუღლის ნინაბალმდევ.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში, სადაც ცოლი მოითხოვდა თანასაკუთრებაში არსებული ბინის გაყიდვის გამო მეუღლისათვის სარგებლის დაკისრებას, სასამართლომ განმარტა შემდეგი: „სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლის თანახმად, მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას) თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი. ამ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების უფლება წარმოიშობა მაშინაც, თუ ერთ-ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შეიღებს ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავალი. სამოქალაქო კოდექსის 1168-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ ქონების გაყიდვისას, რომელიც მეუღლეთა თანასაკუთრებას წარმოადგენს მეუღლეთა ნილი თანაბარია, თუ მათ შორის შეთანხმებით



### უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოიშობა

### საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.



სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, 1160-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, მეუღლეს, როგორც თანამესაკუთრეს, უფლება აქვს მოითხოვოს ქონების განკარგვით მიღებული სარგებელი. სააპელაციო სასამართლომ, ზემოთ მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამოარკვია, რომ თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, ა ბ-მა გაყიდა 35000 აშშ დოლარად. ამდენად, ე. ბ-ის კუთვნილი 1/2 ნაწილის რეალიზაციით მიღებული სარგებელი შეადგინდა 17500 აშშ დოლარს, რაც იყო 35000 აშშ დოლარის ნახევარი.

შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალი, რომ მოსარჩელეს უნდა მიკუთვნებოდა თანასაკუთრებაში არსებული ქონებიდან მისი კუთვნილი წილის რეალიზაციით მიღებული სარგებელი.” (საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება 2012 წლის 9 იანვარი საქმე №ას- 1650-1638-2011)

მეუღლეთა საერთო საკუთრებად შეიძლება ჩაითვალოს ის ქონებაც, რომელიც მართალია მანამდე რომელიმე მეუღლის ინდივიდუალური საკუთრება იყო, მაგრამ ქორწინების შემდგომ მისი ღირებულება გაიზარდა. მაგალითად, თუკი ერთ-ერთი მეუღლის მიერ მეტვიდეობით მიღებული სახლი, ქორწინების განმავლობაში გაარმონდა ან გადააკეთეს მეუღლეებმა, რითაც მნიშვნელოვნად მოიმატა მისმა საბაზრო ღირებულებამ, მაშინ იგი ჩაითვლება საერთო საკუთრებად.

## აქედან გამომდინარე, გთხოვთ გაითვალისწინოთ:

1. თქვენ ხართ ქორწინებაში შეძენილი ნებისმიერი ქონების თანამესაკუთრე და ასეთი ქონების ნახევარი გეკუთვნით თქვენ;
2. თუკი ქორწინების განმავლობაში ერთობლივად, ან ერთ-ერთი თქვენგანის სახსრებით იძენთ უძრავ ქონებას, მოითხოვთ მესაკუთრედ ორივე თქვენგანის რეგისტრაცია საჯარო რეგისტრში. ეს არის თქვენი კანონით დაცული უფლება, რომლის განხორციელებამაც შეიძლება მომავალში უამრავი გაუგებრობა და უთანხმობა აგარიდოთ თავიდან.

## მეუღლეთა საერთო საკუთრების გაყოფა

მეუღლეთა საერთო ქონება შეიძლება რომელიმე მეუღლის მოითხოვნით გაიყოს როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე მისი შენტვეტის შემდეგ. გაყოფა ხდება მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით, ხოლო თუ მეუღლეები ვერ შეთანხმდნენ, მაშინ დავას სასამართლო წყვეტს.

იმისთვის, რომ მეუღლეებმა სასამართლო წესით იდავონ ქონების გაყოფის თაობაზე, საჭიროა არსებობდეს მეუღლეთა შორის რეგისტრირებული ქორწინება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ძალიან საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიღვომა. სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე, სადაც სადაც საკითხს ნარმოადგენდა მეუღლეთა შორის ქონების გაყოფა, განმარტა, რომ რეგისტრირებული ქორწინების ფაქტის დასადგენად, კანონით გათვალისწინებულია მხოლოდ ქორწინების მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ გაცემული მტკიცებულება – ქორწინების მიწოდება. ამავე საქმეზე სასამართლომ აღნიშნა, რომ მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს, კერძოდ, ქორწინების პერიოდში შეძენილ ქონებაზე თანასაკუთრების

უფლებას წარმოშობდა მხოლოდ სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში რეგისტრირებული ქორნინება.

მეუღლეთა წილი საერთო საკუთრებაში თანაბარია. ამ წესიდან არსებობს რამდენიმე გამონაკლისი, კერძოდ, ერთ-ერთი მეუღლის წილი შეიძლება გადიდეს იმის გათვალისწინებით, რომ:

ა) მასთან ცხოვრობენ არასრულწლოვანი შვილები;

ბ) ის შრომისუუნაროა, ანდა;

გ) თუ მეორე მეუღლე ქონებას ოჯახის ინტერესების საზიანოდ ხარჯავდა.

ზემოაღნიშნულ საკითხზე განვიხილოთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილება, სადაც სასამართლომ გადაუხვია მეუღლეთა ქონების თანაბრად გაყიფვის კანონით დადგენილ წესს არასრულწლოვანი შვილების ინტერესების გათვალისწინებით. ერთ-ერთი მეუღლის წილი შეიძლება გადიდეს იმის გათვალისწინებით, რომ მასთან ცხოვრობენ არასრულწლოვანი შვილები, რომ ის შრომისუუნაროა, ანდა – თუ მეორე

მეუღლე ხარჯავდა საერთო ქონებას ოჯახის ინტერესების საზიანოდ. სასამართლომ აღნიშ-

ნულ საქმეზე ყურადღება გაამახვილა იმ

გარემოებაზე, რომ ნორმის გამოყენების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს არა მხოლოდ არასრულწლოვანი შეი-

ლის ერთ-ერთ მეუღლესთან ცხოვრების ფაქტი, არამედ ისეთი გარემოების ან გარემოებათა არსებობა, რომელიც სასამართლოს უქმნის მყარ შინაგან რჩმენას, რომ პირის (მეორე მეუღლის)

თანასაკუთრების უფლება შესაძლებელია შეიზღუდოს – შემცირდეს. სასამართლოს შინაგანი რჩმენა უნდა ემყარებოდეს ისეთ გარემოებებს, რომლებიც ცალსახად ადასტურებენ არასრულწ-

ლოვანი შვილების ინტერესების გათვალისწინების აუცილებლობას. ეს გარემოები

შესაძლებელია იყოს არასათანაო პირობები, არასაკმარისი საცხოვრებელი

ფართი და სხვა ნებისმიერ ფაქტორი, რომელიც არასრულწლოვანის ინტერესშია და

მის ნორმალურ აღზრდას ხელს უშლის. ამდენად, სასამართლომ უნდა დაასაბუთოს,

რომ არასრულწლოვანი შვილი და მასთან მცხოვრები მშობელი უფრო მეტად საჭიროება ხართს, ვიდრე მეორე მშობელი.

მეუღლეთა შორის ქონების სასამართლო წესით გაყიფვის დროს სასამართლო განსაზღვრავს, თუ რომელი ნივთი რომელ მეუღლეს უნდა მიეკუთვნოს. პროფესიული საქმიანობისთვის საჭირო ნივთები, როგორიცაა მუსიკალური ინსტრუმენტები, საექიმო მოწყობილობა და სხვა, თუნდაც მეუღლეთა საერთო სახსრებით იყოს შეძენილი, მაინც იმ მეუღლეს გადაეცემა, რომელსაც ისინი თავისი პროფესიული საქმიანობისთვის სჭირდება.

თუკი საერთო ქონების გაყიფისას ერთ-ერთ მეუღლეს გადაეცემა ისეთი ნივთები, რომელთა ღირებულებაც მის კუთვნილ წილს აღემატება, მაშინ მეორე მეუღლეს მიეცემა შესაბამისი ფულადი ან სხვაგვარი კომპენსაცია.

მეუღლეთა საერთო ვალები მათ შორის იყოფა საერთო ქონებაში თითოეულის კუთვნილი წილის თანაზომიერად. თუკი ვალი მხოლოდ ერთმა მეუღლემ აიღო, საერთო ქონებიდან მისი გადახდა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევეში, თუკი სასამართლო დაადგენს, რომ აღბული ვალი გამოიყენეს მთელი ოჯახის საერთო ინტერესებისათვის.

ასევე, ერთ-ერთი მეუღლის დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურება



## მეუღლეთა წილი საერთო საკუთრებაში

### თანაბარია



საერთო ქონებიდან შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუკი დადგინდება, რომ ქონება დანა-შაულის ჩადენის შედეგად მიღებული სახსრებით იყო შეძენილი.

განქორნინების შემდეგ, მეუღლებს საერთო ქონების გაყოფის მოთხოვნა შეუძლიათ განქორნინებიდან სამი წლის განმავლობაში. თუკი ეს სამი წელი ისე გავიდა, რომ მეუღლეს არ განუცხადება არავითარი პრეტენზია საერთო ქონებაზე, შემდგომ მისი მოთხოვნა ჩაითვლება დაგვიანებულად.

## საქორწინო ხელშეკრულება

კანონი განსაზღვრავს იმ უფლებებსა და მოვალეობებს, რაც მეუღლებს ერთმანეთის მიმართ გააჩნიათ, თუმცა მეუღლებს უფლება აქვთ როგორც დაქორნინებამდე, ისე ნებისმიერ დროს ქორნინების განმავლობაში, დადონ საქორნინო ხელშეკრულება და მათი ქონებრივი უფლებები კანონისგან განსხვავებულად დაარეგულირონ.

საყურადღებოა, რომ საქორნინო ხელშეკრულებით მხოლოდ ქონებრივი უფლება-მოვალეობების განსაზღვრა შეიძლება! ხელშეკრულებით არ შეიძლება შეიცვალოს მეუღლეთა პირადი უფლებები და მოვალეობები.

საქორნინო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც ქორნინების რეგისტრაციამდე, ისე რეგისტრაციის შემდეგ ნებისმიერ დროს. თუკი ხელშეკრულება ქორნინების რეგისტრაციამდე დაიდო, იგი ძალაში მხოლოდ რეგისტრაციის მომენტიდან შევა.

საქორნინო ხელშეკრულება იდება წერილობით და უნდა დადასტურდეს ნოტარიულად.

ხელშეკრულებით მეუღლეებმა შეიძლება განსაზღვრონ როგორც უკვე არსებული, ისე მომავალში შეძენილი ქონების ბედი, მათ შეუძლიათ გააერთიანონ მთელი თავისი ქონება ან დაადგინონ თითოეულის ნილობრივი ან განცალკევებული საკუთრება ქონებაზე.

ხელშეკრულებით შეიძლება ასევე გათვალისწინებულ იქნას თითოეული მეუღლების მიერ შემოსავალში მონაწილეობის პირობები, საოჯახო ხარჯების განევის წესები და ასევე ის, თუ ვინ რა ქონებას მიიღებს განქორნინების შემდეგ.



### საქორნინო ხელშეკრულებით არ შეიძლება შეიცვალოს:

- მეუღლეთა ურთიერთობის მოვალეობა;
- მშობლების უფლება-მოვალეობები შვილების მიმართ;
- საალიმენტო მოვალეობანი და
- დავის შემთხვევაში – სასამართლოსადმი მიმართვის უფლება!
- ასევე, ხელშეკრულებით არ შეიძლება გათვალისწინებული იყოს ისეთი პარობები, რომლებიც მძიმე მდგომარეობაში აყენებს ერთ-ერთ მეუღლეს.

საქორნინო ხელშეკრულების შეცვლა დასაშვებია, თუკი მეუღლეები ამაზე შეთანხმდნენ. გარდა ამისა, შესაძლებელია ასევე ერთ-ერთი მეუღლის განცხადების საფუძველზე, სასამართლომ შეცვალოს საქორნინო ხელშეკრულების ის პირობები, რომლებიც უკიდურესად არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს რომელიმე მეუღლეს.

საქორნინო ხელშეკრულება წყდება მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით ან განქორნინებით.

## მაულენთა ურთიერთობის მოვალეობა

გარდა ქონებასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობებისა, მეუღლებს გააჩინათ ერთმანეთის რჩენის მოვალეობა. მეუღლები მოვალენი არიან მატერიალურად დაეხმარონ ერთმანეთს.

სარჩოს მიღების უფლება აქვთ:

- ა) შრომისუუნარო მეუღლეს, რომელიც მატერიალურ დახმარებას საჭიროებს და;
- ბ) ცოლს ორსულობის პერიოდში და ბავშვის დაბადებიდან სამი წლის განმავლობაში.

საყურადღებოა, რომ შრომისუუნარო მეუღლე, რომელიც დახმარებას საჭიროებს, ინარჩუნებს სარჩოს მიღების უფლებას განქირნინების შემდეგაც, ოლონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი შრომისუუნარო გახდა განქირნინებამდე, ან ერთ წლის განმავლობაში განქირნინების დღიდან.

თუმცა, სასამართლოს შეუძლია გაათავისუფლოს მეუღლე მეორე მეუღლის რჩენის მოვალეობისგან ან განსაზღვრული ვადით შეცვალოს ეს მოვალეობა თუ:

- ა) მეუღლები ქორწინებაში ხანმოკლე დროით იყოფებოდნენ;
- ბ) სარჩოს მიმღებმა მეუღლემ ულირსი საქციელი ჩაიდინა მეუღლის მიმართ;
- გ) სარჩოს მიმღები მეუღლის შრომისუუნარობა გამოწვეულია ალკოჰოლური სას-მელების ან ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენებით ან მის მიერ განზრახი დახამაულის ჩადენით.

რომელიმე მეუღლის მატერიალური ან იჯახური მდგომარეობის შეცვლისას, თი-თოეულ მეუღლეს უფლება აქვს სარჩელით მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს სარჩოს მანამდე განსაზღვრული ოდენობის გაზრდა ან შემცირება.

სარჩოს მიღების უფლება ისპობა, თუკი სარჩოს მიმღები მეუღლე შრომისუუნარიანი გახდება ან თუ იგი ხელახლა დაქორნინდება, ასევე თუ სარჩოს მიღება განპირობებული იყო ორსულობით ან 3 წლამდე ბავშვის ყოლით – ამ გარემოებების აღმოფხვრის შემთხვევაში.

სარჩო (ალიმენტი) –  
ყოველთვიურად  
გადასახდელი  
ფულადი თანხა,  
რომლის ოდენობა  
განისაზღვრება  
ყოველ კონკ-  
რეტულ შემთხ-  
ვევაში მეუღლეთა  
ძატერიალური  
და ოჯახური  
მდგომარეობის  
გათვალისწინებით

# მშობლების უფლება-მოვალეობები

## მაცილების მიმართ

ბავშვის უფლება აქვს ცხოვრობდეს

და იზრდებოდეს ოჯახში

ერთმანეთის მიმართ არსებული უფლება-მოვალეობების გარდა, ორივე მეუღლეს დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება შვილების წინაშე. მათი მოვალეობა – სათანა-დოლ არჩინონ და აღზარდონ შვილები, არა მხოლოდ საზოგადოებაში დამკვ-იდრებული მორალური და ზნეობრივი ნორმების სფეროს მიეკუთვნება, არამედ განმტკიცე-ბულია კანონითაც. ბავშვის უფლებათაგან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში. თავის მხრივ, მშობლებს უფლე-ბა აქვთ, თავად განსაზღვრონ, თუ სად და ვისთან უნდა იცხოვროს შვილმა.

რა მოვალეობები აკისრიათ მშობლებს შვილების მიმართ? ამ კითხვას რომ უუპასუხოთ, პირველ რიგში საჭიროა ვიცოდეთ თუ რა უფლებები აქვს ბავშვის.

საქართველოს კანონმდებლობა ადგენს, რომ: ბავშვის უფლება აქვს ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში.

აქედან გამომდინარე, ყოველი მშობლის უპირველესი მოვალეობაა შეუქმნას თავის შვილს უსაფრთხო, მშეიძი და მზრუნვე-ლი ოჯახური გარემო მისი ნორმალური აღზრდა-განვითარებისთვის.

მშობლები ვალდებული არიან იზრუნონ შვილების ფიზიკურ, გონებრივ, სულიერ და სოციალურ განვითარებაზე, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად.

ორივე მშობელს, გარდა თანაბარი ვალდებულებებისა, თანაბარი უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს შვილის აღზრდაში, მიუხედავად იმისა მშობლები ქორწინებაში იმყოფებიან ან ერთად ცხოვრობენ თუ არა.

სამწუხაროდ, ხშირად პირადი კონფლიქტის და უთანხმოებისას, ორივე ან ერთ-ერთი მშობელი ცდილობს მეორეს მანიპულირებას ბავშვის გამოყ-

ენებით, იმუქრება ბავშვის წართმევით, მასთან ურთიერთობის აქრძალვით და სხვა.

გახსოვდეთ, რომ არავის აქვს უფლება შეგიზღუდოთ ან აგირძალოთ თქვენს შვილთან ურთიერთობა ისევე, როგორც არც თქვენ გაქვთ უფლება თქვენი შვილის მამას შეუზღუდოთ ან აუკრძალოთ შვილთან ურთიერთობა, თუკი ეს თქვენს შვილს ზიანს არ აყენებს! თუ განქორწინების ან სხვა მიზეზის გამო მშობლები ცალ-ცალკე ცხოვრობენ, მათ ურთიერთშეთანხმებით უნდა გადაწყვიტონ თუ სად იცხოვრებს არას-რულნლოვანი შვილი. შეუთანხმებლობის შემთხვევაში, დავას სასამართლო წყვეტს, რა დროსაც ბავშვს მეურვეობისა და მზურუველობის ორგანიზაციის წარმომადგენლოს.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში სადაც განქორწინებული მშობლები დავობდნენ და-ძმის საცხოვრებელი ადგილისა და აღსაზრდე-

ლად გადაცემისათვის განმარტა შემდეგი: „ბავშვის ინტერესების დაცვისას სრულად გამოიყენება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი, რომლითაც ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში, რომელიც ბავშვის საცხოვრებელ გარემოს ეხებოდა, მიუთითა: სასამართლო ალიარბეს, რომ ასეთი საკითხის გადაწყვეტილისას, ადგილობრივი სასამართლოები ანყდებიან ისეთ ამოცანას, რომელიც ძალიან რთულად გადასაწყვეტილია. მათი მხრიდან მკაცრი, მოუქნელი პროცედურების დაცვის მოთხოვნა უფრო მეტ პრობლემას წარმოშობს, ამიტომ მათ უნდა მიეცეთ ფართო დისკრეციული მოქმედების საშუალება ასეთი საკითხების გადაწყვეტილისას. ამგვარად, თუკი ბავშვი მოაცილებ ბილოგიუმი მშობლებს და მოთხოვს ალტერნატიული მზრუნველობის ქვეშ, ანუ ალაზრდელად გადასცეს მეურვეებს, დროთა განმავლობაში ბავშვსა და ამ უკანასკნელს შესაძლოა ჩამოყალიბდეს ახალი კავშირები, რომლებიც ბავშვის ინტერესებიდან გამომდნარე, სასურველი იქნებოდა არ დარღვეულიყო, ან შეწყვეტილიყო ადრინდელი გადაწყვეტილებების გასაჩივრებით, რომლითაც მშობლებს აეკრძალათ ან შეეზღუდათ თავიანთი (იგულისხმება მშობლის) უფლებები, პრიორიტეტი ბავშვის ინტერესს ენიჭება, თუკი კონკრეტულ შემთხვევაში ბავშვის ამა თუ იმ გარემოდან მოცილება ან მისი ცხოვრების ნების შეცვლის აუცილებლობა და უკეთესობა მკაფიოდ გამოკვეთილი არ არის.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1197-ე მუხლის თანახმად, შვილების მიმართ მშობლებს თანაბარი უფლება-მოვალეობები აქვთ. ბავშვს აქვს უფლება, ცხოვრობდეს და იზრდებოდეს იჯახში. ამავე კოდექსის 1201-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ცალ-ცალკე მცხოვრები მშობლების შეუთანხმებლობისას, არას-რულნლოვანი შვილის საცხოვრებელ ადგილს განსაზღვრავს სასამართლო ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით.

კანონი არ ადგენს რაიმე პრეზუმუციას დედის ან მამის სასარგებლოდ. სასამართლო, დავის გადაწყვეტილისას, ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე არკვევეს, თუ რომელ მშობელს შეუძლია უკეთ უზრუნველყოს ბავშვის აღზრდა, რაც მარტო საბინაო-საყოფაცხოვრებო და მატერიალურ პირობებზე არ არის დამოკიდებული. ამდენად, დავის მნიშვნელობიდან გამომდინარე, პრიორიტეტის განსაზღვრა უნდა მოხდეს არა მშობლების, არამედ ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით.



**გახსოვდეთ**, რომ არავის აქვს უფლება შეგიზღუდოთ ან აგირძალოთ თქვენს შვილთან ურთიერთობა ისევე, როგორც არც თქვენ გაქვთ უფლება თქვენი შვილის მამას შეუზღუდოთ ან აუკრძალოთ შვილთან ურთიერთობა, თუკი ეს თქვენს შვილს ზიანს არ აყენებს!



მოცემულ შემთხვევაში, მშობლების განმარტებით დგინდება, რომ მცირენლოვანი ო. გ. ორი წელია ცხოვრობს მამის ოჯახში, ამჟამად საცხოვრებელი ადგილის მიხედვით დაიწყო სხვა სკოლაში. მამის განმარტებით, ბავშვი მიჩვეულია არსებულ გარემო პირობებს, რაც დამაჯერებელია, რადგან ბავშვის დეფის ან მამის გარემოში დიდხანს ყოფის შემდეგ იგი ეჩვევა მას და უყალიბდება გარკვეული კავშირები, რომელთა შეწყვეტამ და მისმა სხვა ოჯახურ გარემოცვაში გადაყვანამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს მოზარდზე. ამასთან, მოცემულ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ის გარემობაც, რომ ო. გ.-ის მცირენლოვანი და ო. გ. იზრდება დასთან. საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნებს და-ქმის დაცილების შედეგებთან დაკავშირებით და განმარტავს, რომ მცირენლოვანი და-ქმის განცალკევებით აღზრდა უარყოფითად იმიქმედებს მათ ფსიქიკაზე. არასრულწლოვანი და-ქმის დაცილება დასაშვებია მაშინ, როდესაც ეს აუცილებლობითაა გამოწვეული და მშობელს, რომელთანაც ბავშვი იზრდება, არ აქვს შესაძლებლობა, შეუქმნას მას აღზრდის ნორმალური პირობები. მოცემულ შემთხვევაში, სოციალური მომსახურების სააგნენტოს დასკვნით დგინდება, რომ დედას აქვს ბავშვების აღზრდისათვის პირობები. ამასთან, ყოველივე ზემოაღნიშნული არ არის საკმარისი ბავშვის საცხოვრებელი ადგილის გადასაწყვეტად.

აუცილებელია სპეციალური დაწესებულებების, სპეციალისტების პროცესში მონაწილეობა და მათი დასკვნების საფუძველზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება". (საქართველოს უზენაესი სასამართლო 2011 წლის 18 ოქტომბერი საქმე №ას-904-944-2).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1204-ე მუხლის თანახმად, მშობლებს უფლება აქვთ, მოითხოვონ არასრულწლოვანი შვილის დაბრუნება იმ პირისგან, რომელიც მას თავისთან ამყოფებს კანონიერი საფუძვლის გარეშე.

აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული მშობლის უფლება გამომდინარეობს შვილების მიმართ მშობლის უფლებამოსილების განხორციელებიდან. შვილის აღზრდის უფლება გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა, უფლებას, რომ შვილი იზრდებოდეს მის მშობელთან. რა თქმა უნდა, სხვა პირს მიერ კანონიერი საფუძვლის გარეშე ბავშვის თავისთან დაყოვნება ნარმობადგენს მშობლის უფლების დარღვევას. აქედან გამომდინარე, მშობელს (მშობლებს) გააჩნია არა მარტო მშობლის უფლება-ვალდებულებები,

არამედ თავის უფლებათა დაცვის განხორციელების სამართლებრივი საქართველოები. მაგრამ იბადება კითხვა: ნიშნავს თუ არა აღნიშნული დანაწესი იმას, რომ არასრულწლოვანი შვილი უპირობოდ უნდა დააბრუნონ თავის ბიოლოგიურ მშობელთან? საკმარისია თუ არა ამ ნორმით განსაზღვრული მშობლის უფლება ამისათვის? ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების უფექტური უზრუნველყოფა, რომელიც გარანტირებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით, ითვალისწინებს იმ ზომების განხორციელების უფლებას, რომელიც მიმართულია მშობლისა და ბავშვის გაერთინებისაკენ. ამასთან მიმართებაში, სახელმწიფოს მიერ გარკვეული ზომების მიღების ვალდებულება არ ატარებს აბსოლუტურ ხასიათს. შესაძლებელია, რომ იმ შემთხვევაშიც, თუ ყველა სამართლებრივი და ფაქტობრივი წინაპირობის გათვალისწინებით დადგება ბიოლოგიური მშობლისა და ბავშვის გართიანების აუცილებლობა, ნარმობავას ბავშვის ბიოლოგიურ მშობელთან დაბრუნების პროცესთან დაკავშირებული საკითხი. ამდენად, აღნიშნული საკითხი არ შეიძლება გადაწყდეს ერთმნიშვნელოვნად, მოუმზადებლად, მხოლოდ ბი-

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1204-ე მუხლის თანახმად,  
მშობლებს უფლება აქვთ,  
მოითხოვონ არასრულწლოვანი შვილის  
დაბრუნება იმ პირისგან,  
რომელიც მას თავისთან  
ამყოფებს კანონიერი  
საფუძვლის გარეშე.

ოლოგიური მშობლის ან იმ პირის ინტერესების გათვალისწინებით, რომელიც უკანონოდ თავისთან ამყოფებს არასრულწლოვანს. აუცილებელია, გათვალისწინებული იქნას ბავშვის ინტერესები. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1204-ე მუხლით გათვალისწინებული იყო მეორე ნაწილი (რომელიც გაუქმებულია 18.12.2007 №5624, ხოლო ამოქმედა 2008 წლის 1 მაისიდან), რომლის თანახმად სასამართლოს შეეძლო არ დაეკმაყოფილებინა მშობლის უფლება ბავშვის დაბრუნების შესახებ, თუ ეს ენინააღმდეგიბოდა შვილის ინტერესებს. მაგრამ ამ ნორმის გაუქმება არ ნიშნავს იმას, რომ განსახილველი ნორმით დადგენილი მშობლის უფლების განხორციელებისას არ უნდა იყოს გათვალისწინებული შვილის ინტერესები.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1199-ე მუხლის თანახმად, მშობლის უფლებები არ უნდა განხორციელდეს ისე, რომ ამით ზიანი მიადგეს ბავშვის ინტერესებს. ზუსტად ამ ინტერესთა და ფასეულობათა შორის ბალანსის დადგენა წარმოადგენს ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას, რაც უნდა გაითვალისწინოს და განსაზღვროს სასამართლომ. ზუსტად ამ ბალანსის უზრუნველყოფის ერთ-ერთ სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1205-ე მუხლი, რომლითაც რეგულირდება მშობლის უფლებებისა და მოვალეობების შეზღუდვის სამართლებრივი საკითხები. ამდენად, მშობლებსა და შვილებს შორის სამართლურთოერთობა განსხვავდება იმით, რომ მათი ინტერესებიდან არე, საკითხები უნდა გადაწყვდეს ამ უკანასკნელის ინტერესების გათვალისწინებით. მით უმეტეს, როდესაც საკითხი ეხება ისეთ პიკანტურ საკითხს, როგორიცაა ბიოლოგიური მშობლისთვის შვილის დაბრუნება.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1204-ე მუხლის სწორი განნარტებისათვის გასათვალისწინებულია მისი მიზანი, რომელსაც წარმოადგენს ბავშვის ინტერესების დაცვა და მხოლოდ ამ მიზნიდან გამომდინარე უნდა მიეცეს შეფასება არსებულ ურთიერთობას. ამასთან ერთად, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული არა უბრალი და ბავშვის ინტერესები, არამედ ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესები, რომლებიც გათვალისწინებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა უფლებათა კონვენციით. აღნიშნული კონვენციის ანალიზი ჩვენ გვაძლევს შესაძლებლობას დაგასკვნათ, რომ აღნიშნული დოკუმენტი მოითხოვს ბავშვთა უფლებების უზრუნველყოფას, რაშიც შეიძლება გამოვყოთ შემდეგი მმართულებები: არსებობა, განვითარება, დაცვა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფა. ზუსტად ამ პირინციპების მიხედვითაა შესაძლებელი, გამოვყოთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მხედვით ბავშვთა ჭეშმარიტი ინტერესების დაცვის შემდეგი სამართლებრივი მექანიზმები: ნორმები, რომლებიც განსაზღვრავს ბავშვის ინტერესების გათვალისწინებას ოჯახში თავისი პირადი და სხვა უფლებების რეალიზაციისას; ნორმები, რომლებიც განსაზღვრავს მშობლების მიერ თავისი უფლებებისა და ვალდებულებების რეალიზაციის წესს, რომლის შემთხვევაში კანონი იმპერატიულად ადგენს, რომ მშობლების უფლებამოსილების განხორციელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ბავშვის ინტერესებს; ნორმები, რომლებიც განსაზღვრავს ბავშვთა ინტერესების გათვალისწინებას მეურვეობისა და მზრუნველობის საქმიანობისას; ნორმები, რომლებიც მოითხოვენ ბავშვთა ინტერესების გათვალისწინებას საოჯახო-სამართლებრივი დავების დროს.

ამრიგად, პრიორიტეტული არის ბავშვთა ინტერესები, რომლის ირგვლივაც სასამართლომ უნდა მოიძოოს და შეისწავლოს ყველა ფაქტობრივი გარემოება. ამ დროს ის არ არის შეზღუდული პროცესუალურ ნორმებით, ამ მხრივ, სისტემებისა და დამატებული საქმიანობისას; ნორმები, რომლებიც მოითხოვენ ბავშვთა ინტერესების გათვალისწინებას საოჯახო-სამართლებრივი დავების დროს.

უნდა აღინიშნოს, რომ მითითებულ საქმეში განხილული სიტუაცია არ არის ჩვენს მიერ განსახილველი ურთიერთობის იდენტური. კერძოდ, გადაწყვეტილებაში აღნიშნული სიტუაცია ესება სახელმწიფოს მიერ ბავშვის სხვა ოჯახში აღსაზრდელად გადაცემას და შემდეგ მეურვეობის გაუქმებისა და ბავშვის უკან დაბრუნების საკითხს. მაგრამ მიუხედავად ამისა, გადაწყვეტილებაში გავლებული ხაზი, რომელიც ბავშვთა ინტერესების დაცვას შეეხება, არ უკავშირდება ბავშვის სხვა ოჯახში უსაფუძვლოდ ყოფნის ფორმებს. ამ შემთხვევაში, მნიშვნელობა ენიჭება ბავშვის ინტერესებს, მიუხედავად ამისა, თუ მისი სხვა ოჯახში ყოფნის რომელ უსაფუძვლო ფაქტს აქვს ადგილი. გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ ბავშვის აღსაზრდელი სხვა ოჯახში გადაცემის შემთხვევაში, გარეული დროის შემდეგ იგი ეჩვევა მას და უყალიბდება გარკვეული კავშირები, რომელთა შეწყვეტამ და მისმა უკან დაბრუნებამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს მასზე. ზუსტად ბავშვის ინტერესების დაცვა არის მთავარი, როდესაც ბავშვის დაბრუნებაზე მიდის საუბარი. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს მისი ამა თუ იმ ოჯახში ყოფნის წინაპირობების არარსებობას ან შემდეგში მათ შენეცვეტას.

ამდენად, კულტურულმა და ენობრივმა განსხვავებებმა შესაძლებელია, ნეგატიური გავლენა მოახდინოს ბავშვის ახალ ოჯახში, უცხო საზოგადოებაში ინტეგრაციაზე, რისთვისაც აუცილებელია ამ პროცესის განსაზღვრა და მისი გადაცემის შემთხვევაში, პროცესუალური უზრუნველყოფა. ამისათვის აუცილებელია სპეციალური დაწესებულებების, სპეციალისტების პროცესში მონაბილეობა და მათი დასკვნების საფუძველზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

ასევე, აუცილებელად გასათვალისწინებელია ბავშვის უფლება, გამოთქვას თავისი მოსაზრება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა უფლებათა კონვენციის მე-12 მუხლის თანახმად, მონაბილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბების უნარის მქონე ბავშვის უფლებას, თავისუფლად გამოთქვას თავისი შეხედულებები წებისმიერ საკითხზე, რომელიც მას ეხება; ამასთან, ბავშვის შეხედულებებს სათანადო ყურადღება ეთმობა მისი ასაკისა და სიმწიფის შესაბამისად. ამ მიზნით ბავშვს შესაძლებლობა ეძლევა, მოუსმინონ მას სასამართლო თუ ადმინისტრაციული წესით ნებისმიერი საქმის განხილვისას, რომელიც ეხება როგორც უშუალოდ, ასევე წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მეშვეობით.

აღნიშნული წორმის თანახმად, ბავშვს გააჩნია უფლება თავისუფლად გამოთქვას თავისი შეხედულებები იჯახში ყველა იმ საკითხზე, რომელიც ეხება მის ინტერესებს, ასევე მას უფლება აქვს მოუსმინონ სასამართლო თუ ადმინისტრაციული წესით ნებისმიერი საქმის განხილვისას, რომელიც მის ინტერესებს ეხება. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ ბავშვი არის პიროვნება და მის ინტერესებთან პირდაპირ და უშუალოდ დაკავშირებულ საკითხებზე მისი შეხედულებები აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში, მნიშვნელობა ენიჭება ბავშვის ასაკსა და სიმწიფეს.

უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს მიერ ბავშვის მოსმენის დროს უნდა გამოიკვლიონ ხომ არ ჰქონდა დაინტერესებული პირების მიერ ბავშვზე ზემოქმედებას, მისი საკუთარი ნააზრევია თუ არა, ანუ თავის ნებას გამოხატავს თუ არა. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია დაინტერესებული

## მშობლის ინტერესსა და ბავშვის ინტერესს შორის

### უნდა იქნეს დაცული

#### ბალანსი



პირების ზემოქმედების მიზანი. კერძოდ, შესაძლებელია, ბავშვი თავის ნებას გამოხატავდეს, მაგრამ ამგვარი ნების ჩამოყალიბებას საფუძვლად დაედო დაინტერესუბული პირების უარყოფითი ზემოქმედება. ამ შემთხვევაში, ადგილი აქვს არა ნაკარნახევი აზრების გადმოცემას, არამედ – საკუთარ ნებას, რომელიც ჩამოყალიბდა არარეალური წარმოდგენებით. ამ ბოლო შემთხვევაში, უფრო რთულდება ბავშვის გადაცემის პროცესი, რისთვისაც აუცილებელია სპეციალისტების დახმარება. აქედან გამომდინარე, ბავშვის ნების ჭეშმარიტების დადგენას მოჰყვება ის, რომ აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ბავშვის ნება, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ამ ნების გათვალისწინებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს ბავშვის ინტერესებს.

მაგალითად საქმეზე ომანსენ ნორვეგიის წინააღმდეგ (Eur. Court H.R. Johansen v. Norway, Judgment of 7 August 1996). სასამართლომ აღნიშნა, რომ ბავშვთან გაერთიანების შესახებ საკითხის გადაწყვეტილისას მშობლის ინტერესსა და ბავშვის ინტერესს შორის უნდა იქნეს დაცული ბალანსი. აღნიშნული ბალანსის ძიებისას სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებს ბავშვის ინტერესებს, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეს პრიორიტეტული მნიშვნელობა მშობლის ინტერესებთან მიმართებაში.

## შვილების წარმოშობის დაღგენა

ორივე მშობელს კანონით ეკისრება ვალდებულება სათანადოდ არჩინოს და აღზარდოს ყველა შვილი მიუხედავად იმისა, შვილი ქორწინებაში ეყოლა თუ მის გარეშე.

საქართველოს კანონმდებლობა იცავს ყველა ბავშვის ინტერესებს და მშობლებისა და შვილების ურთიერთ უფრება-მოვალეობებს საფუძვლად უდებს მხოლოდ შვილების წარმოშობას, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ შვილის წარმოშობა კანონით უნდა იყოს დადგენილი!



### რას გულისხმობს „კანონით დადგენილი ნესი“?

დედისგან შვილის წარმოშობა დგინდება მხოლოდ და მხოლოდ ბავშვის დაბადების ფაქტით, ანუ როცა შვილი დედას შეეძინება მშობიარობის შედეგად, კანონი მას ავტომატურად ბავშვის დედად აღიარებს.

სიტუაცია უფრო რთულია მამობის დადგენასთან დაკავშირებით. აქ, კანონი ორ სიტუაციას განასხვავდებს:

- შვილის წარმოშობის დადგენა დაქორწინებული მშობლებისგან და
- შვილის წარმოშობის დადგენა დაუქორწინებელი მშობლებისგან.

თუ მშობლები დაქორწინებული არაან, მაშინ შვილის წარმოშობა დასტურდება ჩანაწერთ მშობელთა ქორწინების შესახებ, ანუ ამ შემთხვევაში თავიდანვე იგარაუდება, რომ ბავშვის მშობლები არაან დაქორწინებული ცოლ-ქმარი. შესაბამისად, ბავშვის დაბადების მოწმობაში ჩვეულებრივ ჩაიწერებაან დაქორწინებული პირები, თუნდაც ერთ-ერთის (დედის ან მამის) განცხადებით.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბავშვი დაიბადა ქორწინებაში მყოფი მამის გარდაცვალების შემდეგ, მის მამად გარდაცვლილი პირი იქნება აღიარებული – თუკი ბავშვი დაიბადა მამის გარდაცვალებიდან არა უგვიანეს ათი თვისა.

თუკი ბავშვის დედად ან მამად ჩანაწერილი პირი არ ეთანხმება ჩანაწერს, მაშინ მას უფლება აქვს მოითხოვოს ჩანაწერის შეცვლა ან გაუქმება ერთი წლის განმავლობაში

იმ მომენტიდან, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა ან ცნობილი უნდა გამხდარიყო ჩანაწერი. თუკი ამ დროს დედად ან მამად ჩაწერილი პირი იყო არასრულნლოვანი, ეს ერთნობიანი ვადა გამოითვლება მისი თვრამეტი წლის ასაკს მიღწევიდა.

თუ მშობლები დაქორნინებულები არ არიან, მაშინ შვილის წარმოშობა დგინდება მშობლების მიერ სამოქალაქო რეესტრის სააგნიტოში ერთობლივი განცხადების შეტანით, სადაც ისინი ადასტურებენ, რომ არიან ბავშვის მშობლები. ბავშვის დაბადების მოწმობაში დედის გრაფაში ჩანაწერი კეთდება დედის განცხადებით, ხოლო მამის გრაფაში – მამის განცხადებით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით მამობის დადგენის შესახებ.

## რობორ ხლება მამობის დაღინა?

ერთმანეთან დაუქორნინებელი მშობლებისგან შვილის წარმოშობა დგინდება მშობელთა ერთობლივი განცხადებით და ბავშვის დაბადების დამადასტურებელი დოკუმენტით. მშობელთა ერთობლივი განცხადების არარსებობის ან მისი წარდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში, ბავშვის მამობა შეიძლება დადგინდეს სასამართლო წესით ერთ-ერთი მშობლის, ბავშვის მეორეს (მზრუნველის) ან იმ პირის განცხადების საფუძველზე, რომლის კმაყოფაზედაც იმყოფება ბავშვი, აგრეთვე თვით ბავშვის განცხადებით მის მიერ სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ. ამავე შუხლის მესამე ნაწილის თანახმად, ბავშვის მამობის დადგენის საკითხს სასამართლო წყვეტს

ბიოლოგიური (გენეტიკური) ან ანთროპოლოგიური გამოკვლევის შედეგების (მტკ-კოცებულებების) შესაბამისად, რომელიც შეეხება ბავშვის მამობის განსაზღვრის საკითხს.

„ქორნინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ“ ევროპული კონვენციის (მე-4 მუხლის) თანახმად, მამობის ნებაყოფლობითი აღიარება არ შეიძლება იყოს გასაჩივრებული ან ეჭვევებული, თუ შიდა კანონმდებლობა ითვალისწინებს აღნიშნულ პროცედურებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პიროვნება, რომელსაც სურს აღიაროს ან უკვე აღიარა ბავშვი, არ არის ბავშვის ბიოლოგიური მამა.

მითითებული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, ბავშვის წარმოშობის დადგენისას გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმ პირის დადგენას, ვინც პირდაპირ ბიოლოგიურ კავშირშია ბავშვთან და, შესაბამისად, არის ბავშვის მშობელი. ზემოაღნიშნული ნორმით დაცულია ბავშვის სამოქალაქო უფლება, იცოდეს თავისი წარმომავლობის, მშობლების შესახებ.

„ბავშვის უფლებათა კონვენციის“ მეორე მუხლი ადგენს თითოეული ბავშვისათვის კონვენციით გათვალისწინებული ყველა სამოქალაქო უფლების ხელმისაწვდომობას და მათ დაცვას დისკრიმინაციისაგან ნებისმიერი საფუძვლით. რაც შეეხება ქორნინების გარეშე დაბადებული ბავშვის უფლებებს, იგი დაცულია როგორც ეროვნული კანონმდებლობით – საქართველოს კონსტიტუციითა და სამოქალაქო კოდექსით, ასევე „ქორნინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ“ ევროპული კონვენციით. აღსანიშნავია, რომ ქორნინების გარეშე დაბადებული ბავშვის შემთხვევაში, სრულად გამოიყენება „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის“ მე-8 მუხლი, რომლითაც ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას. მაშასადამე, პირს აქვს იმის უფლება, მოახდინოს

იდენტიფიკაცია და მიღლოს შესაბამისი ინფორმაცია მისი პიროვნების, მათ შორის, ბიოლოგიური მშობლების შესახებ. გენეტიკური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე დგინდება ბავშვის ბიოლოგიური მამობა.

კანონმდებლობის თანახმად, სასამართლოს შეუძლია უარი თქვას ბავშვის მამობის დადგენაზე, თუ მისი დადგენა ეწინააღმდეგება ბავშვის ინტერესებს.

მამობის დადგენასთან დაკავშირებით, წლების განმავლობაში, არა ერთი სარჩელი განვითარდება სასამართლოში, თუმცა აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა ბოლო წლებში მნიშვნელოვნად შეიცვალა. სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების კვალდაკვალ კი სამოქალაქო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილება და მამობის დადგენისთვის გადამწყვეტი მტკიცებულების ძალა მიენიჭა გენეტიკური ექსპერტიზის დასკვნას.

სასამართლო წარმოებაში არსებული საჯახახო-სამართლებრივი დავების დიდი ნაწილი დღეს მოდის ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა მიმართ მამობის დადგენაზე. რეგისტრირებული ქორწინების შედეგად დაბადებული ბავშვების მიმართ არსებობს პრაქტიკული იმისა, რომ მამა მხოლოდ რეგისტრირებული მეუღლეა. სხვაგვარად არის არარეგისტრირებული ქორწინებით დადგენის საკითხი.

ადრე მოქმედი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლის შესაბამისად, მამობის დადგენისათვის დასაშვები იყო მხოლოდ ის მტკიცებულება, რომელიც ადასტურებდა ბავშვის დედისა და მოპასუხის ერთად ცხოვრებასა და საერთო მეურნეობის წარმოებას ბავშვის დაბადებამდე, ან ბავშვის ერთად აღზრდას ან რჩენას, ანდა დამამტკიცებელ საბუთს, რომელიც სავსებით ადასტურებს მოპასუხის მიერ მამობის აღიარებას. აღნიშნული ჩანაწერით კანონმდებელს შემთხვევით არ გამორჩენია ბიოლოგიური

მამობის დროს მისი დადგენა დნმ ექსპერტიზით. კანონმდებელი უარს აცხადებდა შემთხვევითი კავშირების შედეგად დაბადებული და არასასურველი ბავშვების მიმართ ბიოლოგიური მამობის დადგენაზე, რაც ეწინააღმდეგებოდა ბავშვთა უფლებების ევროპულ კონვენციას, ადამიანის უფლებათა კონვენციას და ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ კონვენციას, რომლის თანახმადაც ბავშვს უფლება აქვს იცოდეს ვინ არის მისი მამა და მამობის დადგენასთან დაკავშირებულ მოქმედებაში დავვებული უნდა იყოს მეცნიერული მტკიცებულებები, რომლებსაც ძალუძა ხელი შეუწყონ მამობის დადგენას ან უარყოფას.

შესაძლოა, მამობის დადგენა ბევრი ადამიანისთვის ლეგიტიმურობის სტატუსის შენარჩუნების გამო გამოწვეული ინტერესი იყოს. ბევრი ბავშვი შეიძლება შეანუხოს იმ ვითარებამ, რომ მისი დედა არაა დაქორწინებული და შესაბამისად არაა აღიარებული შეიძლად მამის მხრიდან და არ ატარებს მამის გვარს. ასეთ შემთხვევაში, ბავშვი საჭიროებს პროტექციას კანონის მხრიდან, რათა არ შეიზღუდოს მისი საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესი. შედეგად, დედაც აიცილებს ოჯახურ ზენოლას არალეგიტიმური ბავშვის გაზრდისთვის, ბავშვიც ბედნიერი იქნება და არ ექნება ადგილი ისეთ მდგომარეობას როდესაც დედები ბავშვით ხელში რჩებან, აღარ იქნება შიში იმისა, რომ ქალმა დამალოს, გააშვილოს ან მოკლას შეიღო მხოლოდ იმიტომ, რომ ის მისი ოჯახისთვის მოუღებელი იქნება როგორც არალეგიტიმური. გარდა ამისა, დედას არც ფინანსურად გაუჭირდება თუ დადგენილი იქნება სიმართლე მამის შესახ-

## გენეტიკური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე დგინდება

### ბავშვის ბიოლოგიური მამობა.




ებ, რომელიც კანონით მაინც შეასრულებს თავის მოვალეობას და უზრუნველყოფს შეიღს გვარით და ფინანსურად. თუ რა ურთიერთობას დაამყარებს ის ბავშვის დედასთან, ეს არანაირად არ უნდა ჩრდილავდეს ბავშვის უფლებებს. განსხვავებით საქართველოსგან, ევროპული კანონმდებლობით გათვალისწინებულია თუ რა შედის ბავშვის ინტერესებში, შედის თუ არა მის ინტერესებში საერთოდ იცოდეს ვინაა ბიოლოგიური მამა მხოლოდ იმიტომ, რომ მის დედას ემუქრება საშძროება ოჯახის წევრებისგან, იგივე ფინანსური კრიზისი, რის შედეგადაც დედა შესაძლოა ქუჩაში აღმოჩნდეს. გენეტიკური ექსპერტიზა იმ შემთხვევაში იქნება ნებადართული, თუ დამტკიცდება რომ ეს არ არის ბავშვის სურვილებისა და მოთხოვნების წინააღმდეგ, რის შედეგადაც სასამართლო დგას ორ უკიდურესობაში – ერთის მხრივ ის, რომ ბავშვის გენეტიკურ და მის ბიოლოგიურ ნარმომავლობას დიდი ყურადღება ეთმობა და მეორე მხრივ, თუ რა შედეგი მოჰყვება სიმართლის გამოვლენას.

გენეტიკური ექსპერტიზის აუცილებლობა გაზარდა ადამიანის უფლებების აქტმა, 1998. „იკული-ეი ხორვატიის წინააღმდეგ“ საქმეში ევროპის სასამართლომ ადამიანის უფლებების დარღვევი მეაფიოდ აღნიშნა რომ ბავშვის ყველანაირი უფლება აქვთ იცოდეს ბიოლოგიური მშობლების ვინაობა და ეს მისი პირადი ცხოვრების ნაწილია, რაც დაცული უნდა იქნას ევროპის კონვენციის მე-8 მუხლის მიხედვით. მე-8 მუხლი ითვალისწინებს პირადი ცხოვრების დაფასებას და პატივისცემას, მაგრამ კონტრასტულ პრეცენდენტში „ოუსეფ – პოლანდის წინააღმდეგ“ საქმეში, სასამართლომ აღნიშნა: მიუხედავად იმისა, რომ მამას დამყარებული ქონდა ურთიერთობა შვილთან, ოფიციალური დამტკიცება იმისა, რომ ის იყო ბიოლოგიური მამა, არ შედიოდა ბავშვის ინტერესებში. ამ პრეცენდენტმა კრიტიკა დაიმსახურა და აღნიშნა, რომ ბავშვის ინტერესი განსხვავდება ბავშვის უფლებისგან და მამის ვინაობის დადგენაში ხელის შეშლა მისი უფლების დარღვევა. ბავშვის უფლებებისა და ინტერესების გათვალისწინება ხდება იმ შემთხვევაშიც, თუ მამა უარს ამბობს გენეტიკური ანალიზის ჩატარებაზე. ამ შემთხვევაში, მამაზე ვრცელდება პრეზუმუცია და ბავშვის უფლებებიდან გამომდინარე, იქნება მოთხოვნა გენეტიკურ ექსპერტიზაზე. თუ მამა უარს იტყვის, მაშინ ის ავტომატურად ცხადდება ბიოლოგიურ მამად ბავშვის უფლებების დაცვის კონვენციიდან გამომდინარე.

საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში 2005-2006 წლამდე არსებულ გადაწყვეტილებებში სასამართლო უარს აცახადებდა გენეტიკური ექსპერტიზის დანიშნვაზე. მას შემდეგ, რაც სასამართლო პრეცენდენტი დნმ ანალიზის მიხედვით მამობის დადგენაზე დაიმშვა, ამ კატეგორიის დავიმბა უკვე მოიმატა. როგორც აღვინიშნეთ, ბავშვის უფლებებისა და ინტერესების გათვალისწინება უნდა მოხდეს იმ შემთხვევაშიც, თუ მამა უარს ამბობს გენეტიკური ანალიზის ჩატარებაზე. ასეთ დროს მამაზე ვრცელდება პრეზუმუცია და ბავშვის უფლებებიდან გამომდინარე იქნება გენეტიკურ ექსპერტიზაზე და ავტომატურად ცხადდება ბიოლოგიურ მამად.

მარტოხელა დედა, რომელიც სასამართლოს მიმართავს მამობის დადგენის მოთხოვნით, ბშირ შემთხვევაში არა მარტო საზოგადოებისა და მისი შვილის მამისაგან, არამედ საქუთარი ოჯახისა და მშობლებისაგანაც კი უარყოფილია.



ზოგადოების ლირსეულ წევრად აღზრდაც. მამობის დადგენის დროს, მშობელს – მამას დაეკისრება საალიმენტო ვალდებულება და ბავშვის რჩენა მხოლოდ დედის მხრებზე არ გადავა, ბავშვს ექნება მემკვიდრეობის მიღებისა უფლებაც. შესაბამისად, ყველა ქონებრივი შედეგი მხოლოდ სამართლებრივი სტატუსის მოპოვების შემდეგ მიღება, რაც რა თქმა უნდა, არანაკლებ მნიშვნელოვანია.

სასამართლო პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები, როცა დედა ქონებრივ პრივილეგიებზე უარს მხოლოდ იმიტომ აცხადებდა, რომ მის შვილს არ ჰქონოდა უკანონო ბავშვის სტატუსი. კანონი ითვალისწინებს, რომ მამობის დადგრინის დროს უმთავრესი ბავშვის ინტერესება, ბავშვს უფლება აქვს იცოდეს, ვინ არის მისი მამა, დედაც არ უნდა ზრუნავდეს მარტო შვილის რჩენა-აღზრდაზე, მაგრამ მამობის დადგენად და სიმართლის გაგებამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს მასზე, ამიტომ ბავშვის ასაკის, ფსიქოლოგიური თუ ემოციური განხწყობის გამო, მამობის დადგენა ზოგჯერ, შესაძლოა, არც შედიოდეს ბავშვის ინტერესებში. ამ ორ ლირებულებას შორის კანონმა არჩევნი აუცილებლად ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე უნდა გააკეთოს.

შესაძლოა, ადგილა ჰქონდეს ისეთ შემთხვევებსაც, როცა სამედიცინო ბიოლოგიური ექსპერტიზის ჩატარება შეუძლებელია, მაგალითად არ არის მამა ცოცხალი და ასევე ცხედარიც არ არსებობს, არ არიან პირდაპირი ნათესავები, ვისზედაც შესაძლებელი იქნება ექსპერტიზის ჩატარება. ასეთ დროს, კანონით სასამართლო მხედველობაში იღებს ბავშვის დედისა და მოპასუხის ერთად ცხოვრებასა და საერთო მეურნეობის ნარჩოებას ბავშვის დაბადებამდე, ან ბავშვის ერთად აღზრდას ან რჩენას, ანდა დამამტკიცებელ საბუთს, რომელიც საგვებით ადასტურებს მოპასუხის მიერ მამობის აღიარებას. მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, კანონი დაუქორწინებელი მშობლებისაგან შეილის ნარმოშობის დასადგენად საკმარისად მიიჩნევს მითითებულ გარემოებათაგან ერთ-ერთის არსებობას იმ შემთხვევაში, როცა ზემოაღნიშნულ საბატიო მიზეზთა გამო შეუძლებელია ექსპერტიზის ჩატარება.

არსებობს შემთხვევები, როდესაც მამა აღიარებს თავს ბავშვის მამად და ნებაყოფლობით იწერება შესაბამის დოკუმენტებში. როდესაც მამობის აღიარება ნებაყოფლობით არ ხდება, დგინდება სასამართლოს საშუალებით.

როცა მამა თავის სურვილით არ თანხმდება მამობის აღიარებაზე, სასამართლოსადმი მიმართვის უფლება აქვს: ა) დედას; ბ) ბავშვის მეურვეს (მზრუნველს); გ) იმ პირს, რომლის კავშირიაზეც იმყოფება ბავშვი და დ) თვითონ ბავშვს, მის მიერ სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ახლახან დაამთავრა საქართველოს წინააღმდეგ შეტანილი განაცხადის განხილვა, რომელიც სწორედ მამობის დადგენას ეხებოდა. ეროვნულმა სასამართლოებმა უარი უთხრეს მოსარჩელეს სარჩელის დაკავყილებაზე და მამობის დადგენაზე მიუხედავად იმისა, რომ საქმეში იყო ექსპერტიზის დასკვნა მამობის შესახებ, თუმცა სასამართლომ იმ დროს მოქმედი კანონის შესაბამისად, შეუძლებლად მიიჩნია ამ დასკვნის გამოყენება და ამის საფუძველზე სარჩელის დაკავყილება. ამ საქმეში მითითებულია: „მთავრობა აღიარებს, რომ სამოქალაქო კოდექსში არსებულმა ხარვეზებმა არ მისცა საშუალება მომჩინეობის სრულად ესარგებლა თავისი უფლებებით, რომელსაც კონვენციის მერვე მუხლი ითვალისწინებს“. საქართველოს სახელმწიფოსა და მომჩინეობის შორის შედეგა მეგობრული შეთანხმება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, მოსარჩელეს უფლება მიეცა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის თანახმად, საქართველოს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ხელახლი გადასინჯვა მოითხოვოს. (ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს გადაწყვეტილება საჩივარი №60596/09 2012 წლის 11 დეკემბერი).

## ბავშვის მიზოვებულად აღიარება

სამწუხაროდ, ხშირია ფაქტები, როდესაც ორივე მშობელი უარს აცხადებს ბავშვზე და მას ბეჭის ანაპარად ტოვებს, რაც დაუშეგებელია არა მხოლოდ ადამიანური თვალსაზრისით, არამედ შესაძლოა, ასეთმა მოქმედებამ ზოგიერთ შემთხვევაში, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობაც კი გამოიწვიოს.

ქუჩაში ან სხვაგან მიტოვებული ბავშვის პოვნის შემთხვევაში, გაითვალისწინეთ, რომ ასეთი ბავშვის უპირველეს ინტერესებშია მისი სამართლებრივი სტატუსის სწორად განსაზღვრა.

ამისათვის კი, პირველ რიგში, საჭიროა მიმართოთ სამართალდამცავ ორგანოებს, რომლებმაც უნდა მიიღონ სათანადო ზომები ბავშვის ან/და მისი მშობლების ვინაობის დასაღვენად. ამის შემდგომ, ბავშვის მიტოვებულად აღიარება ხდება სასამართლოს გადაწყვეტილებით იმ შემთხვევებში თუ:

- ნაპოვნი ბავშვის აღმოჩენიდან 6 კვირის ვადაში შესაბამისმა ორგანოებმა ვერ დაადგინეს ბავშვის ან/და მისი მშობლების ვინაობა;
- დადგინდე ბავშვის ან/და მისი მშობლების ვინაობა, მაგრამ ვერ ხერხდება მათთან დაკავშირება ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოში წარდგენა ან მათთან სხვაგვარად დაკავშირება ან/და ისინი თავს არიდებენ მშობლის მოვალეობების შესრულებას და უფლებების განხორციელებას;
- მშობლებმა განაცხადეს ბავშვის მიტოვების თაობაზე ან თავს არიდებენ მშობლის უფლება-მოვალეობების განხორციელებას მიუხედავად იმისა, რომ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ მათ შესთავაზა გარკვეული ღონისძიებების (პრევენციის ან რეინტეგრაციის მიზნით) გატარება;

## შვილის სახელისა და გვარის განსაზღვრა

თუ ბავშვი ათ წელზე მეტი ხნისაა,  
გვარის შეცლისთვის საჭიროა მისი თანხმობაც.



შვილს სახელს არქმევენ მშობლები ურთიერთშეთანხმებით, ხოლო გვარი განისაზღვრება მშობლების გვარის მიხედვით. თუ მშობლებს საერთო გვარი არ აქვთ, შვილს მიეკუთვნება დედის ან მამის გვარი, ან შეერთებული გვარი მშობლების შეთანხმებით. მშობლებს შორის ქორწინების შეწყვეტა არ ინვეს შვილის გვარის გამოცვლას. თუკი ქორწინება შეწყდა ან ბათილად იქნა ცნობილი, მშობელს რომელთანაც არასრულწლოვანი შვილი დარჩა საცხოვრებლად, უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს შვილისათვის თავისი გვარის მიკუთვნება. თუ ბავშვი ათ წელზე მეტი ხნისაა, გვარის შეცლისთვის საჭიროა მისი თანხმობაც.

## მომზადებულის უფლება-ოთვალიერების შეზღუდვა, შეჩერება და ჩამორთხვა

მშობელი შვილის კანონიერი წარმომადგენელია. ეს იმას ნიშნავს, რომ მშობელი ვალდებულია, დაიცვას შვილის ინტერესები, იზრუნოს მისი ფიზიკური, გონებრივი,

სულიერი და სოციალური განვითარებისათვის; იგი ვალდებულია არჩინოს შეილი, სანამ იგი არასრულწლოვანი (სრულწლოვანება 18 წლის ასაკიდან წარმოიშობა) და შესაბამისად, შრომისუუნაროა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ არასრულწლოვანს საკუთარი შრომით აქვს შემოსავალი (არასრულწლოვნის შრომის უფლება წარმოიშობა 16 წლის ასაკიდან მშობლის თანხმობით, 14-დან 16 წლის ასაკის არასრულწლოვანი შესაძლოა დასაქმდეს მხოლოდ ჟულტურის ან განათლების სფეროებთან დაკავშირებულ ან სარეკლამო სამუშაოზე), მშობელი მისი რჩენის ვალდებულებისაგან არ თვისუფლდება.

საოჯახო დავები, განსაკუთრებით როდესაც საქმე ბავშვებს ეხება, როგორც წესი, ძალიან რთულია. ერთი მხრივ, სახეზე მშობელი, რომელიც ვერ არ ასრულებს საკუთარ მოვალეობებს და ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით, საჭიროა მისი ჩამოშორება ოჯახისგან და ბავშვთა სახლში გადაყვანა; მეორე მხრივ კი ბავშვები, რომელთაც შესაძლოა, სრულიადაც არ სურდეთ მშობელთან განშორება. კანონი ითვალისწინებს გარკვეულ ზომებს, ე.წ “სანქციებს” იმ მშობლების წინააღმდეგ, რომლებიც სათანადოდ არ ზრუნველ ბავშვის რჩებასა და აღზრდაზე.

თუმცა, გახსოვდეთ, რომ სასამართლოს გარდა, არავის აქს უფლება შეზღუდოს მშობლის უფლება! მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება მოხდეს ერთი ან რამდენიმე უფლება-მოვალეობის შეზღუდვა.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, მშობლის უფლება-მოვალეობები შეიძლება დროებით შეჩერდეს ან საერთოდ ჩამოერთვას.

მშობლის უფლება იყოს ბავშვის წარმომადგენელი, სასამართლოს მიერ შეიძლება შეჩერდეს, თუკი განიხილება დავა მშობლებს შორის ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის ან მისი აღზრდის სხვა საკითხებზე, ან დავა მშობლებსა და შვილს შორის – მშობლის მოვალეობების არასათანადოდ შესრულებასთან დაკავშირებით.

მშობლის უფლება-მოვალეობები შეჩერებულად ჩაითვლება სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშეც, თუკი ნაპონია ბავშვი, რომლის ვინაობა ან მშობლების ვინაობა ან მათი ადგილას მყოფელი უცნობია. ამ შემთხვევაში, შეჩერება ძალაშია მანამ, სანამ დადგინდება ბავშვის ან მისი მშობლების ვინაობა და ბავშვი დაუბრუნდება ოჯახს; ან დადგინდება მშობლების ვინაობა, რომლებიც თავს არიდებენ მშობლის მოვალეობის განხორციელებას და სასამართლო შეუზღუდავს მათ უფლება -მოვალეობებს ან ბავშვს აღიარებს მიტოვებულად. ბავშვის მიტოვებულად აღიარების დროს, სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება მშობლის უფლებებს ჩამორთმევის შესახებ.

მშობლის უფლების ჩამორთმევა არის უკიდურესი ზომა და ყველაზე მძიმე საჯელი, რაც შეიძლება მშობლის მიმართ იყოს გამოყენებული, ვინაიდან მშობლის უფლების ჩამორთმევით მშობელი კარგავს ყველანაირ უფლებას თავის შეილზე.

ეს ზომა შეიძლება გამოყენებული იყოს ისეთი მშობლის მიმართ, რომელიც სისტემატურად თავს არიდებს მშობლის მოვალეობების შესრულებას და არაჯეროვნად იყენებს მშობლის უფლებებს – ბავშვს უხეშად ექცევა, მასზე უარყოფით გალენის ახდენს ამორალური საქციელით, ან რომელიც ქრონიკული ალვიროლიკი ან ნარკომანია, ანდა რომელმაც ბავშვი ჩააბა ანგისაზოგადოებრივ ქმედებაში ან რომლის შვილიც მიტოვებულადა აღიარებული.

## ანტისაზოგადოებრივი



**ქმედება –**  
ქმედება, რომელიც ენინააღმდეგება საზოგადოებაში დამკვიდრებულ ზნეობისა და ეთიკის ნორმებს, მაგალითად, პროსტიტუცია, გამაბრუნებული ან სამკურნალო საშუალებების უკანონო მოხმარება, მათხოვ-რობა, მანანნალობა და სხვ.



მშობლის უფლების ჩამორთმევის საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა. ამ კუთხით განვიხილოთ ერთ-ერთი საქმე, სადაც მოსარჩელემ მოითხოვა არასრულწლოვანი ბავშვის დედისთვის დედობის უფლების ჩამორთმევა.

აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ აღნიშნა, რომ კანონმდებლობა მშობლის უფლების ჩამორთმევას უკანასკნელ ზომად მიიჩნევს, რის შესახებაც გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანიზაციის 14 წლის ასაკს მიღწეული ბავშვის ინიციატივით. სასამართლომ აღნიშნულ საქმეზე ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ კანონმდებლობით ზუსტად არის დადგენილი გარემოებები, რომელთა საჯუსტელზეც დასაშვებია მშობლის უფლების ჩამორთმევა. მშობლის მიმართ ასეთი ლონისძიების გამოყენებისას უტყუარად უნდა დადგინდეს კანონით გათვალისწინებული რომელიმე პირობის არსებობა. აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ მიიჩნია, რომ არ დგინდებოდა კანონით გათვალისწინებული არც ერთი გარემოება, რაც საფუძვლად შეიძლებოდა დადებოდა მშობლის უფლების ჩამორთმევას. კერძოდ, კანონმდებელი მშობლის უფლების ჩამორთმევას უკიდურეს ლონისძიებად მიიჩნევს და უკავშირებს ერთდროულად რამდენიმე პირობის არსებობას, რაც გამოიხატება მშობლის მიერ მშობლის მოვალეობის შესრულებისაგან სისტემატურად თავის არიდებაში, მშობლის უფლების არაჯეროვნად გამოყენებაში, ბავშვისადმი უდირ დამოკიდებულებაში, მშობლის ამორალური საქციელით ბავშვზე უარყოფითი ზეგავლენის ქვემ ყოფნაში. რაც მოცემულ შემთხვევაში არ დგინდება.

მშობლის უფლებაჩამორთმებული პირი კარგავს ნათესაობაზე დამყრებულ ყველა უფლებას იმ შვილთან ურთიერთობაში, რომლის მიმართაც მას ჩამორთმებული აქვს მშობლის უფლება-მოვალეობა. ამის საწინააღმდეგოდ, შვილი, რომლის მშობლელსაც ჩამოერთვა მშობლის უფლება, ინარჩუნებს ამ მშობლის მიმართ ნათესაობიდან გამომდინარე ქონებრივ უფლებებს, მათ შორის, მემკვიდრეობის მიღების უფლებას. ეს გულისხმობის იმას, რომ მაგალითად, თუკი დედას ჩამოერთვა მშობლის უფლება მისი შვილის მიმართ, დედა დაკარგავს მის მიმართ ყველანაირ უფლებას, მათ შორის უფლებას მიიღოს შვილის მემკვიდრეობა მისი გარდაცვალების შემთხვევაში, მაგრამ შვილი შეინარჩუნებს დედის მიმართ მანამდე არსებულ ქონებრივ უფლებებს, და დედის გარდაცვალების შემთხვევაში, ჩვეულებრივ მიიღებს მის დატოვებულ ქონებს.

მშობლის უფლებები და მოვალეობები შეიძლება აღდგეს თუკი აღმოიფხვრება ის საფუძველი, რომლის გამოც მოხდა მშობლის უფლების ჩამორთმევა. მაგალითად, თუკი ვ-ს ჩამოერთვა მშობლის უფლება იმის გამო, რომ იგი სისტემატურად ბოროტად იყენებდა ალკოჰოლს, უხეშად ექცევიდა შვილს და არ ზრუნავდა მის აღზრდა-განვითარებაზე, მაგრამ რამდენიმე წლის გასვლის შემდეგ მან თავი დაანება ალკოჰოლის მოხმარებას და სრულიად გამოსწორდა, შესაძლოა სასამართლომ აღადგინოს მისი, როგორც მშობლის ისე ბავშვის ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ინიციატივით.

მშობლის უფლებებისა და მოვალეობების აღდგენისას სასამართლო ითვალისწინებს ბავშვის სურვილსაც, თუ მას შეუსრულდა ათი წელი.

მშობლის უფლება-მოვალეობების აღდგენა არ დაიშვება იმ ბავშვის მიმართ, რომელიც სხვამ იშვილა.

## მშობლების საალიგენტო უფლება-მოვალეობები შვილების მიმართ

მშობლები, როგორც ქორნინების განმავლობაში, ისე ქორნინების შეწყვეტის შემდეგ, მოვალენი არიან არჩინონ თავიანი არასრულნებოდნენ და ასევე, სრულნებოდნენ მაგრამ შრომისუნარო შვილები, რისთვისაც ყოველთვიურად უნდა გაიღონ გარკვეული ფულადი თანხა – სარჩი (ალიმენტი). ალიმენტის იღენობა განისაზღვრება იმ თანხით, რომელიც საჭიროა ბავშვის ნორმალური რჩენა -აღზრდისთვის და მას მშობლები თავად განსაზღვრავენ, როგორც საკუთარი, ისე შვილის რეალური მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით, მაგრამ თუკი მშობლები ვერ შე-თანხმდნენ, მაშინ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო.

გარდა ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო ხარჯებისა, რისთვისაცაა ალიმენტი განკუთვნილი, მშობელს შეიძლება ასევე დაეკისროს დამატებით ხარჯებშიც მონანილეობაც, რომელიც გამოწვეულია განსაკუთრებული გარემოებებით, მაგალითად ბავშვის მძიმე ავადმყოფობით, დასახირებით და სხვა.

**საყურადღებოა:** თუკი მშობლები ვერ შეთანხმდნენ ალიმენტის გადახდის საკითხზე და დავა წარმართა სასამართლოში, სასამართლომ მანამდეც კი შეიძლება დააკისროს მშობელს ალიმენტის გადახდა, სანამ დავა საბოლოოდ გადაწყდება – ანუ საქმის განხილვის განმავლობაში, რასაც შეიძლება რამდენიმე თვე დაფრდეს, სასამართლოს უფლება აქვს მიიღოს განჩინება, რომლითაც მშობელს – თუკი პირი ასეთად არის რეგისტრირებული სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში – დაეკისრება დავის დასრულებამდე შვილის შესანახი სახსრების გადახდა.

ერთადერთი გამონაკლისი, როცა შეიღო შეიძლება გათავისუფლდეს მშობლის რჩენის მოვალეობისგან, არის შემთხვევა, როდესაც სასამართლო დაადგენს, რომ მშობლები თავს არიდებდნენ მშობლის მოვალეობის შესრულებას. და ბუნებრივია, მშობლის უფლებაჩამორთმეული პირიც კარგავს შვილისგან ალიმენტის მოთხოვნის უფლებას.

ერთხელ უკვე დადგენილი ალიმენტის ოდენობა შეიძლება შეიცვალოს – შემცირდეს ან გაიზარდოს დაინტერესებული პირის მოთხოვნით, თუკი შეციცლება მშობლების ან შვილების მატერიალური თუ ოჯახური მდგომარეობა.

## ოჯახის სხვა წევრების საალიგენტო მოვალეობანი

გარდა მშობლებისა და შვილებისა, ოჯახის სხვა წევრებსაც აკისრიათ ვალდებულება არჩინონ ერთმანეთი საჭიროების შემთხვევაში. ერთ-

**გახსოვდეთ,** მხოლოდ მშობლებს კი არ ეკისრებათ თავიანთი არასრულნებოდნენ ან შრომისუნარო შვილების რჩენის მოვალეობა, არამედ, სრულნებოვანების მიღწევის შემდეგ, შვილებიც ვალდებული არიან არჩინონ თავიანთი შრომისუნარო მშობლები, რომლებიც დახმარებას საჭიროების შემთხვევაში შეიძლება შეიცვალეა, ყოველთვიურად გაიღოს სათანადო სახსრები უმწეო მშობლის სარჩენად და მონანილეობა მიიღოს დამატებით ხარჯებშიც.

მანეთის რჩენის ვალდებულება აკისრიათ და-ძმებს, პაპა-ბებიასა და შვილიშვილებს და მამინაცვალ-დედინაცვალსა და გერებს.

და-ძმა, რომელსაც საქმაო სახსრები აქვთ, მოვალენი არიან არჩინონ თავიანთი არასრულნლოვანი ან შრომისუუნარო და-ძმა, თუკი ისინი ვერ იღებენ დახმარებას მშობლებისგან. ასევე, პაპა-ბებიაც მოვალეა არჩინოს თავისი არასრულნლოვანი ან შრომისუუნარო შვილიშვილები საჭიროების შემთხვევაში და თავის მხრივ, საქმაო სახსრების მქონე შვილიშვილებიც ვალდებული არიან არჩინონ პაპა-ბებია, თუკი ისინი დახმარებას საჭიროებრნ.

და ბოლოს, მამინაცვალი და დედინაცვალი ვალდებულია არჩინოს გერი და გერ-იც ვალდებულია არჩინოს მამინაცვალ-დედინაცვალი, თუკი ისინი ადრე ზრდიდნენ ან არჩენდნენ მას.

## ალიგეტის გაანგარიშებისა და გადახლის წესი

როგორც წესი, ალიმენტის გადახდა ხდება ნებაყოფლობით, თუმცა შესაძლოა, ალიმენტი მოთხოვნილ იქნას სასამართლოს მეშვეობითაც.

**გახსოვდეთ:** თუკი სასამართლოს მიმთხოვთ დააკისროს ამა თუ იმ პირს ალიმენტის გადახდა – თქვენ გათავისუფლებული ხართ სასამართლო ხარჯების გადახდისგან. ასევე, სასამართლო ვალდებულია, თქვენი მოთხოვნა განიხილოს სხვა სარჩელებთან შედარებით უფრო სწრაფად, კერძოდ კი, 1 თვის ვადაში.

თუკი ალიმენტის გადამხდელი სადმე დასაქმებულია, მაშინ მისი დამსაქმებელი ყოველთვიურად უკავებს მას ხელფასიდან (პენსიოდან, დახმარებიდან და სხვა) ალიმენტის და უხდის ან უგზავნის მას ალიმენტის მიმღებს თვითონ ალიმენტის გადამხდელის წერილობითი განცხადების ან საალსრულებო ფურცლის საფუძველზე.

ალიმენტის მოთხოვნა შეიძლება ნებისმიერ დროს, სანამ ალიმენტის მოთხოვნის უფლება არსებობს, მაგრამ მისი გადახდის დაკისრება ხდება მხოლოდ მომავალი დროისათვის. მაგალითად, თუკი თქვენი შვილის სასარგებლოდ მისი მამისგან ითხოვთ ალიმენტს მაშინ,

**საალსრულებო ფურცელი**  
– ალმასრულებლის  
მიერ გაცემული  
დოკუმენტი, რომლის  
საფუძველზეც ხდება  
სასამართლოს  
გადაწყვეტილების  
ალსრულება



როდესაც ბავშვი უკვე 9 წლისაა, მამას კი ალიმენტი ამ დრომდე არ გადაუხდია, თქვენ არ გაქვთ უფლება ალიმენტის გადახდა მოითხოვოთ გასული 9 წლისთვის და შეგიძლიათ ალიმენტი მოითხოვოთ მხოლოდ მომავალი დროისათვის – რაც გულისხმობს, ალიმენტის გადახდის დაკისრებას სარჩელის ალდვრის მომენტიდან მანამდე, სანამ ბავშვს 18 წლით არ შეუსრულდება.

მაგრამ ამ წესიდან არსებობს ერთი გამონაკლისი – წარსული დროის ალიმენტის გადახდა შეიძლება დაკისროს 3 წლის ფარგლებში, თუ სასამართლო დაადგენს, რომ სარჩელის წარდგენამდე მიღებული იყო ზომები სარჩოს მისაღებად (მაგალითად, ალიმენტის მიმღები სისტემატიკურად ითხოვდა ალიმენტს), მაგრამ ვალდებული პირი თავს არიდებდა მის გადახდას.

ალიმენტის დავალიანება განისაზღვრება მოვალის მიერ იმ პერიოდში მიღებული ხელფასიდან ან სხვა შემოსავლიდან, რომლის განმავლობაშიც არ მომხდარა გადახდევინება. მაგალითად, თუკი გასული 3 წლის განმავლობაში მოვალის საშუალო ხელფასი იყო 500 ლარი, ალიმენტის დავალიანება ამ 3 წლისთვის სწორედ 500 ლარიდან იქნება დაანგარიშებული.

ალიმენტის გადახდისგან განთავისუფლება ან დაგალიანების შემცირება შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით. დავალიანების გადახდისგან

მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლება სასამართლოს შეუძლია იმ შემთხვევაში თუ დაადგენს, რომ ალიმენტის გადაუხდელობა გამოწვეული იყო ალიმენტის გადახდაზე პასუხისმგებელი პირის ავადმყოფობით ან სხვა საპატიო მიზეზით.

საყურადღებოა, რომ თუკი პირს სასამართლო დააკისრებს ალიმენტის გადახდას, ის კი კვლავ ჯიუტად თავს არიდებს ამ მოვალეობის შესრულებას, შეიძლება მას ამისათვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობაც კი დაეკისროს, ჯარიმის, გამასწორებელი სამუშაოს ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სახით.

## მეურვეობა და მზრუნველობა

საოჯახო სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტია მეურვეობა და მზრუნველობა.

რას ნიშნავს ეს ცნებები?

საქართველოს კანონმდებლობა ყოველ პირს ანიჭებს გარკვეულ უფლებებსა და მოვალეობებს (რასაც უფლებაუნარიანობა ეწოდება), თუმცა ამავე დროს ადგენს, რომ ყველა პირს ყველა ასაკში არ შეუძლია ან სრულად არ შეუძლია ისარგებლოს მისი უფლებებითა და მოვალეობებით (საკუთარი უფლებების და მოვალეობების განხორციელების შესაძლებლობას კანონი ქმედუნარიანობას უწოდებს), იმის გამო, რომ მისი ფისიკური ან/და გონიერობი მდგომარეობა არ იძლევა საკუთარი ქმედებების და მათი შედეგის სრულად გაცნობიერების საშუალებას. შესაბამისად, გარკვეული კატეგორიის პირებს კანონი უზღუდავს ან საერთოდ ართმევს ქმედუნარიანობას მისი ასაკის ან ფისიკური მდგომარეობის გამო.

ის პირები, რომელთაც კანონი საერთოდ ქმედუნაროდ მიიჩნევს, არიან: 7 წლამდე ასაკის ბავშვები და ასევე, ჭკუასუსტები ან სულით ავადმყოფი პირები, რომლებიც სასამართლომ ქმედუნარობა აღიარა.

რაც შეეხება 7-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნებს – ისინი შეზღუდულ ქმედუნარიანად მიიჩნევინ, ანუ მათ ზოგადად აქვთ საკუთარი უფლება-მოვალეობების განხორციელების შესაძლებლობა, მაგრამ როგორც წესი, ამისათვის საჭიროებენ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობას.

შეზღუდულ ქმედუნარიანად შეიძლება სასამართლომ სრულწლოვანი პირიც კი აღიაროს იმ შემთხვევაში, თუ ეს პირი ბოროტად იყენებს ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს და ამით თავის ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს.

სწორედ ქმედუნარო და შეზღუდულ ქმედუნარიანი პირების ინტერესების დასაცავად შემოილო კანონმდებელმა მეურვეობისა და მზრუნველობის ინსტიტუტი, ვინაიდან როგორც ზემოთ

აღვნიშნეთ, ამ პირებს გარკვეული შესაძლებლობის შეზღუდვის მიუხედავად, მაინც გააჩნიათ უფლებები და მოვალეობები, და რადგან თვითონ ვერ ახორციელებენ ამ უფლება-მოვალეობებს, ჭირდებათ პირი, რომლის მეშვეობითაც მოახდენენ საკუთარი კანონიერი ინტერესების დაცვას.

მეურვე და მზრუნველი არიან ის პირები, რომელთა მეშვეობითაც ხდება ქმედუნარო და შეზღუდულ ქმედუნარიანი პირების უფლება-მოვალეობების განხორციელება.



**მეურვე – ეწოდება ქმედუნარო პირის კანონიერ წარმომადგენელს.**



**მზრუნველი კი – შეზღუდულ ქმედუნარიანი პირის წარმომადგენელს.**



როგორც უკვე აღვნიშნეთ, მშობლები რამე სპეციალური გადაწყვეტილების მიღების გარეშე, ავტომატურად ითვლებიან თავიანთი შვილების კანონიერ წარმომადგენლებად, მაგრამ რა ხდება იმ დროს თუ ბავშვი მშობლების მზრუნველობის გარეშეა დარჩენილი მშობლების გარდაცვალების, მშობლის უფლების ჩამორთმების ან სხვა რამე მიზეზის გამო?

ასეთ შემთხვევებში მეურვეს ან მზრუნველს ნიშნავს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, რომელიც როგორც ზემოთ განვმარტეთ, არის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სისტემაში შემავალი დაწესებულება და მისი ტერიტორიული ორგანიზები.

#### **ბავშვისთვის მეურვის ან მზრუნველის დანიშნა ხდება მაშინ, როცა:**

- ბავშვის მშობლებს ჩამოერთმევათ, შეეზღუდებათ ან შეუჩერდებათ მშობლის უფლება-მოვალეობები;
- გარდაცვლილია ბავშვის ორივე მშობლი;
- სასამართლო ბავშვს მიტოვებულად აღიარებს;
- მშობლები ქმედუნაროდ ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად არიან აღიარებულები.

მეურვე ენიშნება ასევე იმ სრულწლოვან პირს, რომელიც სასამართლომ აღიარა ქმედუნაროდ, ხოლო მზრუნველი იმ პირს, რომელსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დამოუკიდებლად დაიცვას თავისი უფლებები და შეასრულოს თავისი მოვალეობები.

მეურვე ან მზრუნველი შეიძლება იყოს როგორც სამეურვეო ან სამზრუნველო პირის ახლო ნათესავი, ასევე სხვა პირიც. მეურვის და მზრუნველის შერჩევის დროს, მხედველობაში მიღება მისი პიროვნული თვისებები, ის ურთიერთდამოგედებულება, რომელიც არსებობს მასასა და სამეურვეო/სამზრუნველო პირს შორის და სხვა გარემოებები.

მეურვედ ან მზრუნველად პირის დანიშნა შეიძლება მხოლოდ ამ პირის თანხმობით და თუკი მზრუნველი ენიშნება სრულწლოვან ქმედუნარიან პირს, მაშინ ამ უკანასკერილის თანხმობითაც.

შეიძლება გარდაცვალების წინ მშობლებმა თავად განსაზღვრონ ვინ უნდა იყოს მათი შვილების მეურვე ან მზრუნველი და ასეთი მითითება გასცენ ნოტარიულურად ან თუ ნოტარიუსი ხელმისაწვდომი არ არის, ადგილობრივი თვითმმართველობის თრგანოს მიერ დამოხმებული დოკუმენტის (ნოდერძის) საფუძველზე.

#### **მეურვედ ან მზრუნველად არ შეიძლება დაინიშნოს პირი:**

- რომელსაც არ მიუღწევია 18 წლის ასაკისთვის;
- რომელიც სასამართლოს მიერ ცნობილია ქმედუნაროდ;
- რომელსაც ჩამოერთეა ან შეეზღუდა მშობლის უფლება მშობლის უფლება-მოვალეობების შესრულებისათვის თავის არიდების გამო;
- პირი, რომელიც განთავისუფლებულია მეურვის ან მზრუნველის მოვალეობისაგან იმის გამო, რომ სათანადოდ არ ასრულებდა ამ მოვალეობას.

მეურვის ან მზრუნველის საქმიანობაზე ზედამხედველობას ახორციელებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო სამეურვეო (სამზრუნველო) პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მეურვეობა და მზრუნველობა უსასყიდლოდ.

მეურვე და მზრუნველი მოვალენი არიან იზრუნონ სამეურვეო (სამზრუნველო) პირზე, უზრუნველყონ მოვლითა და მკურნალობით, დაიცვან მისი უფლებები და ინტერესები, წარმოადგინონ სამეურვეო/სამზრუნველო პირი მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის სასამართლოშიც.

არასრულწლოვნის მეურვე და მზრუნველი მოვალენი არიან იცხოვრონ ბავშვთან ერთად. მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მზრუნველისა და 7-დან 18 წლამდე ბავშვის ცალ-ცალკე ცხოვრება, თუ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ჩათვლის, რომ ეს უარყოფით გავლენას არ მოახდენს ბავშვის აღზრდაზე და მისი უფლებებისა და ინტერესების დაცვაზე.

მეურვე სამეურვეო პირის სახელით დებს

ყველა აუცილებელ გარიგებას, ხოლო მზრუნველი თანხმობას იძლევა გარიგების დადგებაზე, თუმცა

ზოგიერთ შემთხვევაში, ისევ და

ისევ სამეურვეო/სამზრუნველი

პირის ინტერესების დასაცავად,

კანონი უკრძალავს მეურვეს და

მზრუნველს ისეთი გარიგებების დადგებას, რამაც

შეიძლება სამეურვეო/სამზრუნველო პირს ზიანი

მიაყენოს. ასეთია მაგალითად გარიგება, რომე-

ლიც შეეხება ქონების გასხვისებას, გაყოფას, ჩუ-

ქებას, სესხის აღებას და სხვა ისეთ გარიგებას, რომელსაც შედეგად შეიძლება მოჰ-

ყვეს ქონების შემცირება.

დაინტერესებულმა პირმა, მათ შორის სამეურვეო (სამზრუნველო) პირმაც შეიძლება გასასჩივროს მეურვისა და მზრუნველის მოქმედება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოში. თუკი მეურვე ან მზრუნველი არასათანადოდ ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, მაშინ ისინი შეიძლება გადაყენებულ ან გათავისუფლებულ იქნან მოვალეობის შესრულებისაგან. თუ მეურვე ან მზრუნველი ანგარების მიზნით გამოიყენებს თავისი უფლებამოსილებას, ან სამეურვეო/სამზრუნველო პირს დაზოგებს ზედამხედველობისა და აუცილებელი დახმარების გარეშე, ის პასუხს აგებს კანონით დადგენილი წესით.

მეურვე და მზრუნველი შეიძლება საკუთარი თხოვნითაც გათავისუფლდნენ დაკისრებული მოვალეობისაგან თუ აქვთ ისეთი საპატიო მიზეზი, როგორიცაა ავადმყოფობა, მატერიალური მდგომარეობის შეცვლა, შეუთავსებლობა სამეურვეო/სამზრუნველო პირისა და სხვა.

მეურვეობა და მზრუნველობა შეწყდება თუკი სამეურვეო/სამზრუნველო პირი აღარ საჭიროებს მეურვის ან მზრუნველის დახმარებას იმის გამო, რომ სრულწლოვანი გახდა, ან ქმედუნარიანად იქნა ცნობილი, ან მის მშობელს აღუდგა მშობლის უფლება-მოვალეობები და სხვა.

## შვილად აყვანა

მსოფლიოში უამრავი ბავშვია, რომელსაც მშობლებისა და ოჯახის მზრუნველობა ესაჭიროება. მზრუნველობას მოვალებული ბავშვების უფლებებს, სახელმწიფო იცავს და ზრუნავს მათი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, საქართველოში არაერთი ოჯახი და პირია, რომელსაც ბავშვის შვილება ან მინდობით აყვანა სურს. შვილად აყვანისა და მინდობის პირობებს არეგულირებს საქართველოს კანონი შვილად აყვანისა და მინდობის შესახებ. საერთაშორისო გაშვილებას არეგულირებს ჰავაგის კონვენცია “ბავშვის უფლებათა დაცვის შესახებ”, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს კანონი “სოციალური დახმარების შესახებ”.

ბავშვის გაეროს კონვენციის თანახმად, იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვს არ ჰყავს მშობლები, ის სახელმწიფოს დაცვის ქვეშ იმყოფება. ამავე დებულებას იზი-


## მეურვეობა და მზრუნველობა სრულდება

### უსასყიდლოდ.



არებს საქართველოს კანონმდებლობა. ბავშვის უფლებები გაშვილებისას დაცულია საქართველოს კანონით “შვილად აყვანისა და მინდობის შესახებ”.

საქართველოს კანონმდებლობით, შვილად აყვანა – მშვილებელსა და ნაშვილებს შორის წარმოშობილი ისეთივე ურთიერთობაა, როგორიცაა მშობელსა და შვილს შორის; კანონი განსაზღვრავს, თუ ვინ შეიძლება იქნას გაშვილებული:



**გასაშვილებელი გავაზი** – 18 წლამდე ასაკის პირი, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით, აღრიცხულია გასაშვილებელ ბავშვთა და მშვილებელთა ერთიან რეესტრშია და აკმაყოფილებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს (18 წლამდე პირი; რომლის მშობლები სასამართლომ აღიარა უგზო-უკვლილ დაკარგულად ან გარდაცვლილად; მიტოვებული ბავშვი; ობოლი ბავშვი; მშობლების თანხმობით გაშვილებული პირი; ბავშვი, რომლის მშობლებსაც ჩამოერთვათ მშობლის უფლება);

**ნაკონი გავაზი** – 18 წლამდე ასაკის პირი, რომლის აღმოჩენის მომენტში და ამ მომენტიდან 6 კვირის ვადაში, ვერ დადგინდა მისი ან/და მშობლის (მშობლების) ვინაობა, მის მიტოვებულ ბავშვად აღიარებამდე;

**გიოლვაული გავაზი** – 18 წლამდე ასაკის პირი, რომელიც ამ კანონის შესაბამისად სასამართლოს მიერ აღიარებულია მიტოვებულად და რომლის მშობელს (მშობლებს) ამ ბავშვის მიმართ ჩამორთმეული აქვს (აქვთ) მშობლის უფლება-მოვალეობები.

შვილად აყვანისგან განსხვავებით, მინდობით აღზრდა (შვილობილად აყვანა), გულისხმობს სახელმწიფოსა და მიმღებ ოჯახს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, მიმღები ოჯახის მიერ შვილობილის მოვლასა და აღზრდას; შვილად აყვანა – მშვილებელსა და ნაშვილებს შორის წარმოშობილი ისეთივე ურთიერთობაა, როგორიცაა მშობელსა და შვილს შორის;

## შვილად აყვანა

თუ თქვენ გადაწყვიტეთ შვილად აიყვანოთ ბავშვი ან მინდობით აღზარდოთ ის, აუცილებლად უნდა იცნობდეთ ყველა იმ პროცედურასა და წესს, რომელსაც სახელმწიფო ადგენს მშვილებლებისა და დედობილ/მამობილისთვის.

გაშვილების მიზანია ბავშვის კეთილდღეობისა და ინტერესების დაცვა, მისთვის ოჯახური გარემოს შექმნა და სრულფასოვანი განვითარების უზრუნველყოფა. გაშვილება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუკი მოსალოდნელია, რომ მშვილებელსა და ნაშვილებს შორის წარმოშობა ისეთივე ურთიერთობა, როგორიცაა მშობელსა და შვილებს შორის.

განსაკუთრებით გვინდა ალვნიშნოთ, რომ ყოვლად დაუშვებელია, რაიმე სახის გარიგება ბავშვის ბიოლოგიურ მშობლებთან, კანონიერ წარმომადგენელთან ან/და ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირებს შორის, ან ასეთი საქმიანობისთვის ხელის შეწყობა, შვილად აყვანის ან მინდობით აღზრდის მიზნით. შვილად აყვანა სახელმწიფო კონტროლს ექვემდებარება. ყველა პროცედურულ საკითხს, შვილად აყვანასთან ან მინდობასთან დაკავშირებით, აგვარებს სააგენტო – საქართველოს შრომის, ჯანმ-

რთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი სამსახური. ანიშნული სამსახური, არის მეურვეობისა და მზრუნველობის ცენტრალური ორგანო, ხოლო მისი ტერიტორიული ერთეული, – მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო.

გაშვილება იურიდიულად უნდა გაფორმდეს. სააგენტოს გარდა, ყველა სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირს ეკრძალება კონკრეტული ბავშვის ბიოლოგიურ მშობელს, კანონიერ წარმომადგენელს ან /და ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირებს შორის გარიგების დადება ან რამე წინასწარ საქმიანობა. მაგალითად, არასრულწლოვნის მიმართ, უკანონო გარიგების განხორციელება შვილად აყვანის მიზნით ან ფეხმძიმე ქალების წინასწარ შერჩევა და მშობიარობისთვის საქართველოს ფარგლებს გარეთ გაყვანის შესაძლებლობის შექმნა ან ასეთ გაშვილებაში ხელის შეწყობა დანაშაულია და ისჯება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით (მუხლი 172; მუხლი 172.1).

კანონით, შვილად აყვანის დროს, დაშვებულია ადგოვატის ან სხვა უფლებამოსილი პირის მიერ იურიდიული მომსახურების განხევა, ხოლო საერთაშორისო გაშვილების დროს, – მიმღები ქვეყნის შვილად აყვანის საქმეებზე უფლებამოსილი ორგანოს, მისი არასრულწლობის შემთხვევაში კი – სხვა შესაბამისი აკრედიტებული იურიდიული პირის მიერ მომსახურების განხევა.

თავდაპირველად, გავარკვიოთ ვინ ჩაითვლება მშვილებლად. მშვილებელი უნდა იყოს სრულწლოვანი, ქმედუნარიანი პირი. შვილად ამყანას მშვილებელი ეწოდება. მშვილებელი, შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე, მოქალაქეობის არმქონე პირი, საქართველოში მუდმივად მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქე.

**კანონი შვილად აყვანისა და მინდობის შესახებ, განსაზღვრავს იმ პირთა ნუსხას, რომლებიც არ შეიძლება გამოვიდნენ მშვილებლებად:**

- პირები, რომელსაც ჩამოერთვა მშობლის უფლება ან ადრე ჰყავდა შვილად აყვანილი პირი, ან იყო არასრულწლოვანი პირის მეურვე/მზრუნველი, ან მინდობით აღსაზრდელად გადაცემული ჰყავდა პირი, მაგრამ ეს ურთიერთობა გაუქმდა მის მიერ მოვალეობათა არაჯეროვნად შესრულების გამი;
- პირი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეზღუდული აქვს მშობლის უფლება-მოვალეობები მშობლის უფლებების განუხორციელებლობისა და მოვალეობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად განხორციელების/შესრულების გამი;
- პირი, რომელსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, არ შეუძლია მშობლის მოვალეობათა ჯეროვნად შესრულება;
- პირი, რომელსაც სასამართლომ, მსჯავრი დასდო მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის და ნასამართლობა არ აქვს მოხსნილი ან გაქარწყლებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- პირი, რომელიც ნასამართლევია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ოჯახისა და არასრულწლოვნის წინააღმდეგ დანაშაულებისთვის;
- პირი, რომელსაც ოჯახისა და არასრულწლოვნის წინააღმდეგ გათვალისწინებული დანაშაულისთვის არ აქვს მოხსნილი ან გაქარწყლებული ნასამართლობა.

### **ვინ შეიძლება იქნას ნაშვილები?**

ეს არის 18 წლამდე პირი, რომელიც აღრიცხულია რეესტრში და რომელსაც მინიჭებული აქვს გასაშვილებელი ბავშვის სტატუსი. ასეთი სტატუსის მქონე ბავშვებია:

- ა) ბავშვი, რომლის მშობელი (მშობლები) სასამართლომ ცნო ქმედუუნაროდ, აღიარა უგზო-უკვლილ დაკარგულად ან გამოაცხადა გარდაცვლილად;
- ბ) ბავშვი, რომელსაც არ ჰყავს არცერთი მშობელი;
- გ) ბავშვი, რომელიც ალიარებული იქნა მიტოვებულ ბავშვად;
- დ) ბავშვი, რომლის მშობელს (მშობლებს) ჩამოერთვა (ჩამოერთვათ) მშობლის უფლება;
- ე) ბავშვი, რომლის ყველა კანონიერმა წარმომადგენელმა თანხმობა განაცხადა მის გაშვილებაზე.

საქართველოს მოქალაქე და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი, რომლებსაც სურთ ბავშვის შვილად აყვანა, მინისტრის მიერ დამტკიცებული ფორმის განაცხადს წარუდგენენ მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივ ორგანოს, რომელიც იქნებს მშვილებელი ოჯახის/პირის შეფასებას.

მეულეებს შეუძლიათ, ბავშვი ერთად იშვილონ. არ შეიძლება, ერთი ბავშვი ორმა პირმა იშვილოს, გარდა მეულეებისა. ერთ-ერთ მეულეეს შეუძლია იშვილოს თავისი, ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვი ან მეულელის შვილი.

თუ მეულეები ერთად იშვილებენ ბავშვს, ან ერთ-ერთი იშვილებს მეორე მეულელის შვილს, ბავშვი იძნეს მეულელთა საერთო შვილის სამართლებრივ მდგომარეობას.

თუ ბავშვი შვილად აჲყავს ერთ-ერთ მეულეეს, აუცილებელია მეორე მეულელის თანხმობა. გახსოვდეთ, რომ ასეთი თანხმობა საჭირო არ არის შემდეგ შემთხვევებში:

- თუ მეორე მეულე აღიარებულია ქმედუუნაროდ,
- თუ მეულეებს, ფაქტობრივად, შეწყვეტილი აქვთ საქორწინო ურთიერთობა ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში,
- მეორე მეულელის საცხოვრებელი ადგილი უცნობია.

შვილება შეუძლია ერთ პირსაც, თუკი იგი აქმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს. შესაძლებელია, ბავშვი იშვილოს მარტოხელა ქალმა ან ქაცმა, ასევე დედინაცვალმა ან მამინაცვალმა (იმ შემთხვევებში, როდესაც ბავშვის მშობლები ცოცხლები არ არიან).

თუ მეულეებმა ერთად იშვილება ბავშვა, მათ შორის ქორწინების შეწყვეტა არავითონ გავლენას არ იქონიებს შვილად აყვანაზე. შვილება ძალაში რჩება და ცალ-ცალკე მცხოვრებ მშვილებელს, ან ერთ-ერთ მათვანს, კვლავ ეკისრება ნაშვილები ბავშვის რჩენისა და აღზრდის მოვლეობა. განქორწინებისას, წარმოშობილ დავას იმის შესახებ, თუ ვისთან იცხოვრებს ბავშვი, ვის დაეკისრება ალიმენტი, გადაწყვეტი სასამართლო.

კანონით, შვილება (შვილად აყვანა) შესაძლებელია როგორც არასრულწლოვანი, ისე სრულწლოვანი ბავშვის. სრულწლოვანის შვილება შესაძლებელია:

- თუ მშვილებელსა და შვილად ასაყვანს შორის, უკვე არსებობდა მშობლისა და შვილის ურთიერთობა;
- იგი არ ენინააღმდეგება მშვილებლის ან შვილად ასაყვანის ინტერესებს;
- შვილება ზენობრივად გამართლებულია.

შვილად შეიძლება აიყვანოთ, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებში მყოფი ბავშვიც (მაგალითად ბავშვი, რომელიც იმყოფება ბავშვთა სახლში). ამ დროს, საჭიროა ამ ორგანოთა წერილობითი თანხმობა. თანხმობა საჭიროა მაშინაც, როდესაც ბავშვის არ ჰყავს მშობლები (ობოლია, მიტოვებულია, მშობლები უცნობია) და იმ შემთხვევებშიც, როდესაც ბავშვს მშობლები ჰყავს, მაგრამ ისინი არაქმედუუნარიანად არიან აღიარებული ან ჩამორთმეული აქვთ მშობლის უფლება. იმ შემთხვევებში, როდესაც ბავშვს ჰყავს ქმედუუნარიანი და შრომისუუნარი ან მძიმე ავადმყოფი მშობლები, რის გამოც ბავშვი ბავშვთა სახლში იმყოფება, საჭიროა არა მარტო მშობლის, არამედ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თანხმობა. თუ ბავშვი ბავშვთა სახლში იმყოფება, საჭიროა ამ დაწესებულების ადმინისტრაციის თანხმობა. ასევე, საჭიროა

ქმედუნარიანი მშობლების თანხმობა, თუ ასეთი ბავშვებს ჰყავს. თუ ბავშვთა სახლში ბავშვის მიბარებისას მშობლებს ბავშვის გაშვილებაზე თანხმობა არ გამოუთქვამთ, მხოლოდ ბავშვთა სახლის ადმინისტრაციის თანხმობა საქმარისი არ არის.

უნდა გვახსოვდეს, რომ შვილად აყვანის პროცედურა ხანგრძლივი პროცესია და მოიცავს რამდენიმე ეტაპს:

პირველი ეტაპია, შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილების რეგისტრაცია. შვილად აყვანის პროცედურა იწყება სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიული ორგანოდან, სადაც შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილების რეგისტრაცია ხდება. სააგენტო, მეურვეობისა და მზრუნველობის ცენტრალური ორგანოა, ხოლო მის ტერიტორიულ ერთეულებს, საქართველოს ტერიტორიაზე, წარმოადგენ მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოები.

შვილად აყვანის მსურველმა პირმა (პირებმა), ბავშვის შვილად აყვანისთვის უნდა გაიარონ შესაბამისი რეგისტრაცია, რეგისტრაციის ან ფაქტობრივი საკხვრებელი ადგილის მიხედვით. სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის შერჩევა, შემდეგი პრინციპით ხდება:

- მშვილებლის ან შვილად ასაყვანის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;
- ბავშვის შვილად აყვანის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის ადგილის მიხედვით.

#### **მნიშვნელოვანია იცოდეთ, რომ რეგისტრაციისთვის, საჭიროა შემდეგი დოკუმენტაციის წარდგენა:**

- ✓ განცხადება;
- ✓ პირადობის დამადასტურებელი საბუთი (მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი) და მისი ასლი;
- ✓ ცნობა ნასამართლობის შესახებ;
- ✓ ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ;
- ✓ ცნობა სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ;
- ✓ ცნობა სამუშაო ადგილიდან, თანამდებობისა და ხელფასის მითითებით, იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქე დასაქმებულია;
- ✓ ქონებისა და შემოსავლების შესახებ წერილობითი ინფორმაცია;
- ✓ ქორნინების მოწმობა და მისი ასლი (თუ განმცხადებელი ქორნინებაში იმყოფება);
- ✓ შვილად აყვანასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტაცია.

ლება აქვს მის ნათესავს. ამ შემთხვევაში ნათესავად ითვლება პირი, რომლისთვის საც გასაშვილებელი ბავშვი არის და, ძმა, შვილიშვილი, დიშვილი, ძმიშვილი, გერი ძმის შვილი, გერის დის შვილი, ბიძაშვილი, დეიდაშვილი, მამიდაშვილი, ბიძა, დეი-

იმ შემთხვევაში, თუ მშვილებელი კანდიდატი ასაყვანი ბავშვის ნათესავია, მან დამატებით უნდა წარმოადგინოს ნათესაური კავშირის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მშვილებლისთვის, ბავშვის შეთავაზება ხდება რიგითობის პრინციპის დაცვით. შვილად აყვანის დროს დაცული უნდა იქნეს რეგისტრში არსებული რიგითობა, თუ ეს არ ენინალმდეგება მშვილებელ ოჯახთან/პირთან გასაშვილებელი ბავშვის თავსებადობას.

შეთავაზებულ ბავშვზე მშვილებლის მიერ უარის თქმის შემთხვევაში, მშვილებელი ინარჩუნებს არსებულ რიგითობას და მას უნდა შესთავაზონ სხვა ბავშვი მის მიერ შერჩეული კრიტერიუმების შესაბამისად, ხოლო ის ბავშვი, რომელზედაც მან უარი განაცხადა, დადგენილი წესით უნდა შესთავაზონ სხვა მშვილებელს.

გასაშვილებელი ბავშვის შვილად აყვანის უპირატესი უფლება არის რეგისტრაციისთვის და მას შემთხვევაში ნათესავად ითვლება პირი, რომლისთვის საც გასაშვილებელი ბავშვი არის და, ძმა, შვილიშვილი, დიშვილი, ძმიშვილი, გერი ძმის შვილი, გერის დის შვილი, ბიძაშვილი, დეიდაშვილი, მამიდაშვილი, ბიძა, დეი-



და, მამიდა ან რომელიმე მათგანის შვილი, დედინაცვალი, მამინაცვალი. შვილად აყვანის უპირატესი უფლება აქვს ასევე მიმღებ ოჯახს – დედობილს ან/და მამობილს – ბავშვის მინდობით აღსაზრდელად გადაცემიდან არა 6 თვეზე ადრე. შვილად აყვანის უპირატესი უფლებით სარგებლობს ასევე ის მშვილებელი, რომელსაც უკვე ჰყავს შვილად აყვანილი გასაშვილებელი ბავშვის და ან/და ძმა.

## მშვილებელ პირს ან ოჯახს უფლება აქვს,

### მოინახულოს ბავშვი.

შვილად აყვანის უპირატესი უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირს, უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელიც არის გასაშვილებელი ბავშვის ნათესავი.

შვილად აყვანის უპირატესი უფლების მქონე პირების მიმართ არ მოქმედებს შვილად აყვანის რიგითობის პრინციპი. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო შვილად აყვანის პროცედურების განხორციელებისას შვილად აყვანის უპირატესი უფლების გამოყენებისას შეიმუშავებს დასკრნა.

შვილად აყვანის დროს, დაცული უნდა იქნას არა მხოლოდ გასაშვილებელ ბავშვთა და მშვილებელთა რეესტრში არსებული რიგითობა, არამედ მთელი რიგი საკითხები: გასაშვილებელი ბავშვის ინტერესები, გათვალისწინებული უნდა იქნას მშვილებელ ოჯახთან/პირთან მისი თავსებადობა.

გაშვილებისას, გათვალისწინებული უნდა იქნას ბავშვის შესახებ მშვილებლების განცხადებაში მითითებული მონაცემების მოთხოვნები (სქესი, ეროვნება, ასაკი და სხვა) და ბავშვის ინტერესები.

მშვილებელ პირს ან ოჯახს, უფლება აქვს მოინახულოს ბავშვი. ამასთან, მას (მათ) უნდა გააჩნდეთ სპეციალური წერილობითი თანხმობა, რომელსაც გასცემს სააგენტოს ტერიტორიული ორგანო. მშვილებელს, უფლება აქვს ბავშვს ჩაუტაროს სამედიცინო გამოკვლევა, კანონიერი წარმომადგენლის თანხლებით.

ბავშვის შეთავაზებიდნ 7 სამუშაო დღის განმავლობაში, მშვილებელმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ბავშვის აყვანის თაობაზე. თუ ვადა გადაცილებული იქნა, ჩაითვლება რომ მშვილებელი უარს ამბობს შეთავაზებულ ბავშვზე. შეთავაზებული ბავშვის შვილად აყვანის გადაწყვეტილება მშვილებელმა პირმანერილობით უნდა აცნობოს ტერიტორიულ ორგანოს.

მეორე ეტაპს მშვილებლისა და ბავშვის შეთავსებადობის დადგენა წარმოადგენს. ბავშვის შვილად აყვანის დროს, უნდა დადგინდეს ბავშვისა და მშვილებელი პირის/ოჯახის თავსებადობა. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო დატალურად შეისწავლის შვილად აყვანის მსურველის საოჯახო მდგომარეობას, ყოფით პირობებს, ოჯახის წევრთა ჯანმრთელობის მდგომარეობას და სხვა. გარკვეული წარმოდგენა უნდა შეიქმნას შვილად ასაყვანი პირის ჯანმრთელობისა (მაგალითად, ხომ არ აქვს ამ პირს ფსიქიური პრობლემები, ხომ არ არის დაავადებული საშიში გადამდები დაავადებით) და ბავშვის აღზრდისათვის აუცილებელ სპეციფიკურობათა შესახებ (ხომ არ სურს დაეუფლოს შვილად ასაყვანის ქონებას, გააჩნია თუ არა მშვილებლობის კანდიდატს ბავშვის აღზრდისათვის საჭირო თვისებები). უნდა დადგინდეს, რამდენად თავსებადია მშვილებლის კანდიდატი ბავშვის რელიგიურ მრნამსთან, მის ხასიათთან და სხვა.

შვილად აყვანის უპირატესი უფლება აგრეთვე გამოიყენება შვილად აყვანის თაობაზე ბავშვის ბიოლოგი-

ური მშობლისა (მშობლებისა) და მშვილებლის მიერ სააგენტოსათვის ერთობლივი მიმართვის შემთხვევაში, რა დროსაც დაცული უნდა იქნას კანონით გათვალისწინებული შვილად აყვანის პირობები.

შვილად აყვანის უპირატესი უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირს, უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელიც არის გასაშვილებელი ბავშვის ნათესავი.

შვილად აყვანის უპირატესი უფლების მქონე პირების მიმართ არ მოქმედებს შვილად აყვანის რიგითობის პრინციპი. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო შვილად აყვანის პროცედურების განხორციელებისას შვილად აყვანის უპირატესი უფლების გამოყენებისას შეიმუშავებს დასკრნა.

შვილად აყვანის დროს, დაცული უნდა იქნას არა მხოლოდ გასაშვილებელ ბავშვთა და მშვილებელთა რეესტრში არსებული რიგითობა, არამედ მთელი რიგი საკითხები: გასაშვილებელი ბავშვის ინტერესები, გათვალისწინებული უნდა იქნას მშვილებელ ოჯახთან/პირთან მისი თავსებადობა.

გაშვილებისას, გათვალისწინებული უნდა იქნას ბავშვის შესახებ მშვილებლების განცხადებაში მითითებული მონაცემები (სქესი, ეროვნება, ასაკი და სხვა) და ბავშვის ინტერესები.

მშვილებელ პირს ან ოჯახს, უფლება აქვს მოინახულოს ბავშვი. ამასთან, მას (მათ) უნდა გააჩნდეთ სპეციალური წერილობითი თანხმობა, რომელსაც გასცემს სააგენტოს ტერიტორიული ორგანო. მშვილებელს, უფლება აქვს ბავშვს ჩაუტაროს სამედიცინო გამოკვლევა, კანონიერი წარმომადგენლის თანხლებით.

ბავშვის შეთავაზებიდნ 7 სამუშაო დღის განმავლობაში, მშვილებელმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ბავშვის აყვანის თაობაზე. თუ ვადა გადაცილებული იქნა, ჩაითვლება რომ მშვილებელი უარს ამბობს შეთავაზებულ ბავშვზე. შეთავაზებული ბავშვის შვილად აყვანის გადაწყვეტილება მშვილებელმა პირმანერილობით უნდა აცნობოს ტერიტორიულ ორგანოს.

მეორე ეტაპს მშვილებლისა და ბავშვის შეთავსებადობის დადგენა წარმოადგენს. ბავშვის შვილად აყვანის დროს, უნდა დადგინდეს ბავშვისა და მშვილებელი პირის/ოჯახის თავსებადობა. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო დატალურად შეისწავლის შვილად აყვანის მსურველის საოჯახო მდგომარეობას, ყოფით პირობებს, ოჯახის წევრთა ჯანმრთელობის მდგომარეობას და სხვა. გარკვეული წარმოდგენა უნდა შეიქმნას შვილად ასაყვანი პირის ჯანმრთელობისა (მაგალითად, ხომ არ აქვს ამ პირს ფსიქიური პრობლემები, ხომ არ არის დაავადებული საშიში გადამდები დაავადებით) და ბავშვის აღზრდისათვის აუცილებელ სპეციფიკურობათა შესახებ (ხომ არ სურს დაეუფლოს შვილად ასაყვანის ქონებას, გააჩნია თუ არა მშვილებლობის კანდიდატს ბავშვის აღზრდისათვის საჭირო თვისებები). უნდა დადგინდეს, რამდენად თავსებადია მშვილებლის კანდიდატი ბავშვის რელიგიურ მრნამსთან, მის ხასიათთან და სხვა.

**თავსებადობას ადგენს სოციალური მუშაკი და ამზადებს დასკვნას. თავსებადობის დადგენისას, გათვალისწინებული იქნება შემდეგი კრიტერიუმები:**

- ასაკობრივი სხვაობა მშვილებელსა და გასაშვილებელ ბავშვის შორის, უნდა იყოს არანაკლებ 16 წელი; აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ არსებობს კანონით დადგენილი გამონაკლისები (მაგალითად, 20 წლის დეიდა, რომელსაც სურს იშვილოს თავისი 8 წლის დიშვილი. მშვილებელსა და შვილობილს შორის, განსხვავება 12 წელია.
- თუ გასაშვილებელმა ბავშვმა მიაღწია 10 წლის ასაკს, საჭიროა მისი თანხმობა;
- საჭიროების შემთხვევაში, მშვილებლ(ებ)ისა და გასაშვილებელი ბავშვის ეთნიკური და რელიგიური ნარმობავლობა;
- სხვა კრიტერიუმები, რომელსაც სოციალური მუშაკი საჭიროდ ჩათვლის თავსებადობის განასაზღვრისას.

მშვილებლისთვის (მშვილებლებისთვის) შეთავაზებული ბავშვის შვილად აყვანაზე მისი (მათი) თანხმობის შემთხვევაში, მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო ამზადებს დასკვნას სოციალური მუშაკის მიერ ჩატარებული კვლევის დასრულებიდან 1 კვირის ვადაში.

#### **შვილად აყვანის შესახებ დასკვნაში აღინიშნება:**

- მშვილებლის ბიოგრაფიული მონაცემები, პიროვნული თვისებები, სოციალური და ჯანმრთელობის მდგრმარეობა, ბავშვის შვილად აყვანის მოტივი;
- გასაშვილებელი ბავშვის ბიოგრაფიული მონაცემები, პიროვნული თვისებები, სოციალური და ჯანმრთელობის მდგრმარეობა.

საჭიროების შემთხვევაში შვილად აყვანის შესახებ დასკვნა უნდა ითვალისწინებდეს ბავშვის ეთნიკური და კულტურული გარემოს გათვალისწინებით აღზრდის შესაძლებლობას.

ბავშვის საქართველოს ტერიტორიაზე გაშვილების შემთხვევაში მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოს მიერ მომზადებული დასკვნა შვილად აყვანის შესახებ, მომზადებიდან 1 კვირის ვადაში ნარედგინება შესაბამის რაობები (საქალაქო) სასამართლოს.

მესამე ეტაპია სასამართლოში მიმართვა და სასამართლოს მიერ, გაშვილების გადაწყვეტილების მიღება. უნდა გვახსოვდეს, რომ შვილად აყვანის პროცედურა მართალია სააგრძოდან ინყება, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილების გამომტანი ორგანო სასამართლო.

მშვილებელს, ბავშვის შვილად აყვანის შესახებ განცხადება შეაქვს სასამართლოში, მშვილებლის ან გასაშვილებელი ბავშვის ადგილსამყოფელის მიხედვით. გასაშვილებელი ბავშვის ინტერესებს იცავს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო. შვილად აყვანის საქმე განიხილება დახურულ სასამართლო სხდომაზე, მაგრამ მშვილებლისა და გასაშვილებელი ბავშვის (თუ იგი 10 წლისაა ან 10 წლზე მეტისაა) მოთხოვნით, სასამართლო სხდომა შეიძლება იყოს ლია, ხოლო ინფორმაცია საჯარო. აკრძალულია ბავშვის შვილად აყვანა მშვილებლის სასამართლო სხდომაში მონაწილეობის გარეშე. სასამართლო, გადაწყვეტილებას იღებს განცხადების მიღებიდან 2 კვირის ვადაში. თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ შვილად აყვანა შეესაბამება გასაშვილებელი ბავშვის ინტერესებს და ემსახურება მის კეთილდღეობას, მოსამართლე გამოიტანს გადაწყვეტილებას ბავშვის შვილად აყვანის თაობაზე.

სასამართლო ვალდებულია ბავშვის შვილად

**გახსოვდეთ, შვილად აყვანა ძალაშია, ბავშვის შვილად აყვანის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან!**

აყვანის შესახებ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში აცნობოს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გადაწყვეტილების გამოტანის ადგილის მიხედვით.

## რა შემთხვევაში ხდება შვილად აყვანაზე (გაშვილებაზე) უარის თქმა?

უარის თქმა შეუძლიათ როგორც მშვილებლსა და ბავშვს, ასევე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს. შვილად აყვანის (გაშვილების), შვილობაზე პროცედურის განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე, უარის თქმის უფლება აქვს მშვილებლს და გასაშვილებელს, თუ იგი 10 წლისაა ან 10 წლზე მეტი ასაკის ბავშვია, რომელიც უნდა იშვილონ.

შვილად აყვანის (გაშვილების) საკითხზე უარი შეიძლება გაცხადდეს სასამართლოს მიერ, საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე.

სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე, ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შეუძლია შეცვალოს საკუთარი დასკვნა და მოითხოვოს სასამართლო პროცესის შეჩერება. მშვილებლის მოთხოვნით, კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის მოტივით, ბავშვს შეიძლება შეცვალოს სახელი, გვარი, დაბადების ადგილი და დაბადების თარიღი. დაბადების თარიღი არ შეიძლება შეიცვალოს 1 თვეზე მეტი ვადით.

მშვილებლის მოთხოვნით ბავშვის დაბადების აქტის ჩანაწერში იგი მიეთითება ნაშვილების მშობლად.

10 წლის ასაკს მიღწეული ბავშვის სახელის, გვარის, დაბადების ადგილისა და დაბადების თარიღის შეცვლის, აგრეთვე დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ბავშვის მშობლად მშვილებლის მითითების შემთხვევაში, სასამართლო ითვალისწინებს ბავშვის აზრს.

## შვილად აყვანის საიდუმლოების გამულავნება

### სრულწლოვანი ნაშვილების თანხმობის გარეშე



#### აკრძალულია



ზემოთ გათვალისწინებული მონაცემების შეცვლა ხორციელდება სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მშვილებლის მოთხოვნით.

შვილად აყვანის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, ნაშვილები კარგავს ქონებრივ (მაგალითად, ქონების მემკვიდრეობა) და პირად არაქონებრივ უფლებებს (მაგალითად, სააგენტო უფლება) და თავისუფლდება მოვალეობებისგან, თავისი ბიოლოგიური მშობლისა (მშობლებისა) და ნათესავების წინაშე.

ნაშვილები და მისი შთამომავლობა, მშვილებლისა და მის ნათესავთა მიმართ, ისეთივე ნათესავად ითვლება, როგორც ბიოლოგიური ნათესავები. მათ ისეთივე პირადი და ქონებრივი ურთიერთობები ნამდებობათ, როგორც ბიოლოგიურ ნათესავებს. შვილად აყვანის საიდუმლოების გამულავნება ბიოლოგიური მშობლის, მშვილებლისა და სრულწლოვანი ნაშვილების თანხმობის გარეშე აკრძალულია, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

სასამართლოს ორგანო, რომელიც წყვეტს შვილად აყვანის შესახებ გადაწყ-

ვეტილების გაუქმების საკითხს. შვილად აყვანის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილება შეიძლება გაუქმდეს, თუ:

- ა) შვილად აყვანა განხორციელდა საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით;
- ბ) ამას მოითხოვს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, ნაშვილების ინტერესების გათვალისწინებით;
- გ) სასამართლო გადაწყვეტილება, შვილად აყვანის შესახებ, ეფუძნება ყალბ დოკუმენტებს;
- დ) შვილად აყვანა ფიქტიურია.

სასამართლოს, შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაადგენს, რომ ეს შესაბამება ნაშვილების ინტერესებს. თუ ნაშვილები 10 წლისა ან 10 წელზე მეტისაა, შვილად აყვანის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმება, მხოლოდ ნაშვილების თანხმობითაა დასაშვები.

შვილად აყვანის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით, სასამართლოში, განცხადების წარდგენა შეუძლიათ:

- ნაშვილების ბიოლოგიურ მშინებლის (მშობლებს), თუ შვილად აყვანა განხორციელდა საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით;
- მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, თუ ეს აუცილებელია ნაშვილების ინტერესების დასაცავად;
- დაინტერესებულ პირს, რომელსაც მიაჩნია, რომ შვილად აყვანა არ შესაბამება ნაშვილების ის ინტერესებს და იგი უნდა გაუქმდეს. ამის თაობაზე ის აცნობებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს. თუ მოსარჩევე არის ნაშვილების ბიოლოგიური მშობელი (მშობლები) და მისთვის (მათთვის) უცნობია მშვილებლის ვინაობა, განცხადება შვილად აყვანის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით, წარდგენება სასამართლოს, ამ სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის ადგილის მიხედვით.

შვილად აყვანა ბათილად ჩაითვლება შვილად აყვანის გაუქმების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის მომენტიდან.

იცოდეთ, რომ შვილად აყვანის ბათილად ცნობისას, ნაშვილებსა და მშვილებელს, აგრეთვე მათ ნათესავებს შორის, წყდება არსებული უფლება-მოვალეობანი. შვილად აყვანის გაუქმებისას, უფლება-მოვალეობები აღდგება შვილსა და ბიოლოგიურ მშობელს (მშობლებს) და შთამომავლობით ნათესავებს შორის.

თუ შვილად აყვანა გაუქმებულია მშვილებლის მიერ ბავშვის აღზრდის მოვალეობის არაჯეროვნად შესრულების გამო, ბავშვს უნარჩუნდება მშვილებლისგან ალიმენტის მიღების უფლება.

შვილად აყვანის ბათილად ცნობის შემდეგ, სასამართლო გადაწყვეტილებით, არასრულწლოვანი პირი გადაეცემა მშობელს (მშობლებს), ხოლო თუ ეს შეუძლებელია ან მის ინტერესებს ენინალმდეგება, – მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს.

სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება შვილად აყვანის გაუქმების ან ბათილად ცნობის შესახებ, ვალდებულია გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადში გაუგზავნოს იგი სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შვილად აყვანის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.

თუ შვილად აყვანა გაუქმებულია მშვილებლის მიერ ბავშვის აღზრდის მოვალეობა-მრავალეობის არაჯეროვნად შესრულების გამო, ბავშვს უნარჩუნდება მშვილებლისგან ალიმენტის მიღების უფლება.



## საქართველოს გავშვის

საქართველოში ხშირია შემთხვევები, როდესაც საქართველოდან ბავშვის გაშვილება ხორციელდება უცხო ქვეყნებში.

საქართველოდან უცხო ქვეყანაში ბავშვის გაშვილება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება ან მისი შვილად აყვანა საქართველოს მოქალაქის ან/და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონები პირის მიერ.

უცხო ქვეყნის მოქალაქეს საქართველოდან შეუძლია იშვილოს რეესტრში აღრიცხვაზე მყოფი, გასაშვილებელი ბავშვის სტატუსის მქონე პირი, რომელიც რეესტრში აღრიცხვაზე აყვანიდან 8 თვეში ვერ აიყვანა შვილად საქართველოს მოქალაქე.

(ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით შესაძლებელია აღნიშნული ვადა შეაგდიროს სასამართლომ.) ამ შემთხვევაში სააგნენტო ატარებს კვლევას, რომლის საფუძველზე მომზადებულ დასკვნაშიც უნდა აღნიშნოს მიზეზები, რომელთა გამოც საქართველოში ვერ მოინახა ამ ბავშვისათვის მშვილებელი. ჩატარებული კვლევის საფუძველზე სააგნენტო ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით იწყების გათვალისწინების პროცედურას.

### უცხო ქვეყანაში ბავშვის გასაშვილებლად სავალდებულოა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის დადგენა

საქართველოდან უცხო

ქვეყანაში ბავშვის გასაშვილებლად სავალდებულოა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის დადგენა, რისთვისაც საჭიროა შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნა.

საერთაშორისო გაშვილების საკითხებში კომპეტენტური ორგანოა სააგნენტო, რომელიც „ბავშვთა დაცვისა და საერთაშორისო გაშვილების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ ჰააგის კონვენციის მოთხოვნათა შესაბამისად უკავშირდება ხელშემკვრელ სახელმწიფოთა ანალოგიურ სამასახურებს და ცვლის მათთან ინფორმაციას.

თუ რომელიმე უცხო ქვეყანა არ არის ზემოაღნიშნული კონვენციის ხელშემკვრელი მხარე ან/და მისი კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული შევილად აყვანის საქმეებზე უფლებამოსილი ორგანო, მაშინ მინისტრი ამტკიცებს მშვილებელი ქვეყნის ცენტრალურ ორგანოსთან (ასეთი ორგანოს არარსებობის შემთხვევაში – გასაშვილებელ ქვეყანაში ლიცენზირებულ ან/და აკრედიტებულ შესაბამის უფლებამოსილ ორგანიზაციასთან) დასადები სპეციალური ხელშეკრულების ფორმას. სააგნენტოს მიერ მიმღები ქვეყნის შვილად აყვანის საქმეებზე უფლებამოსილ ორგანოსთან დადგებული ხელშეკრულება უნდა შეესაბამებოდეს “ბავშვთა დაცვისა და საერთაშორისო გაშვილების სფეროში თანამშრომლობის შესახებ” ჰააგის კონვენციის, „ბავშვის უფლებათა დაცვის შესახებ“ გაეროს კონვენციისა და ამ კანონის მოთხოვნებს.

უცხო ქვეყნის მოქალაქეს მიერ საქართველოდან ბავშვის შვილად აყვანა შეიძლება თუ მშვილებელი აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს და აღრიცხულია რეესტრში.

უცხო ქვეყნის მოქალაქეს მიერ საქართველოდან ბავშვის შვილად აყვანის ფაქტის შესახებ ინფორმაციას სააგნენტო აწვდის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს.

## მინდობით აღზრდა

მინდობით აღზრდა გულისხმობს, სახელმწიფოსა და მიმღებ ოჯახს შორის დადგბული ხელშეკრულების საფუძველზე, მიმღები ოჯახის მიერ ბავშვის მოვლასა და აღზრდას. მინდობით აღზრდის შემთხვევაში, ბავშვი მოვლისა და აღზრდისთვის, გადაცემა დედობილს/მამობილს.

მინდობით აღზრდის შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება ენიჭებათ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს. მინდობითი აღზრდის გადაწყვეტილება სოციალური მუშაკის მიერ მიიღება. სოციალური მუშაკი ბავშვის ინტერესების დაცვისა და საჭიროების განსაზღვრით ხელმძღვანელობს. ის ასევე ითვალისწინებს ბავშვის მინდობით აღზრდის მსურველ პირთა შესაძლებლობებსა და იმ პირობებს, რომლებიც მითითებული იყო შვილად აყვანის საკითხის განხილვისას. სოციალური მუშაკი ამზადებს დასკუნას.

აღზრდისას, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები, მინდობით აღზრდის შემთხვევაში, ითვალისწინებენ პირთა სურვილს ბავშვის ასაკთან, სქესთან და ჯანმრთელობის მდგრმარეობასთან დაკავშირებით; შესაძლებლობის ფარგლებში, უზრუნველყოფებ ბავშვის ახლო ეთნიკურ, რელიგიურ და კულტურულ გარემოში აღზრდის შესაძლებლობას.

მინდობისას, ოჯახში მცხოვრები ბავშვების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შვიდს. აქ, იგულისხმებან მამობილი/დედობილის ბიოლიგიური შვილებიც და შვილად აყვანილი ბავშვებიც. 10 წლს მიღწეული ბავშვის მინდობით აღზრდა, მხოლოდ მისი თანხმობითაა შესაძლებელი.

დაუშვებელია და-მხის, დების ან/და ძმების დაშორება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს შესაბამება მათ ინტერესებს.

მინდობით აღსაზრდელსა და დედობილს/მამობილს შორის, ასაკობრივი სხვაობა უნდა იყოს, არანაკლებ 16 წლისა.

თუ თქვენ გადაწყვეტით, გახდეთ დედობილი და აღსაზრდელად აიყვანოთ ბავშვი, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო თქვენთან დადებს ხელშეკრულებას ბავშვის მინდობით აღზრდის შესახებ. ბავშვის მინდობით აღზრდის შესაძლებელია, შეიძლება დაიღოს ნებისმიერი ვადით, მინდობით აღსაზრდელის მიერ სრულწლოვანების მიღწევამდე. საქართველოს მოქალაქემ, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქების არმქონე პირმა და საქართველოში მუდმივად მცხოვრებმა უცხო ქვეყნის მოქალაქემ, რომლებსაც სურთ ბავშვის მინდობით აღზრდა (მათ შორის, გადაუდებელი მინდობით აღზრდა), უნდა მიმართონ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თავიანთი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.



**ბავშვის მინდობით აღზრდის შესახებ ხელშეკრულება უნდა მოიცვდეს:**

- ა) ბავშვზე ზრუნვისა და მისი აღზრდის პირობებს;
- ბ) დედობილის/მამობილის უფლებებსა და მოვალეობებს;
- გ) მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლებებსა და მოვალეობებს;
- დ) მინდობით აღსაზრდელის უფლებებსა და მოვალეობებს;
- ე) მხარეთა პასუხისმგებლობას;
- ვ) ხელშეკრულების შენწყვეტის პირობებს.

კანონი „შვილად აყვანისა და მინდობის შესახებ“ ითვალისწინებს პირობებს, როდესაც შეიძლება შეწყდეს ბავშვის მინდობით აღზრდის შესახებ ხელშეკრულება:

- მიმღები ოჯახის ინიციატივით, თუ არსებობს დასაბუთებული მიზეზი (სვადმყოფობა, ოჯახური ან მატერიალური მდგომარეობის გაუარესება, მინდობით აღსაზრდელსა და მიმღები ოჯახის წევრებს შორის კონფლიქტი);
- მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ინიციატივით, თუ მიმღები ოჯახში შექმნილია მინდობით აღსაზრდელზე ზრუნვისა და მისი აღზრდისთვის საზიანო პირობება და გარემო;
- მინდობით აღსაზრდელის ბიოლოგიურ ოჯახში დაპრუნების შემთხვევაში;
- მინდობით აღსაზრდელის შვილად აყვანის შემთხვევაში;
- თუ მინდობით აღსაზრდელი გახდა სრულწლოვანი;
- თუ მინდობით აღსაზრდელი დაქირნინდა;
- ხელშეკრულების ვადის ამონურვისთანავე.

2. ბავშვის მინდობით აღზრდის შესახებ ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, ბავშვი გადაეცემა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, რომელმაც უნდა მიიღოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.

მინდობით აღსაზრდელზე ზრუნვის ხარჯები საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან იფარება. დედობილი/მამობილი ბავშვის მინდობით აღზრდისთვის, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, იღებს სოციალურ დახმარებას, რომლის ოდენობა შეადგენს 200 ლარს – ჯანმრთელი ბავშვისთვის; 300 ლარს, – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბაშვისთვის (შმმპ). მინდობით აღზრდის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მიმღები მშობლები თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადით დაბეგგრისაგან იმ შემთხვევაში, თუ მისი შემოსავალი, ერთი ნლის განმავლობაში, 6 000 ლარს არ გადააჭარბებს.



**გახსოვდეთ, რომ**  
დედობილს, ისევე როგორც  
მამობილს, ბავშვის  
მინდობით აღზრდა შრომით  
სტაჟში ეთვლება.

- დედობილი/მამობილი ვალდებულია, იზრუნოს მინდობით აღსაზრდელზე მისი ინდივიდუალური განვითარების გეგმის შესაბამისად;
- შეუქმნას მინდობით აღსაზრდელს ნორმალური ოჯახური გარემო;
- აცნობოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მინდობით აღსაზრდელისთვის საზიანო პირობებისა და გარემოს შექმნის შესახებ;
- საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ხელი შეუწყოს მინდობით აღსაზრდელის ურთიერთობას მის კანონიერ წარმომადგენელთან და სხვა ნათესავებთან;
- იცხოვროს მინდობით აღსაზრდელთან ერთად;
- განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებები და შეასრულოს მოვალეობები.

მინდობით აღსაზრდელს გარკვეული უფლებები გააჩნია მიმღებ იჯახში. მინდობით აღსაზრდელთან დაკავშირებით, ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას, გათვალისწინებული უნდა იქნას მისი აზრი.

მინდობით აღზრდისას, არ იზღუდება ბიოლოგიურ ოჯახებთან და ნათესავებთან ურთიერთობა.

## საერთაშორისო ბატაზება

საერთაშორისო სამართლისა და ურთიერთდახმარების სფეროში საქართველოსა და სხვა ქვეწების ურთიერთთანამშრომლობის პრაქტიკა აჩვენებს, რომ როგორც საქართველოში ასევე სხვაგანაც, ხშირია შემთხვევები, როდესაც ერთ-ერთი მშობლის თანხმობის გარეშე ხდება ბავშვის საზღვარაგარეთ გაყვანა, ან გაყვანის შემდეგ ბავშვი უკანონოდ რჩება მეორე ქვეყანაში. აღნიშნული ფაქტი კი მშობელს შეიღოთან ურთიერთობის შესაძლებლობას ართმევს.

არამართლზომიერად გადაადგილებული ან დაკავებული ბავშვის უფლებების დაცვისთვის და იმისათვის, რათა ბავშვს ჰქონოდეს ორივე მშობელთან პირადი ურთიერთობის ჩამოყალიბების თანაბარი შესაძლებლობა (იგულისხმება ისეთი შემთხვევაც, როცა მშობლები სხვადასხვა სახელმწიფოში (ცხოვრობენ), 1980 წლის 24 ოქტომბერს ჰავაგის საერთაშორისო კერძო სამართლის კონფერენციის მე-14 პლენარულ სხდომაზე ყველა დამსწრე სახელმწიფოს მხარდაჭერით, მიიღეს „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ კონვენცია. აღნიშნული კონვენციის მიზანს წარმოადგენს:

რომელიმე ხელშემკვრელ სახელმწიფოში არამართლზომიერად გადაყვანილი ან დაკავებული ბავშვების სწრაფი დაბრუნების უზრუნველყოფა;

ერთ-ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს კანონმდებლობის მიხედვით გათვალისწინებული მეურვეობისა და ურთიერთობის უფლების უფლების უფლების განხორციელება და ორგანიზება.

საქართველო 1995 წლის 14 თებერვალს შეუერთდა „ბავშვების გატაცებასთან დაკავშირებულ სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ 1980 წლის 25 ოქტომბრის კონვენციას, რომელიც ძალაში შევიდა 1997 წლის 1 ოქტომბერს.

ამასთან, განისაზღვრა ცენტრალური ორგანო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტის სახით, რომელიც უფლებამოსილია კოორდინაცია გაუწიოს „ბავშვების გატაცებასთან დაკავშირებული სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ 1980 წლის კონვენციის ეფუძლებული იმპლემენტაციას და კონვენციით გათვალისწინებული მიზნების შესაბამისად ცალკეული სახის ღონისძიების გატარებას.

**ბავშვის გადაადგილება ან დაკავება არამართლზომიერად უნდა ჩაითვალოს, როდესაც:**

- ეს წარმოადგენს მეურვეობის უფლებების დარღვევას, რომელიც მიეცავს უფლებების პირისთვის, დაწესებულებებისთვის ან სხვა ორგანისათვის, ერთობლივად თუ ცალკე, იმ სახელმწიფოს კანონმდებლობის მიხედვით, რომელშიც ბავშვი ჩვეულებრივ ცხოვრობდა უშუალოდ გადაადგილებამდე ან დაკავებამდე; და
- გადაადგილების ან დაკავების დროისათვის ეს უფლებები რეალურად გამოიყენებოდა, ერთობლივად თუ ცალკე, ანდა ამგვარად გამოიყენებული იქნებოდა, რომ არ გადაადგილება ან დაკავება.

ზემოაღნიშნული კონვენცია გამოიყენება ნებისმიერი იმ ბავშვის მიმართ, რომელიც ჩვეულებრივ ცხოვრობდა ხელშემკვრელ სახელმწიფოში მეურვეობის ან ურთიერთობის უფლებათა დარღვევამდე. კონვენცია აღარ გამოიყენება, როდესაც ბავშვი 16 წლის ასაკს მიაღწევს.

ცენტრალური ორგანოები თანამშრომლობენ ურთიერთშორის და ხელს უწყობენ თავიანთ სახელმწიფოში არსებულ კომპეტენტურ ორგანოთა თანამშრომლობას ბავშვების სწრაფი დაბრუნების უზრუნველსაყოფად.

კერძოდ, ისინი, უმუალოდ ან ნებისმიერი შუამავლის მეშვეობით, ყველა სა-თანადო ზომას იღებენ:



- რათა აღმოაჩინონ არამართლზომიერად გადაადგილებული ან დაკავებულიბავშვის ადგილსამყოფელი;
- რათა არ დაუშვან შემდგომი ზიანის მიყენება ბავშვისათვის ან ვნების მიყენება დაინტერესებულ პირთათვის დროებითი ზომების მიღებით ან მიღებინებით;
- რათა უზრუნველყონ ბავშვის ნებავყოფლობითი დაბრუნება, ან მიაღწიონ სადაც საკითხების მშვიდობიან მოგვარებას;
- რათა გაცვალონ, როდესაც ეს მიზანშენონილია, ბავშვის სოციალურ ფონთან დაკავშირებული ინფორმაცია;
- რათა მიწოდონ ზოგადი ხასიათის ინფორმაცია მათი სახელმწიფოს კანონმდებლობის თაობაზე კონვენციის გამოყენებასთან დაკავშირებით;
- რათა გამოიწვიონ ან გაადვილონ სასამართლო ან ადმინისტრაციული პროცედურების აღძვრა ბავშვის დაბრუნების მიღწევის მიზნით და, სათანადო შემთხვევაში, გაატარონ ღონისძიებანი ურთიერთობის უფლებათა ეფექტიანი გამოყენების ორგანიზებისთვის ან უზრუნველყოფისთვის;
- რათა, როდესაც გარემოებები ამას მოითხოვს, უზრუნველყონ ან გააადვილონ იურიდიული დახმარებისა და კონსულტაციის განევა, იურისტ-კონსულტანტისა და იურიდიულ მრჩეველთა მონაბეჭდის ჩათვლით;
- რათა გაატარონ იმგვარი ადმინისტრაციული ღონისძიებანი, როგორიც აუცილებელი და მიზანშენონილი შეიძლება იყოს ბავშვის უსაფრთხო დაბრუნების უზრუნველსაყოფად;
- რათა ინფორმირებული ჰყავდეთ ერთმანეთი ამ კონვენციის მოქმედების თაობაზე და, რამდენადაც ეს შესაძლებელია, აღმოფხვრან მისი გამოყენების შემაფერხებელი ნებისმიერი დაბრკოლებანი.

## ბავშვების დაბრუნება

დაწესებულებას ან სხვა ორგანოს ნებისმიერ პირს, რომელიც ამტკიცებს, რომ ბავშვი გადაადგილებული ან დაკავებული იქნა მეურვეობის უფლებათა დარღვევით, შეუძლია მიმართოს ან ბავშვის ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილის ცენტრალურ ორგანოს, ანდა ნებისმიერი სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოს დახმარებისთვის ბავშვის დაბრუნების უზრუნველყოფაში.

## განაცხადში უნდა შევიდეს:

- ინფორმაცია, რომელიც შეეხება ვინაობას განმცხადებლისა, ბავშვისა და პირისა, ვინც, სავარაუდოდ, ბავშვის გადაადგილება ან დაკავება მოახდინა;
- თუ ამგვარი ინფორმაცია ხელმისაწვდომია, ბავშვის დაბადების თარიღი;
- არგუმენტები, რომელსაც ემყარება განმცხადებლის მოთხოვნა ბავშვის დაპრუნების თაობაზე;
- მთელი ხელთ არსებული ინფორმაცია, რომელიც შეეხება ბავშვის ადგილსამყოფელს და იმ პირის ვინაობას, ვისთანაც ბავშვი, სავარაუდოდ, იმყოფება.
- განცხადებას შეიძლება თან დაერთოს ან დაემატოს:
- ნებისმიერი შესაბამისი გადაწყვეტილების ან შეთანხმების დამოწმებული ასლი;
- ბავშვის ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილის სახელმწიფოს ცენტრალური ორგანოდან ან სხვა კომპეტენტური ორგანოდან, ანდა უფლებამოსილი პირისგან მომდინარე მოწმობა ან ფიციტ დამოწმებული წერილობითი ჩვენება ამ სახელმწიფოს შესაბამისი კანონმდებლობის შესახებ;
- ნებისმიერი სხვა შესაბამისი დოკუმენტი.

ცია ხელს არ უშლის ნებისმიერ პირს, დაწესებულებას ან ურთიერთობის უფლებას, რომ ადგილი ჰქონდა მეურვეობის ან ურთიერთობის უშაულოდ ხელშემკვრელი სახელმწიფოს სასამართლო ან ადმინისტრაციულ ორგანოებს შეუძლიათ, როდესაც ეს მიზანშეწონილია, უძრავანონ პირს, ვინც ბავშვი გადააადგილა ან დააკავა, ანდა ვინც ხელი შეუძლია ურთიერთობის უფლებათა განხორციელებას, დაფაროს აუცილებელი ხარჯები, გალებული განმცხადებლის მიერ ან მისი სახელით, სამგზავრო ხარჯების ჩათვლით, ბავშვის ადილსამყოფელის დასადგენად გალებული ნებისმიერი ხარჯები ან გადახდილი თანხები, განმცხადებლის იურიდიულ ნარმომადგენლობის ხარჯები და ბავშვის დაპრუნების ხარჯები.

## ბავშვთა გატაცების თავიდან არიდების დამსაცი მექანიზმები

თუ თქვენ ვარაუდობთ, რომ თქვენი ბავშვი შეიძლება უკანონოდ იქნასგადაადგილებული, შეგიძლიათ მიმართოთ შემდეგი ხასიათის დამცავ ღონისძიებებს:

- მიმართოთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო საფარო სამართლის დეპარტამენტს
- მოიპოვოთ სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც უკრძალავს პირს ბავშვის გადაადგილებას;

განაცხადი ღონისძიებათა გატარების თაობაზე ურთიერთობის უფლებათა ეფექტიანი გამოყენების ორგანიზებისთვის ან უზრუნველყოფისთვის შეიძლება ხელშემკვრელ სახელმწიფოთა ცენტრალურ ორგანოებს წარედგინოს ისეთნაირადვე, როგორც განაცხადი ბავშვის დაპრუნების მოთხოვნით.

ბავშვის დაპრუნების თაობაზე განკარგულების გაცემისას, სასამართლო ან ადმინისტრაციულ ორგანოებს შეუძლიათ, როდესაც ეს მიზანშეწონილია, უძრავანონ პირს, ვინც ბავშვი გადააადგილა ან დააკავა, ანდა ვინც ხელი შეუძლია ურთიერთობის უფლებათა განხორციელებას, დაფაროს აუცილებელი ხარჯები, გალებული განმცხადებლის მიერ ან მისი სახელით, სამგზავრო ხარჯების ჩათვლით, ბავშვის ადილსამყოფელის დასადგენად გალებული ნებისმიერი ხარჯები ან გადახდილი თანხები, განმცხადებლის იურიდიულ ნარმომადგენლობის ხარჯები და ბავშვის დაპრუნების ხარჯები.

ზემოაღნიშნული კონვენციალური შესახებ და მიმართოთ შემდეგი დამატებითი მიზანის მიერ ან ადმინისტრაციულ ორგანოების მიერ ან ადმინისტრაციულ ნარმომადგენლობის ხარჯები და ბავშვის დაპრუნების ხარჯები.

- თუ გაქვთ სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც იკრძალება ბავშვის გაყვანა საზღვარგარეთ, შესაბამის ორგანოებს შეუძლიათ ბავშვის სახელი და გვარი მიაწოდონ აეროპორტის თანამშრომლებს ბავშვის უკანონო გადაადგილებისათვის ხელის შესაშლელად;
- თუ არ გაქვთ სასამართლოს გადაწყვეტილება, მიმართეთ ადვოკატს, იურიდიული დახმარების სამსახურს, იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტს, რათა მათ გაგინიონ სათანადო კონსულტაცია;
- ბავშვისათვის საქართველოს პასპორტის გაცემა-არგაცემის საკითხთან დაკავშირებით დამცავი ღონისძიებების სახით კონტაქტი დაამყარეთ შესაბამის ორგანოებთან;
- ბავშვისათვის საზღვარგარეთის პასპორტის გაცემა-არგაცემის საკითხთან დაკავშირებით დამცავი ღონისძიებების სახით კონტაქტი დაამყარეთ შესაბამის საკონსულო დაწესებულებებთან.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2011 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში (საქმე №2ბ/2199-1.1 იხილებოდა საქართველოში მყოფი არასრულწლოვნის დაბრუნება სხვა ქვეყანაში „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ კონვენციის შესაბამისად) განმარტა შემდეგი: „სასამართლოს მიერ გაზიარებულ ვერ იქნება შუამდგომლობის აღმდერელი მსარის წარმომადგენლოთა თვალსაზრისი იმასთან დაკავშირებით, რომ კონვენციის მიზანს წარმომადგენს მარტოდენ ხელშემკვრელ სახელმწიფოში არამართლზომიერად გადაადგილებული ბავშვის სწრაფი დაბრუნების უზრუნველყოფა და რომ კონვენცია მთლიანობაში ეფუძნება მხოლოდ ბავშვის უკანონ დაკავებაზე (გადაადგილებაზე) საერთო თანხმობას და იმრჩენას, რომ ამ პრობლემის საერთაშორისო მასშტაბით დასაძლევად საუკეთესო მეთოდია არ იქნას აღიარებული ამ გადაადგილების სამართლებრივი შედეგები. აღნიშნულთან მიმართებაში სასამართლო განმარტავს, რომ ბავშვის დაბრუნება გარკვეულ-წილად მართლაც წარმომადგენს კონვენციის საბაზო პრინციპს, მაგრამ შესაძლო გამონაკლისები მისი უზრუნველყოფის ზოგადი ვალდებულებიდან მნიშვნელოვანი ელემენტია იმისათვის, რომ ამ ვალდებულების ზუსტი შინაარსი გავიგოთ. გამონაკლისები ბავშვის დაუყოვნებელი დაბრუნების უზრუნველყოფის ვალდებულებიდან კი განპირობებული იქნა ბავშვის ინტერესების უზრუნველობით, რადგან კონვენციით წარმოდგენილი მიზანი, ერთი – პრევენციული, ხოლო მეორე – მიმართული ბავშვის ჩვეულებარემოში დაუყოვნებლივი რეინტეგრაციისაკენ, მთლიანობაში პასუხობს „ბავშვის ინტერესების უზრუნველობას“, და ამდენად, განსახილველი კონვენციის მე-13 მუხლის „ბ“ პუნქტში ჩამოყალიბებული გამონაკლისი აშკარად ეფუძნება ბავშვის ინტერესების გათვალისწინებას, რა შემთხვევაშიც ბავშვის ინტერესი – არ იყოს მოწყვეტილი ჩვეულსაცხოვრებელ ადგილს ახალი მდგომარეობის სტაბილურობის საფარისი გარანტიების გარეშე – უკან იხევს ყოველი ადამიანის იმ უპირველესი ინტერესის წინაშე, რომელიც გულისხმობს მის უფლებას არ აღმოჩნდეს ფიზიკური თუ ფსიქიკური საფრთხის წინაშე, ან აუტანელ მდგომარეობაში.“

# ქალი და მემკვიდრეობა

## რას გულისხმობს მემკვიდრეობის უფლება?

მემკვიდრეობის უფლება არის პირის უფლება კანონით დადგენილი წესით მიიღოს მემკვიდრეობა და ასევე თავისი სურვილის შესაბამისად განსაზღვროს თუ ვის დარჩება მისი ქონება გარდაცვალების შემდეგ. ეს უფლება აღიარებული

**საქართველოს კანონმდებლობა მემკვიდრეობის ორ ფორმას იცნობს:**

**კანონით და ანდერძით.**

და დაცულია საქართველოს კონსტიტუციის მიერ და საქართველოს მოქალაქეები, ასევე მოქალაქეობის არმქონე ან უცხო ქვეყნის მოქალაქეები თანასწორად სარგებლობენ ამ უფლებით. თუმცა, ამის საწინააღმდეგოდ, ხშირად ადამიანები ფიქრობენ რომ მაგალითად, როდესაც ქალი თხოვდება და მშობლების ოჯახიდან მიღის, მას მშობლების ქონებიდან აღარაფერი ეკუთვნის და მთელი ქონება ვაჟიშვილ(ებ)ს უნდა დარჩეს, ან მაგალითად, როდესაც ერთი ძმა გარდაიცვლება, მის მთელ დანატოვარს მეორე ძმა იღებს და დას არაფერი რჩება. ეს მეტყველებს ასევე გენდერული უთანასწორობის პრობლემაზე. განსაკუთრებით რეგიონებში გადაუქრელია დღემდე გენდერული თანასწორობის პრობლემა. ასეთი და სხვა მსგავსი მოსაზრებები მცდარია.

თქვენც ისეთივე უფლება გაქვთ მიიღოთ თქვენი მშობლების, მეუღლის, შვილების, დედმამიშვილების ადა სხვა ნათესავების მიერ დატოვებული ქონება როგორც მამაკაცებს.

## კანონით მექანიზრება

საქართველოს კანონმდებლობა მემკვიდრეობის ორ ფორმას იცნობს: კანონით და ანდერძით.

კანონით მემკვიდრეობა გულისხმობს იმას, რომ თუკი გარდაცვლილ პირს არ დაუტოვებია ანდერძი, მაშინ მემკვიდრეობას ავტომატურად კონკრეტული კატეგორიის პირები იღებენ. ეს პირები არიან:

**პირველ რიგში:** გარდაცვლილის მშობლები, შვილები და მეულე

თუკი არცერთი ამ პირთაგან ცოცხალი არ არის, ან ყველა უარს ამბობს მემკვიდრეობის მიღებაზე ან ყველა მათგანს ჩამორთმეული აქვს მემკვიდრეობის მიღების უფლება, მაშინ მემკვიდრეთა **მეორე რიგში არიან:** გარდაცვლილის დები და ძმები.

თუკი რომელიმე ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზის გამო ვერც ამ რიგის მემკვიდრეები იღებენ მემკვიდრეობას, მაშინ სამკვიდრო ქონება გადადის **მესამე რიგის მემკვიდრეებზე:** ბებია-ბაბუაზე.

თუ ვერც ბებია-ბაბუა იღებს მემკვიდრეობას, მაშინ მათ ადგილს იკავებს **მეთხე რიგი:** გარდაცვლილის ბიძები (დედის ან მამის ძმა), დეიდები და მამიდები.

და ბოლოს, **მესუთე რიგში დგანა:** ბიძაშვილები, დეიდშვილები და მამიდშვილები.

ეს რიგითობა გულისხმობს იმას, რომ თუკი წინა რიგის თუნდაც ერთი მემკვიდრე ცოცხალია და იღებს მემკვიდრეობას, მომდევნო რიგის მემკვიდრეობა გამოირიცხება. მაგალითად, თუკი გარდაცვლილის მეულე იღებს მემკვიდრეობას, მომდევნო რიგის მემკვიდრეები: დები და ძმები, ბებია-ბაბუა, ბიძები, დეიდები და ა.შ. მემკვიდრეობას ველარ მიღებენ.

კანონით მემკვიდრეები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ის პირები, რომლებიც ცოცხლები არიან მამკვიდრებლის გარდაცვალების მომენტში, და ასევე გარდაცვლილის შვილები, რომლებიც ჩაისახნენ მამკვიდრებლის სიცოცხლეში და მისი გარდაცვალების შემდეგ ცოცხლები დაიბადნენ.

დაქორწინებული მეულეების შემთხვევაში, მამის გარდაცვალებისას, ბავშვი მის შვილად ჩაითვლება თუკი იგი დაიბადება მამის გარდაცვალებიდან არა უგვიანეს ათი თვისა. თუკი ბავშვი უფრო გვიან დაიბადა, ითვლება რომ იგი არ არის გარდაცვლილი მამის შვილი და შესაბამისად იგი ვერ მიიღებს მემკვიდრეობას.

იმ შემთხვევაში, თუკი სახეზეა ერთი რიგის რამდენიმე მემკვიდრე, მაგალითად გარდაცვლილს დარჩა ერთი მშობელი, მეულე და ორი შვილი, მემკვიდრეობა მათ შორის თანაბრად ნაწილდება, ანუ არ შეუდგენია ანდერძი. თუმცა, შესაძლებელია იყოს ისეთი შემთხვევაც, როცა ანდერძი არსებობს, მაგრამ არა მთლიან ქონებაზე, არამედ მის გარეულ ნაწილზე, ან მართალია, გარდაცვლილმა ანდერძი დატოვა, მაგრამ შემდეგ კანონით არსებული საფუძვლების გამო (რასაც ქვემოთ განვიხილავთ) მოხდა მისი მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად ცნობა. ასეთ შემთხვევებშიც ამოქმედდება კანონით მემკვიდრეობის წესები და გავრცელდება იმ ქონებაზე რომელზეც ანდერძში არაფერია ნათელამი, ან იყო ნათელამი, მაგრამ ანდერძი ბათილად იქნა ცნობილი. ასეთ ქონებას ჩვეულებრივ მიღებენ კანონით მემკვიდრეები.

როგორც უკვე ვთქვით, კანონით მემკვიდრეობის საკითხი დგება მაშინ, როდესაც პირი ისე გარდაიცვლება, რომ არ გამოუხატავს თავისი ბოლო ნება-სურველი მისი ქონების ვინძმესოვანი დატოვების შესახებ, ანუ არ შეუდგენია ანდერძი. თუმცა, შესაძლებელია იყოს ისეთი შემთხვევაც, როცა ანდერძი არსებობს, მაგრამ არა მთლიან ქონებაზე, არამედ მის გარეულ ნაწილზე, ან მართალია, გარდაცვლილმა ანდერძი დატოვა, მაგრამ შემდეგ კანონით არსებული საფუძვლების გამო (რასაც ქვემოთ განვიხილავთ) მოხდა მისი მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად ცნობა. ასეთ შემთხვევებშიც ამოქმედდება კანონით მემკვიდრეობის წესები და გავრცელდება იმ ქონებაზე რომელზეც ანდერძში არაფერია ნათელამი, ან იყო ნათელამი, მაგრამ ანდერძი ბათილად იქნა ცნობილი. ასეთ ქონებას ჩვეულებრივ მიღებენ კანონით მემკვიდრეები.

## ლაუქორნიციებელი, განეორნიციებული ლა ფაქტიურად განეორნიციებული პირების უფლება სამკვიდროზე

მნიშვნელოვანია იცოდეთ, რომ დაუქორნინებელ პირებს არ აქვთ ერთმანეთის მიმართ მემკვიდრეობის უფლება, ანუ თუკი თქვენ არ იმყოფებით რეგისტრირებულ სამოქალაქო ქორნინებაში თქვენს მეუღლესთან, მაშინ მისი გარდაცვალების შემთხვევაში, ვერ განაცხადეთ პრეტენზიას მის დანაცოვარ ქონებაზე. ერთმანეთის მიმართ მემკვიდრეობის უფლებას კარგავენ მეუღლეები განქორნინების შემთხვევაში, რაც გულისხმობს განქორნინების რეგისტრაციას სამოქალაქო რეესტრში (იხ. თავი განქორნინების შესახებ) და ასევე მაშინ, თუკი სასამართლოს მეშვეობით დადასტურდება, რომ მეუღლეები მართალია, არ განქორნინებულან ზემოთ აღნიშნული წესით, მაგრამ ისინი ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალებამდე არანაკლებ სამი წლის განმავლობაში ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ და მათ შორის ქორნინება ფაქტობრივად შეწყვეტილი იყო. მეუღლე მაშინაც კარგავს მემკვიდრეობის უფლებას მეორე მეუღლის ქონებაზე, თუკი არსებობდა ქორნინების ბათილობის საფუძველი და მამკვიდრებელს გარდაცვალებამდე სარჩელი ჰქონდა სასამართლოში შეტანილი, თუნდაც სასამართლო დავა ვეღარ გაგრძელებულიყო სარჩელის შემტანი პირის გარდაცვალების გამო.

სააპელაციო სასამართლომ ერთ-ერთ ასეთ საქმეზე მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1341-ე მუხლზე, რომლის თანახმად, სასამართლოს გადაწყვეტილებით მეუღლეს შეიძლება ჩამოერთვას კანონით მემკვიდრეობის უფლება, თუ დადასტურებული იქნება, რომ ქორნინება მამკვიდრებელთან ფაქტობრივად სამკვიდროს გახსნამდე არანაკლებ სამი წლისა შეწყვეტილი იყო და მეუღლეები ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ კანონის ზემოთ მითითებული ნორმის შინაარსი ამავე ნორმით გათვალისწინებულ გარემოებათა მტკიცების ტვირთოთან დაკავშირებით შეიცავს პრეზუმუტულიას მოპასუხის სასარგებლოდ და სანამ მოსარჩელე არ დაადასტურებს ზემოთ დასახელებული ფაქტობრივი გარემოებების არსებობას, მანამდე ითვლება, რომ მეუღლე წარმოადგენს რეგისტრირებულ ქორნინებაში მყოფი გარდაცვლილი მეუღლის მემკვიდრეს. შესაბამისად, გარდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102.1 მუხლით გათვალისწინებული ზოგადი დანაწესისა მტკიცების ტვირთოთან დაკავშირებით, მოცემული კატეგორიის დავების შემთხვევაში მატერიალური სამართლის ნორმა ერთმიშვნელოვნად განსაზღვრავს ზემოთ დასახელებულ გარემოებათა მტკიცების ტვირთოთის ადრესატს. სააპელაციო სასამართლოს შოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში თ. კ-ურის კანონიერ წარმომადგენელ 6. მ-შვილს, როგორც მოსარჩელეს ეკისრებოდა მტკიცების ტვირთი იმ გარემოებათა დასადასტურებლად, რომ: ქ. ჯ-შვილსა და გი. კ-ურს შორის ქორნინება ფაქტობრივად შეწყვეტილი იყო; ქ. ჯ-შვილი და გი. კ-ური ცხოვრობდნენ ცალ-ცალკე; ქ. ჯ-შვილსა და გი. კ-ურს შორის ქორნინების ფაქტობრივად შეწყვეტის ადგილი ჰქონდა გი. კ-ურის გარდაცვალებამდე 3 წლის განმავლობაში. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემული დავის სწორად გადასაწყვეტად აუცილებელი იყო იმის დადგენა, მოსარჩელის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები საქმეში არსებული ყველა ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით იძლეოდა თუ არა 1341-ე მუხლით გათვალისწინებული კვალიფიკაციისათვის აუცილებელი სამართლებრივი წინაპირობების დადგენის შესაძლებლობას და ნორმის კვალიფიკაციის საფუძველს. ამ მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, მეუღლისათვის კანონით მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის სა-

მართლებრივი საფუძველი წარმოშობა იმ შემთხვევაში, თუკი ერთდროულად სახე-ზეა შემდეგი მაკვალიფიცირებელი გარემოებები: სამკვიდროს გახსნამდე სამი წლის განმავლობაში მეუღლეებს შორის შეწყვეტილია ქორწინება და ამასთან მეუღლეები ცალ-ცალკე ცხოვრობენ. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მეუღლეებთა მხოლოდ ცალ-ცალკე ცხოვრების ფაქტი არ არის საკმარისი ქორწინების შეწყვეტილად მიჩნევისოთვის. უნდა დასტურდებოდეს ორივე ან ერთ-ერთი მეუღლის მხრიდან ნების გამოვლენა ქორწინების შეწყვეტის თაობაზე. ეს უკანასკნელი უნდა ვლინდებოდეს კონკრეტულ ქმედებაში, რაც თავის მხრივ კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით უნდა იძლეოდეს ცალსახა დასკვნის გაკეთების საფუძველს იმასთან დაკავშირებით, რომ მეუღლეებთა შორის ქორწინება შეწყვეტილი იყო ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალებამდე სამი წლის განმავლობაში. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ შეთავაზებული მტკიცებულებები არ იყო საკმარისი სამოქალაქო კოდექსის 1341-ე მუხლით გათვალისწინებული ნორმით განსაზღვრული სამართლებრივი მექანიზმის – კანონიერი მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა, ამოქმედებისათვის. ამდენად, სარჩელი დაკმაყოფილებას არ ექვემდებარებოდა. (საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება 2010 წელი საქმე № ას-611-573-2010)

## ქორწინების გარეშე შობილი ბავშვის მეავტოლრეობის უფლება

საქართველოს კანონმდებლობა ერთმანეთისგან არ ასხვავებს ქორწინებაში და ქორწინების გარეშე შობილი ბავშვების სამეცვიდრეო უფლებებს. ეს გულისხმობს იმას, რომ თქვენ შვილი რომელიც ქორწინებას გარეშე შეგეძინათ, ჩვეულებრივ ისევე მიიღებს მამის მემკვიდრეობას, როგორც ქორწინებაში შობილი ბავშვი. თუმცა, აქ გასათვალისწინებლია ერთი გარემოება – იმისათვის, რომ ბავშვი მამის სრულუფლებიანი მემკვიდრე იყოს, ბავშვის მამობა აუცილებლად კანონით დადგენილი წესით უნდა იყოს აღიარებული (იხ. თავი „შვილების წარმოშობის დადგენა“). სხვა შემთხვევაში ბავშვი ვერ მიიღებს მამის მემკვიდრეობის.

## ჩასახული მეავტოლრეობის უფლებები

მემკვიდრეობის უფლება აქვთ არა მხოლოდ მამკვიდრებლის სიცოცხლეში დაბადებულ ბავშვებს, არამედ მათაც, რომლებიც ჩაისახნენ მამკვიდრებლის სიცოცხლეში და დაბადენენ მისი გარდაცვალების შემდეგ. კანონით მემკვიდრეობის დროს ჩასახული მემკვიდრე შეიძლება იყოს მხოლოდ მამკვიდრებლის შვილი, ხოლო ანდერით მემკვიდრეობისას – ნებისმიერი სხვა პირი. ამ შემთხვევაში ერთადერთი აუცილებელი მოთხოვნაა, რომ ჩასახული მემკვიდრე ცოცხალი დაიბადოს მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ, მკვდრად შობილი ბავშვი არ შეიძენს მემკვიდრეობის უფლებას. საყურადღებოა, რომ სამკვიდროს გაყოფა დაუშვებელია მანამ, სანამ არ დაიბადება ჩასახული მემკვიდრესში ახალშობილის ინტერესების დასაცავად მოწვეული უნდა იქნან მისი წარმომადგენლები (მშობლები ან მეურვეები).

საყურადღებოა, რომ სამკვიდროს გაყოფა დაუშვებელია მანამ, სანამ არ დაიბადება ჩასახული მემკვიდრე და არ გამოიყოფა სამკვიდროდან მისი კუთვნილი წილი. ამ პროცესში ახალშობილის ინტერესების დასაცავად მოწვეული უნდა იქნან მისი წარმომადგენლები (მშობლები ან მეურვეები).

## მართლებლისა და ნამართლების ხარჯის უფლება

როგორც უკვე შვილად აყვანის შესახებ ქვეთავში განვიხილავთ, შვილად აყვანის სამართლებრივი შედეგების საქართველოს კანონმდებლობით ძალზედ მიახლოებულია შვილის დაბადების სამართლებრივ შედეგებთან. იგივეა მემკვიდრეობით სამართლ-შიც. ნაშვილებს და მშვილებლებს ერთმანეთის მიმართ აპსოლუტურად იგივე სამემ-კვიდრეო უფლებები გააჩნიათ რაც ბიოლოგიურ მშობლებს და შვილებს. ნაშვილები ბავშვი იძენს მემკვიდრეობის უფლებას არათუ მხოლოდ თავისი მშვილებლების, არა-მედ მათი სხვა ნათესავების ქონებაზეც, ზუსტად ისევე როგორც ნამდვილი შვილი. ამავდროულად, იგი კარგავს მემკვიდრეობის უფლებას თავისი ბიოლოგიური მშობ-ლების და სხვა ბიოლოგიური ნათესავების ქონებაზე, ისევე როგორც მისი ბიოლოგი-ური ნათესავები ვეღარ იქნებიან ბავშვის კანონით მემკვიდრეები.

## ხარჯის უფლება ნარმომადგენლობით, ხარჯის ტრანსმისია

### რას ნიშნავს მემკვიდრეობა ნარმომადგენლობით?

ნარმომადგენლობითი მემკვიდრეობა არის ისეთი შემთხვევა, როდესაც სამქ-ვიდროს გახსნამდე გარდაიცვლება მემკვიდრე და მის კუთვნილ წილს იღებს ამ მემ-კვიდრის მემკვიდრე. კანონი ასეთ სამ შემთხვევას ცნობს: I. თუკი მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე გარდაიცვალა მამკვიდრებლის შვილი, მაშინ მემკვიდრეობას ნარ-მომადგენლობით იღებენ შვილის შვილები; II. თუკი მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე გარდაიცვალნენ მისი ბებია-ბაბუა, მაშინ ბებია-ბაბუას წილი მიღებენ მათი მშობლები და ბოლოს, III. თუკი მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე გარდაიცვალა მისი და ან/და ძმა, მაშინ მათ მაგივრად მემკვიდრეობას მიღებენ დიშვილები ან/და ძმიშვილები.

### რას ნიშნავს მემკვიდრეობითი ტრანსმისია?

მემკვიდრეობითი ტრანსმისია გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როცა მემკვიდრე მართალია ცოცხალი იყო მამკვიდრებლის გარდაცვალების მომენტში, მაგრამ გარ-დაიცვალა სამკვდროს მიღებამდე. ამ დროს სამკვიდროდან მისი წილის მიღების უფ-ლება გადადის მის მემკვიდრეებზე. მაგალითად, თუკი გარდაიცვალა დედა და მისი მემკვიდრეობა უნდა მიეღო შვილს, მაგრამ დედის გარდაცვალებიდან 3 თვეში გარ-დაიცვალა შვილი, ისე რომ ვერ მიიღო მემკვიდრეობა, მაშინ შვილის წილს მიღებენ მისი შვილები, მეუღლე ან მისი სხვა მემკვიდრეები.

ნარმომადგენლობით მემკვიდრეობას და მემკვიდრეობით ტრანსმისია არსები-თად განსხვავდება ერთმანეთისგან: პირველ რიგში, ნარმომადგენლობითი მემკვიდ-რეობა მოქმედებს მხოლოდ კანონით მემკვიდრეობისა და ისიც მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი კონკრეტული პირების შემთხვევაში, მეტყველებული განსხვავე-ბაა ის, რომ ნარმომადგენლობითი მემკვიდრეობის დროს მემკვიდრე გარდაიცვლება მამკვიდრებელზე ადრე; მემკვიდრეობითი ტრანსმისიის დროს კი მემკვიდრე მამკ-ვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ გარდაიცვლება, ოღონდ მანამ სანამ მოასწრებს მემკვიდრეობის მიღებას.

## ანლერძით მამაკადაციანი

ნეპისმიერ სრულწლოვან პირს უფლება აქვს თავისი სიცოცხლის განმავლობაში შეადგინოს ანდერძი და განსაზღვროს მთელი მისი ქონების ბედი გარდაცვალების შემდეგ. ანდერძის შედგენის დროს პირს აქვს სრული თავისუფლება იმასთან დაკავშირებით, თუ ვის დაუტოვებს თავის ქონებას. ანდერძით მემკვიდრეობისას, განსხვავებით კანონით მემკვიდრეობისაგან, მემკვიდრე (შემკვიდრეები) შეიძლება იყოს არა მხოლოდ გარდაცვლილის ნათესავი, არამედ ნებისმიერი პირი, რომელიც ცოცხლი იყო მამკვიდრებლის გარდაცვალების მომენტში, ასევე პირები რომელიც ჩაისახნენ მამკვიდრებლის სიცოცხლეში და ცოცხლები დაიბადნენ მისი გარდაცვალების შემდეგ. გარდა ამისა, ანდერძით მემკვიდრე შეიძლება იყოს იურიდიული პირიც, ნებისმიერი კერძი ან საჯარო, სამეცნარმეო ან არასამეცნარმეო ორგანიზაცია. ერთადერთი პირი ამ შემთხვევაში არის ის, რომ იგი შექმნილი უნდა იყოს სამკვიდროს გახსნის – ანუ მამკვიდრებლის გარდაცვალების მომენტში.

## როგორ შევაღინოთ ანლერძი?

ანდერძის შედგენის მომენტში აუცილებელი მოთხოვნაა, რომ ანდერძის შემდგენელი იყოს ქმედუნარიანი პირი, რომელსაც შეუძლია გონივრულად განსაჯოს საკუთარი მოქმედება და ნათლად გამოხატოს თავისი ნება. სხვა შემთხვევაში, დადგება ანდერძის ბათოლობის საკითხი. გარდა ამისა, მეორე აუცილებელი მოთხოვნაა ისიც, რომ ანდერძი მოანდერძებ პირადად უნდა შეადგინოს, დაუშვებელია ანდერძის შედგენის სხვა პირზე დავალება ან გადანდობა. ანდერძი შეიძლება შეიცავდეს მხოლოდ ერთი პირის ნება-სურვილს, ერთობლივი ანდერძის შედგენა კანონით აკრძალულია – გარდა ერთი შემთხვევისა: სამოქალაქო ქორნინებაში მყოფ მეუღლებებს შეუძლიათ შეადგინონ ერთობლივი ანდერძი ურთიერთმემკვიდრეობაზე, ანუ იმაზე თუ რას უტოვებენ ერთმანეთს მეუღლები რომელიმეს გარდაცვალების შემთხვევაში. ასეთი ერთობლივი ანდერძი შეიძლება გაუქმდეს ერთ-ერთი მეუღლის მოთხოვნით, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში როდესაც ორივე მეუღლე ცოცხალია.


ანდერძი უნდა შედგეს წერილობით. ამასთან, დასაშვებია წერილობითი ანდერძი – სანოტარო ფორმით ან მის გარეშე.

იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტით, რომ შეადგინოთ სანოტარო ფორმით დადასტურებული ანდერძი, გათვალისწინეთ:

- 1) ნოტარიუსის ფუნქციები შეიძლება განახორციელოს არა მხოლოდ ნოტარიუსმა, არამედ ნოტარიუსთან გათანაბრებულმა პირებმა, რომელიც არიან:
  - ა) საავადმყოფოს, ჰოსპიტლისა და სხვა სამურნალო დაწესებულების, სანატორიუმის მთავარი ექიმი, უფროსი, მათი მოადგილე სამედიცინო ნაწილში, მორიგე ექიმი, მოხუცებულთა და ინგალიფთა სახლის დირექტორი ან მთავარი ექიმი – თუ მოანდერძე ამ დაწესებულებაში მკურნალობს ან ცხოვრობს;
  - ბ) საძიებო, გეოგრაფიული და სხვა მსგავსი ექსპედიციის უფროსი – თუ ანდერძე ასეთ ექსპედიციაში იმყოფება;
  - გ) გემის კაპიტანი ან საპარტო ხომალდის მეთაური – თუ მოანდერძე გემზე ან საპარტო ხომალდზე იმყოფება;
  - დ) სამხედრო ნაწილის, შენაერთის, დაწესებულებისა და სასწავლებლის მეთაური (უფროსი), თუ სამხედრო ნაწილების დისლოკაციის ადგილას ნოტა-

- როული არ არის და თუ მოანდერძე სამხედრო მოსამსახურე ან სამხედრო ნაწილში მომსახურე სამოქალაქო პირი ან მათი ოჯახის წევრია; და
- ე) თავისუფლების აღკვეთის ადგილის უფროსი – თუ მოანდერძე თავისუფლების აღკვეთის ადგილებში იმყოფება.
- 2) ანდერძი შეიძლიათ დაწეროთ თქვენი ხელით და დაამოწმებინოთ ნოტარიუსს ან უკარანახოთ და თქვენი სიტყვებით დაწეროს ნოტარიუსმა ორი მოწმის თანდასწრებით; ამ დროს ანდერძი უნდა ნაიკითხოს ნოტარიუსმა და ხელი უნდა მოანეროთ ნოტარიუსისა და მოწმის თანდასწრებით;
- 3) ანდერძი შეიძლება დაიწეროს ხელით და საერთოდ მიღებული ტექნიკური საშუალებებითაც (საბეჭდ მანქანზე, კომპიუტერზე და ა.შ);
- 4) თუკი რაიმე მიზეზით ხელს ვერ აწერთ ანდერძს, შეიძლება თქვენი თხოვნით ხელი მოაწეროს სხვამ, მაგრამ უნდა აღინიშნოს მიზეზი, რის გამოც თქვენ ვერ შეძელით ხელის მოწერა;
- 5) თუ მოანდერძე ყრუ-მუნჯია ან ყრუ-მუნჯი წერა-კითხვის უცოდინარია, ანდერძი უნდა შედგეს ნოტარიუსთან, ორი მოწმის და ისეთი პირის თანდასწრებით, რომელსაც შეუძლია გააგებინოს მას საქმის არსი და დაადასტუროს ხელმოწერით, რომ ანდერძის შინაარსი შესაბამება მოანდერძის ნებას;
- 6) თუ მოანდერძე ბრმაა ან წერა-კითხვის უცოდინარი, ანდერძი უნდა შედგეს ნოტარიუსთან სამი მოწმის თანდასწრებით, რის შესახებაც უნდა გაკეთდეს სათანადო ჩანაწერი, რომელიც წამკითხება მოანდერძეს. ამ დროს არ შეიძლება ანდერძის ჩამნერიც და მისი წამკითხელიც ერთი და იგივე პირი იყოს. და ჩანაწერში უნდა მიეთითოს თუ ვინ გააკეთა ჩანაწერი და ვინ წაუკითხა მოანდერძეს. ჩანაწერს ხელი უნდა მოაწერონ მოწმებმა და დაადასტუროს ნოტარიუსმა.
- 7) ანდერძის მოწმები ან შეიძლება იყვნენ: არასრულწლოვნები, ქმედუუნარი პირები, ანდერძით მემკვიდრე და მისი წათესავები დამტავალი და აღმავალი ხაზით, დები, ძმები, მეუღლე და ასევე საანდერძო დანაკისრის მიმღები (იხ. თავი საანდერძო დანაკისრის შესახებ);
- 8) ნოტარიუსს, სხვა პირს, რომელმაც დაადასტურა ანდერძი, მოწმეს, ასევე პირებს, რომლებმაც ხელი მოაწერეს ანდერძს მოანდერძის ნაცვლად, უფლება არ აქვთ სამკვიდროს გახსნამდე გაამხილონ ცნობები, რომლებიც შეეხება ანდერძის შინაარსს, მის შედგენას, შეცვლას ან გაუქმებას.
- 9) შეგიძლიათ ანდერძი დაწეროთ თქვენი ხელით, ხელი მოანეროთ და შემდგომ გადასცეთ დალუქულ კონვერტში ნოტარიუსს სამი მოწმის თანდასწრებით, რაც დასტურდება კონვერტზე ხელის მოწერით. ასეთი ანდერძი შეინახება ნოტარიუსთან.

სასამართლომ ბათილად ცნო ანდერძი რომელიც არ იყო შედგენილი მიწმეთა თანდასწრებით და მიუთითა შემდეგზე: „პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას ანდერძის ბათილობის შესახებ, რადგან სამოქალაქო კოდექსის 1357-ე მუხლით გათვალისწინებულია ანდერძის სანოტარო ფორმა. კერძოდ, ანდერძი შედგენილი და ხელმოწერილი უნდა იყოს მოანდერძის მიერ და დაადასტურებულ ნოტარიუსის მიერ, ხოლო წარმოდგენილი ანდერძი შედგე-



ნილია თვით ნოტარიუსის მიერ, ხელმოწერა კი გ. კ-იანს ეკუთვნის. სამოქალაქო კოდექსის 1358-ე მუხლით დასაშვებია ნოტარიუსის მიერ მოანდერძის სიტყვების ჩანერა ორი მოწმის თანდასწრებით. ანდერძის შედგენისას დარღვეული აღნიშნული მოთხოვნაც, რადგან მოწმეთა თანდასწრების შესახებ ანდერძში მოთითებული არ არის. სამოქალაქო კოდექსის 1403-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად ანდერძი სასამართლოს მიერ შეიძლება ბათილად იქნას ცნობილი, თუ იგი შედგენილია კანონით დადგენილი წესების დარღვევით. მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგენილია, რომ სადაც ანდერძის შედგენისას დაირღვა კანონით დადგენილ წესი. აქედან გამომდინარე, პალატას მართებულად მიაჩნია ქვემდგომი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილება ანდერძის ბათილად ცნობის შესახებ. „საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა საქმე №33/638-01)

საქართველოს უზე-

ნაესმა სასამართლომ ანდერძის შედგენასთან დაკავშირებულ ერთერთ საქმეში მიუთითა

შემდეგი: „პალატა ვერ გაიზარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ ნოტარიუსის მიერ ანდერძის ჩანერა და მისი წაკითხვა მოანდერძისათვის სამოქალაქო კოდექსის 1361-ე მუხლის დარღვევას, ვინაიდან ამ მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით, ჩამნერი და წამკითხველი შეიძლება იყოს მოწმეც, მაგრამ ჩამნერი არ უნდა იყოს წამკითხველი. მოცემული ნორმა პირდაპირ მიუთითებს, რომ ერთი და იგივე პირის მიერ ანდერძის ჩანერისა და წაკითხვის აკრძალვა ეხება მოწმეებს და არა ნოტარიუსს. ამდენად, ნოტარიუსს სადაც ანდერძის შედგენისას 1361-ე მუხლის მესამე ნაწილის მოთხოვნა არ დაურღვევია. პალატა თვლის, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად გან-

მარტა სამოქალაქო კოდექსის 1366-ე მუხლი. ამ ნორმის მიხედვით, ანდერძის ტექსტი შეიძლება გადმოიცეს საერთოდ მიღებული ტექნიკური საშუალებებით, ოლონდ ხელმოწერილი უნდა იყოს მოანდერძის მიერ; ასეთ შემთხვევაში ანდერძის შედგენა და მოანდერძის მიერ ხელის მოწმების თანდასწრებით, რომლებიც დაადასტურებენ, რომ ანდერძი შედგენილი იყო მათი თანდასწრებით ტექნიკური საშუალების გამოყენებით. დაადასტურება უნდა მოხდეს ანდერძზე ხელის მოწერის შემდეგ დაუყოვნებლივ, თქვენი და მოწმეების თანდასწრებით ანდერძზე შესაბამისი წარწერის გაეთებით და მოწმეთა სახელის, გვარისა და საცხოვრებელი ადგილის მითითებით.

**თუ აირჩევთ ანდერძის შედგენის მარტივ წერილობით ფორმას, ნოტარიული დადასტურების გარეშე, გაითვალისწინეთ:**

- 1) ანდერძი შეგიძლიათ დაწეროთ თქვენი ხელით და მოანეროთ ხელი; თუკი გადაწყვიტათ ანდერძი საერთოდ მიღებული ტექნიკური საშუალებით შეადგინოთ (საბეჭდ მანქანზე, კომპიუტერზე აკრეფით და ა.შ), მაშინ ანდერძის შედგენა და მასზე ხელის მოწმე, რომ უნდა მოხდეს არა მოწმის თანდასწრებით, რომლებიც დაადასტურებენ, რომ ანდერძი შედგენილი იყო მათი თანდასწრებით ტექნიკური საშუალების გამოყენებით. დაადასტურება უნდა მოხდეს ანდერძზე ხელის მოწერის შემდეგ დაუყოვნებლივ, თქვენი და მოწმეების თანდასწრებით ანდერძზე შესაბამისი წარწერის გაეთებით და მოწმეთა სახელის, გვარისა და საცხოვრებელი ადგილის მითითებით.
- 2) შესაძლებელია როგორც ღია ისე დახურული ანდერძის შედგენა. დახურულ ანდერძს მოწმეები არ ეცნობიან, ისინი მხოლოდ ესწრებიან მის შედგენას და ადასტურებენ ხელმოწერით, რომ ანდერძი შედგენილ იქნა თქვენს მიერ პირადად, მაგრამ ისინი არ გაცნობიან ანდერძის შინაარსს.
- 3) ანდერძმი უნდა მიუთითოთ მისი შედგენის თარიღი. თარიღის არასწორობამ შეიძლება გამოიწვიოს ანდერძის ბათილობა, ოლონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი წარმოიშვა ეჭვი, რომ ანდერძის შედგენის, მისი შეცვლისას ან გაუქმებისას, ასევე რამდენმე ანდერძის არსებობისას – მოანდერძე არ იყო ქმედუნარიანი და ასეთი ეჭვი ვერ გაქარწყობდა.

დაადასტურებენ, რომ ანდერძი შედგენილი იყო მათი თანდასწრებით ტექნიკური საშუალების გამოყენებით; მოწმეთა მიერ ანდერძის დადასტურება უნდა მოხდეს მოანდერძის მიერ ანდერძზე ხელის მოწერის შემდეგ დაუყოვნებლივ; მოცემულ ნორმაში იგულისმება ორი მოწმის დასწრების ვალდებულება ტექნიკური საშუალებებით ანდერძის გადმოცემისა და მოანდერძის მიერ ხელმოწერის ფროს, რაც ერთდროული პროცესებია. პრმა პირის მიერ განკარგულების გაცემის სანოტარო წესით დამოწმების პროცედურა ცალკე მუხლითაა მოწესრიგებული; საქმის მასალებით, ნოტარიუსმა ხელით შედგენილი ანდერძი წაიღო სანოტარო კანტორაში დასაბეჭდად, სადაც ანდერძის ტექსტის დაბეჭდვას მოწმები არ დასწრებიან, მაგრამ მისი წაკითხვა და დამოწმება მოხდა მოანდერძე ე. ქ-ძისა და სამი მოწმის თანდასწრებით.“ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა საქმე №33/380-01)

## ადერძით ქონების განაწილება

მოანდერძეს უფლება აქვს ანდერძით განსაზღვროს თითოეული მემკვიდრის წილი ან მიუთითოს თუ რომელ მემკვიდრეზე კონკრეტულად რომელი ქონება გადავა. მაგალითად, ერთ შვილს დაუტოვოს სახლი, მეორეს კი – ავტომობილი. თუკი ანდერძით ასეთი რამ განსაზღვრული არ არის, მაშინ ქონება თანაბრად ნაწილდება ყველა მემკვიდრეს შორის.

შესაძლოა ასევე, მოანდერძემ მხოლოდ ერთი მემკვიდრის წილი განსაზღვროს, დანარჩენისა კი არა, მაგალითად: მემკვიდრებად დასახელებული არიან მეუღლე და სამი შვილი, და ანდერძში მითითებულია, რომ მამკვიდრებლის საცხოვრებელი სახლი რჩება მეუღლეს, შვილების წილზე კი არაფრია ნათევამი. ასეთ შემთხვევაში, შვილები თანაბრად მიიღებენ საცხოვრებელი სახლის გარდა არსებულ ქონებას. მოანდერძეს არ აქვს უფლება ანდერძით სხვას დაავალოს მემკვიდრეთათვის წილის და მისი ოდენობის განსაზღვრა. ეს მხოლოდ მოანდერძის პრეროგატივაა.

სასურველია, ანდერძის შედგენისას ზუსტად დასახელდნენ მემკვიდრები, ისე რომ მათი იდენტიფიცირება არ იყოს რთული, თუმცა იმ შემთხვევაში, თუ შემკვიდრე განსაზღვრულია ისეთი ნიშნებით, რომელსაც რამდენიმე პირი შეიძლება შეესაბამებოდეს (მაგალითად, ანდერძში წერია, რომ მამკვიდრებლის ავტომობილი ერგოს მამკვიდრებლის შვილს, მას კი 2 შვილი ჰყავს), მაშინ ეს პირები სამკვიდროდან თანაბარ წილს მიიღებენ.

თუკი ანდერძით განსაზღვრული რომელიმე მემკვიდრე ისე გარდაიცვალა, რომ სამკვიდროს მიღება ვერ მოასწორო, მაშინ მისი წილი სხვა ანდერძით მემკვიდრეებზე გადანაწილდება.



### სასურველია, ანდერძის შედგენისას

#### ზუსტად დასახელდნენ მემკვიდრეები



საინტერესოა, რომ ანდერძით შეიძლება გათვალისწინებულ იქნას არა მხოლოდ ის ქონება, რომელიც პირს ანდერძის შედგენის დროს გააჩნია, არამედ მომავალი ქონებაც – რომელიც ანდერძის შედგენისას მას ჯერ კიდევ არ გააჩნდა, მაგრამ სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის ასეთი ქონება მისი საკუთრება იქნება.

მოანდერძეს უფლება აქვს ანდერძში დასახელოს ის პირი, რომელიც მიიღებს მემკვიდრეობას იმ შემთხვევაში, თუკი ანდერძით დაიიშნული მემკვიდრე სამკვიდროს გახსნამდე

გარდაიცვლება, სამკვიდროს არ მიიღებს ან მემკვიდრეობის უფლება ჩამოერთმევა (სათადარიგო მემკვიდრე).

მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ, თუკი ანდერძი ნოტარიუსთან ინახებოდა, ნოტარიუსი ნიმუში დღეს და გააცნობს ანდერძის შინაარსს დაინტერესებულ პირებს, რაზეც დგება სათანადო ოქმი. კონვერტი, რომელშიც ანდერძია მოთავსებული, თუ დალუქული იყო, უნდა აღინიშნოს ლუქის მთლიანობის შესახებ.

## ანდერძის შეცვლა, მომლობა ძალადაკარგულად ან ბათილად ცნობა

მოანდერძეს ყოველთვის შეუძლია შეცვალოს ან მოშალოს ანდერძი რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილი ხერხით:

- ა) ახალი ანდერძის შედგენით, რომელიც პირდაპირ აუქმებს წინა ანდერძს ან მის ნაწილს;
- ბ) სანოტარო ორგანოში განცხადების შეტანით და
- გ) ანდერძის ყველა ეგზემპლარის მოსპობით მოანდერძის მიერ ან ნოტარიუსის მიერ მოანდერძის განკარგულებით.

ანდერძი, რომელიც გაუქმდა შემდგომ შედგენილი ანდერძით, არ აღდგება თუნდაც უფრო გვიან შედგენილი ანდერძი გაუქმდება.

თუ შედგენილია რამდენიმე ანდერძი, რომლებიც ავსებენ და მთლიანად არ ცვლიან ერთმანეთს, მაშინ ყველა ანდერძი ინარჩუნებს ძალას. თუკი რამდენიმე ანდერძთაგან ერთ-ერთი შედგენილია სანოტარო ფორმით, დანარჩენი კი არა, უპირატესობა ენიჭება სანოტარო ფორმით შედგენილ ანდერძს.

სანოტარო ფორმით შედგენილი ანდერძი არ შეიძლება მოიშალოს სხვა ფორმის ანდერძით.



### ანდერძი ძალას კარგავს, თუ:

- ა) პირი, რომლის სასარგებლობაც იყო შედგენილი, გარდაიცვალა მოანდერძეზე ადრე;
- ბ) ნაანდერძევი ქონება დაიკარგა მოანდერძის სიცოცხლეში ან მოანდერძებ იგი გაასხვისა;
- გ) ერთადერთი მემკვიდრე უარს იტყვის სამკვიდროს მიღებაზე.

ანდერძი ბათილად ჩაითვლება ზოგადად ისეთი პირობების არსებობისას, რომლებიც საერთოდ გარიგების ბათილობას იწვევენ. გარდა ამისა, ბათილია ისეთი საანდერძო განკარგულებები, რომლებიც ენიანალმდეგებიან კანონს ან საზოგადოებრივ ინტერესს, აგრეთვე ისინი, რომლებიც გაუგებარი ან წინაალმდეგობრივია.

ანდერძი სასამართლოს მიერ შეიძლება ბათილად იქნას ცნობილი, თუკი იგი შედგენილია კანონით დადგენილი წესების დარღვევის, და ასევე ისეთ მდგომარეობაში, როცა პირს არ შეეძლო თავისი მოქმედების გაცნობერება და მართვა.

თუკი ანდერძით ისეთი ნივთი ან ფულადი თანხა ერგება მემკვიდრეს, რომელიც სამკვიდრო ქონებაში არ არის – ასეთი საანდერძო განკარგულება ბათილია. ბათილია ასევე ისეთი განკარგულებაც, რომლითაც განსაზღვრულა, რომ:

- 1) მემკვიდრე სამკვიდროს იღებს მხოლოდ განსაზღვრული დროით;
- 2) მემკვიდრე სამკვიდროს იღებს არა მამკვიდრებლის გარდაცვალების დღიდან, არამედ უფრო გვიან და

ასევე იმ შემთხვევაში, თუ მითითებულია პირი, რომელზედაც უნდა გადავიდეს

სამკვიდრო მემკვიდრის გარდაცვალების შემდეგ. მაგალითად როცა ანდერძით დედა სახლს უტოვებს თავის შვილს, და ანდერძში ასევე უთითებს, რომ შვილის გარდაცვალების შემთხვევაში სახლი დარჩეს მის ძმისშვილს (ან ნებისმიერ სხვა პირს).

გარდა ამისა, მემკვიდრემ შეიძლება სარჩელით მოითხოვოს ისეთი საანდერძო განკარგულების ბათილად ცნობა, რომლის შესრულებაც მას არ შეუძლია ჯანმრთელობის მდგომარეობის ან სხვა ობიექტური მიზეზების გამო.

თუკი ანდერძი მოიცავს რამდენიმე საანდერძო განკარგულებას, და მათგან ერთ-ერთი ბათილია ან ძალა დაკარგა, ეს არ გულისხმობს, რომ სხვა საანდერძო განკარგულებებიც ბათილი ან ძალადაკარგული იქნება. თუკი არ არსებობს მათი ბათილობის ან ძალადაკარგულად ცნობის საფუძვლები, მაშინ დაარჩენი განკარგულებები ჩვეულებრივ ძალაში რჩება.

ანდერძის ბათილობაზე დავა შეუძლიათ როგორც კანონით მემკვიდრებს, ისე სხვა დაინტერესებულ პირებს. დაინტერესებულ პირად ჩაითვლება ისეთი პირი, რომლისთვისაც ანდერძის ბათილობა კონკრეტულ სამართლებრივ შედეგებს იწვევს.

კანონით განსაზღვრულია ვადა, რომ-

ლის განმავლობაშიც შეიძლება ანდერძის ბათილობაზე დავა. ეს ვადაა ორი წელი სამ- კვიდროს გახსნის დღიდან.

ანდერძის ბათილად ცნობის ვადებთან დაკავშირებით საინტერესო და ვფიქრობთ, სწო- რი განმარტება გააკეთა საქართველოს უზენაესმა

სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში, სადაც მიუთითა შემდეგი: “თუ მემკვიდრემ ან სხვა დაინტერესებულმა პირმა ანდერძის შესახებ შეიტყო ექსი თვის ვადა- ში, სამოქალაქო კოდექსის 1408-ე მუხლის შესაბამისად ანდერძის ნამდვილობა შეიძლება სადაც გახადოს იმ გარემოებათა გამო, რომლებიც გარიგების ბათილობას იწვევს და ამ საფუძვლით სამოქალაქო კოდექსის 1409-ე მუხლის შესაბამისად სარჩელის შეტანის ვადაა ორ წელი, რაც გამოითვლება სამკვიდროს გახსნის დღიდან. განსახილველი დავის შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია ფაქტობრივი გარემოება, რომ მოანდერძე გარდაიცვალა 1995 წელს. მოპასუხე პ. თ-ძეს სამოქალაქო კოდექსის 1424-ე მუხლით დადგენილ ვადაში ანდერძის საფუძველზე კანონით დადგენილი წესით არ გაუფორმებია სამკვიდროს მიღება. მოსარჩელეებს: მ. თ-ძისა და ნ. ძ-ისათვის სადაც ანდერძის შესახებ ცნობილი გახდა 1999 წელს. ასეთ ვითარებაში საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სამოქალაქო კოდექსის 1408-ე მუხლის საფუძველზე ანდერძის ბათილობის მოთხოვნის შესახებ 1409-ე მუხლით გათვალისწინებული ორწლიანი სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა უნდა აითვალოს არა მამკვიდრებლის გარდაცვალების დღიდან, 1995 წლიდან, არა- მედ სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის შესაბამისად, იმ მომენტიდან, როცა მემკ- ვიდრემ ან სხვა დაინტერესებულმა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო ანდერძის არსებობის შესახებ. (უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა საქმე №3-კ-1241-02)

უნდა გახსოვდეთ, რომ ანდერძის შედეგისას მნიშვნელოვანია მამკვიდრებლის ნება. ნებისმიერი ზემოქმედება მამკვიდრებელზე მისი ნების საწინააღმდეგოდ, იძლე- ვა ანდერძის ბათილობის საფუძველს. თუკი მამკვიდრებელი ჯანმრთელობის მდგო- მარეობის გართულების შემთხვევაში მოკლებულია შესაძლებლობას ხელი მოაწეროს ანდერძის, ხშირად იყენებენ მის ასეთ მდგომარეობას საკუთარი ინტერესების გათვა- ლისწინებით, რაც კანონსაწინააღმდეგო და დაუშვებელია.

ანდერძის კანონიერი ძალა ენიჭება მხოლოდ მაშინ, როდესაც ის კანონის ძალი-

ანდერძის ბათილობაზე დავა შეუძლიათ როგორც კანონით მემკვიდრეებს,

ისე სხვა დაინტერესებულ პირებს.



თაა შედგენილი. შესაძლებელია პირი არ იყოს სასამართლოს მიერ ცნობილი ქმედუ-უნაროდ, მაგრამ ანდერძის შედგენის დროს არ ჰქონდეს გონივრული განსჯის უნარი, ასეთი ანდერძიც ბათოლია. სასამართლომ ბათილად ცნო რა ანდერძი, რომელიც შედ-გენილი იყო “ქმედუუნარო” მოანდერძის მიერ, განმარტა შემდეგი: “ქეთევან მ-ძემ 1995 წლის 2 ივნისს შეადგინა ანდერძი, რომლის თანახმად მთელი თავისი ქონება უანდერ-და თავის ძმისშვილს – ქეთევან ვაქტორის ასულ მ-ძეს. ამ ანდერძის ბათილად ცნობის მოთხოვნას საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ ანდერძი შედგენილია ისეთ მდგო-მარეობაში, როცა მოანდერძეს არ შეეძლო შეეგნო თავისი მოქმედების მნიშვნელობა და წარემართა იგი. სამოქალაქო კოდექსის 1403-ე მუხლის თანახმად, ანდერძი ბათილად ჩაითვლება იმ პირობების არსებობისას, რომელიც ინვენს გარიგების ბათილობას საერ-თოდ, ხოლო ამავე კოდექსის 58-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილია, რომ ბათილია ნების გმოვლენა სულით ავადმყოფის მიერ, როცა ეს არ შეესაბამება რეალური ვითა-რების სწორად აღქმას, თუნდაც ის არ იყოს სასამართლოს მიერ ქმედუნარიანად ცნო-ბილი.” (უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა საქმე №3-კ-37-05)

ანდერძის ბათილად ცნობა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ცალ-სახად და უდავოდ დადგენილი იქნება, რომ საანდერძო განკარგულების ნება არ გამო-უხატავს მოანდერძეს, დარღვევები, რომელიც გამოიწვევს ანდერძის ბათილად ცნობას, უნდა იყოს ისეთი მნიშვნელოვანი, რომელიც საეჭვოს გახდის მოანდერძის ნების ნამდვი-ლობას, ერთ-ერთ საქმეში, სადაც მოსარჩეული ითხოვდა ანდერძის ბათილად ცნობას უზე-ნესმა სასამართლო განმარტა შემდეგი: “სამოქალაქო კოდექსის 1358-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მოანდერძის სიტყვებით ნოტარიუსის მიერ ჩაწერილი ანდერძი უნდა წაიკითხონ მოანდერძემ და ნოტარიუსმა და მოწმის თანდასწრებით მოეწეროს ხე-ლა, რაც მოცემულ შემთხვევაში დაცულია. ეს დადასტურებულია სააპელაციო სასამართ-ლოს განჩინების სამოტივაციო ნაწილით და ამის საწინააღმდეგო არგუმენტების შესახებ კასატორი საკასაციო საჩივარში ვრცინანირ მტკიცებულებაზე ვერ მიუთითობს. სამოქა-ლაქო კოდექსის 1366-ე მუხლით ჩამოყალიბებული ანდერძის ტექნიკური საშუალების გამოყენებით შედგენის წესა და მითითებულია, რომ იგი შეიძლება გადმოიცეს საერთოდ მიღებული ტექნიკური საშუალებებით, ოღონდ ხელმოწერილი უნდა იყოს მოანდერძის მიერ. ასეთ შემთხვევებში, ანდერძის შედგენა და მოანდერძის მიერ ხელის მოწერა უნდა მოხდეს ორი მოწმის თანდასწრებით, რომლებიც დაადასტურებენ, რომ ანდერძი შედგე-ნილი იყო ტექნიკური საშუალების გამოყენებით მოწმეთა მიერ ანდერძის დადასტურება უნდა მოხდეს მოანდერძის მიერ ანდერძზე ხელის მოწერის შემდეგ დაუყოვნებლივ, მო-ანდერძისა და ორივე მოწმის თანდასწრებით, ანდერძზე სათანადო წარწერის გაკეთებით მოწმეთა სახელის, გვარისა და საცხოვრებელი ადგილის მითითებით. მართალია, სამოქა-ლაქო კოდექსის 1358-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისადასშვებია, რომ ანდერძი მოანდერძის სიტყვებით ჩაწეროს ნოტარიუსმა ორი მოწმის თანდასწრებით, მაგრამ მო-ცემულ შემთხვევაში ნოტარიუსის მიერ დარღვეული იყო კანონის ზემოთ მითითებული მოთხოვნა, რასთან დაკავშირებითაც სააპელაციო სასამართლომ სწორად მიუთითა, რომ მარტოოდე ეს გარემოება ვერ გახდებოდა ანდერძის ბათილობის საფუძველი, ვინაიდან ანდერძის იურიდიული ბუნებიდან გამომდინარე, ანდერძის ბათილობისას უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება მაკვიდრებლის ნების ნამდვილობას.

ანდერძის გაფორმებასთან დაკავშირებული ყველა წესი, რომელიც დადგენილი იყო ნორმატიული აქტებით, ემსახურება ერთადერთ მიზანს, მოანდერძის ნების სწო-რად დაფიქსირებას. აქტადან გამომდინარე, ანდერძის ბათილობას საფუძვლად შეიძლე-ბა დადებოდა მხოლოდ ისეთი დარღვევა, რომელიც საეჭვოს გახდიდა მოანდერძის ნე-ბის ნამდვილობას. მოანდერძის ნების ნამდვილობის შემთხვევაში, ნოტარიუსის მიერ სანოტარო დოკუმენტაციის უსწორო გაფორმება ანდა სამსახურებრივი დაუდევრობა

საფუძვლად ვერ დაედებოდა ანდერძის ბათილობას. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ სწორად მიუთითა, რომ სამოქალაქო კოდექსის 1403-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ანდერძი შეიძლება ბათილად იქნას ცნობილი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი იგი კანონით დადგენილი წესის დარღვევითა შედგენილი. საკასაციო სასამართლო განმარტავს: სამოქალაქო კოდექსის 1403-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ანდერძი შეიძლება ბათილად იქნას ცნობილი, თუკი იგი შედგენილია კანონით დადგენილი იმ წესების დარღვევით, რომელიც ბუნდოვანს ხდის ან ეჭვის ქვეშ აყენებს მოანდერძის ნებას, რასაც მოცემულ შემთხვევაში არ ჰქონია ადგილი.” (უზრუნველისი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა საქმე №ას-632-919-04)

## საანდერძო დანაკისრი (ლეგატი)

სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულია იმის შესაძლებლობა, რომ მამკვიდრებელმა ანდერძით განსაზღვროს არა მხოლოდ ის, თუ ვის დარჩება მისი ქონება, არამედ გარკვეული ვალდებულებებიც დააკასროს ერთ ას რამდენიმე მემკვიდრეს სამკვიდრო ქონების სარჯზე (საანდერძო დანაკისრი, ლეგატი).

მაგალითად, როგორ უნდა მოიცემოთ თუკი გსურთ, რომ თქვენი გარდაცვალების შემდეგ თქვენი შორუული ნათესავი ან ახლო მეგობარი, რომელიც თქვენთან ერთად ცხოვრობს თქვენს სახლში არ დარჩეს უბინაოდ, როცა სახლი მემკვიდრეობით თქვენს შვილს გადაეცემა?

ან თუკი გსურთ, რომ თქვენი მამაპაპისეული მიწის ნაკვეთი არ იყოს მოუვლელი და მოხდეს მასზე არსებული ძეირგასი ნარგავების შენარჩუნება?

ასეთ შემთხვევებში, თქვენ შეგიძლიათ ანდერძით ერთ ან რამდენიმე მემკვიდრეს დაავალოთ, პირველ შემთხვევაში: აცხოვროს თქვენს სახლში ის პირი, რომელსაც თქვენ დაასახელებთ და რომელიც თქვენთან ერთად ცხოვრობდა არანაკლებ ერთი წლის განმავლობაში სამკვიდროს გახსნამდე – ამ პირის სიცოცხლის ბოლომდე; ხოლო მეორე შემთხვევაში: მოუაროს მიწის ნაკვეთს და არ გაანადგუროს მასზე არსებული ნარგავები იმდენი ხანი, რამდენსაც ანდერძში მიუთითეთ. საანდერძო დანაკისრი შეიძლება იყოს როგორც ზემოთ სხეულში ვალდებულებები, ასევე სხვა მრავალგვარი ხასიათის მოქმედების განხორციელება, მაგალითად სამკვიდრო ქონებაში შემავალი ქონებიდან გარკვეული ნივთის სხვისოთვის გადაცემა საკუთრებაში, სარგებლობაში ან სხვა სანივთო უფლებით, განსაზღვრული სამუშაოს შესრულება, მომსახურების განევა და ა.შ. გარდა ამისა, საანდერძო დანაკისრის შეიძლება ჰქონდეს ასევე საერთო სასარგებლო მიზანი, საქველმოქმედო, რელიგიური და ა.შ და ატარებდეს როგორც ქონებრივ, ისე არაქონებრივ ხასიათს.

თუმცა, გასათვალისწინებელია ის, რომ საანდერძო დანაკისრის შესრულება უნდა მოხდეს სამკვიდრო ქონების ღირებულების ფარგლებში, ანუ სამკვიდრო ქონება მატერიალურად უნდა იძლეოდეს იმის საშუალებას, რომ თქვენმა მემკვიდრემ შეძლოს დანაკისრის შესრულება სწორედ ამ ქონების და არა თავისი ქონების სარჯზე.

როგორც ზემოთ აღნიერილ პირველ შემთხვევაში განვიხილეთ, შესაძლებელია მამკვიდრებელმა იმ მემკვიდრეს, რომელსაც მემკვიდრეობით რჩება ბინა ან სხვა საცხოვრებელი სადგომი, დააკისროს ვალდებულება ამ სახლით სამისდღეში სარგებლობის უფლება მისცეს მამკვიდრებლის მიერ დასახელებულ პირს. ასეთ შემთხვევაში, თუნდაც ბინა სხვაზე გაიყიდოს, სარგებლობის უფლება ძალას ინარჩუ-

სამისდღეში სარჩებლობის

**უფლება –**

სარგებლობის უფლება მთელი სიცოცხლის განხავლობაში



ნებს და ანდერძში დასახელებულ პირს უფლება რჩება მისი სიცოცხლის ბოლომდე იცხოვროს ბინაში. ეს უფლება არ გადავა მის მემკვიდრეობზე, და არც მისი ოჯახის წევრებზე გავრცელდება, თუკი ეს პირდაპირ არ არის აღნიშნული ანდერძში.

თუ საანდერძო დანაკისრის შესრულება რამდენიმე მემკვიდრეს აქვს დავალებული, თითოეული ასრულებს მას სამკვიდროში მისი წილის პროპორციულად, თუ ანდერძით სხვა რამ არ არის დადგენილი. თუკი ის მემკვიდრე, რომელსაც დანაკისრის შესრულება დაევალა სამკვიდროს გახსნამდე გარდაიცვალა, ან მან მემკვიდრეობაზე უარი განაცხად, მაშინ დანაკისრის შესრულების ვალდებულება გადადის სხვა მემკვიდრეობზე, რომლებმაც მისი წილი მიიღო.

## საანდერძო დანაკისრის

### მიმღები –

პირი, რომლის



სასარგებლობაც



მემკვიდრეს რაიმე



ვალდებულება აქვს



დანაკისრებული

რელიგიურ ორგანიზაციებს, ფონდებს, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს.

კანონით დადგენილია **საანდერძო დანაკისრის შესრულების სამნილიანი ვადა** სამკვიდროს გახსნის დღიდან. ეს გულისხმობს იმას, რომ პირს, რომლის სასარგებლობაც აქვს მემკვიდრეს რაიმე ვალდებულება დაკისრებული, სამკვიდროს გახსნიდან 3 წლის განმავლობაში შეუძლია მემკვიდრეს მოსთხოვოს ვალდებულების შესრულება. იმ შემთხვევაში, თუკი საანდერძო დანაკისრის საქონო სასარგებლო მიზანი აქვს, მაშინ მისი შესრულების მოთხოვნის უფლება ეძლევათ დაინტერესებულ საზოგადოებრივ და

## ანდერძის აღსრულება

ჩვეულებრივ, ანდერძის აღსრულების მოვალეობა ანდერძით მემკვიდრეებს ეკისრებათ, რომლებსაც შეუძლიათ ანდერძი ან ერთად აღასრულონ, ან მისი აღსრულება ერთ ან რამდენიმე მემკვიდრეს მიანდონ. თუმცა შესაძლოა, ანდერძში მითითებული იყოს სხვა პირიც (ან პირები) ანდერძის აღმსრულებლად. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია, რომ ამ პირმა ანდერძზე ან მასზე დართულ განცხადებაში წერილობით გამოხატოს თანხმობა. გარდა ამისა, ანდერძის აღმსრულებელს შეუძლია წევისმიერ დროს უარი თქვას თავისი მოვალეობის შესრულებაზე, რის შესახებაც წინასწარ უნდა გააფიქსიროს მემკვიდრეები.

შესაძლოა ასევე, ანდერძით განისაზღვროს ცალკე მესამე პირი, რომელსაც დაევალება ანდერძის აღმსრულებლის დანიშვნა და მემკვიდრეთათვის აღნიშნულის შეტყობინება.

ანდერძის აღმსრულებელი მოვალეა, სამკვიდროს გახსნის მომენტიდანვე შეუდგეს სამკვიდროს დაცვასა და მართვას. ის უფლებამოსილია შესარულოს ყველა მოქმედება, რაც აუცილებელია ანდერძის აღსრულებისთვის. თუ ანდერძის აღმსრულებლად რამდენიმე პირია დანიშნული, მათ ურთიერთშეთანხმებით უნდა იმოქმედონ, გარდა იმ მოქმედების შესრულებისას, რომელიც აუცილებელია სამკვიდროს დაცვის მიზნით.

ანდერძის აღმსრულებელს შეიძლება დაევალოს ანდერძის როგორც მთლიანად, ისე მისი ცალკეული განარგულების აღსრულება. იგი თავის მოგალეობებს უსასყიდლოდ ასრულებს, თუმცა შეიძლება გასამრჯველოც მიიღოს თუ ეს ანდერძითა გათვალისწინებული. ასევე მას უფლება აქვს მოითხოვოს სამკვიდროდან იმ აუცილებელი ხარჯების ანაზღაურება, რაც გასწია სამკვიდროს მართვისას.

ანდერძის აღსრულების შემდეგ, აღმსრულებელი მოვალეა მემკვიდრეების მოთხოვნით წარუდგინოს მათ ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ იგი

არ ასრულებს თავის მოვალეობებს, დაინტერესებულ პირებს სასამართლოს მეშვეობით შეუძლიათ მოითხოვონ მისი გადაყენება. თუ აღმსრულებელი განზრას ან უხეში გაუფრთხილობით გადაუხვევს ანდერძით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს და ამით ზიანს მიაყენებს მემკვიდრეებს, მაშინ მან პასუხი უნდა აგოს ამ ზიანისთვის.

## სავალდებულო რიმზი

ანდერძის არსებობის შემთხვევაში, ქონებას იღებენ უშუალოდ ის პირები, რომელიც მოხსენიებული არიან ანდერძში და მემკვიდრეთა კანონით დადგენილი რიგოთბა მხედველობაში აღარ მიიღება. თუმცა აქ არის ერთი გამონაკლისი: თუნდაც არსებობდეს ანდერძი და თუნდაც მისი თანახმად მამკვიდრებლის ქონება მთლიანად გარეშე პირზე ან პირებზე იყოს განაწილებული, პირველი რიგის მემკვიდრეები, ანუ მამკვიდრებლის მეუღლე, შვილი და მშობლები მაინდ იღებენ გარკვეულ წილს ქონებიდან, რასაც სავალდებულო წილი ეწოდება. სავალდებულო წილის ოდენობაა იმ წილის ნახევარი, რასაც მემკვიდრე მიიღებდა ანდერძი რომ არ ყოფილიყო.

### განვიხილოთ ასეთი შემთხვევა:

ვთქვათ, თქვენმა მეუღლემ ანდერძით მთელი თავისი ქონება დაუტოვა ვინმე გ. ს. ქონებას შეადგენდა ერთი საცხოვრებელი სახლი და 5000 ლარი. თქვენი მეუღლის ერთადერთი კანონით მემკვიდრე ხართ თქვენ და ანდერძი რომ არ ყოფილიყო, მთელ ამ ქონებას თქვენ მიიღებდით, თუმცა ვინაიდან არსებობს ანდერძი, თქვენ გაქვთ უფლება მოითხოვოთ როგორც საცხოვრებელი სახლის, ისე ფულადი თანხის ნახევარი, მეორე ნახევარი კი ერგება გ. ს.

თუმცა, ამავე შემთხვევაში, თუკი თქვენს გარდა კანონით მემკვიდრეები არიან ასევე თქვენი მეუღლის მშობლები, მაშინ თქვენი წილი იქნება მთლიანი სამკვიდროს 1/6, ვინაიდან ანდერძის არარსებობის შემთხვევაში, სამკვიდრო ქონება გაიყოფოდა სამად, და თითოეული მემკვიდრე მიიღებდა 1/3-ს.

პრატიკაში ხშირია დაგვბი, როდესაც სავალდებულო წილს ითხოვენ გარდაცვლილის შვილიშვილები, მაშინ როცა ცოცხალი აღარ არის გარდაცვლილის პირველი რიგის მემკვიდრე შვილი, რომელიც თავისთავად არის სავალდებულო მემკვიდრე. აღნიშნულ საკითხზე ასევე საინტერესოა საქართველოს უზენასი სასამართლოს ერთ-ერთი განჩინება. აღნიშნულ საქეზე მოსარჩელე შვილიშვილი ითხოვდა ბებიას სამკვიდროდან სავალდებულო წილის გამოყოფას ე. ი. იმ წილს, რომელსაც მამამისი მიიღებდა ცოცხალი რომ ყოფილიყო.

სასამართლომ საქმეზე განმარტა, რომ „მხარეთა შორის დავა უნდა მოწესრიგდეს სკ-ს 1307-ე და 1371-ე მუხლების საფუძველზე. კერძოდ, 1371-ე მუხლი განსაზღვრავს რა სავალდებულო წილის ცნებას, ადგენს, რომ მამკვიდრებლის შვილებს, მშობლებსა და მეუღლეს, ანდერძის შინაარსის მიუხედავად, ეკუთვნით სავალდებულო წილი, რომელიც უნდა იყოს იმ წილის ნახევარი, რაც თითოეულ მათგანს კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდა. ამავე კოდექსის 1307-ე მუხლის „ა“ პუნქტით, კანონით მემკვიდრეობის დროს მემკვიდრეები შეიძლება იყვნენ პირები, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მამკვიდრებლის სიკვდილის მომენტისათვის. მოცემულ შემთხვევაში, მამკვიდრებლის, ქ. ბ-იას, გარდაცვალებას ნინ უსწრებდა სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე პირის, კასატორის მამის, ბ. ბ-იას, გარდაცვალება. ამდენად, ბუნებრივია, ეს უკანასკნელი მოგვიანებით გარდაცვლილი ქ. ბ-იას სამკვიდრო ქონებაზე სავალდებულო წილის მისაღებად მოწევეული ვერ იქნებოდა.

კასატორ გ. ბ-იას მოთხოვნის უსაფუძვლობას განამტკიცებს სკ-ს 1372-ე მუხლი, რომლის თანახმად სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება ნარმოიშობა სამკვიდ-

როს გახსნის მომენტიდან. სავალდებულო წილთან დაკავშირებული მემკვიდრეობითი ურთიერთობის წარმოშობისათვის აუცილებელია ისეთი იურიდიული ფაქტის დადგომა, ანუ ადამიანის გარდაცვალება ან სასამართლოს მიერ პირის გარდაცვლილად გამოცხადება, რაც იწვევს სამკვიდროს გახსნას (იხ. ს. კ-ს 1319-ე მუხლი). ქ. ბ-ისა ქონებაზე სამკვიდრო გაიხსნა მისი გარდაცვალების შემდეგ და შესაბამისად, სავალდებულო წილის მიღების უფლებითაც შეეძლოთ ესარგებლათ მხოლოდ იმ მომენტისათვის ცოცხალ სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე მემკვიდრეებს.”

სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება წარმოშობა პირის გარდაცვალებისთანავე ან გარდაცვლილად გამოცხადების მომენტიდან და ეს უფლება გადადის მემკვიდრეობით, ანუ თუკი პირი გარდაცვალა მანამ, სანამ მიღებდა მის კუთვნილ სავალდებულო წილს და ვერ მოასწრო სავალდებულო წილის მიღება, მაშინ მისი მემკვიდრეები გახდებიან ამ წილის მიღებით.

სავალდებულო წილში ითვლება ის ქონებაც, რომელიც მიღეთ მამკვიდრებლის სიცოცხლეში. მაგალითად, თუკი თქვენი მშობლების სიცოცხლეში მათ გაჩუქრეს საცხოვრებელი ბინა და მიუთითეს, რომ ეს ჩაითვალოს თქვენს სავალდებულო წილში, და შემდგომ მათ საკუთრებაში არსებული მეორე საცხოვრებელი ბინა ანდერძით სხვა პირს დაუტოვეს – მაშინ თქვენ ველარ მოითხოვთ წილს იმ ბინიდანაც, ვინაიდან თქვენს მიერ მიღებული ბინა ჩაითვლება თქვენს სავალდებულო წილში.

როგორც უკვე განვიხილეთ, შესაძლებელია ანდერძი მოიცავდეს არა მთელ ქონებას, არამედ მის ნანილს. ამ შემთხვევებში, სავალდებულო წილი პირველ რიგში იმ ქონებიდან გამოიყოფა, რომელსაც ანდერძი არ ეხება, ხოლო თუკი იგი არ იქნება საემარისი წილის შესავსებად, გამოიყოფა იმ ქონებიდანაც, რომელიც ანდერძითია გათვალისწინებული.

თქვენ გაქვთ უფლება, უარი თქვათ სავალდებულო წილის მიღებაზე მიღებაზე. ასეთ შემთხვევებში, თქვენ წილი გადანაწილდება ანდერძით მემკვიდრებზე. სავალდებულო წილის მიღება ან მიღებაზე უარის თქმა შეიძლება განხორციელდეს სამკვიდროს გახსნიდან 6 თვის განვალობაში.

სავალდებულო წილის უფლების ჩამორთმევა ხდება იმავე საფუძვლებით, რაც დადგენილია ზოგადად მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევისთვის (იხ. ქვეთავი „მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის საფუძვლები და პირობები“). ასეთ შემთხვევაშიც სავალდებულო წილი გადანაწილდება ანდერძით მემკვიდრეებზე. სავალდებულო წილის ჩამორთმევის მოთხოვნით, სასამართლოში სარჩელი შეიძლება აღდრას არა მარტო მემკვიდრემ მეორე მემკვიდრის წინააღმდეგ, არამედ თავად მამკვიდრებელმაც ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში, თუ სურს რომ მისმა მემკვიდრეებმა არც სავალდებულო წილი მიიღონ.

საქართველოს უზენაშია სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში, სადაც იხილებოდა მემკვიდრეობის ჩამორთმევის საკითხი, განმარტა შემდეგი: “გიორგი და მედიო ჯ-ევბის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს რა მოპასუხეთა ულიოს მემკვიდრედ ცნობა, საოლქო სასამართლომ მხარეთა შირის არსებულ დავას სავსებით სწორ სამართლებრივი შეფასება მისცა და დაუშვებლად მიიჩნა სამოქალაქო კოდექსის 1310-ე მუხლის გამოყენება. აღნიშნული წირმით, არც კანონით და არც ანდერძით, მემკვიდრე არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც განზრას ხელს უშლიდა მამკვიდრებელს მის უკანასკნელი წების განხორციელებაში და ამით ხელს უწყობდა თავის ან მისი ახლობელი პირების მოწვევას მემკვიდრეებად ან სამკვიდროში მათი წილის გაზრდას,

ანდა ჩაიდინა განზრახი დანაშაული ან სხვა ამორალური საქციელი მოანდერძის მიერ ანდერძში გამოითქმული უკანასკნელი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ თუ ეს გარე-მოქმები დადასტურდება სასამართლოს მიერ (ულირსი მემკვიდრე), სამოქალაქი კო-დექსის 1306-ე მუხლის პირველი ნაწილით კი მამკვიდრებლად მიიჩნევა გარდაცვლილი პირი, რომლის ქონებაც სხვა პირებზე კანონით ან ანდერძით მემკვიდრეობით გადადის. ამავე კოდექსის 1312-ე მუხლის თანახმად, ულირსი მემკვიდრისთვის მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის თაობაზე სასამართლოსათვის სარჩელით მიმართვის უფლება-მოსილება გააჩნიათ მხოლოდ იმ პირებს, რომელთათვისაც მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა განსაზღვრულ ქონებრივ შედეგებს იწვევს. მოცემულ შემთხვევაში, მო-სარჩელები თვითონვე წარმოადგენს სავარაუდო მამკვიდრებელს და ულირს მემკ-ვიდრედ ცნობას მათვის არავითარი ქონებრივი შედეგი არ მოყვება. (საქართველოს უზრიგოვანი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის საქმე №ას-169-496-05)

## საგვიდრო გახსნა

**სამკვიდრო გახსნის დრო:** სამკვიდრო იხსნება პირის გარდაცვალების დღეს ან პირის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღეს. კომლის საერთო ქონებაზე სამკვიდრო გაიხსნება კომლის ბოლო წევრის გარდაცვალების დღეს.

**სასამართლოს განმარტებით:** სამოქალაქი კანონმდებლობა სამკვიდროს გახსნას უკავშირებს ისეთი იურიდიული ფაქტების დადგომას, როგორიცაა მამკვიდრებლის გარდაცვალება ან სასამართლოს მიერ პირის გარდაცვლილად გამოცხადება. სამო-ქალაქი კოდექსის 1320-ე მუხლის თანახმად, სამკვიდროს გახსნის დროდ ითვლება მამკვიდრებლის გარდაცვალების ან პირის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღე.

მოცემულ შემთხვევაში, პათუმის საქალაქო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების განხილვის საგანს წარმოადგენდა არა მ. ვ-ძის გარდაცვლილად გამოცხადება, არამედ მისი გარდაცვალების თარიღის დადგენა და ასეთად 1941 წლის სექტემბერი იქნა მიჩნეული. ამდრნად, სამოქალაქი კოდექსის 1320-ე მუხლიდან გამომდინარე, ამ შემთხვევაში სამკვიდროს გახსნის საფუძვლს არ წარმოადგენს პირის გარდაცვლილად გამოცხადება. ის გარემოება, რომ პათუმის საქალაქო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილებით დადგენილი არ არის 1941 წლის სექტემბრის კონკრეტული რიცხვი, როდესაც მ. ვ-ძ გარდაცვალა, ვერ იქნიებს გავლენას საქმის შედეგზე, რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში ასეთი კონკრეტული თარიღის არსებობა სამკვიდროს გახსნასთან მიმართებით, საქმისთვის მნიშვნელოვანი არ არის. ამასთან, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ მ. ვ-ძის გარდაცვლილად გამოცხადების შემთხვევაშიც, სამოქალაქი კოდექსის 22-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, სამკვიდროს გახსნის დროდ მაინც 1941 წლის სექტემბერი ჩაითვლებოდა, რამდენადაც კანონის მითითებული წორმა უშვებს გამონაკლისს და საომარი მოქმედებების გამო დაღუპვებისა სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს, პირის გარდაცვალების დღედ აღიაროს მისი სავარაუდო დაღუპვების დღე. (საქართველოს უზრიგოვანი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა საქმე №ას-კ/870-1084-08)

**სამკვიდროს გახსნის ადგილი:** სამკვიდროს გახსნის ადგილად ითვლება მამკვიდრებლის საცხოვრებელი ადგილი, ხოლო თუ ეს უკანასკნელი ცნობილი არ არის, ის ადგილი, სადაც იმყოფება სამკვიდრო ქონება. თუ აღნიშნული ქონების სხვადასხვა ნაწილი სხვადასხვა ადგილასაა, მაშინ სამკვიდროს გახსნის ადგილად ჩაითვლება უძ-

რავი ქონების, ან მისი ფასეული ნაწილის ადგილსამყოფელი, ხოლო თუ სამკვიდრო ქონებაში არ შედის უძრავი ქონება, მაშინ მოძრავი ნივთების ან მისი ძირითადი ნა-ნილის ადგილსამყოფელი.

თუკი მამკვიდრებელი გარდაცვალებამდე დროებით საზღვარგარეთ ცხოვრობდა, მაშინ სამკვიდროს გახსნის ადგილი ის ადგილი ჩაითვლება, სადაც მამკვიდრებელი ჩვეულებრივ ცხოვრობდა საქართველოდან გამგზავრებამდე, ხოლო თუკი მამკვიდ-რებელი მუდმივად საზღვარგარეთ ცხოვრობდა, მაშინ სამკვიდროს გახსნის ადგილია ის ქვეყანა, სადაც ის ცხოვრობდა. ამ შემთხვევაში, სამკვიდროს მიღება მემკვიდრე-ების მიერ ხდება იმ სახელმწიფოს კანონმდებლობის მიხედვით, სადაც გარდაიცვალა მამკვიდრებელი.

## სამკვიდროს მიღება

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1424 მუხლის თანახმად სამკვიდრო მიღე-ბულე უნდა იქნას 6 თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან. 1421 მუხლის თანახმად კი სამკვიდროს მიღების ორი ფორმა არსებობს: პირველი – მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სამკვიდროს გახსნის ადგილის სანოტარო ბიუროში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ, და მეორე შემთხვევა – როცა მემკვიდრე ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროს ფლობას და მარ-თვას. როგორც ვხედავთ, კანონი ორ ალტერნატივას უშვებს და ორივე კანონიერია. სამკვიდროს მიღების უფლების განხორციელება შეიძლება მოხდეს როგორც ნების პირდაპირი გამოყვლინის საფუძველზე, როდესაც მემკვიდრე სამკვიდროს გახსნის ად-გილის სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ, ისე კონკლუდენტური მოქმედებებით, რაც ადასტურებს მემკვიდრის სურვილს სამ-კვიდროს მიღების თაობაზე. ასეთი მოქმედება შეიძლება გამოიხატოს იმაში, რომ მემკვიდრე შეუდგა იმ ქონების ფლობას ან მართვას, რომლითაც მამკვიდრებელ-თან ერთად სარგებლობდა მის სიცოცხლეში. ასეთი მოქმედება უდავოდ ადასტუ-რებს სამკვიდროს მიღებას. ქონების ფაქტობრივ ფლობაში უმეტესად იგულისხმება საცხოვრებელი სახლი, რომელიც მემკვიდრე მამკვიდრებელთან ერთად ცხოვრობ-და. იგივე შინაარსისა მემკვიდრის მიერ მამკვიდრებლის ნივთების თავის საცხოვრე-ბელ ადგილზე გადატანა, ფასიანი ქალალდების შენახვა და სხვ. სამკვიდროს მიღების აქტად ითვლება ერთ-ერთი მემკვიდრის მიერ სამკვიდროს გაყოფის თაობაზე სასა-მართლოში სარჩელის ნარდგენაც. სამკვიდროს ფაქტობრივი მართვა ისეთი შემთხვე-ვაა, როცა მემკვიდრე, მართალი, არ ფლობს მამკვიდრებლის ქონებას, მაგრამ მისი მოქმედებებიდან დასტურდება, რომ თავისად მიიჩნევს – იხდის ქონების გადასახადს, განკარგავს ამ ქონებიდან მიღებულ შემოსავალს და სხვ.

ამ კუთხით ძალიან სინტერესობა სასამართლოს ერთ-ერთი განჩინება, სადაც სა-აპელაციო პალატიმ მიიჩნია, რომ სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღებისთვის აუცილებელი არ არის მუდმივად სამკვიდროში შემავალი ქონების პყრობა ან ფაქტობ-რივი ფლობა. მნიშვნელოვანია იმ გარემოების გარკვევა, თუ მემკვიდრეები რამდენად თავისად მიიჩნევდნენ დანაშთ ქონებას და რა ფაქტობრივი დამოკიდებულება ჰქონდათ აღნიშნული ქონების მიმართ. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხის მიერ წარმოდგე-ნილი მტკიცებულებებით ვერ დადასტურდა, რომ ნ. და დ. ბ-ებს სადაცო სახლ-კართან შეხება არ ჰქონდათ, მითუმეტეს ვერ დადასტურდა ის ფაქტი, რომ ნ. ჯ-ის გარდაცვალე-ბის შემდეგ დ. და ნ. ბ-ებს ბებიასთან – ე. ნ-სთან ურთიერთობა განცვეტილი ჰქონდათ, მაშინ როდესაც მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები საპირისპირო ფაქტებს ადასტურებს. პალატამ ჩათვალა, რომ დ. და ნ. ბ-ების მხრიდან ლ. ჯ-ისათ-

ვის მატერიალური დახმარების განევა არ იყო მნიშვნელოვანი და ამოსავალი წერტილი 6. ჯ-ის სამკიდროს მიღების ან არმილების შეფასების მიზნებისათვის. პალატამ ყურადღება გაამახვილა ასევე იმ გარემოებაზე, რომ მოპასუხის პოზიციის თანახმად, სარემონტო სამუშაოები, თუ ამგვარი რამ დადასტურებული იქნებოდა მოსარჩელეთა მიერ, ჩატარებულია 3-4 წლის წინ. პალატამ მიიჩნია, რომ სარემონტო სამუშაოები მეტკუიდრის გარდაცვალებიდან 6 თვითი ვადის გასვლის შემდეგაც რომ ჩატარდეს, აღნიშნული ადასტურებს იმ ფაქტს, რომ რემონტის ჩამტარებული მემკვიდრეები, რომელთაც კავშირი არ გაუწყვეტიათ პაპის დანაშთ ქონებასთან, სხვლს თავისად დაგულებულად მიიჩნევდნენ. ამდენად, პალატამ დადგენილად ჩათვალა, 6. და დ. ბ-ების მიერ პაპს – 6. ჯ-ის ქონებაზე სარემონტო სამუშაოების ჩატარების ფაქტი. ამასთან, მიიჩნია, რომ სამკიდრო ქონებაზე მნიშვნელოვანი სარემონტო სამუშაოების ჩატარება წინავდა იმას, რომ მემკვიდრე ქონებას თავისად მიიჩნევდა, უფრო მეტიც, საწინააღმდევო ფაქტის დაშვება გულისხმობს იმას, რომ 6. და დ. ბ-ებს მხოლოდ ლ. ჯ-ის სასარგებლოდ უნარმოებიათ სახლის სარემონტო სამუშაოები, რაც, ლ. ჯ-ისათვის გარკვეული დახმარების განევას გულისხმობს, რასაც ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად უარყოფენ მოპასუხე მხარის მოწმეები.

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ 6. ჯ-ის გარდაცვალების შემდეგ, დ. და 6. ბ-ები ახორციელებდნენ პაპის დანაშთი ქონების ფლობას. მათ ძირითად საცხოვრებელ ადგილს თელავი არ წარმოადგენდა, თუმცა, იქ პერიოდულად ჩადიოდნენ, მზრუნველობას უწევდნენ მოხუც ბებიას, უვლიდნენ საკარმილამოს. ლ. ჯ-ი, რომელიც ცხოვრობდა თელავში მამისეულ სახლში, პედაგოგი იყო მონქმეთა ჩვენებების საფუძველზე, პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ სახლისათვის საჭირო სარემონტო და სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებას უზრუნველყოფნენ დ. და 6. ბ-ები.” (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა საქმე წეს-კ/980-1014-/2011)

როგორც აღვნიშნეთ, სამკიდროს მიღების უფლების განხორციელება შეიძლება მოხდეს როგორ სამკიდროს გახსნის ადგილის სანოტარო ორგანოში განცხადების შეტანის გზით, ასევე კონკლუდენტური მოქმედებებით, რაც ადასტურებს მეტკუიდრის სურვილს სამკიდროს მიღების თაობაზე. ერთ-ერთ საქმეში “დადგენილი ფაქტობრივი გარემოების სამართლებრივი შეფასებისას, სააპელაციო სასამართლო მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1421-ე, 1424-ე, 1433-ე მუხლებზე და განმარტა, რომ აღნიშნული ნორმები სამკიდროს მიღებას უკავშირებს მამკიდრებლის გარდაცვალებიდან 6 თვის განმავლობაში მემკვიდრის მიერ სამკიდროს დაუფლების სურვილს, რისი ერთ-ერთი გამოხატულებაცაა დანაშთი ქონების ფაქტობრივად მიღება და მართვა. ამდენად, სამკიდრო ქონების ფაქტობრივად დაუფლების დროს განმსაზღვრელია იურიდიული მნიშვნელობის მქონე ელემენტები: სამკიდროს მართვა-დაუფლებისკენ მიმართული ნება და ამგვარი ნების მამკიდრებლის გარდაცვალებიდან 6 თვეში გამოვლენა. ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში 6. კ-მცენობრივი წარმოადგინა სამკიდრო ქონების ფაქტობრივი ფლობით მიღების (დაუფლების) დამადასტურებელი მტკიცებულებები, პალატამ მიიჩნია, რომ 6. კ-ს კანონით დადგენილ ვადაში ნება მემკვიდრების მიღების თაობაზე არ გამოუვლენია, რაც მისი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი იყო.” (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა საქმე წეს-კ/1637-1627-/2011)

იმისთვის, რომ პრობლემები არ შეგვექმნას,

#### სამკვიდრო მოწმობა –

 დოკუმენტი, რომლის თანახმადაც თქვენ წარმოადგენთ გარდაცვლილი პიროვნების მემკვიდრე რეს და იღებთ იმ უფლება-მოვალეობებს რასაც გარდაცვლილი ფლობდა

უმჯობესია, თუკი მემკვიდრეობის მისაღებად, მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ, პირდაპირ მიმართავთ ნოტარიუსს, არ გაუშვებთ 6 თვიან ვადას, 6 თვის შემდეგ აიღებთ სამკვიდრო მოწმობას და უკვე თავისუფლად გადაიფორმებთ თქვენს სახელზე მამკვიდრებლის დანატოვარ უძრავ თუ მოძრავ ქონებას. სამკვიდრო მოწმობის გაცემა 6 თვის გასვლამდეც შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნოტარიუსს მოეპოვება ცნობა, რომ მოწმობის მთხოვნელ პირთა გარდა, სხვა მემკვიდრეები არ არიან. სამკვიდრო მოწმობა შეიძლება გაიცეს როგორც მთელ სამკვიდროზე, ასევე მის ნაწილზე. მოწმობა მიეცემა ყველა მემკვიდრეს ერთად ან თითოეულს ცალ-ცალკე მათი სურვილისამებრ.

**ძალიან საჯაროებსოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილება, სადაც სასამართლო იმსჯელა საკუთრების მოწმობის ბათილობასა და მემკვიდრედ ცნობის თაობაზე:**

მას შემდეგ, რაც მოსარჩელემ შეიტყო სხვა მემკვიდრეებზე სამკვიდრო მოწმობის გაცემის შესახებ, მიმართა ნოტარიუსს სამკვიდროდან მის კუთვნილი წილის მიღების თხოვნით, თუმცა, ნოტარიუს ნ.თ-ას დადგენილების თანახმად ა.კ-ეს უარი უთხრა სამკვიდრო მოწმობის მიღებაზე იმ საფუძლით, რომ მას სამკვიდრო კანონით დადგენილ ვა-

დაში არ მიუღია, ამასთან, გარდაცვლილი თ.კ-ის კუთვნილ 1/2 უძრავ წილზე სამკვიდრო მოწმობა გაცემული იყო. პალატამ მიუთითა, რომ აღნიშნული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, სამკვიდროს მიღების ფაქტის დასადასტურებლად საჭიროა სამკვიდროს გახსნის დღიდან ექვსი თვის განმავლობაში ან სანოტარო ორგანისტვის განცხადით მიმართვა, ანდა სამკვიდრო ქონების ფაქტობრივი ფლობა და დაუფლება. აღნიშნული ნორმა იმპერატორული დანახესის სახით ადგენს დროს, რომლის განმავლობაშიც მემკვიდრემ უნდა გამოიქვას სამკვიდროს მიღების სურვილი. სამკვიდროს მისაღებად საჭირო მოქმედებები (სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობა და მართვა, განცხადების შეტანა სანოტარო ორგანოში) ექვსი თვის განმავლობაში უნდა შესრულდეს. დადგენილი ვადის გაშვების შემთხვევაში, მემკვიდრე, როგორც წესი, კარგავს სამკვიდროს მიღების უფლებას და იმისათვის, რომ აღნიშნულ ნორმით დარეგულირდეს განსახილველი ურთიერთობა, სამკვიდროს გახსნიდან ექვსი თვის განმავლობაში მემკვიდრე ფაქტობრივად უნდა დაუფლობის ქონებას ან მართოს იგი.

სამკვიდროს მიღება ცალმხრივი გარიგებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მემკვიდრის მოქმედებები უნდა მიუთითებდნენ მემკვიდრის ნებაზე სამკვიდროს მიღების შესახებ. უნდა არსებობდეს მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღების ნება და დგინდებოდეს სამკვიდროს მიღების მიზნით განხორციელებული მოქმედებების არსებობის ფაქტი, რომლებიც თავის მხრივ ადასტურებენ სამკვიდრო ქონების ფლობასა და მართვას. ა. კ-ე სამკვიდროს მიკუთვნებას ითხოვს იმ საფუძლით, რომ დედის გარდაცვალების შემდეგ იგი ფაქტობრივად დაუფლება მის დაატოვარ სამკვიდრო ქონების ნაწილს. სასამართლომ მიჩნია, რომ აღნიშნულ საქმეზე არ იყო სამკვიდროს ფლობის დამადასტურებელი მტკიცებულებები საქმეში. ნარმოდენილი იყო მხოლოდ მოწმეთა ურთიერთსაწინააღმდეგო წვენებები, რომელთაც საქალაქო სასამართლო სამკვიდროს ფაქტობრივად მიღებულად არ ჩათვალა და მოსარჩელის მოთხოვნა არ დაკმაყოფილა.

კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, თქვენ უფლება გაქვთ განცხადება მემკვიდრეობის მიღების შესახებ შეიტანოთ არა მხოლოდ მამკვიდრებლის საცხოვრებელი ადგილის მხედვით, არამედ საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ნებისმიერ სანოტარო ბიუროში. განცხადების შეტანისას დაგჭირდებათ

სხვადასხვა საბუთები, კერძოდ, გარდაცვალების მოწმობა, ანდერი ან/და თქვენი და მამკაციდრებლის ნათესაობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ამონანერი საჯარო რეესტრიდან ან სხვა ოფიციალური საბუთი უძრავი ქონების შესახებ, თუკი სამკუდო ქონებაში შედის უძრავი ქონება და სხვა. სამკვიდროს მიღება შეიძლება როგორც პირადად, ასევე წარმომადგენლის მეშვეობით. თუკი მემკვიდრე ქმედუუნარო ან შეზღუდულ ქმედუნარიანია, მაშინ იგი მემკვიდრეობას მიღებს მისი კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით.

**როგორც უკვე აღნიშნეთ, სამკვიდრო პირის გარდაცვალებიდან 6 თვის განმავლობაში უნდა იყოს მიღებული. მაგრამ თუკი ვადის გადაცილება მოხდა საპატიო მიზეზით, იგი შეიძლება სასამართლომ აღადგინოს.**

სამკვიდროს მიღების ვადის გადაცილებასთან დაკავშირებით საკმაოდ ხშირია სასამართლოში დავის. განვიხილოთ ერთ-ერთი საქმე.

რ. და ნ.რ.-ებმა სარჩელი აღძრეს სასამართლოში ნ. ა-ის წინააღმდეგ და ითხოვდნენ (თითოეული) 2008 წლის 21 ივნისს გარდაცვლილი მ. ა-ის სამკვიდრო ქონებაზე, მდებარე: მცხეთის რაიონში, სოფელ ...ში, საცხოვრებელი სახლის 1/3 წილზე მესაკუთრედ ცნობას. სასამართლომ “აპელანტის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელეს გაშვებული ჰქონდა სამკვიდროს მიღების 6-თვიანი ვადა, სასაპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა შემდეგ გარემოებათა გამო: სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელე სამკვიდრო ქონების კანონით განსაზღვრულ ვადში ფაქტობრივი დაუფლების დადასტურებას შეეცადა მოწმეთა ჩივნებებით. პალატამ შეაფასა საქმეზე როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის შუამდგომლობით მოწვეული მოწმეების ჩივნებები იმ საკითხთან მიმართებაში, თუ როდის დაეუფლა მოსარჩელე სამკვიდრო ქონებას. სასამართლოს აზრით, აღსანიშნავია, რომ დასახელებულ მოწმეთა ჩივნებათაგან ზოგიერთი არ არის იურიდიული მნიშვნელობის მქონე გარემოების დადგენისათვის ამომზურავი ხასიათის. თუმცა მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური გადანაწილების პრინციპის გათვალისწინებით, პალატამ ჩათვალი, რომ იმ გარემოების დამტკიცება, რომლითაც რ. ა-ს პატიმრობის შემდეგ გააჩნდა სხვა საცხოვრებელი ადგილი, სწორედ ნ. ა-ს ეკისრებოდა, რაც მისი მხრიდან არ განხორციელებულა. იმ პირობებში, როდესაც მხარის ალტერნატივული საცხოვრებლის არსებობა დადასტურებული არ არის, პალატამ ალბათობის მაღალი ხარისხით დადასტურებულად მიიჩნია, რომ საპყრობილოდან გამოსვლის შემდეგ რ. ა-ი სწორედ მამისეულ სახლში გააგრძელებდა ცხოვრებას; საამისოდ არსებობს გაუბათილებული პრეზუმეცია ზემოთ დასახელებული ფაქტისა. ამდენად, პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე მხარე დაეუფლა მამის სამკვიდრო ქონებას კანონით დადგენილ ვადში – 2008 წლის 22 დეკემბრამდე (2008 წლის 21 დეკემბერს იწურებოდა სამკვიდროს მიღების ვადა). იმ შემთხვევაშიც კი, თუკი სასამართლო გაიზიარებდა აპელანტი ნ. ა-ის პოზიციას მოსარჩელის მიერ სამკვიდროს მიღების ვადის გაშვებასთან დაკავშირებით, პალატამ ჩათვალი, რომ მოსარჩელეს გააჩნდა აღნიშნულის საპატიო მიზეზი, კერძოდ, ის გარემოება, რომ მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან 5 თვესა და 27 დღეს მოსარჩელე იმყოფებოდა სასჯელასრულების დაწესებულებაში (2008 წლის 21 ივნისიდან 2008 წლის 18 დეკემბრამდე პერიოდი), მოსარჩელის თავისუფლების აღვეთის ადგილას ყოფნა უკავშირდება დროის განსაზღვრულ მონაცემთ, რაც მართალია, სრულად არ ფარავს სამკვიდროს მისაღებად კანონით გათვალისწინებულ 6-თვიან პერიოდს, მაგრამ უტოვებს მხოლოდ მცირეოდენ დროს მის მისაღებად, კერძოდ, 3 დღეს – 18-დან 21 დეკემბრამდე. შესაბა-

## სამკვიდრო პირის გარდაცვალებიდან 6 თვის განმავლობაში უნდა იყოს მიღებული

### 6 თვის განმავლობაში უნდა იყოს მიღებული

რ. ა-ს პატიმრობის შემდეგ გააჩნდა სხვა საცხოვრებელი დადგენისათვის ამომზურავი ხასიათის. თუმცა მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური გადანაწილების პრინციპის გათვალისწინებით, პალატამ ჩათვალი, რომ იმ გარემოების დადასტურებული არ არის, პალატამ ალბათობის მაღალი ხარისხით დადასტურებულად მიიჩნია, რომ საპყრობილოდან გამოსვლის შემდეგ რ. ა-ი სწორედ მამისეულ სახლში გააგრძელებდა ცხოვრებას; საამისოდ არსებობს გაუბათილებული პრეზუმეცია ზემოთ დასახელებული ფაქტისა. ამდენად, პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე მხარე დაეუფლა მამის სამკვიდრო ქონებას კანონით დადგენილ ვადში – 2008 წლის 22 დეკემბრამდე (2008 წლის 21 დეკემბერს იწურებოდა სამკვიდროს მიღების ვადა). იმ შემთხვევაშიც კი, თუკი სასამართლო გაიზიარებდა აპელანტი ნ. ა-ის პოზიციას მოსარჩელის მიერ სამკვიდროს მიღების ვადის გაშვებასთან დაკავშირებით, პალატამ ჩათვალი, რომ მოსარჩელეს გააჩნდა აღნიშნულის საპატიო მიზეზი, კერძოდ, ის გარემოება, რომ მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან 5 თვესა და 27 დღეს მოსარჩელე იმყოფებოდა სასჯელასრულების დაწესებულებაში (2008 წლის 21 ივნისიდან 2008 წლის 18 დეკემბრამდე პერიოდი), მოსარჩელის თავისუფლების აღვეთის ადგილას ყოფნა უკავშირდება დროის განსაზღვრულ მონაცემთ, რაც მართალია, სრულად არ ფარავს სამკვიდროს მისაღებად კანონით გათვალისწინებულ 6-თვიან პერიოდს, მაგრამ უტოვებს მხოლოდ მცირეოდენ დროს მის მისაღებად, კერძოდ, 3 დღეს – 18-დან 21 დეკემბრამდე. შესაბა-

მისაად, პალატაშ ჩათვალა, რომ მოსარჩელე სამკვიდროს მიღების ნების გამოხატვის შესაძლებლობას მოკლებული იყო რამდენიმე ობიექტური საფუძვლით: უპირველესად, იქედან გამომდინარე, რომ იმყოფებოდა საპყრობილები, და მეორეც: მოსარჩელეს არ გააჩნდა სადავო სახლის დაუფლების რეალური შესაძლებლობა. აღნიშნულთან დაკავშირებით, პალატაშ ყურადღება გაამასხვილა საპელაციო სასამართლოს სხდომაზე თავად 6. ა-ის მიერ გაკეთებულ განმარტებაზე, რომლითაც მან დაადასტურა, რომ რ. ა-მა 2009 წლის თებერვლის ბოლოს შეამტკრია სადავო სახლის კარები და იქ დასახლდა, რაც გამორიცხავდა რ. ა-ის მიერ სამკვიდროს მიღების ნების გამოვლენის შესაძლებლობას. შესაბამისად, პალატაშ ჩათვალა, რომ მას გააჩნდა სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის გაშვების საპატიო მიზეზი. აღნიშნული საპელაციო სასამართლომ სამართლებრივად დააფუძნა სამოქალაქო კოდექსის 1424-ე, 1421-ე და 1426-ე მუხლებზე. (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეცნარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის საქმე №ძას-1292-1312-/2011)

ასევე საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი საქმე, სადაც მოსარჩელე ითხოვდა სამკვიდრო მოწმობის გაუქმებას და სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელებას. აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ (სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლის პირველ ნაწილზე დაყრდნობით) მიიჩნია, რომ მოსარჩელე იყო მამკვიდრებლის ერთადერთი პირველი რიგის მემკვიდრე, რომელმაც მამის გარდაცვალების შესახებ დროულად ვერ შეიტყო. სასამართლომ თავად მოპასუხის გამანარტების საფუძვლზე მიიჩნია, რომ მოპასუხებ მამის გარდაცვალების შესახებ მოსარჩელეს გაზრდის არ აცნობა. აღნიშნული გარემოება დადასტურდა ასევე მოწმეთა ჩვენებებითაც. სასამართლომ აღნიშნულის გამო ჩათვალა, რომ მოსარჩელეს კანონმდებლობით გათვალისწინებული სავალდებულო წილის მისაღებად კანონით დადგენილი ვადა საპატიო მიზეზით გაუშვა, რის გამოც აღნიშნული ვადა პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად აღუდგინა.

ასეთივე გამანარტებას შეიცავს სამკვიდროს მიღების ვადების აღდენაზე სასამართლოს გადაწყვეტილება სადაც მითითებულია შემდეგი: „სამკვიდროს გახსნის შედეგად მემკვიდრეობის მიღებისათვის მხოლოდ მემკვიდრეობის უფლების ქონა საკმარისა არ არის ანუ მხოლოდ უფლების არსებობა არ წარმოშობს იურიდიულ შედეგს. აღნიშნული უფლების სარეალზაფიოდ აუცილებელია კონკრეტული მოქმედების განხორციელება – მემკვიდრეობის მიღება. მემკვიდრეობის სამართალი სამკვიდროს მიღების ორ ფორმას იცნობს, მემკვიდრეობის მიღებას უფლებამოსილ თანამდებობის პირთან ნების გამოხატვითა და კონკლუდებული მოქმედებით. უფლებამოსილ თანამდებობის პირთან ნების გამოხატვა შეზღუდულია დროით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1424-ე მუხლის შესაბამისად, სამკვიდრო მიღებული უნდა იქნას ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან. ამავე კოდექსის 1426-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადა შეიძლება გააგრძელოს სასამართლომ, თუ ვადის გადაცილების მიზეზით საპატიოდ იქნება მიჩნეული. კანონმდებელი საპატიო მიზეზების კრიტერიუმებს არ აკონკრეტებს. აღნიშნული, ყოველი კონკრეტული შემთხვევის თავისებურებიდან გამომდინარებს, თუმცა, სამართლის ზოგადი პრინციპების მიხედვით, სამკვიდროს მიღების ვადის გაშვების საპატიოობის ორი მნიშვნელოვანი საფუძველი უნდა განისაზღვროს: ა. თუ მემკვიდრემ არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა სამკვიდროს გახსნის თაობაზე; ბ. თუ მემკვიდრემ ვადა რაიმე საპატიო საფუძვლით გაუშვა და მან სასამართლოს ვადის აღდენის თაობაზე აღნიშნული საფუძვლის აღმოვლენის შემდეგ მიმართა. (უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეცნარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის საქმე №ძას-851-800-2010)

როგორც სასამართლო პრაქტიკით განიმარტა, მემკვიდრემ საპატიო მიზეზების აღმოვლენის შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს სასამართლოს ვადის აღდენის შესახებ, სასამართლოს განმარტებით: „კანონით განსაზღვრულ ვადაში სამკვიდროს მი-

დების შეუძლებლობაზე მეტყველი გარემოება უნდა ხასიათდებოდეს იმგვარი ნიშნებით, რომ იგი ობიექტურ შესაძლებლობას ართმევდეს მემკვიდრეს, გამოხატოს სამკვიდროს მიღების წება კანონით დადგენილი წესით მთელი ამ ვადის განმავლობაში. კონკრეტული მოქმედების განხორციელების ობიექტურ შესაძლებლობას არ გამორიცხავს პირისათვის ცალკეული საზრუნავისა თუ მოვალეობების არსებობა, ისევე როგორც მისი დამოკიდებულება ამ თუ იმ მოვლენისადმი. ასეთ პირობებში შეიძლება, ადგილი ჰქონდეს მხოლოდ ცალკეული საკოხოსადმი პრიორიტეტის მინიჭებას და არა კონკრეტულ მოქმედების განხორციელების ობიექტურ შეუძლებლობას. საპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ი. კ-ის მეულლის ავადმყოფობა, ისევე როგორც მისი შეიღილის გაუჩინარების ფაქტი, ვერ ჩაითვლებოდა სამკვიდროს მიღების შეუძლებლობის განმაპირობებელ გარემოებად, ვინაიდნ აღნიშნულ მოვლენებს ადგილი არ ჰქონის სამკვიდროს გახსნიდან 6 თვის განმავლობაში. სასამართლო მსჯელობის საგანს კი სწორედ დასახელებული პერიოდში განვითარებული მოვლენების შეფასება წარმოადგენდა. ამ პერიოდში სამკვიდროს მიღების შეუძლებლობის დადასტურების შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებლობა, მოსარჩევეს ემტკიცებინა შემდგომ პერიოდში წარმოშობილი საპატიო მიზანები. გარდა ამისა, მოსარჩევე შემოიფარგლა მხოლოდ ზოგადი მითითებით ავადმყოფობის ფაქტზე და არ დაუკონკრეტებია რა პერიოდიდან ჰქონდა ადგილი ავადმყოფობას ან რაში გამოიხატებოდა იგი. წარდგენილი არ ყოფილა ავადმყოფობის ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულებები. სასამართლომ მოუთითა რომ სამკვიდროს მიღება ცალმხრივი სამოქალაქო სამართლებრივი ბუნებით, არ გულისხმობს მხოლოდ და მხოლოდ პირის ნების ობიექტურად არსებობს გარკვეული სამართლურთოირობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ, არამედ აუცილებელია, აღნიშნული ნება გამოვლინდება. გარკვეულ შემთხვევებში, ნების გამოვლენის ავტონომია კანონისმიერ ჩარჩოებშია მოქცეული. მოცემულ შემთხვევაში, კანონი განამტკიცებს პირის უფლებას, მიღლოს ან არ მიღლოს სამკვიდრო, თუმცა, ანესებს აღნიშნული ნების გამოვლენის ვადასა და წესს.

სამკვიდროს მიღების წების არსებობის შემთხვევაში, წება უნდა გამოვლინდეს სამკვიდროს გახსნიდან 6 თვის განმავლობაში სანოტარო ორგანოსადმი მიმართვით. აღნიშნულ ვადში სამკვიდროს მიღების წების გამოუხატველობა ქმნის სამკვიდროს მიღებაზე წების არარსებობის პრეზუმეციას, შესაბამისად, აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, ქარყულდება მემკვიდროს უფლება სხვა მემკვიდრების თანხმობის გარეშე მიიღოს სამკვიდრო. სამკვიდროს მიღების ვადის გასვლის შემდეგ მემკვიდროს უფლება, მიიღოს წილი სამკვიდროდან, დამოკიდებულია ამ სამკვიდროზე უფლებამოსილი მემკვიდრების წებართვაზე, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში – კანონით განსაზღვრულ ვადაში სამკვიდროს მიღების შეუძლებლობის საპატიო მიზანის არსებობის სასამართლოს მიერ ცნობაზე. სამკვიდროს მისალებად კანონით გათვალისწინებული ვადის გაშვების საპატიოდ მჩნევისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ ამ პერიოდის განმავლობაში მემკვიდრის წების არსებობაზე აპელირება, არამედ მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი ფორმალური საფუძველი – აღნიშნული წების გამოვლენის შეუძლებლობის დადასტურება. როგორც აღინიშნა, ფორმალური საფუძველი მხოლოდ მაშინ არ მიიღება მხედველობაში, როდესაც 6-თვიანი ვადის გასვლის შემდეგ ვადის გამშვები მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღებაზე სხვა მემკვიდრები განაცხადებენ თანხმობას. მოცმეულ შემთხვევაში, კანონით გათვალისწინებული “სხვა მემკვიდრე” გ. ვ-ი იყო, რომელიც არ ეთანხმებოდა ი. კ-ის



გარიგება, თავისი სამართლებრივი ბუნებით, არ გულისხმობს მხოლოდ და მხოლოდ პირის ნების ობიექტურად არ სებობას გარკვეული სამართლურთორთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ, არამედ აუცილებელია, აღნიშნული ნება გამოვლინდება. გარკვეულ შემთხვევებში, ნების გამოვლენის ავტონომია კანონისმიერ ჩარჩოებშია მოქცეული. მოცემულ შემთხვევაში, კანონი განამტკიცებს პირის უფლებას, მიღლოს ან არ მიღლოს სამკვიდრო, თუმცა, ანესებს აღნიშნული ნების გამოვლენის ვადასა და წესს.



მიერ სამკვიდროდან წილის მიღებას. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სამოქალაქო სამართლის კოდექსი იძლევა სამკვიდროს მიღების 6-თვიანი ვადის გაშვების საპატიოდ მიჩნევის შესაძლებლობას, თუ ვადის გადაცილების მიზეზი გამორიცხავს სამკვიდროს მიღების შესაძლებლობას. სასამართლოს განმარტებით, მოცემულ შემთხვევში, საუბარია 6 თვიანი ვადის სრულად გაშვების საპატიობაზე და არა სამკვიდროს გახსნიდან 6 თვიან პერიოდში დროის გარკვეული მონაცემთის ან ამ ვადის გასვლის შემდეგ წარმოშობილი გარემოებების შეფასებაზე. ამასთან, სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ვადის გადაცილების საპატიობა გულისხმობს ისეთი ობიექტური და სუბიექტური გარემოებების ერთობლიობას, რომლებიც შეუძლებელს ხდის პირის მიერ სამკვიდროს მიღების ნების გამოვლენას. სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადა შეიძლება გარკელდეს სასამართლოს მიერ, თუკი იგი ვადის გადაცილების მიზეზებს საპატიოდ ჩათვლისა და აღნიშნული ნორმის ლოგოური ახსნა-განმარტების საფუძვლზე მიიჩნევს, რომ პირმა სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელების მოთხოვნით სასამართლოს უნდა მიმართოს ვადის გაშვების საპატიო საფუძვლის ამონურვისტანავე, დაუყოვნებლივ. ამასთან იგულისხმება, რომ სამკვიდროს გახსნიდან 6 თვის მანძილზე ნების გამოვლენა მთელი ამ პერიოდის განმავლობაში შეუძლებელი იყო და სამკვიდროს მიღებაზე ნების გამოვლენის შეუძლებლობის საფუძვლელი სამკვიდროს გახსნიდან 6 თვის გასვლის შემდეგ ამონისურა. ამდენად, სააპელაციო სასამართლო მიიჩნია, რომ ვადის გაშვების საპატიო საფუძვლები უნდა არსებობდეს სამკვიდროს გახსნიდან 6 თვის განმავლობაში და სამკვიდროს მიღებისათვის კანონით დადგენილი 6 თვიანი ვადის ამონურვიდან ვადის გაგრძელების მოთხოვნით სასამართლოსათვის მიმართვის თარიღიამდე. იმის გათვალისწინებით, რომ ი. კ-ს ასეთი სახის მტკიცება არ განუხორციელების, საქმეზე დადგენილი გარემოებების მიხედვით, სამკვიდროს გახსნიდან 6 თვის განმავლობაში სამკვიდროს მიღების შეუძლებლობის განმაპირობებელ გარემოებებზე არ მიუთითების, სააპელაციო სასამართლომ მისი მოთხოვნა უსაფუძვლოდ ჩათვალა. (უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკორტერების საქმეთა პალატის საქმე №ას-203-196-2012)

იმ შემთხვევაში, თუკი თქვენ სამკვიდროს გახსნიდან 6 თვის გასვლამდე შეუძებით სამკვიდროს ფლობას და მართვას, უფლება არ გაქვთ განკარგოთ სამკვიდრო ქონება მანამ, სანამ არ გავა 6 თვე. თუმცა, ამ წესიდან გამონაკლისია სამკვიდროს ქონებიდან იმ ხარჯების ანაზღაურება, რომელიც საჭირო იყო მამკვიდრებლის მოვლის და მკურნალობისთვის, მისი დაკრძალვისთვის, მამკვიდრებლის რჩენაზე მყოფი პირების შენახვისათვის, ხელფასის გასტურებისთვის და სამკვიდროს დაცვისა და მართვისათვის.

## სამკვიდროს მიღებაზე უარი უნდა გაფორმდეს



### ნოტარიუსთან.

თქვენ უფლება გაქვთ, უარი თქვათ სამკვიდროს მიღებაზე, როგორც პირადად ისე წარმომადგენლის მეშვეობით. უარის თქმისთვის კანონმდებლობით დადგენილია სამთვიანი ვადა, რომელიც აითვლება იმ დღიდან, როცა თქვენ შეიტყვეთ ან უნდა შეგეტყოთ, რომ მიწვეული ხართ სამკვიდროს მისაღებად. საპატიო მიზეზის შემთხვევაში, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს, მაგრამ არა უმეტეს ორი თვესა. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ ფაქტობრივად

შეუდექით სამკვიდროს ფლობას – ამ დროს ეს ვადა შეადგენს 6 თვეს. კანონით აკრძალულია სამკვიდროს მიღებაზე უარი ნაწილობრივ, რაიმე დათქმით ან ვადით. თუკი სამკვიდრო ქონებაში შემავალ, თუნდაც ერთი კონკრეტული ნივთის მიღებაზე ამბობთ უარს, ან დათქვამთ რაიმე პირობას სამკვიდროს მიღებისთვის, ითვლება, რომ თქვენ უარი თქვით სამკვიდროზე. თუმცა ამ წესიდან არსებობს რამდენიმე გამონაკლისი. იმ შემთხვევაში, თუკი არ მისდევთ სოფლის მეურნეობას, შეგიძლიათ უარი თქვათ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის, მოწყობილობის, შრომის იარაღების და პირუტყვის მიღებაზე, რაც არ ჩაითვლება მთლიანად სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმად. ასევე იმ შემთხვევაში, თუ სხვდასხვა საფუძვლით გერგებათ რამდენიმე წილი სამკვიდროდან – მაგალითად, ანდერძით მემკვიდრეც ხართ და სავალდებული წილის მიღების უფლებაც გაქვთ, შეგიძლიათ მიიღოთ ერთი წილი და უარი თქვათ მეორეზე, ან უარი თქვათ ყველაზე.

გასათვალისწინებელია, რომ კანონი იძლევა ასევე იმის საშუალებას სამკვიდროს მიღებაზე უარი თქვათ რომელიმე სხვა მემკვიდრის ან მემკვიდრეუბის სასარგებლოდ. ასეთ შემთხვევაში, თქვენი კუთვნილი წილი ერგება სწორედ იმ მემკვიდრეს, რომლის სასარგებლოდაც გა- ნაცხადეთ უარი სამკვიდროს მიღებაზე. თუმცა, თქვენს მიერ დასახელებული პირი აუცილებლად უნდა იყოს კანონით ან ანდერძით მემკვიდრეთა რიცხვიდან, და არ უნდა იყოს ულირს მემკვიდრედ ცრიბილი ან ანდერძით არ უნდა ჰქონდეთ მემკვიდრების უფლება ჩამორთმეული. თუ უარს რამდენიმე მემკვიდრის სასარგებლოდ იტყვით, მაშინ თქვენვე შეგიძლიათ განსაზღვროთ მათი წილების ოდენობა თქვენი კუთვნილი წილიდან. თუ ასეთი მითითება არ არსებობს, მაშინ წილი მათ შორის თანაბრად განანილდება.


იმ შემთხვევაში, თუ გსურთ სამკვიდროზე უარი თქვათ შევილიშვილის სასარგებლოდ, გაითვალისწინეთ: ასეთი უარი დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამკვიდროს გახსნის დღისათვეს ცოცხალი აღარ არის მისი მშობელი, რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო, ან თუ შვილიშვილი ანდერძით მემკვიდრეა.

თუკი სამკვიდროზე უარს იტყვით, მაგრამ არ დასახელებთ კონკრეტულ პირს, რომლის სასარგებლოდაც უარს აცხადებთ, ამ შემთხვევაში თქვენი წილი განანილდება კანონით მემკვიდრეებს შორის, ხოლო თუ მთელი ქონება ანდერძით იყო განანილდებული, მაშინ – ანდერძით მემკვიდრეებს შორის მათი წილის პროპორციულად.

**სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმა შეუქცევადია!** ანუ თუკი უარი განაცხადეთ, შემდგომ კი გადაიიქირეთ, უკვე ვეღარ შეძლებთ სამკვიდროს მიღებას. ძალიან საინტერესო სასამართლო პრაქტიკა არსებობს სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის თაობაზე. ხშირია შემთხვევები, როცა მიუხედავად იმისა, რომ მემკვიდრე თავის წილ ქონებაზე უარს ამბობბ, უარის თქმის შემდგომ სასამართლოს წესით სადაცოს ხდის აღნიშნულ უარს და სასამართლოს მეშვეობით უნდა, რომ როგორმე მემკვიდრეობის მიღების უფლება მიიღოს. ამ კუთხით საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა.

ერთ-ერთ ასეთ საქმეზე, სადაც მოსარჩელე ითხოვდა მემკვიდრეობის მიღებას და აღნიშნავდა, რომ მემკვიდრეობაზე უარი თავის დროზე იძულებით ათექმევინეს. სასამართლომ მიუთითა შემდეგი: “მოწმეთა ჩვენებით და თავად ნ. თ-შვილის ახსნა-განმარტების საფუძველზე, სააპელაციო პალატამ დადგენილად მიჩნია, რომ ე. გ-შვილმა თავისი ძმის – დ. ჯ-შვილის უძრავ-მოძრავ ქონების მიღებაზე უარის თქმის შესახებ ნება გამოავლინა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მისა ნათესავები – დეიდშვილები თ. ო-ოვი, გ. და ზ. ბ-ურები მივიდნენ მასთან და გარკვეულ შეთანხმებას მიაღწიეს. კერძოდ ე. გ-შვილის

## სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმა შეუქცევადია!



მიერ ფაქტობრივად მხოლოდ იმ პირობით, რომ ფორმალურად უნდა მომზდარიყო დ. ჯ-შვილის დანაშთი სამკვიდროს აღრიცხვა მისი დის – ნ. თ-შვილის სახელზე და დასთან ერთად მასაც მიეცემოდა დასახელებული ბინით სარგებლობის უფლება, ნოტარიუსთან გამოავლინა ნება დ. ჯ-შვილის სამკვიდროს მიღებაზე უარის შესახებ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1435-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არ დაიშვება სამკვიდროს მიღება ან მასზე უარის თქმა ნაწილობრივ, რაიმე დათქმით ან ვადით ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტი განმარტავს, რომ თუ მემკვიდრე უარს იტყვის სამკვიდროს ნაწილზე ან დათქვამს რაიმე პირობას, ითვლება, რომ ის უარს ამბობს სამკვიდროზე. აქედან გამომდინარე, მემკვიდრე, რომელიც უარს ამბობს სამკვიდროს ნაწილზე, ან მის მისალებად დათქვამს რაიმე პირობას, ითვლება რომ უარს ამბობს მთელ სამკვიდროზე, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არასწორია სააპელაციო პალატის განმარტება, რომ ე. გ-შვილის მიერ დ. ჯ-შვილის სამკვიდროს ნაწილზე მისი უფლების (მფლობელობის, სარგებლობის) შენარჩუნების პირობით გამოხატული ნება სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის შესახებ, არ შეიძლება შეფასდეს უარის თქმად სამკვიდროს მიღებაზე, რამდენადაც იგი ერთმნიშვნელოვნად და ცალსახად არ აფიქსირებს სამკვიდროს მიღებაზე უარს. სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ე. გ-შვილის მიერ არ ყოფილა სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმისთვის კანონით გათვალისწინებული სამართლებრივად ვარგისი ნება გამოვლენილი, რაც ნარმოშობს სადაცოდ გამხდარი გარიგების ბათილობის სამართლებრივ საფუძველს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1435-ე მუხლი პირდაპირ უთითებს, რომ სამკვიდროს ნაწილზე უარის თქმა, ან მის მისალებად რაიმე პირობის დათქმა ითვლება მთელ სამკვიდროზე უარის თქმად. შესაბამისად, სააპელაციო პალატის მიერ აღნიშნული მუხლის განმარტება არასწორია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 85-ე მუხლის თანახმად, გარიგების დადების მიზნით იმ პირის იძულება (ძალადობა ან მუქრა), რომელმაც დადო ეს გარიგება, ანიჭებს ამ პირს გარიგების ბათილობის მოთხოვნის უფლებას.

კოდექსის 86-ე მუხლი განმარტავს, რომ გარიგების ბათილობას იწვევს ისეთი იძულება, რომელსაც თავისი ხასიათით შეუძლია გავლენა მოახდინოს პირზე და აფიქრებინოს, რომ მის პიროვნებას ან ქონებას რეალური საფრთხე ემუქრება. ამავე დროს, იძულების ხასიათის შეფასებისას მხედველობაში მიღება პირთა ასაკი, სქესი და ცხოვრებისეული გარემოებინი. სამოქალაქო კოდექსის 87-ე მუხლში ცალსახად არის მითითებული, რომ იძულება გარიგების ბათილობის მოთხოვნის საფუძველია მაშინაც, როცა იგი მიმართულია გარიგების ერთ-ერთი მხარის მეულლის, ოჯახის სხვა წევრების ან ახლო ნათესავების წინააღმდეგ. მოსარჩევე – ე. გ-შვილი საქმის პირველ ინსტანციაში განხილვისას უთითებს, რომ მისი დიშვილი – ზ. თ-შვილი იძულებით ცდილობდა და ერთმუნებინა იგი სამკვიდროზე ეთქვა უარი. ემუქრებოდა მას და მის შვილს მოკვლით, აყენებდა მათ ფიზიკურ შეურაცხოფას, რის შედეგად მოსარჩევე სააგადმყოფოშიც მოხვდა. საქმის სააპელაციო ინსტანციაში განხილვისას ე. გ-შვილის ნარმომადგენელმა განმარტა, რომ გამოვლენილი ნება წარმოადგენდა მოსარჩევეზე განხორციელებული იძულებისა და მოტყუების შედეგს. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლოს განჩინებაში იძულების, როგორც გარიგების ბათილობის მოთხოვნის საფუძვლის შესახებ არ უმსჯელია. საკასაციო პალატის მოსაზრებით, სასამართლოს უნდა გამოეკვლა და ემსჯელა, არსებობდა თუ არა იძულების ფაქტი მოსარჩელისა და მისი შვილის მიმართ მოპასუხის შვილის – ზ. თ-შვილის მხრიდან. სასამართლოს ასევე უნდა გაეთვალისწინებინა იძულების (ასეთის არსებობის დადგენის შემთხვევაში) ხასიათი, მოსარჩელის ასაკი, სქესი და ცხოვრებისეული გარემოებანი. სააპელაციო სასამართლომ კი, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მითითებული საკითხების თაობაზე საერთოდ არ იმსჯელა და ე. გ-შვილის სარჩელი დააკმაყოფილა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1435-ე მუხლის არასწორი განმარტების საფუძველზე. (უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა საქმე №ას-578-544-2010)

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა მემკვიდრე დაუუფლება სამკვიდროს და 6 თვის ვადის გასვლის შემდეგ სამკვიდრო მოწმობის აღებისას უარს ამბობს სამკვიდროს მიღებაზე სხვა მემკვიდროს სასარგებლოდ. აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა შემდეგი:

“საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს პოზიციას, რომ ვინაიდან ც. ე-ძემ კანონით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ მიმართა სანოტარო ორგანოს სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის შესახებ განცხადებით, აღნიშნულ ნების გამოვლენას იურიდიული ძალა არ ჰქონდა. მოცემულ საქმეზე დადგენილია, რომ ც. ე-ძემ სამკვიდრო ფაქტობრივი ფლობით მიიღო. სამოქალაქო კოდექსის 1433-ე მუხლის მიხედვით, მიღებული სამკვიდრო მიმართა სანოტარო ითვლება მემკვიდრეობის გასხვის დღიდან. იმავე კოდექსის 1447-ე მუხლის მიხედვით, მემკვიდრეს რომელიც ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროს ფლობას ან მართვას, სამკვიდროს მისაღებად დადგენილი დროის განმავლობაში შეუძლია უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე, რის შესახებაც განცხადებით უნდა მიმართოს სანოტარო ორგანოს. 1424-ე მუხლის მიხედვით კი, სამკვიდრო მიღება უნდა მოხდეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ც. ე-ძე 2003 წლის 18 სექტემბერს, ანუ სანოტარო ორგანოში განცხადების შეტანისას, სამკვიდროს მისაღებად მიწვეული მემკვიდრე კი არ იყო, არამედ სადაც ქონების 1/2 წილის მესაკუთრე, შესაბამისად, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს პოზიციას, რომ 2003 წლის 18 სექტემბრის განცხადება სამკვიდროს მიღების შემდეგ მემკვიდრე არ მიიღებს ზომებს უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის – სამკვიდრო მოწმობის მისაღებად, ეს არანაირ გავლენას არ მოახდენს სამკვიდროს მიღებაზე. სამკვიდრო მოწმობა ადასტურებს მასში მითითებული პირის მიერ სამკვიდროს მიღების ფაქტს. ამდენად, სასამართლომ განმარტა, რომ სამკვიდროს მიღება ყოველთვის წინ უსწრებს სამკვიდრო მოწმობის გაცემას. შესაბამისად, სკ-ს 1450-ე მუხლი ადგენს კონკრეტულად სამკვიდროს მიღების ან მიღებაზე უარის თქმასთან დაკავშირებულ ხანდაზმულობის ვადას და არა სამემკვიდრეო მოწმობის გასაჩივრების ვადას.

## გაითვალისწინეთ!

სამკვიდროს მიღება ან მიღებაზე უარის თქმა შეიძლება სადაც გახდეს ორი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როცა დაინტერესებულმა პირმა შეიტყო შედავების საფუძვლი. ძალიან საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი განჩინება [7], სადაც სასამართლოში მოსარჩევე დავობდა და სამკვიდრო მოწმობის გაუქმების და მემკვიდრედ ცნობის თაობაზე. აღნიშნულ საქმეზე საკასაციო პალატამ გაიზიარა კასატორის მოსაზრება, რომ სასამართლომ არასწორად გამოიყენა კანონი, როდესაც სკ-ს 1450-ე მუხლით სამკვიდროს მოწმობის გაუქმებაზე მოთხოვნა ხანდაზმულად მიიჩნია. აღნიშნული ნორმით დადგენილია, რომ სამკვიდროს მიღება ან მიღებაზე უარის თქმა შეიძლება სადაც გახდეს ორი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როცა დაინტერესებულმა პირმა შეიტყო, რომ ამისათვის არსებობს სათანადო საფუძველი. სამკვიდროს მიღება ან მასზე უარის თქმა ცალმხრივი გარიგებაა, რომლითაც გამოხატულია მემკვიდრის ნება სამკვიდროს მიღებასთან დაკავშირებით. თუკი სამკვიდროს მიღების შემდეგ მემკვიდრე არ მიიღებს ზომებს უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის – სამკვიდრო მოწმობის მისაღებად, ეს არანაირ გავლენას არ მოახდენს სამკვიდროს მიღებაზე. სამკვიდრო მოწმობა ადასტურებს მასში მითითებული პირის მიერ სამკვიდროს მიღების ფაქტს. ამდენად, სასამართლომ განმარტა, რომ სამკვიდროს მიღება ყოველთვის წინ უსწრებს სამკვიდრო მოწმობის გაცემას. შესაბამისად, სკ-ს 1450-ე მუხლი ადგენს კონკრეტულად სამკვიდროს მიღების ან მიღებაზე უარის თქმასთან დაკავშირებულ ხანდაზმულობის ვადას და არა სამემკვიდრეო მოწმობის გასაჩივრების ვადას.

მიხედვით, მიღებული სამკვიდრო მემკვიდრის საკუთრებად ითვლება მემკვიდრეობის გასხვის დღიდან. იმავე კოდექსის 1447-ე მუხლის მიხედვით, მემკვიდრეს რომელიც ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროს ფლობას ან მართვას, სამკვიდროს მისაღებად დადგენილი დროის განმავლობაში შეუძლია უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე, რის შესახებაც განცხადებით უნდა მიმართოს სანოტარო ორგანოს. 1424-ე მუხლის მიხედვით კი, სამკვიდრო მიღება უნდა მოხდეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ც. ე-ძე 2003 წლის 18 სექტემბერს, ანუ სანოტარო ორგანოში განცხადების შეტანისას, სამკვიდროს მისაღებად მიწვეული მემკვიდრე კი არ იყო, არამედ სადაც ქონების 1/2 წილის მესაკუთრე, შესაბამისად, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს პოზიციას, რომ 2003 წლის 18 სექტემბრის განცხადება სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმად ვერ ჩაითვლება, მაგრამ აღნიშნული არ ნიშნავს, რომ მითითებულ დოკუმენტს სამართლებრივი მნიშვნელობა არ აქვს. სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის მიხედვით, ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოოდენ გამოიყენის სიტყვასიტყვითი აზრიდან. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე,

ც. ე-ძის მიერ 2003 წლის 18 სექტემბერს გამოვლენილი ნება უნდა შეფასდეს მისი შინაარსის გათვალისწინებით. ნების გამოვლენის ინტეპრეტაციისათვის აუცილებელია იმის გათვალისწინება, თუ რა საპოლოო შედეგს ისახავდა სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე მიზნად. სანოტარო აქტიდან ნათლად ირკვევა, რომ ც. ე-ძეს სურდა ქუთასიში, ... ქუჩის მე-4 შესახვევის 116-ში მდებარე სახლის მისი კუთვნილი წილი გადასულიყო დედის, ა. ვ-ძის, საკუთრებაში, შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მითოებული სანოტარო აქტი ჩუქების ხელშეკრულებად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც აკმაყოფილებს ამ ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებულ სავალდებულო მოთხოვნებს.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ 2003 წლის 23 სექტემბერს ა. ვ-ძე მთლიანი უძრავი ქონების მესაკუთრე იყო და შეეძლო თავისუფლად განეკარგა იგი, ამდენად, ამ უკანას კუნელის მიერ მ. ა-ძის სახელზე გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულების ბათილად (ცნობის საფუძველი არ არსებობდა და სადაც უძრავი ქონების ერთადერთი მესაკუთრე მ. ა-ძეა, რაც სააპელაციო სასამართლოს არ გაუთვალისწინებია.

სამართლებრივი შეფასების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ც. ენდელების სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მ. ა-ძის შეგებებული სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო: სამოქალაქო კოლექტის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია მფლობელს მოსობოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება. ვინაიდნ მოცემულ შემთხვევში ც. ა-ძემ თავად განკარგა სამკვიდროს კუთვნილი წილი და 2003 წლის 23 სექტემბერის ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველი არ არსებობს. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ც. ე-ძე მ. ა-ძის კუთვნილ უძრავ ქონებას სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ფლობს. აღნიშნულის გათვალისწინებით, მესაკუთრე მ. ა-ძე უფლებამოსილია, სადაც უძრავი ქონება ც. ე-ძის უკანონო მფლობელობიდან გამოითხოვოს. (უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა საქმე №ას-377-357-2011)

## უკირატესი მასაცილერობის უფლება

მართალია, ზოგადად ყველა მემკვიდრეს თანაბარი უფლებები გააჩნია სამკვიდრო ქონებასთან დაკავშირებით, მაგრამ კანონი იცნობს შემთხვევებს, როცა კონკრეტულ მემკვიდრეს აქვს უპირატესი უფლება მოითხოვოს სამკვიდროში შემავალი ამა თუ იმ ქონების მემკვიდრეობით მიღება. ასეთი შემთხვევაა, როცა მემკვიდრეს და მამკვიდრებელს რამე ქონება ჰქონდათ საერთო საკუთრებაში. მაგალითად, მმა და შვილი ფლობდნენ სანარმოს თანასაკუთრების უფლებით. ამ დროს, შვილს აქვს სანარმოს წილის მიღების უპირატესი უფლება, როგორც თანამესაკუთრეს.

იგივე შემთხვევაა მაშინაც, როცა ერთ-ერთი მემკვიდრე მამკვიდრებელთან ერთად ცხოვრიბდა ამ უკანას კუნელის საცხოვრებელ სახლში არანაკლებ ერთი წლის განმავლიბაში სამკვიდროს გახსნამდე. ამ დროსაც ასეთ მემკვიდრეს აქვს უპირატესი უფლება მოითხოვოს მისი წილის შესაბამისად, საცხოვრებელი სახლის, ბინის და სხვა სადგომის, ასევე საოჯახო ნივთების გადაცემა.

თუკი მემკვიდრე გამოიყენებს თავის უპირატეს უფლებას და მიიღებს კონკრეტულ ქონებას, როს გამოც შემცირდება სხვა მემკვიდრეთა წილი, მაშინ მათ უნდა მიეცეთ შესაბამისი ფულადი ან ქონებრივი კომპენსაცია. უპირატესი უფლების მქონე მემკვიდრებების მოთხოვნით, სასამართლოს უფლება აქვს გადაავადოს კომპენსაციის გადახდა მისი მოცულობის გათვალისწინებით, მაგრამ არა უმეტეს ათი წლის ვადით.

საქართველოს უზენასიმა სასამართლომ ერთ-ერთი საქმეში მიუთითა: 1480-ე მუხლის შესაბამისად, მემკვიდრეებს, რომლებსაც მამკვიდრებელთან ერთად აქვთ საერთო

საკუთრების უფლება ქონებაზე, უპირატესი უფლება აქვთ ამ ქონების მემკვიდრეობაზე, რომელიც საერთო საკუთრებაში შედის. მოცემულ შემთხვევაში, არც მოსარჩელეს და არც მოპასუხეს მამკვიდრებელ ე.ჩ.-სთან საერთო ქონება ამ სამკვიდროში არ გააჩნდათ, ამიტომ კასატორის პრეტენზია უპირატესი მემკვიდრეობის მინიჭების შესახებ უსაფუძვლოა. სსკ-ის 1481-ე მუხლის შესაბამისად, ქონების გაყოფისას მემკვიდრეს, რომელიც სამკვიდროს გაყოფისას არანაკლებ ერთი წლის მანძილზე ცხოვრობდა მამკვიდრებელთან ერთად, აქვს სამკვიდროდან საცხოვრებელი სახლის, ბინის ან სხვა საცხოვრებელი სადგომის მიღების უპირატესი უფლება. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ მემკვიდრების სამკვიდროს გახსნამდე ერთი წლით ადრე და მის შემდეგაც, ცხოვრობენ სამკვიდროში. აქედან გამომდინარე, უპირატესობის რომელიმე მემკვიდრეზე მინიჭება გამორიცხულია. მოცემულ დავის გადაწყვეტის დროს, ასევე გამოყენებული ვერ იქნებოდა გათანაბრების პრინციპი, იმიტომ, რომ მოსარჩელის განსაკუთრებული წვლილი მამკვიდრებლის ქონების გაზრდაში არ დასტურდება (2003წ. 24 აპრილის გადაწყვეტილების სამოტივაციის ნაწილი). გარდა ამისა, სკ-ის 1473-ე და 1455-ე მუხლების შესაბამისად, გათანაბრების პრინციპი გამოყენებული ვერ იქნებოდა მოსარჩელის მიერ მითითებულ მშობლების მიერ მოსასუხეზე ნაწუქრ თანხებთან დაკავშირებით, რადგან სამკვიდროს გაყოფისას, მემკვიდრის წილში ჩაითვლება მხოლოდ იმ ქონების ღირებულება, რომელიც მან საჩუქრის სახით მიიღო მამკვიდრებლისაგან სამკვიდროს გახსნამდე ხუთი წლის განმავლობაში. (უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის საქმე №ას-38-347-2004)

## საგვიდრო ქონება

სამკვიდრო ქონება შეიცავს მამკვიდრებლის როგორც ქონებრივი უფლებების (აქტივი), ისე მოვალეობების (პასივი) ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტისთვის. ეს გულისხმობს იმას, რომ მემკვიდრეებზე, რომლებიც მიიღებენ სამკვიდრო ქონებას, გადადის არა მხოლოდ ქონება და სხვა მატერიალური სიკეთე, არამედ ის ქონებრივი ხასიათის ვალდებულებებიც, რაც მამკვიდრებელს სიკვდილის მომენტისთვის ჰქონდა, მაგალითად მესამე პირებისგან აღებული ვალები.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სამკვიდრო ქონება განმარტა შემდეგნაირად: "სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლის თანახმად, სამკვიდრო ქონება მოიცავს მამკვიდრებლის როგორც ქონებრივი უფლებების (სამკვიდრო აქტივი), ისე მოვალეობების (სამკვიდრო პასივი) ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტისთვის. ალნიშნული წორმის თანახმად, სამკვიდროში შედის მამკვიდრებლის ნებისმიერი უფლება, მათ შორის, არამარტო უფლებები დაკანონებულ უძრავ ქონებაზე, არამედ სხვა უფლებებიც, რაც მას სიცოცხლეში ეკუთვნოდა. მოცემულ შემთხვევაში, მართალია, ... 131 ა საცხოვრებელი სახლი არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში როგორც უძრავი ქონება, მაგრამ აღნიშნული არ ნიშნავს, რომ ამ სახლზე, როგორც დაუკანონებელ უძრავ ნივთზე, არანაირი უფლებები არ არსებობს და ისინი არ არის გადაცემადი. დაუკანონებელ სახლზე არსებული უფლება, რაც ე. გ-შვილს გააჩნდა – ეს მისი სამკვიდრო აქტივია. საქმის ხელახალი განხილვისას, სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, ჰქონდა თუ არა ე. გ-შვილს დაუკანონებელ სახლზე უფლება და მიიღო თუ არა ეს უფლება მემკვიდრეობით მოპასუხე ჯ. გ-შვილმა. (უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის საქმე №ას-950-1229-09)

სასამართლოს განმარტებით: სამკვიდრო წარმოადგენს იმ უფლებებისა და ვალდებულებების კომპლექსს, რომელიც მამკვიდრებელს სიცოცხლეში ჰქონდა. სამკვიდროში შედის არა კონკრეტული საგნები, არამედ მამკვიდრებლის უფლება ამ საგნებზე.

ამასთან, უფლება ნივთზე (საკუთრების, სარგებლობის) იმავე სახით გადადის მემკვიდრებზე, რა სახითაც ის მამკვიდრებელთან არსებობდა. ამდენად, მამკვიდრებელ თ. გ-შვილის სამკვიდრო აქტივში შედის ის უფლებაც, რომელიც მას გააჩნდა სადაც ნივთან – საცხოვრებელ სახლთან მიმართებით. მიუხედავად ნივთზე უფლების კანონით დადგენილი წესით ალრიცხვის განუხორციელებლობისა, ეს უფლება სამკვიდრო მასაში შედის. (უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის საქმე №ას 851-800-2010-)

აյ საყურადღებოა ის, რომ მემკვიდრეებზე გადადის მხოლოდ ისეთი უფლებები და ვალდებულებები, რომლებიც არ ატარებს პირად ხსნათს, ანუ რომელიც უშუალოდ გარდაცვლილი პირის პიროვნებას არ უკავშირდება. პირად უფლებად ჩაითვლება მაგალითად ალიმენტის მოთხოვნის უფლება, ვინაიდან იგი უშუალოდ გარდაცვლილის ნათესაური კავშირიდან გამომდინარეობს. მეორეს მხრივ, პირად ვალდებულებად ჩაითვლება ისეთი მოქმედების შესრულება, რომელიც მხოლოდ უშუალოდ გარდაცვლილს უნდა განხილულებინა, მაგალითად მუსიკალური ან ლიტერატურული ნაწარმოების შექმნა. ამისგან განსხვავებით, ბანკიდან აღებული სესხის დაფარვა არ ჩაითვლება პირად ვალდებულებად, რადგან სესხი დაკავშირებულია არა უშუალოდ გარდაცვლილის პიროვნებასთან, არამედ მის ქონებასთან. შესაბამისად, ვის ხელშიც გადავა ქონება, მას დაეკისრება სესხის დაფარვის ვალდებულება.

ზემოთ მოყვანილი მაგალითების გარდა, შესაძლოა ცალკეულ შემთხვევებში კანონი ან მხარეთა შორის დადგებული ხელშეკრულება ითვალისწინებდეს, ისეთ უფლებებსა და მოვალეობებს,

რომლებიც მოქმედდებს მხოლოდ მხარეებს შორის და წყდება მთავ გარდაცვალებით.

სამკვიდროში არ შედის და მემკვიდრეთა შორის არ გაიყოფა საგვარეულო წიგნები (ან ჩანაწერები), ოჯახური მატიანე, სულის მოსახსენიერებლი და სხვა საკულტო საგნები და საფლავი. ამ საგნების გადაცემა მემკვიდრეთათვის სდება საზოგადოებაში ან იმ კონკრეტულ წრეში, ან ოჯახში დამკვიდრებული ჩვეულებისდა მიხედვით, რომელსაც ეკუთვნოდა მამკვიდრებელი. დოკუმენტები, რომლებიც ეხება გარდაცვლილის პიროვნებას, მის ოჯახს ან მთელ სამკვიდროს, რჩება მემკვიდრეების საერთო ქონებად.

თუკი მემკვიდრე რამდენიმეა, მაშინ სანამ მოხდება სამკვიდრო ქონების განაწილება მათ შორის, ისინი ითვლებიან ქონების თანამედროვებად და ერთობლივად მართავენ მას. ამ ქონებიდან შეიძლება გადახდილი იქნას მამკვიდრებლის მოვლისა და მისი უკანასკნელი ავადმყოფიბის, ასევე დაკრძალვის, სამკვიდროს დაცვისა და მართვის აუცილებელი ხარჯები.

## სამკვიდროს გაყოფა, გათანაბრება

სამკვიდრო ქონება მემკვიდრეებს შორის გაიყოფა მემკვიდრეების შეთანხმებით იმ წილების მიხედვით, რაც მათ ეკუთვნით ანდერძის ან კანონის თანახმად. თითოეულ მემკვიდრეს შეუძლია მოითხოვოს თავისი წილის გამოყოფა ნატურით, როგორც მოძრავი ისე უძრავი ქონებიდან, თუ ასეთი გამოყოფა შესაძლებელია ან აკრძალული არ არის კანონით. ასევე მემკვიდრეთა შეთანხმებით შესაძლებელია მთელი სამკვიდროს გაყიდვა და ფულის განაწილება მათი წილის პრიპირციულად. თუკი მემკვიდრეები შეთანხმდებიან, შეიძლება მთელი სამკვიდროს დარჩეს, რომელიც და-

ნარჩენებს გადაუხდის მათი წილის შესაბამის ფულად კომპენსაციას. ისეთი ქონება, რომლის გაყოფაც გამოიწვევს მისი სამეურნეო დანიშნულების მოშლას ან შესუსტებას, გაყოფას არ ექვემდებარება და ხდება ყველა მემკვიდრის თანასაკუთრება.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინა, რომელზეც საადგილმამულო მეურნეობაა მოწყობილი, შეიძლება გაიყოს, თუკი ამით არ განადგურდება მეურნეობა. თუკი არცერთი მემკვიდრე არ აპირებს მეურნეობის გაძლილას, მაშინ მათი შეთანხმებით მინა და მასზე მოწყობილი მეურნეობა შეიძლება გაიყიდოს და მიღებული ფული განაწილდეს მემკვიდრეებს შორის. ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი მინის გაყოფა შეუძლებელია, მაშინ იგი უნდა მიეკუთვნოს იმ მემკვიდრეს, რომელიც იქ ცხოვრობს და მამკვიდრებელთან ერთად ეწოდა მეურნეობას. ასეთის არ არსებობის შემთხვევაში კი, იმ მემკვიდრეს, რომელსაც აქვს სურვილი და უნარი გაუძლვეს მეურნეობას. სხვა მემკვიდრები მიიღებენ მათ წილს სხვა ქონებიდან, ან თუ სხვა ქონება საკმარისი არ იყო, შესაბამის ფულად კომპენსაციას.

თუკი მამკვიდრებელს გარდაცვალების შემდეგ დარჩა ვალები, მაშინ შესაძლოა მემკვიდრეთა შეთანხმებით ვალების გასტუმრება ერთ-ერთ მემკვიდრეს დაეკისროს, ოღონდ მისი წილის შესაბამისი გაზრდით.

წილების გაყოფისას მემკვიდრეებმა ერთმანეთის წილში უნდა ჩათვალონ იმ ქონების ღირებულება, რომელებიც მათ საჩუქრის სახით მიიღეს მამკვიდრებლისგან სამკვიდროს გახსნამდე ხუთი წლის განმავლობაში. კანონით ასევე დადგენილია, რომ შეიღებს შორის სამკვიდროს გაყოფისას, წილთა გათანაბრებისთვის, მათ სამკვიდროს უნდა მიათვალონ ყოველივე ის, რაც მიიღეს მამკვიდრებლისგან მშობლების ქონებიდან გამოყოფის სახით, თუ მამკვიდრებელს სხვა რამ არ დაუდგენია. მაგალითად, შესაძლოა მშობელმა თავის სიცოცხლეშივე გამოყოს შეიღების წილი თავის ქონებიდან და ერთ-ერთ შვილს აწყებოს საცხოვრებელი სახლი. ასეთ შემთხვევაში, სამკვიდროს გაყოფის დროს წილთა გათანაბრებისთვის, ნაჩუქარი საცხოვრებელი სახლი ჩაითვლება იმ შეიღლის წილში, რომელმაც იგი მიიღო.

გარდა ამისა, შთამომავალს, რომელმაც საოჯახო მეურნეობაში განეული შრომით, მამკვიდრებლის პროფესიულ და კომერციულ საქმინიაში მონანილეობით, მნიშვნელოვნი ხარჯების განევთი ან სხვა სახით განსაკუთრებული წვლილი შეიტანა მამკვიდრებლის ქონების შენარჩუნებასა და გაზრდაში, სამკვიდროს გაყოფისას უფლება აქვს მოითხოვოს გათანაბრება სხვა კანონით მემკვიდრეებთან. გათანაბრების მოთხოვნა არ შეიძლება, თუკი ასეთი მოშასხურებისთვის ნათესავი იღებდა გასამრჯელოს ან გასამრჯელო წინასარ შეთანხმებული იყო.

თუკი მემკვიდრეები ვერ შეთანხმდებიან წილების გაყოფაზე, დავას მათ შორის გადაწყვეტის სასამართლო.

თუ მემკვიდრეთა შორის არიან ისეთი პირები, რომელთა ადგილსამყოფელიც უცნობია, დანარჩენი მემკვიდრეები მოვალენი არიან მიიღონ გონივრული ზომები მათი ადგილსამყოფელის დასადგენად და მათ მემკვიდრეებად მოსაზევად.

თუკი სამკვიდროს მისაღებად მოწვეული მემკვიდრე, რომელიც ადგილზე არ იმყოფება სამით თვის განმავლობაში, უარს არ იტყვის სამკვიდროზე, მაშინ დანარჩენი მემკვიდრეები ვალდებული არიან შეატყობინონ მას სამკვიდროს გაყოფის შესახებ. თუ ასეთი შეტყობინების მიღებიდან სამით თვის განმავლობაში მემკვიდრე არ აცნობებს დანარჩენ მემკვიდრეებს გაყოფაში მონანილეობის სურვილის შესახებ, მაშინ დანარჩენ მემკვიდრეებს უფლება აქვთ გაყონ სამკვიდრო და თავად გამოყონ ადგილზე არმყოფი მემკვიდრის წილი. იგივე მოხდება იმ შემთხვევაშიც, თუ სამკვიდროს გახსნიდან ექვსი თვის განმავლობაში ვერ მოხერხდა ადგილზე არმყოფი მემკვიდრის ადგილსამყოფელის დადგენა და არც რაიმე ცნობაა მისგან სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

## სამკვიდრო ქონებაზე მოქმედი საგადასახალო ჩავითი

მნიშვნელოვანია იცოდეთ, თუ რა სახის გადასახადით და იძეგრებით და რა შემთხვევებში, როგორც იღებთ მემკვიდრეობას, ვინაიდან ზოგადი წესების თანახმად, სამკვიდრო ქონება ნარმოადგენს შემოსავალს, ხოლო შემოსავალი სახელმწიფოს მიერ იძეგრება საშემოსავლო გადასახადით.

თქვენ მთლიანდ თავისუფლდებით საშემოსავლო გადასახადის გადახდისგან, თუკი მემკვიდრეობა მიიღეთ როგორც I ან II რიგის მემკვიდრემ, ანუ როგორც გარდაცვლილის დედამ, მეუღლემ, შვილმა, დამ, ძმამ, ნაშვილებმა, შვილიშვილმა, შვილიშვილის შვილმა, მშვილებელმა, დისტულმა, ძმისწულმა და მათმა შვილებმა.

იმ შემთხვევაში, თუკი მემკვიდრეობა მიიღეთ როგორც გარდაცვლილის ბებიამ, პაპამ, ბების ან პაპის მშობლებმა (როგორც დედის ასევე მამის მხრიდან), ბიძამ (დედის ძმა, მამის ძმა), დეიდამ ან მამიდამ (III და IV რიგის მემკვიდრე), მაშინ საშემოსავლო გადასახადისგან თავისუფლდებით, თუკი მიღებული ქონების ლირებულება არ აღემატება 150 000 ლარს. თუკი ქონების ლირებულებამ გადააჭარბა აღნიშნულ თანხას, მაშინ საშემოსავლო გადასახადით ჩვეულებრივ დაიბეგრება ის ოდენობა, რომლითაც ქონების ლირებულება აღემატება მითითებულ თანხას, ანუ თუკი თქვენს მიერ მიღებული ქონების ლირებულება შეადგენს 200 000 ლარს, თქვენ მოგიწევთ მხოლოდ 50 000 ლარის შესაბამისი გადასახადის გადახდა. ამ გადასახადის გადახდა უნდა მოხდეს ქონების მიღებიდან ორი კალენდარული წლის განმავლობაში, არა უგვიანეს ყოველი ხუთი თვის შემდგომი თვის 15 რიცხვისა თანაბარ ნაწილებად.

ოჯახის წევრისგან მემკვიდრეობით მიღებული ქონება ასევე არ ჩაითვლება შემოსავლად ქონების გადასახადით დაბეგრის დროს.

## მამკვიდრობის ქრედიტორების დაკავყოფილება მაჟავიდროება მიერ

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მემკვიდრეებზე გადადის მამკვიდრებლის ვალები და ისინი ვალდებული არიან შეატყობინონ კრედიტორებს სამკვიდროს გახსნის შესახებ, თუკი მათთვის ცნობილი იყო ვალის არსებობა, და გაისტუმრონ ეს ვალები სამკვიდროში მათი წილის პროპორციულად. ანდერძით, მამკვიდრებელს შეუძლია დაასახელოს კონკრეტულად ის მემკვიდრეები, რომლებიც პასუხისმგებელნი იქნებიან ვალების დაფარვაზე.

მამკვიდრებლის კრედიტორებმა თავიანთი მოთხოვნება უნდა ნარუდგინონ სამკვიდროს მიმღებ მემკვიდრეებს ექვსი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როცა მათთვის ცნობილი გახდა სამკვიდროს გახსნის შესახებ, მოუხდავდ იმისა, მათი მოთხოვნის შესრულების – ანუ ვალის დაფარვის ვადა მოსულია თუ არა.

თუკი კრედიტორებმა არ იცოდნენ სამკვიდროს გახსნის შესახებ, მაშინ მათ მოთხოვნა უნდა ნარუდგინონ მემკვიდრეებს მოთხოვნის ვადის დადგომიდან ერთი წლის განმავლობაში. ამ წესების დაუცველობა გამოიწვევს მოთხოვნის უფლე-



### მემკვიდრეებზე გადადის



ბის დაკარგვას. თუმცა, ამ შემთხვევაში გამონაკლისია ის მოთხოვნები, რაც დაკავშირებულია მამკვიდრებლის უკანასკნელი ავადმყოფობისას მოვლის, მკურნალობის, ხელფასის გასტუმრების, დაკრძალვის, სამკვიდროს დაცვის და მართვის ხარჯებთან. ასეთ მოთხოვნებზე ვრცელდება ხანდაზმულობის საერთო ვადები. ეს წესი მოქმედებს ასევე იმ პირთა მოთხოვნებზეც, რომლებიც ითხოვენ სამკვიდროში შესულ ქონებაზე საკუთრების ცნობას და უკან დაბრუნებას.

სასამართლომ დაკავშირებილა რა კრედიტორის მოთხოვნა გარდაცვლილი მოვალის მემკვიდრების წინააღმდეგ სესხის გადახდასთან დაკავშირებით, განმარტა რომ: “სამოქლაქი კოდექსის 1488-ე მუხლის თანახმად, მამკვიდრებლის კრედიტორებმა ექვსი თვის განმავლობაში იმ დღიდან, რაც მათთვის ცნობილი გახდა სამკვიდროს გახსნის შესახებ, უნდა ნარუდგინონ მოთხოვნა მემკვიდრებს, რომლებმაც მიღეს სამკვიდრო მოთხოვნის ვადის დადგომის მიუხედავად. ამ წესების დაუცველობა გამოიწვევს კულიტორების მიერ მოთხოვნის უფლების დაკარგვას. სასაპელაციო სასამართლომ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმის შესახებ, რომ აღნიშნული ნორმა ადგენს სასამართლოში არა სარჩელის ნარდგენის ხანდაზმულობას, არამედ კრედიტორის მიერ მემკვიდრისათვის მოთხოვნის წარდგენის ვადას. კრედიტორის შეუძლია მემკვიდრისგან ურის მიღების შემთხვევაში, მიმართოს სასამართლოს. მისი უფლება ჩაითვლება დარღვეულად მემკვიდრისგან უარის მიღების მომენტიდან და ამ დროიდან იწყება სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის ათველა. ამასთან, კრედიტორი ასევე უფლებამოსილია, 1488-ე მუხლით დადგენილ ვადაში, პირდაპირ სასამართლოს მიმართოს და მოთხოვნის მოვალის მემკვიდრისგან ვალის დაბრუნება. ამ შემთხვევაში მიიჩნევა, რომ კრედიტორი მითითებული ნორმით დადგენილ ვადაში პრეტენზიას ნარუდგენს გარდაცვლილის მემკვიდრეს სარჩელის შეტანის გზით.

სასაპელაციო სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის 1488-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, კანონმდებელი, მამკვიდრებლის კრედიტორის მიერ მოთხოვნის წარდგენის ვადის ათველის დასაწყისს უკავშირებს არა სამკვიდრის გახსნის მომენტს, არამედ, იმ სუბიექტურ ფაქტორს, როდესაც კრედიტორისთვის ცნობილია: ა. პირის გარდაცვალებით სამკვიდრის გახსნის შესახებ; ბ. მოთხოვნის ადრესატის – მემკვიდრეთა ვინაობრის შესახებ. კონკრეტულ ვითარებაში, ვინაიდან ე. კ-ე-ს-მ ან გარდაცლილი დ. კ-ის სამკვიდრო მიიღო 2010 წლის 16 აპრილს, ხოლო ლ. ქ-მა კი სარჩელი აღძრა 2010 წლის 3 მაისს, სასაპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ლ. ქ-მა სამოქალაქო კოდექსის 1488-ე მუხლით დადგენილ 6-ოვანი ვადაში წარუდგინა პრეტენზია დ. კ-ის მემკვიდრის მიმართ სარჩელის შეტანით. შესაბამისად, არ არსებობდა ამავე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნის უფლების დაკარგვის საფუძველი. სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლის შესაბამისად, სამკვიდრო (სამკვიდრო ქონება) შეიცავს მამკვიდრებლის როგორც ქონებრივი უფლებების (სამკვიდრო აქტივი), ისე მოვალეობების (სამკვიდრო პასივი) ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკეთილის მომენტისათვის. სამოქალაქო კოდექსის 1484-ე მუხლის შესაბამისად, მემკვიდრეები ვალდებული არიან მთლიანად დაკავშირებლინ მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესები, მაგრამ მიღებული აქტივის ფარგლებში, თითოეულის წილის პროპორციულად. სამოქალაქო კოდექსის 1494-ე მუხლის შესაბამისად, კრედიტორთა მოთხოვნები მემკვიდრეებმა უნდა დააკმაყოფილონ ერთჯერადი გადახდის გზით, თუ მათ შორის შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი. სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლის თანახმად, სესხის ხელშეკრულებით, გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვარივნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს დაბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი. ამავე კოდექსის 624-ე მუხლის თანახმად, სესხის ხელშეკრულება იდება ზეპირად. მხარეთა შეთანხმებით შეიძლება გამოყენებულ იქნა წერილობითი ფორმაც. სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ვალდებულების

წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან. განსახილველ შემთხვევებში, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიმჩნია, რომ ლ. ქ-სა და დ. კ-ეს შორის სასესხო ურთიერთვალდებულებები წარმოიშვა ზეპირი გარიგების საფუძველზე. სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ ე. კ-ე-ს-ას ლ. ქ-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 7200 აშშ დოლარისა და 550 ევროს გადახდა. .(უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა საქმე №ას-952-990-2011)

იმ შემთხვევაში, თუკი კრედიტორები ჰყავს როგორც მამკვიდრებელს, ისე მემკვიდრეს, მოთხოვნების დაკმაყოფილებისას უპირატესობა ენიჭება მამკვიდრებლის კრედიტორებს.

## მაკვიდრებლის რჩენაზე მყოფ პირთა უფლებები

იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობენ არც კანონით და არც ანდერძით მემკვიდრები, ან არცერთმა მემკვიდრემ არ მიიღო მემკვიდრეობა ან ყველა მემკვიდრეს ჩამოერთვა მემკვიდრეობის მიღების უფლება, მაშინ ქონება გადადის სახელმწიფოზე. ამ შემთხვევაში, მამკვიდრებლის ვალებზე სახელმწიფო აგებს პასუხს კრედიტორების წინაშე სამკვიდრო ქონების ფარგლებში. ხოლო, თუკი პირი გარდაცვალებამდე იმყოფებოდა მოხუცთა, ინვალიდთა, სამკურნალო, აღმზრდელობით და სოციალური დაცვის სხვა დაწესებულებაში – მაშინ გარდაცვლილი პირის ქონება გადადის ამ დაწესებულების საკუთრებაში.

საინტერესოა, რა ხდება მაშინ, თუკი მამკვიდრებელს გააჩნდა წილი ამა თუ იმ სამეწარმეო ორგანიზაციაში და მას არ დარჩა მემკვიდრეები?

ამ დროს, გარდაცვლილი პირის წილი (აქციის, პას, ან სხვა სახით) გადადის თავად ამ სამეწარმეო ორგანიზაციის საკუთრებაში – თუკი კანონი სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

## მაკვიდრებლის რჩენაზე მყოფ პირთა უფლებები

თუკი პირის გარდაცვალებამდე მის რჩენაზე იყვნენ არაშრომისუნარიანი პირები, რომელთაც დამოუკიდებლად თავის შენახვა არ შეუძლიათ, მაშინ ასეთ პირებს შეუძლიათ მოითხოვონ სარჩი (ალიმენტი) სამკვიდრო ქონებიდან. მოთხოვნილი თანხა გონივრულ თანაფარდობაში უნდა იყოს ქონების მოცულობასთან.

## მაკვიდრებლის უფლების ჩამორთმების საფუძლები და პირობები

გარკვეულ შემთხვევებში, პირს შეიძლება ჩამოერთვას მემკვიდრეობის მიღების უფლება.

- I. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევაა პირის ულირს მემკვიდრედ ცნობა. ულირს მემკვიდრედ კი შეიძლება ცნობილი იქნეს ის პირი, რომელიც:

- ა) განზრას ხელს უშლიდა მამკვიდრებელს მისი უკანასკნელი ნების განხორციელებაში და ამით ხელს უწყობდა თავისი ან მისი ახლობელი პირების მოწვევას მემკვიდრეებად ან სამკვიდროში მათი წილის გაზრდას ან;
- ბ) ჩაიდინა განზრას დანაშაული ან სხვა ამორალური საქციელი მოანდერდის მიერ ანდერძში გამოთქმული უკანასკნელი ნებასურვილის საწინააღმდეგოდ.

თუკი რომელიმე ამ ქმედებას აქვს ადგილი, მაშინ ნებისმიერ იმ პირს, რომლისთვისაც პირის ულირს მემკვიდრედ ცნობა გარკვეულ ქონებრივ შედეგებს იწვევს (მაგალითად, ამის შედეგად ხდება მის მიერ მემკვიდრეობის მიღება ან სამკვიდრო წილის გაზრდა), უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს პირის ულირს მემკვიდრედ ცნობა.

**საყურადღებოა,** რომ პირის ულირს მემკვიდრედ ცნობის მოთხოვნა შეიძლება მხოლოდ ხუთი წლის განმავლობაში ამ პირის მიერ მემკვიდრეობის მიღების დღიდან. მაგალითად, თუ თქვენმა დისტვილმა მიიღო თქვენი დის ქონება მემკვიდრეობით და ამ ფაქტიდან 6 წლის გასვლის შემდეგ გაიგეთ, რომ თურმე თქვენმა დისტვილმა გაზრას დაწვა თქვენი დის მიერ დაწერილი ანდერძი ან ჩაიდინა სხვა რაიმე ქმედება, რაც იწვევს ულირს მემკვიდრედ ცნობას, სამწუხაროდ, კანონი აღარ გაძლევთ უფლებას მოთხოვით მისი ულირს მემკვიდრედ ცნობა. ამ უფლების განხორციელება სამკვიდროს მიღებიდან მხოლოდ ხუთი წლის განმავლობაში შეიძლება.

- II. გარდა ულირს მემკვიდრეებისა, მემკვიდრეობის უფლებას კარგავენ ასევე მშობლის უფლებაჩამორთმეული პირები (იხ. თავი “მშობლის უფლება-მოვალეობების შეზღუდვა”), ანუ მშობლები ვეღარ იქნებიან იმ შეიღების მემკვიდრეები, რომელთა მიმართაც მათ ჩამოერთვათ მშობლის უფლება. თუმცა, შესაძლებელია მოხდეს ისე, რომ მშობელს მხოლოდ ერთ-ერთი შეიღლის მიმართ ჩამოერთვას მშობლის უფლება, რაც მას ხელს არ უშლის იყოს სხვა შეიღების მემკვიდრე. ამ მხრივ, საყურადღებოა ის, რომ მშობლის უფლების ჩამორთმევის შემთხვევაში, შეიღლს მაინც რჩება მემკვიდრეობის უფლება ამ მშობლის ქონებაზე. ანუ მარტივად რომ ვთქვათ, თუკი თქვენს მშობელს თქვენს მიმართ ჩამოერთვა მშობლის უფლება, ის ვეღარ გაძლება თქვენი მემკვიდრე, მაგრამ თქვენ ჩვეულებრივ შეძლებთ მისი ქონების მემკვიდრეობით მიღებას.
- III. კანონით მემკვიდრეები ვერ იქნებიან ვერც ის პირები, რომელიც ბოროტად თავს არიდებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას, ერჩინათ მამკვიდრებელი – თუკი ეს გარემოება დადგინდება სასამართლოს მიერ!

მაგალითად, თუკი თქვენი მშობელი გარდაცვალებამდე დიდხანს ავადმყოფობდა და ბუნებრივია, მასზე ზრუნვის მოვალეობა გეკისრებოდათ როგორც თქვენ, ასევე თქვენს დაძმებს, მაგრამ რომელიმე თქვენი დედმამიშვილი ბოროტად არიდებდა თავს მასზე ზრუნვის მოვალეობას, მაშინ შესაძლებელია მიმართოთ სასამართლოს და მოითხოვოთ, რომ ამ უკანასკნელს ჩამოერთვას თქვენი მშობლის მემკვიდრეობის მიღების უფლება.

მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა ხელს არ უშლის პირს, იყოს სხვა მამკვიდრებლის მემკვიდრე, ანუ თუკი შეისახოლიდ დედს მიმართ ჩაემოერთვა მემკვიდრეობის მიღების უფლება, მაშინ ის ჩვეულებრივ მიღებს მამის მემკვიდრეობას.

ამ მხრივ, საინტერესოა ისიც, რომ თუკი წინა სიტუაციას ავიღებთ, ანუ შეისახომ ჩამოერთვა დედის მემკვიდრეობის მიღების უფლება, ამ პირს შეიძლი მაინც შეძლებს ბების მემკვიდრეობის მიღებას, თუკი მისი მშობელი მანამდე გარდაიცვალა, სანამ მემკვიდრეობას მიიღებდა (იხ. ქვეთავი “მემკვიდრეობა წარმომადგენლობით, მემკვიდრეობითი ტრანსმისია”).

- IV. გარდა ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პირობისა, თქვენ გაქვთ სრული უფლება, ანდერძით ნებისმიერ პირს ან პირებს ჩამოართვათ მემკვიდრეობის მიღების უფლება და ვალდებული არ ხართ მიუთითოთ ამის მოტივზე. ასეთ შემთხვევაში, აღნიშნული პირები საერთოდ ველარ მიიღებენ თქვენს ქონებას მემკვიდრეობით.

## მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა ხელს არ უშლის პირს, იყოს

### სხვა მამკვიდრებლის მემკვიდრე

თუკი პირს ზემოთ ჩამოთვლილი ამა თუ იმ მიზეზის გამო ჩამოერთვა მემკვიდრეობის მიღების უფლება, მაშინ მისი წილი თანაბრად ნაწილდება სხვა მემკვიდრეებზე.

სასამართლოს სარჩევლით მიმართა ქ. ზ-შვილმა პ. და გ. ზ-შვილების მიმართ მოპასუხეთა უღირს მემკვიდრეებად ცნობისა და მამის – ქ. ზ-შვილის სამკვიდროზე მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის მოთხოვნით იმ საფუძვლით, რომ შვილები თავს არიდებენ მშობელზე ზრუნვის ვალდებულების შესრულებას, ავინროვებენ და სასტიკად ექცევიან მას. სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის მასალებით არ დასტურდებოდა მოპასუხეთა მიერ მშობელზე ზრუნვის მოვალეობისაგან თავის არიდების, მათი შევიწროებისა და მოპასუხეთა მხრიდან სასტიკი ქმედებების ფაქტი. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა სხდომაზე მოსარჩევის განმარტებაზე, რომ იგი მოპასუხეთა მხრიდან დახმარებას არ მიიღებდა. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4, 102-ე მუხლებით, სამოქალაქო კოდექსის 1336-ე, 1311-ე მუხლებით და მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხები წარმოადგენდნენ ქ. ზ-შვილის კანონისმიერ, პირველი რიგის მემკვიდრეებს. საქმის მასალებით არ დასტურდებოდა, რომ მოპასუხები ბოროტად თავს არიდებდნენ მშობლის რჩენის ვალდებულებას. სამოქალაქო კოდექსის 1312-ე მუხლი მემკვიდრისათ-

ვის მემკვიდრეობის ჩამორთმევის შესახებ სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლებას ანიჭებს არა ყველას, არამედ იმ პირს, რომლისთვისაც ულირსი მემკვიდრისათვის მემკვიდრეობის ჩამორთმევა განსაზღვრულ ქონებრივ შედეგებს იწვევდა. მოცემულ შემთხვევში, მოსარჩელე თავადვე წარმოადგენდა სავარაულო მამკვიდრებელს და ულირს მემკვიდრედ ცნობას მისთვის არავითარი ქონებრივი შედეგი არ მოყვებოდა. განსახილველი სარჩელი სამოქალაქო კოდექსის 1381-ე მუხლის მოთხოვნებიდან არ გამომდინარეობდა და ამ მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნას არ შეიცავდა.(უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა საქმე № ას-265-249-2011

სააპელაციო სასამართლომ განმარტა რა სამოქალაქო კოდექსის 1310-ე მუხლი, მიუთითა რომ ამ ნორმის თანახმად, პირი შეიძლება ცნონ ულირს მემკვიდრედ, თუ ის განზრახ უშლიდა ხელს მამკვიდრებელს მისი უკანასკნელი ნება-სურვილის განხორციელებაში და ამით ხელს უწყობდა თავისი ან მისი ახლობელი პირების მოწვევას მემკვიდრეებად ან სამკვიდროდან მათი წილის გაზრდას. ასევე, თუ პირი ხელს უშლიდა მოანდერდს ანდერძის შედგენაში ან მამკვიდრებელს ისეთ ფაქტებს უმალავდა, რომელთა ცოდნის შემთხვევაში ის სხვანირად გადაწყვეტდა მემკვიდრეობის საკითხს. ა. ქ-შვილის მიერ გორის შს განყოფილებაში 1999 წლის 22 დეკემბერს წარმოდგენილი წერილი იმის თაობაზე, რომ მისი სხეულის დაზიანების ფაქტთან დაკავშირებით მასალები რეაგირებისათვის 1999 წლის 18 ივნისს გადაიგზავნა გორის სასამართლოში, ვერ გამოდგება იმის მტკიცებად, რომ ი. ქ-შვილმა ჩაიდინა განზრახი დანაშაული ან ამორალური საქციელი მოანდერძის მიერ ანდერძში გამოთქმული უკანასკნელი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ. არ დადასტურდა, რომ მის მიერ დედის შეურაცხმყოფელ მოქმედებები იმ მიზნით იყო ჩადენილი, რომ ხელი შეეწყო თავისი ან ახლობელი პირების მემკვიდრედ მიწვევისათვის. მოცემულ შემთხვევაში, ა. ქ-შვილის მიერ ანდერძი გაცემული არ არის.(უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა საქმე № 3კ/1212-01 27).

# ქალის საკუთრებულების და ვალოგულების სამართლებრივი ურთიერთობები




## სესხი – ფულადი ვალოგულება

საქართველოში ხშირია შემთხვევები, როდესაც სხვადასხვა ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს უხდებათ სხვადასხვა გარიგებების (შეთანხმებების) დადება, რომელიც, რა თქმა უნდა, მოითხოვს მხარეებისაგან გარკვეული მოვალეობებისა და ვალდებულებების შესრულებას. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას.

ვალდებულების არსებობის შემთხვევაში, ის უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

ვალდებულების ერთ-ერთ გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს სესხი, როგორც ფულადი ვალდებულება. სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი.

კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრულია, რომ სესხის ხელშეკრულება იდება ზეპირად, თუმცა კანონმდებელი უშვებს, რომ მხარეთა შეთანხმებით შეიძლება წერილობითი ფორმის გამოყენებაც. უნდა აღინიშნოს, რომ ყოველთვის უმჯობესია გამოყენებულ იქნას სესხის ხელშეკრულების დადების წერილობითი ფორმა, რადგან ხელშეკრულებაში მითითებული პირობების დარღვევის შემთხვევაში, უფრო ადვილად შეძლებთ თქვენი უფლებების დაცვას. უნდა აღინიშნოს, რომ ზეპირი ხელშეკრულების დროს მისი ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით.



ძალიან ბევრი დავა იხილება სასამართლო წესით სესხის ხელ-შეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით. განვიხილოთ ამ კუთხით უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი საქმე. აღნიშნულ საქმეზე მ. ი-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე თ. ბ-ას მიმართ ფულადი ვალ-დებულების შესრულების შესახებ.<sup>1</sup> საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარე-მოებები პალატამ სამართლებრივად შემდეგნაირად შეაფასა: „სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლის თანახმად, სესხის ხელშეკრულებით, გამსესხებული საკუთრებაში გადასცემს მსესხებულს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებული კისრულობს, დაბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივ-თი. ამავე კოდექსის 624-ე მუხლის თანახმად, სესხის ხელშეკრულება იდება ზეპირად. მხარეთა შეთანხმებით შეიძლება გამოყენებულ იქნა წერილობითი ფორმაც. სამო-ქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველ ნაწილის შესაბამისად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უს-აფექტობრივ გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან. სესხის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც ზეპირად, ასევე წერილობით. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ მხარეებს შორის ურთიერთვალდებულებები წარმოიშვა 2004 წლის 25 მარტის სესხისა იპოთეკის ხელშეკრულების საფუძველზე. სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და აღიღილს. სამოქალაქო კოდექსის მე-400-ე მუხლის შესაბამისად, მოვალის მიერ ვალდებულების გადაცილებად ითვლება, თუ შესრულებისათვის დადგენილ ვადაში ვალდებულება არ სრულდება. განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია მოპასუხის მიერ მხარეთა მიერ განსაზღვრულ ვადაში სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა. სამო-ქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია, მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. სამოქალაქო კოდექსის 417-418-ე მუხლების მიხედვით, პირგასამტებლო არის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაისადოს ვალდე-ბულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნა შესრულებისათვის. ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ პირასამტებლო, რომელიც შეიძლება აღმატებოდეს შესაძლო ზიანს. შეთანხმება პირგასამტებლოს შესახებ მოითხოვს წერილობით ფურმას. განსახილველ შემთხვევაში, სესხის ხელშეკრულებით პირგასამტებლო წერილობით არის შეთანხმებული ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საერთო თანხის 0,3%-ის ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე. დადგენილია, რომ მოსარჩელის მიერ პირგასამტებლოს განაკვეთი შემცირებულ იქნა 0,2%-მდე. სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლით, სასამართლოს შეუძლია, საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამ-ციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტებლო. სასამართლომ მიიჩნია, რომ შეუსაბამოდ მაღალია პირგასამტებლოს განაკვეთი - დავალიანების 0,2% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ვინაიდან ყოველდღიური 0,2% თვეში შეადგენს - 6%-ს, ხოლო ერთ წელიადში - 72%-ს. პირგასამტებლოს მიზანია კრედიტორის დარღვეულ უფლების აღდენა და არა გამდიდრება. შესაბამისად, პირგასამტებლო უნდა იყოს ვალდებულების დარღვე-ვის თანაზომიერი და გონივრული. მოცემულ შემთხვევაში, პალატამ ძირითადი თანხის ოდენობის გათვალისწინებით, პირგასამტებლოს გონივრულ ოდენობად მიიჩნია 700 აშშ დოლარი. სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლის პირველი ნაწილით, კრედიტორმა მოვალის მოთხოვნით შესრულების მთლიანად ან ნაწილობრივ მიღების შესახებ უნდა

<sup>1</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება.

გასცეს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი. მითითებული ნორმით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების ფაქტის დასადგენად, ამავე ნორმით გათვალისწინებულია შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი, რაც უდავოდ გულისხმობს წერილობითი სახის მტკიცებულებას. ფულადი ვალდებულების თავისებურებიდან გამომდინარე, მისი შესრულება უნდა დასტურდებოდეს ისეთი სახის მტკიცებულებით, რომლებიც პირდაპირ მიუთითებს თანხის გადახდის ფაქტზე, მაგალითად, ხელნერილით, თანხის გადარიცხვის დოკუმენტით და სხვა. საკასაციო სასამართლო მიზნევს, რომ მოცემულ საქმეზე წარმოდგენილი წინასწარი გამოძიების შესახებ დადგენილება არ არის საკმარისი მტკიცებულება საქმისთვის ისეთი მნიშვნელობის მქონე გარეშემოგების დასადასტურებლად, როგორიცაა, მოპასუხის მხრიდან ვალდებულების შესრულება.

ასევე საინტერესო განმარტება გააკეთა უზენაესია სასამართლო ერთ-ერთ ანალოგიურ დავაზე. 2011 წლის 19 აპრილს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა ზ. ტ-მ მოპასუხე შპს „... – 2007-ის“ მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისთვის მის სასარგებლოდ 17 500 აშშ დოლარის, მათ შორის, ძირითადი თანხის – 10 000 აშშ დოლარისა და ყოველთვიური სარგებლის – 7 500 აშშ დოლარის დაკისრება.<sup>1</sup>

აღნიშნულ საქმეზე სასამართლო განმარტა როგორი ფორმით უნდა დაიდოს სესხის ხელშეკრულება. უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი წერილობითი დოკუმენტის ასლის მჩქნევა მხარეთა შორის სესხის ხელშეკრულების დადგინს დამადასტურებელ მტკიცებულებად არ შეიძლება, ვინაიდან ეს დოკუმენტი ხელმოუწერელია და, შესაბამისად, არ ირკვევა მხარეთა წება სესხის ხელშეკრულების დადგინს თაობაზე. გარდა ამისა, სამოქალაქო კოდექსის 327-ე და 624-ე მუხლების მიხედვით, სესხის ხელშეკრულებაში უნდა ჩანდეს მხარეთა მიერ შეთანხმებული პირობები, რამც სესხის კონკრეტული ხელშეკრულების დადება განაპირობა. მოცემულ შემთხვევაში, სადავო დოკუმენტი არ შეიცავს მხარეთა შეთანხმებას ხელშეკრულების პირობებზე, ანუ ამ დოკუმენტს სესხის ხელშეკრულების შინაარსი არ გააჩნია. ამდენად, სესხის ხელშეკრულების წერილობითი ფორმით დადების ფაქტს მოსარჩელე ვერ ადასტურებს. რაც შეეხება მოსარჩელის მიერ მოწმეთა ჩვენებებზე მითითებას, საკასაციო სასამართლო განმარტას, რომ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული წებისმიერი მტკიცებულება შეიძლება წარუდგინოს მხარემ სასამართლოს თავისი მოთხოვნის (შესაგებლის) ფაქტობრივი საფუძვლის არსებობის დამტკიცების მიზნით. ასეთია მტკიცებულებათა დასაშვებობის პროცესუალური პრინციპი, მაგრამ ამ ზოგადი წესიდან არსებობს გამონაკლისი, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მესამე ნანილის მიხედვით, საქმის გარემოები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლის მიხედვით, სესხის ზეპირი ხელშეკრულების დროს მისა ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით. მითითებულ ნორმათა შინაარსიდან გამომდინარე, თუ სესხის ხელშეკრულება დადებულია ზეპირი ფორმით, მაშინ, დავის შემთხვევაში, მისი ნამდვილობა ვერ დადგინდება მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით, საჭიროა სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სხვა მტკიცებულებებიც. ასეთად შეიძლება განიხილოს მაგალითად ხელნერილი ვალის არსებობის თაობაზე ან წებისმიერი სხვა წერილობითი მტკიცებულება, რომლითაც შეიძლება დადასტურდეს მოდავე მხარეებს შორის სასესხო ურთიერთობის არსებობა. მოცემულ შემთხვევაში, როგორც ზემოთ აღინიშნა, ასეთ მტკიცებულებად სასამართლო ვერ მიიჩნევს მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ ე.წ. „ლომბარდის რვეულის“ ასლს, სხვა მტკიცებულებები კი მას არ წარმოუდგენია.

<sup>1</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილება.

## პროცენტი სესხისთვის

მხარეთა შეთანხმებით, სესხისათვის შეიძლება პროცენტის გათვალისწინება. უმეტეს შემთხვევაში, სესხის ხელშეკრულებაში სწორედ პროცენტია სესხისთვის განსაზღვრული. სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევები, როცა სესხისთვის საკმაოდ მაღალი პროცენტის დადგენა ხდება, რაც ხშირად მსესხებელს ცუდ მატერიალურ მდგომარეობაში აგდებს. იმისთვის, რომ სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცენტი დამატებით ტკირთად არ დაგაწვით, ყოველთვის ყურადღებით უნდა გაეცნოთ სესხის ხელშეკრულებას და მხოლოდ ამის შემდგომ მოაწეროთ ხელი.

სესხის ხელშეკრულებაში თუ ვალის დაბრუნების ვადა განსაზღვრული არ არის, მაშინ ვალი უნდა დაბრუნდეს კრედიტორის ან მოვალის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტისას.

ხელშეკრულების შეწყვეტის ვადა შეადგენს სამ თვეს. თუ პროცენტები არ არის შეპირებული, მოვალეს შეუძლია ვალი დაბრუნოს ვადამდე. პროცენტიანი სესხის ვადამდე დაბრუნება დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წინასწარი შეთანხმებით ან გამსესხებლის თანხმობით.

პროცენტების გადახდა უნდა მოხდეს ყოველი წლის გასვლის შემდეგ. თუ სესხი წინასწარ არის ვადით განსაზღვრული, მაშინ ვალიცა და პროცენტიც გადახდილ უნდა იქნას ვადის დადგომისას.

## ვალის დაუყოვნებლივ მოთხოვნის უფლება

გამსესხებელს უფლება აქვს დაუყოვნებლივ მოითხოვოს ვალის დაბრუნება, თუ მსესხებლის ქონებრივი მდგომარეობა არსებითად უარესდება, რითაც საფრთხე შეექმნება სესხის დაბრუნების მოთხოვნას. ეს უფლება მაშინაც არსებობს, თუ მსესხებლის ქონებრივი მდგომარეობის გაუარესება წინ უსწრებდა ხელშეკრულების დადგებას, ხოლო გამსესხებლისათვის იგი ცნობილი გახდა მხოლოდ ხელშეკრულების დადგების შემდეგ.

სასამართლო წესით სესხის არაერთი ხელშეკრულება ხდება სადაც. განვიხილოთ ერთ-ერთი საქმე, სადაც ჰ. ს. დ-მ სარჩელი აღმრა სასამართლოში გ. კვ-ის მიმართ და მოითხოვა სესხის ხელშეკრულებით ნაკისო ვალდებულების შესრულება და იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია.<sup>1</sup> საკასაციო პალატამ აღნიშნულ საქმეზე მიუთითოთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლზე, რომლის მიხედვითაც, სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს დაბრუნოს იმავე სახის, სარისხისა და რაოდენობის ნივთი. სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მიხედვით, სესხისთვის მხარეთა შეთანხმებით შეიძლება პროცენტის გათვალისწინება. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ 2009 წლის 30 ივნისს ჰ. ს. დ-სა და გ. კ-ს შორის დადგებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება სასყიდლიანი იყო, კერძოდ, ყოველთვიური სარგებელი განისაზღვრა სესხის ძირითადი თანხის, 50 000 აშშ დოლარის 5%-ით. საქმეში წარმოდგენილი სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების 1.2. პუნქტის მიხედვით, სულ სესხი და სამი თვის სარგებლით დასაბრუნებელი თანხა შეადგენს 57500 აშშ დოლარს. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მართებულად განიხილავს კასატორის პოზიციას იმის შესახებ, რომ სარგებლის მოქმედება შეიძლებოდა გაგრძელებულიყო სამი თვის განმავლობაში. რაც შეეხება სააპელა-

<sup>1</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

ციონ სასამართლოს დასკვენას, რომ მსესხებლის მიერ 2010 წლის 30 სექტემბრამდე ყოველთვიურად გადახდილი თანხა 2500 აშშ დოლარის ოფენობით სრულად შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლის ოფენობა (5%-ს), რაც ადასტურებს 27875 აშშ დოლარის სარგებლის სახით გადახდას, არ გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის დასპოზიციიდან. საკასაციო პალატა გამნარტავს, რომ სარგებლის (პროცენტის) გადახდის ვალდებულება, რომელიც მხარეებმა გაითვალისწინეს სესხის ხელშეკრულებისათვის, შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ხელშეკრულების მოქმედების ვადაში. საკასაციო პალატა ასევე აღნიშნავს, რომ მოკლე, რომელიც ფულადი თანხის გადახდის ვადას გადაცილებს, ვალდებული გადაცილებული დროისათვის გადაიხადის მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული პროცენტი, თუ კრედიტორს სხვა საფუძვლებიდან გამომდინარე, უფრო მეტის მოთხოვნა არ შეუძლია. ამასთან, სარჩელის დაკმაყოფილებისათვის აუცილებელია შემდეგი პირობების არსებობა: მოვალეს შესასრულებელი უნდა ჰქონდეს ფულადი ვალდებულება; ფულადი ვალდებულების შესრულების ვადა უნდა იყოს დარღვეული; ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისათვის უნდა არ სებობდეს მხარეთა შეთანხმება პროცენტის თაობაზე. ამდენად მოსარჩელის მოთხოვნა, რომ მოპასუხეს დაეკისროს მის სასარგებლობდ სარგებელი, 50 000 აშშ დოლარის 5% 2010 წლის ოქტომბრის თვითდან სესხის ძირითადი თანხის დაფარვამდე, სასამართლომ მიიჩნა, რომ სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია.

## სესხის შეპირება

სესხის შეპირებისას დამპირებელს შეუძლია უარი თქვას სესხის მიცემაზე, თუ მეორე მხარის ქინებრივი მდგომარეობა იმდენად გაუარესდა, რომ შეიძლება საფრთხე შეექმნას ვალის დაბრუნებას. სესხის შეპირება უნდა გაფორმდეს ნერილობით.

მხარეებს შეუძლიათ ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად ხელშეკრულებით გაითვალისწინონ დამატებითი საშუალებები, მაგალითად პირვასამტებლო.

ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ პირვასამტებლო, რომელიც შეიძლება აღემატებოდეს შესაძლო ზანას.

შეთანხმება პირვასამტებლოს შესახებ მოითხოვს ნერილობით ფორმას.

აღსანიშნავია, რომ კრედიტორს არ შეუძლია ერთდროულად მოითხოვოს პირვასამტებლოს გადახდაც და ვალდებულების შესრულებაც, თუმცა პირვასამტებლო არ არის გათვალისწინებული იმ შემთხვევებისათვის, როცა მოვალე თავის ვალდებულებებს არ ასრულებს დადგენილ დროში.

კრედიტორს ყოველთვის აქვთ უფლება მოითხოვოს ზანას ანაზღაურება.

სასამართლო დავის შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირვასამტებლო.

ძალიან საინტერესოა სასამართლოს პრაქტიკა პირვასამტებლოს დაკისრების სადაც გახდომის მიმართულებით. განვიხილოთ ერთ-ერთი საქმე, სადაც შეს „ს.ა.გ. ამ“ სარჩელი აღძრა სასამართლოში კერძო სს „ა.უ.ს.ა.-ის“ მიმართ პირვასამტებლო – 64 763,55 ლარის დაკისრების მოთხოვნით.<sup>1</sup> სასამართლო აღნიშნულ საქმეზე მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 417-ე, 418-ე მუხლებზე, რომელთა თანახმა-

<sup>1</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება.

## პირგადი გადახდა

 მხარეთა შეთანხმება – ბით განსაზღვრული ფულადი თანხა – მოვალემ უნდა გადაიხადა დაბრუნებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვად შესრულებისათვის.

ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ პირვასამტებლო, რომელიც შეიძლება აღემატებოდეს შესაძლო ზანას.

შეთანხმება პირვასამტებლოს შესახებ მოითხოვს ნერილობით ფორმას.

აღსანიშნავია, რომ კრედიტორს არ შეუძლია ერთდროულად მოითხოვოს პირვასამტებლოს გადახდაც და ვალდებულების შესრულებაც, თუმცა პირვასამტებლო არ არის გათვალისწინებული იმ შემთხვევებისათვის, როცა მოვალე თავის ვალდებულებებს არ ასრულებს დადგენილ დროში.

კრედიტორს ყოველთვის აქვთ უფლება მოითხოვოს ზანას ანაზღაურება.

სასამართლო დავის შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირვასამტებლო.

ძალიან საინტერესოა სასამართლოს პრაქტიკა პირვასამტებლოს დაკისრების სადაც გახდომის მიმართულებით. განვიხილოთ ერთ-ერთი საქმე, სადაც შეს „ს.ა.გ. ამ“ სარჩელი აღძრა სასამართლოში კერძო სს „ა.უ.ს.ა.-ის“ მიმართ პირვასამტებლო – 64 763,55 ლარის დაკისრების მოთხოვნით.<sup>1</sup> სასამართლო აღნიშნულ საქმეზე მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 417-ე, 418-ე მუხლებზე, რომელთა თანახმა-

დაც პირგასამტებლო წარმოადგენს სახელშეკრულებო მოთხოვნის შესრულების მიმართ მხარის შესაბამისი ინტერესის უზრუნველყოფის საშუალებას, რომლის გადახდის ვალდებულების წარმოშობა დაკავშირებულია სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევასთან. პირგასამტებლო ეკისრება მხარეს იმ დროიდან, როდესაც უნდა ყოფილიყო შესრულებული დოკუმენტი ვალდებულება - ამ ვალდებულების შესრულებამდე, სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, სასამართლომ აღნიშნა, რომ პირგასამტებლოს შემცირებისას სასამართლო მხედველობაში იღებს მხარის ქონებრივ მდგომარეობასა და სხვა გარემობებს, კერძოდ იმსა, თუ როგორია შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობისა და არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზოანის თანაფარდობა პირგასამტებლოს ოდენობასთან. პირგასამტებლოს შეუსაბამობის კრიტერიუმად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შეიძლება ჩაითვალოს ისეთი გარემოებები, როგორიცაა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტებლოს შეუსაბამოდ მაღალი პროცენტი, პირგასამტებლოს თანხის მნიშვნელოვანი გადაჭარბება ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეულ შესაძლო ზიანზე, ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა და სხვა. მოსარჩევის მხრიდან მოთხოვნილი პირგასამტებლო, რომლის თვიური თვენობა შეადგენს 150% (5X30)-ს, პალატიშ შეუსაბამოდ მაღალ ოდენობად მიიჩნია და ჩათვალა, რომ სამოქალაქო უფლების არამართლზომიერად განხორციელებაზე მიუთითებდა. პალატის მტკიცებით, ასეთ პირობებში პირგასამტებლოს დაინიშნულება, როგორც ვალდებულების შეუსრულებლობის პრევენციის მეთოდი, კარგავის ამგვარ დანიშნულებას და იქცევა მოვალის დასჯის ერთ-ერთ მექანიზმად, რაც დაუშვებელია. ვადის გადაცილების პერიოდისა და მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევით გამოწვეული სავარაუდო ზიანის გათვალისწინებით, ასევე, პირგასამტებლოს ფუნქციურადანიშნულების მხედველობაში მიღებით, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ პირგასამტებლო უნდა შემცირებულიყო ათჯერ, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0.5%-მდე, რაც 2815.16 ლარს შეადგენდა.

2. სესხის, როგორც ფულადი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებები:

სესხის, როგორც ფულადი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებებს წარმოადგენს თავდებობა, გირავნობა და იპოთეკა. განვიხილოთ თითოეული უზრუნველყოფის საშუალება.

#### **ა. თავდებობა**

კრედიტორების წინაშე თავდები თუ დაგჭირდებათ, ან სხვა თუ გთხოვთ თავდებობას, იცოდეთ, რომ თავდებობის ხელშეკრულებით თავდები კისრულობს ვალდებულებას, კრედიტორის წინაშე საჭიროების შემთხვევაში აგოს პასუხი მის მაგივრად, ვისაც თავდებში უდგას.

თავდებობის წამდვილობისთვის საჭიროა თავდების წერილობითი განცხადება, სადაც მითითებული იქნება მაქსიმალური თანხა, რომლის ფარგლებშიც პასუხს აგებს თავდები. თავდების არსებობა არ ნიშნავს, რომ ზიანის ანაზღაურება ყველა შემთხვევაში მას მოუწევს. მას შეუძლია უარი თქვას კრედიტორის დატაყოფილებაზე, ვიდრე კრედიტორი არ შეეცდება ძირითადი მოვალის მიმართ იძულების აღსრულებას. თუ ერთი და იგივე ვალდებულების თავდები რამდენიმე პირია, ისინი პასუხს აგებენ როგორც სოლიდარულ მოვალეები მაშინაც კი, თუ მათ თავდებობა ერთობლივად არ უკისრიათ.

თავდები პასუხს არ აგებს უშუალოდ მევალის მაგივრად და ისევე, როგორც მევალე. იგი ყველა შემთხვევაში მხოლოდ ისე აგებს პასუხს, როგორც თავდებობის დოკუმენტშია მითითებული. ამიტომ დაკვირვებით შეადგინეთ ხელშეკრულება და განსაზღვრეთ თითოეული დეტალი, რათა პრობლემები თავიდან აიცილოთ.

თუ ძირითადმა მევალემ გადააცილა გადახდის ვადას, კრედიტორმა უნდა აცნობოს ამის შესახებ თავდებს. საერთოდაც, თავდები პირი ყოველთვის უნდა იყოს საქმის კურსში, თუ რა მდგომარებაშია ვაღლის ოდენობა და დამატებითი პრობლემები გაურკვევლობა რომ არ შეიქმნას. თუ თქვენ თავდები ხართ, მოითხოვთ ეს ინფორმაცია როგორც მოვალისგან, ასევე კრედიტორისგან. ამ ინფორმაციის ფლობის უფლებას თქვენ კანონი განიჭებთ. რაც შეეხება კრედიტორს, მისი პირდაპირი ვალდებულებაა, შეგატყობინოთ ნებისმიერი ცვლილების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი კარგავს თავის მოთხოვნებს თავდების წინააღმდეგ იმ ოდენობით, რა იდენტობითაც გამოიწვევდა ცვლილების შეუტყობინებლობა ზიანს.

თუ თავდები იყისრებს თავდებობას ძირითადი მოვალის დავალებით, ან თუ დავალების გარეშე სხვისა საქმეების წარმართვის წესების შესაბამისად თავდებობის გამო მიენიჭება რემუნებულის უფლებები ძირითად მოვალის მიმართ, მაგრამ მას შეუძლია მოითხოვოს თავდებობისაგან განთავისუფლება, თუ:

ა. ძირითად მოვალის ქონებრივი მდგომარეობა არსებითად გაუარესდა;

ბ. თავდებობის დადგენის შემდეგ, ძირითად მოვალისგან გადახდევინება არ-სებითად გაძნელდა საცხოვრებელი ადგილის ან ადგილსამყოფელის შეცვლის გამო;

გ. კრედიტორს თავდების წინააღმდეგ აქვს შესრულებაზე სააღსრულებო წარწერის მქონე დოკუმენტი.

კანონით არის განსაზღვრული, რომ თუ თავდები დააკმაყოფილებს კრედიტორს, მასზე გადადის კრედიტორის მოთხოვნა ძირითად ვალთან დაკავშირებით. რაც იმას წიმნავს, რომ მევალე ახლა უკვე თავდების წინაშე იქნება ვალდებული დაფაროს ვალი.

ერთი შეხედვით, თავდებობა საკმაოდ სარისკო საკითხია, თუმცა ამ საქმეში ისევ და ისევ კანონი დაგეხმარებათ. ზუსტად და ზედმინევნით დაიცავით მისი მოთხოვნები, მოითხოვეთ თქვენთვის მონიჭებული უფლებების შესრულება და რისკი, თავისთავად, აღარანაირ პრობლემას აღარ შეგიქმით.

## რა არის თავდების სოლიდარული პასუხისმგებლობა?

თუ თავდები კისრულობს პასუხისმგებლობას სოლიდარულად ან სხვა თანაბარმნიშენელოვანი სახით, მას შეიძლება წაეყენოს მოთხოვნა იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშეც, თუ ძირითადმა მოვალემ გადააცილა გადახდის ვადას და უშედეგოდ იქნა გაფორმებული, ანდა მისი გადახდის უუნარის მიხედვით ამჟარა.

შემდგომი გაურკვევლობისა და გართულებების თავიდან ასაცილებლად ყურადღებით გაეცანით გასაფორმებელი ხელშეკრულების პირობებს: არ მოაწეროთ ხელშეკრულებას ხელი მანამ, სანამ არ მიღებთ სრულ ინფორმაციას იმ ვალდებულებების შესახებ, რომლებიც მის გაფორმების შედეგად დაგენსრებათ.

წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო განხილვის ეტაპზე ძალიან როგორი იქნება იმის მტკიცება, რომ თავდებს შეგნებული არ ჰქონდა თავდებობის შინაარსი, რადგან დოკუმენტზე (ამ შემთხვევაში – თავდებობის ხელშეკრულებაზე) ხელის მოწერა არის დოკუმენტის გაცნობის, მისი შინაარსის გააზრებისა და შედეგების გაცნობიერების საფუძველი.



**გახსოვდეთ**, თუ მოვალე არ შეასრულებს ნაკისრ ვალ-დებულებებს, კრედიტორი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს სააღსრულებო ფურცელი თანხის ძალებით ამოღების თაობაზე; აღნიშნულ სააღსრულებო ფურცელში მოვალედ დასახელებულია თავდები და ვალის გადახდა მთლიანად მას ეკისრება.

## გაითვალისწინეთ!

აღსრულების ეროვნულ ბიუროში თავდებობის საკითხთან დაკავშირებით შესული საალსრულებო საქმეებიდან დაახლოებით 30-40%-ს თავდები ფარავს.

თუ თავდებობის საკითხთან დაკავშირებული საქმის აღსრულების შემდეგ თავდები სრულად დაფარავს სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხას, კრედიტორის მოთხოვნა ძირითადი მოვალის მიმართ მასზე გადავა. შესაბამისად, თავდებს მიეცემა შესაძლებლობა, სასამართლო წესით იდავოს მის მიერ გადახდილი ვალის ძირითადი მოვალისათვის დაკისრებაზე.

რომ, პირველ რიგში დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა სხვა კრედიტორებთან შედრებით. იპოთეკა წარმოადგენს კრედიტის მოსახერხებელ ფორმას, იგი უძრავი ქონების მესაკუთრეა აძლევს შესაძლებლობას, დაადოს თავის ქონებას ერთი ან რამდენიმე იპოთეკა, მიიღოს კრედიტი იმ ფარგლებში, რომელიც შეესატყვისება ამ ნივთის მთლიან ან ნაწილობრივ ლირებულებას, თანაც ისე, რომ არ დაკარგოს არც სარგებლობის და არც განკარგვის უფლება ამ უკანასკნელზე.

### იპოთეკური სესხი

იპოთეკური სესხი არის უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხი, რომელსაც გასცემს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი, მათ შორის, ბანკი. იპოთეკის ხელშეკრულება ფორმდება წერილობითი ფორმით და რეგისტრირდება საჯარო რეგისტრში. იპოთეკური სესხის ამღები საკუთარ ვალდებულებას კრედიტის დაუარვაზე უზრუნველყოფს მისი კუთხით უძრავი ქონების თავდებად ჩადებით.

იპოთეკური სესხი არის უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი გრძელვადიანი კრედიტი, რომლის მეშვეობით შეგიძლიათ შეიძინოთ, ააშენოთ ან გაარემონტოთ უძრავი ქონება – ბინა, სახლი, აგარაკი, მინის ნაკვეთი. იპოთეკური კრედიტის უძრავი ქონებით უზრუნველყოფა გულისხმობს, რომ სესხის მოქმედების პერიოდში თქვენს მიერ აღებული სასესხო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, კრედიტორს უფლება აქვს მოახდინოს უზრუნველყოფაში არსებული უძრავი ქონების რეალიზაცია.

იპოთეკის რეგისტრაციისას დიდი მნიშვნელობა აქვს რიგითობას. პირველი რიგის იპოთეკარის მოთხოვნა უპირატესია ყველა მომდევნო იპოთეკარის მოთხოვნაზე.

იპოთეკური სესხის გასაცემად და შესაბამისი ხელშეკრულების გასაფორმებლად, აუცილებელია ყურადღება მიაქციოთ, ჰყავს თუ არა გარდამავალი უფლებით დასატვირთ ქონებას სხვა რიგის იპოთეკარი. ამისათვის:

- მიმართეთ საჯარო რეგისტრს;
- მოითხოვთ საჯარო რეგისტრის ამონანერი ქონების სამართლებრივი მდგრმარეობის შესახებ;
- თავადვე განაახლეთ საჯარო რეგისტრის ამონანერი და დაიზღვიეთ თავი შესაძლო გართულებებისაგან;

### ა. იპოთეკა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 286-ე მუხლით, იპოთეკის ცნება შემდეგნაირადაა განვითარებული: “უძრავი ნივთი შეიძლება მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ისე იქნას გამოყენებული (დატვირთული), რომ კრედიტორს მიეცეს უფლება, სხვა კრედიტორებთან შედარებით პირველ რიგში მიიღოს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება ამ ნივთიდან (იპოთეკა)”. ე.ი. იპოთეკა არის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება, რომელიც კრედიტორს იმის გარანტიას აძლევს,

- თუ საჯარო რეესტრის ამონანერს წარმოგიდგენთ ქონების მფლობელი, ყურადღება მიაქციეთ მისი გაცემის თარიღს;
- თავადვე გადაამოწმეთ იპოთეკით დასატვირთი ქონება. დარწმუნდით, ნამ-დვილად შეესაბამება თუ არა მესაკუთრის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.

**რა პრობლემები შეიძლება შეგეემნათ, თუ გარდამავალი უფლებით დასატ-ვირთ ქონებას რამდენიმე წინა რიგის იპოთეკარი ჰყავს?**

თუ გაეცით იპოთეკური სესხი და გააფორმეთ შესაბამისი ხელშეკრულება, ხოლო ქონებას, რომელიც გარდამავალი უფლებით დაიტვირთა, ჰყავდა წინა რიგის 2 იპ-ოთეკარი, ამასთან, თუ მოვალე ვალის დაბრუნებას თავს აარიდებს და სააღსრულებო ბიუროს ვალის ამოცების მიზნით მიმართავს მეორე რიგის იპოთეკარი, თქვენ შეიძლება დაკარგოთ უფლება იპოთეკით დატვირთულ ქონებაზე და ვალის დაბ-რუნების შანსი.

ძალიან საინტერესოა სასამართლოს პრატიცია იპოთეკის ხელშეკრულების კუთხით. განვიხილოთ ერთ-ერთი საქმე სადაც მ. ქ-იამ სარჩელი აღძრა სასამართ-ლოში სს „კ-ის“ მიმართ მხარეთა შორის დადებული იპოთეკის ხელშეკრულების მე-9 მუხლის პირობის ბათილად ცნობის შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2009 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილებით მ.ქ-იას სარჩელი არ დაკამაყილდა შემდეგი დასაბუთებით: „სასამართლო დადგინა, რომ 2009 წლის 4 მაისს მოსარჩელე მ.ქ-იასა და მოპასუხესს „კ-ს“ შორის დაიდო იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის მე-9 მუხლით განისაზღვრა, რომ “9.1. წინამდებარე ერთობლივი განცადებით იპოთეკარი და მესაკუთრე, მიმართავენ საჯარო რეესტრს, რომ იპოთეკარი დაარეგისტრიროს იპოთეკის საგნის მესაკუთრედ იმ შემთხვევაში, თუკი ადგილი ექნება „შესახებლის“ მიერ კრედიტის ძირითადი თანხისა და მასზე დარიცხული პროცენტის საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში დაუბრუნებლობას. ამ ხელშეკრულების 9.1. ცუნქებით გათვალისწინებული პირობის დადგომის შემთხვევაში, იპოთეკარი სანოტარო წესით დამოწმებული განცხადებით (სადაც დამოწმებული უნდა იყოს მხოლოდ ხელმოწერა) მიმართავს საჯარო რეესტრს იპოთეკის საგნის იპოთეკარის საკუთრებაში გადასვლის შესახებ. საჯარო რეესტრი არ ამოწმებს ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტს. იპოთეკარი და მესაკუთრე სთხოვენ საჯარო რეესტრს, რომ იპოთეკარისაგან ზემოაღნიშნული განცხადების მიღების შემდეგ, მესაკუთრისაგან რამე დამატებითი თანხმობის გამოთხოვის გარეშე, საჯარო რეესტრმა დაარეგისტრიროს იპოთეკარის საკუთრების უფლებას“.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემოხსენებული ხელშეკრულების მე-9 მუხლის პირველი ნაწილი შეესაბამება სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის მეორე ნაწილს და არ გაზიარა მოსარჩელის მოსაზრება, რომ იპოთეკის ხელშეკრულების მე-9 მუხლი ბათილად უნდა იქნეს (კნობილი, რადგან იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის იპ-ოთეკარის საკუთრებაში გადასვლისათვის საჭიროა მოვალემ გააჭირნუროს გადახდა და მხოლოდ ამის შემდეგ შეადგინოს მხარეებმა ერთობლივი განცხადება. ხელშეკრულების მე-9 მუხლი კი საშუალებას იძლევა, კრედიტორმა მოვალის მიერ გადახდის გაჭირნურებამდე მიმართოს საჯარო რეესტრს იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის საკუთრებაში გადასვლის მოთხოვნით.

სასამართლომ აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტა, რომ იპოთეკის ხელშეკრულების მე-9 მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, იპოთეკარი მხოლოდ იმ შემთხვევაშია უფლებამოსილი მიმართოს საჯარო რეესტრს იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნით, როდესაც მსესხებელი კრედი-

ტის ძირითად თანხას და მასზე დარიცხულ პროცენტს არ დააბრუნებს. აღნიშნული დასკვნა სასამართლომ დაფუძნა სადაც ხელშეკრულების 9.2 პუნქტის პირველ ნინა-დადებას.

გარიგების კანონიერება განისაზღვრება არა იმით, თუ რომელია პირველადი ფქვტი თუ ნება, არამედ იმით, რომ ნება იყოს ნამდვილი, გამოხატული მხარის მიერ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, იპოთეკის ხელშეკრულება მხარეებმა დადგს ნებაყოფლობით და მასში გამოხატული ნება სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის მეორე ნაწილს შესაბამება.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მესაკუთრე ინფორმირებული იყო იპოთეკარისაგან იპოთეკის საგნის პირდაპირ მის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე საჯარო რეესტრისთვის განცხადებით მიმართების შესახებ. ასეთ შემთხვევაში კი მესაკუთრეს მისი უფლებების დარღვევის შემთხვევაში (გადახდის გაჭიანურებას ფაქტის არასრებობის ან სხვა შემთხვევაში) უფლება ჰქონდა მიემართა სასამართლოსათვის. მესაკუთრეს ასევე უფლება ჰქონდა, იპოთეკართან ერთად არ მიემართა საჯარო რეესტრისათვის, რომ ამ უკანასკნელს იპოთეკის საგანზე რეგისტრაციაში გაეტარებინა იპოთეკარის საკუთრების უფლება.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მ.ქ-ის გასაჩინო სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილებით მ.ქ-ის სააპელაციო საჩინო ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემობები, რაც მხსარეებს სადაციდ არ გაუხდიათ. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა გასაჩინორებული გადაწყვეტილების მითითება, რომ სადაც იპოთეკის ხელშეკრულების მე-9 მუხლი მოთლიანად შეესაბამება სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის დანაწესს. დასახელებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, პალატამ ჩათვალა, რომ მსარეთა შეთანხმება იპოთეკით დატვირთული ნივთის პირდაპირ კრედიტორის (იპოთეკარის) საკუთრებაში გადასვლის თაობაზე თავისთვად უკანონო არ არის და ამ ნაწილში სადაც ხელშეკრულების 9.1. მუხლი, რომლითაც იპოთეკით დატვირთული ნივთი კრედიტორის საკუთრებაში გადავიდა, შეესაბამება სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის პირველ ნაწილს, მაგრამ არსებითი წინააღმდეგობაა სადაც ხელშეკრულების 9.2 მუხლსა და სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის მეორე ნაწილს შორის. სასამართლოს მოსაზრებით, კანონის დასახელებული დანაწესი პირდაპირ და ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე ადგენს, რომ კრედიტორსა და მოვალეს მხოლოდ მაშინ შეუძლიათ მიმართონ საჯარო რეესტრს ერთობლივი განცხადებით, როდესაც მოვალე გაჭიანურებს იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილებას. იპოთეკის საგნის კრედიტორის (იპოთეკარის) საკუთრებაში გადასასვლელად მხარეთა შეთანხმების გარდა, ამავლობულად, საჭიროა დადგინდეს მოთხოვნის დაკმაყოფილების გაჭიანურების ფაქტი და მხოლოდ ამის შემდეგ შედგეს მხარეთა ერთობლივი განცხადება. ნებისმიერი სანინააღმდეგო შეთანხმება კი ბათოლად უნდა ჩაითვალოს. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში 2009 წლის 4 მაისის იპოთეკის ხელშეკრულების 9.2 მუხლი სრულიად ენინააღმდეგება სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის მეორე ნაწილს, რადგან ადგენს კანონისაგან სრულიად განსხვავებულ წესს – იპოთეკარი სანოტარო წესით დამონშებული განცხადებით, სადაც დამონშებული უნდა იყოს მხოლოდ ხელმოწერა, მიმართავს საჯარო რეესტრის იპოთეკის საგნის იპოთეკარის საკუთრებაში გადასვლის შესახებ. პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლით და მიიჩნია, რომ 2009 წლის 4 მაისის იპოთეკის ხელშეკრულების 9.2 პუნქტი ენინააღმდეგება კანონით დადგენილ წესს, ანუ სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის მეორე ნაწილს, რის გამოც იგი ბათოლად უნდა ჩაითვალოს.

უზენაესმა სასამართლომ აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

ანალოგიური განმარტება გააკეთა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ სხვა ანალოგიურ საქმეზეც.

აღნიშნულ საქმეზე მხარეები შეთანხმდნენ სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალ-დებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში იპოთეკის საგნის იპოთეკარის საკუთრებაში გადასვლაზე. სასამართლო, სამოქალაქო კოდექსის 300-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე განმარტავს, რომ კანონმდებლმა აღნიშ-ნული მუხლით მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩათვალა დასაშვებად იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის კრედიტორის სა-კუთრებაში გადასვლა, როდესაც მოვალე აჭანურებს იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკამაყოფილებას, ე.ი. საერთოდ არ ასრულებს ვალდებულებას; ხოლო ვალდებულების არა-ჯეროვანი შესრულების გამო იპოთეკით დატვირთული უძ-რავის ქონების კრედიტორის საკუთრებაში გადაცემს სამოქალაქო კოდექსის 300-ე მუხლი არ ითვალისწინებს და მხარეთა შორის ასეთი სახის შეთანხმება ენინაალმდეგება, დასახელებული ნორმის არს, რის გამოც მოსარჩელის ბანკის მოთხოვნა იპოთეკით დატვირთული საგნის კრედიტორის საკუთრებაში გა-დაცემის თაობაზე არ უნდა დაკამაყოფილდეს. სასამართლოს შეთავაზების მიუხედავად, მოსარჩელე უზრუნველყოფილი ქონების აუქციონზე რეალიზაციის წინააღმდეგია.

არის შემთხვევები, როდესაც ქონებას რამდენიმე პირველი რიგის იპოთეკარი ჰყავს. თუ აღსრულების ეროვნულ ბიუროს სა-აღსრულებო ნარმორბის დაწყების მოთხოვნით მომართა მეორე რიგის იპოთეკარმა და აღსრულების ეროვნულმა ბიურომ მოახდინა იპოთეკით დატვირთული ქონების იძულებითი აუქციონის გზით რეალიზაცია;

- რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხით დაკამაყოფილდება მეორე რიგის იპოთეკარის მოთხოვნა;
- პირველი რიგის იპოთეკარის მოთხოვნა გარდამავალი უფლებით გადაჰყება ქონების შემძენს;
- მესამე და მომდევნო რიგის იპოთეკარების უფლება იპოთეკაზე გაუქმდება.

**ძალიან საინტერესოა უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილება,** რომელიც ასევე ხება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას. აღნიშნულ საქმეზე მოსარჩელემ სარჩელი აღმრა ბანკის წინააღმდეგ. საქალაქო სასამართლომ საქმეზე მიუ-თითა სამოქალაქო კოდექსის 286-ე მუხლზე, რომლის თანახ-მად უძრავი ნივთის გამოყენება (დატვირთვა) მოთხოვნის დასაკა-მაყოფილებლად ისე შეიძლება, რომ უზრუნველყოფილ კრედი-ტორს მიეცეს უფლება, სხვა კრედიტორებთან შედარებით პირველ რიგში მიიღოს თავისი მოთხოვნის დაკამაყოფილება ამ ნივთის რეალიზაციით ან მის საკუთრებაში გადაცემით (იპოთეკა). სასამართლომ ასევე მიუთითა სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის მე-3

## გაითვალისწინოთ!

თუ აღსრულების ეროვნულ ბიუროს სა-აღსრულებო ნარმორბის დაწყების მოთხოვნით მომართა მეორე რიგის იპოთეკარმა და აღსრულების ეროვნულმა ბიურომ მოახდინა იპოთეკით დატვირთული ქონების იძულებითი აუქციონის გზით რეალიზაცია;

- რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხით დაკამაყოფილდება მეორე რიგის იპოთეკარის მოთხოვნა;
- პირველი რიგის იპოთეკარის მოთხოვნა გარდამავალი უფლებით გადაჰყება ქონების შემძენს;
- მესამე და მომდევნო რიგის იპოთეკარების უფლება იპოთეკაზე გაუქმდება.

## გაითვალისწინოთ!

იპოთეკით დატვირთული ქონების შეძენის შემთხვევაში, თქვენ მოგიწევთ იპ-ოთეკაზე უფლების მქონე პირის/პირების მოთხოვნის დაკამაყოფილება; მოვალის ვალ-დებულება მთლიანად თქვენზე გადმოვა.

ნაწილზე, რომლის თანახმად, იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის კრედიტორის (იპოთეკარი) საკუთრებაში გადასცლისას, მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის ლირებულება მთლიანად არ ფარავს ამ მოთხოვნის ოდენობას, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი. იპოთეკის დადგენისას, მხარები იმთავითვე ითვალისწინებენ საგნის ლირებულებას, ამიტომ, როგორც წესი, იპოთეკის საგნის ლირებულება რამდენჯერმე აღემატება უზრუნველყოლი მოთხოვნის ოდენობას. ამ შემთხვევაში, წინდაწინ იქმნება იმის ვარაუდი, რომ იპოთეკის საგნის რეალიზაციას სწორდ მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება. იგი ხელს უწყობს კრედიტორს წინასწარ შეაფასოს, რამდენად უზრუნველყოფს იპოთეკის საგანი მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებას მოვალის მხრიდან ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში. ამ პირობებში ნათელია, თუ სად გადის მოვალის პასუხისმგებლობის ზღვარი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ როდესაც მოთხოვნა უზრუნველყოლილია ამა თუ იმ ნივთით, სხვა ქონებიდან აღსრულება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მხარები შეთანხმდნენ კანონით გათვალისწინებულისან განსხვავებულ წესზე. აღნიშნულ საქმეზე დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა. ორივე ინსტანციის სასამართლომ უცვლელი დატოვა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება.

## იქულებითი იკოთვა

თქვენ ბევრი გსმენიათ იპოთეკაზე, იპოთეკურ სესხზე (იპოთეკურ კრედიტზე), სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებაზე და ა.შ, მაგრამ არ იცით რა არის იძულებითი იპოთეკა?

უძრავ ქონებაზე აღსრულება ხდება იძულებითი იპოთეკის რეგისტრაციით, იძულებითი აუქციონით ან სეკვესტრით (ქონების იძულებითი მართვა).

ძალიან ბევრი დავა არსებობს ამ კუთხით სასამართლოში. ერთ-ერთ საქმეზე სს „თიბისი ბანება“ სარჩელი აღძრა ფიზიკური პირის მიმართ და მოითხოვა მოპასუხის კუთვნილი იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაცია.

სასამართლომ აღნიშნულ საქმეზე განმარტა, რომ: იპოთეკის ხელშეკრულების დადების დროს ბინის მთლიანი ფართი ფაქტობრივად შეადგენდა 145,26 კვ.მ-ს, საიდანაც 98,26 კვ.მ იყო მიშენება, რომელიც არ იყო დაკანონებული და აღრიცხული საჯარო რეესტრში. იპოთეკის ხელშეკრულების გაფორმებისას სს „თიბისი ბანებისთვის“ ცნობილი იყო, რომ ბინის 98,26 კვ.მ ფართი იყო დაუკანონებელი. ქ.თბილისში, დიღმის მასივის მე-3 კვარტლის 28-ე კორპუსში მდებარე №60 ბინა არის ერთიანი, მოქცეულია ერთ ჭერქვეშ და არის ერთი მთლიანი ბინა.

სამიქალაქო კოდექსის 286-ე მუხლის თანახმად, უძრავი ქონება შეიძლება ისე დატვირთოს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რომ კრედიტორს მიეცეს უფლება, სხვა კრედიტორებთან შედარებით პირველ რიგში დაიმაყოფილოს მოთხოვნა ამ ნივთის რეალიზაციით. იპოთეკის ინსტიტუტის არსებობა ცალსახად დაკავშირებულია უძრავი ქონების არსებობასთან. შეუძლებელია, არსებობდეს იპოთეკა უძრავი ნივთის გარეშე. განსახილველი დავაც სწორედ უძრავი ნივთის თავისებურებებთანა დაკავშირებული. ამ თვალსაზრისით, დავის გადასაწყვეტად დიდი მიშვნელობა ენიჭება იმის შეფასებას, თუ რა მოიაზრებოდა ი. კ-ის უძრავ ქონებაში იპოთეკით დატვირთვის დროს.

მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, იპოთეკით დაიტვირთა „მესაკუთრის“ ანუ ი.კ-ის კუთვნილი მთელი უძრავი ქონება (იპოთეკის ხელშეკრულება, მუხლი 2, 2.1.-ე პუნქტი). ბუნებრივია, „მთელ“ ქონებაში იგ-

ულისხმება დაუკანონებელი ფართიც. ზემოთ მითითებულ მოსაზრებას აძლიერებს იპოთეკის ხელშეკრულების მე-6.13 პუნქტი მითითებული დებულებაც, რომლის თანახმადაც მიმდინარე ხელშეკრულებით დადგენილი იპოთეკა ვრცელდება იპოთეკის საგნის გაერთიანების შედეგად მიღებულ ახალ ნივთზე (იპოთეკა ვრცელდება იპოთეკის საგანთან არსებით შემადგენელ ნაწილად შეერთებულ ნაწილზეც). ამავე პუნქტის თანახმად, დადგენილი ნორმა ვრცელდება იმ შემთხვევაშიც, თუ იპოთეკის საგანს დაემატა (მიერენება, დაეშენება) შენობა (შენობის ნაწილი), იპოთეკის საგანში გათვალისწინებულ მიწის ნაკვეთზე აღიმართება შენობა-ნაგებობა. მითითებულ დებულებათა ანალიზი ცხადყოფს, რომ მხარეების ნება ცალსახად მიმართულია სადაც ბინის მთელი ფართის (და არა მისი ნაწილის) იპოთეკით დასატვირთად.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ იპოთეკის ხელშეკრულების მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმები არ შეიცავს აკრძალვას მომავალი ქონების უზრუნველყოფის სახით გამოყენების თაობაზე.

მომავალ ქონებაზე გარიგების დადების ამჟრალავი ნორმა მოცემულია სახელშეკრულები სამართლაში, კერძოდ კი სამოქალაქო კოდექსის 320-ე მუხლში. აღნიშნული ნირჩის თანახმად, ბათილია ხელშეკრულება, რომლითაც ერთი მხარე კისრულობს ვალდებულებას მთელი მისი მომავალი ქონება ან ქონების ნაწილი გადასცეს სხვას ანდა უზუფრუქტით დატვირთოს იგი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელშეკრულება დადებულია მომავალი ქონების ცალკეულ ნივთებზე. აღნიშნულ ნორმაში საუბარია “მთელ მომავალ ქონებაზე” და “მომავალი ქონების ნაწილზე” ანუ ქონებაზე, რომელიც გარიგების დადების მომენტისათვის ხელშეკრულების მხარეებს არ გააჩნიათ და რომელიც მომავალში შეიძლება მიიღონ. (რა თქმა უნდა, აյ არ იგულისხმება მომავალი ქონების ცალკეულ ნაწილებზე დადებული ხელშეკრულება). განსხვავებით ამ ნორმაში მითითებული ქონებისაგან, სადაც პინა ნარმოადგენს არა მომავალ ქონებას, არამედ უძრავი ნივთის ნაწილს, რომელიც მატერიალურად არსებობს გარიგების დადების დროს დაუკანონებელი სახით. სადაც ფართი არის გარიგების დადების დროისათვის არსებული, საჯარო რეგისტრში რეგისტრირებული ფართის ნაწილი, რომელიც დავის პერიოდისათვის აღრიცხულია იპოთეკით დატვირთული ქონების შემადგენელ ნაწილად. შესაბამისად, მასზე ვრცელდება ამ ნივთზე არსებული იპოთეკა.

სასამართლომ აღნიშნული გადაწყვეტილებით დაკამაყოფილა ბანკის მოთხოვნა დავალინების დაფარვის მიზნით იპოთეკაში ჩადებული ქონების რეალიზაციის თაობაზე.

„იძულებითობა“ გამოიხატება იმაში, რომ შეისახავება საჯარო რეგისტრში ხდება მხოლოდ კრედიტორის განცხადების საფუძველზე და აღსრულების მიზნებისათვის. აქედან გამომდინარე, იგი არ იგივედება იპოთეკასთან, ვინაიდან იპოთეკა წარმოიშობა მხარეთა ორმხრივი ნების თანხევდრის შემდეგ საჯარო რეგისტრში რეგისტრაციის გზით. იძულებითი იპოთეკა იწყება რეგისტრაციით. უძრავი ქონება ასევე წარმოადგენს იძულებითი იპოთეკის რეგისტრაციის ხარჯების გარანტიას, რომელიც ეკისრება მოვალეს. იძულებითი იპოთეკით შეიძლება დაიტვირთოს მოვალის რამდენიმე უძრავი ქონება.

თუ აღსასრულებელი გადაწყვეტილების მეშვეობით აღსასრულებელი საბუთი უქმდება ან აღსრულება დაუშვებლად (ცხადდება, მაშინ იძულებითი იპოთეკა გადადის მიწის ნაკვეთის მესაკუთრებზე. აღნიშნული ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, როცა მოვალე აკმაყოფილებს კრედიტორს.

## პაითვალისწილეთ!

რომ იძულებითი იპოთეკა გამოიყენება მხოლოდ არაუზრუნველყოფილი მოთხოვნის არსებობისას და ერთი და იმავე კრედიტორის მიერ მხოლოდ ერთხელ.

## გ. გირავნობა

მოთხოვნის უზრუნველყოფის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს გირავნობა, რომლის ცნება მოკემულია სამოქალაქო კოდექსის 254-ე მუხლში, რომლის მიხედვითაც: მოვალის ან მესამე პირის მოძრავი ნივთი ან/და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომლის სხვა პირთათვის გადაცემა დასაშვებია, შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ფულადი, ისე არაფულადი მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად ისე, რომ კრედიტორი (მოგირავნე) იძენს უფლებას, დაიკმაყილოს მოთხოვნა დაგირავებული ქონების ( გირავნობის საგნის) რეალიზაციით ან მხარეთა შეთანხმებით-მისი საკუთრებაში მიღებით მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში. ასევე მოგირავნეს გირავნობის საგნიდან აქვს თავისი მოთხოვნის უპირატესი დაკმაყილების უფლება სხვა კრედიტორებთან შედარებით. განმარტებიდან იწყევთ, რომ გირავნობა წარმოადგენს ვალდებულების უზრუნველყოფის ისეთ საშუალებას, რომლის ძალითაც მოგირავნეს აქვს უპირატესი უფლება, მოვალის სხვა კრედიტორებთან შედარებით, დაიკმაყილოს მოთხოვნა გირავნობის საგნიდან ამ უკანასკნელის რეალიზაციით ან მხარეთა შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, მისი საკუთრებაში მიღების გზით. გირავნობა ყოველთვის უზრუნველყოფს განსაზღვრულ ვალდებულებას და შესაბამისად, იგი ამ ვალდებულების გარეშე შეიძლება არც წარმოიშვას და არც არსებობდეს; ანუ გირავნობის უფლება დამატებითი უფლება და არ არსებობს ძირითადი უფლების გარეშე. გირავნობა ასევე შესაძლებელია დადგინდეს სამომავლო ან პირობითი მოთხოვნების უზრუნველსაყოფადაც.

არ არის სავალდებულო, უზრუნველყოფილი მოთხოვნა აუცილებლად ფულადი სახით იყოს წარმოდგენილი. დასაშვებია არაფულადი მოთხოვნის გირავნობით უზრუნველყოფა იმ პირობით, რომ შესაძლებელი იყოს ასეთი მოთხოვნის გამოსახვა ფულადი ფორმით.


უშუალოდ გირავნობის საგანს წარმოადგენს მოძრავი ნივთები, აგრეთვე ქონებრივი ხასიათის მქონე მოთხოვნები და უფლებები. ასევე არა მარტო სახეზე არსებული მოძრავი ნივთები, უფლებები და მოთხოვნები, არამედ იგივე ობიექტები, რომლებიც წარმოიშობა მომავალში ან რომლებსაც დამგირავებელი მომავალში შეიძენს.

გირავნობის წარმოშობა ხდება სანივთო გარიგების საფუძველზე. დამგირავებელი და მოგირავნე თანხმდებიან იმაზე, რომ უზრუნველყოფილი მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, პასუხისმგებლობა გირაოთი მოხდება . თუ არ გვაქვს შეთანხმება ან იგი ბათოლია, არავითარი გირავნობა არ წარმოიშობა. შეთანხმება ხდება გირაოს მესაკუთრესა და მოგირავნეს შორის.

### დადგენის მიხედვით განასხვავებენ გირავნობის ორ სახეს:

1. კანონისმიერი გირავნობა;
2. სახელშეკრულებო გირავნობა.

გირავნობის ურთიერთობის მონაწილეებად გამოდიან მოგირავნე და მოვალე, თუ გირავნობის საგანი ეკუთრის უშუალოდ მოვალეს ან მესამე პირი, რომელიც მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულების უზრუნველსაყოფად გირავნობით ტვირთავს თავის მოძრავ ნივთს ან არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს. თუ ერთსა და იმავე გირავნობის საგანზე არსებობს რამდენიმე გირავნობის უფლება, უნდა გადაწყვდეს საკითხი თუ რომელს მიენიჭოს უპირატესობა. კანონი აწესებს ზოგად წესს, რომლის თანახმად გირავნობის უფლებათა კონკურენციისას უპირატესობა ენიჭება



დაგირავებული ნივთი შეიძლება გასხვის-დეს მესაკუთრის მიერ მიუხედავად იმისა, რომ იგი წარმოადგენს მოთხოვნის უზრუნველყოფის ობიექტს და ვალდებულების შესრულების ვადა ჯერ არ არის დამდგარი. დამგირავებელს (მესაკუთრეს) შეუძლია თავისი სურვილით გაყიდოს, გააჩქოს, გაცვალოს ან სხვაგვარად გასხვისოს დაგირავებული ნივთი (გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა).

უფრო ადრე დადგენილ გირავნობის უფლებას, ანუ გირავნობის უფლებათა რიგითობა განისაზღვრება მათი სარეგისტრაციოდ წარდგენის დროის შესაბამისად, თუმცა კანონი ასევე ადგენს ამ ნესიდან გამონაკლისებსაც.

დაგირავებული ნივთი შეიძლება გასხვისდეს მესაკუთრის მიერ მიუხედავად იმისა, რომ იგი წარმოადგენს მოთხოვნის უზრუნველყოფის ობიექტს და ვალდებულების შესრულების ვადა ჯერ არ არის დამდგარი. დამგირავებელს (მესაკუთრეს) შეუძლია თავისი სურვილით გაყიდოს, გააჩქოს, გაცვალოს ან სხვაგვარად გასხვისოს დაგირავებული ნივთი (გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა).

თუ გირავნობით უზრუნველყოფილ მოთხოვნას მოვალე არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს, მოგირავნეს უფლება აქვს, მოახდინოს გირავნობის საგნის რეალიზაცია; სწორედ რეალიზაციის გზით ხდება მოგირავნის მოთხოვნის დაკმაყოფილება. თუმცა, თუ საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა არ არის საკმარისი გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დასაფარად, მოთხოვნა მაინც სრულად დაკმაყოფილებულად ითვლება, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან.

გირავნობის უფლება უქმდება, როდესაც ის ნივთი, რომელიც დატვირთულია ამ უფლებით, განადგურდება ან თუ უფლებამოსილი პირი, მოგირავნე უარს განაცხადებს თავის უფლებაზე. მფლობელობითი გირავნობა უქმდება როდესაც მოგირავნე გირავნობის საგანზე მფლობელობას უბრუნებს დამგირავებულს.

## უძრავი ქონების შეძენა და რეგისტრაცია

### ა) უძრავი ქონების შეძენა

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, უძრავი ნივთი არის მიწის ნაკვეთი მასზე არსებული შენობა-ნაგებობით ან მის გარეშე, შენობა-ნაგებობა (მშენებარე, აშენებული ან დანგრეული), შენობა-ნაგებობის ერთეული (მშენებარე, აშენებული ან დანგრეული) და ხაზობრივი ნაგებობა. უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება შეიძლება გააჩნდეს ნებისმიერ პირს, როგორც საქართველოს, ისე უცხო ქვეყნის მოქალაქეს, ასევე იურიდიულ პირს. უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების შედგენა და დამოწმება შესაძლებელია როგორც ნოტარიუსთან, ასევე საჯარო რეესტრში. რეესტრის ოპერატორებს აქვთ შესაბამისი უფლებამოსილება, რომ მოახდინონ უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების შედგენა-დამოწმება და ახალი მესაკუთრის უფლების რეგისტრაცია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მას შემდეგ, რაც გამყიდველი და მყიდველი შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობებზე (ნასყიდობის ფასი, გადახდის პირობები და ა.შ.), მათ შეუძლიათ მიმართონ რეესტრს. მხარეებს შეუძლიათ მიიტანონ მათ მიერ წინასწარ შედგინოლი ხელშეკრულება ან რეესტრში მოითხოვონ ხელშეკრულების ნიმუში, რომელსაც შეავსებენ სასურველი პირობების შესაბამისად. ხელშეკრულებაში აუცილებელია მიეთითოს მხარეთა რეკვიზიტები (სახელი, გვარი და პირადი ნომერი), გასასხვისებელი უძრავი ქონების მისამართი (სასურველია, რომ მიუთითოთ საკადასტრო კოდი) და ხელშეკრულების ფასი და გადახდის პირობები.

როგორც აღინიშნა, მხარეებს ასევე შეუძლიათ მიმართონ ნოტარიუსს და მოითხოვონ ხელშეკრულების შინაარსის დამოწმება. ასეთ შემთხვევაში, ნოტარიუსი ვალდებულია შეამოწმოს მხარეთა უფლებამოსილება – თუ რამდენად აქვს უფლება გამყიდველს გაყიდოს ქონება და შესაბამისად, შემძენი რამდენად არის ქმედუნარიანი ნივთის შეძენისათვის. ნოტარიუსი ასევე ამონტებს მხარეთა ნებას, განუმარტავს მათ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შედეგებს და მხოლოდ ამის შემდეგ უზრუნველყოფს ხელშეკრულების დამოწმებას. აღნიშნული პროცედურა ერთგვარი გარანტია მხარეებისათვის, რომ მათ ქონების გასხვისება და შეძენა განახორციელეს კანონმდებლობის შესაბამისად, რაც მომდევნო პერიოდში ამცირებს ხელშეკრულების შინაარსთან დაკავშირებულ დავას. თუმცა, ნოტარიუსთან ასევე შესაძლებელია ხელშეკრულებაზე მხოლოდ მხარეთა ხელმოწერების დამოწმებაც. მას შემდეგ, რაც მხარეებს მზად ექნებათ სათანადოდ მომზადებული ხელშეკრულება, ისინ ხელშეკრულების დასარეგისტრირებლად მიმართავენ საჯარო რეესტრს.

უძრავ ქონებაზე თანასაკუთრების უფლების რეგისტრაციისთვის საჭიროა თანამესაკუთრეთა ერთობლივი მითხოვნა ანუ კველა მესაკუთრე ვალდებულია, ხელი მოაწეროს შესაბამის დოკუმენტს, რათა დარეგისტრირდეს მისი, როგორც მესაკუთრის უფლება.

„უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შემწნამდე დადებული გარიგებები, რომლებიც არ იყო რეგისტრირებული შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანიზმი (ტექბიურობი) შეიძლება დარეგისტრირდეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების დასადასტურებელად აუცილებელია პირს გააჩნდეს ამ ნივთზე საჯარო რეესტრის მიერ გაცემული ამონაწერი, სადაც მისი სახელი დაფიქსირებულია იქნება ქონების მესაკუთრის გრაფაში. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიმართ ვრცელდება უცყარებული პრეზუმეცია. აღნიშნული გულისხმობს, რომ ამონაწერში დაფიქსირებული მონაცემები არის სრული და ჭეშმარიტი, მანამ სანამ სანინადმდეგო არ დამტკაცდება.

ხშირია შემთხვევები, რომ სასამართლო წესით სადავო ხდება უძრავი ქონების შეძენის ფაქტი. განვიხილოთ ერთ-ერთი საქმე სადაც, შ. გ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. ო-ის მიმართ ქ.თბილისში, ქ-ის შესახვევის მე-3 კორპუსში, მე-3 სადარბაზის №54 ბინის მოპასუხის უკანონო მფლობელობდან გამოთხვისა და მისი გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში მოსარჩელისათვის გადაცემის მოთხოვნით.

საკასაციო პალატამ აღნიშნულ საქმეზე ყურადღება გააბაზვილა რამდენიმე საკითხზე და აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებებით განმტკიცებულია სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეობის სავალდებულოდ გასათვალისწინებელი პრინციპი, – კეთილსინდისიერების პრინციპი (“სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეობი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი”, მუხლი 8.3). სწორედ აღნიშნული პრინციპით იცავს ხელმძღვანელობა სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეს ამ ურთიერთობათა შესაძლო უარყოფითი შედეგებისაგან, რაც მთლიანობაში ხელს უწყობს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას. განსახილველი დავა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ გადაწყვეტილ იქნა კეთილსინდისიერების პრინციპის ჭრილში, რის შედეგადაც პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ შ.გ-ი მიჩნეულ იქნა უძრავი ქონების კეთილსინდისიერ შემძენად, ხოლო სააპელაციო სასამართლოს მიერ პირიქით, – არაკეთილსინდისიერ შემძენად. სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის მიხედვით, უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობით ფირმით დადება და შემძენზე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. მართალია კასატორი უთითებს აღნიშნული მუხლით განსაზღვრული ყველა

პირობის შესრულებაზე, თუმცა, როგორც სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, სა-დავო ნასყიდობის ხელშეკრულებით ნივთის გამსხვისებელს არ ჰქონდა უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება და მის მიერ გამოვლენილ ნება ნივთის გაყიდვის თაობაზე არ იყო ნამდვილი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შევილს ამ შემთხვევაში დაიცავს კეთილსინდისურების პრინციპი, თუკი იგი ამ პრინციპის შესაბამისად იმოქმედდებდა. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლის მიხედვით, შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებულ საჯარო რეგისტრში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე. ამდენად, მითითებული ნორმა ხაზს უსვამს საჯარო რეგისტრის ჩანაწერების მიმართ ნდობის ფაქტორს, რაც გამომდინარებს ამავე კოდექსის 312-ე მუხლის პირველი ნაწილის დეფინიციიდან, – რეგისტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უფყუარობისა და სისრულის პრეზუმაცია, ე. ი. რეგისტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ 185-ე მუხლი ყოველთვის არ იცავს შემძენს, და ეს ის შემთხვევაა, როდესაც შემძენმა იცის უფლების ნაკლის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ გამსხვისებელი მე-საკუთრებულად რეგისტრირებული საჯარო რეგისტრში. ანალოგიურ დაოქმნას შეიცავს ამავე კოდექსის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის შესაბამისადაც, იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც გარიგების საფუძველზე სხვა პირისაგან იძენს რომელიმე უფლებას და ეს უფლება გამსხვისებლის სახელზე იყო რეგისტრში რეგისტრირებული, რეგისტრის ჩანაწერი ითვლება სწორად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ ჩანაწერის საწინააღმდეგოდ შეტანილია საჩივარი, ან შემძენმა იცოდა, რომ ჩანაწერი უზუსტოა. უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა აღნიშნულ საქმეზე საკასაციო საჩივარი.

### პ. უძრავი ქონების რეგისტრაცია

მიწის ნაკვეთი მასზე არსებული შენობა-ნაგებობით ან მის გარეშე მიეკუთვნება უძრავ ნივთებს. უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია ნიშნავს ამ უფლების წარმოშობის შესახებ მონაცემთა აღრიცხვას შესაბამის რეგისტრში, რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებით. საკუთრების უფლება წარმოშობილად ითვლება ამ უფლების რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების გამოცემის მომენტიდან. მიწის რეგისტრაცია თავის თავში მოიცავს როგორც მიწის ნაკვეთის, ასევე მასთან უძრავად დაკავშირებული ქონების რეგისტრაციასაც.

უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის მომენტიდან მესაკუთრე უფლებამოსილია განკარგოს (გაასხისოს, იპოთეკით დატვირთოს და ა. შ) უძრავი ნივთი. მაგალითისთვის საკუთრებად აღიარებული მიწის ნაკვეთის რეგისტრაციისათვის უნდა მიმართოთ ოუსტიციის სახლს ან შესაბამის ტერიტორიულ სამსახურს და თან იქნიოთ შემდეგი დოკუმენტები:

- 1) განცხადება (ელექტრონული განცხადება იცსება საბუთების მიმღები ოპერატორის მიერ);
- 2) თქვენი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- 3) მიწის ნაკვეთზე სარგებლობის და ინდივიდუალურ სახლზე საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- 4) ტექნიკური აღრიცხვის არქივის მიერ გაცემული ცნობა-დახასიათება ან/და საინვენტარიზაციო გეგმა;

5) საკადასტრო აზომვითი ნახაზი და მისი ელექტრონული ვერსია. (კადასტრულ რუკაზე მოცემული უნდა იყოს მინის და სხვა უძრავი ქონების სარეგისტრაციო ნომერი, საზღვრები, გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, რაც აუცილებელია საზღვრების დადგენისთვის)

6) სარეგისტრაციო მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (მომსახურების საფასურის გადახდა შესაძლებელია ადგილზე);

უძრავი ქონების რეგისტრაციის კუთხით განვიხილოთ ერთ-ერთი დავა, სა-დაც გამოსაკვლევ საკიონს წარმოადგენდა ნასყიდობის ხელშეკრულების ბათოლად ცნობა, საჯარო რეგისტრის ჩანაწერის გაუქმება, საკუთრების უფლების რეგისტრაცია. უზენაესი სასამართლო დაეთანხმა საპელაციო სასამართლოს მსჯელობას და აღნიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლით, შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეგისტრში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე. ამავე კოდექსის 312-ე მუხლის მიხედვით, რეგისტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმუცია, ე.ო. რეგისტრის ჩანაწერი ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა. ამავე მუხლის მეორე ნაწილით, იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც გარიგების საფუძველზე სხვა პირისაგან იძენს რომელიმე უფლებას და ეს უფლება გამსხვისებლის სახელზე იყო რეგისტრში რეგისტრირებული, რეგისტრის ჩანაწერი ითვლება სწორად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ ჩანაწერის სანინაალმდეგოდ შეტანილია საჩივარი ან შემძენმა იცოდა, რომ ჩანაწერი უზუსტოა. აღნიშნული ფორმულირებით კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესების დაცვის სამართლებრივ გარანტიას წარმოადგენს ფაქტობრივი გარემოება – გამსხვისებლის საჯარო რეგისტრში მესაკუთრედ რეგისტრაცია, ანუ შემძენის კეთილსინდისიერება ეფუძნება ობიექტურ ფაქტორს, საჯარო რეგისტრის მონაცემებს.

ამდენად, როდესაც საქმე ეხება უძრავი ქონების შექნას, შემძენს, თავის უფლების დასამტკიცებლად, შეუძლია დაეყრდნოს რეგისტრში რეგისტრირებული ფაქტების სისწორის ვარაუდს. თუნდაც სინამდვილეში რარასწორი იყოს რეგისტრის მონაცემები, ამ მდგომარეობას არა არსებითად აქცევს შემძენის კეთილსინდისიერი დამოკიდებულება, რაც საჯარო რეგისტრის ჩანაწერის უსწორობის არცოდნაში გამოიხატება. ერთადერთი, რაც რეგისტრის უტყუარობის პრეზუმუციას არღვევს, სწორედ შემძენის არაკეთილსინდისიერებას. ზემოთ დასახელებული ნორმები შეიცავს არაკეთილსინდისიერების იურიდიული შედეგის განმსაზღვრელ ელემენტს – შემძენმა იცის, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე. ამდენად, შემძენის ინტერესების დამცავი ნორმის გამოყენებისას უნდა შემოწმდეს არა მარტო საჯარო რეგისტრის მონაცემები, ასევე უტყუარად უნდა დადგინდეს, რომ შემძენმა ნივთის შეძენამდე არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა საჯარო რეგისტრის ჩანაწერის უზუსტობის თაობაზე. უძრავი ნივთის შეძენის კანონიერებაზე დავისას და შემძენის კეთილსინდისიერების შემოწმებისას სასამართლო მხოლოდ საჯარო რეგისტრის ჩანაწერს ვერ დააფუძნებს. ასეთ შემთხვევაში სასამართლო ვალდებულია, შეამოწმოს ჩანაწერის სისწორე და გამოიკვლიოს, რა იცოდა შემძენმა ჩანაწერის ხარვეზიანობის შესახებ. აღნიშნული ნორმების არსიდან გამომდინარე, სავსებით მართებულია სააპელაციო სასამართლოს მოქმედება საჯარო რეგისტრის მონაცემებთან ერთად შემძენის კეთილსინდისიერების შემოწმების თოპაზე. უზენაესმა სასამართლომ აღნიშნულ საქმეზე არ დააკმაყოფილა საკასაციო საჩივარი.

## უძრავი ქონების იჯარა და პირავნობა

### ა) უძრავი ქონების იჯარა

იჯარის ხელშეკრულებით მეიჯარე მოვალეა გადასცეს მოიჯარეს განსაზღვრული ქონება დროებით სარგებლობაში და საიჯარო დროის განმავლობაში უზრუნველყოს ნაყოფის მიღების შესაძლებლობა, თუ იგი მიღებულია მეურნეობის სწორი გაძლოლის შედეგად შემოსავლის სახით. მოიჯარე მოვალეა გადაუხადოს მეიჯარეს დათქმული საიჯარო ქირა. საიჯარო ქირა შეიძლება განისაზღვროს როგორც ფულით, ისე ნატურით. მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ საიჯარო ქირის განსაზღვრის სხვა საშუალებებზედაც.

უძრავ ნივთზე იჯარის უფლების რეგისტრაცია წიშნავს ამ უფლების წარმოშობის შესახებ მონაცემთა აღრიცხვას შესაბამისს რეესტრში. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ იჯარის უფლების წარმოშობის შემდგომ მოიჯარეს შეუძლია ისარგებლოს აღნიშნული უძრავი ნივთით.

იჯარის უფლების წარმოშობისთვის სავალდებულოა ამ უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ იჯარის ხელშეკრულების ერთერთი მხარე კერძო სამართლის იურიდიული პირია (სპს, კს, სს, შპს, კოოპერატივი), წინააღმდეგ შემთხვევაში, იჯარის უფლების წარმოშობისთვის არ არის სავალდებულო ამ უფლების რეგისტრაცია.

უძრავ ქონებაზე იჯარის უფლების წარმოშობის რეგისტრაციისათვის მიმართეთ იუსტიციის სახლს ან შესაბამის ტერიტორიულ სამსახურს. თან იქონიეთ შემდეგი დოკუმენტები:



- განცხადება (ელექტრონული განცხადება ივსება ფრონტ ოფისის ოპერატორის მიერ);
- თქვენი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- სათანადო წესით დამონშებული (სანოტარო წესით ან საჯარო რეესტრში უფლებამოსილი პირის მიერ), იჯარის უფლების წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- სარეგისტრაციო მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (გადახდა შესაძლებელია ადგილზე);

იმ შემთხვევაში, თუ თქვენ ხართ დაინტერესებული პირის წარმომადგენელი, მაშინ დამატებით წარმოადგინეთ სათანადო წესით დამონშებული წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი და თქვენი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

### ბ) უძრავი ქონების გირავნობა

უძრავი ქონების ქირავნობის შემთხვევაში, ქირავნობის ხელშეკრულებით გამქირავებელი მოვალეა, დამქირავებელს სარგებლობაში გადასცეს ნივთი განსაზღვრული ვადით. დამქირავებელი მოვალეა გამქირავებელს გადაუხადოს დათქმული ქირა.

გამქირავებელი მოვალეა, გადასცეს დამქირავებელს გაქირავებული ნივთი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისათვის ვარგის მდგომარეობაში და ქირავნობის მთელი დროის განმავლობაში შეინარჩუნოს ნივთის ეს მდგომარეობა.

გამქირავებელ ვალდებულია, რომ გადასცეს დამქირავებელს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ნივთი.

გაქირავებული ნივთი უფლებრივად უნაკლოა, თუ მესამე პირს არ შეუძლია წაუყენოს დამქირავებელს მოთხოვნები ამ ნივთის გამო.

გაქირავებული ნივთი ნივთობრივად უნაკლოა, თუ მას აქვს დათქმული თვისებები. თუ ეს თვისებები არ არის დათქმული, მაშინ გაქირავებული ნივთი მიიჩნევა უნაკლოდ, თუ იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობისათვის ან ჩვეულებრივი გამოყენებისათვის.

თუ გაქირავებულ ნივთს აღმოჩინდება ნაკლი, მაშინ დამქირავებელს ქირა შეუმცირდება იმ ოდენობით, რა ოდენობითაც შემცირდა ნივთის ვარგისანობა ნაკლის გამო. ნაკლის გამოსწორებისას ეს უფლება ძალას კარგავს. უმნიშვნელო ნაკლი მხედველობაში არ მიიღება.

საცხოვრებელი სადგომის დამქირავებლისთვის აშკარად საზიანო ქირავნობის ხელშეკრულება ბათილია.

თუ ნაკლი, რომელიც ნივთის ვარგისანობას ამცირებს, ხელშეკრულების დადგების მომზნებისათვის არსებობს ან შემდგომ-ში აღმოჩინდება იმ გარემოებათა გამო, რაზედაც გამქირავებელი პასუხს აგებს, ან თუ გამქირავებელი ნაკლის გამოსწორებას დააყოვნებს, დამქირავებელს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება ისე, რომ არ ეკარგება ქირის შემცირების მოთხოვნის უფლება.

თუ გამქირავებელი აყვინებს ნივთის ნაკლის გამოსწორებას, დამქირავებელს შეუძლია თვითონ აღმოფხვრას იგი და მოითხოვოს ხარჯების ანაზღაურება.

თუ ხელშეკრულების დადებისას დამქირავებლისთვის ცნობილია ნივთის ნაკლი და იგი არ განაცხადებს პრეტენზიას ამის გამო, მაშინ მას არ წარმოეშობა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

თუ დაქირავებული ნივთი მთლიანად ან ნაწილობრივ გადაეცემა დამქირავებელს დაგვაინებით, ან, თუ შემდგომში მას წაერთვა სარგებლობის უფლება, მაშინ დამქირავებელს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე იმ ვადის დაცვის გარეშე, რაც გათვალისწინებულია ხელშეკრულების მოშლისათვის. უარი ხელშეკრულებაზე დაიშვება მხოლოდ მაშინ, თუ გამქირავებელი დამქირავებლის მიერ განსაზღვრულ ვადაში არ აღკვეთს სარგებლობისათვის ხელშემშლელ გარემოებებს.

ვადის განსაზღვრა არ არის საჭირო, თუ იმ გარემოებათა შედეგად, რომლებიც ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველს იძლევიან, დამქირავებელმა დაკარგა ინტერესი ამ ხელშეკრულებისადმი.


საცხოვრებელი სადგომის ქირავნობისას შეთანხმება, რომელიც კრძალავს ან ზღუდავს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ხელშეკრულების მოშლის უფლებას, ბათილია.

თუ საცხოვრებელი ან ადამიანთა სამყოფლად გათვალისწინებული სხვა სადგომი ისეთ მდგომარეობაშია, რომ მისი გამოყენება მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის მათ ჯანმრთელობას, დამქირავებელს შეუძლია მოშალოს ქირავნობის ხელშეკრულება ვადის დაცვის გარეშე. ეს უფლება დამქირავებელს აქვს მაშინაც, თუ ხელშეკრულების დადებისას მან იცოდა საფრთხის თაობაზე, მაგრამ არ განუცხადებია პრეტენზია.



## დამქირავებელი მოვალეა გამქირავებელს

### გადაუხადოს დათქმული ქირა



თუ გაქირავებულ წივთს აღმოაჩნდება ნაკლი, ან წინასწარ გაუთვალისწინებელი საფრთხისაგან წივთის დასაცავად საჭირო იქნება აუცილებელი ზომების მიღება, მაშინ დამქირავებელმა ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს გამქირავებელს. იგივე წესი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, თუ მესამე პირი განაცხადებს თავის უფლებებს წივთზე.

**გამქირავებელი ვალდებულია** დამქირავებელს აუნაზღაუროს წივთზე გაწეული აუცილებელი ხარჯები.

**დამქირავებელს არა აქვს უფლება,** გაქირავებული წივთი გამქირავებლის თანხ-მობის გარეშე გადასცეს მესამე პირს (ქვექირავნობა). გაითვალისწინეთ, რომ მესამე პირებად არ მიჩნევიან დამქირავებლის ოჯახის წევრები.

ქირა გადახდილ უნდა იქნეს ქირავნობის ხელშეკრულების ვადის დამთავრები-სას. თუ ქირის გადახდა დროის მონაკვეთებით განისაზღვრება, მაშინ მისი გადახდა უნდა მოხდეს დროის ამ მონაკვეთების გასვლის შემდეგ.

დამატებითი ხარჯების გადახდა მხოლოდ მაშინ არის სავალდებულო, თუ ამის თაობაზე მხარეთა შიორის არსებობს შეთანხმება.

თუ დამქირავებელს ხელი ეშლება სარგებლობაში თავისი მიზეზით, იგი ქირის გადახდისაგან არ თავისუფლდება.

საცხოვრებელი სადგომის დამქირავებელი უფლებამოსილია ქირავნობის ხელშეკრულება ვადამდე მოშალოს, თუ იგი ერთი თვით ადრე გააფრთხილებს ამის შესახებ გამქირავებელს და შესთავაზებს მას გადახდისუნარიან და მისაღებ დამ-ქირავებელს, რომელიც თანახმა ქირავნობის დარჩენილ დროში იყოს დამქირავებელი.

თუ ბინის ქირის მოთხოვნის საპირისპიროდ, დამქირავებელს აქვს დაკავების ან ქირავნობის ურთიერთობიდან გამომდინარე სხვა მოთხოვნების გაქვითვის უფლება, დამქირავებელს შეუძლია გამოიყენოს ეს უფლება მაშინაც, როცა ხელშეკრულებით სხვა რამ არის გათვალისწინებული, თუ ამის შესახებ იგი წინასწარ გააფრთხილებს გამქირავებელს.

 **გამქირავებელს შეუძლია ხელშეკრულება მოშალოს ვადამდე,** თუ დამქირავებელი, გამქირავებლის გაფრთხილების მიუხედავად, გაქირავებულ წივთს მნიშვნელოვნად აზიანებს ან ქმნის მნიშ-ვნელოვანი დაზიანების რეალურ საშიშროებას.

**გამქირავებელს შეუძლია ხელშეკრულება მოშალოს ვადამდე,** თუ დამქირავებელმა ქირა არ გადაიხადა სამი თვის განმავლობაში.

**ქირავნობის ურთიერთობა შეწყდება:** ხელშეკრულების ვადის გას-ვლის შემდეგ.

თუ დამქირავებელი სარგებლობს წივთით ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგაც და გამქირავებელი ამაზე არ ედავება, მაშინ ხელშეკრულება განახლდება განუსაზღვრელი ვადით. თუ ქირავნობის ხელშეკრულების ვადა არ არის განსაზ-ღვრული, ქირავნობის ურთიერთობა შეწყდება ხელშეკრულების მოშლის შესახებ განცხადების გაკეთებით.

თუ საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულება განსაზღვრული ვა-დით არის დადებული, მაშინ დამქირავებელს შეუძლია არა უგვიანეს ორი თვისა ქირავნობის ურთიერთობის შეწყვეტამდე, წერილობითი განცხადებით მოითხოვოს ქირავნობის ხელშეკრულების გაგრძელება განუსაზღვრელი ვადით, თუკი გამქირავე-ბელი ამის თანხმობას განაცხადებს.

ქირავნობის ხელშეკრულების მოშლის ვადა შეადგენს სამ თვეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საქმის გარემოებებიდან ან მხარეთა შეთანხმებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა გამქირავებელს შეუძლია მხოლოდ პატივსადები მიზეზების არსებობისას.

### პატივსადებია მიზეზი, თუ:

- ა. დამქირავებელმა თავისი სახელშეკრულებო ვალდებულებები ბრალეულად მნიშვნელოვნად დაარღვია;
- ბ. გამქირავებელს საცხოვრებელი სადგომი ჭირდება უშუალოდ თვითონ ან ახლო ნათესავებისთვის;
- გ. დამქირავებელი უარს ამზობს გადაიხადოს გამქირავებლის მიერ შემოთავაზებული გაზრდილი ქირა, რომელიც შეესაბამება ბაზარზე არსებულ ბინის ქირას;
- დ. დამქირავებელმა გამქირავებლის მიმართ ჩაიდინა ისეთი მართლ-საწინააღმდეგო ან ამორალური მოქმედება, რომელიც შეუძლებელს ხდის მათ შორის ურთიერთობის შემდგომ გაგრძელებას.

თუ ქირავნობის საგანს შეადგენს ავეჯით გაწყობილი ბინა, მაშინ გამქირავებელს ყოველთვის შეუძლია ხელშეკრულების მოშლის ვადის დაცვით მოშალოს ქირავნობის ხელშეკრულება.

ნივთის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტისას, დამქირავებელი მოვალეა დაუპრუნოს გამქირავებელს ნივთი იმ მდგომარეობაში, რომელშიც მისგან მიიღო, ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით, ან იმ მდგომარეობაში, რაც ხელშეკრულებით იყო განსაზღვრული.

მიწის ნაკვეთის ქირავნობის ხელშეკრულება ერთ წელზე მეტი ვადით უნდა გაფორმდეს წერილობით. ფორმის დაუცველობის შემთხვევაში ივარაუდება, რომ ხელშეკრულება განუსაზღვრელი ვადით არის დადებული. ხელშეკრულების შეწყვეტა დასაშვებია მხოლოდ ქირავნობის პირველი წლის დამთავრების შემდეგ.

თუ ქირავნობის ხელშეკრულება დადებულია საცხოვრებელ სადგომზე და იქ დამქირავებელი თავის ოჯახის წევრებთან ერთად წარმართავს ერთიან საოჯახო მეურნეობას, დამქირავებლის გარდაცვალების შემთხვევაში, მისი ოჯახის წევრები სამართლებრივ ურთიერთობაში შედის გამქირავებელთან. მათ უფლება აქვთ ქირავნობის ხელშეკრულება მოშალონ კანონით დადგენილ ვადაში.

სასამართლოს პრაქტიკა უძრავი ქონების ქირავნობის კუთხით ასევე მრავალ-ფერვალია. განვითილოთ ერთ-ერთი საქმე, სადაც დავის საგანი იყო ზინის ანაზღაურება და წყლის მიწოდების აღდგენა. აღნიშნულ საქმეზე ძალაონ საინტერესოა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა. სასამართლომ, დავის გადაწყვეტისას იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 581-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით, 532-ე, 535-ე მუხლით და განმარტა, რომ გასაქირავებელი ნივთის თვისებები, ხელშეკრულებით უნდა იყოს დათქმული. თუ ხელშეკრულებით ეს თვისებები

### გაითვალისწილო!

საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა წერილობით უნდა გაფორმდეს.

დათქმული არ არის, მაშინ ნივთის მდგომარეობა განისაზღვრება მისი დანიშნულებით, ან გამომდინარეობს ამ ნივთის მიზნობრივი დანიშნულებიდან, რისთვისაც მოცემული ნივთი ჩვეულებრივ გამოიყენება. თუ ნივთი აკმაყოფილებს ამ პირობებს, იგი ჩაითვლება ვარგისად ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობისათვის ან ჩვეულებრივი გამოყენებისათვის და მიიჩნევა ნივთობრივად უნაკლოდ. მოცემულ შემთხვევაში, დადგინდა, რომ საიჯარო ქონებას წყალი არ მიეწოდებოდა. ასევე დადგინდა, რომ საიჯარო ქონება წარმოადგენდა კომერციულ ფართს და მისი გამოყენება დამქირავებლის მიერ ხდებოდა დანიშნულებისამებრ, კომერციული მიზნებისათვის, კერძოდ, დამქირავებელი იჯარით აღებულ ფართში ეწეოდა სამენარმეო საქმიანობას. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ საიჯარო ფართი იყო ნივთობრივად ნაკლის მქონე და დაეთანხმება ამ ნაწილში პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას, კერძოდ, საიჯარო ფართის სრულფასოვნად გამოყენებისთვის აუცილებელ ნინაპირობას წარმოადგენს მისა კომუნიკაციებით ალტურვა და წყლის მიწოდების უზრუნველყოფა, რაც კონკრეტულ შემთხვევაში არ დადასტურდა. სამოქალაქო კოდექსის 537-ე 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ ნაკლი, რომელიც ნივთის ვარგისანობას ამცირებს, ხელშეკრულების დადების მომენტისათვის არსებობს ან შემდგომში ალმოჩნდება იმ გარემოებათა გამო, რაზედაც გამქირავებელი პასუხს აგებს, ან, თუ გამქირავებელი ნაკლის გამოსწორებას დააყოვნებს, დამქირავებელს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება ისე, რომ არ ეკარგება ქირის შემცირების მოთხოვნის უფლება. აღნიშნული საქმე უზენაესი სასამართლოს მიერ დაუშვებლად იქნა ცნობილი.

# ქალის შრომითი

## უფლებები

დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა ქალის შრომა მხოლოდ ოჯახსა და შიდა მეურნეობას ხმარდებოდა ან მხოლოდ გარკვეული, ე.წ. “არამამაკაცური” პროფესიების ვიწრო სფეროში მოაზრებოდა. დღესდღეობით, როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ შრომის ბაზარზე, ქალები თავისი გა- ნათლებით, პროფესიული კვალიფიკაციითა და გამოცდილე- ბით, ტოლს არ უდებენ მამაკაცებს პრაქტიკულად ყველა პროფესიასა და საქმიანობაში. რაღა თქმა უნდა, სარგებლო- ბენ აბსოლუტურად თანაბარი უფლება-მოვალეობებით.

სამწუხაროდ, ძალიან დიდხანს ეგონა არა მარტო ქარ- თულ, არამედ მსოფლიო საზოგადოებას, რომ ქალს არ შეეძლო ან სათანადო არ შეეძლო სხვადასხვა ფიზიკური თუ ინტელექ- ტუალური სამუშაოს შესრულება. მიუხედავად იმისა, რომ უკვე საუკუნეებია, მდედრობითი სქესის წარმომადგენლებმა დაამტკიცეს ამ მოსაზრების მცდარობა, საზოგადოების გარკვეულ ნაწილს მაინც შემორჩინების იყი ცნობიერებაში, რაც ხშირად შრომით ურთიერთობებში, ქალთა მიმართ დისკრიმინაციულ მოპყრობაში ვლინდება.

ქალთა დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში ძირითადად შეიმჩნევა დასაქმების დისკრიმინაციულ პოლიტიკაში: როცა დამსაქმე- ბელი თავს იკავებს ქალის სამსახურში აყვანისგან და ხშირად მამაკაცს ანიჭებს უპირატესობას, თუნდაც ამ უკანასკნელს ნაკლები კვალიფიკაცია ჰქონდეს; ქალის შრომის დაბალ ანაზღაურებაში – როცა დამსაქმებელი ქალს უფრო დაბალ ხელფასს უხდის, ვიდრე იმავე პოზიციაზე დასაქმებულ მამ- აკაცს; და სამსახურში ქალთა მიმართ დამამცირებელი ან ძალადობრივი ქმე- დებების განხორციელებაში – როცა დამსაქმებელი ან ნებისმიერი სხვა პირი, სამსახურში ქალის მიმართ ახორციელებს ფიზიკურ ძალადობას ან ფსიქიკურ ზენოლას სხვადასხვა მეთოდითა და ფორმით. თუმცა, რა თქმა უნდა, აქ ჩამოთ- ვლილის გარდა, დისკრიმინაცია შეიძლება სხვა მრავალი სახითაც გამოვლინდეს.

იმისთვის, რომ თავი დაიცვათ დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმისგან, საჭი- როა იცოდეთ, რა უფლებები გაგაჩნიათ და როგორ გიცავთ კანონი.

მეოცე საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული და უფრო მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში, საერთაშორისო საზოგადოებამ აღიარა, რომ დაუშვებელი იყო ქალთა შრომითი დისკრიმინაცია და ასეთი დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, დაიწყო სხვადასხვა პოლიტიკური და სამართლებრივი მექანიზმების შემუშავება. მიღებული იქნა რამდენიმე საერთაშორისო კონვენცია, რომელიც უზრუნველყოფდა ქალთა შრომით უფლებებსა და თავისუფლებებს და კრძალავდა დისკრიმინაციის ნებისმიერ ფორმას. ასეთი იყო 1951 წლის კონვენცია „მამაკაცთა და ქალთა თანაბარი ღირებულების შრომის თანაბარი ანაზღაურების შესახებ“, 1953 წლის კონვენცია „ქალთა პოლიტიკური უფლებების შესახებ“, 1979 წლის კონვენცია „ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ და მრავალი სხვა.

შემდგომ, ამ კონვენციათა დებულებები აისახა მათი ხელმომწერი ქვეყნების, მათ შორის საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობაში.

საქართველოს მრომის კოდექსი ადგენს: „შრომით და წინასახელშეკრულები ურთიერთობაში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სქესუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან სხვა გაერთანებისადმი, მათ შორის, პროფესიული კავშირებისადმი, კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულების გამო.“

დისკრიმინაციად ჩაითვლება პირის პირდაპირ შევიწროვება, რომელიც მიზანად ისახავს ან ინვენს მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას, ანდა პირისთვის ისეთი პირობების შექმნას, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით.

თუმცა, აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ დისკრიმინაციად არ ჩაითვლება პირთა განსხვავების აუცილებლობა, რომელიც გამომდინარეობს სამუშაოს არსიდან, სპეციფიკიდან ან მისი შესრულების პირობებიდან, ემსახურება კანონიერი მიზნის მიღწევას და არის მისი მიღწევის თანზომიერი და აუცილებელი საშუალება. აქ იგულისხმება, რომ თუკი დასაქმების მსურველ ან უკვე დასაქმებულ პირებს შორის დამსაქმებელმა რომელმე ერთ მიანიჭა უპირატესობა იმის გამო, რომ სამუშაოს ხასიათიდან გამომდინარე სწორედ ეს პირი შეასრულებს მას უკეთესად, მისი ფიზიკური ან გონებრივი მონაცემების, გამოცდილების, ცოდნის, კვალიფიკაციის ან სხვა ნიშნის გამო, ეს რა თქმა უნდა, დანარჩენთა დისკრიმინაციად არ მიჩნევა.

შრომითი ურთიერთობების დროს შრომითი ურთიერთობების მხარეებს ეკისრებათ ვალდებულება დაიცვან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები.

## შრომითი ურთიერთობების სუბიექტები

საქართველოს კანონმდებლობით პირდაპირ არის განსაზღვრული ის პირები ვინც შეიძლება იყოს შრომითი ურთიერთობის სუბიექტები (მხარეები). შრომითი ურთიერთობის სუბიექტები არიან დამსაქმებელი ან დამსაქმებელთა გაერთიანება და დასაქმებული ან დასაქმებულთა გაერთიანება.

დამსაქმებელი არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელისათვისაც შრომითი ხელმერულების საფუძველზე სრულდება გარკვეული სახის სამუშაო, ხოლო დასაქმებული არის ფიზიკური პირი, რომელიც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე ასრულებს გარკვეულ სამუშაოს.

კანონმდებლობა იცნობს ინდივიდუალურ და კოლექტიურ შრომით ურთიერთობებს.

ინდივიდუალური შრომითი ურთიერთობის დროს შრომითი ურთიერთობის სუბიექტები არიან დამსაქმებელი და დასაქმებული, ხოლო კოლექტიური შრომითი ურთიერთობის სუბიექტები არიან ერთი ან მეტი დამსაქმებელი და დასაქმებული. ან ერთი ან მეტი დამსაქმებელთა გაერთიანება და ერთი ან მეტი დასაქმებულთა გაერთიანება.

## შრომითი ურთიერთობის ნარმოშობა

შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა ორივე მხარის – დამსაქმებლისა და დასაქმებულის თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, მათი თავისუფალი ნების გამოვლენის შედეგად მიღწეული შეთანხმებით.

კანონით დადგენილია შრომის დაწყების მინიმალური ასაკი – 16 წელი. თუმცა, 16 წლამდე ასაკის არასრულნოვანს, შეუძლია მუშაობის დაწყება მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით, თუ ეს ზიანს არ აყენებს მის ზნეობრივ, ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას და არ ზღუდავს მისი განათლების მიღების უფლებას და შესაძლებლობას. 14 წლამდე ასაკის არასრულნოვნის მუშაობა დაშვება მხოლოდ სპორტულ, ხელოვნებასთან დაკავშირებულ და კულტურის სფეროში, ასევე სარეკლამო სამუშაოს შესასრულებლად.

## პირქალალის!

1. არასრულნოვანთან შრომითი ხელშეკრულების დადება სათამაშო ბიზნესთან, ღამის გასართობ დაწესებულებებთან, ეროტიკული და პორნოგრაფიული პროდუქციის, ფარმაცევტული და ტომსიკური ნივთიერებების დამზადებასთან, გადაზიდვასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული სამუშაოების შესასრულებლად;
2. არასრულნოვანიან, ასევე ორსულ ან მეტურ ქალთან შრომითი ხელშეკრულების დადება მძიე, მავნე და საშიშ პირობებიანი სამუშაოების შესასრულებლად.

ფორმაცია, ოლონდ არა ნებისმიერი ინფორმაცია, არამედ მხოლოდ ისეთი, რაც შეიძლება უკავშირდებოდეს თქვენს მიერ სამუშაოს შესრულებას და ამისათვის საჭირო მოთხოვნებს. დაუშვებელია დამსაქმებლის მიერ ისეთი კითხვების დასმა, რაც

**გახსოვდეთ,** არავის აქვს უფლება, იძულებით ჩაგაბათ რაიმე სამუშაოში! შრომითი ურთიერთობის დაწყებაც და მისი გაგრძელებაც, მხოლოდ და მხოლოდ თქვენს თავისუფალ ნებას უნდა ეფუძნებოდეს.



## ინფორმაციის მიღების უფლება

შრომითი ურთიერთობის დაწყებამდე, თქვენ უფლება გაქვთ, მიიღოთ სრული ინფორმაცია შესასრულებელი სამუშაოს შესახებ, შრომითი ხელშეკრულების ფორმის (წერილობითი ან ზეპირი) და ვადის (განსაზღვრული ან განუსაზღვრელი) შესახებ, შრომის პირობების შესახებ, შრომითი ურთიერთობისას დასაქმებულის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ, შრომის ანაზღაურების შესახებ. თავის მხრივ, დამსაქმებელსაც აქვს უფლება, მოიპოვოს თქვენს შესახებ ინ-

უკავშირდება თქვენს პოლიტიკურ შეხედულებებს, სექსუალურ ორიენტაციას, რელიგიურ მრნამსს, ეთნიკურ კუთვნილებასა და სხვა ისეთ საკითხებს, რაც კავშირში არაა თქვენს სამსახურთან. დამსაქმებელს უფლება აქვს შეამოწმოს თქვენს მიერ წარდგენილი ინფორმაციის სისწორე, მაგრამ მას უფლება არა აქვს, თქვენი თანხმობის გარეშე, სხვა პირს მიაწოდოს თქვენს შესახებ მიღებული ინფორმაცია. თქვენ უფლება გაქვთ, უკან გამოითხოვოთ დამსაქმებლისთვის მიწოდებული დოკუმენტები (ჩV, დაპლომი და ა.შ.), თუკი თქვენთან არ დაიდო შრომითი ხელშეკრულება. დასაქმებულს არ აქვს ვალდებულება თქვენი სამსახურში დასაქმებაზე უარის გადაწყვეტილება დაასაბუთოს.

## შრომითი ხელშეკრულება

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, შრომითი ხელშეკრულება იდება წერილობითი ან ზეპირი ფორმით, განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით.

სასურველია, შრომითი ხელშეკრულების დადებამდე, ყოველთვის გაესაუბროთ იურისტს და გააცნოთ მას ხელშეკრულების პირობები. შემდეგ, თუ საჭირო იქნება, მისი კონსულტაციის შესაბამისად, დამსაქმებელს გარკვეული პირობების შეცვლა მოსთხოვოთ იმისთვის, რომ ხელშეკრულებით არა მხოლოდ მისი, არამედ თქვენი უფლებებიც სათანადოდ იყოს დაცული.

შრომითი ხელშეკრულება იდება აუცილებლად წერილობითი ფორმით, თუ შრომითი ურთიერთობა 3 თვეზე მეტ სანს გრძელდება.

წერილობითი ხელშეკრულება თქვენთვის გასაგებ ენაზე უნდა იყოს შედგენილი, შესაძლებელია მისი რამდენიმე ენაზე შედგენაც. თუ ხელშეკრულება რამდენიმე ენაზე დადებული, მასში მითითებული უნდა იყოს, თუ რომელ ენაზე დადებულ ხელშეკრულებას ენიჭება უპირატესობა, სხვადასხვა ენაზე შესრულებულ ტექსტებს შორის განსხვავების შემთხვევაში.

ხელშეკრულებას უთანაბრდება ასევე პირის განცხადება და მის საფუძველზე დამსაქმებლის მიერ გაცემული დოკუმენტი, მაგალითად პრანება, რომლითაც დასტურდება, რომ პირი მიღებულია სამუშაოზე. შრომით ხელშეკრულებაში შეიძლება ჩაწეროს, რომ მის ნაწილს წარმოადგენს შრომის შინაგანაწესი1. ასეთ შემთხვევაში, ხელშეკრულების დადებამდე, აუცილებლად უნდა გაეცნოთ მას.

თქვენი მოთხოვნის შემთხვევაში, დამსაქმებელი ვალდებულია გასცეს ცნობა

## გაითვალისწინეთ!

უმჯობესია, გააფორმოთ წერილობითი ხელშეკრულება, ვინაიდან ზეპირი ხელშეკრულების დადების შემთხვევაში, თქვენ ფაქტობრივად გერთმევათ საშუალება, ამტკიცოთ თუ რა პირობებზე შეუთანხმდით დამსაქმებელს, მის მიერ ასეთი პირობების დარღვევის შემთხვევაში.

- 1 შრომის შინაგანაწესი – წერილობითი დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრება სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, ყოველდღიური სამუშაოს დაწყებისა და დაბორვერების დრო, ცვლაში მუშაობისას – ცვლის ხანგრძლივობა, დასვენების დრო, შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და ადგილი, ანაზღაურებადი შევტულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, შრომის პირობების დაცვის წესები, წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახე და გამოყენების წესი, განცხადების/საჩივრის განხილვის წესი და სხვა. ბათილია შრომის შინაგანაწესის ის დებულება, რომელიც ეწინააღმდეგება ინდივიდუალურ შრომით ხელშეკრულებას ან კოლექტურ ხელშეკრულებას ან კანონს.

დასაქმების შესახებ, რომელიც უნდა შეიცავდეს მონაცემებს შესრულებული სამუშაოს, შრომის ანაზღაურებისა და შრომითი ხელშეკრულების ხანგრძლივობის თაობაზე.

როგორც წესი, თქვენ უფლება გაქვთ, შეთავსებით იმუშაოთ რამდენიმე სამუშაოზე, თუკი ეს ხელს არ შეუშლის თქვენი მოვალეობების შესრულებას. დასაქმებულის უფლება იმუშაოს სხვა სამუშაოზე შეიძლება ხელშეკრულებით შეიზღუდოს, თუ ასეთი სამუშაოს შესრულებამ შეიძლება ხელი შეუშალოს მის ძირითად სამუშაოსთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებას ან/და თუ პირი, რომლისათვისაც უნდა შესრულდეს შეთავსებითი სამუშაო, დამსაქმებლის კონკურენტია.

საჯარო სამსახურში დადგენილია მთელი რიგი შეიზღუდვები შეთავსებით სამუშაოს შესრულებაზე. სახელმწიფო მოსამსახურეს უფლება არა აქვს ეკავოს სხვა თანამდებობა ან შეთავსებით ასრულებდეს სხვა ანაზღაურებად სამუშაოს სხვა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში, ასევე საჯარო მოხელეს არა აქვს უფლება, ენეოდეს სამეწარმეო საქმიანობას.

## გამოსაცდი ვალა

იმისთვის, რომ დადგინდეს კანდიდატის შესაბამისობა სამუშაოსთან, დამსაქმებელს შეუძლია დადოს მასთან შრომითი ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით – არა უმეტეს 6 თვისა. ასეთი ხელშეკრულება, მხოლოდ წერილობით შეიძლება დაიდოს. სხვა შემთხვევაში, იგი ჩვეულებრივ შრომით ხელშეკრულებად ჩაითვლება. გამოსაცდელი ვადით დადებული ხელშეკრულება შეიძლება ნებისმიერ დროს მოიშალოს ან პირიქით, კანდიდატთან შეიძლება შრომითი ხელშეკრულება დაიდოს გამოსაცდელი ვადის გასვლამდეც.

## სამუშაო პირობები

დამსაქმებელი ვალდებულია, შეინარჩუნოს შრომის ის პირობები, როგორზეც თავიდანვე შეგითანხმდათ. შრომის პირობების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით. შრომის ხელშეკრულების ისეთი არსებითი პირობების შეცვლა, რომელიც განპირობებულია კონონმდებლობის შეცვლით, არ საჭიროებს დასაქმებულის თანხმობას. თუმცა, შრომის კოდექსის თანახმად, შესაძლებელია დამსაქმებელმა შეცვალოს შრომის ესათუ ის პირობა, რაც შრომის ხელშეკრულების არსებით ცვლილებად არ ჩაითვლება. ასეთია:

- სამუშაოს შესრულების ადგილის შეცვლა, თუ საცხოვრებელი ადგილიდან ახალ სამუშაო ადგილამდე მისვლა და უკან დაბრუნება, საზოგადოდ ხელმისაწვდომი სატრანსპორტო საშუალებებით, დასაქმებული საცხოვრებელი ადგილიდან სამუშაოს შესრულების ახალ ადგილამდე მისვლა და დაბრუნება მოითხოვს დღეში არა უმეტეს 3 საათს და არ იწვევს დიდ ხარჯებს;
- სამუშაოს დაწყების ან დამთავრების დროის ცვლილება არა უმეტეს 90 წუთით;

**გახსოვდეთ, თქვენ უფლება გაქვთ, მოითხოვთ შრომის უსაფრთხო პირობები და იმ შემთხვევაში, თუ მუშაობთ მძიმე, მავნე ან საშიშ პირობებიან სამუშაოზე, შესაბამისი დაცვის საშუალებებითა და აღჭურვილობით უზრუნველყოფა იმისთვის, რომ საფრთხე არ შეექმნას თქვენს სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. !**



თუმცა, თუკი რომელიმე ზემოაღნიშნული გარემოება ერთდროულად შეიცვალა – ეს უკვე შრომის პირობების არსებით შეცვლად ჩაითვლება.

სამუშაოს ინტერესებიდან გამომდინარე დასაქმებულს შეიძლება სამუშაო ადგილი (მივლინება) შეცვალოს. დასაქმებულთან შეთანხმება არაა აუცილებელი დასაქმებულის მივლინებაში გაგზავნისას, სამუშაოს ინტერესებიდან გამომდინარე, თუკი მივლინების პერიოდი, წლიანიადში, 45 კალენდარულ დღეს არ აღემატება. უფრო მეტი ვადით მივლინებისას, დასაქმებულის თანხმობა აუცილებელია. ორივე შემთხვევაში, დამსაქმებელი ვალდებულია, სრულად აანაზღაუროს მიღლინებასთან დაკავშირებული ხარჯები.

## სამუშაო დრო და დასვენების დრო

სამუშაო დროის ხანგრძლივობა, როგორც წესი, შრომითი ხელშეკრულებით განისაზღვრება. თუ ასე არ არის, კანონი ადგენს, რომ სამუშაო დროის ხანგრძლივობა, კვირის განმავლობაში, არ უნდა აღემატებოდეს 40 საათს. სამუშაო დროში არ ითვლება შესვენებისა და დასვენების დრო.

თუ დამსაქმებლის საქმიანობა ითვალისწინებს წარმოების/შრომითი პროცესის 24-საათიან უწყვეტ რეჟიმს, მხარეები უფლებამოსილნი არიან, დადონ შრომითი ხელშეკრულება ცვლაში მუშაობის შესახებ.

სამუშაო დღეებს ან ცვლებს შორის დასვენების ხანგრძლივობა არ უნდა იყოს 12 საათზე ნაკლები.

თუკი ცვლაში მუშაობთ, თქვენი მუშაობის გრაფიკი და ერთი ცვლიდან მეორეში გადასვლა, ცვლიანობის განრიგით განსაზღვრება, რომელსაც დამსაქმებელი ამტკიცებს. თუკი რაიმე ცვლილება მოხდა განრიგში, ეს არანაკლებ 10 დღით ადრე უნდა გეცნობოთ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს შეუძლებელია უკიდურესი სანარმოო აუცილებლობის გამო.

როგორც წესი, თქვენ ვალდებული ხართ, იმუშაოთ მხოლოდ ხელშეკრულებით და შინაგანანესით განსაზღვრული დროის განმავლობაში. მუშაობა დროის იმ მონაკვეთში, რომლის ხანგრძლივობა აღემატება შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრულ, ან კანონით დადგენილ 40 საათს, ითვლება ზეგანაკვეთურ სამუშაოდ, რომლის შესრულების ვალდებულებაც არ გეკისრებათ, გარდა ორი შემთხვევისა:

ა) სტიქიური უბეფურების თავიდან ასაცილებლად ან/და მისი შედეგების ლიკვიდაციისთვის, რა დროსაც დამსაქმებელი ვალდებული არ არის, ზეგანაკვეთური სამუშაოსთვის ანაზღაურება მოგცეთ;

ბ) სანარმოო ავარიის თავიდან ასაცილებლად ან/და მისი შედეგების ლიკვიდაციისთვის, რა დროსაც თქვენი მუშაობა აუცილებლად სათანადოდ უნდა ანაზღაურდეს.

ორსული ან ახალნამშობიარები ქალის, ისევე როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ზეგანაკვეთურ სამუშაოზე დასაქმება, დაუშვებელია მისი თანხმობის გარეშე.

დამის სამუშაოზე 3 წლამდე ასაკის ბავშვის მომვლელის ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დასაქმება მისი თანხმობის გარეშე.

## პერსონალური!

დამის სამუშაოზე (დამის სამუშაო – მუშაობა 22 საათიდან 6 საათამდე) არასრულწლოვანის, ორსული, ახალნამშობიარები ან მეძუძური ქალის დასაქმება;

სამუშაო დროის განმავლობაში თქვენ უნდა მოგეცეთ შესვენების დრო. მეძუ-  
ძურ დედას, რომელიც კვებავს ერთ წლამდე ასაკის ბავშვს, მისი მოთხოვნის საფუძ-  
ველზე, ასევე უნდა მიეცეს დამატებითი შესვენება დღეში არანაკლებ 1 საათით.  
ბავშვის კვებისთვის შესვენება სამუშაო დროში ითვლება და ანაზღაურდება.

კანონით დადგენილია წლის განმავლობაში 16 უქმე დღე, დიდი საეკლესიო და  
საერო დღესასწაულების დროს. უქმე დღები მუშაობა ზეგანაკვეთურ სამუშაოდ  
ჩაითვლება და მისი პირობები უნდა განისაზღვროს მხარეთა შეთანხმებით.

ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურება უნდა განხორციელდეს ხელფასის  
საათობრივი განაკვეთის გაზრდილი ოდენობით. ამ ანაზღაურების ოდენობა განისაზ-  
ღვრება მხარეთა შეთანხმებით. მხარებს შეუძლიათ შეთანხმდნენ ზეგანაკვეთური  
სამუშაოს ანაზღაურების სანაცვლოდ დასაქმებულისათვის დამატებითი დასვენების  
დროის მიცემაზე.

## ანაზღაურების მიღების უფლება

ანაზღაურების ფორმა და ოდენობა განისაზღვრე-  
ბა ხელშეკრულებით. თუკი ხელშეკრულებით სხვა რამ  
არ არის გათვალისწინებული, შრომის ანაზღაურება  
უნდა გაიცეს თვეში ერთხელ. თუ დამსაქმებელი დააგ-  
ვიანებს ხელფასის ან სხვა ანაზღაურების გაცემას, იგი  
ვალდებულია, დასაქმებულს გადაუხადოს დაგვიანებუ-  
ლი თანხის 0,07 პროცენტი ყოველ ვადაგადაცილებულ  
დღეზე.

## შვებულება

გამოირჩევა შვებულების რამდენიმე სახე, მისი  
დანიშნულებისა და მიზნიდან გამომდინარე. შვე-  
ბულების სახეობასთან დაკავშირებულია შვებულების  
ხანგრძლივობაც.

ნებისმიერ დასაქმებულს, უფლება აქვს, ისარგ-  
ბლოს ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებით, – წელიწადში სულ მცირე 24  
სამუშაო დღით, საჯარო სამსახურში დასაქმების შემთხვევაში – 30 დღით. შრომითი  
ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს განსხვავებული ვადები და პირობები, მა-  
გრამ, არცერთ შეთანხმებით არ უნდა გაუარესდეს თქვენი მდგრმარეობა.

საჯარო სამსახურში დასაქმების შემთხვევაში, მუშაობის ყველა პირობას, მათ  
შორის შვებულების მიცემის წესსა და პირობებს, არეგულირებს საქართველოს კანო-  
ნი „საჯარო სამსახურის შესახებ“, ხოლო დანარჩენ დაწესებულებებზე, საქართვე-  
ლოს შრომის კოდექსი ვრცელდება.

## შვებულების მიცემის წესი. როდის ნარმოიშობა აღნიშნული უფლება?

– შვებულების მოთხოვნის უფლება წარმოიშობა მუშაობის თერთმეტი თვის  
შემდეგ. შეთანხმებით, შვებულება შეიძლება მიეცეს აღნიშნული ვადის გასვლამ-  
დეც, ხოლო მუშაობის მეორე წლიდან, მხარეთა შეთანხმებით, შვებულება შეიძლება

## გახსოვდეთ, თქვენ

უფლება გაქვთ მიიღოთ  
ანაზღაურება განეული  
სამუშაოსთვის და უფრო  
მეტიც, ანაზღაურება უნდა  
იყოს იმავე ოდენობის, რა  
ოდენობითაც ხდება იგივე  
კვალიფიკაციის მქონე მამ-  
აკაცის შრომის ანაზღაურე-  
ბა იმავე პოზიციაზე. არავის  
აქვთ უფლება, გაიძულოთ  
მუშაობა ანაზღაურების გა-  
რეშე ან დისკრიმინაციული  
ანაზღაურებით.



მიეცეს სამუშაო წლის ნებისმიერ დროს. ასევე, შეიძლება შვებულების ნაწილ-ნაწილ გამოყენება მთელი წლის განმავლობაში.

### მიმართვის წესი. შვებულების სურვილის შემთხვევაში

შესაბამისი შვებულების მისაღებად თქვენ განცხადებით უნდა მიმართოთ უფროსის სახელზე.

თუკი თქვენ მუშაობთ საჯარო სამსახურში და გაქვთ არა ნაკლებ 3 წლიანი სტაჟი, მესამე და ყოველ შემდგომ წელზე, უფლება გაქვთ გამოიყენოთ თითო დღი-ანი, დამატებითი შვებულება, მაგრამ არა უმეტეს 10 დღისა. გაითვალისწინეთ, რომ დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედების პერიოდში, (ანუ, მაგალითად, თუკი თქვენ შენიშვნა ან გაფრთხილება მიიღეთ, ან ხელფასი დაგიკავეს შეცდომის დაშვების გამო), ამ ზომის გასვლამდე, დამატებითი შვებულება შეიძლება შეგიმცირდეთ ან საერთოდ ალარ მოგეცეთ.

თუკი თქვენ გაქვთ საჯარო სამსახურში მუშაობის 10 წელზე მეტი სტაჟი, თქვენ უფლება გაქვთ, გამოიყენოთ დამატებითი ანაზღაურებადი შვებულება 15 კალენ-დრული დღის ოდენბით.

### ანაზღაურების გამოანგარიშების წესი

როგორც საჯარო სამსახურში, ასევე სხვა დაწესებულებებში, დასაქმებულის საშვებულებო ანაზღაურება განისაზღვრება შვებულების წინა 3 თვის საშუალო ანაზღაურებიდან, თუ მუშაობის დაწყებიდან ნამუშევარი დრო ამ დროზე ნაკლებია, – მაშინ ნამუშევარი თვეების საშუალო ანაზღაურებიდან. თუკი თქვენ იღებთ ფიქ-სირებულ ანაზღაურებას, მაშინ საშვებულებო ანაზღაურება გამოიანგარიშება ბოლო თვის ანაზღაურების მიხედვით.

### საშვებულებო დახმარება

საჯარო სამსახურში დასაქმებულს ძირითად შვებულებასთან დაკავშირებით ეძლევა საშვებულებო დახმარება ერთი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით. თუკი თქვენ შვებულების მომდევნო სამუშაო წელს გადატანას (იხილეთ შემდგომი ქვეთავები) აპირებთ, ამ შემთხვევაში, საშვებულებო დახმარება მოგეცემათ აგრეთვე წინა წლის მუშაობისთვის.

### შვებულება ანაზღაურების გარეშე

დასაქმებულს უფლება აქვს ისარგებლოს ანაზღაურების გარეშე შვებულებით – წელიწადში 15 კალენდარულ დღემდე. საჯარო სამსახურში დასაქმებულს შეიძლება მიეცეს შვებულება ანაზღაურებას გარეშე, არა უმეტეს 1 წლისა.

**ანაზღაურების გარეშე შვებულების აღებისას დამსაქმებლის წინასწარ გაფრთხილების ვალდებულება**

ანაზღაურების გარეშე შვებულების აღებისას თქვენ გაკისრიათ ვალდებულება, 2 კვირით ადრე გააფრთხილოთ დამსაქმებელი შვებულების აღების შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გაფრთხილება შეუძლებელია გადაუდებელი სამედიცინო ან ოჯახური პირობების გამო.

## ანაზღაურებადი შვებულების გადატანის გამონაკლისი შემთხვევები

თუ მიმდინარე წელს ანაზღაურებადი შვებულების მიცემაში შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს სამუშაოს ნორმალურ მიმდინარეობაზე, ანაზღაურებადი შვებულების გადატანა მომავალი წლისთვის შეიძლება.

### შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო

დეკრეტული შვებულების დღეების და ანაზღაურების გაზრდის შესახებ საქართველოს პარლამენტში ინიცირებული კანონ-პროექტი პირველი იანგრიდან ამოქმედდება.

„შრომის კოდექსში“ შესული ცვლილებების მიხედვით, ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის მიზეზით შვებულება 253 დღით, 477-დან 730 კალენდარულ დღემდე იზრდება. მათგან ანაზღაურება 126-ის ნაცვლად 183 დღეზე გაიცემა, ხოლო მშობიარობის გართულების ან ტყუპის შობის შემთხვევაში თანხას ქალი 140 დღის ნაცვლად 200 კალენდარულ დღეზე მიიღებს.

ცვლილებების მიხედვით, ის დასაქმებული, რომელიც ერთ წლამდე ასაკის ბავშვებს იშვილებს, 365 დღის მაგივრად 550 დღიანი შვებულებით ისარგებლებს. ანაზღაურება ამ შემთხვევაში 20 დღით იზრდება და 90 კალენდარულ დღეს შეეხება.

ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო ანაზღაურებადი შვებულების დროს გასაცემი თანხის ოდენობა 400 ლარით იზრდება და 1000 ლარს შეადგენს.

საკანონმდებლო ინიციატივისთვის 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში 3 436 800 ლარით განსაზღვრული დამატებითი ხარჯი გამოიყო.

### შვებულება ახალშობილის შვილად აყვანის გამო

თუკი თქვენ იშვილეთ ერთ წლამდე ასაკის ბავშვი, თქვენი მოთხოვნის საფუძველზე მოგეცემათ შვებულება ახალშობილის შვილად აყვანის გამო. მისი ხანგრძლივობა არის ბავშვის დაბადებიდან 365 კალენდარული დღის ოდენობით.<sup>1</sup> ამ შვებულებიდან ანაზღაურებადია 70 კალენდარული დღე.

### დამატებითი შვებულება ბავშვის მოვლის გამო

ხსინ შემთხვევაში, ბავშვის მოვლა თქვენი მხრიდან, დამატებით ყურადღებას და დროს მოითხოვს. ამასთან დაკავშირებით, გათვალისწინებულია დამატებითი შვებულება ბავშვის მოვლის გამო. ქალს, თავისივე თხოვნით, უწყვეტად ან ნაწილ-ნაწილ ეძლევა ანაზღაურების გარეშე შვებულება ბავშვის მოვლის გამო – 12 კვირის ოდენობით. აღნიშნული შვებულება ეძლევა მნამდე, სანამ ბავშვს შეუსრულდება 5 წელი, – წელინადში არა-ნაკლებ 2 კვირისა. აღნიშნული წესი, თქვენზე ვრცელდება, მიუხედავად დაწესებულების სასიათისა და ტიპისა.

### გახსოვდეთ!

1. აღნიშნული დასაშვებია მხოლოდ თქვენი თანხმობით.
2. აკრძალულია არასარულწლოვის ანაზღაურებადი შვებულების გადატანა მომდევნო წლისთვის.
3. აკრძალულია ანაზღაურებადი შვებულების გადატანა ზედიზედ, 2 წლის განმავლობაში.



<sup>1</sup> შრომის კოდექსი, მუხლი 28.

## გახსოვდეთ!

ბავშვის მოვლის გამო, დამატებითი შეცებულება შეიძლება მიეცეს წეპი-სმიერ პირს, რომელიც ფაქტობრივად უვლის ბავშვს – ბამას, ბებიას, ბაბუას და ა.შ. ორსულობისა, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შეიღად აყვანის გამო, შეცებულების ანაზღაურება და კომპენსაციის საკითხები.

## დახმარებისა და კომპენსაციის მისაღებად გასავლელი პროცედურები

თქვენთვის დახმარების გაცემის საფუძველს წარმოადგენს ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შევილად აყვანის გამო თქვენზე შეესებული საავადმყოფო ფურცელი, ხოლო ახალშობილის შევილად აყვანის შემთხვევაში – ასევე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება. აღნიშნულის მისაღებად, თქვენ უნდა მიმართოთ განცხადებით ადმინისტრაციის სახელზე. თქვენი განცხადების საფუძველზე, დამსაქმებელი ან საჯარო დაწესებულება, შეავსებს საავადმყოფო ფურცლის შესაბამის ნაწილს და შემდგომში, დაფინანსების განცხადთან და ზემოთ მითითებულ საბუთებთან ერთად, უგზანის სააგენტოს:

1. საავადმყოფო ფურცელი ასლთან ერთად, ხოლო შევილად აყვანის შემთხვევაში, – შვილების შესაბამის დოკუმენტი ასლთან ერთად (დედნების დაკარგვის შემთხვევაში), მისი დუბლიკატი და მათი ასლები);  
2. თქვენი პირადობის მოწმობის ასლი;
3. დაზინანსების განაცხადი, 3 ეგზისტლარად, რომელიც დამოწმებული უნდა იყოს დამსაქმებლის ან საჯარო დაწესებულების ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), აგრეთვე ხელმძღვანელისა და ბუღალტრის ხელმოწერებით;
4. საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტი, თქვენი პირადი საბანკო ანგარიშის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

## დახმარებისა და კომპენსაციის ოდენობის გაანგარიშება

თუკი თქვენ ბრძანდებით საჯარო სამსახურში დასაქმებული, გასაცემი დახმარების ოდენობის გაანგარიშების ბაზას, თქვენთვის წარმოადგენს ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის ან ახალშობილის შევილად აყვანის გამო, შეცებულებაში გასკოდდე, წინა თვის თანამდებობრივი სარგო.

<sup>1</sup> აღნიშნული წესი, დარეგულირებულია 2006 წლის 25 აგვისტოს, საქართველოს შრომის, ჯამშითორელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით № 231/6 – „ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შევილად აყვანის გამო, შეცებულების ანაზღაურების წესი“.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დახმარება გაიცემა სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ, მაგრამ არა უმეტეს 600 ლარისა, ხოლო კომპენსაცია იმ დაწესებულების მიერ, სადაც თქვენ მუშაობთ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან, კანონით გამოყოფილი თანხებიდან. თუკი თქვენ დასაქმებული ბრძანდებით იმ დაწესებულებში, რომელიც არ ვრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი, შრომითი ხელშეკრულების დადების დროს, ან შემდგომ თქვენ გაქვთ შეთანხმების უფლება დამატებითი ანაზღაურების შესახებ.<sup>1</sup>

დანარჩენი სახის დასაქმებულისთვის, გასაცემი დახმარების ოდენობის გაანგარიშების პაზას წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული შრომის ანაზღაურება. თუკი თქვენი შრომითი ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული შრომის ანაზღაურების ოდენობა, ამ შემთხვევაში, დახმარების გაანგარიშების პაზას წარმოადგენს შევტევაში და გამოიყენოთ უკანასკნელი 3 თვის განმავლობაში დარიცხული საშუალო შრომის ანაზღაურება.

იმ შემთხვევაში, თუ თქვენ გამომუშავებაზე მუშაობთ, დახმარების ოდენობის გაანგარიშების პაზას წარმოადგენს შევტევაში პერიოდადმდე უკანასკნელი 3 თვის განმავლობაში საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება. თუკი თქვენ ჯერ არ გაგარინიათ მოცუმულ დამსაქმებელთან სამი თვის მუშაობის სტაჟი, საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება გამოითვლება მოცუმულ დამსაქმებელთან, შესაბამისი პროფესიისა და კვალიფიკაციის დასაქმებულისთვის გადახდილი საშუალო თვიური შრომის ანაზღაურებიდან.

საავადმყოფო ფურცლის დახურვის შემთხვევაში, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო, შევტევაში არ ანაზღაურდება. შევტევაში არ ანაზღაურდება ასევე, თუ თქვენ შვილად აყვანის შემთხვევაში, სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 6 თვის განმავლობაში არ მიმართეთ შესაბამისი დახმარების მისაღებად.

თუკი თქვენ დაორსულდით: ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილად აყვანისა და ბავშვის მოვლის გამო, დამატებითი შევტევაში ან უხელფას შევტევაში ყოვლის დროს, თქვენთვის დახმარება და კომპენსაცია ასევე გაიცემა მორიგი ანაზღაურებადი შევტევაში მთელ პერიოდზეც. ამ დროს, თუკი გაიზარდა თქვენი თანამდებობრივი სარგო, დახმარების ოდენობა გაანგარიშებული უნდა იქნას ახალი თანამდებობრივი სარგოს მიხედვით.

ორგანიზაციის ან საჯარო დაწესებულების ლიკვიდაციის გამო, დასაქმებულის ან საჯარო სამსახურში დასაქმებულის გათავისუფლების შემთხვევაში, თუ გახსნილია საავადმყოფო ფურცელი, დახმარება და კომპენსაცია ანაზღაურდება სრულად.

საჯარო სამსახურში დასაქმებულ ქალს, ორსულობის პერიოდში ჩატარებული სამედიცინო გამოკვლევების გამო, გაცდენილი სამუშაო საათები ჩაეთვლება საპატიოდ გამოკვლევების ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენისას და ასევე შეუნარჩუნდება ხელფასი.

## შრომითი ურთიერთობის შეცვეტა

შრომის უფლება, – კანონით აღიარებული უფლება და ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. მაგრამ, აღნიშნული უფლება არ არის აბსოლუტური და შეიძლება შეწყდეს, ან შეიძლება შეიზღუდოს კონკრეტული მიზეზების გამო. ამიტომ, საჭიროა იმის ცოდნა, თუ რა შემთხვევაშია მრომითი ურთიერთობის შეწყვეტა ჩვენი უფლება,

### გახსოვდეთ!

თქვენი დახმარების ოდენობის გამოანგარიშებისას, მხედველობაში არ მიიღება:

1. ერთდროული სახის დახმარებები, პრემიები და მატერიალური ჯილდოები;
2. ზეგანაკვეთური ანაზღაურება და დანამატება;
3. ერთჯერადი სამუშაოს ანაზღაურება, რომელიც არ წარმოადგენს ძირითადი სამუშაოსთვის მიღებულ გასამრჯელოს.



ჩვენი ვალდებულება ან შეიძლება განხილული იყოს, როგორც ჩვენი უფლების დარღვევა. ამიტომ, საჭიროა გათავისუფლების საფუძვლების სწორი ცოდნა.

## რა შეიძლება გახდეს სამსახურიდან გათავისუფლების მიზეზი?

### 1. დასაქმებულის მიერ თანამდებობის/სამუშაოს საკუთარი ნებით დატოვება

დასაქმებულის მიერ თანამდებობის/სამუშაოს საკუთარი ნებით დატოვება ხდება დასაქმებულის მიერ დამსაქმებლის სახელზე მომზადებული წერილობითი განცხადების საფუძველზე. ამ შემთხვევაში, დასაქმებული ვალდებულია, 30 კალენდარული დღით ადრე გააფრთხილოს დასაქმებული წინასწარი წერილობითი შეტყობინებით. უფლებამოსილი პირის მიერ განცხადებაზე რეზოლუციის დადების შემდეგ, თქვენითვე გათავისუფლებულად.

### 2. ვადის გასვლასთან დაკავშირებით, ან კონკრეტული სამუშაოს დასრულების შემთხვევაში

თუკი თქვენი ხელშეკრულება გაფორმებული კონკრეტული ვადით ან კონკრეტული სამუშაოს შესრულების გამო, სამსახურის ურთიერთობა წყდება სამსახურის ვადის გასვლის მეორე დღეს. თუკი ხელშეკრულება გაფორმებულია კონკრეტული ვალდებულებების შესრულების გათვალისწინებით, - კონკრეტული ვალდებულებების შესრულების მეორე დღეს. შეიძლება თქვენი ხელშეკრულების ვადის გაგრძელებაც. ამ შემთხვევაში, თქვენ არ თავისუფლდებით სამსახურიდან.

## სამსახურიდან შეიძლება გათავისუფლოს

იმ პირმა ან დაწესებულებამ, რომელსაც

თქვენი სამსახურში მიღების უფლება აქვს

არ გააჩნია აღნიშნული უფლება. ამის გამო, მის მიერ განხორციელებული თანამდებობიდან გათავისუფლება კანონიერი ვერ იქნება.

### 3. სამსახურიდან გათავისუფლება დაკავებულ თანამდებობასთან შეუსაბამობის გამო

ზემოაღნიშნული საფუძვლით შეიძლება გათავისუფლონ სამსახურიდან პირი, თუ ის დაკავებულ თანამდებობაზე კვალიფიკაციის ან პროფესიული უნარ-ჩვევების გამო შეუსაბამოა.

### 4. გათავისუფლება ეკონომიკური გარემოების, ტექნოლოგიური ან ორგანიზაციული ცვლილებების გამო.

სამუშაოზე ეკონომიკურმა გარემოებებმა, ტექნოლოგიურმა ან ორგანიზაციულმა ცვლილებებმა შეიძლება აუცილებელი გახადოს სამუშაო ძალის შემცირება.

### 5. დასაქმებულის მიერ ხელშეკრულებით ან/და შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევა

დასაქმებულის მიერ ხელშეკრულებით ან/და შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევა შეიძლება გახდეს ხელშეკრულების შეწყვეტის ერთერთი საფუძველი, თუ დასაქმებულმა უხეშად დაარღვია ხელშეკრულებით ან შანაგანაწესით დადგენილი წესები.

## **6. დასაქმებულის მიერ ხელშეკრულებით ან/და შინაგანანესით დაკისრებული ვალ-დებულების დარღვევა**

დასაქმებულის მიერ ხელშეკრულებით ან/და შინაგანანესით დაკისრებული ვალდებულების დარღვევა შეიძლება გახდეს ხელშეკრულების შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველი, თუ დასაქმებულის მიმართ ბოლო ერთი ნლის განმავლობაში უკვე გამოყენებული იქნა ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანანესით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის რომელიმე ზომა.

თუ კი თქვენ საჯარო სამსახურში დასაქმებული ბრძანდებით, თქვენი გათავისუფლება შეიძლება მოხდეს დისციპლინური გადაცდომისათვის იმ შემთხვევაში, თუ არღვევთ სამსახურებრივ მოვალეობას. თუ კი თქვენ უხეშად დაარღვევთ შრომით ხელშეკრულებას ან შინაგანანესს, მაშინ თქვენი გათავისუფლება დასაშვებია დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედების გარეშეც. სამსახურიდან თქვენი გათავისუფლდება მოხდება შესაბამისი დოკუმენტის გაცნობის დღიდან.

თუ საჯარო სამსახურში დასაქმებული თვითნებურად, 5 დღეზე მეტი ხნით მიატოვებს სამსახურს, გათავისუფლებულად ჩაითვლება სამსახურის თვითნებურად დატოვების მეორე სამუშაო დღიდან.

## **7. დასაქმებულის მიერ მისთვის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულების დარღვევა**

დასაქმებულის მიერ მისთვის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულების დარღვევა შეიძლება გახდეს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი თუ დასაქმებულის მიმართ ბოლოს 1 ნლის განმავლობაში უკვე გამოყენებული იქნა ხელშეკრულებით ან შინაგანანესით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის რომელიმე ზომა.

### **8. გათავისუფლება ხანგრძლივი შრომის უკანარობის გამო**

თქვენი გათავისუფლება შეიძლება მოხდეს ხანგრძლივი შრომისუკარობის გამო, თუ კი შრომისუბარობა ალემატება ზედიზე 40 კალენდარულ დღეს, ან 6 თვის განმავლობაში საერთო ვადა ალემატება 60 კალენდარულ დღეს.

ამ შემთხვევაში, საჯარო სამსახურში დასაქმებული შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან მხოლოდ დროებითი შრომისუბარობის ფურცლის მოქმედების პერიოდში. თუ კი სამსახურთან დაკავშირებით დროებითი შრომისუბარო გახდით, თქვენი სამსახურებრივი ურთიერთობა შეჩერდება გამოჯამრთელებამდე ან ინვალიდობის დადგენამდე. თქვენ შეგინარჩუნდებათ თანამდებობა. სამსახურიდან გათავისუფლება, შესაბამის დოკუმენტში, მითითებული დღიდან მოხდება.

### **9. სამსახურიდან გათავისუფლება იურიდიული პირის ლიკვიდაციის გამო**

საჯარო დანესტებულების ან დამსაქმებელი იურიდიული პირის ლიკვიდაციის გამო ავტომატურად დგება გათავისუფლების საკითხი.

### **10. სასამართლო განაჩენის ან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა**

დანესტებულებებში, სადაც არ ვრცელდება “საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონის მოქმედება, დასაქმების დროს, სასამართლო განაჩენის ან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა, რომელიც სამუშაოს შესრულების შესაძლებლობას გამორიცხავს, შეიძლება ასევე გახდეს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი.

საჯარო სამსახურში დასაქმებული სამსახურიდან თავისუფლდება სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის გამო, რომლის თანახმადაც მას შეეფარდა სასჯელი განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის, ან სასჯელი რომელიც გამორიცხავს სამსახურის გაგრძელებას. გათავისუფლება ხდება სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან, მეორე დღეს.

**11. სასამართლოს მიერ მიღებული და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება გაფიცვის უკანონოდ ცნობის შესახებ.**

ხელშეკრულების შეწყვეტილ საფუძველი შეიძლება გახდეს ასევე სასამართლოს მიერ მიღებული და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება გაფიცვის უკანონოდ ცნობის შესახებ.

**12. გათავისუფლება გარდაცვალების გამო**

გარდაცვალების შემთხვევაში, მეორე დღიდან, შრომითი ურთიერთობა ითვლება შეწყვეტილად.

**13. დაწესებულების რეორგანიზაცია. სამსახურიდან გათავისუფლება შემცირებასთან დაკავშირებით**

საჯარო დაწესებულების რეორგანიზაცია არ ქმნის საფუძველს თქვენს გასა- თავისუფლებლად, მაგრამ შტატების შემცირების დროს, ბუნებრივია, სამუშაო ადგ- ილების შემცირების გამო დაკავებული მუშაკების რაოდენობის შემცირებაც ხდება.

## რას წარმოადგენს რეორგანიზაცია?

**რეორგანიზაცია – გარდაქმნა, შერწყმა, მიერთება, შემცირება.**

კანონის მიხედვით, საჯარო სამსახურში დასაქმებული შეიძლება გაათავისუ- ფლონ სამსახურიდან დაწესებულების შტატებით გათვალისწინებულ თანამდებო- ბათა შემცირებისას. ამ შემთხვევაში, თქვენ, გაფრთხილების ვადის გასვლის შემდგომ თავისუფლდებით. თუკი თქვენ თანახმა იქნებით იმუშაოთ სხვა თანამდებობაზე, თქვენ არ გათავისუ- ფლდებით სამსახურიდან. თუკი შემცირების გამო დგება გათა- ვისუფლების საკითხი, მხედველობაში შეიძლება მიღებული იყოს სხვა ფაქტორებიც, – მაგალითად, ჩატარებული ატესტაციის შედეგები, თქვენი სამუშაო სტაჟი, კვალიფიკაცია და სხვა. სამ- სახურიდან გათავისუფლება ხდება დაწესებულების საქმიანობის შეწყვეტის დღიდან.

გახსოვდეთ! დაწესებულების დაქვემდებარების შეცვლა არ წარმოადგენს სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველს. რე- ირგანიზაცია ყოველთვის არ არის გათავისუფლების საფუძველი.

მაგალითად, განყოფილების ან მთლიანად სამსახურის ქვემ- დებარების შეცვლა არ წარმოშობს გათავისუფლების საფუძ- ვლის. ამ შემთხვევაში, თუ სახეზე არ არის შტატების შემცირება, ფაქტობრივად, სამუშაო ადგილების რაოდენობა იგივე რჩება.

**14. გათავისუფლება სამსახურში მიღებისას დადგენილი**

**მოთხოვნების დარღვევისთვის**

თუკი თქვენ საჯარო სამსახურში დასაქმებული ბრძანდებით და თქვენი თანამ- დებობაზე არჩევის ან დანიშვნის დროს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები დაირღვა, აღნიშნული შეიძლება გათავისუფლების საფუძველი გახდეს, თუ გათა- ვისუფლების საფუძველი ვერ აღმოიფხვრა. მაგალითად, საეჭვო გახდა ერთ-ერთი წარდგენილი საბუთის ნამდგილობა, რასთან დაკავშირებითაც დაიწყო შესაბამისი პროცედურა, მაგალითად, საბუთის სიყალბის დადგენისათან დაკავშირებით.

**15. გათავისუფლება სხვა დაწესებულებაში გადასვლასთან დაკავშირებით**

საჯარო სამსახურში დასაქმებულის შემთხვევაში, თქვენ თანამდებობიდან თავისუფლდებით სხვა თანამდებობაზე არჩევის ან დანიშვნის დღეს.

**გახსოვდეთ!** თუკი ოქვენ აგირჩიეს ან დაგნიშნეს სხვა შესაბამის სახელმწიფო თანამდებობაზე, ოქვენ არ წყვეტით სამსახურებრივ ურთიერთობას სახელმწიფოსთან.

### 16. გათავისუფლება მოქალაქეობის შეცვლის გამო

სამსახურიდან გათავისუფლებით, თუკი ოქვენ საჯარო სამსახურში დასაქმების შემდგომ, ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობას მიიღებთ. კერძო ან სხვა სახის დაწესებულებებში დასაქმების დროს, მოქალაქეობის შეცვლა გათავისუფლების საფუძველს არ წარმოადგენს, თუკი ხელშეკრულებით წინასწარ არ არის გათვალისწინებული აღნიშნული. შეზღუდვა მოქალაქეობის შეცვლაზე კერძო დაწესებულებაში, დასაქმებულის მიმართ დასაბუთებულ ხასიათს უნდა ატარებდეს და არ უნდა ჩააყენოს კაბალურ პირობებში, ვინაიდან მოქალაქეობის შერჩევა ადამიანის ერთერთი ძირითადი უფლებაა.

საქართველოს შრომის კანონმდებლობის შესაბამისად, თქვენი შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი ასევე შეიძლება გახდეს სხვა ობიექტური გარემოებით, რაც ამართლებს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას.

### როგორ ხდება სამსახურიდან გათავისუფლება?

- გათავისუფლების შემთხვევაში, დაცული უნდა იყოს სპეციალური მოთხოვნები.
- გაფრთხილება გათავისუფლების შესახებ.

საჯარო სამსახურში სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე ერთი თვით ადრე უნდა გეცნობოთ დაწესებულების ლიკვიდაციის, თანამდებობის შემცირების, ატესტაციის არადამატაყოფილებელი შედეგების შესახებ. ხანგრძლივი შრომისუნარიბის გამო გათავისუფლების შესახებ ოქვენ წერილობით უნდა მიიღოთ გაფრთხილება გათავისუფლებამდე 2 კვირით ადრე მაინც.

თუ დარღვეულია აღნიშნული ვადა, თქვენ უფლება გაქვთ მოითხოვოთ ხელფასი ყოველი გადაცილებული დღისთვის. 5გათავისუფლებაზე უარის თქმა, თუ თქვენ გაფრთხილებული ბრძანდებით სათანადო წესით, შეიძლება მხოლოდ თქვენი წერილობითი თანხმობით. უარის შემთხვევაში, საჯარო სამსახურში დასაქმებული თავისუფლება სამსახურიდან იმავე საფუძვლით და ეძლევა კანონით გათვალისწინებული კომპენსაცია (იხილეთ შემდგომი ქვეთავი).

სხვა სახის დაწესებულებებში, ანუ რომელზეც არ ვრცელდება საჯარო სამსახურის მოთხოვნები, თუკი შრომითი ხელშეკრულების მოშლის ინიციატორი დასაქმებულია, იგი ვალდებულია გააფრთხილოს დამსაქმებელი არა ნაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე, წერილობითი წინასწარი შეტყობინებით.

### სამსახურიდან გათავისუფლების კომპენსაცია

თუკი შრომითი ხელშეკრულება დამსაქმებლის ინიციატივით წყდება, დასაქმებულს მიეცემა კომპენსაცია არა ნაკლებ ერთი თვის შრომის ანაზღაურების ოდენობით, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტიდან 30 დღის ვადაში. (დაწესებულებებში, რომელზეც არ ვრცელდება საჯარო სამსახურის მოთხოვნები).

დაწესებულების ლიკვიდაციის ან შტატების შემცირების გამო, სამსახურიდან გათავისუფლებისას, საჯარო სამსახურში დასაქმებულს, კომპენსაციის სახით ეძლევა 2 თვის თანამდებობრივი სარგო.

საჯარო სამსახურში დასაქმების დროს, დაწესებულების ლიკვიდაციის, თანამდებობის შემცირების, ატესტაციის არადამატაყოფილებელი შედეგების გამო გათავისუფლების თაობაზე გაფრთხილების ვადის დარღვევის შემთხვევაში, ასევე ეძლევა ხელფასი, ყოველი გადაცილებული დღისთვის.

ჯანმრთელობის მდგომარეობის, ხანგრძლივი შრომისუუნარობის, სამხედრო ან აღტერნატიულ სამსახურში გაწვევის ან ატესტაციის შედეგების გამო სამსახურიდან განთავისუფლების შემთხვევაში, საჯარო სამსახურში დასაქმებულს ეძლევა კომპენსაცია ერთი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

ჯანმრთელობის მდგომარეობის, ხანგრძლივი შრომისუუნარობის გამო, სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევაში, საჯარო სამსახურში დასაქმებულს, ეძლევა კომპენსაცია 1 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.<sup>1</sup>

## სამსახურიდან გათავისუფლების გამომრიცხავი გარემოებები სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერების პერიოდი

**გათავისუფლების გამომრიცხავი გარემოებები სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერების პერიოდი**

შრომითი ურთიერთობის შეჩერებისას, დაუშვებელია შრომითი ხელშეკრულების მოშლა. რა არის შრომითი ურთიერთობის შეჩერების ცნება? შრომითი ურთიერთობის შეჩერება არის შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს დროებით შეუსრულებლობა, რომელიც არ იწვევს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტას. ამ დროს თქვენ, ფაქტობრივად, არ ასრულებთ თქვენს სამსახურებრივ ვალდებულებებს, თუმცა ამ დროს დასაქმებულად ითვლებით.



**გახსოვდეთ!** საჯარო სამსახურში დასაქმებული ქალი, არ შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურიდან ირსულობის, ან ბავშვის 3 წლის ასაკამდე აღზრდის პერიოდში, შტატების შემცირების, სანგრძლივი შრომისუუნარობის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის, აგრეთვე ატესტაციის შედეგების გამო.

**შრომითი ურთიერთობის შეჩერების საფუძვლებია:**

1. ანაზღაურების გარეშე შებულება; 2. ანაზღაურებადი შვებულება; 3. აქტიური ან/და ბასიური საარჩევნო უფლების განხორციელება (საქართველოს მოქალაქეების უფლება, აირჩიოს მაგალითად, პრეზიდენტი ან საკრებულო, ასევე უფლება, – არჩეული იქნეს აღნიშნულ ორგანოები); 4. საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში საგამოძიებო, პროკურატურის ან სასამართლო ორგანოების გამოცხადება; 5. შებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო, შებულება ახალმობილის შეიღად აყვანის გამო და დამატებითი შებულება ბავშვის მოვლის გამო; 6. ოჯახში, ძალადობის მსხვერპლის, თავშესაფარში ან/და კრიზისულ ცენტრში მოთავსება (იხ. ასევე თავი “ოჯახური ძალადობა”), მაგრამ არა უმეტეს 30 კალენდარული დღისა, წელიწადში; 7. დროებითი შრომისუუნარობა, თუ მისი ვადა არ აღემატება ზედიზედ, 40 კალენდარულ დღეს, ან 6 თვის განმავლობაში, საერთო ვადა არ აღემატება 60 კალენდარულ დღეს; 8. კვალიფიკაციის ამაღლება, პროფესიული გადამზადება ან სწავლა, რომლის სანგრძლივობა წელიწადში არ უნდა აღემატებოდეს 30 კალენდარულ დღეს; 9. დაწესებულებებში, რომელზეც არ ვრცელდება საჯარო სამსახურის მოთხოვნები, ასევე: გაფიცვა და ლოკაუტი (გაფიცვა და ლოკაუტი არის დავის შემთხვევაში დასაქმებულის დროებითი ნებაყოფლობითი უარი შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიანდა, ან ნაწილობრივ შესრულებაზე). 10. სამხედრო სავალდებულო და სარეზერვო სამსახურის განევა;

<sup>1</sup> “საჯარო სამსახურის შესახებ” კანონი, მუხლი 109.

თუკი საჯარო სამსახურში დასაქმებული სამსახურთან დაკავშირებით დროებით შრომისუნარო გახდა, მას შეუჩერდება მისი სამსახურებრივი ურთიერთობა გამოკვანძრთელების, ან ინვალიდობის დადგენამდე და შეუნარუნდება თავისი თანამდებობაც.

დაწესებულებებში, რომელზეც არ ვრცელდება საჯარო სამსახურის მოთხოვნები, შრომითი ურთიერთობის შეჩერების დროს დასაქმებულს არ მიეცემა შრომის ანაზღაურება, თუკი შრომის ხელშეკრულებით ან საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

**არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა**  
თუკი არასრულწლოვანი დასაქმებულია და მუშაობის გაგრძელება ზიანს აყენებს არასრულწლოვნის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან სხვა მნიშვნელოვან ინტერესებს, არასრულწლოვნის კანონიერ წარმომადგენელს, ან მზრუნველობისა და მეურვეობის ორგანოს უფლება აქვთ მოითხოვონ არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა.

**სამართლებრივი დავა შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის დროს**

განვსაზღვროთ, რა არის დავა. დავა არის შრომითი ურთიერთობის დროს წარმომადგენლობა, რომლის გადაწყვეტაც, შრომითი ხელშეკრულების მხარეთა კანონიერ ინტერესებში შედის.

როგორ გადავჭრათ წარმომობილი სადავო ურთიერთობა? სამსახურში, დავის არსებობის შემთხვევაში, თქვენ უფლება გაქვთ:

1. მიმართოთ ადმინისტრაციას შესაბამისი წერილობითი შეტყობინებით და მოითხოვოთ შეტყობინების მიღებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში მეორე მხარის გადაწყვეტილება;
2. წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში თუ შეთანხმება ვერ იქნება მიღწეული, მხარეს უფლება აქვს, მიმართოთ სასამართლოს.

**მოთხოვნის უფლება სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლების შემთხვევაში**  
საჯარო სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლების შემთხვევაში, თქვენ უფლება გაქვთ მოითხოვოთ გათავისუფლების უკანონიდ ცნობა, გათავისუფლების საფუძლის შეცვლა და ხელფასის ანაზღაურება, სამსახურში იძულებით არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში.

თქვენ უფლება გაქვთ, კანონმდებლობით დადგენილი წესით<sup>1</sup> ერთი თვის განმავლობაში, გაასაჩინოროთ სასამართლოში, სამსახურებრივ საკითხებზე გამოცემული ბრძანება, განკარგულება, გადაწყვეტილება, აგრეთვე მოქმედება. ბრძანება, განკარგულება შეიძლება ეხებოდეს ნებისმიერ საკითხს, როგორიცაა: გათავისუფლება, გადაყვანა სხვა თანამდებობაზე, შრომითი პირობების დარღვევა და ა.შ.<sup>2</sup>

თუკი თქვენი გათავისუფლების დროს დარღვეულია გათავისუფლების წესი, აღნიშნული, სასამართლოს წესით, თქვენი სამსახურში აღდგენის საფუძველს წარმოადგენს.



### გახსოვდეთ!

დავის განხილვა შეუძლიათ მხოლოდ იმ პირებს და მათ წარმომადგენლებს, რომელთაც უშუალოდ ეხებათ ეს დავა და შესაბამისი უფლებამოსილება აქვთ.



<sup>1</sup> საქართველოს კანონი “საჯარო სამსახურის შესახებ”, მუხლი 112.

<sup>2</sup> მუხლი 112, 127 “საჯარო სამსახურის შესახებ” კანონი.



სასამართლოს მიერ სამსახურიდან გათავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების არაკანონიერად აღიარების შემთხვევაში, თქვენ დაექვემდებარებით დაუყოვნებლივ აღდგენას, თუ თქვენ უარს არ განაცხადეთ აღდგენაზე.

## დავის განხილვა

### სხვა სახის დაცესიანულებებში

იმ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, რომელიც ურცელდება საქართველოს „შრომის კოდექსის“ მოქმედება, (კერძო საწარმოებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და სხვა), ინდივიდუალური დავის განხილვა შესაძლებელია შემათანხმებელი პროცედურებით, ინდივიდუალური მოლაპარაკების გზით ან სასამართლოს საშუალებით. 1

შრომითი დავა წარმოშობა მხარის მიერ მეორე მხარისათვის გაგზავნილი წერილობით შეტყობინებით უთანხმოების შესახებ. კოდექსის მიხედვით, შრომით ურთიერთობაში, დავის წარმოშობის საფუძველი შეიძლება გახდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, ასევე შრომითი ხელშეკრულების ან შრომის პირობების დარღვევა.

კანონის მიხედვით ითვლება, რომ დავა უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის შემათანხმებელი პროცედურებით. შემათანხმებელი პროცედურების დაწყების შესახებ მხარე მეორე მხარეს უგზავნის წერილობით შეტყობინებას, რომელშიც ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული დავის წარმოშობის საფუძველი და მოთხოვნები.

მეორე მხარე ვალდებულია, წერილობითი შეტყობინება განიხილოს და თავისი გადაწყვეტილება წერილობით აცნობოს მხარეს შეტყობინების მიღებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

## ვალები

თუ დავის დროს შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული 14 კალენდარული დღის განმავლობაში, ან თუ მხარემ თავი აარიდა შემათანხმებელ პროცედურებში მონაწილეობას, მეორე მხარეს უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს ან არბიტრაჟს. კანონით არ არის დადგენილი გასაჩივრების კონკრეტული ვადა, მაგრამ შეეცადეთ, რომ კონკრეტული დარღვევის დადგომიდან, არ გაუშვით 3 წლიანი ვადა (სამწლიანი გასაჩივრების ვადა გათვალისწინებულია სახელშეკრულების ურთიერთობის დროს. შრომითი ურთიერთობა, სწორედ ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობა).

### საიდან აითვლება გასაჩივრების ვადა?

სამართლებრივი აქტების გასაჩივრების ხანდაზმულობის ვადა აითვლება შესაბამისი ბრძანების (განკარგულების) გაცნობის მომენტიდან. ბრძანების გაცნობად ითვლება გათავისუფლების შესახებ ბრძანების პირადად ხელზე მიღება. სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში სარჩელის წარდგენა სასამართლოში არ იწვევს შრომითი ურთიერთობის შეჩერებას.

საქართველოს შრომის კოდექსი, მუხლი 47-48.

## სასამართლო

სასამართლო წარმოება მოითხოვს გარკვეულ ხარჯებს.

სასამართლო დავის შემთხვევაში, მოსარჩელეს (ცინც ასაჩივრებს) დაეკის-რება სახელმწიფო ბაჟის გადახდა. თქვენ გათავისუფლდებით სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან სარჩელებზე ხელფასის გადახდევინების შესახებ და სხვა მოთხოვნებზე შრომის ანაზღაურების თაობაზე, რომლებიც გამომდინარეობს შრომის სამართლებრივი ურთიერთობიდან. იმ შემთხვევაში, თუკი არ მოხდება გათავისუფლება რომელიმე სხვა საკითხზე შრომითი დავის დროს, მაშინ საქალაქო სასამართლოში, სარჩელის შეტანის დროს, გადასახდელია სახელმწიფო ბაჟი – 100 ლარის ოდენობით. სააპელაციო სასამართლოსადმი მიმართვის დროს გადასახდელია 150 ლარი სახელმწიფო ბაჟის სახით. საკასაციო ინსტანციაში გასაჩივრებისას, ბაჟის ოდენობა შეადგენს 300 ლარს. სახელმწიფო ბაჟის გადახდა ხდება შესაბამისი ოდენობის თანხის ჩარიცხვის გზით, სპეციალურად მითითებულ საბანკო ანგარიშზე. სასამართლოში სარჩელის მოგების შემთხვევაში აღნიშნული ხარჯი დაგიბრუნდებათ.

ასევე გათვალისწინეთ, რომ საჯარო სამსახურდან გათავისუფლების შემთხვევაში, თქვენ სარჩელით უნდა მიმართოთ რაიონულ (ან საქალაქო) სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. სხვა სახის დაწესებულებიდან გათავისუფლებას დროს (იმ დაწესებულებიდან, რომლებზეც არ ვრცელდება საჯარო სამსახურის მოთხოვნები), მაგალითად, ქარხნიდან, ბანკიდან, – რაიონული (ან საქალაქო) სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

**გახსოვდეთ!** სამსახურის სტაჟი დასტურდება დაწესებულების მიერ, სათანადოდ გაფორმებული საბუთით (ცნობით).

სამსახურის სტაჟი დასტურდება  
დაწესებულების მიერ,

**სათანადოდ გაფორმებული საბუთით**



# ქალი და განათლება

## განათლების უფლება

განათლება წარმოადგენს ადამიანის განვითარების საწყისს, იმ მნიშვნელოვან საფუძველს, რომელიც უკავშირდება პიროვნებად ჩამოყალიბებას.

რომ არა განათლება, ადამიანი ვერასდროს დაიმკვიდრებს თავს საზოგადოებრივი მოვლენების განვითარებაში, ვერ იქცევა სრულყფასოვანი საზოგადოების სრულყოფილ წევრად. დაუშვებელია ნებისმიერი ხელშეშლა განათლების მიღებაში.

სამწუხაროდ, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დღემდე ხდება, რომ ქალებს უკრძალავენ განათლების მიღებას. ეს კიდევ ერთხელ (ჟხადყოფს, რომ გენდერული უთანასწორობის პრობლემა დღემდე მწვავედაა წარმოჩენილი). ეს ინვენტ ქალის სურვილის დაკინებას, დაშინებას, შთაგონებას, რომ ის არასრულფასოვანია. მნიშვნელოვანია, რომ ქალებმა მიიღონ საკუთარი ინტერესების შესაბამისად სასურველი განათლება და არ შეუშალონ ხელი ოჯახის წევრებმა თუ სხვა პირებმა აღნიშნულ მოთხოვნასა და უფლებას. განათლება კანონით განმტკიცებული უფლებაა. განათლებაზე საუბრობს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაც:

“ყოველი ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი საკუთარი ღირსებითა და უფლებებით. მათ მინიჭებული აქვთ გონიერა და სინდისი. ყოველი ადამიანს განურჩევლად რასისა, რწმენისა, აღმსარებლობისა, კანის ფერისა, ასაკისა აქვს განათლების უფლება. დაუშვებელია რაიმე სახის დისკრიმინაცია. სახელმწიფო, ყოველი ადამიანი და საზოგადოების ყოველი ორგანო უნდა მისაწრაფოდეს სწავლა-განათლების მეშვეობით ხელი შეუწყოს უფლებათა და თავისუფლებათა პატივისცემას. განათლება არის დაწყებითი, ზოგადი, უმაღლესი.

დაწყებითი განათლება სავალდებულო უნდა იყოს. ტექნიკური და პროფესიული განათლება – ხელმისაწვდომი ყველასათვის. უმაღლესი განათლება კი – ერთნაირად მისაწვდომი ყველასათვის, თითოეულის უნარის მიხედვით.

განათლება უნდა ემსახურებოდეს პიროვნების განვითარებას და ხელს უნდა უწყობდეს საზოგადოებაში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებებისადმი პატივისცემის დამკაიდგებას.

განათლებამ ხელი უნდა შეუწყოს ყოველი ადამიანის, ოჯახის წევრთა, მოქალაქეთა, საზოგადოების ყოველი წევრის ურთიერთგაგებას, შემწყნარებლობასა და მეგობრობას მშვიდობის შესასარჩუნებლად.

შშობლებს აქვთ უფლება აირჩიონ, თუ რა სახის განათლება სურთ თავიანთი მცირენლოგანი შვილებისათვის. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მონანილეობდეს საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში, კულტურულ და მეცნიერულ პროგრესში. რომ არ იყოს განათლება, ადამიანები ვერ მიღებდნენ აქტიურ მონანილეობას საზოგადოებრივი განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე სხვადასხვა მოვლენებში. სამწუხაროდ, განათლების უფლების შეზღუდვის უამრავი ადამიანი აწყდება დღემდე. წარმოგიჩენი ერთ-ერთ მაგალითი:

2008 წელს მე-11 კლასის მოსწავლე, რომელსაც ექსტრენად ჩაბარებული ჰქონდა მე-10 და მე-11 კლასის პირველი ტრიმესტრის გამოცდები, არ დაუშვეს მე-11 კლასის მე-2 და მე-3 ტრიმესტრის დასაძლევად, რის გამოც მოსწავლემ მზრუნველის წარმომადგენლობით სარჩელი აღძრა სასამართლოში. იგი ასაბუთებდა, რომ მას შეეზღუდა განათლების უფლება, ის ვერ იღებდა ატესტატს იმის გამო, რომ ის არ დაარეგისტრირა შესაბამისმა ორგანომ - საგანმანათლებლო რესურსსცენტრმა ექსტრენად დასაძლევი პროგრამის სიაში. მოსარჩელე ითხოვდა, რომ სასამართლოს დაევალებინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რაიონული საგანმანათლებლო რესურსსცენტრისათვის ქმედების განხორციელება, ანუ ჩაესვათ მოსწავლე ექსტრენად დასაძლევი პროგრამის სარეგისტრაციო სიაში.

რესურსსცენტრი არის პირველი რგოლი, რომელიც წყვეტს ექსტრენად რეგისტრაციის საკითხს, მეორე რგოლს ანუ ზემდგომს წნირმიდდებნს განათლების სამინისტროს. აღნიშნულ შემთხვევაში, პირველმა რგოლმა საკითხი განიხილა და არ დააკმაყოფილა. მისა აქტი უნდა გასაჩივრებულიყო ზემდგომ რგოლში – განათლების სამინისტროში. სასამართლომ დასაპუთა, რომ მოსარჩელეს საკუთარი მოთხოვნა უნდა დაეყენებინა შესაბამისი ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოსადმი, ანუ ამ შემთხვევაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რაიონულ საგანმანათლებლო რესურსსცენტრისადმი. თუკი აღნიშნული ორგანო უარს ეტყობდა მას წაყენებულ მოთხოვნაზე, სწორედ ადმინისტრაციული ორგანოს უარი უნდა გასაჩივრებულიყო ერთი თვეს ვადაში სასამართლოში.<sup>1</sup>

სასამართლოს აღნიშნული განმარტება კანონიერია და მნიშვნელოვანია. ყოველთვის უნდა გახსოვდეთ, რომ თუკი თქვენს უფლებას არღვევს ადმინისტრაციული ორგანო, თავდაპირველად უნდა მიმართოთ ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს და თუკი ამ უკანასკნელმა უარი გითხოვათ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, სწორედ მისი წერილობითი უარი უნდა გასაჩივრდეს რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. განათლების უფლება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უფლებაა, ხოლო უმაღლესი განათლება წარმოადგენს ცოდნის გაფართოების უმნიშვნელოვანეს და გადამწყვეტი ფაქტორს.

განათლებას მხარს უჭერს და განმტკიცებულია იუნესკოს კონვენციებში, რამეთუ განათლება წარმოადგენს მნიშვნელოვან სასიცოცხლო რესურსს.

<sup>1</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინება საქმე №3/1329-

# ქალი პოლიტიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში

ქალთა პრობლემები ინტერნაციონალური ხასიათისაა და გამოიხატება ყოველი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების დონით. პრობლემების რეალიზაცია მოითხოვს არა მხოლოდ ახალ მიდგომას ქალის მიმართ, არამედ სახელმწიფოსა და კანონების მხარდაჭერასაც.

მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს მინიჭებული საერთაშორისო საკონსენტდებლო აქტებსა და ეროვნული კანონმდებლობისა და რეალურად მოქმედი შექანიზმების შემუშავებას. საქართველო 1994 წლის 22 სექტემბერს შეუერთდა კონვენციას ქალთა დისკრიმინაციის ყოველგვარი ფორმის აღმოფხვრის შესახებ, რითაც მან ვალდებულება აიღო, რომ მიიღებს ყველა საჭირო ზომას ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, სახელდობრ, ქალებისათვის მამაკაცებთან თანაბარ პირობებში უზრუნველყოფს არჩევნებსა და საჯარო რეფერენდუმში ხმის მიცემის უფლებას, საჯაროდ არჩეულ ორგანოებში კანდიდატურის ნამოყვენების შესაძლებლობას და მონანილებას მთავრობის პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში და იმის შესაძლებლობას, რომ დაიკავონ სახელმწიფო პოსტები და შესარულონ ყველა სახელმწიფო ბრივი ფუნქცია ნებისმიერ სამთავრობო დონეზე, მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო ორგანიზაციებისა და ასოციაციების საქმიანობაში, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ქვეყნის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების პრობლემით.

## ქალთა კოლეგიური ონლაინ-ერა და საარჩევო თანასწორობა

სქესთა თანასწორობის პროცესება და ქალთა უფლებამოსილების გაზრდა პოლიტიკაში მონაწილეობისას, მთელი მსოფლიოს მასშტაბით განიხილება.

არჩევნების საყოველთაობა და თანასწორობა გამომდინარეობს კონსტიტუციის 28-ე მუხლიდან და კონკრეტიზებულია პარლამენტისა და პრეზიდენტის არჩევნების პრინციპებით. საარჩევო სუბიექტების თანასწორობა არჩევნებში მონაწილეობის, საარჩევო კამპანიის წარმართვისა და მანდატების გადანაწილების პროცესში გამომდინარეობს სხორცედ თანასწორობის უფლებიდან, რომელიც განმტკიცებულია კონსტიტუციის მე-14 და 28 მუხლებით. ასევე გამომდინარეობს თანასწორობის ზოგადი პრინციპებიდან.

საარჩევო სფეროში წესისმიერი შეზღუდვა მოითხოვს განსაკუთრებულ დასაბუთებას. გენდერული ბალანსის დაცვისა და პოლიტიკის ქალთა რაოდენობის გაზრდის ინიცირებით საქართველოს მთავრობას საერთაშორისო ორგანიზაციებმაც არაერთხელ მიმართეს. 2011 წლის დეკემბერში კი საქართველოს პარლამენტმა “მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანების შესახებ” კანონში (მუხლი 30, პუნქტი 7.1) ცვლილებები შეიტანა, რომლის თანხმადაც: “საარჩევო სუბიექტი, რომელიც იღებს დაფინანსებას ამ მუხლით დადგენილი წესით, მიღებს დაფინანსებაზე დანამატს 10%-ის იდენტიური თუ მის მიერ წარდგენილ პარტიულ სიაში (ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე – ყველა პარტიულ სიაში) ყოველ 10 კანდიდატს შორის განსხვავებული სქესი წარმოდგენილია სულ მცირე 20 %-ით.”

დღევანდელ პარლამენტში 150 დეპუტატიდან 9 ქალბატონია, რაც საერთო რაოდენობის 6 პროცენტს შეადგენს.

**როგორ ვითარდება სამოქალაქო საზოგადოება, თუკი დღემდე გენდერული უთანასწორობის პრობლემაა წარმოდგენილი?**

ქალთა აქტიური მონაწილეობა სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესია. დღესდღობით, ქალებს გააჩნიათ შესაძლებლობა, თავი დაიმკვიდრონ და მნიშვნელოვანი უფლებები გააჩნდეთ სამოქალაქო საზოგადოებაში ცვლილებების განსახორციელებლად.

სამწუხაროდ, ქალი პოლიტიკში ჯერ კიდევ მცირედ არის წარმოდგენილი, მაშინ როდესაც ქალის მონაწილეობა პოლიტიკაში მნიშვნელოვანია ქალის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და გენდერული პრობლემის აღმოსაფხვრელად.

ქალს უნდა გააჩნდეს რეალური შესაძლებლობა, სტიმული, რათა გადალახოს საკუთარ თავში შეიძი, ფსიქოლოგიური ბარიერი და იგრძნოს სრულყოფილად საკუთარი შესაძლებლობა, გახდეს თავდაჯერებული იმაში, რომ მისი ხმა პოლიტიკურ სისტემაში შესაძლოა, მნიშვნელოვანი ცვლილებების მომტანი გახდეს იმ გარემოსთვის, სადაც მრავალი ხელისშემსრული ფაქტორია, როგორიცაა: გენდერული უთანასწორობა თუ სხვადასხვა სტერეოტიპები.

როლი ოჯახში, ქალებს ზოგიერთ სირთულეს უქმნის თავი დაამკვიდრონ სხვა სფეროებშიც. არსებული სტერეოტიპები ქალთა შესახებ ისეთ საკითხებს უკავშირდებოდა, რაც გამორიცხავდა მათ პასუხისმგებლობას საფინანსო, საბიუჯეტო კონტროლის, სახელმწიფო მართვისა და კონფლიქტების მოგვარების პროცესში. ყველა ერში, კულტურული ტრადიციებით, ქალს მიეცემოდა სხვა დატვირთვა. ქალთა ეკონომიკური დამოკიდებულება მამაკაცებზე, ხშირად ხელს უშლიდა მათ მნიშვნელოვან მონაწილეობას პოლიტიკურ გადაწყვეტილებებსა და მონაწილეობის აქტიურად მიღებაში საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მათი ფაქტორი გამოირიცხებოდა პოლიტიკურ ცხოვრებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში.

კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყოველგვარი ფორმის აღმოფხვრის შესახებ (მე -7 მუხლის ფარგლებში) პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სახელმწიფოს ავალდებულებს მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალი იყოს უზრუნველყოფილი, თანასწორი პირობებით მიიღოს მონაწილეობა ყველა არჩევნებსა და საზოგადოებრივ რეფერენცუმებში და არჩეულ იქნეს ყველა საჯარო ორგანოებში; მონაწილეობა მიიღოს მთავრობის პოლიტიკის ფორმულირებასა და მის შემდგომ განხორციელებაში; წარმატებული გახდეს საჯარო სამსახურში და შეასრულოს ყველა საჯარო ფუნქცია ყველა არსებულ დონეზე, ასევე მიიღოს მონაწილეობა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ასოციაციების საქმიანობაში, სხვა სახის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

## საარჩევნო ხელს მისვალის უფლება და უფლება იყოს არჩეული

კონვენცია ავალდებულებს სახელმწიფოებს კონსტიტუციებსა ან სხვა შესაბამის კანონმდებლობაში სათანადო ზომები გათვალისწინოს ქალთა მონაწილეობაზე ყველა არჩევნებსა და რეფერენცუმებში, ასევე მათი არჩევა მოხდეს აღნაშნულ ორგანოებში. ამ უფლებებით ისნინ უნდა ისარგებლონ როგორც დე იურე, ასევე დე ფაქტო.

სახელმწიფოების პრაქტიკის ექსპერტიზა მეტყველებს იმაზე, რომ მაშინ, როცა თითქმის ყველა კონსტიტუციური შესაბლებლობით ან სხვა სამართლებრივი დებულებით გათვალისწინებულია ქალებსა და მამაკაცებს თანაბარი უფლება მიენიჭოს მონაწილეობა მიიღონ ყველა არჩევნებსა და საზოგადოებრივ რეფერენცუმებში, ბევრი ქალი განიცდის სირთულეებს ამ უფლების განხორციელებაში.

საჯარო და კერძო სფეროებში ადამიანის საქმიანობა ყოველთვის განიხილება მკაფიოდ და რეგულირდება შესაბამისად. ქალბატონებს ენიჭებათ უპირატესობა და უმთავრესი როლი კერძო ან საყოფაცხოვრებო სფეროში, რეპროდუქციას და ბავშვების აღზრდასთან, მაგრამ მისი როლი არანაკლებად მნიშვნელოვანია საზოგადოებრივ ცხოვრებაში, და ფართო სპექტრის საქმიანობაში ოჯახის, კერძო და საყოფაცხოვრებო სფეროს გარეთ.

კონვენციის შემდგომი პრაქტიკა კიდევ ერთხელ ადასტურებს ქალთა მონაწილეობის მნიშვნელობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის ზოგად რეკომენდაციებში, №23, ქალთა როლი არის შეფასებული შემდეგნაირად (16 სესია, 1997 წელი): “საერთაშორისო საზოგადოება დარწმუნებულია, რომ ქვეყნის სრულყოფილი განვითარება, მსოფლიოს კეთილდღეობა და მშეიფიბა მოითხოვს ქალთა მონაწილეობას თანაბარ პირობებში, მამაკაცებთან ერთად ყველა სფეროში”.

**კომიტეტის ზოგად რეკომენდაციებში ყურადღება გამახვილებულია შემდეგ საკითხზე:**

- საჯაროდ არჩეულ თანამდებობებზე აქტიური ბალანსის უზრუნველყოფა ქალთა და მამაკაცთა შერის;
- ქალებს უნდა ესმოდეთ, რომ საზოგადოებამ იცის მათი სმის უფლების მნიშვნელობის შესახებ და მათთვის უნდა გახდეს ცნობილი თუ როგორ უნდა განახორციელოს ეს;
- თანასწორობის ბარიერების აღმოფხვრა, მათ შორის სიღარიბის და ქალთა გადაადგილების თავისუფლების დაძლევა;
- ქალთა თანაბარი წარმომადგენლობა ხელისუფლების პოლიტიკის ფორმულირებაში;

- პრაქტიკაში, საჯარო სამსახურში, ქალთა თანაბარი უფლებებით სარგებლობა;
- ღიად გასაჩივრების შესაძლებლობის უზრუნველყოფა.
- მოქმედი კანონმდებლობით ქალის დისკრიმინაციის აკრძალვა უნდა იყოს უზრუნველყოფილი;
- არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაერთიანების მხრიდან ხელშეწყობა ქალთა წარმომადგენლობისთვის, რათა ა მონაწილეობა მიიღონ მათ მუშაობაში.



### **ზოგადი ინფორმაცია**

- პარლამენტის წევრად შეიძლება არჩეულ იქნას საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან.
- პარლამენტი შედგება ოთხი წლის ვადით, პროპორციული სისტემით არჩეული 150 და მაჟორიტარული სისტემით არჩეული პარლამენტის 85 წევრისაგან.
- არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულ მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას, რომლის ინიციატივაც დადასტურებულია არანკლებ 50 000 ამომრჩევლის ხელმოწერით, ან რომელსაც ჰყავს წარმომადგენელი პარლამენტში არჩევნების დანიშვნის დროისათვის, მაჟორიტარული სისტემით არჩევნებში - პირს, რომლის წარდგენის ინიციატივა დადასტურებულია 1000 ხელმოწერით მაიც, ან რომელიც ბოლო არჩევნებით იყო პარლამენტის წევრი. (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 50)
- პრეზიდენტად შეიძლება აირჩის საარჩევნო უფლების მქონე დაადგებით საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრის 15 წელი მაიც და არჩევნების დანიშვნის დღეს ცხოვრობს საქართველოში.
- საქართველოს პრეზიდენტი აირჩევა ზელის ვადით. ერთი და ივიზე პირი პრეზიდენტად შეიძლება აირჩის ზედიზედ მხოლოდ ორვერ.
- პრეზიდენტის კანდიდატის დასახელების უფლება აქვს მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას ან საინიციატივო ჯგუფს. კანდიდატის წარდგენა დადასტურებული უნდა იყოს არანაკლებ 50 000 ამომრჩევლის ხელმოწერით. (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 70)

### **საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ:**

- აირჩიონ და არჩეულ იქნენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში (თვითმმართველი ერთეული – დასახლება, თვითმმართველი ქალაქი ან დასახლებათა ერთობლიობა, მუნიციპალიტეტი) საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში დაიკავონ ნებისმიერი თანამდებობა, თუ აქმაყოფილებენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;
- მიიღონ საჯარო ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსგან და თანამდებობის პირებისგან;
- წინასწარ გაცნონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს გადაწყვეტილების პროექტებს; მონაწილეობა მიიღონ მათ განხილვაში; მოითხოვონ გადაწყვეტილებათა პროექტების გამოქვეყნება და საჯარო განხილვა („საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“)

# ქალი და ბიზნესი




სამსახურის თავისუფლად შერჩევა თითოეული ადამიანის უფლებაა. თანამედროვე საზოგადოებაში შესაძლებელია სამსახურის შეთავსება და ერთდროულად რამდენიმე საქმით დაკავება. დღევანდელ დღეს, ქალი წარმატებით ითავსებს სხვადასხვა საქმიანობას ბიზნესსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მთავარია, არ არსებობდეს კანონით გათვალისწინებული საქმიანობის შეთავსების შეზღუდვები (მაგალითად, საჯარო სამსახურში დასაქმების დროს, ეკრანალება კომერციული საქმიანობის განხორციელება). ქალი ალარ არის მხოლოდ დიასახლისი, ის მშვენივრად ართმევს თავს ყველა პროფესიასა და საქმიანობას: ქალი-მენარჩევ, ქალი პოლიტიკისი და ა.შ. მთავარია, საკუთარი შესაძლებლობების სწორად განსაზღვრა.

აღნიშნულ თავში, ჩვენ გვსურს, ვისაუბროთ იმ წესებზე, რომ-ლის საშუალებითაც შესაძლებელია საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაცია მოხდეს. რა თქმა უნდა, აღნიშნული ჩამონათვალით საქმიანობის შესაძლებლობები არ ინურება.

ზოგადად, საქმიანობა, როგორც წესი, ერთმანეთის მიმდევარი მოქმედებებისაგან შედგება, მაგრამ შეიძლება ერთი მოქმედებითაც ამონწურებოდეს.<sup>1</sup> ეკონომიკურ საქმიანობას კოდექსს უწინდებს ისეთ საქმიანობას, რომლის მოტივიც მოგების შემოსავლის ან კომპენსაციის მიღებაა. შემოსავლის ცნება გულისხმობს მოგებასა და კომპენსაციასაც. შესაბამისად, ისეთი საქმიანობები, როგორიცაა ქველმოქმედება, რელიგიური საქმიანობა, დაქირავებით მუშაობა, ფიზიკური პირის მიერ თანხის განთავს-

<sup>1</sup> ზ. როგავა, ლ. ნადარაია, კ. რუხაძე, ბ. ბოლქვაძე. “საქართველოს საგადასახადო კოდექსი” კომენტარი” თბილისი 2012. ნიგბა პირველი, გვ. 120. ხელმისაწვდომია: ჰქუმ: //ნცცლ.გე/ქ/ც/ფილეს/თახ%20ჩოდე%20ჩომენტარიეს%20%281%29.პდფ



ება ბანეში და სხვა, არ განეკუთ-  
ვნება ეკონომიკურ საქმიანობას.<sup>1</sup>

დაქირავებით მუშაობის შემთხ-  
ვევაში, თქვენ გაქვთ დამსაქმებლის  
ან დასაქმებულის სტატუსი, რომელიც  
გენიჭებათ იმ შემთხვევაში, თუ ეს ურ-  
თავრობები რეგულირდება შრომითი  
კანონმდებლობით; ხართ სანარმოს ან ორ-  
განიზაციის ხელმძღვანელი (დირექტორი);  
ან თქვენ ვალდებულებები დაკავშირებულია  
საქართველოს შეიარაღებული ძალებში, სამარ-  
თალდამცავ ან მასთან გათანაბრებულ ორგა-  
ნოებში სამსახურთან.<sup>2</sup>

თუ თქვენ ძიძად ან დამლაგებლად მუშაობთ,  
ან კერძი პედაგოგიურ საქმიანობას ეწევით, მაშინ  
თქვენ თვითდასაქმებული ადამიანი ბრძანდებით.

თქვენ ასევე შეგიძლიათ იყოთ იურიდიული  
პირი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-2  
თავის მიხედვით, იურიდიული პირი არის განსაზღვრუ-  
ლი მიზნის მისაღწევად შექმნილი, საკუთარი ქონების  
მქონე ორგანიზებული ნარმონაქმნი. იურიდიული პირი თავისი ქონებით, დამოუკ-  
იდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს,  
დებს გარიგებებს. ხშირად, ადამიანებს მიაჩინათ, რომ იურიდიული პირი იურიდი-  
ული განათლების მქონე ადამიანია, კანონის მიხედვით კი, იურიდიული პირი არის  
სანარმო, დაწესებულება ან ორგანიზაცია, რომელიც იქმნება სხვადასხვა მიზნით  
და რომლის დაფუძნების უფლება აქვს ნებისმიერ ადამიანს.

იურიდიული პირი კანონის მოთხოვნათა დაცვით უნდა შეიქმნას, იგი შეიძლე-  
ბა სხვადასხვა სახის იყოს. შესაბამისად, თუ გსურთ საკუთარი სანარმოს შექმნა,  
სილამაზის სალონის, ან ქალთა ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის მაღაზის გასხნას  
აპირებთ, ან კბილის ექიმი ბრძანდებით და თქვენი კაბინეტის გასხნა გსურთ, ან გო-  
დათ საგანმანათლებლო დაწესებულების, პანკის, სადაზღვეო კომპანიის დაარსება  
და ა.შ. უნდა დაიცვათ იურიდიული პირის შექმნისთვის კანონით გათვალისწინებული  
ნორმები.

იმ შემთხვევაში, თუ თქვენ დაკავებული ხართ ისეთი ეკონომიკური საქმიანო-  
ბით, რომლის შემოსავალიც არ აღემატება 30 000 ლარს და არ გყავთ დაქირავებული  
ფიზიკური პირები შრომის კანონმდებლობის შესაბამისად, თქვენ უნდა მოგენიჭოთ  
მიკრო ბიზნესის სტატუსი, რომლის დროსაც თქვენ გათავისუფლებული ხართ საშე-  
მოსავლო გადასახადისგან.<sup>3</sup>

ამასთან გაითვალისწინეთ! თუ თქვენი საქმიანობა საჭიროებს ლიცენზიას/ნე-  
ბართვას ან გამოიხატება ნივთების ყიდვა-გაყიდვაში (ვაჭრობაში), ან თქვენ ჩარ-  
თული ხართ საკონსულტაციო, სამედიცინო, სააუდიტო, საადვოკატო საქმიანობაში,  
თქვენ ვერ მიიღებთ მიკრო ბიზნესის სტატუსს,<sup>4</sup> არსებობის შემთხვევაში კი ჩამ-  
ოგერთმევათ.

<sup>1</sup> საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 9.2.

<sup>2</sup> საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 12.

<sup>3</sup> საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 86.

<sup>4</sup> აკრძალული საქმიანობების ჩამონათვალი მოცემულია „სპეციალური დაბეგვრის შესახებ“  
საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის №415 დადგენილებაში (დანართი 2).

ამასთან, თუ თქვენ გამოიყენეთ შრომის კანონმდებლობის საფუძველზე და-ქირავებული ფიზიკური პირი და თქვენი ეკონომიკური საქმიანობით მიღებულმა ერ-თობლივმა შემოსავლმა შეადგინა 100 000 ლარი, ამ დროს შეგიძლიათ მოითხოვოთ მცირე პიზნესის სტატუსი.<sup>1</sup> მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ თუ მიკრო პიზნესის სტატუსი შეიძლებოდა მინიჭებოდა არამენარმე ფიზიკურ პირს, ამისგან განსხვავებით, მცირე ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ იმ ფიზიკურ პირს, რომელიც საგადასახადო კანონმდებლობის<sup>2</sup> მიხედვით მენარმართ.

ამასთანავე, უნდა იცოდეთ, რომ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სამენარმეო საქმიანობა არაერთჯერად საქმიანობაა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით. ამ დროს, თქვენ დამოუკიდებლად და ორგანიზებულად მუშაობთ, მომსახურებას ეწევით და იღებთ შემოსავალს.

,მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის გამარტებით, სამენარმეო საქმიანობად არ ითვლება ფიზიკური პირების სახელოვნებო, სამეცნიერო, სამედიცინო, არქიტექტურული, საადვოკატო ან სანოტარო, საუფიტო, საკონსულტაციო (მათ შორის, საგადასახადო კონსულტაცია), სასოფლო-სამეურნეო ან სატყეო-სამეურნეო საქმიანობა.

მაგრამ, სასოფლო-სამეურნეო და სატყეო-სამეურნეო წარმოება შეიძლება არ-სებობდეს როგორც სამენარმეო სუბიექტი, რეგისტრაცია სავალდებულოა, თუ წარმოებაში მუდმივად დასაქმებულია მფლობელის ოჯახის მინიმუმ არანევრი ხუთი პირი მაინც.

რეგისტრაციამდე, თქვენ უნდა შეარჩიოთ, თუ რა სტატუსით გსურთ დარეგისტრირება.

შემდეგ, მოხდება მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაცია.

,მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მენარმე სუბიექტები არიან:

- ინდივიდუალური მენარმე;
- სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს);
- კომანდიტური საზოგადოება (კს);
- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს);
- სააქციო საზოგადოება (სს, კორპორაცია) და;
- კომპერატივი.

მცირე პიზნესის შექმნის დროს, ყველაზე გავრცელებულია ინდივიდუალური მენარმისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფორმის გამოყენება. მაგალითად, სააქციო საზოგადოების სახით პიზნესის შექმნა შეიძლება ბანკის დაარსების დროს.

ინდივიდუალური მენარმე არ არის იურიდიული პირი. როგორც სუბიექტი, ის წარმოიშობა მხოლოდ მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის შედეგად. ინდივიდუალური მენარმე, თავისი სამენარმეო საქმიანობიდან წარმოიშობილი ვალდებულებებისთვის, პასუხს აგებს პირადად, მთელი თავისი ქონებით. ინდივიდუალური მენარმე, საქმიან ურთიერთობებში, თავისი უფლებებს ახორციელებს და მოვალეობებს ასრულებს, როგორც ფიზიკური პირი. ინდივიდუალურ მენარმეს უფლება-მოვალეობები უჩნდება მხოლოდ რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

1 საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 88.

2 საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 36.

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება და კომპერატივი, არის იურიდიული პირის სტატუსის მქონე საწარმოები.

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება სამენარმეო საქმიანობაში ერთ-ერთი ძევლი და გავრცელებული საქმიანობაა. თუ რამდენიმე პირი ერთობლივად ეწევით სამენარმეო საქმიანობას, შეგიძლიათ დააფუძნოთ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება. ალნინული საზოგადოების დაფუძნებით კრედიტორის წინაშე პასუხს აგებთ სოლიდარულად, მთელი ქონებით.

კომანდიტური საზოგადოება პირთა წევრობაზე დაფუძნებული საზოგადოებაა. კომანდიტური საზოგადოების დაფუძნების დროსაც რამდენიმე პირი ერთად უნდა ეწეოდეს სამენარმეო საქმიანობას, რომელთაგანაც ზოგიერთს შესაძლებელია ქონდეს – სრული, ხოლო სხვებს – შეზღუდული პასუხისმგებლობა.

სააქციო საზოგადოება არის საზოგადოება, სადაც კაპიტალი დაყოფილია წესდებით განსაზღვრულ აქციებად. ამ აქციების კლასისა და ოდენობის მიხედვით განისაზღვრება თქვენი, როგორც აქციონერის პასუხისმგებლობა და ვალდებულებები. ბანკები და დიდი საწარმოები, როგორც წესი, სააქციო საზოგადოების სახით ყალბდებიან. სააქციო საზოგადოების პასუხისმგებლობა შემოიფარგლება საზოგადოების ქონებით და როგორც აქციონერი, სააქციო საზოგადოების ვალდებულებებისათვის პირადი ქონებით პასუხს არ აგებთ.

კომპერატივი შეიქმნა თვითდახმარების მიზნით, ანუ კომპერატივი არის წევრთა ორგანიზაციის ისეთი ფორმა, რომლის ძირითად მიზანს ნარმოადგენს მასში გაერთიანებულ პირთა მოთხოვნილებების დაქმაყოფილება. კომპერატივის არსებობის ძირითადი ამოცანა წევრთა ინტერესების დაქმაყოფილება და აუცილებელი არაა ორიენტირებული იყოს მოგების მიღებაზე.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ის ფორმაა, რომელიც ყველაზე ხშირად გამოიყენება ქართულ რეალობაში. თვით სახელწოდებაც გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ ამ საზოგადოების დაფუძნებისას პასუხისმგებლობა კრედიტორის წინაშე შეზღუდულია საწარმოს ქონებით. ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ არ აგებთ პასუხს პირადი ქონებით, თუკი საქმიანობას ახორციელებთ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფორმით.

## ჩასრულები

სამენარმეო პირის რეგისტრაციამდე, მიმართეთ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და გაარკვიეთ, თუ რა სავალდებულო დოკუმენტების ჩამონათვალია საჭირო ამ დროისთვის დასარეგისტრირებლად. რეგისტრაციის განსახორციელებლად გადასახდელია განსაზღვრული მოსაკრებელი, რაც თქვენ უნდა ჩარიცხოთ სპეციალურად მითითებულ საბანკო ანგარიშზე და განაცხადს დაურთოთ შესაბამისი ქვითარი. ასევე, არსებობს დაჩქარებული სარეგისტრაციო მომსახურება, მაგალითად, რეგისტრაცია საბუთების წარდგნისთანავე, რაზეც გადასახდებული გექნებათ სარეგისტრაციო მოსაკრებელი, მომატებული იდენტით.

კანონი უფლებას განიჭებთ თავისუფლად აარჩიოთ საქმიანობის ფორმები, თუმცა გახსოვდეთ, რომ ძალიან კარგად უნდა გქოდეს გაცნობიერებული პასუხისმგებლობის ფარგლები. სტატისტიკა მეტყველებს იმაზე, რომ ყველაზე ხშირად საქართველოში სამენარმეო საქმიანობა ხორციელდება ინდივიდუალური მენარმის სტატუსით ან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ჩამოყალიბების ფორმით. ამ შეთხვევაში, მნიშვნელოვანია გაითვალისწინოთ, რომ ინდივიდუალურ მენარმედ რეგისტრაციის მარტივი პრო-

ცედურის მიუხედავად, პასუხისმგებლობის ფარგლები გაცილებით მაღალია კრედიტორის წინაშე, ვინაიდან ინდივიდუალური მენარმე პასუხისმგებელია მთელი თავისი, მათ შორის პირადი ქონებითაც. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისგან განსხვავებით, რომლის რეგისტრაცია სხვადასხვა დოკუმენტების წარდგენასთანაა დაკავშირებული და ეს გარკვეულ სიძნელებს ქმნის, მაგრამ პასუხისმგებლობა შეზღუდულია საწარმოს ქონებით და არა პირადი ქონებით.

სარეგისტრაციო განცხადების შესავსებად თქვენ უფლება გაქვთ, გამოიყენოთ სარეგისტრაციო განცხადების სპეციალურ ფორმა.

მენარმეთა და არასამენარმეო იურიდიულ პირთა რეგისტრს აწარმოებს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტო. შესაბამისად, დასარეგისტრირებლად და შემდგომში რეგისტრიდნ ამონანერის მისაღებად, საჯარო რეგისტრის ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურს უნდა მიმართოთ.

## მენარე იურიდიული პირის რეგისტრაციის პირობები

ფიზიკური პირი ინდივიდუალურ მენარმედ რეგისტრაციისათვის საჯარო რეგისტრის ეროვნულ სააგენტოს წარუდგენს განცხადებას და პირადობის დამადასტურებელ მოწმობას. განცხადებაში უნდა მიეთითოს:

- განცხადებლის სახელი;
- ინფორმაცია საწარმოს ადგილსამყოფელის (იურიდიული მისამართის) შესახებ;
- განცხადებლის პირადი ნომერი;
- განცხადების შევსების თარიღი;
- განცხადებლის ხელმოწერა.

თუ თქვენ უცხო ქვეყნის მოქალაქე ხართ, მაშინ საქართველოში ინდივიდუალურ მენარმედ რეგისტრაციისთვის უნდა წარმოადგინოთ ყველა ჩამოთვლილი დოკუმენტი. უცხო ქვეყნის იურიდიული პირის შემთხვევაში, მისი იურიდიულ პირად რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტები დამოწმებული ან ლეგალიზებული უნდა იყოს<sup>1</sup>.

სხვა სახის საწარმოს რეგისტრაციის მოთხოვნის შემთხვევაში, საწარმოს შესაქმნელად, საჭიროა რამდენიმე პარტნიორის ყოლა, ამიტომ თქვენ უნდა წარადგინოთ საწარმოს ყველა პარტნიორის მიერ ხელმოწერილი და სათანადო წესით დამოწმებული სარეგისტრაციო განაცხადი. საწარმოს შექმნისას, ასევე თქვენ უნდა გაითვალისწინოთ თითო პარტნიორის ფინანსური წილი პროცენტულად.

## რას უდეა მოიცავდეს თქვენი განაცხადი?

განაცხადი უნდა მოიცავდეს:

- საწარმოს სახელწოდებას (საფირმო სახელწოდებას);
- საწარმოს სამართლებრივი ფორმა, რაც თქვენს მიერ არის შერჩეული;

<sup>1</sup> უცხო სახელმიწოდებში გაცემული დოკუმენტები, საქართველოში ნამდვილად იქნება ცნობილი, თუ ისინი ლეგალიზებულია ან დამოწმებულია აპოსტილით. საზღვარგარეთ გაცემულ დოკუმენტებზე, აპოსტილის არსებობის შემთხვევაში, აღარ არის საჭირო მათი ლეგალიზება საქართველოს საომსულო დაწესებულებების მიერ. ინფორმაცია ლეგალიზაციის პროცედურის თაობაზე, მოიპოვება შემდეგ საიტზე: [http://www.mfa.gov.ge/index.php?sec\\_id=388&lang\\_id=GEO](http://www.mfa.gov.ge/index.php?sec_id=388&lang_id=GEO).

- 3) საწარმოს იურიდიული მისამართი;
- 4) საწარმოს პარტნიორების სახელი და გვარი, მისამართი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და პირადი ნომერი, ხოლო თუ რომელიმე პარტნიორს სხვა ფირმა აქვს, მაშინ მისა საფირმო სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი, რეგისტრაციის თარიღი, საიდენტიფიკაციო ნომერი და მონაცემები მისა წარმომადგენლების შესახებ;
- 5) საწარმოს ხელმძღვანელის ან ორგანოს დასახელება, ასევე საწარმოში გადაწყვეტილების მიღების წესი;
- 6) საწარმოს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი და პირადი ნომერი;
- 7) თუ საწარმოს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი რამდენიმე პირი ჰყავს, ისინი ერთად წარმოადგენენ საწარმოს თუ ცალ-ცალკე.
- აღნიშნული ინფორმაცია იურიდიული პირის შესახებ უნდა დააწეროს წესდების (იხილეთ წესდების ნიმუში დისკუზი) სახით, სადაც შესაბამისად, ყველა მითითებული პირობა აღინიშნება. ბოლო საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, რეგისტრაციისთვის სავალდებული ხდება სამეცნიერო და არასამეცნიერო იურიდიულ პირთა წესდების, როგორც სავალდებულო დოკუმენტის წარდგენა. წესდება, როგორც ყველა სხვა სარეგისტრაციო დოკუმენტი, ხელმისაწვდომი იქნება ასევე ინტერნეტის საშუალებით.

ასევე, წარსადგენია სხვა დამატებითი ინფორმაცია, საწარმოს კონკრეტული სახეობიდან გამომდინარე.<sup>1</sup>

სარეგისტრაციო განაცხადის სანოტარო წესით დამოწმება სავალდებულო არ არის, თუ თქვენ ყველა დოკუმენტის ხელს მარეგისტრირებელ ორგანოში აწერთ.

თუ დარეგისტრირების შემდგომ, თქვენ გსურთ ცვლილება მოახდინოთ მონაცემებში, მაგალითად მისამართის ან ხელმძღვანელი პირის შეცვლა, ნებისმიერი ცვლილებების რეგისტრაცია სავალდებულოა. როგორც წესი, ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა დაფიქსირდეს ოქმით, სადაც იქნება მიღებული გადაწყვეტილება. მონაცემების ცვლილების რეგისტრაციის ვალდებულება ეკისრება საწარმოს ხელმძღვანელს. ცვლილება ძალაში შედის მხოლოდ სამეცნიერო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ.

თქვენ უფლება გაქვთ, რეესტრში მიუთითოთ სარეგისტრაციო განაცხადის ცვლილების რეგისტრაციაზე უფლებამოსილი სხვა პირი და მისი უფლებამოსილების ფარგლები, მათ შორის – რა უფლებებში იზღუდება ის.

საკვების წარმოების ობიექტებთან, სარეგისტრაციოდ წარდგენილ დოკუმენტაციაში მისი მითითება სავალდებულოა. ასეთი საწარმოს საქმიანობის რეგისტრაციისათვის, დაწესებულია დამატებითი პირობები, რაც განისაზღვრება ცალკე ინსტრუქციით.

ზოგიერთი სახის საქმიანობა და საქმიანობასთან დაკავშირებული ქმედების განხორციელება საჭიროებს ნებართვას ან ლიცენზიას. ლიცენზია თქვენს მიერჩეული საქმიანობის, ხოლო ნებართვა – კონკრეტული ქმედებების განხორციელების უფლებას გაძლევს. მაგალითად, ბავშვთა კვების პროდუქციის წარმოების ლიცენზია, საბანკო საქმიანობის ლიცენზია, დაზღვევის ლიცენზია, მშენებლობის ნებართვა.

აღნიშნულის ამომწურავ ჩამონათვალსა და მიღების წესს, არეგულირებს საქართველოს კანონი “ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ”.

<sup>1</sup> თქვენ შეგიძლიათ, შესაბამისი კონსულტაცია გაიაროთ რეგისტრაციის განხორციელებამდე, როგორც იურისტთან, ასევე საჯარო რეესტრის ეროვნულ საგენტოში კონსულტანტთან ან ინფორმაციის მისაღებად გამოიყენეთ შესაბამისი ვებ-გვერდი - მაგალითად, [http://www.justice.gov.ge/index.php?lang\\_id=geo&sec\\_id=146&info\\_id=1605](http://www.justice.gov.ge/index.php?lang_id=geo&sec_id=146&info_id=1605).

სანარმოს საქმიანობისათვის, თქვენ შეგიძლიათ ისარგებლოთ სანარმოს ბეჭდითა და ბლანკით. ასევე, უნდა გახსნათ საბანკო ანგარში და შეასრულოთ ყველა საგადასახადო დავალება და ვალდებულება თანხებთან მიმართებაში.

თუკი თქვენი საქმიანობის განვითარებისთვის საჭიროა დამატებითი თანხები, შეგიძლიათ სესხი მიიღოთ ბანკიდან. აღნიშნულის სურვილის შემთხვევაში, სასურველია, კონსულტაცია იურისტთან გაიაროთ.

თქვენი საქმიანობის განხორციელებისას, შეგიძლიათ შექმნათ ფილიალი, აგრეთვე მოახდინოთ თქვენი სანარმოს რეორგანიზაცია (გარდაქმნა, შერწყმა, გაყოფა). საქმიანობის გაგრძელების სურვილის არქონის შემთხვევაში, თქვენ შეგიძლიათ გადაცემა სხვა ადამიანზე (მაგ: ნილის გასხვისებით ან ჩუქების გზით).

ყველა მითითებულ შემთხვევაში, შესაბამისი ცვლილება უნდა დააფიქსიროთ სარეგისტრაციის ორგანიზაციის რეგისტრში განაცხადის შეტანის საფუძველზე, რის შემთხვევაში ცვლილება ძალაში შედის.

რეგისტრაცია არის იურიდიული მნიშვნელობის ფაქტებისა და მოვლენების შეტანა სპეციალურ სახელმწიფო რეგისტრში, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამეცნარმეო საქმიანობის დაწყებისა და ფუნქციონირებისთვის. კანონი განასხვავებს იროვნულ სახის რეგისტრაციას – მენარმე სუბიექტის და ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენების რეგისტრაციას. ეს კი იმას ნიშანავს, რომ თუ თქვენ გსურთ ზემოთ ჩამოთვლილი რომელიმე ფორმის სახის სანარმოდ რეგისტრაცია, აუცილებელია სწორად უნდა შეარჩიოთ პარტნიორები, მოამზადოთ წესდება, მოაწეროთ ხელი და დაამოწმოთ ნოტარიულად. სანარმოს წარმოშობისთვის უნდა მოახდინოთ მისი რეგისტრაცია სამეცნარმეო რეგისტრში, რაც თავისთავად დაკავშირებულია გადასახადების გადახდის ვალდებულებასთან. მენარმე სუბიექტი ვალდებულია, იხადოს კანონით დადგენილი გადასახადები. ამასთანავე, არ უნდა დაგავიწყდეთ, რომ გადასახადის ვალდებულება გაქვთ იმ შემთხვევაშიც, როდესაც არ ხართ მენარმე სუბიექტად რეგისტრირებული, მაგრამ ახორციელებთ ეკონომიკურ საქმიანობას, რის შედეგადაც იღებთ გარკვეულ შემოსავალს. თუ ეწევით პედაგოგიურ ან საადვოკატო საქმიანობას, ხართ მიდა ან დამლაგებელი, მხატვარი, გაქვთ საკუთარი სტომატოლოგიური კაბინეტი და სხვ. შესაბამისად, თუკი თქვენი საქმიანობიდან გამომდინარე იღებთ შემოსავალს, ვალდებული ხართ მოახდინოთ შესაბამის ორგანოში რეგისტრაცია და გადაიხადოთ შესაბამისი გადასახადი.

## განხსნალეთ!

საქმიანობის განხორციელება ლიცენზიის ან ნებართვის გარეშე დასჯადია. თუკი თქვენ არ დაიცავთ აღნიშნულ მოთხოვნას, თქვენ ან დაჯარიმდებით, ან თქვენს მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნას სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სასჯელი, – მაგალითად, თავისუფლების აღკვეთა, თანამდებობის დაკავებისა ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა და ა.შ.

## საგადასახადო ვალიულებები, გადასახადის გადახდის წასი

### რა არის გადასახადი?

საგადასახადო კოდექსის მიხედვით, გადასახადი არის კერძო პირების, დაწესებულებისა და კომერციული საწარმოების მიერ სავალდებულო, უპირობო, ფულადი შენატანი ბიუჯეტში<sup>1</sup> სახელმწიფო ხარჯების დასაფინანსებლად. გადასახადის ორი სახე არსებობს: საერთო სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი. საერთო-სახელმწიფოებრივი იხდევინება სახელმწიფო ბიუჯეტში, ხოლო ადგილობრივი გადასახადები – ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოს ბიუჯეტში.

### გადასახადის გადამხდელად აღრიცხვა

გადასახადის გადამხდელად აღრიცხვა მოიცავს გადასახადის გადამხდელისათვის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭებასა და რეგისტრირებული მონაცემების ერთიან ბაზაში (საგადასახადო აღრიცხვის ერთიან ბაზაში) შეტანას<sup>2</sup>.

საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელად აღრიცხვას ექვემდებარება:

- საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი; უცხო ქვეყნის მოქალაქე ფიზიკური;
- გაერთიანება;
- ამსანაგობა;
- საჯარო სამართლის იურიდიული პირი;
- საბიუჯეტო ორგანიზაცია;
- უცხოური საწარმო/ორგანიზაცია;
- პილიტიკური პარტია (ორგანიზაცია);
- დიპლომატიური სტატუსის მქონე ორგანიზაცია.

საწარმოს/ორგანიზაციის, მეწარმე სუბიექტისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საგადასახადო აღრიცხვა ხორციელდება იურიდიული მისამართის (ადგილსამყოფლის) მიხედვით, ხოლო ფიზიკური პირის — მისი საცხოვრებელი/საქმიანობის ადგილის მიხედვით.

#### გადასახადის სახეები:

საერთო სახელმწიფოებრივ გადასახადებს მიეკუთვნება: საშემოსავლო გადასახდი; მოგების გადასახადი; დამატებითი ღირებულების გადასახადი; აქციზი და იმპორტის გადასახდი. ადგილობრივი გადასახადის სახე კი, გახლავთ ქონების გადასახდი.

საშემოსავლო გადასახადით იქევრება ნებისმიერი ფორმით ან საქმიანობით მიღებული შემოსავლი: ხელფასის სახით მიღებული შემოსავლები; ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები და შემოსავლები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან. საგადასახადო კოდექსის 81-ე მუხლის მიხედვით, თქვენი შემოსავლები საშემოსავლო გადასახადის სახით 20 პროცენტით

<sup>1</sup> საქართველოს საგადასახადო კოდექსი. მუხლი 6.

<sup>2</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №996 “გადასახდების ადმინისტრირების შესახებ”.

იბეგრება. ეკონომიკურ საქმიანობად კი, მიიჩნევა ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მისაღებად. საქველმოქმედო და რელიგიური საქმიანობა, ისევე, როგორც სამთავრობო ორგანოების საქმიანობა, არ ჩაითვლება ეკონომიკურ საქმიანობად.

**მოგების გადასახადით** იბეგრება საქართველოსა და უცხოური საწარმოს მიერ მიღებული მოგება. ფილიალები დამრეკიდებლად მოგების გადასახადს არ იხდიან და თავიანთი მოგება შეაქვთ ორგანიზაციის ძირითად მოგებაში. საწარმო მოგების გადასახადით იბეგრება იმ მოგების მიხედვით, რომელიც განისაზღვრება როგორც სხვაობა გადასახადის გადამხდელის ერთობლივ შემოსავალსა და ნებადართული დაქვითვების თანხებს შორის.

მოგების გადასახადით დასაბეგრი მოგება იბეგრება 15 პროცენტით. თუმცა „ნავთობისა და გაზის შესახებ“<sup>1</sup> საქართველოს კანონით განსაზღვრული ოპერაციებით მიღებული მოგება იბეგრება 10 პროცენტიანი განაკვეთით, თუ ეს ხელშეკრულება დადებულია 1998 წლის 1 იანვრამდე.

## საშემოსავლო და მოჩების გადასახადის გადახდის ვალები

საწარმოები და მეწარმე ფიზიკური პირები, რომლებიც ახორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას, ვალდებული არიან მიმდინარე გადასახადების თანხები ბიუჯეტში შეიტანონ გასული საგადასახადო წლის ნლიური გადასახადის მიხედვით შემდეგი ოდენობით და არაუგვაანეს:

25 მაისამდე – 25 %;

15 ივლისამდე – 25 %;

15 სექტემბრამდე – 25 %;

15 დეკემბრამდე – 25 %.

მიმდინარე გადასახადს არ გადაიხდით, თუკი გასული საგადასახადო წლის განმავლობაში არ გქონდათ დასაბეგრი შემოსავალი. ასევე უფლება გაქვთ შეამციროთ ან საერთოდ არ გადაიხადოთ გადასახადი იმ შემთხვევაში, თუ მიმდინარე საგადასახადო წლის დასაბეგრი მოგება არანაკლებ 50 %-ით მცირდება გასულ საგადასახადო წელთან შედარებით<sup>1</sup>. გადასახადის გადამხდელები ვალდებული არიან დეკლარაცია წარადგინონ საანგარიშო წლის 1 პრიოლამდე.

დამატებითი ლირებულების გადასახადი არის გადასახადი საქონლის, სამუშაოს და მომსახურების მოხმარებაზე. დღგ გადასახადით, ასევე, ქვეყნის შეგნით შესრულებულ სამუშაოსა და განეულ მომსახურებაზე ასევე ინერგება განსაზღვრული საქონლის, სამუშაოს და მომსახურების იმპორტი. ეს გადასახადი გადაიხდევინება საქონლის წარმოებისა და მიწოდების ყველა ეტაპზე. პირები, რომელთა ნლიური დასაბეგრი ბრუნვა ალემატება 100 000 ლარს, ვალდებული არიან გაიარონ დღგ-ს გადამზღვდად რეგისტრაცია საგადასახადო ორგანოებში, ამ მომენტის დადგომიდან არაუგვაანეს 2 სამუშაო დღისა<sup>2</sup>. დღგ-ს გადახდისათვის რეგისტრაციის მიზნით, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია მიმართოს შესაბამის საგადასახადო ორგანოს და დარეგისტრირდეს. გადასახადის გადახდისაგან თავის არიდება იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ისჯება კანონით.

<sup>1</sup> საგადასახადო კოდექსის მუხლი 155.

<sup>2</sup> საგადასახადო კოდექსი მუხლი 157.

## დღგ-ს გადახლის განაკვეთი და ვალები

დღგ-ს განაკვეთი შეადგენს დასაბეგრი ბრუნვის ან საქონლის იმპორტის 18 %. დღგ-ს გადახდა ხდება ყოველი კვარტალური თვის მიხედვით. დღგ-ს გადახდა, ისევე როგორც დღგ-ს დეკლარაციის წარდგენა, სავალ-დებულო საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვისათვის.

აქციზი არის არაპირდაპირი გადასახადი, მასობრივი მოხმარების განსაზღვრულ საქონ-ელზე, რომელიც ინარმოება ან რომლის იმპორტიც ხდება საქართველოში. აქციზი შეტანილია საქონ-ლის ფასში. აქციზური გადასახადის გადამხდელია ყველა იურიდიული და ფიზიკური პირი, რომელიც ყველა იურიდიული და ფიზიკური პირი, რომელიც ანარმოებს აქციზურ საქონელს საქართველოს ტერიტორიაზე, ან ვინც ეწევა საქონლის იმპორტს. ძირითადად აქციზით იბეგრება ფუფუნებისა და მავნე საქონელი. მაგალითისათვის: ღვინო, ლუდი, სპირტიანი სასმელება, თამბაქოს ნანარმი, მსუბუქი ავტომობილები და საბურავები; ზღვის პროდუქტები; ბუნებრივი გაზი, ნავთობთობპროდუქტები.

## აკციზური გადასახალის გადახლის ვალა და განაკვეთები

აქციზის გადასახადი იანგარიშება აქციზური საქონლის რაოდენობის ან ღირებულების მიხედვით საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული განაკვეთის შესაბამისად<sup>1</sup>. აქციზის გადახდის საანგარიშო პერიოდია კვარტალი და გადახდას ექვემდებარება დასაბეგრი ოპერაციის განხორციელებიდან არაუგვიანეს თვის 15 რიცხვისათვის.

იმპორტის გადასახადს იხდის პირი, რომელიც საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე გადაადგილებს საქონელს, გარდა ექსპორტისა. იმპორტის გადასახდის გადახდის განაკვეთები, მათი გადახდის ვადები და წესი სხვადასხვა პროდუქტებისათვის დადგენილი განსხვავებულად და რეგულირდება საგადასახადო კოდექსის 195-199-ე მუხლებთ.

ადგილობრივი გადასახადის სახეა ქონების გადასახადი. ადგილობრივი გადასახადები შემოღებულია თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ ზღვრული განაკვეთის ფარგლებში და მათი გადახდა სავალდებულოა შესაბამისი სუბიექტის მიერ. ქონების გადასახადით იბეგრება: სანარმოებისათვის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებები, დაუმონტაჟებელი მოწყობილობები, დაუმტავრებელი კაპიტალური დაბანდებები, არამატერიალური აქტივები, მიწა. ორგანიზაციებისათვის ბალანსზე რიცხული ქონება ან ქონების ნაწილი, რომელიც გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის, მინა; ფიზიკური პირებისათვის როგორც პირადი, ასევე ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული უძრავი ქონება, საქართველოში რეგისტრირებული ავტომობილები, შვეულმფრენები, თვითმფრინავები, მიწა.

აკციზი არის არაპირდაპირი

 გადასახადი, მასობრივი მოხმარების ბის განსაზღვრულ საქონელზე, რომელიც ინარმოება ან რომლის იმპორტიც ხდება საქართველოში.

<sup>1</sup> საგადასახადო კოდექსი მუხლი 188.

## ქონების გადასახადის განვაკვეთები და გადახლის ვალები

ქონების გადასახადის განვაკვეთები და მათი გადახლის ვალები განსხვავებულია ქონების სახეობების მიხედვით და გათვალისწინებულია საგადასახადო კოდექსის 202-205-ე მუხლებით.

**გახსოვდეთ!** გადასახადის გადახდა არის თქვენი კანონით გათვალისწინებული ვალდებულება, მისი გადაუხდელობა ინვენტარისტულ პასუხისმგებლობას, საურავის დაკისრებას, ხოლო გადასახადების გადახდისაგან ბოროტად თავის არიდების გამო, შესაძლებელია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დადგომაც.

საგადასახადო კოდექსის 272-ე მუხლით საურავი განმარტებულია, როგორც გადასახადის გადაუხდელობის გამო დაკისრებული ფულადი სანქცია იმ პირთათვის, ვისაც კანონით გადასახადის გადახდა ევალებოდა. საურავი შეადგენს ყოველი ვადა-გადაცილებული დღისათვის 0,07 პროცენტს.

საგადასახადო კოდექსის 273-ე მუხლის მიხედვით, გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის წესის დარღვევა, ინვენტარიმებას 500 ლარის ოდენობით. დეკლარაციის წარდგენის ვადის დარღვევის გამო, პირი ჯარიმდება დეკლარაციის საფუძველზე დასარიცხო გადასახადის თანხის 5 პროცენტის ოდენობით ყოველ დაგვიანებულ სრულ/არასრულ თვეზე. ჯარიმის ჯამური თანხა კი, არ უნდა იყოს 200 ლარზე ნაკლები.

სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლის თანახმად, დიდი ოდენობით (50 000 ლარზე ზევით) გადასახადისათვის თავის არიდება ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღვეთით ვადით 3 წლამდე. ხოლო განსაკუთრებით დიდი ოდენობის გადასახადისათვის (თუ თანხა 100 000 ლარს აღემატება), ასევე, არაერთგზის, ნინასწარი შეთახმებით გადასახადის გადახდისაგან თავის არიდება ისჯება თავისუფლების აღვეთით ვადით 5-დან 8 წლამდე.

მნიშვნელოვანია, განსაკუთრებული ყურადღება მიეკცეს საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენების წესების დაცვას.<sup>1</sup>

საკონტროლო სალარო აპარატი განკუთხილია მომმარებლებთან ნალით ფულით ანგარიშსწორებისას მიწოდებული საქონლის (მომსახურების) რეგისტრაციისათვეს და შესაბამისი მონაცემების აღრიცხვისათვის.

შესაბამისად, თუ თქვენ ახორციელებთ ეკონომიკურ საქმიანობას მომმარებლისათვის მომსახურების/საქონლის მიწოდებისას, თქვენ ვალდებული ხართ იყენებდეთ საკონტროლო-სალარო აპარატს (კოდექსის 259-ე მუხლის მეოთხე ნაწილი დეტალურად უთითებს საგადასახადო საკონტროლო სალარო აპარატის გამოყენებისაგან გათავისუფლებულ პირებს), რომლის ამოცანაა ქაღალდზე (სალარო ჩეკზე) დააფიქსიროს ყიდვა-გაყიდვის გარიგება, მასზე აუცილებლად უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი რეკვიზიტები.

### გახსოვდეთ!

მომმარებელთან ნალით ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო სალარო აპარატის გარეშე მეტაობა ინვენტარიმებას 500 ლარის ოდენობით.

მომმარებელთან ნალით ფულით ანგარიშსწორებისას, საკონტროლო-სალარო აპარატის გამოუყენებულობა ინვენტარიმებას 500 ლარის ოდენობით.

ჩეკში ფაქტორივად გადახდილზე ნაკლები თანხის ჩეკნება ინვენტარისაგან გადახდელის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

1 საგადასახადო კოდექსი, მუხლი 259

საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ პირს უფლება აქვთ სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე განახორციელოს საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესების დაცვის კონტროლი, რაც ხორციელდება გადასახადის გადამხდელისათვის წინასწარი შეტყობინების გარეშე დარღვევების აღმოჩენის მიზნით. კონტროლის განხორციელებისას დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს კონტროლის განმახორციელებელი უფლებამოსილი პირი და გადასახადის გადამხდელი.

## გადასახადის გადამხდელის სამართლებრივი დასვა

მნიშვნელოვანია ალინიშნის, რომ თქვენ, როგორც გადასახადის გადამხდელს გაქვთ არა მარტო ვალდებულებები, არამედ უფლებებიც, რომელთა განხორციელება და დაცვა თქვენსავე ისტერესებში შედის.

საგადასახადო კოდექსის მიხედვით, თქვენ, როგორც გადასახადის გადამხდელს, უფლება გაქვთ: საგადასახადო ორგანოებისაგან მიიღოთ ინფორმაცია როგორც საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გამოყენების, ასევე თქვენი უფლებების დაცვის შესახებ<sup>1</sup>. ეს უფლება უზრუნველყოფილია საგადასახადო ორგანოების ვალდებულებით.

აგრეთვე, თქვენ უფლება გაქვთ, კანონით დადგენილი წესით გაეცნოთ თქვენს შესახებ საგადასახადო ორგანოებში არსებულ ინფორმაციას, რომელიც მიეკუთვნება საგადასახადო საიდუმლოებას, შესაბამისად, თქვენი წერილობითი ნებართვის გარეშე დაუშვებელია მისი მესამე პირისათვის გადაცემა<sup>2</sup>. ასევე, თქვენი უფლებაა, პირადად ანდა კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით გქონდეთ ურთიერთობა საგადასახადო ორგანოსთან, წარმოადგინოთ საკუთარი ინტერესები საგადასახადო ორგანოში, კანონით დადგენილი წესით გაასაჩივროთ თქვენთვის წარდგნილი საგადასახადო მოთხოვნა, მისი უფლებამოსილი პირის სხვა გადაწყვეტილებები და ქმედებები; დასწროვ თქვენს მიმართ ჩატარებულ გასვლით საგადასახადო შემოჩებას, წარადგინოთ საკუთარი ახსნა-განარტებები და სხვა.

საერთო წესის შესაბამისად, საგადასახადო კონტროლს გადასახადის გადამხდელის მიერ გადასახადების გამოანგარიშების სისწორესა და დროულად გადახდაზე, ისევე როგორც გადასახადების ადმინისტრირებასა და მოკრების ყველა ასპექტზე, ახორციელებს მხოლოდ საგადასახადო ორგანო. სხვა მაკონტროლებელ და სამართალდამცავ ორგანოებს ეკრალებათ პირის საქმიანობის საგადასახადო კონტროლის განხორციელება, ამიტომ თქვენ, როგორც გადასახადის გადამხდელს, უფლება გაქვთ, სხვა მაკონტროლებელ ორგანოებს, გარდა საგადასახადო ორგანოებისა, არ წარუდგინოს დოკუმენტები<sup>3</sup>, რომლებიც დაკავშირებულია გადასახადებით დაბეგვრის ობიექტების განსაზღვრასთან, გადასახადების გამოანგარიშებასთან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საგადასახადო კოდექსით ასეთი უფლებამოსილება გადაცემულია სხვა ორგანოებზე.

1 მუხლი 38.

2 მუხლი 39.

3 ზ. როგავა, ლ. ნადარია, კ. რუხაძე, ბ. ბოლქვაძე. „საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარი“ თბილისი 2012. წიგნი პირველი, გვ. 281. ხელმისაწვდომია: <http://nccl.ge/m/u/cf/files/Tax%20Code%20Commentaries%20%2821%29.pdf>

- ამასთან, **საყურადღებოა ორი უმნიშვნელოვანესი უფლება**<sup>1</sup>:
1. საქართველოს საგადასახადო კონონმდებლობით დადგენილი საფუძვლებითა და წესით ისარგებლოთ საგადასახადო შეღავათებით (მათ შორის გათავისუფლდეთ გადასახადებისაგან).
2. კანონმდებლობით დადგენილ ვადაში დაიბრუნოთ ან/და მომავალი გადასახადების ვალდებულებათა ანგარიშში ჩაითვალოს ზედმეტად გადახდილი გადასახადის ა/და სანქციის თანხა.

## გადასახადის გადამხდელისათვის ინფორმაციის მიწოდება

საგადასახადო ორგანოს აკისრია ვალდებულება, ყველა ის ინფორმაცია, რომელიც იწვევს გადასახადის გადამხდელისათვის სამართლებრივ შედეგებს, მიეროდოს მას წერილობითი ან ელექტრონული ფორმით.<sup>2</sup> გასაგზავნი შეტყობინების შექმნა ჯერ კიდევ არ ნიშნავს მის გაგზავნასა და ჩაპარებას.

კოდექსში გვხვდება ისეთი შემთხვევაც, როდესაც კანონი უთითებს ზეპირ ფორმაზე. მაგალითად, შესაძლოა დავის განმხილველმა ორგანომ ზეპირი ფორმით გადასცეს მომჩინენის ინფორმაცია საჩივრის განხილვის დროისა და ადგილის შესახებ.

## საგადასახადო დავები და სასამართლო პრაქტიკა

საგადასახადო კოდექსი გადასახადის გადამხდელს, საგადასახადო აგენტსა და სხვა ვალდებულ პირს საშუალებას აძლევს დაიცვას თავისი უფლებები და კანონიერი ინტერესები ადმინისტრაციული და სასამართლო წესით.<sup>3</sup>

ადმინისტრაციული წესით დავის განმხილველ ორგანოებს მიეკუთვნება:

- საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭო.

სასამართლოში საგადასახადო დავის წარმოების წესი განისაზღვრება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო და საგადასახადო კოდექსით, რომლის მიხედვითაც პირს შესაძლებლობა აქვს საგადასახადო დავის ნებისმიერ ეტაპზე მიმართოს სასამართლოს<sup>4</sup>, ისე რომ არ გამოიყენოს ზემდგომ ორგანოსთან საჩივრის წარდგენის უფლება<sup>5</sup>.

საქართველოში არსებული სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საგადასახადო დავების მნიშვნელოვანი ნაწილი შეეხება საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესებს.

<sup>1</sup> მუხლი 40

<sup>2</sup> მუხლი 45

<sup>3</sup> მუხლი 296

<sup>4</sup> საგადასახადო კოდექსის მ. 296 (3).

<sup>5</sup> ზოგადი წესის მიხედვით, რომელსაც ადგენს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მუხლი 2(5), პირი ვალდებულია გამოიყენოს ზემდგომ ორგანოსთან საჩივრის ერთჯერადად წარდგენის ვალდებულება და მხოლოდ ამის შემდეგ მიმართოს სასამართლოს. საგადასახადო დავები აღნიშნული წესიდან გამონაკლის წარმოადგენენ.

მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ თავისი გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა გარემოგაჭრის სარჩელი<sup>1</sup>, რომლითაც ის ითხოვდა მის მიმართ საკონტროლო აგენტის მიერ საგადასახადო სამართლდარღვევის ოქმის ბათოლობას, რომლის საფუძველზეც მას დაეკისრა 500 ლარი ჯარიმა. სასამართლომ მიუთითა, რომ იმ დროისათვის, მოუხდავად იმისა, რომ მოვაჭრე ეწეოდა ეკონომიკურ საქმიანობას და იყო რეგისტრირებული ინდივიდუალურ მენარმედ, ის არ იყენებდა დაქირავებულ შრომას და ამიტომ, მასზე ვრცელდებოდა საშეღავთო პირობები საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309 მუხლის მე-15 ნაწილის შესაბამისად, რომელიც უთითებს, რომ 2012 წლის 1 ივლისამდე, საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენებისაგან თავისუფლდებიან ფიზიკური პირები, რომელიც არ იყენებს დაქირავებულ შრომას და ეწევიან ეკონომიკურ საქმიანობას ბაზრის ტერიტორიაზე განლაგებული არასტაციონალური საგაჭრო ადგილიდან.

საინტერესოა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გადამხდელის მიერ მიკრო ბიზნესის სტატუსის დაკარგვისათვის დაკავშირებით<sup>2</sup>. აღნიშნულ საქმეში, მოსარჩელე ინდივიდუალური მენარმე გახლდათ სტილისტი, რომელიც მუშაობდა სალონში, საკონტროლო შესყიდვის შედეგად მისგან შეიძინეს 10 ლარის ღირებულების თმის მოვლის საშუალება. გამომდინარე იქიდან, რომ მოსარჩელეს მინიჭებული ჰქონდა მიკრო ბიზნესის სტატუსი, საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად მას ეკრძალება ვაჭრობა. აღნიშნული წესის დარღვევა კი ინვენის მიკრო ბიზნესისათვის წაყენებული მოთხოვნების არშესრულებას, რაც ამ სტატუსის გაუქმების საფუძველია. ვაჭრობის თუნდაც ერთჯერადი ფაქტი საქმარისია იმისათვის, რომ მენარმეს შეუტერდეს მიკრო ბიზნესის სტატუსი და დაეკისროს ჯარიმა. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ შედგენილი სამართლადარღვევის აქტი არის კანონიერი, ამიტომ მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა.

ზემოთ აღნიშნული საკითხებისა და სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა კიდევ ერთხელ უსვამს ხახს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ყველა წესისა და პროცედურის სრული დაცვით იქნას წარმართული თქვენი წებისმიერი საქმიანობა

## გახსოვდეთ!

ქალის როლი ბიზნესსაქმიანობასა და საზოგადოებრივ ურთიერთობებში საკმაოდ დიდა. თქვენი საქმიანობის, უფლებებისა და მოვალეობების კარგად გაცნობიერებისათვის უნდა იცნობდეთ სამართლებრივ ნორმებს, რისი დაცვაც აუცილებელია აღნიშნული საქმიანობის განსახორციელებლად.

სამენარმეო და არასამენარმეო საქმიანობის წესების დარღვევა პასუხისმგებლობას იწვევს. ამიტომ საჭიროა, კანონით განსაზღვრული ყველა წესებისა და პროცედურების დაცვა.

ჩვენი რჩევა იქნება, ნებისმიერი პროცედურის დაწყებამდე, ყოველთვის გაიაროთ კონსულტაცია როგორც იურისტთან, ასევე შესაბამის ორგანოში, რისი მეშვეობით მოხდება თქვენი საქმიანობის დარეგისტრირება, შემდგომი მუშაობა და ფუნქციონირება.

<sup>1</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილება. საქმე №3/9677-2011

<sup>2</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილება. საქმე № 3/3480-12

მთავარია, თქვენი საქმიანობის დაწყებამდე, მკაფიოდ განსაზღვროთ საქმიანობის სახე და ფორმა, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანია შემდგომი ქმედებების კუთხით და პასუხისმგებლობის გაცნობიერებისთვის.

არასამეწარმეო (არაკომერციული) ორიდიული პირები ძირითადად თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ შემონირულობებითა და გრანტებით. შესაბამისად, შემონირულობის სახით მიღებულ თანხებს ან დონორისაგან დაფინანსებულ გრანტებს ყოველთვის აქვს კონკრეტული მიზანი. შესაბამისად, თქვენს მიერ განხორციელებული საქმიანობა ზუსტად უნდა პასუხობდეს ორგანიზაციის არსებობის მიზანს და დახარჯული თანხები უნდა ემსახურებოდეს აღნიშნული მიზნის მიღწევას.

## ქალთა საერთაშორისო და თანამედროვე სოციალური მდგრადარიობა

ქალთა პრობლემები ინტერნაციონალური ხასიათისაა და გამოიხატება ყოველი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების დონით. პრობლემების რეალიზაცია მოითხოვს არა მხოლოდ ახალ მიდგომას ქალის მიმართ, არამედ სახელმწიფოსა და კანონების მხარდაჭერასაც.

მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს მინიჭებული საერთაშორისო საკანონმდებლო აქტებსა და ეროვნული კანონმდებლობისა და რეალურად მოქმედი მექანიზმების შემუშავებას. საქართველო 1994 წლის 22 სექტემბერს შეუერთდა კონვენციას ქალთა დისკრიმინაციის ყოველგვარი ფორმის აღმოფხვრის შესახებ, რითაც მან ვალდებულება აიღო, რომ მიღებს ყველა საჭირო ზომას ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, სახელდობრ, ქალებისათვის მამაკაცებთან თანაბარ პირობებში უზრუნველყოფს არჩევნებსა და საჯარო რეეგულინგუში ხმის მიცემის უფლებას, საჯაროდ არჩეულ ორგანოებში კანდიდატურის წამოყენების შესაძლებლობას და მონაწილეობას მთავრობის პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში. ასევე, იმის შესაძლებლობას, რომ დაიკავონ სახელმწიფო პოსტები და შესარულონ ყველა სახელმწიფოებრივი ფუნქცია ნებისმიერ სამთავრობო დონეზე, მონაწილეობა მიღონ სახელმწიფო ორგანიზაციებისა და ასოციაციების საქმიანობაში, რომელიც დაინტერესებულნი არიან ქვეყნის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების პრობლემით.

## ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა და საერთო თანასორიობა

სქესთა თანასწორობის პრობლემა და ქალთა უფლებამოსილების გაზრდა პოლიტიკაში მონაწილეობისას მთელი მსოფლიოს მასშტაბით განიხილება.

არჩევნების საყოველთაობა და თანასწორობა გამომდინარეობს კონსტიტუციის 28-ე მუხლიდან და კონკრეტიზებულია პარლამენტისა და პრეზიდენტის არჩევნების პრინციპებით. საარჩევნო სუბიექტების თანასწორობა არჩევნებში მონაწილეობის, საარჩევნო კამპანიის წარმართვისა და მანდატების გადანაწილების პროცესში გამომდინარეობს სწორედ თანასწორობის უფლებიდან, რომელიც განმტკიცებულია კონსტიტუციის მე-14 და 28-ე მუხლებით. ასევე გამომდინარეობს თანასწორობის ზოგადი პრინციპებიდან.

საარჩევნო სფეროში ნებისმიერი შეზღუდვა მოითხოვს განსაკუთრებულ დასა-

ბუთებას. გენდერული ბალანსის დაცვისა და პოლიტიკის ქალთა რაოდენობის გაზრდის ინიცირებით საქართველოს მთავრობას საერთაშორისო ორგანიზაციებმაც არაერთხელ მიმართეს. 2011 წლის დეკემბერში კი საქართველოს პარლამენტმა “მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანების შესახებ” კანონში (მუხლი 30, პუნქტი 7.1) ცვლილებები შეიტანა, რომლის თანახმადაც, “საარჩევნო სუბიექტი, რომელიც იღებს დაფინანსებას ამ მუხლით დადგენილი წესით, მიიღებს დაფინანსებაზე დანამატს 10%-ის ოდენობით, თუ მის მიერ წარდგნილ პარტიულ სიაში (ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე – ყველა პარტიულ სიაში) ყოველ 10 კანდიდატს შორის განსხვავებული სქესი წარმოდგენილია სულ მცირე 20 %-ით.”

დღევანდელ პარლამენტში 150 დეპუტატიდან 9 ქალბატონია, რაც საერთო რაოდენობის 6 პროცენტს შეადგენს.

### როგორ ვითარდება სამოქალაქო საზოგადოება თუკი დღემდე გენდერული უთანასწორობის პრობლემა წარმოდგენილი?

ქალთა ატიური მონაწილეობა სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისათვის უმიშვნელოვანესია. დღესდღეობით, ქალებს გააჩნიათ შესაძლებლობა თავი დაიმკვიდრონ და მნიშვნელოვანი უფლებები გააჩნდეთ სამოქალაქო საზოგადოებაში ცვლილებების განსახორციელებლად.

სამწუხარიდ, ქალი პოლიტიკური ჯერ კიდევ მცირედ არის წარმოდგენილი, მაშინ როდესაც ქალის მონაწილეობა პოლიტიკაში მნიშვნელოვანია ქალის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და გენდერული პრობლემის აღმოსაფხვრელად.

ქალს უნდა გააჩნდეს რეალური შესაძლებლობა, სტიმული, რათა გადალახოს საკუთარ თავში შიში, ფსიქოლოგიური ბარიერი, რათა იგრძნოს სრულყოფილად საკუთარ შესაძლებლობა, რათა გახდეს თავდაჯერებული იმში, რომ მისი ხმა პოლიტიკურ სისტემაში შესაძლოა მნიშვნელოვანი ცვლილებების მომტანი გახდეს იმ გარემოსთვის, სადაც მრავალი ხელისშემსრული ფაქტორია, როგორიცაა: გენდერული უთანასწორობა თუ სხვადასხვა სტერეოტიპები.

ქალებს, ოჯახში ტრადიციულად დამკვიდრებული როლი ზოგიერთ სირთულეს უქმნის თავი დაამკვიდრონ სხვა სფეროებში. არსებული სტერეოტიპები ქალთა შესახებ ისეთ საკითხებს უკავშირდებოდა, რაც გამორიცხავდა მათ პასუხისმგებლობას საფინანსო, საბიუჯეტო კონტროლის, სახელმწიფო მართვისა და კონფლიქტის მოგვარების პროცესში. ყველა ერში კულტურული ტრადიციებით ქალს მიეცემოდა სხვა დატვირთვა. ქალთა ეკონომიკური დამოკიდებულება მამაკაცებზე ხშირად ხელს უშლიდა მათ მნიშვნელოვან მონაწილეობას პოლიტიკურ გადაწყვეტილებებსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ისინა გამოირიცხებოდნენ პოლიტიკურ ცხოვრებაში და გადაწყვეტილების მიღების პროცესებიდან.

კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყოველგვარი ფორმის აღმოფხვრის შესახებ (მე -7 მუხლის ფარგლებში) პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სახელმწიფოს ავლენებულებს მიიღოს შესაბამისი ზომები, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრაში. ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალი უზრუნველყოფილი უნდა იყოს თანასწორი პირობებით მიიღოს მონაწილეობა ყველა არჩევნებსა და საზოგადოებრივ რეფერენდუმებში და არჩეულ იქნას ყველა საჯარო ორგანოში; მონაწილეობა მიიღოს მთავრობის პოლიტიკის ფორმულირებასა და მის შემდგომ განხორციელებაში; წარმატებული გახდეს საჯარო სამსახურში და შესარულოს ყველა საჯარო ფუნქცია ყველა არსებულ დონეზე, ასევე მიიღოს მონაწილეობა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ასოციაციების საქმიანობაში, სხვა სახის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

## საარჩევნო ხილი მიზანის უფლება და უფლება იყოს არჩეული

კონკრეტია ავალდებულებს სახელმწიფოებს კონსტიტუციით ან სხვა შესაბამისი კანონმდებლობით სათანადო ზომები მიღლონ ქალთა მონაწილეობაზე ყველა არჩევნებსა და რეფერენდუმში, ასევე მათი არჩევა მოხდეს აღნიშნულ ორგანოებში. ამ უფლებებით ისინი უნდა სარგებლობდნენ როგორც დე იურედ, ასევე დე ფაქტოდ.

სახელმწიფოების პრაქტიკის ექსპერტიზა მეტყველებს იმაზე, რომ მაშინ, როცა თითქმის ყველა კონსტიტუციური შესაძლებლობა ან სხვა სამართლებრივი დებულება ითვალისწინებს ქალებსა და მამაკაცებს თანაბარი უფლება მიანიჭოს მონაწილეობა მიღლონ ყველა არჩევნებსა და საზოგადოებრივ რეფერენდუმებში, ბევრი ქალი სირთულეებს განიცდის ამ უფლების განხორციელებაში.

საჯარო და კერძო სფეროებში ადამიანის საქმიანობა ყოველთვის განიხილება მკაფიოდ და რეგულირდება შესაბამისად. ქალბატონებს ენიჭება უპირატესობა და უმთავრესი როლი კერძო ან საყოფაცხოვრებო სფეროში, რომელიც დაკავშირებულია რეპროდუქციასა და ბავშვების აღზრდასთან. მაგრამ მისი როლი არანაკლებად მნიშვნელოვანია საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ფართო სპექტრის საქმიანობაში რვახის, კერძო და საყოფაცხოვრებო სფეროს გარეთ.

კონკრეტის შემდგომი პრაქტიკა კიდევ ერთხელ ადასტურებს ქალთა მონაწილეობის მნიშვნელობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის ზოგადი რეკომენდაციებში, № 23, ქალთა როლი არის შეფასებული შემდეგნირად (16 სესია, 1997 წელი): „საერთაშორისო საზოგადოება და წმუნებული, რომ ქვეყნის სრულფასოვანი განვითოება, მსოფლიოს კეთილდღეობა და მშვიდობა მოითხოვს ქალთა მონაწილეობას თანაბარ პირობებში, მამაკაცებთან ერთად ყველა სფეროში“.

### კომიტეტის ზოგად რეკომენდაციებში ყურადღება გამახვილებულია შემდეგზე:

- საჯაროდ არჩეულ თანამდებობებზე აქტიური ბალანსის უზრუნველყოფა ქალთა და მამაკაცთა შორის;
- ქალებს უნდა ჰქონდეს გათავისებული, რომ საზოგადოებას ესმის მათი ხმის უფლების მნიშვნელობის შესახებ და მათთვის უნდა გახდეს ცნობილი თუ როგორ უნდა განახორციელონ ეს;
- თანასწორობის ბარიერების აღმოფხვრა, მათ შორის სილარიბის და ქალთა გადაადგილების თავისუფლების დაძლევა;
- ქალთა თანაბარი წარმომადგენლობა ხელისუფლების პოლიტიკის ფორმულირებაში;
- პრაქტიკაში, საჯარო სამსახურში, ქალთა თანაბარი უფლებებით სარგებლობა;
- ლად გასაჩივრების შესაძლებლობის უზრუნველყოფა.
- მოქმედი კანონმდებლობით ქალის დისკრიმინაციის აკრძალვა უნდა იყოს უზრუნველყოფილი;
- ხელის შეწყობა არასამთავრობო ორგანიზაციების, საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაერთიანებისთვის, რათა ქალთა წარმომადგენლობასს საშუალება მისცენ მათ მუშაობაში მინაწილეობის მისაღებად.



## ზოგადი ინფორმაცია

- პარლამენტის წევრად შეიძლება არჩეული იყოს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან.
- პარლამენტი შედგება ოთხი წლის ვადით, პროპორციული სისტემით არჩეული 150 და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 85 პარლამენტის წევრისაგან.
- არჩევნებში მონაცილეობის უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულ მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას, რომლის ინიციატივაც დადასტურებულია არანაკლებ 50 000 ამომრჩევლის ხელმოწერით, ან რომელსაც ჰყავს წარმომადგენელი პარლამენტში არჩევნების დანიშვნის დროისათვის, მაჟორიტარული სისტემით არჩევნებში - პირს, რომლის წარდგენის ინიციატივა დადასტურებულია 1000 ხელმოწერით მანც, ან რომელიც ბოლო არჩევნებით იყო პარლამენტის წევრი. კონსტიტუცია (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 50)
- პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე დაბადებით საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრის 15 წელს მანც და არჩევნების დანიშვნის დღეს ცხოვრობს საქართველოში.
- საქართველოს პრეზიდენტი აირჩევა 5 წლის ვადით. ერთი და იგივე პირი პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.
- პრეზიდენტობის კანდიდატის დასახელების უფლება აქვს მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას ან საინიციატივო ჯგუფს. კანდიდატის წარდგენა დადასტურებული უნდა იყოს არანაკლებ 50 000 ამომრჩევლის ხელმოწერით. (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 70)

### საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ:

- ა) აირჩიონ და არჩეულ იქნენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში (თვითმმართველი ერთეული – დასახლება, თვითმმართველი ქალაქი ან დასახლებათა ერთობლიობა, მუნიციპალიტეტი) საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში დაიკავონ ნებისმიერი თანამდებობა, თუ აქმაყოფილებენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;
- გ) მიიღონ საჯარო ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსგან და თანამდებობის პირებისგან;
- დ) წინასწარ გაეცნონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს გადაწყვეტილებების პროექტებს; მონაცილეობა მიიღონ მათ განხილვაში; მოითხოვონ გადაწყვეტილებათა პროექტების გამოქვეყნება და საჯარო განხილვა ("საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ").

## ქალი და არასამენარმეო საქმიანობა (საზოგადოებრივი საქმიანობა)

### არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

თუ თქვენ არ ეწევით სამენარმეო საქმიანობას, გაქვთ საერთო მიზანი და არ ხართ ორიენტირებული მოგების მიღებაზე, შეგიძლიათ დარეგისტრირდეთ როგორც არასამენარმეო იურიდიული პირი.

### რა არის არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი?

თუ თქვენ ერთიანი მიზნით ვინმეს სასარგებლოდ, სრულიად უსასყიდლოდ ახორციელებთ საქმიანობას, კერძოდ იცავთ ადამიანის უფლებებს და ამავე დროს, თქვენ არ იღებთ არანაირ თანხას აღნიშნული პირების დასაცავად, ან თქვენი შემოსავლის წყარო არის გრანტები ან შემონირულობები და ამით ახორციელებთ ქირის გადახდას, საჭირო საკომუნიკაციო, კომუნალური და სხვა სახის გადასახადების დაფარვას, ეს ნიშნავს იმას, რომ თქვენ არასამენარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი ბრძანდებით. თქვენ შეგიძლიათ, დაარეგისტრიროთ თქვენი დაწესებულება სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახით.

## არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის პირობები

რეგისტრაციას ახორციელებს სამენარმეო და არასამენარმეო პირთა რეგისტრი, აღნიშნული არასამენარმეო იურიდიული პირის საგარაუდო მისამართის მიხედვით.

### არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის

რეგისტრაციის განსახ-

ორციელებლად გადასახდელია

განსაზღვრული მოსაკრებელი,

### რეგისტრაცია ხდება განაცხადით

რაც თქვენ უნდა ჩარიცხოთ სპეციალურად მითითებულ საბანკო ანგარიშზე და განაცხადს დაურთოთ

შესაბამისი ქვითარი. ასევე, არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისთვის თქვენ უნდა შეარჩიოთ დასახელება, მაგრამ აღნიშნული დასახელება არ უნდა ემთხვეოდეს არცერთ სხვა არასამენარმეო იურიდიული პირის დასახელებას.

არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელობა შეიძლება განახორციელოს ერთმა (მაგალითად, დირექტორმა), ან რამდენიმე პირმა (მაგალითად, გამგეობამ, მოწვევის შემთხვევაში – საერთო კრებამაც). გარდა დამფუძნებელი წევრებისა, თქვენი ორგანიზაცია შეიძლება სხვა წევრებისგანაც შედგებოდეს. წევრობაში მიღების, ასევე წევრობიდან გარიცხვის წესი, განსაზღვრული უნდა იყოს წესდებით.

თქვენ ასევე უნდა გახსნათ საბანკო ანგარიში და შეასრულოთ ყველა საგადასახადო დავალება და ვალდებულება თანხებთან მიმართებაში. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაცია ხდება განაცხადით.

### **განაცხადი უნდა შეიცავდეს:**

- ორგანოს დასახელებას, რომელსაც მიმართავთ;
- თარიღს;
- განმცხადებლების სახელებსა და გვარებს;
- ინფორმაციას არასამერარმეო პირის შესახებ:

- ა) სახელწოდებას;
- ბ) მონაცემებს იურიდიული მისამართის შესახებ;
- გ) საქმიანობის მიზანს;
- მონაცემებს დამფუძნებლის/წევრის (დამფუძნებლების/წევრების) შესახებ: სახელი, გვარი, დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი), მისამართი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და პირადი ნომერი. თუ თქვენი ერთ-ერთი წევრი ან დამფუძნებელი იურიდიული პირია, – სრული სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა, რეგისტრაციის რეკვიზიტები, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი ან პირები;
- ე) მონაცემები არასამერარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელის ან ხელმძღვანელი ორგანოს შესახებ;
- ვ) შექმნის (არჩევის) წესი და უფლებამოსილების ვადა;
- ზ) მონაცემები არასამერარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელი პირის შესახებ (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი), მისამართი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, პირადი ნომერი);
- თ) არასამერარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელი ორგანოს (ხელმძღვანელი პირის) მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი და პროცედურა;
- ი) არასამერარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი (პირები), მისი (მათი) არჩევის წესი და უფლებამოსილების ვადა;
- კ) მონაცემები ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) შესახებ (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი), დაბადების ადგილი, მისამართი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, პირადი ნომერი);
- ლ) არასამერარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წევრად მიღების, წევრობიდან გასვლისა და გარიცხვის წესი, თუ იგი წევრობაზე დაფუძნებული არასამერარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირია;
- მ) რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს (პირის) დასახელება, გადაწყვეტილების მიღების წესი და პროცედურა. აღნიშნული ინფორმაცია იურიდიული პირის შესახებ, შეიძლება დაინეროს წესდების სახით, სადაც, შესაბამისად, ყველა მითითებული პირობა აღინიშნება.

### **ასევე, განაცხადს უნდა დაერთოს:**

1. არასამერარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობა იურიდიული პირის შექმნის თაობაზე – ოქმის სახით (იხილეთ დანართი);
2. ხელმძღვანელის ხელმოწერის ნიმუში, ნოტარიული წესით გაფორმებული;
3. იურიდიული პირის ადგილსამყოფელის (იურიდიული მისამართის) შესახებ ცნობა, ან მესაკუთრის ნოტარიულად დამტკიცებული თანხმობა აღნიშნული ფართის გამოყოფის თაობაზე, ან ხელშეკრულება აღნიშნული ფართით სარგებლობის შესახებ (მაგალითად, ქირაცხობის ხელშეკრულება);
4. სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

სავალდებულოა სარეგისტრაციო დოკუმენტაციის სანოტარო წესით დამოწმება, ასევე იგი უნდა იყოს ხელმოწერილი ყველა დამფუძნებლის მიერ.

ზემოაღნიშნული ინფორმაცია ითვლება არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სარეგისტრაციო ინფორმაციად, რისი შენახვაც ხდება რეესტრში.

შემდგომში, თუ სარეგისტრაციო მონაცემებში საჭირო გახდება ცვლილებების შეტანა, მაგალითად, შეიცვალა ხელმძღვანელი, ან მუშაობის წესი, ან შეიცვალა მისამართი, ნებისმიერი ცვლილება სარეგისტრაციო დოკუმენტაციაში, საჭიროებს რეგისტრაციას. აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს ოქმით, რომელიც საჭიროებს დარეგისტრირებას.

ცვლილება ძალაში შედის რეესტრში მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაციის მომენტიდან.

არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს რეგისტრაციისა და ცვლილებების რეგისტრაციაზე შეიძლება უარი ეთქვას, მაგალითად თუ რეგისტრაციის შესახებ განცხადებას არ ერთვის გათვალისწინებული დოკუმენტაცია ან აღნიშნული დოკუმენტაცია არასარელადაა წარდგენილი; ან შეტანილი ცვლილებები ეწინააღმდეგება მოქმედ სამართალს, ალიანსებულ ზნეობრივ ნორმებს, ასევე საქართველოს კონსტიტუციურ-სამართლებრივ პრინციპებს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი სრულყოფილ ჩამონათვალს მოიცავს.

არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირს ხარვეზის აღმოსაფეხრელად ვადა ეძლევა. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ აღმოიტხოვება, მარეგისტრირებელი ორგანო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ.

თქვენი საქმიანობის განხორციელებისას, თქვენ ასევე შეგიძლიათ ფილიალის<sup>1</sup> შექმნა როგორც საქროველოს ფარგლებში, ასევე საქროველოს ფარგლებს გარეთ. ამასთან დაკავშირებით, თქვენ უნდა მიმართოთ სამენარმეო და არასამენარმეო პირთა რეგისტრს ფაქტიური მისამართის მიხედვით, ანალოგიური დოკუმენტებით, რაც თქვენ იურიდიულ პირის რეგისტრაციის დროს გამოიყენთ.

არასამენარმეო იურიდიულ პირს უფლება აქვს უწეოდეს სამენარმეო საქმიანობას, მაგრამ აღნიშნული საქმიანობა არ უნდა ითვლებოდეს შემოსავლის ძირითად წყაროდ.

თუ არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობის დროს, თქვენ არსებთად გადახვედით სამენარმეო საქმიანობაზე, მაგალითად თქვენი მომსახურების შედეგად რეგულარულად იღებთ ანაზღაურებას უშუალოდ იმ პირის-გან, ვის სასარგებლოთაც მუშაობთ, უნდა შეაჩეროთ თქვენი არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობა ან დარეგისტრირდეთ როგორც სამენარმეო სუბიექტი.

არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობის შეჩერება ან აკრძალვა შეიძლება მოხდეს ასევე სასამართლოს გადაწყვეტილებით, თუ დაინტერესებული პირი სასამართლოში სარჩელს შეიტანს.

- არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეორგანიზაცია და ლიკიდაცია.
- არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეორგანიზაცია შეიძლება მოხდეს დაყოფის, გაერთიანების (შერწყმის), გარდაქმნის გზით.

<sup>1</sup> ფილიალი – არის განცალკევებული ქვედანაყოფი, რომელიც მდებარეობს იურიდიული პირის ადგილსამყოფელის გარეთ, სრულად ან ნაწილობრივ წარმოადგენს მას ან ასრულებს მის ფუნქციებს.

- არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაცია შეიძლება მოხდეს რამდენიმე საფუძვლით:
- დამფუძნებელ-წევრთა გადაწყვეტილებით;
- სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე;
- გაკოტრებისას (გაკოტრება ინშანას მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში ყოფნას და გადახდისუუნარობას);
- რეგისტრაციის გაუქმებით.

ლიკვიდაციის დროს, უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმები, ყველა ვალი დაქმაყოფილდეს. ხოლო, ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება არ შეიძლება მოხდეს არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს ან წევრებს შორის. დარჩენილი ქონება უნდა გადაეცეს სხვა ანალოგიურ ორგანიზაციას ან ნებისმიერ პირს.

ლიკვიდაციას ახორციელებს სპეციალურად შერჩეული პირი, ან ორგანიზაციის მუშაკი. სისხლის სამართლის საქმეზე, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე, ლიკვიდაციას ახორციელებს სასამართლოს მიერ დანიშნული ლიკვიდატორი. ლიკვიდაციის შემდგომ უნდა გაუქმდეს არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაცია. დეტალური ინფორმაცია თქვენ შეგიძლიათ მოიპოვოთ “მენარმეთა შესახებ” საქართველოს კანონში”, საქართველოს საგადასახადო კოდექსში.

## არარეგისტრირებული კავშირი (გაერთიანება)

თქვენ შეგიძლიათ იმოქმედოთ ასევე არარეგისტრირებული კავშირის, გაერთიანების სახით. არარეგისტრირებული კავშირი არ არის იურიდიული პირი. ყველა საკითხი, მაგალითად საქმიანობის წარმართვა, რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია, ფილიალის შექმნა, დასაგეგმი ქმედებები, განისაზღვრება წევრთა ურთიერთშეთანხმებით. წევრთა საწევრო შენატანები და ამ შენატანებით შეძენილი ქონება შეადგენს არარეგისტრირებული კავშირის (გაერთიანების) საერთო ქონებას.

საზოგადოებასთან ურთიერთობებში, არარეგისტრირებული კავშირი შეიძლება წარმოდგენილი იყოს თავისი წევრებით ან საამისოდ უფლებამოსილი პირებით.

თქვენთვის სასარგებლო ინფორმაცია, თქვენ შეგიძლიათ მოიპოვოთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსში.

## სასარგებლო რჩევები ბიზნესსაქმიანობისას და საზოგადოებრივ ურთიერთობებში

ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანებს უამრავი გარიგების დადება გვიწევს. მაგალითად, ნებისმიერი ნივთების შეძენისას, საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობისას, უძრავი თუ მოძრავი ნივთის გაქირავებისას, თხოვებისას, ჩუქებისას, სილამაზის სალონში სტუმრობისას და ა.შ. ხშირად, ამგვარი გარიგებების გაფორმება წერილობითი ფორმით არ ხდება და არც არის მიზანშეწონილი, ვინაიდან ყოველ-

დღიურ ურთიერთობებში აღნიშნული საჭიროება არ დგას და ამგვარი ურთიერთობები მხოლოდ გაართებული ბაზის ცხოვრებას.

რაც შეეხება ბიზნეს საქმიანობას და საზოგადოებრივ ურთიერთობებს, ვითარებაც განსხვავებულია. უმჯობესი იქნება, თუ კი ამ შემთხვევაში თქვენს მიერ დადებულ ხელშეკრულებებს მისცემთ წერილობით ფორმას, რაც გარკვეულწილად შეამტკირებს რისკებს და გაგიადვილებთ დოკუმენტაციის წარმოებას თუ ციფრულ ადმინისტრაციულ ორგანოებთან. მაგალითისათვის, საგადასახადო ორგანოებთან ანგარიშსწორებისათვის აუცილებელია ნებისმიერი თქვენს მიერ განხორციელებული პპერაცია დოკუმენტაციურად დასტურდებოდეს.

მაგალითად, უმჯობესი იქნება, სესხის აღების შემთხვევაში (კერძო პირთან, თუ ბანკებთან), გარიგება გააფორმოთ წერილობით და დაიცვათ კანონით გათვალისწინებული ნორმები. ამასთანვე, თუ უძრავი ნივთის გაქირავების შედეგად მოგებას იღებთ, აუცილებელია დარეგისტრირდეთ კანონის შესაბამისად და გადასხადოთ გადასახადი. ამისათვის კარგია, თუ კირავითი ხელშეკრულებას გააფორმებთ დამქირავებელთან. განსაკუთრებით უძრავი ქონების გაჩუქრებისას, აუცილებელია გარიგება დაიღოს წერილობით, ვინაიდნ საჭიროებს შესაბამის რეგისტრაციას და პასუხისმგებლობაც ნივთთან დაკავშირებით დასაჩუქრებულზე გადადის. (იხ. ვალდებულებითი ურთიერთობების თავი).

ამრიგად, სამეწარმეო და საზოგადოებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული გარიგებები უმჯობესია დაიღოს წერილობით, ხოლო დოკუმენტაცია უნდა იქნას წარმოებული სრულად და შენახული შესაბამისი ფორმით იმგვარად, რომ შესაძლებელი გახდეს მათი გამოყენება ადმინისტრაციულ ორგანოებთან ანგარიშსწორებისას.

## წარმატებებს გისურვებთ თქვენს საქმიანობაში!

# ქალი და უფლება ჯანმრთელობაზე

ყველა ადამიანი ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე პაციენტი ხდება. პაციენტად მიიჩნევა ნებისმიერი პირი, დაბადებიდან გარდაცვალებამდე, რომელსაც აქვს მოლოდინი ისარგებლოს, სარგებლობს ან უკვე ისარგებლა სამედიცინო მომსახურებით. ამდრნად, მნიშვნელოვნია ვიცოდეთ, თუ რა უფლებები და ვალდებულებები გაგვაჩინა პაციენტებს, როგორი ურთიერთობა უნდა დავამყაროთ ექიმთან, სამედიცინო დაწესებულებებთან, სადაზღვევო კომპანიებთან. თავდაპირველად, გაუცეთ შეერთხას პასუხი და გაეარყვიოთ ვინ არის პაციენტი?

საქართველოს კანონი “პაციენტთა უფლებების შესახებ”, გვაძლევს პაციენტის განსაზღვრებას: “ეს არის ნებისმიერი პირი, რომელიც მიუხედავად მისი ჯანმრთელობის მდგომარეობისა, სარგებლობს, საჭიროებს ან აპირებს ისარგებლოს ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით” (მუხლი 4 (დ)). 1 საქართველოს ყველა მოქალაქეს, ასევე საქართველოში მყოფ უცხოელს და მოქალაქეობის არმქონების უფლება აქვს, სამედიცინო მომსახურების ყველა გამწევისა-გან მიიღოს ქვეყანაში არსებული და დანერგილი პროფესიული და სამომსახურეო სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო მომსახურება. უფლება ჯანმრთელობაზე აღიარებულია და დაცულია საქართველოს კონსტიტუციით და მოქმედი კანონებით: 1. ყველას აქვს უფლება ისარგებლოს ჯანმრთელობის დაზღვევით, როგორც ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარების საშუალებით. კანონით დადგენილი წესით, განსაზღვრულ პირობებში, უზრუნველყოფილია უფასო სამედიცინო დახმარება. 2.

<sup>1</sup> მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სხვადასხვა კანონში სხვადასხვაგარად არის განმარტებული პაციენტი, ყველა კანონში მოცემული განსაზღვრება შესარსობრივად იღებულია. “პაციენტი – პირი, რომელიც მიუხედავად მისი ჯანმრთელობის მდგომარეობისა, სარგებლობს სამედიცინო დახმარებით”. საქართველოს კანონი “ჯანმრთელობის დაცვის შესახებ”, მუხლი 3. პაციენტად იგულისხმება ნებისმიერი მოქალაქე - დაბადების პერიოდიდან სიცოცხლის ბოლომდე. “პაციენტი – პირი, რომელსაც დადგენილ აქვს ფსიქიური დაუვადების დაიგნოზი და მას უწევენ ფსიქიატრიულ დახმარებას” (კანონი “ფსიქიატრიული დახმარების შესახებ”. მუხლი 2, 13).

სახელმწიფო აკონტროლებს ჯანმრთელობის დაცვის ყველა დაწესებულებას, სამკურნალო საშუალებათა წარმოებას და ამ საშუალებით ვაჭრობას. 3. ყველას აქვთ უფლება, ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. ყველა ვალდებულია, გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს.

4. სახელმწიფო ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით, უზრუნველყოფს გარემოს დაცვას და ბუნებრივი რესურსებით რაციონალურ სარგებლობას, ქვეყნის მდგრად განვითარებას საზოგადოების ეკონომიკური და ეკოლოგიური ინტერესების შესაბამისად ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფად. 5. ყველას აქვთ უფლება, დროულად მიიღოს სრული და ობიექტური ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ.“ (საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლი).

სახელმწიფო ცნობს და აღიარებს ყველა ადამიანის თანასწორობას და არავის ანიჭებს უპირატესობას. დისკრიმინაციის აკრძალვა განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლში. ყველად დაუშვებელია პაციენტის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, გენეტიკური მემკვიდრეობის, რჩმენისა და აღმსარებლობის,

პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქრისტიანობის და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, დაავადების, სექსუალური ორიენტაციის ან პირადული უარყოფითი განწყობის გამო.

დისკრიმინაციის აკრძალვა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ნიშნავს, რომ სამედიცინო მომსახურებით სარგებლობა შეუძლიათ როგორც საქართველოში მცხოვრებ პირებს, ასევე საქართველოში მუდმივად ან დროებით მყოფ უცხოელებს, დევნილებს, ლტოლვილებს. დაავადების მიხედვით, დისკრიმინაციის დაუშვებლობა გულისხმობს, რომ ჯანმრთელ და დაავადებულ ადამიანს თანაბრად შეუძლია ისარგებლოს სახელმწიფო არსებულ ჯანდაცვის სისტემით. მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები სარგებლობენ ყველა სამედიცინო მომსახურების გამწევ დაწესებულებათა მომსახურებით; არ შეძლება აივ/შიდსით დაავადებულთა დისკრიმინაცია სამედიცინო მომსახურების დროს, დაუშვებელია ეთნიკურ ან რელიგიურ უმცირესობათა წარმომადგენლებს, უარი ეთევათ სამედიცინო მომსახურებაზე.

დაუშვებელია დისკრიმინაცია მაშინაც, როდესაც არსებობს სამედიცინო მომსახურებისთვის საჭირო ადამიანთა, ტექნიკური, ფინანსური ან/და სხვა რესურსების დეფიციტი. ამ დროს, პოტენციური პაციენტის შერჩევა ხდება მხოლოდ სამედიცინო კრიტერიუმებით, სხვა ფაქტორების გაუთვალისწინებლად, დისკრიმინაციის გარეშე.

აღსანიშნავია, რომ ყველა ადამიანის თანასწორობა ფუნდამენტური პრინციპია, ხოლო დისკრიმინაცია ნებისმიერი ნიშნით დაუშვებელია. ამ პრინციპის დარღვევამ, შესაძლოა, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა გამოიწვიოს.

პაციენტის უფლებების დაცვასა და ექიმ-პაციენტის ურთიერთობებს საქართველოში ძირითადად 14 კანონი არეგულირებს.

- კანონი წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ /17.04.1997/;
- კანონი სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის შესახებ /21.03.1997/;

3. კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ /10.12.1997/;
4. კანონი საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ /12.06.1998 – 1.05.1999/;
5. კანონი ბავშვთა ბუნებრივი კვების დაცვისა და ხელშეწყობის, ხელოვნური საკვების მოხმარების შესახებ /09.09.1999/;
6. კანონი ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ /23.02.2000/;
7. კანონი პაციენტის უფლებების შესახებ /05.05.2000/;
8. კანონი აივ ინფექციის/შიდის შესახებ /17.10.2009/;
9. კანონი საექიმო საქმიანობის შესახებ /26.08.2001/;
10. კანონი ფსიქიატრიული დახმარების შესახებ /14.07.2006/
11. კანონი სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის შესახებ /07.12.2001 – 07.03.2002/;
12. კანონი ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეპარატებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ /22.05.2012/;
13. კანონი სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის ლიცენზირების შესახებ /08.05.2003 – 01.06.2003/;
14. კანონი იოდის, სხვა მიკროელემენტებისა და ვიტამინების დეფიციტით გამოწვეული დაავადებების პროფილაქტიკის შესახებ /25.02.05/.

ჯანმრთელობის უფლებით სარგებლობა, მოიცავს სამედიცინო მომსახურების თანაბრად ხელმისაწვდომობას, რომელიც ხორციელდება სახელმწიფო სამედიცინო პროგრამების საშუალებით.

კანონმდებლობით დაცულია პაციენტის უფლება სამედიცინო მომსახურებაზე, რომლის განხორციელება უნდა მოხდეს გადაუდებლად, რათა არ დაინვალიდდეს, გარდაიცვალოს ან მინშვნელოვნად არ შეერება ჯანმრთელობა პაციენტის. თუ ამ შემთხვევებში სამედიცინო მომსახურების გამწევს (კლინიკას, სამშობიაროს და სტომატოლოგიურ განყოფილებას და სხვა სახის სამედიცინო დაწესებულებას) არ გააჩნია შესაძლებლობა აღმოჩენის პაციენტს საჭირო დახმარება, ივი ვალდებულია, პაციენტის ან მის ნათესავს, ან კანონიერ წარმომადგენელს, მიაწოდოს სრული ამონტურავი ინფორმაცია, თუ სად შეიძლება განხორციელდეს სამედიცინო მომსახურება. სამედიცინო მომსახურების გამწევს უფლება არ აქვს არ აღმოუჩინოს გადაუდებლი სამედიცინო დახმარება იმ პირს, რომელიც შესაძლებელია, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის გარეშე მოკვდეს, დაინვალიდდეს ან მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესდეს. ეს ვალდებულება სამედიცინო პერსონალის პროფესიული მოვალეობებიდან გამომდინარეობს და აგრეთვე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 130-ე მუხლიდან, რომელიც ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, პაციენტის განსაცდელში მიტოვებისთვის.

სახელმწიფო ასევე უზრუნველყოფს იშვიათი დაავადებების მქონე პაციენტების მკურნალობას, ქვეყანაში აღიარებული და დანერგილი პროფესიული და სამომსახურეო სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით.<sup>1</sup>

<sup>1</sup> იშვიათ დაავადებებს გარეუთვენება: მწვავე ინტერმიტირებად პორფირია; ადისონის დაავადება; ალსტრომის სინდრომი, ბარტერის სინდრომი, ბეხჩეტის სინდრომი, უპლის დაავადება, ბილიარული ატრეზია, კონის სინდრომი, კრონპეაიტ-კანადის დაავადება, უშაქრო დიაბეტი, გარდნერის სიბრონიში, გლუკოზის 6 ფოსფატდეინდროგნაზის დეფიციტი, ჰემიქრომატოზი, ჰემოფილია, ინსულინმა, ლაიმის დავადება, უნილეებრუნული, ჰომოციდინული, ნანიზმი, მუკ-ვისციდოზი, ბარძაყის ძელის თავის იუვენილური ოსტეოქონდროზი (ლე-კალვე პერტესის დაავადება). საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №199/6 2001 წ. 14 მაისის ბრძანება.

## **პაციენტის უფლებები იყოფა სოციალურ და ინდივიდუალურ უფლებებად:**

სოციალურ უფლებებს განეკუთვნება სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის უფლება, რომელიც თავის თავში გულისხმობს: სამედიცინო მომსახურების ფინანსურ ხელმისაწვდომობას; ხელმისაწვდომობას მომსახურების სახეებსა და ხარისხზე; ხელმისაწვდომობას გეოგრაფიული (ტერიტორიული) თვალსაზრისით. სამედიცინო მოსახურებაზე ხელმისაწვდომობის უფლებით უნდა ისარგებლოს ნებისმიერმა ადამიანმა ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. ეს დებულება არ უნდა იქნას გაფაბული როგორც აპსოლუტური ხელმისაწვდომობა ნებისმიერ მომსახურებაზე, კანონი ითვალისწინებს გარკვეულ შეზღუდვებს სამედიცინო მომსახურების გარკვეულ სახეებზე, როგორიცაა საპროფილაქტიკო, სარებილიტაციო, სამკურნალო მომსახურება და ამასთანავე გამორიცხავს გაუმართლებელ დისკრიმინაციას. ამ პრინციპის დარღვევა, თუკი ის არსებითად ხელყოფს ადამიანის უფლებებს, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველით.

ამასთანავე, ყველა ადამიანს უფლება აქვს მიიღოს ხარისხიანი და ადექვატური სამედიცინო მომსახურება. შესაბამისად, „პაციენტის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლით: “საქართველოს თითოეულ მოქალაქეს უფლება აქვს სამედიცინო მომსახურების ყველა გამწევისგან მიიღოს ქვეყანაში აღიარებული და დანერგილი პროფესიული და სამომხმარებლო სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო მომსახურება”.

ცალკე აღნიშვნის ღირსია განსაკუთრებით პრობლემური საკითხი, როგორიცაა სამედიცინო მომსახურების ფინანსური ხელმისაწვდომობა. რიგ შემთხვევებში, მომსახურების მიღები ყოველთვის ვერ იხდის საფასურს, ან იხდის ნაწილობრივ ან საერთოდ უარს ამბობს გადახდაზე. სამედიცინო მომსახურების თანაბრად ხელმისაწვდომობას ხელს უწყობს სახელმწიფო, სამედიცინო პროგრამების საშუალებით, რაც ითვალისწინებს სამედიცინო მომსახურების სრულ ან ნაწილობრივ დაფინანსებას საპაზიო სამედიცინო მომსახურების მისაღებად.



**პაციენტის ინდივიდუალური უფლებები** გულისხმობს სამედიცინო მომსახურების მიღების პროცესში, თითოეული მოქალაქის პიროვნული ინტერესებისა და ღირსების პატივისცემას. ინდივიდუალურ უფლებებად მოიაზრება:

- ინფორმაციის მიღების უფლება;
- ინფორმირებული თანხმობა;
- პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და კონფიდენციალურობა;
- მეორე აზრის მოძიების უფლება;
- სამედიცინო პერსონალისა და სამედიცინო დაწესებულებების არჩევის უფლება.

## **ინფორმაციის მიღების უფლება**

ნებისმიერ პაციენტს, საქართველოში, უფლება აქვს მიიღოს სრული, ობიექტური, დროული და გასაგები ინფორმაცია იმ ფაქტორების შესახებ, რომლებიც ხელს უწყობს მისი ჯანმრთელობის შენარჩუნებას ან უარყოფითად მოქმედებს მასზე. სრული ინფორმაცია ნიშნავს, რომ სამედიცინო მომსახურების გამწევი ვალდებულია, ამომნურავი ინფორმაცია მიაწოდოს პაციენტის იმ დაავადების ან ფიზიკური თუ ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ, რომლითაც დაავადებულია ან არსებობს იმის საფრთხე, რომ დაავადდება პაციენტი ან იმ გარემოებათა შესახებ, რომლებმაც შესაძლებელია, უარყოფითად იმოქმედოს მასზე. „პაციენტის შესახებ“ საქართველოს

კანონის მე-16 მუხლი აღიარებს ამ უფლებას და ამავე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულია სახელმწიფოს შესაბამისი თანამდებობის პირების ვალდებულება, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ან ინდივიდუალურად, მოთხოვნისამებრ, სრულად მიაწოდოს მოქალაქეს ან მოსახლეობას ზემოაღნიშნული ინფორმაცია. ამ ვალდებულების შესარულებლობამ, კერძოდ, ფაქტის დამალვამ, გაყალბებამ შესაძლებელია გამოიწვიოს იმ პირის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, ვინც ვალდებულია ინფორმაციის მინდებაზე. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ კანონით გათვალისწინებული ინფორმაციის საზოგადოებისათვის მიწოდების ვალდებულება ეკისრება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, რომელიც უზრუნველყოფს ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნას.

საქართველოს კანონი საექიმო საქმიანობის შესახებ, პაციენტთა უფლებების შესახებ, გვაძლევს იმ ინფორმაციის ჩამონათვალს, რომელიც უნდა მიერთოდოს პაციენტს და/ან მის ახლობლებს, მისი ჯანმრთელობის მდგრმარეობის შესახებ, მათ შორის:

- განზრახული პროფილაქტიკური, დიაგნოსტიკური, სამკურნალო, სარეაბილიტაციო, პალიატიური ჩარევებისა და მათი ალტერნატიული ვარიანტების, თანმხლები რისკისა და ეფექტიანობის შესახებ;
- სამედიცინო გამოკვლევების შედეგების შესახებ;
- განზრახულ სამედიცინო ჩარევაზე, გაცხადებული უარის მოსალოდნელი შედეგების შესახებ;
- დიაგნოზისა და სავარაუდო პროგნოზის, აგრეთვე მკურნალობის მიმდინარეობის შესახებ;
- ჯანმრთელობის შენარჩუნების ხელშემწყობი ან უარყოფითი ზეგავლენის მომზდენი ფაქტორების შესახებ;
- პაციენტისთვის საჭირო სამედიცინო მომსახურების არსებული სახეებისა და მათი გამოყენების შესაძლებლობათა შესახებ, აგრეთვე განეული თუ განზრახული სამედიცინო მომსახურების საფასურისა და მისი ანაზღაურების წესის თაობაზე (კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ“, მუხლი 39. 1).

ეს იმას ნიშნავს, რომ პაციენტს სურვილისამებრ უნდა ჰქონდეს სრული ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის მდგრმარეობის შესახებ და მისთვის სამედიცინო მომსახურების განვალისათან დაკავშირებული საკითხების შესახებ. მას უფლება აქვს იცოდეს, რა მიზნით იგეგმება სამედიცინო ჩარევა და მოსალოდნელი შედეგები, ან მკურნალობაზე უარის თქმის შემთხვევაში რა შედეგი შეიძლება დადგეს. უფრო მეტიც, ექიმის ვალდებულებაა, გაითვალისწინოს პაციენტის აღქმის უნარი და თავი აარიდოს სპეციალური ტერმინების გამოყენებას, რათა პაციენტმა სწორად აღიქვას მის ჯანმრთელობის მდგრმარეობასთან დაკავშირებული ყველა დეტალი. ინფორმაცია მიაწოდოს მისთვის გასაგებ ენაზე, პაციენტის ინტელექტუალური და ფიზიკური მდგრმარეობის გათვალისწინებით.

ამასთან, საქართველოს კანონმდებლობა უშვებს ექიმის მიერ პაციენტისათვის ინფორმაციის ან მისი ნანილის მიწოდებაზე უარის თქმის შესაძლებლობასაც, თუკი, არსებობს ეჭვი, რომ ინფორმაციის მიწოდება სერიოზულ ზიანს მიაყენებს პაციენტის ჯანმრთელობას. ეს გადაწყვეტილება უნდა იყოს შეთანხმებული და დადასტურებული ეთიკის კომისიის მიერ, ასეთის არარსებობის შემთხვევაში, უნდა შეთანხმდეს სხვა ექიმთან. ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ, ყველა შემთხვევაში, უნდა აისახოს პაციენტის სამედიცინო დოკუმენტაციაში.

ქმედუნარიანი პაციენტი თვითონ წყვეტს, თუ ვის მიერთოდოს ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის მდგრმარეობის შესახებ. ის ასახელებს იმ პირს, რომელსაც ეს ინფორმაცია უნდა მიეწოდოს. გადაწყვეტილება ან პირის ვინაობა ფიქსირდება

სამედიცინო დოკუმენტაციაში. პაციენტის ქმედუუნარობის ან გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უუნარობის შემთხვევაში, მისი ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია მიენიჭება მის ნათესავს ან კანონიერ წარმომადგენელს. პაციენტს (ისევე, როგორც მის ახლობელს), უფლება აქვს გაეცნოს სამედიცინო ჩანაწერებს და მოითხოვოს პაციენტის შესახებ არსებულ ინფორმაციაში შესწორებების შეტანა; წერილობით მოითხოვოს ჩანაწერების ასლო.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, პერსონალური მონაცემების პირად საიდუმლოებად მიჩნევის საკითხს, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა (მაგალითად, როგორც სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე სახელმწიფო თვითონ ასაიდუმლოებს რაიმე ინფორმაციას), წყვეტის პირი, რომლის შესახებაც არსებობს ეს ინფორმაცია (271 მუხლი). ასევე, პაციენტის შესახებ ინფორმაცია დაცული უნდა იქნას სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლის მიერ, ხოლო სამედიცინო პერსონალისთვის, ასეთი ინფორმაცია წარმოადგენს პროფესიულ საიდუმლოებას.

**პროფესიულ საიდუმლოებას მიეკუთვნება ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს სხვის პირად ინფორმაციას, ან პირისთვის ცნობილი გახდა პროფესიული მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებით (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი. მუხლი 273).**

სავარრ დაწესებულება, რომელიც ფლობს ინფორმაციას პირის ჯანმრთელობის შესახებ, ვალდებულია არ გაახმაუროს პირის პირად ცხოვრებაზე მიკუთვნებული ინფორმაცია თვითი ამ პრის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. უფრო მეტიც, სისხლის სამართლით დასჯავა ქმედება პირადი ან ოჯახური ინფორმაციის საიდუმლოს უკანონოდ მოპოვება, შენახვა ან გავრცელება, რომელმაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. პირად ინფორმაციიში მოაზრება ასევე, პაციენტის ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია (სსკ 157-ე მუხლი).

გარდა ამისა, კანონი ცნობს პაციენტის უფლებას უარი თქვას ინფორმაციის მიღებაზე. თუმცა, არსებობს გამოხატვის შემთხვევები, თუ ინფორმაცია ეხება მაღალ რისკთან დაკავშირებულ ჩარევას, რისთვისაც აუცილებელია პაციენტის თანხმობა. ანდა ინფორმაციის მიუწვდობობამ შეიძლება სერიიზული ზიანი მიაყნოს თვითონ პაციენტის ან მესამე პირის ჯანმრთელობას ან/და სიცოცხლეს. მაგალითად, აიგ/მიდსით დაავადებული პირი გაფრთხილებული უნდა იქნას დაავადებისა და მოსალოდნელი შედეგების შესახებ. თავისი მხრივ, ის ვალდებულია, გააფრთხილოს დაავადების შესახებ თავისი სექსუალური პარტნიორი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს პირი, პასუხს აგებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 131-ე მუხლით, რომელიც ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას სხვისთვის შიდსის განზრას შეყრაზე. ანალოგურად წყდება საკითხი ვენერიული დაავადებების განზრას შეყრისას. სისხლის სამართლის კოდექსის 132-ე მუხლის თანახმად, დასჯადად ითვლება ასევე, განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადებების შეყრა.

დასჯად ქმედებად ითვლება და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა გათვალისწინებული სიცოცხლის ან ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი გარემოებების შესახებ ინფორმაციის დამაღვასა ან გაყალბებაზე (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 247-ე მუხლი).

ასევე, დასჯადად ითვლება შემთხვევები, როგორც თანამდებობის პირი უარს ეუბნება პირს, მასზე არსებული ინფორმაციის (ასეთ ინფორმაციას მისი ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციაც წარმოადგენს) ან ოფიციალური დოკუმენტების გაცნობაზე, ანდა იმ დოკუმენტებისა და/ან მასალების გაცნობაზე, რომელიც უშუალოდ შეეხება მის უფლებებსა და თავისუფლებებს (მაგალითად, ინფორმაცია წყლის ან საკვების უვნებლობის შესახებ), ან ასეთ ინფორმაციას პირს აწვდიან არასრულად

ან დამახინჯებული ფორმით, რაც იწვევს მნიშვნელოვან ზიანს (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 167-ე მუხლი).

სახელმწიფო ვალდებულია, ინფორმაციის წყაროების გამოყენებით, მოქალაქეებს ინფორმაცია მიაწოდოს მოსალოდნელი საფრთხისა და პროფილაქტიკური ღონისძიებების, ასევე მკურნალობის საშუალებების შესახებ (მაგალითად, ეპიდემიის გავრცელების საფრთხის შესახებ და პროფილაქტიკური ზომების თაობაზე).

## ინფორმირებული თანხმობა

სამედიცინო მომსახურების გამწევი ვალდებულია, სამედიცინო მანიპულაციების განხორციელებისას, პაციენტისგან მიიღოს ინფორმირებული თანხმობა. “პაციენტის უფლებების შესახებ კანონის 22-26-ე მუხლებით დეტალურად არის განსაზღვრული ექიმისა და პაციენტის ურთიერთობისას თანხმობის მიღების აუცილებელი პირობები.

ინფორმირებული თანხმობა – ეს არის პაციენტის, ხოლო მისი ქმედუუნარობის შემთხვევაში, ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა პაციენტისთვის საჭირო სამედიცინო ჩარევის ჩატარებაზე, მისი ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის ამ ჩარევასთან დაკავშირებული რისკის განმარტების შემდეგ.<sup>1</sup>

აუცილებელია ინფორმირებული თანხმობა წინ უსწრებდეს ნებისმიერ სამედიცინო ჩარევას; თანხმობა უნდა იყოს ნებაყოფლობითი და თავისუფლად გამოხატავდეს ადამიანის სურვილს. ყოველგვარი ზენოლა თანხმობის მისაღებად ისჯება კანონით; მიღებული თანხმობა უნდა იყოს გააზრებული და დაფუძნებული პაციენტისთვის მიწოდებულ სწორ და უტყუარ ინფორმაციაზე. ამასთანავე, პაციენტს და მის კანონიერ წარმომადგენელს ინფორმაცია უნდა მიენოდოს გასაგები ენით, ინფორმაცია უნდა იყოს ნათელი, ადვილად აღსაქმელი და შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

1. სამედიცინო ჩარევის არსის, მიზნებისა და საჭიროების შესახებ;
2. სამედიცინო ჩარევის მოსალოდნელი შედეგების შესახებ;
3. პაციენტის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის ამ მომსახურებასთან დაკავშირებული რისკებისა და საფრთხეების შესახებ;
4. სხვა ალტერნატიული შესაძლებლობებისა და მასთან დაკავშირებული რისკების შესახებ.

თანხმობის მიღება აუცილებელია თვით პაციენტისგან, ხოლო მისი ქმედუუნარობის ან გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უუნარობის შემთხვევაში, ინფორმირებული თანხმობა უნდა იქნას მიღებული ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლისგან.

კანონი “პაციენტთა უფლებების შესახებ” განსაზღვრავს იმ სამედიცინო მომსახურების სფეროებს, რომლის დროსაც აუცილებელია წერილობითი ინფორმირებული თანხმობის მიღება: ა) ნებისმიერი ქარუგიული ოპერაცია, გარდა მცირე ქირურგიული მანიპულაციებისა; ბ) აბორტი; გ) ქირურგიული კონტრაცეფცია – სტერილიზაცია; დ) მაგისტრალური სისხლძარღვების კათეტერიზაცია; ე) ჰემოდიალიზა და პერიტონეული დიალიზი; ვ) ექსტრაკორპორალური განაყოფიერება; ზ) გენეტიკური ტესტირება; თ) გენური თერაპია; ი) სხივური თერაპია; კ) ავთვისებიანი სიმსივნეების ქიმიოთერაპია; ლ) ყველა სხვა შემთხვევაში, თუ სამედიცინო მომსახურების გამწევი, საჭიროდ თვლის წერილობით ინფორმირებულ თანხმობას (კანონი პაციენტთა უფლებების შესახებ. მუხლი 22).

<sup>1</sup> საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ. მუხლი 3, პ. „კ“; საქართველოს კანონი პაციენტთა უფლებების დაცვის შესახებ. მუხლი 4, პ. „ბ“).

სამედიცინო მომსახურების განევისას, წერილობითი ინფორმირებული თანხმობა აუცილებელია ქმედუუნარო ან გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარს მოკლებული პაციენტისთვის. ქმედუნარიან პაციენტს, უფლება აქვს თვითონ გადაწყვიტოს, მიღლოს თუ არა ვინმემ ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, მანვე უნდა დაასახელოს ის პირი, რომელსაც ეს ინფორმაცია უნდა მიეწოდოს. პაციენტის ეს გადაწყვეტილება და პირის ვინაობა, ფიქსირდება სამედიცინო დოკუმენტაციაში (კანონი პაციენტთა უფლებების შესახებ. მუხლი 22). პაციენტმა თანხმობა უნდა განაცხადოს ზეპირად ან წერილობით, ნებისმიერი სამედიცინო მანიპულაციის, მეურნალობის ინტერვენციული ანუ სამედიცინო ჩარევის მეთოდების, სარეაბილიტაციო ლონისძიებების, კვლევასა და სასწავლო პროცესში ჩართვის დროს.

სამედიცინო მომსახურების ნებისმიერ ეტაპზე, ქმედუნარიან და გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის მქონე პაციენტს, უფლება აქვს უარი განაცხადოს სამედიცინო მომსახურებაზე, აგრეთვე შეწყვიტოს უკვე დაწყებული სამედიცინო მომსახურება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პირის მეურნალობის

შეწყვეტა, საფრთხეს უქმნის სხვის სიცოცხლეს.

კანონით, აკრძალულია ქმედუნარიანი და გაცნობიერებული გადაწყვეტილების მქონე პაციენტის ნების წინააღმდეგ სამედიცინო მომსახურების განხორციელება. სამედიცინო მომსახურების შეწყვეტის შედეგების შესახებ პაციენტს უნდა მიეწოდოს დროული და ამომტურავი ინფორმაცია. ასევე, მნიშვნელოვანია მიეწოდოს ინფორმაცია საფრთხეებსა და რისკებზე, რაც შესაძლოა, მომსახურების შეწყვეტას მოყვეს.

პაციენტს თავიდანვე შეუძლია, დაასახელოს იმ პირის ვინაობა, რომელიც მიღებს გადაწყვეტილებას მისთვის საჭირო სამედიცინო მომსახურების შესახებ.

თუ ქმედუუნარო ან გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარს მოკლებულ პაციენტს გადაუდებელი სამედიცინო დახმარება ესაჭიროება, რომლის განხორციელების გარეშე პაციენტის სიკვდილი გარდაუვალია (მაგალითად, ავტოვარიის შემთხვევაში დანანალიდება; ტრამვის მიღება სამუშაოზე), ან ჯანმრთელობის მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუარესება (მაგალითად, ალერგიული შორი) და მისი ახლობლის მოძიება ვერ ხერხდება, სამედიცინო მომსახურების გამწევი, თავად იღებს გადაწყვეტილებას პაციენტის ჯანმრთელობის ინტერესების შესაბამისად.

თუ ქმედუუნარო ან გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღები უნარმოკლებული პაციენტი გადაუდებლად საჭიროებს სამედიცინო მომსახურებას, ხოლო მისი ნათესავი ან კანონიერი სამედიცინო მომსახურების ნინააღმდეგია (მაგალითად, წინააღმდეგების შეიძლება იყოს ავადმყოფის ან მისი ნათესავების რელიგიური მრნამსი), სამედიცინო მომსახურების გამწევი იღებს გადაწყვეტილებას, პაციენტის ჯანმრთელობის ინტერესების შესაბამისად.

სამედიცინო მომსახურების მიღების უნარს მოკლებული პაციენტისთვის. ქმედუუნარიან პაციენტს, უფლება აქვს თვითონ გადაწყვეტილების, მიღლოს თუ არა ვინმემ ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ...

წარმომადგენელი, სამედიცინო მომსახურების მიზანი შეიძლება იყოს ავადმყოფის ან მისი ნათესავების რელიგიური მრნამსი, სამედიცინო მომსახურების გამწევი იღებს გადაწყვეტილებას, პაციენტის ჯანმრთელობის ინტერესების შესაბამისად.

სამედიცინო მომსახურების გამწევს (მაგალითად, კლინიკას), უფლება აქვს გაასაჩივროს სასამართლოში ქმედუუნარო ან გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარს მოკლებული პაციენტის ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლის გადაწყვეტილება, თუ იგი ეწინააღმდეგება პაციენტის ჯანმრთელობის ინტერესებს. 1

<sup>1</sup> კანონი პაციენტთა უფლებების შესახებ. მუხლი 25; კანონი საექიმო საქმიანობის შესახებ. მუხლი 41.

ინფორმირებული თანხმობა, აუცილებელი პირობაა ორგანოთა გადაწყვეტილისას (ორგანოთა ტრანსპლანტაცია). ასე მაგალითად, ქმედუნარიან პირს უფლება აქვს, ნებაყოფლობით განაცხადოს თანხმობა ან უარი სიცოცხლეშივე ან სიკვდილის შემდეგ მისი ორგანოს აღებაზე 1. თანხმობა ან უარი, შეიძლება ეხებოდეს ერთ ან მეტ ორგანოს. გადაწყვეტილება ფორმდება წერილობით და მას ადასტურებს სამკურნალო დანესებულების ხელმძღვანელი. ორგანოთა გადაწყვეტილები, მონანილეობას იღებს ორი სუბიექტი – დონორი ანუ ცოცხალი ადამიანი ან გარდაცვლილი, რომლისგანაც იღებს ორგანოს სხვა ადამიანისთვის გადასაწყვეტილი და რეციპიენტი, ანუ ადამიანი, რომელსაც მკურნალობის მიზნით გადაწყვეტილი არის ადამიანის ორგანო.

**უნდა გვახსოვდეს, რომ ცოცხალი დონორისგან ორგანოს აღება სხვა ადამიანისთვის გადასაწყვეტილი დასაშვებია მხოლოდ სიცოცხლის შენარჩუნების, მძიმე ავადმყოფობისგან განკურნების, დაავადების პროგრესირების შეჩერების ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.**

პოტენციური ცოცხალი დონორისგან ინფორმირებული თანხმობის მისაღებად, მას უნდა განემარტოს და მისთვის გასაგებ ენაზე აეხსნას: а) ორგანოს აღებისთვის საჭირო ოპერაციული ჩარევის სახე, მოცულობა, რისკი, რომელიც მის სიცოცხლეს ემუქრება, დონორის ჯანმრთელობაზე ოპერაციული ჩარევის მყისეული და შორეული, უშუალო და გაშუალებული შედეგების უარყოფითი ზეგავლენის შესაძლებლობა; б) ცოცხალი დონორისგან აღებული ორგანოს გადაწყვეტილი შედეგის – წარმატებისა თუ წარუმატებლობის ყველა შესაძლებლობა; გ) ყველა შესაძლო გარემოება, რამაც შეიძლება იმოქმედოს დონორის გადაწყვეტილებაზე (მუხლი 21). მოცემული განმარტებები, პოტენციურ ცოცხალ დონორს უნდა მისცეს სათანადო ლიცენზიის მქონე ექიმის სხვა ექიმის თანდასწრებით, რომელიც არ მონანილეობს ორგანოების აღებასა და გადაწყვეტილების (ეს იმისთვის ხდება, რომ თავიდან იქნას აცილებული სუბიექტური მიდგომა) და, ამავე დროს, სამსახურებრივად, არ ექვემდებარება ორგანოთა გადაწყვეტილი მონანილე ექიმს. დონორისთვის მიცემული განმარტებები და მისი ინფორმირებული თანხმობა უნდა გაფორმდეს კანონით დადგენილი წესით. დონორს უფლება აქვს, შეცვალოს გადაწყვეტილება.

გადაწყვეტილების მიზნით, ცოცხალი დონორი შეიძლება იყოს: а) რეციპიენტის გენეტიკური ნათესავი; რეციპიენტის მეუღლე, თუ ქორნინების რეგისტრაციიდან, გასულია არანაკლებ 1 წელი; რეციპიენტის მეუღლის შვილი, დედა, მამა, შვილშვილი, ბებია, პაპა, და, მამა, თუ ქორნინების რეგისტრაციიდან გასულია არანაკლებ 2 წელი; б) დონორისგან ორგანოს აღება ხდება ჯვარედინო დონორობის პრინციპთ. ჯვარედინო დონორობა ნიშნავს ერთი პოტენციური რეციპიენტის მეუღლის, ან გენეტიკური ნათესავის რომელიმე ორგანოს აღებას მეორე პოტენციური რეციპიენტისთვის გადასაწყვეტილი და შესაბამისად, მეორე პოტენციური რეციპიენტის მეუღლის ან გენეტიკური ნათესავის იმავე ორგანოს აღებას, პირველი პოტენციური რეციპიენტისთვის გადასაწყვეტილი არის ადგენული აქვს ინფორმირებული თანხმობა.

ორგანოთა გადაწყვეტილები არის ბორციელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მედიცინის განვითარების თანამედროვე დონის შესაბამისი გამოკვლევებით დადგენილია, რომ ოპერაციის მყისეული ან შორეული, უშუალო ან გაშუალებული შედეგები არ წარმოადგენს დონორის სიცოცხლისთვის მნიშვნელოვან რისკს და არ გამოიიწვევს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრ გაუარესებას; სათანადო გამოკვლევით დადგენილია, რომ დონორი შეესაბამება იმ კრიტერიუმებს, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია გადაწყვეტილების მიზნით, ცოცხალი ადამიანისგან ორგანოს ასაღებად


<sup>1</sup> კანონი „ადამიანის ორგანოთა გადაწყვეტილის შესახებ“ მუხლი 4

(დონორი წინასწარ გადის გამოკვლევას, ის უნდა იყოს ჯანმრთელი და მისი ორგანოები შეთავსებადი უნდა იყოს რეციპიგნტის ორგანიზმთან). ორგანოს ასაღებად გამიზნული ოპერაცია ტარდება სათანადო ლიცენზის მქონე ექიმის მიერ და შესაბამისი ლიცენზის მქონე დაწესებულებაში.

განმარტება უნდა მიეცეს ასევე რეციპიგნტს, რომელსაც უნდა ეცნობოს ორგანოს გადანერგვით გამოწვეული შედეგების შესახებ.

გადანერგვის მიზნით, შესაძლებელია ორგანოები აღებული იქნას გარდაცვლილი პირის ორგანიზმიდანაც. გარდაცვლილის ორგანოს აღება, როდესაც არ არსებობს სიცოცხლეში განცხადებული თანხმობის ან უარის დამადასტურებელი წერილობითი საბუთი, შეიძლება თუ: ა) არსებობს იმის დამადასტურებელი ფაქტები, რომ ორგანოს აღება არ ეწინააღმდეგება გარდაცვლილის რელიგიურ რწმენას, მის ეთიკურ პრინციპებს. გარდაცვლილის ორგანოს აღების თაობაზე, თანხმობის ან უარის გაცხადების უფლება გააჩნიათ გარდაცვლილი პოტენციური დონორის ქმედუნარიან ახლობლებს: ა) მეუღლეს; ბ) შვილს; გ) მშობელს; დ) შვილიშვილს, შვილიშვილის შვილს; ე) ქმას, დას; გ) ქმისწულს, დისწულს; ზ) ბებას, პაპას; თ) ბიძას, დედას, მამიდას; ი) ბიძაშვილს, დეიდაშვილს, მამიდაშვილს. მოქმედი კანონმდებლობით, თანაბარი უფლების მქონე რამდენიმე ნათესავის არსებობისას, თუნდაც ერთის მიერ უარის განცხადების შემთხვევაში, გარდაცვლილის ორგანოს აღება დაუმცვებელია. ზემოაღნიშნულ პირებს, გარდაცვლილისგან ორგანოს აღების შესახებ გადაცემეტილების მიღების უფლება აქვთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რიგით წინამავალი პირი (პირები), ცოცხალი არ არის ან მისგან გადაწყვეტილების მიღება გადანერგვისთვის დასაშვები დროის განმაცლობაში შეუძლებელია. ასევე, კანონში ჩამოთვლილ პირთაგან, მოცემული რიგითობის მიხედვით, თუ უპირატესი უფლების მქონე პირი თანახმა გარდაცვლილის ორგანოს აღებაზე (საქართველოს კანონი ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ. მუხლი 9).

## ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა



უნდა გვხსოვდეს, რომ ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა კატეგორიულადაა აკრძალული და იწვევეს სისხლის სამართლის ბასუხისმგებლობას, რომლისთვისაც გათვალისწინებულია მქაცრი სასჯელი.<sup>1</sup> დონორობა ალტრუისტული მოქმედებაა, არ შეიძლება ადამიანის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის აღება და მიზნით გადანერგვის ანდა სხვაგვარად გამოყენების მიზნით<sup>2</sup> (სსკ 109-ე მუხლის პ.3, „დ“); „ჯანმრთელობის განზრას მქონე დაზიანება, ჩადენილი: მსხვერპლის სხეულის ორგანოს, არგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის ანდა სხვაგვარად გამოყენების მიზნით“ (სსკ 117-ე მუხლის 7 პ. „დ“ ქვეპუნქტი) 1. სამკურნალოდ, გადასანერგად, ექსპერიმენტისთვის ან სამკურნალო პრეპარატის დასმზადებლად ადამიანის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის აღების იძულება; 2. იგივე ქმედება, ჩადენილი დამაშავისათვის წინასწარ შეცნობით, ორსული ქალის, არასრულწლოვნის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის ანდა დამაშავებები მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებულის მიმართ“ (სსკ მუხლი 134. ადამიანის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის აღების იძულება) ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა ჯგუფის მიერ (სსკ მუხლი 1351. ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა).

<sup>1</sup> სსკ ითვალისწინებს მთელ რიგ მუხლებს, რომლისთვისაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ორგანოთა გადანერგვის სფეროში ჩადენილი დანაშაულებისთვის. ეს დაანაბაზულება „განზრას მქონე დაზიანება: მსხვერპლის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის ანდა სხვაგვარად გამოყენების მიზნით“ (სსკ 109-ე მუხლის პ.3, „დ“); „ჯანმრთელობის განზრას მქონე დაზიანება, ჩადენილი: მსხვერპლის სხეულის ორგანოს, არგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის ანდა სხვაგვარად გამოყენების მიზნით“ (სსკ 117-ე მუხლის 7 პ. „დ“ ქვეპუნქტი) 1. სამკურნალოდ, გადასანერგად, ექსპერიმენტისთვის ან სამკურნალო პრეპარატის დასმზადებლად ადამიანის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის აღების იძულება; 2. იგივე ქმედება, ჩადენილი დამაშავისათვის წინასწარ შეცნობით, ორსული ქალის, არასრულწლოვნის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის ანდა დამაშავებები მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებულის მიმართ“ (სსკ მუხლი 134. ადამიანის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის აღების იძულება) ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა იგივე ქმედება, ჩადენილი არაერთგზის; ჩადენილი ორგანიზმების შესაბამისი ლიცენზის მქონე ექიმის მიერ (სსკ მუხლი 1351. ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა).

ასევე ნებაყოფლობითია, სისხლის დონორობა. საქართველოს კანონი სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის შესახებ მიუთითებს, რომ საქართველოში დონორობის ძირითადი პრინციპია ნებაყოფლობითობა. საქართველოს ყველა ქმედუნარიან მოქალაქეს, 18-იდან 65 წლამდე, შეუძლია გახდეს სისხლის დონორი, თუკი გაივლის სამედიცინო შემოწმებას და არ აღმოაჩნდება დონორის საწინააღმდეგო ჩვენებები. განსხვავებით ორგანოთა და ქსოვილთა დონორობისგან, მოქალაქეს სისხლის ჩაბარება შეუძლია როგორც ქველმოქმედების, ისე ნათესავებისათვის ფულადი ანაზღაურებით დაზღვევის, საკუთარი სისხლის შენახვის მიზნით (კანონი სისხლისა და სისხლის კომპონენტების დონორობის შესახებ. მუხლი 1).

პაციენტი შეიძლება სასწავლო მიზნებითაც გამოიყენონ. პაციენტისგან წინასწარი ინფორმირებული თანხმობის მიღება მაშინაც არის საჭირო, როდესაც პაციენტს სწავლების ობიექტად გამოიყენებენ. ქმედუნარო ან გაცნობიერებული გადაწყვეტილების უსარს მოკლებული პაციენტისთვის სამედიცინო ჩარევის განხორციელება, მისა ჩართვა სამედიცინო განათლებასა და სამეცნიერო კვლევების პროცესში, დასაშევებია მხოლოდ მისი წინასწარ გაცხადებული ნების გათვალისწინებით, ხოლო თუ ასეთი არ არსებობს, მისა ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებული თანხმობით (კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ. მუხლი 11).

მიუხედავად ამისა, სასწავლო მიზნით პაციენტის გამოყენებისას, ყოველთვის არ არის სავალდებული მისი თანხმობის მიღება. ეს შესაძლებელია მოხდეს შემდეგ შემთხვევებში: პაციენტის სამედიცინო დოკუმენტაციაში არსებული ინფორმაცია არ იძლევა პაციენტის იდენტიფიკაციის საშუალებას; მკურნალობისა და დიაგნოსტიკის პროცესში მიღებულია მასალა (მაგალითად სისხლი, ქსოვილები), რომლითაც დაცულია პაციენტის ანონიმურობა.

სასწავლო და სამეცნიერო მიზნით პაციენტის ინფორმაციის გამოყენებისას, მონაცემები ისევა წარმოდგენლია, რომ შეუძლებელია ამ პირის ამოცნობა ანუ იდენტიფიცირება; ინფორმაციის გათქმას ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობა (მაგალითად, პაციენტის შესახებ ინფორმაციის გაცემას ითხოვს პროცესის მნარმოებელი რგანოები, სასამართლო). სამედიცინო მომსახურების გამწევის მიერ სამედიცინო მომსახურებაში მონაწილე სხვა პირებისთვის, პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება პაციენტის სპეციალურ წერილობით თანხმობას არ მოითხოვს. ამ დროს, პაციენტის თანხმობა ნაგულისხმებად შეიძლება ჩაითვალოს<sup>1</sup> (მაგალითად, მკურნალი ექიმის მიერ კონსილიუმის მოწვევა სხვა ექიმების მონაწილეობით).

## პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და კონფიდენციალურობა

ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაცია საკმაოდ სპეციფიურია და განსაკუთრებულ დაცვას საჭიროებს. ბევრ ქვეყანას და მათ შორის საქართველოს აქვს კანონმდებლობა „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“, სადაც ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაციის დაცვის შესახებ ვალდებულება კანონითაა განსაზღვრული გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მონაცემთა დამუშავება ხორციელდება საზოგადოებრივი, ან ფიზიკური პირის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, ან თუ ინფორმაციის დამუშავება აუცილებელია ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მართვისა და ფუნქციონირებისათვის.<sup>2</sup>

<sup>1</sup> საქართველოს კანონი პაციენტთა უფლებების შესახებ. მუხლი 28, მე-2 პუნქტი.

<sup>2</sup> საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ მუხლი 6.2 „ე“.

ჩვენი, როგორც პაციენტის პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაცია (მაგალითად, ინფორმაცია გენეტიკურ დავადებათა შესახებ, ოჯახის წევრის ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ და სხვა) და პირადი მონაცემების (მაგ: რაიმე ნიშანი სხულზე, სხეულის ნაწილების დეფექტი და სხვა) კონფიდენციალურობა, დაცულია კანონით.<sup>1</sup>

გარდა ამისა, საქართველოს კანონი „პაციენტის შესახებ“ ექიმს ავალდებულებს საიდუმლოდ შეინახოს პაციენტის შესახებ მის ხელთ არსებული ინფორმაცია. ამ ინფორმაციის შენახვის ვალდებულება ექიმს პაციენტის გარდაცვალების შემდეგაც გააჩნია.<sup>2</sup>

კონფიდენციალური ინფორმაციის უკანონოდ მოპოვება, შენახვა ან გავრცელება-გამულავნება, სისხლის სამართლის კოდექსით, დანაშაულად არის მიჩნეული. სამედიცინო პერსონალი და სამედიცინო მომსახურების გამწვევი შებოჭილია საექიმო საიდუმლოებით, რომელიც გულისხმობს, რომ სამედიცინო დაწესებულება და სამედიცინო პერსონალი, პაციენტის შესახებ ინფორმაციას იცავს როგორც მის სიცოცხლეში, ისე მისი გარდაცვალების შემდეგ (კანონი პაციენტთა უფლებების შესახებ. მუხლი 27). კონფიდენციალური ინფორმაციის უკანონოდ მოპოვება, შენახვა ან გავრცელება-გამულავნება, სისხლის სამართლის კოდექსით, დანაშაულად არის აღიარებული (სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლი).

სამედიცინო (საექიმო) საიდუმლო, არის ექიმისა და სხვა სამედიცინო პერსონალის მიერ, პროფესიული საქმიანობის პროცესში, პაციენტის ფიზიკური, ფსიქიკური მდგომარეობის, მისი საზოგადოებრივი ან სამსახურებრივი საქმიანობის, ოჯახური ან პირადი ცხოვრების შესახებ მიღებული ინფორმაცია, რომელიც მოიცავს ექიმისთვის მიმართვის ფაქტსაც, აგრეთვე – სიკვდილის გარემოებებს (კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ. მუხლი 3, პ.ჩ<sup>ჩ</sup>).

კონფიდენციალური ინფორმაციის გაცემა შესაძლებელია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, რომელსაც განსაზღვრავს კანონი. ეს ხდება შემდეგ შემთხვევებში: ინფორმაციის გაცემაზე მიღებულია პაციენტის თანხმობა; ინფორმაციის გაუმჯდავნებლობა საფრთხეს უქმნის მესამე პირის (რომლის ვინაობა ცნობილა) სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას; ინფორმაციის გაუმჯდავნებლობა, საფრთხეს უქმნის მესამე პირის (რომლის ვინაობაც (ცნობილა) სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას; სასწავლო ან სამეცნიერო მიზნით პაციენტის შესახებ ინფორმაციის გამოყენებისას მონაცემები ისეა წარმოდგენილი, რომ შეუძლებელია პიროვნების იდენტიფიკაცია; არსებობს დასაბუთებული ეჭვი საგალდებულო აღრიცხვას დაქვემდებარებულ დაავადებაზე; ინფორმაცია მიეწოდება სამედიცინო მომსახურების მონაწილე სხვა სამედიცინო პერსონალს; ინფორმაციის გამულავნება აუცილებელია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზისთვის; ინფორმაციის გამულავნებას სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად მოითხოვენ სამართალდამცავი ორგანოები, ან ინფორმაციის გათქმის მოითხოვს პროცესის მწარმოებელი ორგანო; ინფორმაცია მიეწოდება სახელმწიფო ორგანოებს, პაციენტისთვის სოციალური შეღავათების დაცვის შესახებ. მუხლი 28; კანონი პაციენტთა უფლებების შესახებ. მუხლი 48).

<sup>1</sup> მედიცინის მუშაკი და სამედიცინო დაწესებულების კველა თანამშრომელი მოვალეა, დაიცვას სამედიცინო (საექიმო) საიდუმლო, გარდა იმ შემთხვევებისა როცა კონფიდენციალური ინფორმაციის გამულავნებას მოითხოვს გრძაცვლილის ნათესავი ან კანონერი წარმომადგენელი, სასამართლო, საგამოძიებო ორგანოები, ან ეს აუცილებელია საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველაყოფად, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად (კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ. მუხლი 42); კანონი პაციენტთა უფლებების დაცვის შესახებ.

<sup>2</sup> საქართველოს კანონი „პაციენტთა უფლებების შესახებ“ მუხლი 28.

დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტს უფლება აქვს ჩაერიოს პაციენტის ოჯახურ და პირად ცხოვრებაში, თუ: а) ჩარევა აუცილებელია პაციენტის დაავადების პრევენციისთვის, დიაგნოსტიკის, მკურნალობის, რეაბილიტაციისა და პალიატიური მზრუნველობისთვის. ამ შემთხვევაში, საჭიროა პაციენტის თანხმობა; ბ) ჩაურევლობა სერიოზულ საფრთხეს უქმნის პაციენტის ოჯახის წევრების ჯანმრთელობას ან/და სიცოცხლეს (კანონი საექიმო საქმიანობის შესახებ. მუხლი 49).

სამედიცინო მომსახურების გამწვევის მიერ სამედიცინო მომსახურებაში მონაწილე სხვა პირებისთვის (მაგალითად, სხვა დარღვის ექიმი, ექთანი), პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაციის გამუღავნებაზე პაციენტის თანხმობა ნაგულისხმებად შეიძლება ჩაითვალოს.

**საგულისხმები თანხმობა** – ის შემთხვევაა, როდესაც პაციენტმა მიმართა ექიმს სამედიცინო დახმარების მისაღებად, ხოლო ეს უკანასკნელი, მიუხედავად წერილობითი ან სიტყვიერი შეთანხმების არარსებობისა, გაესაუბრა მას, გასინჯვა და ა.შ. ამ მომენტიდან, ექიმს ეკისრება კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა პაციენტის მიმართ (საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ. მუხლი 3 პ. „პ“).

პაციენტის იჯახურ და პირად ცხოვრებაში ჩარევა აკრძალულია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ჩარევა აუცილებელია პაციენტის დიაგნოსტიკის, მისი მკურნალობისა და მოვლისთვის. ამ შემთხვევაში თანხმობა აუცილებელია.

პირად ცხოვრებაში ჩარევა შესაძლებელია მაშინაც, როდესაც საფრთხე ექმნება პაციენტის იჯახის წევრთა ჯანმრთელობას ან/და სიცოცხლეს. ამ შემთხვევაში, ინფორმაცია უნდა მიეწოდოს პაციენტის იჯახის წევრებს (მაგალითად, გადამდები ინფექციური დაავადებების შემთხვევაში, აივ/შიდსის დაავადებისას). საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, აივ/შიდსის განზრახ შეყრის საფრთხე ან შეყრა, დანაშაულად არის ალიარებული (მუხლი 131).

სამედიცინო მომსახურების განევისას (მაგალითად, ექოსკოპის დროს, სამედიცინო გამოკვლევების ჩატარებისას და სხვ), დასაშვებია მხოლოდ მასში უშუალოდ მონაწილე პირთა დასწრება, გრძდა იმ შემთხვევებისა, როცა პაციენტი თანახმაა ან მოითხოვს სხვა პირთა დასწრებას.

სამედიცინო მომსახურების გამწვევი ვალდებულია, პაციენტის შესახებ მის ხელთ არსებული ინფორმაციის კონფიდენციალობა დაიცვას როგორც პაციენტის სიცოცხლეში, ისე მისი სიკვდილის შემდეგ.

**მეორე აზრის მოძიების უფლება.** პაციენტს უფლება აქვს, მეორე აზრის მოსაძიებლად, დაუბრკოლებლად მიმართოს სხვა ექიმს ან სამედიცინო დანესახულებას (კანონი პაციენტთა უფლებების შესახებ. მუხლი 8).


მეორე აზრი – ავადმყოფობის დიაგნოზის, პროგნოზის, მკურნალობის მდგრადი მეთოდის შესახებ იმ სპეციალისტის აზრი, რომელსაც პაციენტი მიმართავს მკურნალი ექიმის გვერდის ავლით იმ შემთხვევაში, თუ იგი არ არის დარწმუნებული დიაგნოზისა და მკურნალობის სისწორეში, ან განზრახული სამკურნალო მეთოდის გამოყენებას თან სდევს სერიოზული შედეგები (მაგალითად, დამასახიჩრებელი ოპერაცია. კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ. მუხლი 3, პ.მ“).

არავის შეუძლია პაციენტს დაუშალოს მეორე აზრის მოძიება და გათვალისწინება.



## არავის შეუძლია პაციენტს დაუშალოს

### მეორე აზრის მოძიება



**სამედიცინო პერსონალისა და სამედიცინო დაწესებულების არჩევის უფლება.** თეულ ჩვენგანს, როდესაც გამოვდივართ პაციენტის როლში, უფლება გვაქვს ავირჩიოთ და ნებისმიერ დროს შევიცვალოთ სამედიცინო მომსახურების გამწევი. ეს კი გულისხმობს, რომ ნებისმიერ პაციენტს საკუთარი შეხედულებებისამებრ შეუძლია მიმართოს მისთვის სასურველ, დამოუკიდებელ საექიმო საქმიანობის სუბიექტს ან სახელმწიფო ლიცენზიის მქონე ნებისმიერ სამედიცინო დაწესებულებას.

სამედიცინო საქმიანობის სუბიექტად ჩაითვლება პირი, რომელსაც გააჩნია უმაღლესი სამედიცინო განათლება და დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერთიფიკატი და ენევა პროფესიულ საქმიანობას, რომლის შედეგებზეც ის პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (საქართველოს კანონი საექიმო საქმიანობის შესახებ. მუხლი 5, „ბ“პ).

**სამედიცინო დაწესებულება.** სამედიცინო დაწესებულება არის საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის იურიდიული პირი, რომელიც დადგენილი წესით ახორციელებს სამედიცინო საქმიანობას. სამედიცინო დაწესებულების ფინანსურ რესურსებში, სამედიცინო საქმიანობიდან მიღებული ნაწილი შეადგინს არანაკლებ 75%-ისა, ხოლო მის ბალანსზე არსებული ძირითადი ფონდების საშუალო წლიური ღირებულების არანაკლებ 75%-ისა, დაკავებულია და ასრულებს შემდეგ ფუნქციებს: ა) პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის განსაზღვრა; ბ) დაავადებათა პროფილაქტიკა ან/და მკურნალობა, ან/და პაციენტების რებილიტაცია, ან/და პალიატიური მზრუნველობა; გ) სამედიცინო საქმიანობა; დ) ფარმაცევტული საქმიანობა; ე) გვამის პათოლოგიურ-ანატომიური გამოკვლევა, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა. ზ) ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების განხორციელება (კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ. მუხლი 53). სამედიცინო საქმიანობის სფეროში შესაბამის უფლების დამადასტურებელ დოკუმენტს (ლიცენზიას ან/და ნებართვას), გასცემს საქართველოს მრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (მუხლი 54).

**ტერმინალური მდგომარეობა.** ყველა ქმედუნარიან პირს უფლება აქვს, წინასწარ, წერილობით გამოხატოს ნება განუკურნებელი დაავადების ტერმინალურ სტადიაში აღმოჩენის შემთხვევაში მისთვის სარეანიმაციო, სიცოცხლის შემანარჩუნებელი ან პალიატიური მკურნალობის, ან/და პალიატიური მზრუნველობის ჩატარების შესახებ. ტერმინალური მდგომარეობა ნიშნავს უკურნებელი დაავადების სიკვდილისწინა სტადიას.

ადამიანს განსაკუთრებული მზრუნველობა სქირდება მაშინაც, როდესაც ის დაავადებულია უკურნებელი დაავადებით და მისი გადარჩენის შანსი აღარ არსებობს. ასეთ მდგომარეობის პაციენტზე მზრუნველობას პალიატიური მზრუნველობა ენიდება. პალიატიური მზრუნველობა ნიშნავს აქტიურ, მრავალპროფილურ მზრუნველობას, რომლის უპირველესი ამოცანაა ტერიტორია და სხვა პათოლოგიური სიმპტომების მოხსნა, ავადმყოფთა სოციალური და ფსიქოლოგიური დახმარება, სულიერი თანადგომა. პალიატიური მზრუნველობა ვრცელდება იმ პაციენტებზე, რომლებიც დაავადებული არიან უკურნებელი სენიტ და მათი დაავადება მკურნალობას აღარ ეჭვემდებარება. პალიატიური მზრუნველობა მიზნად ისახავს ავადმყოფთა სოციალურ და ფსიქოლოგიურ დახმარებას, სულიერ თანადგომას. ამგარი მზრუნველობით შესაძლებელია ავადმყოფისა და მათი ოჯახის წევრების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება.

პაციენტს უფლება აქვს, წერილობითი ფორმით, წინასწარ გამოხატოს ნება (თანხმობა ან უარი) უგონო მდგომარეობაში აღმოჩენისას ან გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის დაკარგვისას, მისთვის სარეანიმაციო, სიცოცხლის შემანარჩუნებელი ან პალიატიური მკურნალობის ან/და პალიატიური მზრუნველობის ჩატარების შესახებ, თუ ეს გარემოებები განპირობებულია: ა) განუკურნებელი

დაავადების ტერმინალური სტადიოთ; ბ) დაავადებებით, რომლებიც აუცილებლად გამოიწვევს მძიმე ინვალიდობას (კანონი პაციენტთა უფლებების შესახებ. მუხლი 24).

**ოჯახის დაგეგმვა.** ყველას აქვს უფლება, დამოუკიდებლად განსაზღვროს შვილების რაოდენობა და მათი დაბადების დრო. სახელმწიფო არ ერევა ოჯახის დაგეგმარებაში, ის მხოლოდ უზრუნველყოფს ადამიანის უფლებებს რეპროდუქციის სფეროში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. გარდა ამისა, დასაქორნინებელ და შეილის ყოლის მსურველ წყვილებს სახელმწიფო უზრუნველყოფს უფასო კონსულტაციით.

## ორსული და მეცნიერებელი დელების უფლებები

ორსულ და მეცნიერებელ დედას უფლება აქვს სამედიცინო მომსახურების გამნენებისაგან მიღლის სრული, ობიექტური, დროული და გასაგები ინფორმაცია ორსულობის, მშობარობისა და ლოგინობის პერიოდში დაგეგმილი ნებისმიერი ჩარევის შემთვევაში, ნაყოფზე ან ახლადშებილზე შესაძლო პირდაპირი ან ირბი მავნე ზემოქმედების, რისკების შესახებ ინფორმაცია. ინფორმაციის მიღება შეეხება ორსულობის ნებისმიერ სტადიას და გულისხმობას არა მხოლოდ ორსულობისა და ნაყოფის, ან ახლადშებილის შესახებ სამედიცინო ინფორმაციის მიღებას, არამედ ორსულობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებს, მათ შორის, ფინანსურ და მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯებისა და ვაუჩერით სარგებლობის შესახებ ინფორმაციას.

მშობიარეს უფლება აქვს, მიღლის გადაწყვეტილება მისი და ნაყოფის სამედიცინო მომსახურების განვევის შესახებ, მაგრამ მას

არ აქვს უფლება უარი თქვას ისეთ სამედიცინო

მომსახურებაზე, რომელიც უზრუნველყ-

ოფს ცოცხალი ნაყოფის დაბადებას და

რომელიც მშობიარის ჯანმრთელობისა

და სიცოცხლისთვის მინიმალური რისკის

მატარებელია (კანონი პაციენტთა უფლებების შესახებ. მუხლი 36). ასევე, მშობიარეს არ აქვს

უფლება უარი თქვას საკეისრო კვეთაზე მისი

აბსოლუტური ჩვენების შემთხვევაში, ანუ ისეთ

შემთხვევაში, როდესაც საკეისრო კვეთა უზრუნველყოფს ცოცხალი ნაყოფის დაბადებას და მშობიარის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის

მინიმალური რისკის მატარებელია. მშობიარეს არ

აქვს უფლება, უარი განაცხადოს ისეთ სამედიცინო მანიპულაციებზე, როგორიცაა

პერიოდული გამოკვლევების ჩატარება, სისხლის გადასხმა და სხვა, რაც საფრთხეს

შეუქმნის ნაყოფს.

მშობიარეს, მშობიარობის პროცესში, უფლება აქვს გვერდით იყოლიოს მეუღლე ან სხვა მისთვის სასურველი პირი. მელოგინე ქალს უფლება აქვს, გვერდით იყოლიოს ახლადშებილი და საკუთარი შეხედულებებისამებრ კვებოს (აქ იგულისხმება, მელოგინე აირჩევს ძუძუთი კვებას, თუ ხელოვნურ კვებას) თუ სამედიცინო მომსახურების გამნევი ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, მის სხვაგან გადაყვანას არ გადაწყვეტს.

სახელმწიფო ფარაგს ორსულობისა და მშობიარობის ხარჯებს. დღევანდელი მონაცემებით, ერთი ორსულის მართვის ღირებულება, განისაზღვრება 55 ლარით. ეს თანხა 4 ვიზიტზეა გადანანილებული. რაც შეეხება ანტენატალურ სკრინინგს აივ-ინ-

## სახელმწიფო ფარაგს ორსულობისა და

### მშობიარობის ხარჯებს



ფექციაზე, B ჰეპატიტსა და ათაშანგზე, მისი ღირებულება განისაზღვრება 12 ლარით. მაღალი რისკის ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა სამედიცინო მომსახურების ღირებულება, მძიმე შემთხვევების დროს, 833 ლარით განისაზღვრება და ანაზღაურდება 25% პაციენტთა თანაგადახლით. სეფსისით დაავადებულ მელოგინეთა მკურნალობა კი 3000 ლარს შეადგენს.<sup>1</sup> სადაზღვევო ვაუჩერით ხდება სტაციონარული მომსახურების ხარჯების ანაზღაურება. ვაუჩერით იფარება გართულებულ ორსულობასთან, მშობიარობასთან და ლოგინობის ხანასთან დაკავშირებული თანხებიც.

ფიზიოლოგიური ორსულობისა და მშობიარობის ხარჯები სადაზღვევო ვაუჩერით იფარება, რომელიც ეძლევათ: “სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის”, “სახალხო არტისტების, სახალხო მხატვრებისა და რუსთაველის პრემიის ლაურეატების ჯანმრთელობის დაზღვევის”, “კომპაქტურ დასახლებებში მყოფ იძულებით გადაადგილებულ პირთა სამედიცინო დაზღვევის”, საქართველოს საჯარო სკოლებისა და პროფესიული სწავლების ცენტრების მასწავლებლების, საჯარო სკოლების ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალისა და ზოგიერთი დაწესებულების აღმზრდელთა ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გადასაცემი სადაზღვევო ვაუჩერის პირობების მიხედვით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის №218 დადგენილებებით განსაზღვრულ მოსარგებლებს.

გართულებული ორსულობისა და მშობიარობის შემთხვევაში, სამედიცინო მომსახურება ორსულს (მელოგინეს) სამენო მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში უფასოდ უტარდება. გართულებული ორსულობის, მშობიარობისა და მელოგინეთა კრიტიკული მდგომარეობის მართვა, მხოლოდ პირველი 6 დღის განმავლობაში ტარდება უფასოდ და მკურნალობის თანხა იფარება პროგრამის მიერ.

ასევე, იფარება სეფსისით გართულებული მშობიარობის ხარჯები და მისი ღირებულება 3000 ლარს შეადგენს. გართულებული ორსულობისა და მშობიარობის, ან მძიმე ლოგინობის პერიოდის მართვა იფარება პირველი 6 დღის განმავლობაში და მისი ღირებულება, 2,177 ლარს შეადგენს. იფარება “სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის”, “სახალხო არტისტებს, სახალხო მხატვრებისა და რუსთაველის პრემიის ლაურეატების ჯანმრთელობის დაზღვევის”, “კომპაქტურ დასახლებებში მყოფ, იძულებით გადაადგილებულ პირთა სამედიცინო დაზღვევის” ვაუჩერით მშობიარობასთან დაკავშირებული ხარჯები.

სადაზღვევო ვაუჩერით ხდება სტაციონალური მომსახურების ხარჯების დაფარვა, მათ შორის ვაუჩერით იფარება გართულებულ ორსულობასთან, მშობიარობასთან და ლოგინობის პერიოდთან დაკავშირებული თანხა.

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ორსულს რამდენჯერ ეკუთვნის უფასო კონსულტაცია?

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ორსულს ეკუთვნის უფასო კონსულტაცია 4-ჯერ, ორსულობის მე-13 კვირიდან ორსულობის 38 კვირამდე. ექიმთან I ვიზიტი – ორსულობის 13 კვირაზე; ექიმთან II ვიზიტი – ორსულობის 18-20 კვირაზე; ექიმთან III ვიზიტი – ორსულობის 30-32 კვირაზე; ექიმთან IV ვიზიტი – ორსულობის 34-38 კვირაზე.

<sup>1</sup> სამეცნიერო მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია შემდეგი მომსახურება: ანტენატალური მეოგალურეობა, რომელიც მოიცავს ოთხ სავალდებულო ვიზიტს მეან-გინეკოლოგთან, ლაბორატორიულ გამოკვლევებს, რისკ-ჯგუფის ორსულების გამოვლენას.

## ხელოვნური განაყოფილება

საქართველოს კანონმდებლობით, ნებადართულია ხელოვნური განაყოფიერება, რომელიც ხორციელდება დონორის სპერმის მეშვეობით ან ექსტრაკორპორალურად, ინვიტრო (სინჯარაში) განაყოფიერებით, როდესაც ქალის კვერცხუჯრედში საერმა შეჰყავთ ლაბორატორიულ პირობებში და ამის შემდეგ ხდება ქალის ორგანიზმი კვერცხუჯრედის გადანერგვა. განაყოფიერების მეთოდის გამოყენება, ემბრიონის იმპლანტაცია (გადანერგვა) ქალის ორგანიზმი და განაყოფიერებისას დონორის ვინაობა სამედიცინო საიდუმლოებას წარმოადგენს. ხელოვნური განაყოფიერების განმახორციელებელი ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულება შესაბამის ინფორმაციას კონფიდენციალურად ინახავს.

ხელოვნური განაყოფიერების მიზნით, შესაძლებელია გაყინვის მეთოდით კონსერვირებული ქალისა და მამაკაცის სასქესო უჯრედების ან ემბრიონის გამოყენება. დადგენილი წესით, კონსერვაციის დრო განისაზღვრება წყვილის სურვილისამებრ (საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ. მუხლი 144).

განაყოფიერება შესაძლებელია მოხდეს დონორის სპერმის მეშვეობით. დონორის სპერმით განაყოფიერება ნებადართულია შემდეგ შემთხვევებში: უშვილობის გამო, ქმრის მხრიდან გენეტიკური დაავადების გადაცემის რისკის არსებობისას, ან მარტოხელა ქალის განაყოფიერებისთვის, თუ მიღებულია უშვილო წყვილის ან მარტოხელა ქალის წერილობითი თანხმობა. ბავშვის დაბადების შემთხვევაში, უშვილი ან მარტოხელა ქალი მშობლებად ითვლებან. აქედან გამომდინარე, პასუხისმგებლობით და უფლებამოსილებით, განაყოფიერების შედეგად დაბადებული ბავშვის მამად ცნობის უფლება დონორს არ აქვს.

ექსტრაკორპორალური განაყოფიერება ნებადართულია: უშვილობის მკურნალობის მიზნით, აგრეთვე ცოლის ან ქმრის მხრიდან გენეტიკური დაავადების გადაცემის რისკის არსებობისას, წყვილის ან დონორის სასქესო უჯრედების ან ემბრიონის გამოყენებით, თუ მიღებულია წყვილის წერილობითი თანხმობა.

აკრძალულია სქესის შერჩევის მიზნით ხელოვნური ჩასახევის მეთოდების გამოყენება გარდა იმ შემთხვევებისა, როცა აუცილებელია სქესთან შეჭიდული მემკვიდრეობითი დაავადების თავიდან აცილება.

განაყოფიერება ტარდება მხოლოდ სათანადო ლიცენზიის მქონე დაწესებულებაში და მას ატარებს შესაბამისი ლიცენზიის მქონე ექიმი (საქართველოს კანონი “ჯანმრთელობის დაცვის შესახებ”. მუხლი 141).

## სუროგატი დაღა

თუ ქალს არ აქვს საშვილოსნო, განაყოფიერების შედეგად მიღებული ემბრიონის სხვა ქალის (სუროგატული დედის) საშვილოსნოში გადატანისა და გამოზრდის გზით, ცოლ-ქმრის წერილობითი თანხმობა აუცილებელია. სუროგატობა ნებაყოფლობითი და ვოლუნტარული აქტია, ანუ არ ითვალისწინებს რაიმე ანაზღაურებას. იფარება მხოლოდ სუროგატი დედის სამედიცინო გამოკვლევები და სამედიცინო ხარჯები.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბავშვის დაბადების შემთხვევაში, წყვილი ითვლება მშობლებად. აქედან გამომდინარე, პასუხისმგებლობითა და უფლებამოსილებით, დონორს ან “სუროგატულ დედას”, დაბადებული ბავშვის მშობლად (ცნობის უფლება არ აქვს (ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონი. მუხლი 143)).

## პპრტი

ოჯახის დაგეგმარება გულისხმობს არა მარტო შვილების გაჩენისა და მათი დაბადების დროის განსაზღვრას, არამედ აბორტსაც. აბორტი ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტას ნიშნავს. 1955 წლიდან საქართველოში აბორტი ლეგალიზებულია. ქალთა ჯანმრთელობის დაცვა აბორტების შემცირების გზით სახელმწიფოს პრიორიტეტული ამოცანაა.

ორსულობის ნებაყოფლობითი შეწყვეტა ნებადართულია მხოლოდ ლიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებაში, ლიცენზირებული ექიმის მიერ, თუ: ა) ორსულობის ხანგრძლივობა არ აღემატება თორმეტ კვირას; ბ) ორსულს სამედიცინო დაწესებულებაში ჩაუტარდა ნინასწარი გასაუბრება და გასაუბრებიდან მოვალეობის დროს, ექიმმა უპირატესობა უნდა მიანიჭოს ნაყოფის სიცოცხლის დაცვას. არჩევანი – ქალის პრეროგატივაა.

თორმეტ კვირაზე მეტი ხანგრძლივობის ირსულობის შემთხვევებში, აბორტი ნებადართულია მხოლოდ სამედიცინო (მაგალითად, ნაყოფის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისუნარის გათვალისწინებით) და სოციალური ჩვენებების მიხედვით (მაგალითად, ისეთ შემთხვევებში, როდესაც ორსულობა ძალადობის შედეგია). სამედიცინო ჩვენებების ჩამონათვალს ადგენს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო.

არალიცენზირებულ დაწესებულებაში, არალიცენზირებული ექიმის მიერ აბორტის განხორციელება უკანონო აბორტად ითვლება და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 133-ე მუხლით, დასჯად ქმედებად ცხადდება. ასევე, აკრძალულია აბორტის რეკლამა.

მზშვენელოვანია ალინშნოს, რომ აბორტი ყოველთვის უკავშირდება განსაზღვრულ რისკს, რომლის შესამცირებლად ამგვარი ჩარევა მხოლოდ სამედიცინო დაწესებულებაში უნდა მოხდეს და ის კვალიფიციურმა ექიმმა უნდა ჩაატაროს. ამასთან, მნიშვნელოვანია იმის ცოდნაც, რომ თუ პაციენტი სამედიცინო დაწესებულებას დროულად მიმართავს, ირსულობის ადრეულ ვადაზე შესაძლებელია ჩატარდეს მედიკამენტოზური აბორტი (ეგრედ წოდებული მინი-აბორტი), რომლის გართულების რისკი გაცილებით დაბალია.

ამჟამად, კონტრაცეფციის ანუ არასასურველი ორსულობის თავიდან აცილების რამდენიმე ლეგალური მეთოდი არსებობს. ესენია ჰორმონალური კონტრაცეფცია, საშვილონოსშიდა კონტრაცეფცია, ნებაყოფლობითი ქირურგიული სტერილიზაცია, ბარიერული მეთოდები, სპერმიციდები.

## ქალი და შიღა

აივ/შიღა, XX საუკუნის ერთ-ერთ უმძიმეს დაავადებას წარმოადგენს. შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი (შიღა), ინფექციური დაავადებაა, რომელსაც იწვევს ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი (aiiv-HIV/AIDS). დაავადებას ასევე ენოდება ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით ინფექცია (აივ ინფექცია). საკუთრივ, ტერმინით „შიღას“, ალინშნება აივ ინფექციის განვითარების ბოლო სტადია, როდესაც ავადმყოფს უვითარდება დაავადების კლინიკური ნიშნები. აივ ინფექცია/შიღა თავისი გავრცელების სასათო, მიმდინარეობითა და შედეგებით, განსაკუთრებით საშიშ ინფექციათა რიცხვს განეკუთვნება.

შიღის ვირუსი გადაეცემა მხოლოდ სქესობრივი გზით, ინფიცირებულის სისხლთან ან მისი ცალკეული კომპონენტების გადასხმით, ორგანოთა ტრანსპლანტაციის დროს, აივ ინფიცირებულის სისხლით დაბინძურებული შპრიცის, ნემსისა და სხვა სამედიცინო ინსტრუმენტების გამოყენების შემთხვევაში; ინფიცირებული დედისგან

## გასორვები!

შიდსი არ გადადის ჰაერზეთოვანი გზით, ნერჩყვით, ხველებით, დაცემინებით, ხელის ჩამორთმევით, საერთო ტუალეტითა და აბაზანით, საერთო ჭურჭლით... არ არის საშიში აივ ინფიცირებულთან ერთად ყოფნა საზოგადოებრივ ადგილებში. ვირუსი არ გადადის მწერებისა და ცხოველების საშუალებით.

შიდსზე უფასო გამოკვლევას. ამ უფლებით სარგებლობენ როგორც საქართველოს მოქალაქეები, ისე საქართველოში მუდმივად ან დროებით მყოფი პირები, ასევე უცხოელები და მოქალაქეობის არმქონე პირები. ამგარი გამოკვლევები ნებაყოფლობითა. გამოკვლევა-ტესტირება აივ ინფექციაზე ტარდება პირისგან ნებაყოფლობითი ინფორმირებული თანხმობის მიღების შემდეგ, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, როდესაც აივ ინფექციაზე ტესტირება სავალდებულოა. იმ პირთა ნუსას, თუ ვინ უნდა გაიაროს სავალდებულო ტესტირება, განსაზღვრავს კანონი აივ ინფექცია/მიღსის შესახებ. ეს პირებია:

- ა) სისხლისა და სისხლის კომპონენტების დონორები;
- ბ) ორგანოებისა და ორგანოთა ნაწილების დონორები;
- გ) ქსოვილების დონორები;

დ) კვერცხუჯრედისა და სპერმის დონორები (მუხლი 6).

სამედიცინო დაწესებულება უფლებამოსილია, ახლადშობილს, მშობლის თანხმობის გარეშე, ჩაუტაროს ტესტირება აივ ინფექციაზე. კანონი განსაზღვრავს ამგვარ შემთხვევებს:

- თუ მშობლის აივ სტატუსი უცნობია;
- მშობელი უარს აცხადებს ტესტირებაზე;
- არსებობს საფუძვლიანი ეჭვი მისი ინფიცირებულობის შესახებ.

შიდსზე შემოწმება ანონიმურია. “ჯანმრთელობის დაცვის შესახებ”, “პაციენტთა უფლებების შესახებ” და “აივ/შიდსის შესახებ” კანონების შესაბამისად, სამედიცინო კლინიკა, რომელიც ახორციელებს აივ ინფიცირებულთა/შიდსით დაავადებულთა და-აგნოსტიკას, მკურნალობას, პროფილაქტიკას, მხარდაჭერას/ხელ-შეწყობას ან/და მოვლას, ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალურობა პირის აივ ინფიცირების/შიდსით დაავადების შესახებ. ასეთივე ვალდებულება გააჩნიათ იუ-რიდიულ და ფიზიკურ პირებს. ეს ინფორმაცია დაცულია, როგორც დაავადებულის სიცოცხლეში, ისე მისი სიკვდილის შემდეგ. კანონი “აივ/შიდსის შესახებ”, განსაზღვრავს იმ შემთხვევებს, როდე-საც დაშვებულია მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულების მიერ, აივ ინფიცირებულის/შიდ-სით დაავადებულის შესახებ, კონფიდენციალური ინფორმაციის გამუღავნება:

ნაყოფზე, ან ახლადშობილზე მუცლა-დყოფნის პერიოდში, მშობიარობის ან ქუძუთი კვების დროს.

აივ ინფიცირების/შიდსით დაავადებულთა უფლებებსა და ინტერესებს, არეგულირებს საქართველოს 2009 წლის კანონი „აივ ინფექცია/მიღსის შესახებ“. აივ/ ინფიცირებული/შიდსით დაავადებულ პირთა, როგორც პაციენტის შესახებ, საუპარია საქართველოს კანონში “ჯანმრთელობის დაცვის შესახებ” და საქართველოს კანონში “პა-ციენტთა უფლებების შესახებ”.

სახელმწიფო უზრუნველყოფს აივ/

შიდსზე უფასო გამოკვლევას. ამ უფლებით სარგებლობენ როგორც საქართველოს მოქალაქეები, ისე საქართველოში მუდმივად ან დროებით მყოფი პირები, ასევე უცხოელები და მოქალაქეობის არმქონე პირები. ამგარი გამოკვლევები ნებაყოფლობითა. გამოკვლევა-ტესტირება აივ ინფექციაზე ტარდება პირისგან ნებაყოფლობითი ინფორმირებული თანხმობის მიღების შემდეგ, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, როდესაც აივ ინფექციაზე ტესტირება სავალდებულოა. იმ პირთა ნუსას, თუ ვინ უნდა გაიაროს სავალდებულო ტესტირება, განსაზღვრავს კანონი აივ ინფექცია/მიღ-სის შესახებ. ეს პირებია:



## შიდსზე შემოწმება

### ანონიმურია



ა) თუ აივ ინფორმაციულისგან/შიდსით დაავადებულისგან, მიღებულია ინფორმირებული თანხმობა;

ბ) თუ არსებობს აივ ინფორმაციულის/შიდსით დაავადებულის წინასწარ განცხადებული წერილობითი თანხმობა, მისი გარდაცვალების შემთხვევაში, ინფორმაციის გაცემის შესახებ.

მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულება ვალდებულია, აივ ინფორმაციულს/შიდსით დაავადებულს მოსთხოვოს ინფორმაცია იმ პირთა (სქესობრივ პარტნიორთა) შესახებ, რომლებთანაც მას ჰქონდა ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით რისკის შემცველი კონტაქტი. თუკი შიდსით დაავადებული არ ამხელს ამ პირთა ვინაობას, ამ პირების დადგენის შემთხვევაში, სამედიცინო დაწესებულება თავად მიაწვდის ინფორმაციას დაავადებულის ჯანმრთელობის შესახებ.

თუ სამედიცინო შემოწმებისას პირს აღმოაჩნდა აივ/შიდსი, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები და დაწესებულებები, დაავადებულს, წერილობითი ფორმით შეატყობინებენ ინფორმაციას იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლითაც შესაძლებელია დაავადების გავრცელების თავიდან აცილება. აივ დაავადებული პირი ხელმოწერით ადასტურებს, რომ გაუცნო აღნიშნულ წესებს.


თუ აივ ინფორმაციული/შიდსით დაავადებული მცირეწლოვანია, ფსიქიკურად დაავადებულია ან სხვა განსაკუთრებული მიზეზის გამო პირადად ვერ ახერხებს დაავადების გაგრცელების თავიდან აცილების ღონისძიებათა განუხრელ დაცვას, წერილობითი შეტყობინება უნდა გაევზონოს მის მეურვეს ან პირს, რომელიც კისრულობს პასუხისმგებლობას აივ ინფორმაციულის/შიდსით დაავადებულის მოქმედებისთვის.

საქართველოს კანონი “პაციენტთა უფლებების შესახებ”, ითვალისწინებს პაციენტის უფლებას, უარი განაცხადოს დაავადების შესახებ ინფორმაციის მიღებაზე. მაგრამ, პაციენტი ამ უფლებას ვერ გამოიყენებს იმ შემთხვევებში, როცა ინფორმაციის მიუწოდებლობამ შეიძლება სერიოზული ზიანი მიაყენოს პაციენტის ან/და მესამე პირის ჯანმრთელობას ან/და სიცოცხლეს (მუხლი 20). ასეთ შემთხვევებს მიეკუთვნება აივ/შიდსის დაავადებაც.

აივ ინფორმაციული/შიდსით დაავადებული, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, პასუხს აგებს სხვა პირისთვის შიდსის შეყრის საფრთხის შექმნისთვის და შიდსის გადაცემისთვის.

## საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 131-ე მუხლის თანხმად:

 სხვისთვის შიდსის განზრას შეყრის საფრთხის შექმნა – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე. ამ მუხლის მეორე ნაწილით, განზრას შეყრა – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შევიდ წლამდე. 3. სხვისთვის შიდსის გაუფრთხილებლობით შეყრა პროფესიული მოვალეობის შესრულებისას – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით, ვადით სამ წლამდე. 4. ამ მუხლის პირველი, მე-2 ან მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი: ა) ორი ან მეტი პირის მიმართ; ბ) დამნაშვილისთვის წინასწარი შეცნობით, ორსული ქალის ან არასრულწლოვნის მიმართ, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ცხრა წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით, ვადით სამ წლამდე.



კანონმდებლობით, აკრძალულია აივ/მიდსით დაავადებულის დისკრიმინაცია. საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, იმპერატორულად კრძალავს ყოველი ფორმის დისკრიმინაციას, მათ შორის, დაავადების მიხედვითაც. ამგვარი აკრძალვა, აივ ინფიცირებულებსაც შეეხებათ. „არ დაიშვება პაციენტის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, აღმსარებლობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და ნოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, დაავადების, სექსუალური ორიენტაციის ან პირადული უარყოფითი განწყობის გამო“ (მუხლი 6).

დაუშვებელია აივ ინფიცირებულთა/მიდსით დაავადებულთა სამოქალაქო, პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა მხოლოდ აივ დადებითი სტატუსის საფუძველზე, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

უნდა აღინიშვნოს, რომ სახელმწიფო აფინანსებს სპეციალურ პროგრამებს, აივ ინფიცირებულთა/მიდსით დაავადებულთა ადრეული გამოვლენისა და მკურნალობის ხარჯებს. სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შედის: а) აივ-ინფექციის/მიდსზე მაღალი რისკის ჯგუფის პირთა კონსულტირება და ტესტირება; ბ) დაავადებულთა უზრუნველყოფა ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურებით (რომელიც მოიცავს აღნიშული დაავადების დროს, თანმხლები დაავადებების ლაბორატორიულ-ინსტრუმენტულ დიაგნოსტიკას და მკურნალობას).

აივ ინფექციის/შიდსის ადრეული გამოვლენისა და მკურნალობის სახელმწიფო პროგრამა, მიზნად ისახავს აივ ინფექციის/შიდსის ასალი შემთხვევების დროულად გამოვლენას; აივ ინფექციის/შიდსის გავრცელების შეფერხებას და აივ ინფექციით/შიდსით დაავადებულთავის მკურნალობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მოცულობა მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს: 1. აივ ინფექციაზე/შიდსზე მაღალი რისკის ჯგუფის პირთა ნებაყოფლობით კონსულტირებას და კვლევას, რომელიც გულისხმობს; а) მაღალი რისკის ჯგუფის პირთა გამოკვლევას აივ ინფექციაზე/შიდსზე სკრინინგული მეთოდებით; ბ) მაღალი რისკის ჯგუფის პირთა კონსულტირებას აივ ინფექციაზე/შიდსზე; გ) აივ ინფექციაზე/შიდსზე საეჭვო შემთხვევების გამოკვლევას კონფირმაციული შეთოვებით.

აივ ინფექციით/შიდსით დაავადებულთა უზრუნველყოფას ამბულატორიული მომსახურებით, რომელიც გულისხმობს:

- ა) ექიმთან პირველ ვიზიტს;
- ბ) ექიმთან განმეორებით ვიზიტს;
- გ) ოპორტუნისტული ინფექციების მკურნალობას;
- დ) ინსტრუმენტულ დიაგნოსტიკას;
- ე) ექიმის ვიზიტს პაციენტთან.

აივ-ინფექციით/შიდსით დაავადებულთა უზრუნველყოფას სტაციონარული მკურნალობით, რომელიც გულისხმობს:

ა) შიდსის ინდიკატორული დაავადებების ლაბორატორიულ-ინსტრუმენტულ დიაგნოსტიკას და მკურნალობას;

ბ) აივ-ინფექციის/შიდსის თანმხლები დაავადებების (მაგ: ლეიიდლის უკმარისობა და ა.შ.) ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული დიაგნოსტიკა და მკურნალობა, ანაზღაურდება სრულად (არ ითვალისწინებს თანაგადახდას პაციენტის მხრიდან).

## შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები

საქართველოს კონსტიტუცია, ალიარებს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას (მუხლი 16) და ადამიანის პატივსა და ლირსებას ხელშეუვალ უფლებად აცხადებს (მუხლი 17). ადამიანის უფლებები და ინტერესები დაცულია იმის მიუხედავად, ადამიანი ჯანმრთელია თუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია (შემც). სახელმწიფო იცავს ყველა მოქალაქის უფლებას იმის მიუხედავად, პირი ჯანმრთელია თუ ფიზიკური ან ფინანსური პრობლემები გააჩნია.

ვინ ჩიათვლება ფიზიკურად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირად? ეს არის ადამიანი, რომელსაც დაავადების, ტრაგმის, გონებრივი თუ ფიზიკური დეფექტის შედეგად, ჯანმრთელობის მეტ-ნაკლებად მოშლის გამო, დარღვეული აქვს ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციები, რაც განაპირობებს პროფესიული შრომის უნარის სრულ, ან ნანილობრივ დაკარგვას, ანდა ყოფა-ცხოვრების არსებით გაძნელებას, რასაც იგი მიჰყავს ქმედობაუნარიანობის დროებით ან მუდმივ შეზღუდვამდე და სოციალური დაცვის საჭიროებამდე. 1 შემდეგ დაცულია საქართველოს კონსტიტუციით, კანონით „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ და საქართველოს კანონით „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“, სისხლის სამართლის კოდექსით და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, სამოქალაქო სამართლის კოდექსით.

სიმძიმისდა მიხედვით, ქმედობაუნარიანობის შეზღუდვა, სხვადასხვა ხარისხისაა:

ა) მსუბუქად გამოხატული; ბ) ზომიერად გამოხატული; გ) მნიშვნელოვნად გამოხატული; დ) მკვეთრად გამოხატული .

ქმედობაუნარიანობის შეზღუდვის სიმძიმის მიხედვით, დგინდება მკვეთრად (I ჯგუფი), მნიშვნელოვნად (II ჯგუფი) და ზომიერად გამოხატული შესაძლებლობის (III ჯგუფი) შეზღუდვის სტატუსი. 2

18 წლის ასაკის მდრევამდე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს, მინიჭებული აქვს კატეგორია – „შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვი“. შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსს ადგენს სამედიცინო-სოციალურ ექსპერტიზა და მას ატარებს ექიმი-ექსპერტი. ეს არის სახელმწიფო სერთიფიკატის მფლობელი ექიმი, რომელსაც სამედიცინო-სოციალურ ექსპერტიზაში სპეციალური ცოდნა გააჩნია. სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზაში ლიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებაში ტარდება.

შესაძლებლობის შეზღუდვა არის დაავადების, ტრაგმის, ანატომიური ან გონებრივი დეფექტის შედეგად გამოიწვეული ადამიანის ჯანმრთელობის მოშლა, ორგანიზმის ფუნქციის მყრი დარღვევით. ადამიანის ასეთი მდგომარეობა განაპირობებს ქმედობაუნარიანობის დროებით, ან მუდმივ შეზღუდვას, რის გამოც საჭირო ხდება მისი სოციალური დაცვა.

სამედიცინო დაწესებულება, ატარებს პირის შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის პერიოდულ გადამოწმებას:

ა) ქმედობაუნარიანობის ზომიერად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდვის დროს, – წელიწადში ერთხელ;

ბ) ქმედობაუნარიანობის მკვეთრად გამოხატული შეზღუდვის დროს, – ორ წელიწადში ერთხელ (საქართველოს კანონი სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ. მუხლი 12 13. „ა“ და „ბ“).

<sup>1</sup> საქართველოს კანონი სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ, მუხლი 3 „გ“.

<sup>2</sup> [www.ssa.gov.ge](http://www.ssa.gov.ge)

მაგრამ, შესაძლებელია პირს შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსი გადამოწმების გარეშე (უვადოდ) დაუდგინდეს. უვადოდ სტატუსი დაუდგინდებათ:

- პირს, რომლის მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა მიუხედავად სარეაბილიტაციო ლონისძიებებისა სამედიცინო დაწესებულებაში, არანაკლებ 5 წლის დაკვირვების შემდეგ;
- პირს, რომელსაც აღნიშნება ორგანოებისა და მთელი ორგანიზმის მდგომარეობის შეუქცევადი ცვლილებები და ფუნქციური დარღვევები;
- სამხედრო ვალდებულების მოხდის დროს მიღებული ტრაგმის ან დაავადებების მქონე პირს;
- სამხედრო ან სამოქალაქო ბირთვული ობიექტის ავარიის შედეგად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მამაკაცს 55 წლის ასაკის ზევით და ქალს, – 50 წლის ასაკის ზევით;
- პირს, რომელიც დაავადდა სხივური დაავადებით (ასაკის მიუხედავად) ჩერნობილის ატომური ელექტროენერგიისა და სამხედრო ან სამოქალაქო ბირთვული ობიექტის ავარიის შედეგად და გახდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი;
- საპენსიო ასაკს გადაცილებულ პირს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღინიშნება კეთილსაიმედო კლინიკური პროგნოზი, როცა სახეზეა ორგანიზმის სისტემებისა და ორგანოთა არამყარი, შექცევადი მორფოლოგიური ცვლილებები და ფუნქციური დარღვევები, მაგრამ რეაბილიტაციური ლონისძიებების ჩატარებით, შესაძლოა დადებითი ეფექტის მიღწევა;
- პირს დაუდგინდება ანატომიური ან გონებრივი დეფექტები (კანონი სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ. მუხლი 14).

შეზღუდულობის ხარისხის მიხედვით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ეძლევათ I, II ან III ხარისხის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი (გარდა ბავშვობიდან ინვალიდობისა და ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებისა, რომელსაც III ხარისხის შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსი გააჩნიათ).<sup>1</sup>

შეზღუდვის შესაძლებლობის ხარისხის დადგენისას, შშმპ-ს ორგანოთა დარღვეული ფუნქციების საკომპენსაციო, დამხმარე, საყოფაცხოვრებო და რეაბილიტაციის ტექნიკური საშუალებები გადაეცემა. მაგალითად, ოთახის სავარძელო-ეტლი; სპეციალიზებული (ხელით, ან ერთი ხელით და ერთი ფეხით სამართავი) ავტო-მინტოტრანსპორტი, ყურსასმენი აპარატი და სხვა.<sup>2</sup>

თუ შეზღუდული შესაძლებლობის გამო პენსია ენიშნება 18 წლის ზევით პირს, საჭიროა წარდგენილი იქნას შემდეგი დოკუმენტები:

- განცხადება;
- პირადობის მოწმობა, ასლთან ერთად;
- სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტის ამონანერი (დედანი);
- პენსიის ოდენობა I ხარისხის შშმპ-სთვის ამჟამად განისაზღვრება 100 ლარით; ხოლო II ჯგუფის შშმპ-სთვის – 70 ლარით.

<sup>1</sup> [www.ssa.gov.ge](http://www.ssa.gov.ge)

<sup>2</sup> საქართველოს, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №1/6. 2003 წლის 13 იანვარი. თბილისი. შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის წესის შესახებ, ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე.

თუ პენსია ენაშება 18 წლის ასაკამდე არასრულწლოვანს, წარდგენილი უნდა იქნას შემდეგი საბუთები:

- განცხადება;
- მშობლის (მეურვის) პირადობის მოწმობა და ბავშვის დაბადების მოწმობა და ასლი;
- სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული სამედიცინო-სოციალური ექსპრტიზის შემოწმების აქტის ამონაწერი.

#### პენსიის ოფენბა, დღევანდელი მონაცემებით, 70 ლარია.

გადაწყვეტილება პენსიის დანიშვნის შესახებ სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონულ განყოფილებაში განცხადების შეტანიდან 15 სამუშაო დღის ვადაში მიიღება.

შეზღუდული შესაძლებლობის პირთა უფლებების დაცვა, უზრუნველყოფილი უნდა იქნას ყველა სფეროში. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, დასჯადია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის უფლებების შეზღუდვა (სსკ მუხლი 1422).


საქართველოს კანონმდებლობით, დაცულია შეზღუდული შესაძლებლობების პირთა უფლებები არჩევნების დროს. კერძოდ, საქართველოს საარჩევნო კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად, მხედველობის გამო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩევლებისთვის ცენტრალური საარჩევნო კომისია უზრუნველყოფს სპეციალური ტექნიკოლოგით დატექნილი (ბრიალის შრიფტი) ბიულეტენების გამოყენებას.

ფსიქიურად დაავადებულ პირთა უფლებების დაცვა გარანტირებულია საქართველოს კანონით “ფსიქიური დახმარების შესახებ” (2006 წ.), სამოქალაქო სამართლის კოდექსითა და სისხლის სამართლის კოდექსით.

#### ფსიქიურად დაავადებულ პირს, მთელი რიგი უფლებები გააჩინა:

ა) ისარგებლოს ჰუმანური მოპყრობით, რომელიც გამორიცხავს მისი ღირსების შემლახავ ყოველგვარ მოქმედებას; ბ) ისარგებლოს შესაბამისი მუურნალობით შეძლებისდაგვარად, თავის საცხოვრებელ ადგილთან ახლოს; გ) მიიღოს თავისი დაავადებისა და განზრახული ფსიქიური დახმარების შესახებ სრული, იბიჯეტური, დროული

#### როგორც სხვა ჯანმრთელი პირები



და გასაგები ინფორმაცია; დ) თუ პაციენტი ქმედებუნაროა, ან მას არა აქვს გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარი, ინფორმაცია მიენიდება პაციენტის კანონიერ წარმომადგენლს, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში, – ნათესავს; ე) გაეცნოს მის შესახებ არსებულ სამედიცინო დოკუმენტაციას; ვ) უარი თქვას მუურნალობის ჩატარებაზე, გარდა

მუურნალობის ფიზიკური შეზღუდვის მეთოდების გამოყენებისას ან/და არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარებისას. 18)

<sup>1</sup> თუ პაციენტი ქმედებუნაროა ან ასაკი არ აღემატება 16 წელს, მუურნალობის ჩატარებაზე გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს პაციენტის კანონიერ წარმომადგენლს ან მის ნათესავს (თუ არ არსებობს კანონიერი წარმომადგენლი). გადაწყვეტილების მიღების პროცესში, აუცილებელია პაციენტის მონაწილეობა მისი ასაკისა და ფსიქიური მდგომარეობის გათვალისწინებით.

ელის მომსახურებით; თ) ისარგებლოს სოციალური დაცვით; ი) მიიღოს განათლება, გაიაროს პროფესიული მომზადება და გადამზადება; კ) ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებებითა და თავისუფლებებით და სხვა (საქართველოს კანონი „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ.“ მუხლი 5).

ფსიქიურად დაავადებული პირი ისეთივე პაციენტია, როგორც სხვა ჯანმრთელი პირები. მას ისეთივე უფლებები გააჩნია, როგორც ჩვეულებრივ პაციენტის. პაციენტის დამცველს ან/და კანონიერ ნარმომადგენელს, უფლება აქვს გაეცნოს პაციენტის შესახებ არსებულ ნებისმიერ სამედიცინო დოკუმენტაციას და მოითხოვოს მისი ასლები.

## ფსიქიურად დაავადებული პირის ქმედულებები

ფსიქიურად დაავადებული პირის ქმედუუნაროდ აღიარების უფლება მხოლოდ სასამართლოს გააჩნია. ქმედუუნაროდ მიიჩნევა პირი, რომელიც ჭკუასუსტობის ან სულით ავადმყოფობის გამო, სასამართლოს მიერ ასეთად იქნება აღიარებული. ამ პირის უფლებებს, მისი კანონიერი ნარმომადგენელი (მეურვე) ახორციელებს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. მუხლი 12. პ.5).

სასამართლოს მიმართავს ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაცია, თუკი ექიმ-ფსიქიატრთა კომისია მიიჩნევს, რომ პაციენტს ფსიქიკური აშლილობის გამო არ შეუძლია გაათვითცნობიეროს თავისი მოქმედება და შეიგნოს მისი მნიშვნელობა. სასამართლოში მიმართვის ფაქტი დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პაციენტის კანონიერ ნარმომადგენელს, ხოლო მისი არარსბობის შემთხვევაში, – ნათესავს.

ქმედუუნაროდ აღიარებული პირის განკურნების ან ჯანმრთელობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესების შემთხვევაში, სასამართლო აღიარებს მას ქმედუნარიანად (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. მუხლი 12. პ.6).

## ფსიქიატრიული დახმარების სახეები

კანონით განსაზღვრულია პაციენტის ფსიქიატრიული დახმარების რამდენიმე სახე: ამბულატორიული და სტაციონარული.

ლიცენზირებული ამბულატორიული<sup>1</sup> ფსიქიატრიული დაწესებულება ახორციელებს პაციენტის პირველად ფსიქიატრიულ გამოკვლევას, მკურნალობას და აუცილებლობის შემთხვევაში, მასზე მეთვალყურეობას.

ამბულატორიულ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში ნებაყოფლობით მიმართვისას, – პაციენტს, ხოლო მისი ქმედუუნარობის შემთხვევაში, ან თუ პაციენტის ასაკი არ აღემატება 16 წელს, – კანონიერ ნარმომადგენელს უფლება აქვს:

ა) საკუთარი სურვილით აირჩიოს ფსიქიატრიული დაწესებულება და ექიმი; ბ) თავისი სურვილით, ნებისმიერ ეტაპზე, შენწყვიტოს გამოკვლევა ან/და მკურნალობა.

ამბულატორიულ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოთავსება შეიძლება განხორციელდეს არანებაყოფლობითაც. ასეთ შემთხვევაში, პაციენტს ათავსებენ სტაციონარული მკურნალობისთვის ფსიქიატრიულ დაწესებულებაში. ეს ფაქტი, უნდა

<sup>1</sup> ამბულატორიული სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება, რომელიც სამედიცინო დახმარებას უწევს როგორც მომსვლელ, ისე პინაზე მყოფ აგადმყოფებს.

ეცნობოს პაციენტის კანონიერ ნარმომადგენელს, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში, – ნათესავს. საჭიროების შემთხვევაში, ამბულატორიული ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაცია, დახმარებისთვის მიმართავს შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს.

სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარება ნებაყოფლობითია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სტაციონარში მყოფი პაციენტის მიმართ ფიზიკური შეზღუდვის მეთოდები და არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარება გამოყენება. ფსიქიატრიული დახმარება პაციენტს გაუწევა ლიცენზირებულ სტაციონარულ დაწესებულებაში.

## არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ ბრძანების გამოცემის თხოვნით მაგისტრატ მოსამართლეს ან რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს მიმართავს იმ ფსიქიატრიული დაწესებულების ან სასჯელადსრულების დაწესებულების ადმინისტრაცია, რომელშიც მოთავსებულია პაციენტი/მსჯავრდებული. აღნიშნული ბრძანების გამოცემის თხოვნით მიმართავს პაციენტის/მსჯავრდებულის სტაციონარში მოთავსებიდან/უფლებამოსილი საექსპერტო დაწესებულებიდან დადებითი დასკვნის მიღებიდან 48 საათის ვადაში.<sup>1</sup>

ფსიქიატრიული დაწესებულების ან სასჯელადსრულების დაწესებულების ადმინისტრაციის მიმართვა დასაბუთებული უნდა იყოს და ა ეფუძნებოდეს შესაბამის ექიმ-ფსიქიატრთა კომისიის ან უფლებამოსილი საექსპერტო დაწესებულების დასკვნას.

მოსამართლე არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით, პირის სტაციონარში მითავსების საქმეს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს შესამაბისი მიმართვის ნარდგენიდან 24 საათის ვადაში. საქმეს აღნიშნულ საკითხზე განიხილავს ერთპიროვნულად, დახურულ სასამართლო სხდომაზე, რომელზეც დასწრების უფლება აქვთ მხოლოდ პაციენტის/ მსჯავრდებულის მეურნალობის პროცესში ჩართულ პირებს, აგრეთვე იმ პირებს, რომელთა მონაწილეობაც აუცილებელია ადმინისტრაციული სამართალნარმოების უზრუნველსაყოფად. საქმის განხილვაში ასევე მონაწილეობს პაციენტის/მსჯავრდებულის კანონიერი წარმომადგენელი ან ნათესავი.

მიმართვის დასაბუთებულების შემოწმებისა და „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუსლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საფუძვლების შეფასების შემდეგ, მოსამართლე გამოსცემს დასაბუთებულ ბრძანებას არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების გაწევის მიზნით პაციენტის სტაციონარში მოთავსების თაობაზე არაუმეტეს 6 თვისა, აღნიშნული ვადა შესაძლოა გაგრძელდეს მანამ, სანამ არ ამონიურება მეურნალობას კრიტერიუმები.

თუ არ არსებობს არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების კანონით დადგენილი საფუძვლები, მოსამართლეს გამოაქვს დადგენილება არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსებაზე უარის შესახებ. ასეთ შემთხვევაში, არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით, სტაციონარში მოთავსებული პირი დაუყოვნებლივ უნდა გაეწეროს სტაციონარიდან.

არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარ-

<sup>1</sup> საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მუხლი 2117

ში მოთავსებასთან დაკავშირებით მოსამართლის ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში<sup>1</sup>.

საჩივარი მოსამართლის დასაბუთებული ბრძანების გაუქმების შესახებ უნდა შეიტანოთ ბრძანების გამომცემ სასამართლოში მხარისათვის ბრძანების ასლის გადაცემიდან 48 საათის ვადაში. მოსამართლე საჩივარს საქმის მასალებთან ერთად დაუყოვნებლივ გადაუზიანის სააპელაციო სასამართლოს. საგულისხმოა, რომ სააპელაციო სასამართლოში მოსამართლის ბრძანების გასაჩივრება არ აჩერებს მის მოქმედებას.

სასამართლო პრაქტიკა არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტუციონარში მოთავსებასთან დაკავშირებით არ არის მწირი. ძირითად შემთხვევაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ბრძანების გამოცემის მოთხოვნით მიმართავს სხვადასხვა სამკურნალო დაწესებულებების ადმინისტრაცია. ხშირად ასეთ მიმართვებს საფუძვლად უდევს პაციენტის ოჯახის წევრების მიერ გაცემული ინფორმაცია მისი ფსიქიური მდგომარეობის შესახებ. თუმცა, სასამართლო ყოველთვის არ აკმაყოფილებს აღნაშნულ მიმართვას, რადგანაც „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მხოლოდ სამსახურეობრივი ან ოჯახური კონფლიქტი, შეუთავსებლობა საზოგადოებაში არსებულ მორალურ, რელიგიურ, კულტურულ ან პოლიტიკურ შეხედულებებთან არ შეიძლება გახდეს პირისათვის ფსიქიური აშლილობის დიაგნოზის დადგენის საფუძველი<sup>2</sup>.

პრაქტიკის მიხედვით, ხშირად არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარება უტარდებათ იმ პაციენტებს, რომელთაც არ აქვთ უნარი თავიანთი ფსიქიური აშლილობის გამო მიიღონ გაცნობიერებული გადაწყვეტილებები, აგრეთვე იმ შემთხვევაში თუ ფსიქიატრიული დახმარების განვე შეუძლებელია სტაციონარში მოთავსების გარეშე,<sup>3</sup> აგრეთვე თუ: ა) დახმარების დაყოფნება საფრთხეს შეუქმნის პაციენტის ან სხვის სიცოცხლეს/ანდა ჯანმრთელობას; ბ) პაციენტმა საკუთარი მოქმედებით შეიძლება მიიღოს ან სხვას მიყენოს მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.<sup>4</sup>

მნიშვნელოვანია ასევე, რომ სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას არ იყენებს გადამწყვეტი ფაქტურად წარსულში ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მკურნალობის ფაქტს პირის ამჟამინდელი ფსიქიკური მდგომარეობის შეფასებისას<sup>5</sup>.

ძირითად შემთხვევებში, მოსამართლე იღებს გადაწყვეტილებას (ბრძანება/დადგენილება) პირის სტაციონარში 6 თვის ვადით მოთავსების თაობაზე, იშვიათად 3 თვის ვადით. პრაქტიკის კვლევასას აგრეთვე აღმოჩნდა, რომ გარკვეულ შემთხვევებში პაციენტები თავად მიმართვენ შესაბამის სამკურნალო ორგანოს სტაციონარში მოთავსების თხოვნით, ცხადია სასამართლო მხოლოდ პაციენტის აზრს არ ითვალისწინებს, ასეთ დროს აქტიურად არიან ჩართული იჯახის წევრები და ახლო ნათესავები, რათა აღნაშნული პირის სტაციონარში მოთავსების უტყუარი აუცილებლობა დადგინდეს.

#### **სტაციონარში მოთავსებულ პაციენტს უფლება აქვს:**

ა) მიიღოს და გაგზავნოს წერილი, გზავნილი შემოწმების გარეშე; ბ) სტაციონარის შინაგანანების თანახმად, ისარგებლოს ტელეფონით და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებით; გ) მიიღოს მნახველი ამისთვის განსაზღვრულ დროს და ადგილზე, მესამე პირის დასწრების გარეშე; დ) ხანძოების სტაციონარი, სტა-

<sup>1</sup> სასკ-ის მუხლი 2120

<sup>2</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 09 ივნისის დადგენილება, საქმე № 3-11.

<sup>3</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011წლის 2 ივლისის ბრძანება, საქმე № 3/2234-116.

<sup>4</sup> „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 18.

<sup>5</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 16 ივნისის ბრძანება, საქმე № 3-12.

ციონარიდან გაწერის გარეშე, მისი ფსიქიკური მდგომარეობის გათვალისწინებით; ე) შეიძინოს და იქნიოს პირველადი მოხმარების საგნები; ვ) შეასრულოს რელიგიური რიტუალი, თუ იგი არ ლასავს სხვათა უფლებებს; ზ) მიიღოს აუდიო-ვიზუალური ინფორმაცია; თ) მონაწილეობა მიიღოს სტაციონარში გამართულ სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებში; ი) ისარგებლოს სხვა უფლებებით (მუხლი 15).

ექიმს უფლება აქვს, გამონაკლის შემთხვევაში, უსაფრთხოების მიზნით, შეზღუდოს პაციენტის ზემოთ აღნიშნული უფლებები, რაც ფიქსირდება სამედიცინო დოკუმენტაციაში. **აკრძალულია პაციენტის დასჯის ან დაშინების მიზნით, ფიზიკური შეზღუდვის მეთოდების ან მედიკამენტების გამოყენება.**

საქართველოში მოქმედებს ფსიქიატრიული მომსახურების სახელმწიფო პროგრამა, რომლითაც სარგებლობენ საქართველოს მოქალაქეები, ხოლო სტაციონ-არულ 1 არანებაყოფლობითი მოთავსებისას, ამ პროგრამით სარგებლობენ როგორც საქართველოს მოქალაქეები, ისე უცხოელები და საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირები.

სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულია ამბულატორიული მომსახურება, რომელშიც შედის ოჯახის/უბნის ექიმის მომსახურება; ოჯახის ექიმის/უბნის ექიმის მიმართვით გადაგზავნილი პაციენტის მომსახურება; ამბულატორიულ ფსიქიატრიულ აღრიცხვაზე აყვანილი პაციენტის მომსახურება.<sup>2</sup>

## ფსიქიკური დარღვევის მეორე პირთა უფლება ისარჩევბლონ თავშესაფრის უზრუნველყოფის პროგრამით

ამ პროგრამით სარგებლობის უფლება აქვს თანდაყოლილი და შეძენილი დაავადებით გამოწვეული დემენციის მქონე 18 წლის ან მეტი ასაკის მქონე შშმ პირებს, სევე, ფსიქიკური დარღვევის მქონე პირებს, რომლებიც საჭიროებენ ამ მომსახურების მიღებას, თუკა აღნიშნულ პროგრამაში ჩართვის შესახებ არსებობს რეგიონალური საბჭოს გადაწყვეტილება. აღნიშნულ პროგრამაში ჩართვის მოთხოვნით, ფსიქიკური დარღვევის მქონე პირმა ან მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა უნდა მიმართოს სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიულ ფილიალს განცხადებით. ამ განცხადებას უნდა ერთვოდეს: პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი საბუთი და მისი ასლი; ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და მისი ასლი; შშმ სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი და მისი ასლი. პროგრამაში ჩართვის შესახებ გადაწყვეტილებას სოციალური საგენტო იღებს განცხადებით მიმართვიდან 1 თვეს ვადაში.

პროგრამა ითვალისწინებს პროგრამაში ჩართულ პირთა ყოველდღიურ მომსახურებას სამჯერადი კვებით, მოვლა-პატრონობას და ინდივიდუალური პროგრამების შედგენა-განხორციელებას; საყოფაცხოვრებო უნარ-ჩვევების სწავლებას; სათანადო სამედიცინო და ფსიქოლოგიური მომსახურებით უზრუნველყოფას; შესაძლებლობის გათვალისწინებით პროგრამის მონაწილეთა ჩართვას კულტურულ ღონისძიებებში.<sup>3</sup>

<sup>1</sup> სტაციონარული მკურნალობა – სავადყოფოში მკურნალობა. ამბულატორიული მკურნალობისაგან განსხვავებით, მწოლიარე ავადმყოფის მკურნალობა.

<sup>2</sup> დაწვრილებითი ინფორმაცია ფსიქიატრიული მომსახურების სახელმწიფო პროგრამის შესახებ შეგიძლიათ იხ. [www.moh.gov.ge](http://www.moh.gov.ge)

<sup>3</sup> [www.ssa.gov.ge](http://www.ssa.gov.ge)

## კაციენტის უფლებაების დაცვის სამართლებრივი საშუალებები

თქვენ, როგორც პაციენტს ან თქვენს კანონიერ წარმომადგენელს, უფლება გაქვთ თქვენი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად მიმართოთ სასამართლოს. შეგიძლიათ მოითხოვოთ ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება, თუკი ზიანი მოგადგათ მცდარი სამედიცინო ქმედებით, აგრეთვე სამედიცინო დაწესებულებების ფუნქციონირების სხვა ხარვეზებით, ან სახელმწიფოს მიერ არას-წორად განხორციელებული ზედამხედველობით და რეგულირებით.

სასამართლოში, თქვენთვის სასარგებლო გადაწყვეტილების მიღებისათვის, აუცილებელია სათანადოდ დასტურდებოდეს ის ფაქტი, რომ თქვენი, როგორც პაციენტის უფლებების შელახვა გამოწვეულ იყო მცდარი სამედიცინო ქმედების შედეგად. აღნიშნულის დამადასტურებელი ყველაზე სარწმუნო მტკიცებულება არის ექსპერტის დასკვნა, რომლის შედეგებზეც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სასამართლოში თქვენი საქმის წარმატება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მტკიცებს ტვირთი ზიანის დადგომაში სამედიცინო დაწესებულების ბრალის არქონაზე თავად სამედიცინო დაწესებულებას აკაირია.

კომპენსაციის დაკისრებისა და მისი ანაზღაურების საკითხი დადგება მხოლოდ მაშინ, თუკი სასამართლოს დაარწმუნებთ, რომ პაციენტის ჯანმრთელობის უფლებების დარღვევა სახეზეა, უფლებების შელახვა გამოწვეულია არასწორი სამედიცინო ჩარევით და არსებობს ეჭვის გამომრიცხავი მტკიცებულებები, რითაც დასტურდება მიზზობრივი კავშირი პაციენტის ჯანმრთელობის უფლებების დარღვევასა და სამედიცინო პერსონალის მცდარ ქმედებას შორის. იმ შემთხვევაში, თუკი სამედიცინო დაწესებულების წარმომადგენლის მხრიდან ადგილი ჰქონდა თქვენს მიმართ იმგვარი ქმედების განხორციელებას, რაც დანაშაულის ნიშნებს შეიცავს (რაზეც ამ თავში იყო საუბარი) და სისხლის სამართლის წესით დასჯადია, უნდა მიმართოთ საჩივრით შესაბამის სამართალდამცავ სტრუქტურებს (საგამომძიებო ორგანოები, პროკურატურა), რომლებიც თქვენი საჩივრის საფუძველზე ვალდებული არიან აწარმოონ გამოძიება დანაშაულებრივი ფაქტისა და დამზადე პრების გამოსავლენად და დასაჯონ ისინი.

გარდა კომპენსაციის მიღებისა, თქვენ გაქვთ უფლება სასამართლოს მოსთხოვოთ სამედიცინო პერსონალის საქმიანობის ლიცენზიის ჩამორთმევა ან გაუქმება და სახელმწიფო სამედიცინო და საინტარული სტანდარტების შეცვლა. ლიცენზიის გაუქმების მოთხოვნის უფლებით თქვენ უფლება გაქვთ სასამართლოში მიმართვამდე მიმართოთ რეგულირების სააგენტოს. სასამართლოში მიმართვის შემთხვევაში, სარჩელი უნდა შეიტანოთ პირველი ინსტანციის სასამართლოში, რომლის მიერ შიღებული გადაწყვეტილებაც საჩივრდება სააპელაციო სასამართლოში, ამ უკანასკნელის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, კასაციის წესით, უზენაეს სასამართლოში საჩივრდება, რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სასამართლოსათვის წარდგენის ვადაა 3 წელი იმ მომენტიდან, როდესაც შეიტყვეთ ან უნდა გცოდნოდათ ინფორმაცია ზიანის მიყენების შესახებ.

ჯანმრთელობის უფლების დაცვის ერთ-ერთი სამართლებრივი საშუალებაა საქართველოს სახალხო დამცველისათვის მიმართვის უფლება. თქვენი განცხადებისა

<sup>1</sup> „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 10. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მუხლი 992.

და მასალების შესწავლის შემდგომ, სამართალდარღვევის აღმოჩენის შემთხვევებში, სახალხო დამცველს უფლება აქვს: რეკომენდაციით მიმართოს იმ ორგანოს, რომლის მოქმედებითაც მოგადგათ ზიანი, დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევებში, მის ხელთ არსებული მასალები გადასცეს საგამოძიებო ორგანოებს, ნინადადებებით მიმართოს შესაბამის ორგანოებს დისციპლინარული ან ადმინისტრაციული პასუხ-ისმგებლობების გამოყენების შესახებ, რომლის ქმედებითაც მოგადგათ ზიანი, მას-მედიის საშაულებით გაავრცელოს ინფორმაცია უფლებების დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით, თქვენი უფლებების დარღვევის შესახებ ინფორმაცია გამოაქვეყნოს მის მოხსენებებსა და ყოველწლიურ ანგარიშებში.

სიახლეს წარმოადგენს ჩვენს ქვეყნაში ჯანდაცვის სფეროში მედიაციის სამ-სახურის, ანუ დავების ალტერნატიული გზით გადაჭრის ინსტიტუტის ამოქმედება. ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლით სამედიცინო მედიაციის სამსახური არის „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალ-ური დაცვის სამინისტროს კომპეტენტურ სამსახურთან არსებული დავების განმხილ-ველი ორგანო, რომლის ფუნქციაა პაციენტსა და სადაზღვევო ორგანიზაციას შორის, სადაზღვევო ორგანიზაციასა და სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელს შორის, ასევე პაციენტსა და სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელს შორის წარმოშობილი დავების განხილვა“. შესაბამისად, მედიაციის გზით დავების გადაჭრით მოხდება ძირ-იადლირებული, დროში განხელილი და სტრუქტული სასამართლო პროცესის თავიდან აცილება.

საქართველოს მთავრობის დადგენილებით განისაზღვრა სამედიცინო მედიაციის განხორციელების ღონისძიებები და ძირითადი დებულებები.<sup>1</sup> სამედიცინო მედიაციის სამსახური უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვეტილება/რეკომენდაცია მიიღოს ისეთ ქონებრივ დავაზე, რომელიც წარმოშობილია 2012 წლის 1 მარტის შემდგომ. მედიაციის სამსახური დავას განიხილავს თანასწორების პრინციპზე დაყრდნობით, მხარეებს უნდა მიეცეთ თანაბარი უფლებები წარადგინონ და დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ მეორე მხარის მოთხოვნები, მოსაზრებები, მტკიცებულებები. დავაში მონანილე მხარეებს უნდა მიეცეთ თავიანთი პოზიციის თავისუფლად დაფიქ-სირების შესაძლებელობა.

მედიატორი შეზღუდულია უფლებებში და მას უფლება არ აქვს: გაამჟღავნოს ან არასამსახურეობრივი მიზნებისათვის გამოიყენოს სამსახურეობრივი საიდუმ-ლოებს შეცველი ან სხვაგვარი კონფიდენციალური ინფორმაცია, რომლის საჯა-რობაც შეზღუდულია მოქმედი კანონმდებლობით და რომელიც მისთვის ცნობილი გახდა მედიაციის განხორციელებასთან დაკავშირებით; მედიაციისათვის მიიღოს ან მოითხოვოს ანაზღაურება ქონებრივი ან სხვა სიკეთის სახით, გარდა მედიატორი-სათვის განკუთხილი ანაზღაურებისა; იყოს მედიატორი იმ საქმეში, სადაც მხარედ მონანილეობს ის ორგანიზაცია, რომელიც მას უკავია თანამდებობა ან იმყოფება შრომით ურთიერთობებში; იყოს მედიატორი იმ საქმეში, სადაც მხარე არის მისი ახლო ნათესავი. თუ მედიატორისათვის საქმის განხილვამდე ცნობილი იყო გარე-მოება ან ინფორმაცია, რომელიც მას ინტერესთა კონფლიქტში აყენებდა და ამის შესახებ წინასწარ არ განაცხადა, გამოიწვევს შესაბამის პასუხისმგებლობას.

**გახსოვდეთ,** რომ საკუთარი, ან სხვისი უფლებების დაცვის მოთხოვნის მიმა-რთვით შესაბამის ორგანოებსათვის, ხელს უწყობთ ქვეყნაში ადამიანის უფლება-თა დაცვის მაღალი სტანდარტების ჩამოყალიბებას, რაც საბოლოოდ, ხელს შეუწყობს ჩვენი უფლებების მაქსიმალურ დაცვას.

<sup>1</sup> საქართველოს მთავრობის 2012 წლის 29 თებერვლის დადგენილება № 80

# ქალი და სოციალური სამართალი

## სოციალური სუბსილიტი

ყველა ადამიანს გააჩნია სოციალური უფლებები – განათლების, შრო-  
მის, სოციალური უზრუნველყოფის, ჯანდაცვისა და სხვა. საქართვე-  
ლოს კონსტიტუციის პრეამბულაში, პირდაპირაა მითითებული,  
რომ საქართველოს მოქალაქეთა „...ურყევი წებაა, დაამკ-  
ვიდრონ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება,  
ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებ-  
რივი სახელმწიფო....“.


სოციალური სახელ-  
მწიფოს საფუძველია მო-  
ქალაქეთა სოციალური  
თანასწორუფლებინობა, დამყარება, რაც მიიღწევა სხვადასხვა  
სახელმწიფო პროგრამების რეალიზაციით.

სოციალური უფლებების რეალიზაცია ხდება თანდათან, სახ-  
ელმწიფოს რესურსების გათვალისწინებით. მთავარია, სახელმწიფო  
შექმნას ყველა პირობა და უზრუნველყოს სოციალურად დაუცველ პი-  
რთა უფლებების დაცვა.

საქართველოში სოციალურად დაუცველი ფენების უფლებები და ინ-  
ტერესები დაცულია კანონით „სოციალური დახმარების შესახებ“ (2006 წ.).  
ეს კანონი აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე სოციალური დახმარე-  
ბის მიღებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს სოციალური  
დახმარების სფეროში უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოებს, ადგენს  
სოციალური დახმარების სახეებსა და მისი დანიშვნის ძირითად პრინციპებს.  
ყველა პირს, ვინც სოციალურ დახმარებას იღებს, ბენეფიციარი ეწოდება.

სოციალური დახმარება – ნებისმიერი სახის, ფულადი ან არაფულადი ხასი-  
ათის სარგებელი, რომელიც განკუთვნილია სპეციალური მზრუნველობის საჭი-  
როების მქონე პირისათვის, ღატაკი მჯახისათვის ან უსახლკარო პირისათვის.

### ყველა ადამიანს გააჩნია სოციალური უფლებები



**სოციალური მომსახურება** – საქმიანობა, რომლის მიზანია არაფულადი სოციალური დახმარების მეშვეობით სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირის, დატაკი იჯახის ან უსახლკარო პირის სპეციფიკურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

## სოციალური დახმარების სახეობი

კანონით, გათვალისწინებულია ფულადი სოციალური დახმარების რამდენიმე სახე:

**საარსებო შემწეობა** – ეს ფულადი შემწეობის ისეთი სახეა, რომელიც განკუთვნილია შეფასების სისტემით იდენტიფიცირებული დატაკი იჯახების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის.

**საყოფაცხოვრებო სუბსიდია** – საყოფაცხოვრებო სუბსიდია არის ფულადი სოციალური დახმარება, რომელიც განკუთვნილია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ, სოციალურ კატეგორიას მიეკუთვნებულ პირთათვის გათვალისწინებული საყოფაცხოვრებო-კომუნალური მომსახურებისა და სხვა ხარჯების ასანაზღაურებლად.

**რეინტეგრაციის შემწეობა** – რეინტეგრაციის შემწეობა არის ფულადი სოციალური დახმარება, რომელიც მიეცემა სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირის ბიოლოგიურ იჯახს, მეურვეს (მზრუნველს), რომელიც ამ პირს სპეციალიზებული დანესხებულებიდან გაიყვანს იჯახურ გარემოში საცხოვრებლად და მას სათანადო მზრუნველობას გაუწევს.

**მინდობით აღზრდის ანაზღაურება** – მინდობით აღზრდის ანაზღაურება არის ფულადი სოციალური დახმარება, რომელიც მიეცემა დედობილს/მამობილს შეილობილის მოსახლეობად და აღსაზრდელად.

**სრულწლოვანზე იჯახური მზრუნველობის ანაზღაურება** – სრულწლოვანზე იჯახური მზრუნველობის ანაზღაურება არის ფულადი სოციალური დახმარება, რომელიც მიეცემა პირს, რომელიც სრულწლოვანს სპეციალიზებული დანესხებულებიდან გაიყვანს იჯახურ გარემოში საცხოვრებლად და გაუწევს მას სათანადო მზრუნველობას. (კანონი “სოციალური დახმარების შესახებ”, მუხლი 6; მუხლი 7).

**არაფულადი იჯახური დახმარება** – სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირი შეიძლება იყოს არაფულადი სოციალური დახმარების მიმღები.

არაფულადი სოციალური დახმარება შეიძლება გაეწიოს აგრეთვე ბავშვს ან/და მის ოჯახს, როდესაც იჯახი არსებული მდგომარეობა ბავშვის მზრუნველობამოკლებულად ცნობის დასაბუთებული წინაპირობაა, ან მზრუნველობამოკლებულ ბავშვს მისი იჯახურ გარემოში ცხოვრების უზრუნველსაყოფად.

**სოციალური პაკეტი** – ყოველთვიური ფულადი სარგებელი ან/და სარგებლების (ფულადი და არაფულადი სარგებლები) ერთობლიობა.

სოციალური პაკეტის დანიშვნის საფუძვლებია: შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენა და მარჩენალის გარდაცვალება.

სახელმწიფო ადგენს სოციალურად დაუცველი იჯახების მონაცემთა ბაზას. იმ-

## გაითვალისწინო!

თუ თქვენ მიეკუთვნებით სოციალურად დაუცველ იჯახთა რიცხვს, თქვენ თვითონ ირჩევთ ფულადი სოციალური დახმარების სახეს. მაგალითად, თუ იღებთ დევნილთა ყოველთვიურ დახმარებას, თქვენ შეგინყდებათ ეს დახმარება საოჯახო დახმარების მიღების შემთხვევაში.

ისთვის, რომ თქვენ მოხვდეთ ამ მონაცემთა ბაზაში, უნდა გაიაროთ რეგისტრაცია. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციისთვის ოჯახის ქმედუნარიანმა, სრულწლოვანმა წევრმა ან კანონიერმა წარმომადგენელმა, უნდა შეაგვის განაცხადი. განაცხადის შევსებისას, უნდა წარმოადგინოთ შემდეგი დოკუმენტები:

- ოჯახის სრულწლოვანი წევრების პირადობის მოწმობები. საქართველოს მოქალაქის პასპორტები ან ბინადრობის მოწმობები;
- ოჯახის არასრულწლოვან პირთა დაბადების მოწმობები;
- მეურვეობის ან მზრუნველობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ან ნოტარიულად დამოწმებული რწმუნება (თუ განმცხადებელი არ არის ოჯახის წევრი).

თუ ოჯახის წევრებს შეზღუდული აქვთ გადაადგილების უფლება, მასთან მივა სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენელი და მასთან ერთად შეავსებს „ოჯახის დეკლარაციას“. ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი ხელს აწერს დეკლარაციას. სწორედ დეკლარაციის საფუძველზე ხდება სარეიტინგო ქულების მინიჭება (სარეიტინგო ქულა არ უნდა აღმატებოდეს 57 000).

ქულების მინიჭების საფუძველზე, ოჯახს ეძლევა „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მოწმობა“. საარსებო შემწეობას ბენეფიციარი იმ წევთშივე არ იღებს. დახმარებას მიიღებს სარეიტინგო ქულის ძალაში შესულის მეოთხე თვეს.

ფულადი სოციალური დახმარების გაანგარიშებისას არ იქნება გათვალისწინებული ოჯახის ის წევრები, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ არიან მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულნი, სოციალური დახმარების დანიშვნისთვის არიან:

- სასჯელასალრულებით დაწესებულებაში მყოფი პირი/პირები, რომელთაც სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე შეეფარდათ თავისუფლების აღკვეთა;
- გაგზავნილი არიან იძულებით მეურნალობაზე;
- იმყოფებიან ვადიან სამხედრო სამსახურში;
- გასული არიან ქეყენიდნ, 3 თვეზე მეტი ვადით;
- პირი, რომელიც იმყოფება მოსუცოთა თავშესაფრაში, ბავშვთა სახლში, ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, ან წინასწარ პატიმრობაში და მის მიმართ კანონიერ ძალაში არ არის შესული გამამტყუნებელი განაჩენი.

## საყოფასხოვრებო სუბსიდია კომუნალური ხარჯების გასაწვავად

ასეთი სუბსიდიები (დახმარებები) მიეცემათ: а) მეორე მსოფლიო ომის, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებებისა და საქართველოს ტერიტორიული მოქმედებების ინვალიდებს; ბ) მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს; გ) საქართველოს ტერიტორიული მოქმედებებისთვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის, საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულთა შვილებს 18 წლის ასაკამდე; გ) ბავშვობიდან შესტატუსს მქონე შვილებს ასაკის მიუხედავად. აგრეთვე მეუღლეს, რომელიც შემდეგ აღარ დაქორწინებულა და შრომისუნარო მშობლებს (თოთოეულ ოჯახს); დ) ქ. თბილისში, 1989 წლის 9 აპრილს, საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიან აქციის დარბევეს შედეგად დაინვალიდებულ პირებს, დაღუპულთა შრომისუნარო მშობლებს, შრომისუნარო მეუღლეს, რომელიც შემდეგ აღარ დაქორწინებულა. მათ მიეცემათ თვეში 44 ლარი.

ანალოგიური სუბსიდიაა გათვალისწინებული თვეში 22 ლარის ოდენობით შემდეგი პირებისთვის: ა) მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებთან გათანაბრებულ პირებს; ბ) სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის საბრძოლო მოქმედებების მონაწილეებს; გ) მეორე მსოფლიო ომის, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებების დროს, ან შემდგომ პერიოდში დალუპულ (უგზო-უკლოდ დაკარგულ, გარდაცვლილ), აგრეთვე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის საბრძოლო მოქმედებების შემდგომ პერიოდში გარდაცვლილი მეომრების თითოეულ ოჯახს (შვილებს, 18 წლის ასაკამდე, ბავშვობიდან შეს სტატუსის მქონე შვილებს, მეუღლეს, რომელიც შემდეგ არ დაქორწინებულა და შრომისუნარო მშობლებს); დ) სამხედრო ძალების ვეტერანებს მოხუცებულობის გამო, საქენსიო ასაკის მიღწევისას; ე) ქ. ქ. ბბილისში, 1989 წლის 9 აპრილს, საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული აქციის დარბევის დროს, დაზარალებულ პირებს.

ასეთივე სუბსიდია ეძლევათ თვეში 7 ლარის ოდენობით: ა) ჩერნობილის ბიორთულ ობიექტებზე აგრძელი სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციისას დაინვალიდებულ პირებს და ლიკვიდაციის მონაწილეებს, ყოველთვიურად, ხოლო ავარიის შედეგად მარჩენლის დაკარგვისას, პენსიის მიღები იჯახს ყოველთვიურად; ბ) პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებულ პირებსა და მათი იჯახების შრომისუნარო წევრებს, ყოველთვიურად.

## ფულალი სოციალური დახმარების შესყვასტა

- დახმარების შეწყვეტა, შესაძლებელია შემდეგი მიზეზებით:
- ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისას ოჯახის უფლებამოსილი პირის მიერ მინოდებული იქნა ყალბი ინფორმაცია. ამიტომ გახსოვდეთ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ინფორმაცია ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ იყოს სრული, ამომწურავი და რაც მთავარია, ზუსტი! სიყალბის აღმოჩენის შემთხვევაში, ოჯახი ავტომატურად კარგავს დახმარების მიღების უფლებას და ასეთ ოჯახს არ გააჩინა უფლება, მომდევნო სამი წლის განმავლობაში ნარაღინოს განაცხადი და მოითხოვოს ხელახლი რეგისტრაცია მონაცემთა ბაზში;
- ოჯახის ყველა სრულწლოვანი წევრის გარდაცვალებისას;
- ოჯახის მონაცემთა ბაზაში, რეგისტრაციის გაუქმებისას;
- ოჯახის სარეიტინგო ქულის ცვლილებისას;
- საარსებო შემწეობის მისაღები სარეიტინგო ქულის ცვლილებისას.

## სოციალური პაკეტის დანიშვნა, გაშემა, შეჩერება, შესყვასტა, განახლება და გადაანგარიშება

### სად უნდა მიმართოთ სოციალური პაკეტის დასანიშნად?

სოციალური პაკეტის დანიშვნის თაობაზე განცხადება წარედგინება სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ ერთეულს, მიუხედავად მაძიებლის რეგისტრაციის ადგილისა.

## **განცხადებას თან უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტები:**

ყველა კატეგორიის სოციალური პაკეტის დანიშვნისათვის მაძიებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (მათ შორის, ბავშვის შემთხვევაში – დაბადების მოწმობა, ხოლო კანონიერი წარმომადგენლის მომართვის შემთხვევაში – აგრეთვე მისი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი);

**ქმედუსარო პირის შემთხვევაში** – მშობლის ან მეურვის/მზრუნველის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი; უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში – საინფორმაციო ბარათი გაცემული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ, რომლითაც დასტურდება მისი საქართველოს ტერიტორიაზე ბოლო 10 წლის განმავლობაში კანონიერად ცხოვრება და ცნობა იმის შესახებ, რომ ის არ იღებს პენსიას მეორე ქვეყნიდან, რომლის მოქალაქედაც იგი ითვლება;

**საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არქონე პირის შემთხვევაში – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გადაწყვეტილება საქართველოში მოქალაქეობის არქონე პირის სტატუსის დადგენის შესახებ;**

**უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში, რომელსაც მინიჭებული აქვს საქართველოს მოქალაქეობა – ცნობა იმის შესახებ, რომ ის არ იღებს პენსიას მეორე ქვეყნიდან, რომლის მოქალაქედაც იგი ითვლება;**

**შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენის გამო სოციალური პაკეტის დანიშვნის შემთხვევაში – შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტის ამონაწერი;**

**მარჩენალის გარდაცვალების გამო სოციალური პაკეტის დანიშვნის შემთხვევაში – მარჩენალის გარდაცვალების მოწმობა;**

**ომში ან მის შემდგომ პერიოდში ომის მონაწილის გარდაცვალების გამო მისი მშობლისთვის, მეულლისთვის, შვილისთვის სოციალური პაკეტის დანიშვნის შემთხვევაში – მარჩენალის გარდაცვალების მოწმობა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის სტრუქტურული ქვედანაყოფის ვეტერანთა საქმებს დეპარტამენტის (შემდგომში – ვეტერანთა საქმების დეპარტამენტი) მიერ გაცემული ვეტერანის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი, გარდაცვალილი პირის დაბადების მოწმობა (მშობლის შემთხვევაში), ქორწინების მოწმობა (მეუღლის შემთხვევაში), დაბადების მოწმობა (შვილის შემთხვევაში);**

**გამოს მონაწილის შემთხვევაში – ვეტერანთა საქმების დეპარტამენტის მიერ გაცემული ვეტერანის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი;**

**მისი ინვალიდის შემთხვევაში – ვეტერანთა საქმების დეპარტამენტის მიერ გაცემული ვეტერანის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი, შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტის ამონაწერი, რომელშიც მითითებული იქნება შესაძლებლობის შეზღუდვის მიზეზობრივი კავშირი ომთან;**

**პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარების გამო სოციალური პაკეტის დანიშვნის შემთხვევაში – სასამართლოს გადაწყვეტილება პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარების შესახებ;**

**პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირის გარდაცვალების გამო მისი მშობლისთვის, მეუღლისთვის, შვილისთვის სოციალური პაკეტის დანიშვნის შემთხვევაში – გარდაცვალების მოწმობა, სასამართლოს გადაწყვეტილება გარდაცვლილი პირის პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარების შესახებ, გარდაცვლილი პირის დაბადების მოწმობა (მშობლის შემთხვევაში), ქორწინების მოწმობა მოწმობა (შემთხვევაში), ქორწინების მოწმობა**

(მეუღლის შემთხვევაში), დაბადების მოწმობა ან სასამართლო გადაწყვეტილება (შვილის შემთხვევაში);

**მარტოხელობის შემთხვევაში** – დაბადების მოწმობა, ქორწინების მოწმობა (ასეთის არსებობისას), შვილ(ები)ს დაბადების მოწმობები (ასეთის არსებობისას).

## გალაციური სოციალური პაკეტის ლაიფცის თაობაზე

სოციალური პაკეტის დანიშნის თაობაზე განცხადებას სააგენტო იხილავს და გადაწყვეტილებას სოციალური პაკეტის დანიშვნის/არდანიშვნის თაობაზე ილებს განცხადების წარდგენიდან არა უგიანეს 10 კალენდარული დღის ვადაში.



### სოციალური პაკეტი ინიშნება:

- განცხადებისა და ყველა საჭირო დოკუმენტის წარდგენის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან, თუ განცხადება წარდგენილია სოციალურ პაკეტზე უფლების წარმოშობიდან ნებისმიერ დროს;
- სოციალური პაკეტის უფლების წარმოშობის თვის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან, თუ განცხადება ყველა საჭირო დოკუმენტთან ერთად წარდგენილია სოციალურ პაკეტზე უფლების წარმოშობამდე არა უმეტეს 10 კალენდარული დღით ადრე.

სოციალური პაკეტი გაიცემა საქართველოს ტერიტორიაზე. განსაკუთრებულ შემთხვევებში ბენეფიციარისათვის სოციალური პაკეტის მიტანა პინაზე ხორციელდება გასაცემლის გამცემ საბანკო დაწესებულებაში ბენეფიციარის წერილობითი განცხადების საფუძველზე.

### სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე მყოფი ზოგიერთი კატეგორიის პირის სოციალური პაკეტით უზრუნველყოფის განსაკუთრებული წესი

თუ სახელმწიფო მეურვეობის/მზრუნველობის ქვეშ მყოფ არასრულწლოვანს ან სხვა ქმედუნაროდ აღიარებულ პირს წარმოშობა ან უკვე მოპოვებული აქვს სოციალური პაკეტის მიღების უფლება, სააგენტო სოციალური პაკეტის გამცემ საბანკო დაწესებულებაში ამ პირის სახელზე სხნის საანაბრე (სადეპოზიტო) ან-გარიშს, რომელზეც ყოველთვიურად ირიცხება სოციალური პაკეტის თანხა.

ამ გათვალისწინებული პირის მიერ საანაბრე (სადეპოზიტო) ანგარიშზე ჩარიცხული თანხის (ძირითადი თანხა და პროცენტი) განკარგვა შესაძლებელია მხოლოდ პირის ქმედუნარიბინობის შემთხვევაში ან ქმედუნარიბის აღგენამდე – მეურვეობისა და მზრუნველობის რეგიონული საბჭოს გადაწყვეტილებით.

საანაბრე (სადეპოზიტო) ანგარიშზე დაგროვილი თანხა (ძირითადი თანხა და პროცენტი) ექვემდებარება სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხვას ამ ქმედუნარო პირის გარდაცვალების შემთხვევაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს პირის პირველი რიგის მემკვიდრე, რომელიც ასევე იმყოფება სახელმწიფოს მეურვეობის/მზრუნველობის ქვეშ. ამ შემთხვევაში, საანაბრე (სადეპოზიტო) ანგარიშზე დაგროვილი თანხის (ძირითადი თანხა და პროცენტი) გაცემა მოხდება აღნიშნულ მემკვიდრეზე.

## **სოციალური პაკეტი შეჩერდება ქვემოთ ჩამოთვლილი საფუძვლის ნარმოშობის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან:**

ბენეფიციარის მიერ სოციალური პაკეტის ზედიზედ 6 თვის განმავლობაში მიუღებლობა, ანუ როდესაც არ ხდება მისი კუთვნილი საბანკო ანგარიშიდან თანხის გატანა ზედიზედ 6 თვე; ასევე იმ გარემოების არსებობა, როდესაც საბანკო ანგარიშებიდან თანხები გაიცემა მინდობილობით და მინდობილობის გაცემიდან 1 წლის გასვლის შემდეგ არ მომხდარა მინდობილობის განახლება; აგრეთვე ისეთი გარემოების არსებობა, როდესაც პირი ახორციელებს სარგებლის დეპოზიტზე გადატნისა და 1 წლის გასვლის შემდეგ, პირადად არ მიუმართავს საბანკო დაწესებულებისათვის შესაბამისი განცხადებით; პირის წინასწარ პატიმრობაში ყოფნისას; შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირის შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში დადგენილ ვადაში გადამოწმებაზე საპატიო მიზეზით (საავადმყოფოში, სანატორიუმში ან სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებაში ყოფნის გამო) გამოუცხადებლობა.

**სხვა საპატიო მიზეზებად ჩაითვლება:** შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მუშაობის გრაფიკის დარღვევა ან ფორს-მაჟორული მდგომარეობა (სტიქიური უბედურება, დაუძლეველი ძალა, საგანგებო ან საომარი მდგომარეობა).

**სოციალური პაკეტი განახლდება მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან და ანაზღაურდება მოულდებელი თანხა ნარსული დროისათვის, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლისა სოციალური პაკეტის შეჩერების დღიდან:**

- ბენეფიციარის მიერ სააგენტოსათვის სოციალური პაკეტის განახლების თაობაზე განცხადების წარდგენის შემდეგ;
- ბენეფიციარის მიმართ გამამართლებული განაჩენის გამოტანისას;
- შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის განმეორებითი დადგენისას სოციალური პაკეტის განახლების თაობაზე განცხადების წარდგენის შემდეგ.

## **სოციალური პაკეტის შენიშვნება**



### **პაკეტი შეწყდება:**

1. პირადი განცხადებით;
2. საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში;
3. სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისას, რომლითაც პირს შეეფარდა თავისუფლების აღვეთის აღსრულება; სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან;
4. სოციალური პაკეტის შეჩერების შემთხვევაში – სოციალური პაკეტის შეჩერების დღიდან;
5. უცხო ქვეყნის მოქალაქისა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირის საქართველოდან გაძევებისას;
6. საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლისას ან საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვისას;
7. ბენეფიციარის გარდაცვალებისას;
8. სოციალური პაკეტის შეჩერებიდან 3 წლის გასვლის შემდგომ; მარჩენალდაკარგული პირ(ების 18 წლის ასაკის მიღწევისას;



9. სოციალური პაკეტის დანიშვნისათვის საჭირო შეზღუდული შესაძლებლობის შესაბამისი სტატუსის დაკარგვისას;
10. შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირის შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში დადგენილ ვადაში გადამოწმებაზე გამოუცხადებლობისას, თუ არ არსებობს ამ წესით გათვალისწინებული საპატიო მიზეზი;
11. ვეტერანთა საქმების დეპარტამენტის მიერ მინიჭებული ვეტერანის სტატუსის დაკარგვისას;
12. სახელმწიფო პენსიის დანიშვნისას; სხვა საფუძვლით.

### **სოციალური პაკეტის მიუღებელი თანხის ანაზღაურება ბენეფიციარის გარდაცვალების შემთხვევაში**

ბენეფიციარის გარდაცვალების შემთხვევაში, გარდაცვალებამდე მიუღებელი სოციალური პაკეტის თანხები პირველი რიგის კანონით მემკვიდრებზე (შვილები, მშობლები, მეუღლე) ან სამკვიდრო მოწმობის მფლობელზე (ანდერძით ან კანონით მემკვიდრე) გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ:

ბენეფიციარის გარდაცვალებამდე კუთვნილი მიუღებელი სოციალური პაკეტის თანხა მოქმედი კანონმდებლობის დაცვით ჩარიცხულია საპანკო ანგარიშზე ან მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით სოციალური პაკეტის თანხა არ არის ჩარიცხული საპანკო ანგარიშზე; შეჩერებული სოციალური პაკეტის განახლების შესახებ მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, რომელიც ბენეფიციარის ან რწმუნებით აღჭურვილი პირის მიერაა განხორციელებული ბენეფიციარის სიცოცხლეში.

პირველი რიგის კანონით მემკვიდრებზე (შვილები, მშობლები, მეუღლე) ან სამკვიდრო მოწმობის მფლობელზე (ანდერძით ან კანონით მემკვიდრე) სოციალური პაკეტის თანხები გაიცემა თუ მათ მიუღებელი თანხისთვის კომპეტენტურ ორგანოს განცხადებით მიმართეს პირის გარდაცვალების დღიდან არა უგვიანეს ერთი წლისა იმ პირობით, რომ გაცემული თანხა სამკვიდროს გაყოფამდე, ერთიანი ქონების სახით ეკუთვნის ყველა თანამემკვიდრეს.

### **სოციალური პაკეტის გადაანგარიშება**

სააგენტოს მიერ ბენეფიციარის სოციალური პაკეტის ოდენობის გადაანგარიშება განხორციელდება ავტომატურად, კანონმდებლობით გათვალისწინებული სოციალური პაკეტის ოდენობების ცვლილებების შემთხვევაში.

### **სოციალური პაკეტიდან თანხის დაკავება**

სოციალური პაკეტიდან თანხის დაკავება შეიძლება მხოლოდ სააგენტოს ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

ზედმეტად დარიცხული სოციალური პაკეტის დაპრუნება შესაძლებელია სააგენტოს გადაწყვეტილებით დანიშნული სოციალური პაკეტის არა უმეტეს 20%-ის დაკავების მეშვეობით იმ შემთხვევებში, როდესაც ზედმეტი თანხის დარიცხვა გამოწვეულია ბენეფიციარის მიერ არასწორ მონაცემების წარდგენით.

სოციალური პაკეტი განახლდება მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან და ანაზღაურდება მიუღებელი თანხა წარსული დროისათვის, მაგრამ არა უმეტეს ერთი

წლისა სოციალური პაკეტის შეჩერების დღიდან:

- ა) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ბენეფიციარის მიერ სააგენტო-სათვის სოციალური პაკეტის განახლების თაობაზე განცხადების წარდგენის შემდეგ;
- ბ) ბენეფიციარის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანისას;
- გ) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის განმეორებითი დადგენისას, სოციალური პაკეტის განახლების თაობაზე განცხადების წარდგენის შემდეგ.

### **სოციალური პაკეტის მიუღებელი თანხის ანაზღაურება ბენეფიციარის გარდაცვალების შემთხვევაში**

ბენეფიციარის გარდაცვალების შემთხვევაში, გარდაცვალებამდე მიუღებელი სოციალური პაკეტის თანხები პირველი რიგის კანონით მემკვიდრეობზე (შვილები, მშობლები, მეუღლე) ან სამკვიდრო მოწმობის მფლობელზე (ანდერძით ან კანონით მემკვიდრე) გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ:

- ბენეფიციარის გარდაცვალებამდე კუთვნილი მიუღებელი სოციალური პაკეტის თანხა მოქმედი კანონმდებლობის დაცვით ჩარიცხულია საბანკო ანგარიშზე ან მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით სოციალური პაკეტის თანხა არ არის ჩარიცხული საბანკო ანგარიშზე; მოთხოვნა შეჩერებული სოციალური პაკეტის განახლების შესახებ ბენეფიციარის ან რწმუნებით აღჭურვილი პირის მიერ განხორციელებულია ბენეფიციარის სიცოცხლეში.
- პირველი რიგის კანონით მემკვიდრეობზე (შვილები, მშობლები, მეუღლე) ან სამკვიდრო მოწმობის მფლობელზე (ანდერძით ან კანონით მემკვიდრე) სოციალური პაკეტის თანხები გაიცემა, თუ მათ მიუღებელი თანხისათვის კომპეტენტურ ორგანოს განცხადებით მიმართეს პირის გარდაცვალების დღიდან არა უგვიანეს ერთი წლისა იმ პირობით, რომ გაცემული თანხა სამკვიდროს გაყოფამდე ერთიანი ქონების სახით ეკუთვნის ყველა თანამემკვიდრეს.

### **საკენესო უზრუნველყოფა და ლაზლვება**

საერთაშორისო საზოგადოების მიერ, „სოციალური ქარტიის“ მიღება და სოციალურ უფლებათა ჩამონათვალში სოციალური უზრუნველყოფის უფლების ერთერთ „საგალდებულო“ უფლებად გათვალისწინება მეოცე საუკუნის ერთ-ერთ მიღწევად შეიძლება დაგასახელოთ. საპენსიო უზრუნველყოფის უფლებამ ასევე ასახვა პპოვა საქართველოს კონსტიტუციაში, როგორც საქართველოს მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებების გარანტირებული რეალიზაცია. პენსიის/სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლებას ანიჭებს არა მხოლოდ შესაბამისი ასაკის მიღწევა და ნამუშევარი წლების არსებობა, არამედ კანონით განსაზღვრული სხვა შემთხვევებიც, მაგალითად, ჯანმრთელობის მდგომარეობა და ოჯახში მარჩენალის დაკარგვა. არსებობს სხვა შემთხვევებიც. ძალიან ხშირად, უფლებების არცოდნა ხელს გვიძლის უფლებების განხორციელებაში. ამიტომ აუცილებელია, ყველა იცნობდებს იმ სამრთლებრივ ნორმებს, რასაც სახელმწიფო ადგენს ამ სფეროში იმისთვის, რომ აღნიშნული უფლებით მაქსიმალურად ისარგებლოთ.

 პენსია – ყოველთვი-  
ური ფულადი  
და არაფულადი  
უზრუნველყოფა

პენსია შეიძლება იყოს სახელმწიფო და არასახ-  
ელმწიფო, ასევე სახელმწიფო კომპენსაცია და სახ-  
ელმწიფო აკადემიური სტიპენდია.

სახელმწიფო პენსიის დანიშვნის დროს, პენსიის  
გადახდა ხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. არასახ-  
ელმწიფო პენსიის მიღების დროს პენსია გადაირ-  
იცხება სპეციალურად შექმნილი ანგარიშიდან, რომელიც იქმნება ფიზიკური პირისა  
და არასახელმწიფო დაწესებულებების გადარიცხვის გზით (პენსია – ყოველთვიური  
ფულადი და არაფულადი უზრუნველყოფა).

## სახელმწიფო პენსია

გსურთ სახელმწიფო პენსიის დანიშვნა? პენსიის დასანიშნად უნდა არსებობდეს  
შემდეგი საფუძველი.

საქართველოს მოქალაქე მამაკაცმა – 65 წლის და ქალბატონმა – 60 წლის შეს-  
რულების შემდეგ, ასაკის საფუძვლით, სახელმწიფო პენსიის დასანიშნად შეგიძლიათ  
მიმართოთ სოციალური მომსახურების სააგნენტოს ტერიტორიულ ერთეულს.



### სახელმწიფო პენსიის დანიშვნა შეუძლიათ:

- საქართველოს მოქალაქეებს;
- საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პი-  
რებს;
- პენსიის დანიშვნის თაობაზე განცხადების შეტანის მომენტი-  
სათვის ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველოს ტერი-  
ტორიაზე კანონიერ საფუძველზე მუდმივად მცხოვრებ უცხო  
ქვეყნის მოქალაქეებს.

### რა თანხას შეადგენს სახელმწიფო პენსიის ოდენობა?

#### საპენსიო პაკეტი განისაზღვრა:

- 60-დან 67 წლამდე ქალებისა და 65-დან 67 წლამდე მამაკაცებისათვის 2013  
წლის 1 აპრილამდე 125 ლარით, რომელშიც ფულადი კომპონენტი შეადგენს  
110 ლარს;
- 67 წლის და მეტი ასაკის შემთხვევაში, 140 ლარს, რომელშიც ფულადი კომ-  
პონენტი შეადგენს – 125 ლარს;
- 2013 წლის 1 აპრილიდან 2013 წლის 1 სექტემბრამდე, ყველა ასაკით პენ-  
სიონერისთვის სახელმწიფო პენსიის ფულადი ოდენობა განისაზღვრა  
125 ლარით;
- 2013 წლის 1 სექტემბრიდან ყველა ასაკით პენსიონერისათვის სახელმწიფო  
პენსიის ფულადი ოდენობა განისაზღვრება 150 ლარით.

### რა დოკუმენტებია საჭირო სახელმწიფო პენსიის დასანიშნად?

პენსიის დასანიშნად რაიონულ განყოფილებაში უნდა წარადგინოთ:

## **თუკი თქვენ საქართველოს მოქალაქე პრძანდებით:**

- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

## **უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის საჭიროა:**

- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ცნობა იმის თაობაზე, რომ ის არ იღებს პენსიას მეორე ქვეყნიდან, რომლის მოქალაქედაც იგი ითვლება;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გაცემული საანთორმაციო ბარათი, რომლითაც დასტურდება მისი საქართველოს ტერიტორიაზე ბოლო 10 წლის მანძილზე კანონიერად ცხოვრება.

## **ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირმა უნდა წარადგინოს:**

- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ცნობა იმის თაობაზე, რომ ის არ იღებს პენსიას მეორე ქვეყნიდან, რომლის მოქალაქედაც იგი ითვლება.

## **საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირმა:**

- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გადაწყვეტილება საქართველოში მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის დადგენის შესახებ.
- განცხადება შეივსება სოციალური მომსახურების სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ ერთეულში.

## **რა ვადა საჭირო სახელმწიფო პენსიის დასანიშნად?**

განცხადება (საჭირო დოკუმენტებთან ერთად) სახელმწიფო პენსიის დანიშნვნის თაობაზე განიხილება და შესაბამისი გადაწყვეტილება მიღება განცხადებისა და საჭირო დოკუმენტების წარდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში. კომპეტენტური ორგანოს მიერ პენსიის დანიშნვნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში პენსია (მხოლოდ ფულადი სარგებელი) ინიშნება განცხადების წარდგენის მომდევნო თვეს პირველი რიცხვიდან, თუ განცხადება წარდგენილია პენსიაზე უფლების წარმოშობის თვეში ან შესაბამისი საფუძვლის წარმოშობიდან ნებისმიერ დროს. განცხადება 2013 წლის საკანონმდებლო ცვლილებათა მიხედვით, ასევე შეტანილი შეიძლება იყოს ელექტრონული წესითაც.

განცხადების შეტანა ხდება თქვენი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, სადაც დარეგისტრირებული ბრძანდებით.

პენსიის დასანიშნად განცხადებით შეგიძლიათ მიმართოთ ნებისმიერ დროს. ასევე, თუ თქვენ გაგაჩნიათ ერთდღოულად სახელმწიფო კომპენსაცია და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიისა და სახელმწიფო პენსიის მიღების საფუძვლი, უფლება გაქვთ, თქვენი არჩევით მიიღოთ მხოლოდ ერთი სახის საპენსიო უზრუნველყოფა.

გახსოვდეთ! პენსია ინიშნება მხოლოდ ერთი საფუძვლით და რამდენიმე საფუძლის არსებობის შემთხვევაში, შერჩევის უფლება თქვენ გაქვთ.

## **რა სახის შეზღუდვები არსებობს საპენსიო პაკეტის მიღებაზე?**

თუ პირს ერთდღოულად წარმოეშვა უფლება „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონით „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის

შესახებ” საქართველოს კანონითა და “სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ” მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებულ სარგებლებზე, მას აქვს მხოლოდ ერთი კანონით მინიჭებული სარგებლის მოთხოვნის უფლება, მისივე არჩევით.

პენსიაზე უფლება არ წარმოიშობა და წარმოშობილი უფლება შეწყდება პირის მიერ საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში.

### რა არის პენსიის შეჩერებისა და განახლების საფუძველი?

პენსია (მხოლოდ ფულადი სარგებელი) შეჩერდება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი საფუძვლის წარმოშობის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან:

- პენსიონერის მიერ პენსიის ზედიზედ 6 თვის განმავლობაში მიუღებლობისას, ანუ როდესაც არ ხდება მისი კუთხითი საპანკო ანგარიშიდან თანხის გატანა ზედიზედ 6 თვის განმავლობაში;
- როდესაც საპენსიო ანგარიშებიდან თანხები გაიცემა მინდობილობით და მინდობილობის გაცემიდან 1 წლის გასვლის შემდეგ არ მომზდარა მინდობილობის განახლება;
- როდესაც პირი ახორციელებს პენსიის დეპოზიტზე გადატანას და 1 წლის გასვლის შემდეგ პირადად არ მიუმართავს პენსიის გამცემი საპანკო დაწესებულებისათვის შესაბამისი განცხადებით;
- პირის წინასწარ პატიმრობაში ყოფნისას.
- პენსია განახლდება განახლების თაობაზე განცხადების წარდგენის თვის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან და ანაზღაურდება მიუღებელი თანხა წარსული დროისათვის, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლისა პენსიის შეჩერების დღიდან:
- პირველი პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში;
- პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში პირისათვის გამამართლებელი განაჩენის გამოტანისას.

### პენსიის შეწყდეტის საფუძველი

პენსია (მხოლოდ ფულადი სარგებელი) შეწყდება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი საფუძვლის წარმოშობის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან:

- პირადი განცხადებით;
- საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში;
- სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისას, რომლითაც პირს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთის აღსრულება - პენსიის შეჩერების დღიდან;
- უცხო ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის საქართველოდან გაძევებისას;
- პირის საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლისას ან საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვისას;
- პენსიონერის გარდაცვალებისას;
- პენსიის შეჩერების დღიდან 3 წლის გასვლის შემდეგ;
- სხვა საფუძვლით, თუ იგი ამ კანონიდან გამომდინარეობს.

## **როგორ განვაახლოთ პენსიის გაცემა?**

შეწყვეტილი პენსიის გაცემის განახლებისთვის აუცილებელია განცხადებისა და საჭირო დოკუმენტების (რომლითაც დასტურდება შეწყვეტის ან შეჩერების მიზე-ეზების არარსებობა) ფონდში წარდგენა. უარის შემთხვევაში, აღნიშნული პასუხი სასამართლოში საჩივრდება.

### **გარდაცვალების შემთხვევაში**

პენსია, რომელიც პირს ეკუთვნოდა და მისი გარდაცვალების დროისთვის არ იქნა მიღებული, მიეცემა მის მემკვიდრეობს თუ მათ მიუღებელი თანხისთვის მიმართეს პირის გარდაცვალების დღიდნ არა უგვიანეს ერთი წლისა.

თუ არსებობს რამდენიმე მემკვიდრე, კუთვნილი თანხა მათ შორის განაწილდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (იხილეთ თავი „ქალი და მემკვიდრეობითი სამართალი“).

### **პენსიიდან თანხის დაკავება**

თუ არასწორი მონაცემების წარდგენის გამო თქვენს საპენსიო ანგარიშზე ზედმეტი თანხის დარიცხვა მოხდა, ზედმეტად დარიცხული პენსიის დაბრუნება შესაძლებელია მხოლოდ კომპეტენტური ორგანოს, მაგალითად საქართველოს მრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით და არა უმცეს 20%-ის დაკავების მეშვეობით; ან კიდევ, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე – დანიშნული პენსიის არა უმცეს 50%-ის დაკავებით.

განსაკუთრეთ! პენსიის მიღების დროს თქვენ არ იზღუდებით დამატებით მიიღოთ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სოციალური დახმარებები და ისარგებლოთ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.

### **სად მიიღებთ პენსიას?**

პენსიის მისაღებად უნდა მიმართოთ სს „ლიბერთი ბანკი“, სადაც გაგიწევენ შესაბამის მომსახურებას.

### **როგორ გაიცემა პენსია?**

პენსიის გაცემა ხდება თქვენი მოთხოვნის შემთხვევაში საქართველოს ნებისმიერ ტერიტორიაზე – ქალაქში, დასახლებაში და ა.შ. თქვენი სურვილის შემთხვევაში, პენსიის საცხოვრებელ ადგილზე მიტანაც შეიძლება. პენსიის გაცემა უნდა მოხდეს ყოველთვიურად, თვის დასრულებისას.

პენსიის ოდენობა ასაკის გამო პენსიის მინიმალური ოდენობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით. პენსიის ოდენობა, შეიძლება შეიცვალოს. ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ კანონში ცვლილებების შეტანით. პენსია, დღევანდელი განმარტებით, არის დანიშნული ყოველთვიური ფულადი სარგებლისა და ჯანმრთელობის დაზღვევის ერთობლიობა. (საქართველოს კანონი „სახელმწიფო პენსიის შესახებ“, მუხლი 4).

პენსიონერი არ იზღუდება დამატებით მიიღოს საციალური დახმარებები საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## სახელმწიფო კომპენსაცია და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია<sup>1</sup>

აღნიშნული სახის კომპენსაციისა და სტიპენდიის გადახდა ხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, სახელმწიფოში განსაკუთრებული სამსახურის გავლის შემთხვევაში გარკვეულ თანამდებობაზე მუშაობის გამო, ასევე შესაძლებლობების შეზღუდვის და გარდაცვალების გამო. კანონმდებლობით გათვალისწინებულ ჩამონათვალში შედიან:

1. საქართველოს პარლამენტის წევრები;
2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები; საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები;
3. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეები;
4. საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე და მისი მოადგილე (მოადგილეები);
5. სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებიდან და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირები, აგრეთვე ფინანსთა მინისტრის შესაბამისი სამსახურის იმ თანამდებობებიდან გათავისუფლებული პირები, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის დადგენილებით;
6. პროკურატურის სისტემიდან დათხოვნილ მუშავები;
7. საქართველოს ყოფილი უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირთა ოჯახის წევრები;
8. უმაღლესი დიპლომატიური რანგის მქონე პირები;
9. საქართველოს პარლამენტის აპარატის მოხელეები;
10. მეცნიერები;
11. სამოქალაქო ავიაციის მოსამსახურეები;
12. გენერალური აუდიტორი და მისი მოადგილე;
13. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები;
14. მარჩენალდაკარგული პირები.

აღნიშნული პენსიის მიღების უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს მოქალაქეს, მაგრამ შეიძლება გამოინაკლისის დაშვება, რაც კანონით უნდა იყოს დამტკიცებული.

თუ თანამდებობიდან დათხოვნა მოხდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ან სხვა არამართლზომიერი ქმედების ჩადენის გამო, აღნიშნული სტიპენდიის მიღების უფლება იკარგება.

კომპენსაციის/სახელმწიფო სტიპენდიის დანიშვნის საფუძვლებია:

- მუშაობის ვადის ამონურვა;
- 65 წლის ასაკს მიღწევა;
- შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენა;

**მარჩენალის გარდაცვალება –** გარდაცვალების შემთხვევაში, მარჩენალის გარდაცვალების გამო, კომპენსაციის მიღების უფლება აქვთ აგრეთვე გარდაცვლილის ოჯახის წევრებს. აღნიშნული ვრცელდება მშვილებლებზე, თანაბრად მშვილებზე, ნაშვილებ ბავშვებზე, თანაბრად შვილებზე. არასრულწლოვანი შვილები კომპენსაციას მიიღებენ 18 წლამდე ასაკამდე. თუ შვილები სწავლობენ, მაშინ 23 წლის ასაკამდე.

<sup>1</sup> საქართველოს კანონი “სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ”;

თუ არსებობს რომელიმე საფუძველი, თქვენ ნებისმიერ დროს შეგიძლიათ მიმართოთ პენსიის დასანიშნად. თუ თქვენ გაგაჩნიათ ორი ან მეტი პენსიის მიღების საფუძველი, უფლება გაქვთ, მიიღოთ მხოლოდ ერთი სახის პენსია თქვენი არჩევით.

## რა ოდენობისაა პენსია?

არსებობს სქემა, რომლის მიხედვით ხდება პენსიის გამოანგარიშება (აღნიშნული მოპოვება „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობაში).

კომპენსაციის ან სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 560 ლარს. შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენის გამოპენსიის გაანვარიშება დამოკიდებულია თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. ჯანმრთელობის შეზღუდვის სიმძიმე დადასტურებული უნდა იყოს სამედიცინო დოკუმენტებით.

შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი – პირი, რომელსაც ასეთი სტატუსი მინიჭებული აქვს „სამედიცინო-სოციალური ექსპერტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. აღნიშნული სტატუსის დასადგენად, განცხადებით უნდა მიმართოთ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი სამკურნალო დაწესებულებების სახით, რომელსაც უფლება აქვს მოგანიჭოთ შშმ პირის სტატუსი.

ბს-620-608 საქმეზე მოსარჩეულ 22 წლის განმავლობაში მსახურობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში. 2011 წლის 22 თებერვლიდან დაითხოვეს. საქართველოს შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების საინჟინრო ბრიგადის საინჟინრო ბატალიონის შტაბის ინფორმაციურ ყოფნის დროს, მისი ხელფასი შეადგენდა 1189 ლარს. „სახელმწიფო კომპენსაციის და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, მისთვის სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობა უნდა განსაზღვრულიყო დათხოვნის მომენტისათვის მისი ხელფასის 0,75%-ს სამრავლით ზემოთ ხსნებულ ორგანოში მუშაობის სტაუზე, რაც ჯამში 174 ლარს შეადგენს. სოციალური მომსახურების სააგენტომ საქართველოს შრომის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის №46/6 ბრძანებაზე დაყრდნობით, ხელფასის ოდენობა მხოლოდ თანამდებობრივი სარგოს, წელთა ნამსახურების პროცენტული დანამატის და სამხედრო წოდებისათვის დადგენილი სარგოების ჯამით დაიანგარიშა და ა. კ-ს კომპენსაციის სახით 53.78 ლარი დაუნიშნა, რაც მოსარჩელეს უკანონდ მიაჩინია. მან მიმართა სასამართლოს.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, სადაც საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის არსებით მნიშვნელობას იძენს ხელფასის ცნებასთან დაკავშირებით სათანადო კანონის გამოყენება. კერძოდ, სადაც ხელფასის ოდენობის განსაზღვრისას, ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა ეხელმძღვანელა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტით, რომლის თანახმად, მოსამასახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/6 ბრძანებით, რომელიც დამტკიცებულია „სახელმწიფო პენსიის, სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესის“ 22-ე მუხლის მე-6 პუნქტით. კომპენსაციის ოდენობა გამოითვლება და გაანგარიშდება ხელფასის ოდენობიდან. შესაბამისად, კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს თავად ხელფასის კომპონენტების განსაზღვრა.

აღნიშნულ საქმეზე უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ როგორც ადმინისტრაციული ორგანოები, ასევე ქვედა ინსტანციის სასამართლოები ფორმალურად მიუდგნენ სადაცო საკითხს და არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცეს განსახილველ სამართალურთიერთობას.

საკასაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობს ადმინისტრაციული საჩივრის დაკამაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2012 წლის 9 იანვრის №04/1092 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძვლები.

### როგორ ხდება პენსიის დანიშვნა?

თქვენი განცხადების საფუძველზე, კომპენსაციის ან სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნა მოხდება განცხადების წარდგენის დღიდან.

მარჩენალის გარდაცვალების გამო კომპენსაცია ინიშნება მარჩენალის გარდაცვალების დღიდან, თუ განცხადება კომპეტენტურ ორგანოს წარედგინება გარდაცვალებიდან 3 თვის ვადაში. ამ ვადის გასვლის შემთხვევაში, კომპენსაცია ინიშნება განცხადების წარდგენის დღიდან.

#### კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის გაცემის შეწყვეტა და განახლება:

- სხვა სახის სახელმწიფო პენსიის დანიშვნისას;
- პირადი განცხადებით;
- კომპენსაციის ან სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მიმღების გარდაცვალებისას – აღნიშნული საფუძვლის დადგენისას, მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან; თუკი შეიღები სასწავლებლის დღის განყოფილებაზე სწავლობენ, – 23 წლის ასაკის მიღწევისას;
- შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დაკარგვისას;
- არასრულწლოვანი პირის მიერ 18 წლის ასაკის მიღწევისას – მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან; თუკი შეიღები სასწავლებლის დღის განყოფილებაზე სწავლობენ, – 23 წლის ასაკის მიღწევისას;
- შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენილ ვადაში გადამოწმებაზე გამოუცხადებლობისას, – მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. მისი გაცემა განახლდება შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მიერ, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის განმეორებით დადგენის შემდეგ;
- სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისას, რომლითაც შეეფარდა თვისისუფლების აღკვეთა, – მისი კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან; თავისისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან გათავისუფლების შემდეგ გაცემა განახლდება;
- საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლისას, ან საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვისას;
- **გარდაცვალებით** – გარდაცვალების მოწმობის ან გარდაცვალების რეგისტრაციის შესახებ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიული სამსახურების მიერ კომპეტენტური ორგანოსთვის მიწოდებული ყოველთვიური ინფორმაციის საფუძველზე. თუ მოხდა გარდაცვლილად გამოცხადება ან უგზო-უკვლიდ დაკარგულად აღიარება სასამართლოს მიერ და აღნიშნული გადაწყვეტილება გაუქმდა, მაშინ სტიპენდიის გაცემა განახლდება.

კანონის მიხედვით, თუ არსებობს კომპენსაციის ან სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის გაცემის შეწყვეტის გარემოება, თქვენ უნდა აცნობოთ ფონდს ამის შესახებ ამ გარემოების დადგომიდან არა უგვიანეს 15 დღისა.

## როგორ განვაახლოთ პენსიის გაცემა?

შეწყვეტილი კომპენსაციის ან სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის გაცემა განახლება შესაბამისი საფუძვლის აღმოჩევრის შემთხვევაში, თუ მისი გამოსწორება შესაძლებელია. განახლებისთვის აუცილებელია განცხადებისა და საჭირო დოკუმენტების წარდგენა კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მიღებისას თქვენ არ იზღუდებით სხვა სახის სოციალურ დახმარებათა მიღებაში, რომელიცჩიგათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით.

### სოციალური დახმარების შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრება.

თუკი თქვენ მიმართეთ სოციალური დახმარების ან მიღების შესახებ (რომელიმე სახის დახმარებას პენსიის დანიშვნის თაობაზე ან სხვა; ან მიუხედავად თქვენი მიმართვისა ვერ მოხდა შეჩერებული პენსიის განახლება) და არ ეთანხმებით თქვენს მიმართ მიღებულ გადაწყვეტილებას, უფლება გაქვთ საკუთარი უფლებების დასაცავად მიმართოთ სასამართლოს.

## შესახებ და დახმარების შეჩერება

2010 წლის 17 მაისს თ. ხ-ემ, ლ. ლ-ემ, დ. ხ-ემ და ვ. ხ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის – საქართველოს მრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართ. მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ არიან 1989 წლის 9 აპრილს თბილისში, საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის დროს ქიმიური ნივთიერებით მონამვლის შედეგად დაზარალებულები. მონამვლის ფაქტი დაფიქსირდა ქ. თბილისის სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრის მიერ და აღრიცხვაზე იმყოფებინ საქართველოს საქველმოქმედო ფონდში, „9 აპრილი“. სახელმწიფოს მხრიდან მათ მიმართ აღიარებულია რიგი სოციალური გარანტიები. „ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულთა აღიარებისა და მათი სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“ 1999 წლის 30 აპრილის კანონით საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს (შემდგომში შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს) დაევალა ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულ პირებზე შესაბამისი მონამბების გაცემა. 9 აპრილის აქციაში მონაწილეთა სოციალური დაცვის გარანტიების მიღების საფუძველს წარმოადგენდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს მიერ გაცემული 9 აპრილის მონაწილის მოწმობა. მოსარჩელეთა განმარტებით, კანონის გამოსულისთანავე საქელმოქმედო ფონდი, „9 აპრილის“ მეშვეობით მიმართეს სამინისტროს მოწმობების გაცემის შესახებ, მაგრამ სამინისტროს უმოქმედობის გამო მოწმობები სრულად ვერ იქნა გაცემული და მათთვის დღემდე 9 აპრილის მონაწილის მოწმობა არ მიუციათ, თუმცა მოწმობის არქონის მიუხედავად, ისინი მინისტრის ბრძანებით სოციალური დაცვის გარანტიებით სარგებლობდნენ ფონდ „9 აპრილის“ ცნობის საფუძველზე. საქართველოს სოციალური

მომსახურების სააგენტოს 2009 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილებით კი სოციალური დახმარების მიღება შეუჩერდათ. აღნიშნულის შემდეგ, მათ მიმართეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 9 აპრილს დაზარალებულის მოწმობის გაცემის ხელახალი მოთხოვნით, რაზეც უარი მიიღეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩევლებმა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის კანონით დაკისრებული მოვალეობის შესრულების – მათთვის 9 აპრილს დაზარალებულთა მოწმობების გაცემის უზრუნველყოფის დავალება, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2009 წლის 18 აგვისტოს 01-15/04-10028 წერილით შეჩერებული მათი კუთვნილი სახელმწიფო გასაცემლის აღდგენა და მიუღებელი სახლმწიფო გასაცემლების ანაზღაურება მოითხოვეს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნულ საქმეზე მიუთითა, რომ აღნიშნული განმარტება არ გამომდინარებს განსახილველი შემთხვევიდან, ვინაიდან, „სოციალური შეღავათების მოწეტიზაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 11 იანვრის N4 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება დაავაგმირებულია უფლების წარმოშობასთან. მაშინ, როდესაც საქმის მასალებით უდავოდ დადგენილია, რომ თ. ხ-ეს, ლ. ღ-ესა და დ. ხ-ეს სხენებული უფლება უკვე წარმოშვათ (ისინი წლების მანძილზე სარგებლობდნენ აღნიშნული გარანტიებით), რის გამოც მათზე უნდა გავრცელებულყო ამავე მუხლის მე-2 პუნქტი, რომელიც ითვალისწინებს ხელახალ რეგისტრაციას იმ პირთავის, ვინც არ იმყოფება კომპეტენტურ ორგანიზმი აღრიცხვაზე, რაც თ. ხ-ის, ლ. ღ-ისა და დ. ხ-ის შემთხვევაში სახეზეა.

რაც შეეხება სასამართლო მოთხოვნებს ვ. ხ-ის ნაწილში, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება ის გარემოება, რომ ვ. ხ-ე იყო რეგისტრირებული ქ. თბილისის N1 სამუშანალო-პროფილაქტიკურ ცენტრში. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიზნევს, რომ ვ. ხ-ემ ვერ დაადასტურა ის გარემოება, რომ ის აკადემიურობებს სხენებული კანონის მე-2 მუხლის იმპერატიულ დანაწესს, რის გამოც მასზე ვერ გავრცელდება აღნიშნული კანონის მიქმედება, შესაბამისად ის ვერ იქონიებს სამართლებრივ საფუძველს სოციალური დაცვის გარანტიების მიღებაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ თ. ხ-ის, ლ. ღ-ის, დ. ხ-ისა და ვ. ხ-ის საკასაციო საჩინარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს თბილისის საპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 15 დეკემბრის განჩინება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება, თ. ხ-ის, ლ. ღ-ისა და დ. ხ-ის სარჩევი უნდა დაკმაყოფილდეს, ვ. ხ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უნდა დაევალოს თ. ხ-ეზე, ლ. ღ-ეზე და დ. ხ-ეზე 9 აპრილის დაზარალებულთა მოწმობების გაცემის უზრუნველყოფა, ასევე თ. ხ-ის, ლ. ღ-ისა და დ. ხ-ისათვის შეჩერებული სახელმწიფო გასაცემლის აღდგენისა და მიუღებელი სახელმწიფო გასაცემლის ანაზღაურების უზრუნველყოფა.

## საპარენტო თანხის ანაზღაურება

საქმეზე ბს-327-30 9 (2-ე-07) ჟ.ნ-მა სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქი სასამართლოს საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ქუთაისის ფილიალის მიმართ და საპენსიონ თანხის ანაზღაურება მოითხოვა.

იგი იყო აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირი, მის მონაბილე. 2003 წლის აპრილიდან იღებდა ომის მონაბილის პენსიას 40 ლარის ოდენობით. 2004 წლის

მაისში შეუჩერდა აღნიშნული პენსიის გაცემა საქართველოს ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის მიერ გაცემული საბუთის წარუდგენლობის გამო. პენსიის შეჩერების შესახებ ზეპირსიტყვიერად აცნობეს და რაიმე სახის დოკუმენტი აღნიშნულ მიზეზზე მითითებით მისთვის არ ჩაუბარებით. საქართველოს ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის მიერ ახალი მოწმობების გაცემა ნელი ტემპით მიმდინარეობდა, რის გამოც პენსიის მიღება არ აღიადგა 2006 წლამდე.

ჯ.ნ-ამ განცხადებით მიმართა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ქუთაისის ფილიალს, რათა მათ მოეხდინათ სათანადო დაანგარიშება და მის ანგარიშზე ჩატარებული პენსია ომის მონაწილის გასული პერიოდისთვის არსებული პენსიის გათვალისწინებით. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ქუთაისის ფილიალმა წერილობით პასუხში განმარტა, რომ პენსიის გაცემის შეჩერება განპირობებული იყო მოსარჩელის მიერ ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის დამადასტურებელი მოწმობის დროულად წარუდგენლობით და „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, წარსული დროისთვის შეჩერებული პენსიის ანაზღაურება შესაძლებელია არა უმეტეს ერთი წლისა პენსიის შეჩერების დღიდან.

მოსარჩელემ მოითხოვა 2004 წლის მაისიდან 2006 წლის მაისამდე უკანონოდ შეჩერებული პენსიის დაანგარიშების დაგალება და აღნიშნული თანხის მის ანგარიშზე ჩარიცხვა ამის მონაწილისათვის იმ დროს არსებული პენსიის ოდენობის გათვალისწინებით. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ჯ. ნ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მან სააპელაციო წესით გაასაჩივრა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოულებელი პენსიის სახით 1040 ლარის გადახდის დაკისრება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილებით ჯ. ნ-ას სააპელაციო საჩივარი ნანილობრივ დაკმაყოფილდა. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ქუთაისის ფილიალს ჯ. ნ-ას სასარგებლობრივ დაეკარის წარსულში გაუცემელი ერთი წლის პენსიის, 480 ლარის ანაზღაურება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ქუთაისის ფილიალმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით ჯ. ნ-თვის სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმა. მისი აზრით, 2002 წლის 1 იანვრიდან ომის ვეტერანთა პენსიის დანიშვნა-გადაანგარიშებისათვის აუცილებელი იყო მოქალაქეებს წარედგინათ საქართველოს ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის მიერ გაცემული საბუთი, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოხდებოდა პენსიის გაცემის შეჩერება და მოქალაქე, როგორც ომის ვეტერანი გაზრდილ პენსიაზე უფლებას ვერ მოიპოვებდა. აღნიშნული კატეგორიის პირებზე გაზრდილი ოდენობით პენსიის გაცემა შესაძლებელი იყო მხოლოდ შესაბამისი საბუთის წარდგენის დღიდან. მისი მითითებით, სწორედ ზემოაღნიშნული ბრძანებულება გახდა ჯ. ნ-თვის პენსიის გაცემის შეჩერების საფუძველი, რომელიც აღდგენილ იქნა შესაბამისი მოწმობის წარდგენიდან. აქედან გამომდინარე, პენსიის უკანონოდ შეჩერებას მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია, რის გამოც მოსარჩელეს უარი უნდა ეთქვას საპენსიო თანხის ანაზღაურებაზე.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ჯ. ნ-ამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

მოცემულ საქმეზე საკასაციო სასამართლო ჩაითვალა, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ არასწორად იქნა გამოყენებული ანალოგით მითითებული ნორმა. ანალოგის გამოყენება საჯარო სამართალში მკაცრად შეზღუდულია და დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ანალოგის გამოყენების გარეშე შეუძლებელია სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგება. ანალოგის გამოყენება დაუშვებელია მით უფრო თუ ანალოგის გამოყენებას შედეგად პირის უფლებრივი მდგომარეობის გაუარესება მოყვება.

საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ ჯ. ნ-ას საკასაციო საჩივარი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს. მოპასუხეს კი დაევალა 2004-2006 წლებში შეჩერებული პენსიის ანაზღაურება სრული მოცულობით, 1040 ლარის ოდენობით.

### არასახელმწიფო პენსია და დაზღვევა

თქვენ უფლება გაქვთ, ისარგებლოთ არასახელმწიფო პენსიითა და დაზღვევით. არასახელმწიფო პენსიის გადახდა ხდება საპენსიო დანაგროვის ფონდიდან. აღნიშნული ფონდის მონანილე, მისი ან სპეციალურად მითითებული პირის სასარგებლოდ, რიცხავს შენატანებს და ამის საშუალებით ქმნის საპენსიო სახსრებს.

აღნიშნული ფონდი სადაზღვევო კომპანიების მეშვეობით ფუნქციონირებს, რომლებიც საქმიანობას ახორციელებენ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემული დაზღვევის ლიცენზიისა და რეგისტრირებული საპენსიო სექმების საფუძველზე.

საპენსიო დანაგროვის ფონდთან იდება ხელშეკრულება არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, ფონდი საპენსიო სქემით დადგენილი წესის შესაბამისად იღებს არასახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის ვალდებულებას, ხოლო მეორე მხარე (ფიზიკური ან იურიდიული პირი) იღებს საპენსიო შენატანების გადახდის ვალდებულებას.

დადებული ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს ჩანაწერს საპენსიო დანაგროვის სქემისა და ამ დანაგროვის ოდენობაზე ასახის პირობების შესახებ. დასაშვებია სქემების შეცვლა.

ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს:

- თავის სასარგებლოდ;
- სხვა ნებისმიერი პირის სასარგებლოდ;
- დამსაქმებლის მიერ თავისი მუშაკების სასარგებლოდ.

აღნიშნული პენსიის მიღების უფლება აქვს ადამიანს, ვის სასარგებლოდაც იქმნება შენატანი. აღნიშნული პენსია არ შეიძლება გადაცეს სხვა პირს. (საქართველოს კანონი “არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ”.)

### არასახელმწიფო პენსიის სახეები და მისი გაცემის წესი

- მუდმივი პენსია, რომელიც ეძლევა პირს პენსიის გაცემის დაწყებიდან გარდაცვალებამდე;
- განსაზღვრული ვადით გასაცემი პენსია, რომელიც ეძლევა პირს არანაკლებ ხუთი წლის განმავლობაში.

მუდმივი პენსია არის ინდივიდუალური ან ერთობლივი.

ინდივიდუალური პენსია ერიცხება და ეძლევა პირს გარდაცვალებამდე. პენსიის დარიცხვა და გაცემა წყდება მისი გარდაცვალებისთანავე.

ერთობლივი პენსია მიეცემთ საპენსიო სექმის წევრ მეუღლებს პენსიის გაცემის დაწყებიდან მათ გარდაცვალებამდე. თუკი ერთ-ერთი მეუღლე გარდაიცვალა, ამ

პენსიის ნახევარი მიეცემა მეორე მეუღლეს. განქორწინების შემთხვევაში, თითოეულ ყოფილ მეუღლეს, უფლება აქვს მიიღოს ერთობლივი პენსიის ნახევარი.

ერთობლივი პენსიის შესახებ მეუღლეთა შორის ნამოჭრილი დავა განიხილება

სასამართლოს მიერ სასარჩელო განცხადების საფუძველზე. განსაზღვრული ვადით გასაცემი პენსია, პირის გარდაცვალებს შემთხვევაში, საპენსიო უზრუნველყოფის ვადის დამთავრებამდე, მიეცემა მის მემკვიდრეებს.

## განვითარება!

- თქვენ გაქვთ პენსიის სახეობის შერჩევის უფლება; პენსიის მიღების შემთხვევაში, თქვენ არ იზღუდებით სხვა შეღავათების მიღებით;
- თუკი თქვენ პენსიას იღებთ, თქვენ ასევე გაქვთ მუშაობის უფლება, მაგრამ პენსიის მიღების უფლება შეგინწყდებათ საჯარო სამსახურში მუშაობის პერიოდში;
- შეზღუდვა თქვენზე არ გავრცელდება, თუკი თქვენ მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის ან მხედველობის გამო მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი ბრძანდებით.

ან მთლიანად, დაკარგულია შრომისუნარიანობა. ასევე, თქვენ უფლება გაქვთ, თქვენი სურვილის შემთხვევაში, პენსია უფრო გვიან ასაკში მიღიოთ.

## ჯანმრთელობის დაზღვევა საქართველოში და სხვა ჯანდაცვითი პროგრამების მოქლე მიმოხილვა

დღესდღეობით, საქართველოში სახელმწიფო სადაზღვევო სისტემა და კერძო სადაზღვევო სისტემა ფუნქციონირებს.

სახელმწიფო დაზღვევის დროს სახელმწიფო თავისი ბიუჯეტის ფარგლებში იღებს კონკრეტულ ვალდებულებას და უზრუნველყოფს მოქალაქეებს გარკვეული სახით სამედიცინო მომსახურებით.

სახელმწიფო დაზღვევის პროგრამები იგეგმება ყოველწლიურად და განისაზღვრება შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით.

## რა არის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის არსი?

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის მიზანია საშუალება მისცეს ბენეფიციარებს, თავი დაცულად იგრძნონ და თანაგადახდით ან საფასურის გადახდის გარეშე, შეუზღუდვად მიიღონ სრულყოფილი სამედიცინო მომსახურება აღნიშნული პროგრამის ფარგლებში.

### ამ კუთხით საყურადღებოა:

- „სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისა და სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის N218 დადგენილება;

- „ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, 0-5 წლის (ჩათვლით) ასაკის ბავშვების, 60 წლის და ზემოთ ასაკის ქალებისა და 65 წლის და ზემოთ ასაკის მამაკაცების (საპენსიო ასაკის მოსახლეობა), სტუდენტების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გასატარებელი ლონისძიებებისა და სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 7 მაისის №N165 დადგენილება.

### **მოსარგებლები და სამედიცინო მომსახურების პირობები**

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის №N218 დადგენილების ფარგლებში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის ბენეფიციარები არიან:

- ოჯახები, რომლებიც რეგისტრირებული არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახებს მონაცემთა ერთიან ბაზაში“, მათვის მინიჭებული სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000 ერთეულს;
- 2008 წლის 6 აგვისტოდან საქართველოზე რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული თავდასხმის შედეგად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა ოჯახები, რომელთა განსახლება მოხდა სახელმწიფოს ან სხვა იურიდიული პირების მიერ შესყიდულ, რეაბილიტირებულ ან ახლად პრენებულ საცხოვრებელ ადგილებში;
- სკოლა-პანსიონებში მცხოვრები (მათ შორის, მზრუნველობამოქალებული და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე) ბავშვები და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული სააღმზრდელო საქმიანობის განმახორციელებელი დაწესებულებების, დედათა და ბავშვთა თავშესაფრებისა და სათემო ორგანიზაციების ბენეფიციარები:
  - სახალხო არტისტები, სახალხო მხატვერები და რუსთაველის პრემიის ლაურეატები;
  - საჯარო სკოლის მასწავლებლები;
  - საჯარო სკოლის ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი;
  - სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული პროფესიული-საგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლები;
  - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში შემავალი იმ საჯარო სკოლის აღმზრდელები, სადაც ხორციელდება პანსიონური მომსახურება;
  - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გალის ტერიტორიაზე მდებარე საქართველოს სახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლები;
  - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების – საგანმანათლებლო რესურსცენტრების თანამშრომლები;
  - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიის მიმდებარედ მცხოვრები ოჯახები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მიწოდებული სიის შესაბამისად.

## **ვის ემსახურება მოსახლეობის ჯანმრთლობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამა?**

მოსახლეობის ჯანმრთლობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის ბენეფიციარები არიან:

- 0-5 წლის (ჩათვლით) ასაკის საქართველოს მოქალაქეები და პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირები;
- საპენსიო ასაკის საქართველოს მოქალაქეები და პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირები, ასევე საპენსიო ასაკის სახელმწიფო პენსიის მიმღები პირები;
- სტუდენტი – საქართველოს მოქალაქე, რომელიც ჩაირიცხა და სწავლობს ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გასავლელად, ასევე საქართველოს მოქალაქე პროფესიულ სტუდენტი და ის პირები, რომლებიც სწავლობენ პროფესიულ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამით;
- შშმ ბავშვი საქართველოს მოქალაქე;
- მკვეთრად გამოხატული შშმ საქართველოს მოქალაქე.

## **2012 წლის სახელმიწოდებლის სალაზლვებო პროგრამები**

საქართველოს მთავრობის №№218 დადგენილება შემდეგ საკითხებსა და პირებს მოიცავს:

- უმწეო მოსახლეობა
- დევნილები
- პედაგოგები
- სახალხო არტისტები
- მინდობით აღზრდაში მყოფი ბავშვები
- სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ბენეფიციარები

### **საქართველოს მთავრობის №№165 დადგენილებით გათვალისწინებულია:**

- 0-5 წლის (ჩათვლით) ბავშვები;
- ასაკით პენსიონერები
- სტუდენტები
- შშმ ბავშვები
- მკვეთრად გამოხატული შშმ პირები

### **სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამები რეგულირდება**

- საქართველოს მთავრობის №№218 დადგენილებით;
- საქართველოს მთავრობის №№265 დადგენილებით;
- საქართველოს მთავრობის №№177 დადგენილებით.

### **არ არის დაფარული (გამონაკლისები)**

- თერაპიული პროფესიონის გეგმიური პოსპიტალური მომსახურება;
- სამედიცინო ჩვენებისა და ექიმის დანიშნულების გარეშე მკურნალობა, თვითმკურნალობა;

- საზღვარგარეთ გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარჯები;
- სანატორიულ-კურორტული მკურნალობა;
- ესთეთიკური ქირურგია, კოსმეტიკური მიზნით ჩატარებული მკურნალობა;
- სექსუალურ დარღვევების, უშვილობის მკურნალობის ხარჯები;
- აივ-ინფექციის/მიდსის, ქრონიკული ჰეპატიტის სპეციფიკურ ანტივირუსულ მკურნალობასთან დაკავშირებული ხარჯები;
- თუ სამედიცინო მომსახურების საჭიროება დადგა ტერორისტულ ან კრიმინალურ აქტებში მონაწილეობის, ან არალეგალურად მოხმარებული ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების შედეგად;
- ორგანოთა ტრანსპლანტაციის, აგრეთვე ეგზოპროთეზირების ხარჯები.

### **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მარეგულირებელი სივრცე და განხორციელების წესები**

აღნიშნული პროგრამა რეგულირდება საქართველოს მთავრობის №36 დადგენილებით. პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს სსიპ -სოციალური მომსახურების სააგენტო.

მომსახურების მიმწოდებელია ორგანიზაცია (სამედიცინო დაწესებულება), რომელიც აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, გამოთქვამს პროგრამაში მონაწილეობის სურვილს, ეთნოსმება პირობებს და დადგენილ ვადში, როგორც წესია, წერილობით დაუდასტურებს განმახორციელებელს პროგრამაში მონაწილეობის სურვილს.

პროგრამის ადმინისტრირებაში მონაწილეობს სსიპ – სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო, რომელიც აკონტროლებს სისტემის მუშაობას.

### **ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები**

ამჟამად მოქმედებს საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამები:

- იმუნიზაცია, ანტირაბია, უსაფრთხო სისხლი;
- სასწრაფო სამედიცინო დახმარება, რეფერალური ტრანსპორტირება;
- სოფლის ექიმი;
- სპეც მედიკამენტები;
- ფსიქიკური ჯანმრთელობა;
- ინფექციური დავადებები;
- ტუბერკულოზის მართვა;
- აივ-ინფექცია/ შიდსი;
- დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა;
- ბავშვთა ონკოპერატოლოგია;
- თირკმლის ქრონიკული უცმარისობა;
- ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მომსახურება;
- იშვიათი დაავადებების მკურნალობა;
- და სხვა მიზნობრივი პროგრამები.

ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები საქართველოს მთავრობის №92, №482 დადგენილებით წესრიგდება. პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს სსიპ -სოციალური მომსახურების სააგენტო, ხოლო მომსახურების მიმწოდებელია ორგანიზაცია, რომელიც აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს,

გამოთქვამს პროგრამაში მონაწილეობის სურვილს, ეთანხმება ვაუჩერის პირობებს და დადგენილ ვადაში და წესით წერილობით დაუდასტურებს განმახორციელებელს პროგრამაში მონაწილეობის სურვილს.

პროგრამის ადმინისტრირებაში მონაწილეობს სსიპ – სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო, რომელიც განიხილავს განცხადებებს და საჩივრებს.

### ინდივიდუალური დახმარების პროგრამის მოცულობა და მომსახურების მიზნდების წესი

#### გახსოვდეთ!

- ინდივიდუალური განცხადის საფუძველზე სამედიცინო მომსახურების დაფინანსება შესაძლებელია
- პროგრამის განხორციელების მექანიზმები რეგულირებულია საქართველოს მთავრობის №331 დადგენილებით;
- პროგრამით განსაზღვრული მომსახურება რეგულირდება საქართველოს მთავრობის №331 დადგენილებით;

### კერძო სადაზღვეო ურთიერთობები

სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამის გარდა არსებობს კერძო ხასიათის დაზღვევა – როდესაც არასახელმწიფო სადაზღვევო კომისანიების მიერ ხორციელდება სამედიცინო სერვისი ან სხვა შემთხვევების დაფინანსება, მათი დადგომის შემთხვევაში (დაზღვევა შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს, მაგალითად: სიცოცხლის დაზღვევა, კრიტიკული დაავადებებისგან დაზღვევა, უბედური შემთხვევებისაგან დაზღვევა, სამოგზაურო დაზღვევა და სხვა).

არსებობს კორპორატიული სადაზღვევო კონტრაქტები (იდება, როგორ წესი, ორგანიზაციების თანამშრომლებთან) და ინდივიდუალური სადაზღვევო კონტრაქტები (იდება ერთ პირთან).

კონკრეტული შემთხვევის დადგომისას, თქვენ უფლება გაქვთ მოითხოვოთ და ისარგებლოთ სერვისით. ხოლო, არასათანად მომსახურების ან/და სერვისის მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში, უფლება გაქვთ მიმართოთ სასამართლოს და მოსთხოვოთ ზიანის ანაზღაურება.

### სოციალური პაკეტის მიმღებ პირთა წრე, ოდენობები და დაფინანსების წყარო

#### სოციალური პაკეტი ენაშებათ:

- მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს :
- “საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დალუბულ, უგზო-უკვლილ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ” საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ დალუბულთა მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე იმ მშობელს, რომელსაც დაელუბა 3 შვილი – 309 ლარის ოდენობით;
- “საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და და-

- მოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრი-ლობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ დაღუპულთა მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე იმ მშობელს, რომელსაც დაედუპა 2 შვილი – 254 ლარის ოდენობით;
- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში გარდაცვლილი მეომრის მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მარტოხელა მშობელს – 199 ლარის ოდენობით;
  - საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების შედეგად მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს – 173 ლარის ოდენობით;
  - საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში გარდაცვლილთა მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, შემდეგი თანმიმდევრობით, უფროსი ასაკის მშობელს ან მეულეს ან 18 წელს ზემოთ ასაკის შვილს – 144 ლარის ოდენობით;
  - სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების შედეგად მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს – 144 ლარის ოდენობით;
  - მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ან/და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების მონაცილებს – 122 ლარის ოდენობით;
  - მეორე მსოფლიო ომის, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებების დროს ან შემდგომ პერიოდში გარდაცვლილი, აგრეთვე ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების შემდგომ პერიოდში გარდაცვლილი მეომრის მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, შემდეგი თანმიმდევრობით, უფროსი ასაკის მშობელს ან მეულეს ან 18 წელს ზემოთ ასაკის შვილს – 122 ლარის ოდენობით;
  - პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებულ მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, ხოლო პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირის გარდაცვალების შემთხვევაში – მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, შემდეგი თანმიმდევრობით, უფროსი ასაკის მშობელს ან მეულეს ან 18 წელს ზემოთ ასაკის შვილს – 107 ლარის ოდენობით;
  - სხვა მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებს – 100 ლარის ოდენობით;

#### **მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს :**

- „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრი-ლობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ დაღუპულთა მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე იმ მშობელს, რომელსაც დაელუპა 3 შვილი – 279 ლარის ოდენობით;
- „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრი-ლობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“

- საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ დაღუპულთა მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე იმ მშობელს, რომელსაც დაელუპა 2 შეიძლი - 224 ლარის ოდენობით;
- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საპროცესუალი მოქმედების შედეგად მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს - 173 ლარის ოდენობით;
  - საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში გარდაცვლილი მეომრის მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, მარტოხელა მშობელს - 169 ლარის ოდენობით;
  - სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების შედეგად მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს - 128 ლარის ოდენობით;
  - საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში გარდაცვლილთა მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, შემდეგი თანმიმდევრობით, უფროსი ასაკის მშობელს ან მეუღლეს ან 18 წელს ზემოთ ასაკის შეიძლება - 114 ლარის ოდენობით;
  - მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ან/და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების მრავალობებს - 92 ლარის ოდენობით;
  - მეორე მსოფლიო ომის, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებების დროს ან შემდგომ პერიოდში გარდაცვლილი, აგრეთვე ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების შემდგომ პერიოდში გარდაცვლილი მეომრის მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, შემდეგი თანმიმდევრობით, უფროსი ასაკის მშობელს ან მეუღლეს ან 18 წელს ზემოთ ასაკის შეიძლება - 92 ლარის ოდენობით;
  - პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებულ მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, ხოლო პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირის გარდაცვალების შემთხვევაში - მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მშობელს ან მეუღლეს ან 18 წელს ზემოთ ასაკის შეიძლება - 77 ლარის ოდენობით;
  - სხვა მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებს - 70 ლარის ოდენობით;

#### **ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს:**

- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საპროცესუალი მოქმედების შედეგად ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს - 124 ლარის ოდენობით;
- სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების შედეგად ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს - 114 ლარის ოდენობით;

#### **შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პავშებს:**

- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში გარდაცვლილთა შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პავშებს - 114 ლარის ოდენობით;

- სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებების დროს ან შემ-დგომ პერიოდში გარდაცვლილი, აგრეთვე ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების შემდგომ პერიოდში გარდაცვლილი მეომრის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვს – 92 ლარის ოდენობით;
- პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად ალიარებული პირის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვს – 77 ლარის ოდენობით;
- სხვა შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვებს – 70 ლარის ოდენობით;
- ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომლებსაც 18 წლის ასაკის შემდეგ დადგენილი აქვთ ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი – 70 ლარი;
- მარჩენალის გარდაცვალების გამო:
- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში გარდაცვლილთა შვილებს 18 წლის ასაკამდე – 99 ლარის ოდენობით;
- სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებების დროს ან შემ-დგომ პერიოდში გარდაცვლილი, აგრეთვე ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების შემდგომ პერიოდში გარდაცვლილი მეომრის შვილებს 18 წლის ასაკამდე – 77 ლარის ოდენობით;
- პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად ალიარებული პირის გარდაცვალების შემთხვევაში, გარდაცვლილი პირის შვილებს 18 წლის ასაკამდე – 62 ლარის ოდენობით;
- სხვა თითოეულ მარჩენალ დაკარგულს – 55 ლარი;

#### **სახელმწიფო კომპენსაციის მიმღებს:**

- „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლიდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ დაღუპულთა იმ მშობელს, რომელსაც დაელუბა 3 შვილი – 209 ლარის ოდენობით;
- „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლიდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ დაღუპულთა იმ მშობელს, რომელსაც დაელუბა 2 შვილი- 154 ლარის ოდენობით;
- მარტოხელა, „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლიდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებულ შრომისუუნარო მშობელს – 99 ლარის ოდენობით;
- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებისა და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების შედეგად მკვეთრად, მნიშვნელოვნად და ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს – 44 ლარის ოდენობით;

- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში გარდაცვლილთა, შემდეგი თანმიმდევრობით, უფროსი ასაკის შრომისუუნარო მშობელს, შრომისუუნარო მეუღლეს, შრომისუუნარო შვილს – 44 ლარის ოდენობით;
- სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების მონაბილებს – 22 ლარის ოდენობით;
- სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების დროს ან შემდგომ პერიოდში გარდაცვლილი, აგრეთვე ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების შემდგომ პერიოდში გარდაცვლილი მეომრების, შემდეგი თანმიმდევრობით, უფროსი ასაკის შრომისუუნარო მშობელს, შრომისუუნარო მეუღლეს, შრომისუუნარო შვილს – 22 ლარის ოდენობით;
- სამხედრო ძალების ვეტერანებს საპენსიო ასაკის მიღწევისას – 22 ლარის ოდენობით;
- პოლიტიკური რეპრესიები მსხვერპლად აღიარებულ პირებს, ხოლო პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირის გარდაცვალების შემთხვევაში შრომისუუნარო მშობელს, შრომისუუნარო მეუღლეს, შრომისუუნარო შვილს – 7 ლარის ოდენობით;
- პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებულ პირებს :
- პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებულ პირებს, რომლებიც ამავდროულად არიან სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების მონაბილეები – 77 ლარის ოდენობით;
- სხვა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებულ პირებს – 62 ლარის ოდენობით;
- კომპაქტურად განსახლებული საქართველოს ოკუპაციებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირებისათვის – დევნილის სტატუსის მქონე პირებისათვის, რომელთა მიერ მოხმარებული ელექტრონურგიის საფასური, საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების ხარჯები, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან/და საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით იურიდიული პირის მიერ:

  - 44 ლარით;
  - 22 ლარით;
  - 7 ლარით.

## **შეზღუდვები სოციალური პაკეტის მიღებაზე**

### **1. დაუშვებელია:**

- ა) ორი ან მეტი სოციალური პაკეტის ერთდროულად მიღება;
- ბ) სოციალურ პაკეტთან ერთად სახელმწიფო პენსიის (საპენსიო პაკეტი) ან სახელმწიფო კომპენსაციის მიღება.
- როდესაც პირს წარმოქმნა უფლება მიღოს რამდენიმე სარგებელი, მას აქვს მხოლოდ ერთ-ერთი სარგებლის მოთხოვნის უფლება სააგენტოში წარდგენილი განცხადების შესაბამისად.

პირის გარდაცვალების შემთხვევაში, სოციალური პაკეტის დანიშვნა ხორციელდება მხოლოდ ერთ ბენეფიციარზე სააგენტოში წარდგენილი განცხადების შესაბამისად, გარდა მე-5 მუხლის პირველი პუნქტის “ვ.დ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

სოციალური პაკეტის მიღების უფლება არ წარმოშობა და წარმოშობილი უფლება წყდება პირის მიერ საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში, გარდა მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და მხედველობის გამო მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა.

## ლიცენზი ქალაბისათვის საინტერესო ინფორმაცია

დევნილი მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს სტატუსის მინიჭება, გამოსახლება და კომპენსაცია. საომარი კონფლიქტების შედეგად განსაკუთრებით დაზარალდა დევნილი მოსახლეობა. დევნილთათვის სოციალური ზრუნვის ნაკლოვანება, დასაქმების პრობლემა, განათლებასთან და ჯენტრიფილობის დაცვასთან დაკავშირებული პრობლემა დღემდე გადაუქრელია. დევნილ მოსახლეობას იგივე პრობლემები ანუხებს, რაც საერთოდ ყველა მოქლაქეს, თუმცა უფრო გამწვავებულად.

საერთაშორისო საზოგადოება დგას უმნიშვნელოვანესი ამოცანის წინაშე, უზრუნველყოს იმ პირთა დაცვა, რომლებმაც იძულებით მიატოვეს თავიანთი საცხოვრებელი ადგილი შეიარაღებული კონფლიქტების, ადამიანის უფლებების უხეში დარღვევისა და სხვა ტრავმული მოვლენების გამო, მაგრამ რჩებიან საკუთარი ქვეყნის ფარგლებში. ისინი ყოველთვის სასტიკ უუფლებობას, გაჭირვებასა და დისკრიმინაციას განიცდიან. სწორედ ამ პრობლემების გადასაჭრელად შეიქმნა სახელმძღვანელო პრინციპები იძულებით გადაადგილების შესახებ, სადაც საუბარია საერთაშორისო სამართლის აქტებით დადგენილ დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვის გარანტიებსა და თავდაცვის საშუალებებზე. აღნიშვნული სახელმძღვანელო პრინციპები განსაზღვრავს იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვის უფლებებსა და გარანტიებს მათი გადაადგილების ყველა ფაზაზე. პრინციპები უზრუნველყოფს იძულებით გადაადგილებისაგან დაცვის საფუძველს და ადგენს უსაფრთხო დაბრუნების, განსახლებისა და რეინტეგრაციის გარანტიებს.

სახელმძღვანელო პრინციპებმა უნდა იყისროს ლირებული პრაქტიკული სახელმძღვანელოს როლი მთავრობებისათვის, ხელისუფლების სხვა უფლებამოსილი ორგანოებისთვის, სამთავრობათაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის მათ საქმიანობაში იძულებით გადაადგილებულ პირებთან.

### სახელმძღვანელო პრინციპების გარდა, მნიშვნელოვანია:

1. საქართველოს კანონი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა (დევნილთა) შესახებ.
2. საქართველოს ლოგოლებით გადაადგილებულ პირთა დევნილად ცნობის, დევნილის სტატუსის მინიჭების და დევნილთა რეგისტრაციის წესის, იძულებით გადაადგილებული პირის დევნილის მოწმობის ფორმის, მოწმობის შესახებ დებულებისა და ანკეტის ფორმის დამტკიცების თაობაზე.
3. საქართველოს მთავრობის დადგენილება №157 იძულებით გადაადგილებულ პირთა დევნილთა რეგისტრაციისა და სოციალური საკითხების, სახელმწიფოს ფულადი შემნეობის, ჰუმანიტარული და სხვა სახის დახმარების გაცემის მოწერილების ლონისძიებათა შესახებ.

4. მინისტრის ბრძანება № 18;
5. მთავრობის № 403 განკარგულება.

დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიით გათვალისწინებული პროგრამების შემუშავებასა და მათი განხორციელების შედეგების მონიტორინგში წამყვანი როლი, პასუხისმგებლობა და მაკონტრინირებული ფუნქცია დაეკისრა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს.

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, კონფლიქტების შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფა და მათი სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაცია საქართველოს მთავრობის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს. უკვე 18 წელზე მეტია, რაც დევნილები კოლექტურ ცენტრებში – მძიმე მდგომარეობაში მყოფ ყოფილ ადმინისტრაციულ შენობებში ცხოვრობენ, ხშირად რთულ სანიტარულ პირობებში, სადაც ხელი არ მუშავდებათ წყალზე, ელექტრონობასა თუ გაზით მომარაგებაზე. ასეთ შემთხვევებში, მნიშვნელოვანია სასამართლოსადმი სარჩელით მიმართვის უფლება.

თუკი თვლით, რომ დარღვეულია დევნილის სტატუსის მინიჭების, შემწეობის ანდა კომპენსაციის შესახებ თქვენი უფლებები, შეგიძლიათ სარჩელით მიმართოთ სასამართლოს მას შემდეგ, რაც აღნიშნულ პრო-ლემაზე თავდაპირველად მიმართავთ იძულებით გადაადგილებულ პირთა და განსახლების სამინისტროს და ეს უკანასა-ნელი უარს გიცხადებთ თქვენი მოთხოვნების და დაგენერიკულებაზე.


იმისათვის, რომ დევნილებმა მიიღონ დევნილის მომმობა და ამ სტატუსით დაშვებული შელავათები, დევნილები გაივლიან ყოველწლიურ რეგისტრაციას, როგორც დევნილის სტატუსის მატარებელი. აღნიშნული რეგისტრაცია დევნილთა აღნიშნული პროცესით იქმნება ყოველწლიური სტატისტიკური მონაცემები საქართველოში მყოფი დევნილთა შესახებ. ასეთი რეგისტრაციის შემდგომ დევნილებს ენიჭებათ ყველა ის უფლება-მიღვალეობები, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონით „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“. მნიშვნელოვანია, რომ რეგისტრაციისათვის საიდენტიფიკაციო მონაცემები სიზუსტით იქნას მოპოვებული. სამართლებრივი მნიშვნელობა ენიჭება ასევე დევნილთა დროებითი საცხოვრებელის ადგილის სიზუსტით განსაზღვრას, რამდენადაც აღნიშნული წარმოშობს სამართლებრივ შედეგს თითოეული იძულებით გადაადგილებული პირისთვის. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც მონაცემები მცდარია, საქართველოში ადმინისტრაციული კოდექსი ითვალისწინებს იმ შეცდომების გამოსხორების შესაძლებლობას, რომელიც წარმოიშვა დევნილის რეგისტრაციის პროცესში. დევნილთა ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა ხელმისაწვდომობა ჯანდაცვაზე, რომელიც უნდა იყოს სათანადო და ხარისხიანი, გარკვეული კატეგორიის დევნილებს მინიჭებული აქვთ ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისები, რაც გულისხმობს უფასო სადღელამისო სამედიცინო მომსახურებას, ძირითად სამედიცინო პრეპარატებსა და ნაწილობრივ სტაციონალურ მუსუნალობასაც. მიუხედავად ამისა, დევნილთა უმრავლესობა ვერ სარგებლობს ამ უფლებითო რადგანაც ისინი და ჯანმრთელობის მუშაკები არ არიან სათანადოდ ინფორმირებულნი აღნიშნული შედავათების შესახებ.

სხვადასხვა რეგიონში დევნილებთან შეხვედრებისას გამომჟღავნდა, რომ ჯან-

 დევნილთა ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა



 ხელმისაწვდომობა ჯანდაცვაზე



დევნილად ითვლება ის მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქობის არმქონე პირი, რომელიც ძიულებული გახდა დატოვებინა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და გადაადგილებულიყო საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში

დაცვის სფეროში დევნილთა უფლებების დარღვევის უამრავ შემთხვევას ჰქონდა ადგილი.

**რაც შეეხება განათლებას.** აუცილებელია დევნილ ახალგაზრდებს და განათლების მიღების მსურველებს ხელი მიუწვდებოდეთ განათლებაზე შეუზღუდავად. დევნილი მოსახლეობისთვის არსებობს განსხვავება მიღებული განათლების ხარისხში.

განვიხილეთ მაგალითისთვის 3 სასამართლო გადაწყვეტილება, რომელთაგან 2 შეეხება კომპენსაციის მიღებას, ხოლო მესამე – დევნილთა შემწეობის თემას. განსილულ გადაწყვეტილებებში დეტალურადაა აღნირილი სამართლებრივი საკითხები, რომელიც გასათვალისწინებელი და საყურადღებოა დევნილი მოსახლეობისათვის.

„იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, „იძულებით გადაადგილებულ პირად“ – დევნილად ითვლება ის მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დატოვებინა თავისი მუდ-

მივი საცხოვრებელი ადგილი და გადაადგილებულიყო საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში იმ მიზეზით, რომ საფრთხე შეექმნა მის ან მასთან მცხოვრები ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას უცხო ქვეყნის აგრძელის, შიდა კონფლიქტის ან ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევების გამო.“

ერთ-ერთ სასამართლო გადაწყვეტილებაში მოსარჩელე მხარეს წარმოადგენს დევნილი პირი ხოლო მოპასუხე მხარეს შინაგან საქმეთა სამინისტრო და მესამე პირად უმეტესად წარმოდგენილია ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლებითა სამინისტრო. საქმეში მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს სასტუმრო „აფხაზეთიდან“ გამოსახლებული დევნილები, რომლებიც ითხოვდნენ ფართის სანაცვლოდ ფულად კომპენსაციას, მატერიალური ზიანს ანაზღაურებას.

გამოსახლების შეტყობინებას (ადმინისტრაციულ აქტს) გამოსცემს და შესაბამის ადრესატს გადასცემს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

სასტუმრო „აფხაზეთს“ ჰქონდა კომპაქტური განსახლების ობიექტის სტატუსი, სადაც 1991 წლიდან 2011 წლის აგვისტომდე ცხოვრობდნენ და რეგისტრირებულნი იყვნენ იძულებით გადაადგილებული პირები. იძულებით გადაადგილებულ პირთა რეგისტრაცია სასარგებლოა იმდენად, რამდენადაც იგი სპეციფიკურ და კონკრეტულ მიზნებთანაა დაკავშირებული, კერძოდ კონკრეტული დახმარების უზრუნველყოფასთან. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებიდან საქმე № 3/7533-2011 და საქმე №3/8526-2011 მხარეებს შორის დავა გამოიწვია ფაქტმა იმის შესახებ, ცხოვრობდნენ თუ არა მოსარჩელეები გამოსახლებამდე და გამოსახლების მომენტში სასტუმრო „აფხაზეთში“. მოპასუხე მხარემ დაადასტურა წარმოდგენილი მტკიცებულებებითა, რომ მიუხედავად რეგისტრაციისა, არც გამოსახლებამდე და არც გამოსახლების მომენტში მოსარჩელეები არ ცხოვრობდნენ სასტუმრო „აფხაზეთში“. სამინისტრომ დაადასტურა, რომ დევნილთა გამოსახლების პროცესამდე მან ჩაატარა სასტუმრო „აფხაზეთში“ რეალურად მცხოვრები დევნილების აღნირა, რაც მის ვალდებულებას წარმოადგენდა. აღნერის შედეგად შეიქმნა იმ დევნილთა მონაცემების საინფორმაციო ბაზა, რომლებიც რეალურად ცხოვრობდნენ სასტუმროში.

სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეზე შეკრებილი წერილობითი მტკიცებულებებით ერთმნიშვნელოვნად დადასტურდა ის ფაქტი, რომ მოსარჩელეებს ფაქტობრი-

ვად, არასდროს უცხოვრიათ სასტუმრო „აფხაზეთში“ და რომ 1992 წლიდან დღემდე ცხოვრობენ ლაგოდების მუნიციპალიტეტის სოფელ შრომასა და ვარდისუბანში.

მოსარჩელეები მატერიალური ზიანის წარმოშობის ერთ-ერთ წყაროდ იმ ფაქტს ასახელებენ, რომ ისინი სასტუმრო „აფხაზეთიდან“ გამოსახლების შემდეგ იძულებული არიან, იცხოვრონ ქირით და გადაიხადონ ქირის საფასური თვეში 300 აშში დოლარის რაოდენობით. მოსარჩელე მხარემ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მუხლის 1-ელ ნაწილის მოთხოვნათა სანინააღმდეგოდ, ვერ წარმოადგინა შესაბამისი სახისა და შინაარსის მტკიცებულება, მაგალითად ქირავნობის ხელშეკრულება, ან ქირის თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმეტები იმ გარემოების დასადგენად, რომ ისინი ნამდვილად ქირაობდნენ ბინას და ქირის გადასახადი შეადგენდა 300 დოლარს.

სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის არდაკამაყოფილების თაობაზე უნდა ჩაითვალოს საფუძვლიანად, თუმცა სამწუხაროა ის ფაქტი, რომ დევნილები განეკუთვნებიან მოწყვლად ჯგუფს, ისინი ყოველთვის სასტიკ უუფლებობას, გაჭირვებასა და დისკრიმინაციას განიცდიან, თუმცა შემუშავებულია საკანონმდებლო ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს დევნილთა უფლებების დაცვას. აუცილებელია დევნილმა მოსახლეობამ იცოდეს საკუთარი უფლებები, რათა დაიცვას საკუთარი უფლებები და არ იგრძნოს თავი დაუცველად.

სასტუმრო „აფხაზეთიდან“ დევნილების გამოსახლების საქმე უნდა განიხილოს საქართველოს მთავრობის 2009 წლის 28 მაისის № 403 განკარგულებით დამტკიცებული „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2009-2012 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის“ ქრილში, ამ გეგმის შემადგენელ ერთ-ერთ ნაწილად.

გეგმა შედგება 3 ეტაპისაგან:

**პირველი ეტაპი** მოიცავს იმ დევნილების საცხოვრებელი ადგილებისა და საყოფაცხოვრებო პირობების მოწესრიგებასა და გაუმჯობესების საკითხებს, რომლებიც ცხოვრობენ კოლექტიურ ცენტრებში და არ გააჩნიათ სხვა აღტერ-ნატიულ საცხოვრებელი ადგილები.

**მეორე ეტაპი** მოიცავს იმ დევნილების საცხოვრებელი და საყოფაცხოვრებო პირობების მოწესრიგებისა და გაუმჯობესების საკითხებს, რომლებმაც უარი განაცხადეს კომპაქტური ჩასახლების ობიექტებში არსებული ფართობების საკუთრებაში მიღებაზე, რომლებსაც გააჩნიათ უძრავი ქონება უზრუნველყოფილი არიან საკუთარი საცხოვრებლით, რომლებიც არიან ნათესავებთან, ან ნაქირავები აქვთ საცხოვრებელი ფართობი, რომელთაც არ გააჩნიათ სახლი, მაგრამ აქვთ მინის ნაკვეთი საკუთრებაში, აქვთ საცხოვრებელი ფართობი, რომელთაც არ გააჩნიათ უძრავი ქონება;

**მესამე ეტაპი.** ამ ეტაპზე დახმარების განხვა განხორციელდება იმ დევნილთათვის, რომლებიც არ საჭიროებენ განსახლებას. დევნილ ოჯახებს, რომლებიც არ საჭიროებენ განსახლებას (მაგ. გააჩნიათ საკუთრება), ფინანსური რესურსების არსებობის შესაბამისად, შესაძლოა გაერთიოთ ერთჯერადი ფულადი დახმარება.

სასტუმრო „აფხაზეთიდან“ დევნილების გამოსახლების კერძო შემთხვევა შეესაბამება საქართველოს მთავრობის 2009 წლის 28 მაისის №403 განკარგულებით დამტკიცებული „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2009-2012 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის“ პირველ ეტაპს, კერძოდ კი გეგმის მე-2 თავის (ამოცანები) 2.1.11.1. ქვეუნქტის, რომელშიც განმარტებულია, რომ ამგვარი აღტერნატივები მოიცავს იმ კერძო ინვესტორების

မიერ კომპაქტური ჩასახლების ობიექტების პრივატიზებას, რომლებიც დევნილებს შესთავაზებენ ალტერნატიულ საცხოვრებელ ფართობებს კერძო საკუთრებაში ან ფულადი დახმარების გაწევას (კომპენსაციის მიცემას) საცხოვრებლის შესაძნად. ამ შემთხვევაში, პროცესი განხორციელდება „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის სრული დაცვით და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სრული ჩართულობით, რათა დევნილები დაცული იყვნენ უკანონო გამოსახლებისგან და უზრუნველყოფილ იქნას მათ მიერ ადექვატური კომპენსაციის მიღება მომავალი კერძო მესაკუთრისგან.

## პრობლემის სამართლებრივი შეფასება:

- ბული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სწორედ იმიტომ არ ევალებოდა მოსარჩელეებთან მიმართებაში ამ ნორმის მოთხოვნათა დაცვა, რომ მოსარჩელეები სასტუმრო „აფხაზეთს“ არ იყენებდნენ თავიანთ მუდმივ საცხოვრებელ ადგილად;
- რაც შეეხება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებას 3/758-2012 საქმეზე, რომელიც უკავშირდება ასევე კომპენსაციასა და სტატუსის მინიჭებას, აღნიშნულ საქმეზე მოსარჩელის მოთხოვნა სრულიად დასაბუთებული და კანონიერი აღმოჩნდა.

მოსარჩელებმა მიუთითეს, რომ ისინი არიან 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად სოფელ აჩაბეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები; მათ 2011 წლის 04 მაისს განცხადებთ მიმართეს მოპასუხეს და მოითხოვეს მათთვის დევნილის სტატუსს მინიჭება; სამინისტრომ კანონით დადგენილ ერთი თვის ვადაში არ გამოსცა შესაბამისი აქტი, მოსარჩელებმა მიმართეს სასამართლოს; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 04 აგვისტოს გადაწყვეტილებით მოსარჩელების სარჩელი დაქმაყოფილდა, მოპასუხეს დაევალა შესაბამისი აქტის გამოცემა; გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2011 წლის 29 სექტემბერს; მოპასუხემ მოსარჩელებს დევნილის სტატუსი მიანიჭა 2011 წლის დეკემბერში, მოსარჩელებს, როგორც დევნილებს შემწეობა დაენიშნათ სწორედ დეკემბრის თვიდან;

მოსარჩელები მიიჩნევენ, რომ რადგან მოპასუხემ კანონით დადგენილი ერთი თვის ვადაში არ გამოსცა შესაბამისი შინაარსის აქტი მოსარჩელებისთვის დევნილის სტატუსს მინიჭების თაობაზე, ამით მოსარჩელებს მიადგათ მატერიალური ზიანი, კერძოდ, მოსარჩელებმა ვერ მიიღეს დევნილის შემწეობა - თვეში 28 ლარი ექვსი თვის მანძილზე, კერძოდ 2011 წლის მაისის თვიდან 2011 წლის დეკემბრის თვემდე;

უდავოა, რომ დევნილთათვის გათვალისწინებული შემწეობის გაცემა უშუალოდ არის დაკავშირებული საკითხთან იმის შესახებ, მინიჭებული აქვს თუ არა პირს დევნილის სტატუსი; დევნილის სტატუსის გარეშე პირს არ მიეცემა კანონით გათვალისწინებული ყოველთვიური შემწეობა;

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლით დადგენილია, რომ თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილია, რომ სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით დადგენილია, რომ პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის ანალიზი ცხადყოფს, რომ დელიქტით გამოწვეული ზიანი მხოლოდ მაშინ ანაზღაურდება, თუკი 1. პირი მოქმედებდა მართლსაწინააღმდეგო, 2. პირის მოქმედება იყო განზრახი ან გაუფრთხილებელი, 3. უშუალოდ ამ მართლსაწინააღმდეგო, განზრახმა ან გაუფრთხილებელმა მოქმედებამ ზიანი მიაყენა სხვა პირს, კერძოდ შელახა პირის ქონებრივი ან/და არაქონებრივი უფლებები ან/და კანონით დაცული ინტერესები; დელიქტით

გამოწვეული ზიანის ასანაზღაურებლად აუცილებელია სამივე პირობის თანადროულობა, თანაარსებობა;

2011 წლის მაისის თვეში მოქმედი რედაქციის “იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, პირი, რომელიც ამ კანონის პირველ მუხლში ჩამოთვლილი მიზეზების გამოდატოვებს მუდმივ საცხოვრებელ ადგილს, დევნილად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭების შესახებ განცხადებით მიმართავს სამინისტროს ან მის ტერიტორიულ ორგანოს.

იმავე მე-2 მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილია, რომ სამინისტრო პირის განცხადების მიღებიდან 10 დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას პირის დევნილის სტატუსის მაძიებლად რეგისტრაციის ან რეგისტრაციაზე უარის თქმის თაობაზე.

იმავე მე-2 მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილია, რომ დევნილის სტატუსის მაძიებლის დევნილად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭების ან დევნილად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე, გადაწყვეტილებას იღებს სამინისტრო განცხადების მიღებიდან ერთი თვის ვადაში. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის 2007 წლის 01 ნოემბრის №124 ბრძანებით დამტკიცებული “იძულებით გადაადგილებულ პირად - დევნილად ცნობისა, დევნილის სტატუსის მინიჭებისა და დევნილთა რეგისტრაციის წესის” მე-2 მუხლის 22-ე პუნქტით დადგენილია, რომ იმ შემთხვევაში, თუ პირის განცხადება არ შეესაბამება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და ამ მუხლის მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-7 და მე-9 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს, დეპარტამენტი ან ტერიტორიული ორგანო განცხადების მიღებიდან 3 დღის ვადაში აცნობებს განმცხადებელს ხარვეზის შესახებ. ხარვეზის გასწორების ვადა არ შეიძლება იყოს 5 დღეზე ნაკლები და 10 დღეზე მეტი. იმ შემთხვევაში, თუ განცხადებელი მოითხოვს ხარვეზის გამოსწორებისათვის ვადის გაგრძელებას, დეპარტამენტი ან ტერიტორიული ორგანო მხოლოდ ერთხელ, მაგრამ არა უმეტეს 15 დღით, უფლებამოსილია გაუგრძელოს ხარვეზის გამოსწორების ვადა. მოპასუხემ (სამინისტრომ) მოსარჩევების განცხადებებთან მიმღებაში კანონისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მოთხოვნები; კერძოდ, მოპასუხე ვალდებული იყო, მოსარჩევთა 2011 წლის 04 მაისის განცხადებების მიღებიდან სამი დღის ვადაში დაედგინა მასთან ნარდებილ განცხადებების შინაარსი და დოკუმენტების კრებული იყო თუ არა სრულყოფილი და შეესაბამებოდა თუ არა ისინი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის 2007 წლის 01 ნოემბრის №124 ბრძანებით დამტკიცებული, ”იძულებით გადაადგილებულ პირად - დევნილად ცნობის, დევნილის სტატუსის მინიჭებისა და დევნილთა რეგისტრაციის წესის” მე-2 მუხლის მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-7 და მე-9 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს; ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, მოპასუხეს განმცხადებებისთვის უნდა განესაზღვრა ვადა ამ ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით;

ნაცვლად აღნიშნულისა, მოპასუხემ განცხადებების მიღებიდან ორი თვისა და რვა დღის დაგვიანებით გაუგზავნა განმცხადებლებს წერილი (წერილები) მათ განცხადებაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრის მოთხოვნით; როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2011 წლის 12 ივლის №05/01-14/4746, №05/01-14/4747, №05/01-14/4748, №05/01-14/4750 წერილების პასუხად მოსარჩევებმა 2011 წლის 25 ივლისს სამინისტროს ნარუდებინეს ერთობლივი განცხადება, რომელსაც თან ერთვოდა ქურთის მუნიციპალიტეტის 2011 წლის 25 ივლისს (ცნობა, აგრეთვე განცხადებაში განმარტებული იყო, რომ მათ (მოსარჩევებს) არ გააჩნდათ თბილისში ერთი, მუდმივი საცხოვრებელი ადგილი,

შესაბამისად მათ არ შეეძლოთ საჯარო რეესტრის ამონაწერისა და მესაკუთრის წერილობითი თანხმობის წარდგენა, განცხადებლებმა მოითხოვეს მისამართის გარეშე რეგისტრაცია; მოსარჩელეების 2011 წლის 04 მაისისა და 2011 წლის 25 ივლისის განცხადებებისა და თანდართული დოკუმენტაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ მოპასუხეს გამოიყენდა სრულყოფილი მასალა და კანონიერი საფუძველი იმისთვის, რომ თავად განეხილა და გადაეწყვიტა მოსარჩელეთათვის დევნილის სტატუსის მინიჭების საკითხი; მოსარჩელეებმა თავიანთი მოქმედებით არათუ შეაფერხეს, არამედ პირიქით - ხელი შეუწყვეს მოპასუხეს იმისთვის, რომ მას დროულად მიეღო გადაწყვეტილება მის კომისიუნციას დაქვემდებარებული საკითხის თაობაზე;

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 04 აგვისტოს №3/2329-11 გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, 2011 წლის დეკემბერში თავად მოპასუხის მიერ ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების, აგრეთვე ამ წარმოების დროს გამოყენებული დოკუმენტების შინაარსის ანალიზი ცხადყოფს, რომ 2011 წლის დეკემბრის მდგომარეობით (ანუ იმ დროს, როცა მოპასუხემ მიიღო გადაწყვეტილება მოსარჩელებისთვის დევნილის სტატუსის მინიჭების თაობაზე), მოპასუხემ იხელმძღვანელა სწორედ იმ დოკუმენტებით და ინფორმაციით, რაც მას ხელთ ჰქონდა ჯერ კიდევ 2011 წლის 04 მაისისა და 2011 წლის 25 ივლისის განცხადებების მასთან წარდგენის დროს; 2011 წლის დეკემბრის მდგომარეობით, მოპასუხეს არ მოუთხოვია (და არ მიუღია) მოსარჩელეთაგან დამატებით სხვა დოკუმენტებისა და ინფორმაციის წარდგენა;

თუ მოპასუხემ მიიჩნია, რომ განცხადება ხარვეზიანი იყო, მას განმცხადებებისთვის ხარვეზის შევსების შესახებ წინადადება უნდა მიეცა არა განცხადების მიღებიდან ორი თვისა და რვა დღის შემდეგ, არამედ განცხადების მიღებიდან 3 დღის ვადაში; სწორედ მოპასუხის უმოქმედობამ გააჭიანურა ბრალულად მოსარჩელეებისთვის დევნილის სტატუსის მინიჭების შესახებ საკითხის დროულად და დადებითად გადაწყვეტა, რამაც თავის მხრივ მოსარჩელეებს მიაყენა მატერიალური ზიანი;

მოცემულ სადაც შემთხვევაში, სახეზეა ზემოთ დასახელებული სამივე პირობა.

## განსახლება

დევნილთა ადექვატური საცხოვრებლის უფლება აღიარებულია როგორც საერთაშორისო სამართლით, ასევე საქართველოს კანონმდებლობით. დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის თანხმად, სტრატეგიის განხორციელების პროცესში სახელმწიფო მოქმედებს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული ნორმების, საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს კანონმდებლობისა და გაეროს სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად.

მნიშვნელოვანია იმის გამოკვლევა, თუ როგორ ხდება სასამართლოში გამოსახლების საკითხის განხილვა, რა არის სასამართლო პრაქტიკის ძირითადი მიზანი, როგორია მიღებობა აღნიშნული საკითხისადმი, როგორია დევნილთა საცხოვრებელი ფართით დაგენაციულების საკითხი და ა.შ.

მართალია, კანონმდებლობა არ ადგენს ადეკვატური საცხოვრებლის ერთიან სტანდარტს, თუმცა აღსანიშნავია, რომ საცხოვრებლის შესაფასებლად გათვალისწინებული უნდა იქნას არა მხოლოდ შენობის სტანდარტები, არამედ მისი მდებარეობა, მისადგომობა, სამედიცინო ხელმისაწვდომობა და სხვა გარემოებები. იმის გამო, რომ სახელმწიფო ვერ ახერხებს დევნილთა უმეტესობის თავშესაფრით უზრუნველყოფას, დევნილებს უხდებათ კერძო საკუთრების ობიექტებში ჩასახლება, რაც წარმოშობს დიდ პრობლემას და სამომავლო სასამართლო დავებს.

„დევნილთა უფლებები და უზრუნველყოფა დროებით საცხოვრებელ ადგილზე რეგლამენტირებულია „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით. კერძოდ, მითითებული მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად, სახელმწიფო უზრუნველყოფა დევნილს დროებითი საცხოვრებელი ფართობით. სამინისტრო ახორციელებს დევნილთა განსახლებას სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოების მიერ, დევნილთა დროებითი განსახლებისათვის გამოყოფილი საცხოვრებელი ფართობის ფარგლებში. საბინაო საკითხებთან დაკავშირებული დავები წყდება სასამართლო წესით. ამასთან, საქართველოს შესაბამის ტერიტორიაზე საქართველოს იურის-დიქტის აღდგენამდე, დევნილთა კომპაქტური განსახლების ობიექტებიდან არ ხდება დევნილების გამოსახლება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც: ა) დევნილებთან იდება წერილობითი შეთანხმება; ბ) გამოყოფა შესაბამისი საცხოვრებელი ფართობი, რომლითაც არ გაუარესდება დევნილის საყიდვაცხოვრებო პირობები; გ) ხდება სტიქიური ან სხვა მოვლენები, რაც ითვალისწინებს განსაზღვრულ კომპენსაციებს და რეგულირდება საერთო წესით; დ) დევნილს ფართობი დაკავებული აქვს თვით-წერტილი, კანონის დარღვევით.“

უნდა გახსოვდეთ, რომ სამინისტრო ახორციელებს დევნილთა განსახლებას სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოების მიერ, დევნილთა დროებითი განსახლებისათვის გამოყოფილი საცხოვრებელი ფართობის ფარგლებში. სახელმწიფოს დღეს მდგომარეობით არ გააჩნია რესურსი სადაც შენობებში განსახლებული დევნილების სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ სხვა შენობაში გადაყვანისათვის.

„დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტად მიჩნევისთვის საჭიროა ორი აუცილებელი პირობის არსებობა. პირველი – ასეთი ობიექტი არის დროებითი საცხოვრებელი ადგილი, სადაც ორგანიზებულად არიან განსახლებული დევნილები და მეორე – დევნილთა ორგანიზებული განსახლება უნდა მოხდეს შესაბამისი უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამრთლებრივი აქტის საფუძველზე.“

დევნილითა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამართლებრივ სტატუსს, ეკონომიკურ და სოციალურ გარანტიებსა და მის უფლება-მოვალეობებს განსაზღვრავს „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის თანახმად: „დევნილის რეგისტრაციის ადგილი არის მისი დროებითი საცხოვრებელი ადგილი, რომლის მიხედვითაც ხორციელდება სოციალური დამარცხისა და სხვა უფლებების განხორციელება. დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტია დევნილთა დროებით საცხოვრებელი ადგილი, სადაც ორგანიზებულად იქნება განსახლებული დევნილები“. ამავე კანონის მეორე მუხლის თანახმად, საქართველოს შესაბამის ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე არ ხდება დევნილების გამოსახლება გარდა ამავე პუნქტით განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევებისა.“

## სტატუსი

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს შესაბამის დებულებებს დევნილად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭების წესის შესახებ, დევნილის სტატუსის მაძიებელი პირის უფლებებისა და მოვალეობების, დევნილის სტატუსის შეწყვეტის, ჩამორთმევისა და აღდგენის საფუძვლების შესახებ.“

დევნილის სტატუსის მინიჭების თაობაზე შესაბამისი საქმის წარმოება იწყება, როდესაც პირი დევნილად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭების შესახებ წერილობითი განცხადებით პირადად მიმართავს სამინისტროს ან მის ტერიტორიულ ორგანოს. განცხადება უნდა შეიცავდეს:

- სამინისტროს ან მისი ტერიტორიული ორგანოს დასახელებას, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი.
- განმცხადებლის ვინაობას და დროებითი საცხოვრებელი ადგილის მისამართს;
- მოთხოვნას დევნილად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭების შესახებ;
- განცხადების წარდგენის თარიღსა და განმცხადებლის ხელმოწერას;
- განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას, მათი არსებობის შემთხვევაში;
- განცხადებაში უნდა იყოს მითითებული, რომ პირი არის საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონებირი;
- ასევე გარემოებები, რომელთა გამოც იგი იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.

#### განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:

- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;
- დენილის შეხედულებისამებრ საჭირო ის საბუთები და მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს ვარაუდს მიმისას, რომ პირის მოთხოვნა დევნილის სტატუსის მინიჭების თაობაზე შესაბამება იძულებით გადაადგილებულ პირთა დევნილის შესახებ საქართველოს კანონით დადგენილ გარემოებებს.

## საქართველოში მცხოვრები ნაციონალური უმცხოველებების ჩალები

საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ნაციონალური და ეთნიკური უმცირესობისაგან შედგება. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული მოსახლეობის აღწერის ბოლო მონაცემებით, ეროვნული უმცირესობები მოსახლეობის საერთო რაოდენობის 16,2%-ს შეადგენენ. ყველაზე დიდ ეთნიკურ ჯგუფს საქართველოში (6,6%) აზერბაიჯანელები წარმოადგენენ, რომლებიც კომპაქტურად ქვემო ქართლში ცხოვრობენ.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად (მუხლი 14), ყველა ადამიანი დაპადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგრადირებისა, საცხოვრებელი ადგილისა.

ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოში მცხოვრებ ნებისმიერ ადამიანს (მათ შორის, ქალბატონს ეთნიკურ უმცირესობიდან) აქვს უფლება ისარგებლოს ყველა იმ უფლებით, რაც არის მოცემული საქართველოს კანონმდებლობით. ამავდროულად, საქართველოში მცხოვრები პირი ვალდებულია შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით ჩატავალისწინებული მოთხოვნები და ვალდებულებები.

ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს მოქალაქენი თანასწორი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განურჩევლად მათი ერივნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად,

მათ უფლება აქვთ თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე განაცითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ.

საქართველოს კონსტუტუციაში ერთადერთი დათქმა არსებობს, რომ საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად, უმცირესობათა უფლებების განხორციელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს სუვერენიტეტს, სახელმწიფო წყობილებას, ტერიტორიულ მთლიანობასა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. (მუხლი 44).

ზოგიერთ შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობა გარკვეულ შეზღუდვებს აწესებს, რაც ასევე რელევანტურია ქართული წარმოშობის პირების მიმართ და არ უნდა იყოს მიღებული დისკრიმინაციის გამოვლენად. მაგალითად, საჯარო სამსახურში, სამინისტროებსა და სხვა ანალოგურ დაწესებულებებში დასაქმების საშუალება მიეცემა 21 წელს მიღწეულ საქართველოს მოქალაქეს, ხოლო ადგილობრივი მმართველობის ორგანიზაციის - 18 წელს, რომელიც ასევე ფლობს სახელმწიფო ენას და შესაბამის საკვალიფიკაციო თანამდებობრივ მოთხოვნებს აკმაყოფილებს. აქედან გამომდინარე, თუკი ეროვნებით ქართველი არ არის საქართველოს მოქალაქე, ან არ ფლობს სახელმწიფო ენას, ან არასათანადო დონეზე ფლობს, ისიც ვერ იქნება მიღებული აღნიშნულ თანამდებობაზე.

„ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ ევროპული ჩარჩო კონვენციის მიხედვით, რომელიც რატიფიცირებულია საქართველოს მიერ, საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 13 ოქტომბრის N 1938 – II-ის დადგენილებით, კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს ეროვნულ უმცირესობებისადმი კუთვნილი პირების კანონის წინაშე თანასწორობა და კანონის მიერ თანაბარი დაცვა. ამ მიმართებით, აკრძალულია წებისმიერი დისკრიმინაცია ეროვნული უმცირესობისადმი.

აუცილებლობის შემთხვევაში, სახელმწიფო ვალდებულია მიღოს ადექვატური ზომები იმისთვის, რომ ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში ხელი შეუწყონ მთლიანი და უფექტური თანასწორობის დამკავიდრებას იმ პირებს შორის, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობას. ამ მხრივ, სახელმწიფო ვალდებულია სათანადოდ გათვალისწინოს იმ პირების სპეციფიკური მდგრამარება, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს.

ამ შემთხვევაში, ყველა მიღებული ზომა არ უნდა იყოს განხილული, როგორც დისკრიმინაციის აქტი.

#### წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებულია შემდეგი უფლებები:

- ყველა პირს, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, უფლება აქვს თავისუფლად აირჩიოს მას მოეცნენ თუ არა, როგორც ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელს და დაუშვებელია, რომ ამ არჩევანიდან ან ამ არჩევანთან დაკავშირებული უფლებებით სარგებლობიდან გამომდინარეობდეს რაიმე არახელსაყრელობა (მუხლი 3);
- იმ პირებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, აქვთ კულტურის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის და მათი თვითმყოფადობის ძირითადი ელემენტების, კერძოდ, რელიგიის, ენის, ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის უფლება (მუხლი 5);
- უმცირესობებს აქვთ მშვიდობიანი შეკრების, გაერთიანების, გამოხატვის, აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების პატივისცემის უფლება (მუხლი 7);
- თითოეულ პირს, ვინც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, უფლება აქვს გამოამჟღვნოს მისი რელიგია ან რწმენა და შექმნას რელიგიურ დაწესებულებები, ორგანიზაციები და ასოციაციები (მუხლი 8);

- თითოეული ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელს აქვს გამოხატვის თავისუფლება, რომელიც ასევე მოიცავს თავისუფლებას ჰქონდეს მოსაზრებები და მიიღოს და გასცეს ინფორმაცია და იდეები უმცირესობის ენაზე, სახელმწიფო ხელისუფლების ჩარევის გარეშე და საზღვრების მიუხედავად, ხოლო სახელმწიფო, სამართლებრივი სისტემების ფარგლებში, ვალდებულია უზრუნველყოს, რომ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები არ განიცდიდნენ დისკრიმინაციას მასშედის ხელისაწვდომობის მხრივ;
- დისკრიმინაციის გარეშე და ობიექტურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, ეთნიკურ უმცირესობებს აქვთ უფლება მოთხოვონ ხმოვანი რადიო და სატელევიზიო მაუწყებლობის ან კინოწარმოების ლიცენზირება;
- ეროვნულ უმცირესობებს მინიჭებული აქვთ მათი მასმედის საშუალებების, ბეჭდვითი მასმედის საშუალებების შექმნისა და გამოყენების უფლება;
- სახელმწიფო ვალდებულია, უზუნველყოს მასმედისადმი ხელმისაწვდომობა იმ პირებისათვის, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს და ხელი შეუწყონ ტოლერანტობასა და თავისი კულტურის დამკიდრებას (მუხლი 9);
- ყველა პირს, რომელიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობას, თავისუფლად, და ყოველგვარი ჩარევის გარეშე, აქვს უფლება გამოიყენოს მისი უმცირესობის ენა კერძოდ და საჯაროდ, ზეპირად დაწერისას (მუხლი 10);
- იმ ადგილებში, სადაც ტრადიციულად ან დიდი რაოდენობით ეროვნულ უმცირესობას მიეკუთვნილი პირები, თუკი ეს პირები მოითხოვენ და სადაც ეს მოთხოვნა პასუხობს რეალურ საჭიროებას, სახელმწიფო უნდა შეეცადოს მაქსიმალურად უზრუნველყოს ისეთი პირობები, რაც შესაძლებელს გახდის უმცირესობის ენის გამოყენებას ამ პირებსა და ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის ურთიერთობებში;
- ყველა პირს, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, უფლება აქვს სასწრაფოდ იყოს ინფორმირებული მისთვის გასაგებ ენაზე მისი დაპატიმრების მიზეზებისა და მის წინააღმდეგ აღძრული ყველა ბრალდების ბუნებისა და მიზეზის შესახებ და დაიკვას თავი ამ ენაზე, აუცილებლობის შემთხვევაში, თარჯიმის უფასო დახმარებით;
- ყველა პირს, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, აქვს მისი გვარისა (პატრონიმი) და პირველი სახელების უმცირესობის ენაზე გამოყენების და მათი ოფიციალურად აღიარების უფლება, მათი სამართლებრივი სისტემით დადგენილი პირობების შესაბამისად (მუხლი 11);
- ყველა პირს, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, აქვს უფლება გამოიყენოს მისი უმცირესობის ენობრივი ინშები, წარწერები და სხვა პირადი ხასიათის ინფორმაცია, რომელიც შესამჩნევი იქნება საზოგადოებისათვის;
- იმ ადგილებში, სადაც ტრადიციულად მნიშვნელოვანი რაოდენობით ცხოვრობენ პირები, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, სახელმწიფო მისი სამართლებრივი სისტემებისა და საჭიროების შესაბამისად, ასევე სხვა სახელმწიფოებთან შეთანხმებების ფარგლებში და მათი სპეციფიკური პირობების გათვალისწინებით, შეეცდება გამოფინონ ტრადიციული ადგილობრივი სახელები, ქუჩის სახელები და საზოგადოებისთვის განკუთვნილი სხვა ტოპოგრაფიული მითითებანი უმცირესობის ენაზეც, როდესაც სახეზეა ამგვარი მითითებების არსებობის საკმარისი მოთხოვნა (მუხლი 12);
- სახელმწიფო, საჭიროების შემთხვევაში, მიიღებს ზომებს განათლებისა და მეცნიერული კვლევის სფეროში თავიანთი ეროვნული უმცირესობებისა და უმრავლესობის კულტურის, ისტორიის, ენისა და რელიგიის ცოდნის გასაღრმავებლად;

- ამ კონტექსტში, სახელმწიფო უზრუნველყოფს მასნავლებელთა პროფესიული მომზადებისა და სახელმძღვანელოებისადმი ხელმისაწვდომობის ადექვატურ შესაძლებლობებს და ხელს შეუწყობს კონტაქტებს სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფებს, მოსწავლეებსა და მასნავლებლებს შორის;
- სახელმწიფო ვალდებულებას იღებს უზრუნველყოს ყველა დონის განათლები-სადმი თანაბარი ხელმისაწვდომობა იმ პირებისათვის, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს;
- მისი განათლების სისტემის ფარგლებში, სახელმწიფო აღიარებს, რომ ნების-მიერ პირს, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობების, აქვთ უფლება შექმნან და წარმართონ მათი საკუთარი საგანმანათლებლო და პროფესიული მომზადების დაწესებულებები (მუხლი 13);
- იმ ადგილებში, სადაც ტრა- დიციულად ან მნიშვნელოვა- ნი რაოდენობით ცხოვრობენ ეროვნული უმცირესობები- სადმი კუთხით პირები და თუები არსებობს სათანადო მოთხოვნა, სახელმწიფო თა- ვისი განათლების სისტემის ფარგლებში უნდა შეეცადოს მაქსიმალურად უზრუნველ- ყოფს პირობები, რათა ეროვ- ნულ უმცირესობებს ჰქონდეთ უმცირესობის ენაზე სწავლის ან ამ ენაზე ინსტრუქტაჟის მიღების ადექვატური შესაძ- ლებლობანი (მუხლი 14);
- სახელმწიფო შექმნის აუცი- ლებელ პირობებს ეროვნული უმცირესობისადმი კუთხით პირების ეფექტური მონაწილეობისათვის კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებასა და იმ საზოგა- დოებრივ საქმეებში, რომ- ლებიც კერძოდ მათ ეხებათ (მუხლი 15).
- სახელმწიფო, კონვენციის მი- ხედვით, იღებს ვალდებულებას არ ჩაერიოს ეროვნული უმ- ცირესობებისადმი კუთხით პირების უფლების განხორციე- ლებაში, მონაწილეობა მიიღონ მათი არასამთავრობო ორგა- ნიზაციების საქმიანობაში, რო- გორც ეროვნულ, ასევე საერ- თაშორისო დონეზე. კონვენციის მიხედვით, სახელმწიფომ თავი უნდა შეიკავოს ისეთი პოლიტიკისა და პრაქტიკის განხორციელებისაგან, რომელიც მიზნად ისახავს

## გახსოვდეთ!

წინამდებარე ჩარჩო კონვენციის პრინ- ციპებიდან გამომდინარე, უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებისას, ნე- ბისმიერი პირი, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, ვალდებულია პა- ტივი სცეს ეროვნულ კანონმდებლობას და სხვათა უფლებებს, ერთოდ იმ უფლებებს, რომლებიც მიეკუთვნებიან უმრავლესობას ან სხვა ეროვნულ უმცირესობებს.

ჩარჩო კონვენციის განხორციელები- სას, ეკრობის საბჭოს მინისტრთა კომიტე- ტი ზედამხედველობას უწევს კონვენციის მოთხოვნათა შესრულებას და დარღვევათა აღმოჩენის შემთხვევაში, უფლება გაქვთ მიმართოთ დარღვევის აღწერის თაობაზე. (საერთაშორისო მექანიზმების წესების გა- მოყენებით).

**გახსოვდეთ!** თუები თქვენ მიმართეთ ადმინისტრაციულ ორგანოს (სამინისტროს, სააგენტოს და სხვა) ან სასამართლოს, ან თქვენ დაკავებული ბრძანდებით პოლიციის მიერ, და ამ დროს არ ფლობთ სახელმწი- ფო ენსა ან არასათანადოდ ფლობთ, თქვენ უფლება გაქვთ თარჯიმანი მოითხოვოთ, რათა თქვენთვის გასაგებ ენაზე მოხდეს თქვენი საკითხის განხილვა. აღნიშნული იქ- ნება უზრუნველყოფილი.

ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების ასიმილაციას მათი სურვილის წინააღმდეგ და უნდა დაიცვან ეს პირები ნებისმიერი ქმედებისგან, რომელიც მიზნად ისახავს ამგვარ სიმილაციას (მუხლი 6).

## ლგბტ პირთა სიზუაპი

ჩვენი საზოგადოების ნაწილია ლგბტ მოსახლეობა. ყოველწლიურად, 17 მაისს, საქართველოშიც ალინიშნება ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე. 1991 წლის 17 მაისიდან მოყოლებული, როდესაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიაციამ დაავადებათა ნუსხიდან ამოიღო ჰომოსექსუალობა, მსოფლიოში სიჭუაცია რადიკალურად შეიცვალა და სხვადასხვა სახის ცვლილებები განხორციელდა გლგბტ ადამიანების სასიკეთოდ. ამის შემდეგ, 17 მაისი როგორც ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღედ აღენიშნება.

### რას ნიშნავს ტერმინი ლგბტ?

ლ – ლესბოსელი (ქალი, რომელსაც ემოციურად და ფიზიკურად იზიდავს ქალი)  
გ – გეი (კაცი, რომელსაც ემოციურად და ფიზიკურად იზიდავს კაცი)

ბ – ბისექსუალი (ადამიანი, რომელსაც ორივე სქესის წარმომადგენელი იზიდავს)

ტ – ტრანსექსუალი (ადამიანი, რომლის გენდერული იდენტობა განსხვავდება დაბადებისას მინტებული სქესობრივი მიუუთენებისგან. ხშირად ტრანსექსუალ ადამიანებს სურთ სხეულის კორექცია ჰომომონების ან ქირურგიული ჩარევის გზით, რათა მიუსადაგონ ის მათსავე გენდერულ იდენტობას).

**ტრანსგენდერი** – ტერმინი, რომელიც აღნიშნავს ადამიანებს, ვისი გენდერული იდენტობა, გამოხატვა და ქცევა, ბოილოგიური სქესი განსხვავდება მისი ბოილოგიური სქესის ტიპიური მახსასათებლებისაგან.

**ლგბტ** – არის აპრიავიტურა, რომელსაც იყენებენ ლესბოსელი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი ქალების აღსანიშნავად.

მათი გადმოცემით, ერთ დღეს, მათთვის გასაგები ხდება, რომ უკეთესად და კომფორტულად გრძენობენ თავს იგივე სქესის ადამიანთან ურთიერთობაში ან საწინააღმდეგო სქესის როლში.

პატრიარქალური წარმოდგენები გენდერსა და გენდერული ნორმებზე, ერთის მხრივ, მკვეთრად მიჯნავს ერთმანეთისგან ქალურობასა და მამაკაცურობას.

სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა, როგორც ჯგუფისა და სპეციფიკური დისკრიმინაციის აკრძალვის საფუძველი, უკვე ჩართულია ადამიანის დისკრიმინაციის ამკრძალავ სხვადასხვა უფლება-დაცვით დოკუმენტებსა და დაცემით დოკუმენტებში.

**საქართველოს კანონი პაციენტების უფლებათა შესახებ**

2001 წლამდე, CEDAW

კომიტეტმა მიიღო რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება სექსუალური ორიენტაციისა საფუძველზე ლგბტ ქალთა დისკრიმინაციის შესახებ. 2001 წლიდან კომიტეტმა რამდენიმე სახელმწიფოს (უკრაინა, უზბეკეთი, ეკვადორი, ყირიმითი, პანამა და სხვა) თავის რე-

**კრძალავს დიკსრიმინაციას**

**სექსუალური ორიენტაციის ნიადაგზე**



კომენდაციებში მიუთითა ყურადღება გაემახვილებინა ლპტ ქალების პრობლემებზე. საქართველოში არ არსებობს სპეციალური ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა. ქვეყნის უზენაესი კანონი, საქართველოს კონსტიტუცია კრძალავს დისკრიმინაციას შესაბამის მუხლში ჩამოთვლილი ფაქტორების საფუძველზე, როგორიცაა პირის ეროვნული და ეთნიკური წარმომავლობა, რელიგია, სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილება, სქესი და სხვა. სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა სპეციალურად ნახსენები არ არის.

2012 წლის 27 მარტს, საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით დაამტკიცა ცვლილებები სისხლის სამართლის კოდექსში, სადაც დანაშაულის საფუძველთა აღნიშნულ ჩამონათვალს დაემატა პირის სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა.

სქესის შეცლის სერვისები ლეგალურად ხელმისაწვდომია საქართველოში, მაგრამ ეს პროცესი ფაქტობრივად დაურეგულირებელია სახელმწიფოს მხრიდან და ცალკეული სამედიცინო დაწესებულებათა რეგულირებას უკავშირდება.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, სქესის შესახებ ჩანაწერის შეცვლა შესაძლებელია დაბადებისა და გარდაცვალების მოწმობებში, ასევე პირადობის მოწმობაში, თუმცა მხოლოდ იმის შემდეგ, რაც პიროვნება ქირურგიული გზით შეიცვლის სქესს. სახელის შეცვლა მარტივია და შესაძლებელია როგორც ოპერაციამდე, ასევე ოპერაციის შემდეგ.

პრობლემად რჩება ის ფაქტი, რომ უმაღლესი სასწავლებლის მიერ დიპლომი გაიცემა ერთხელ და კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დიპლომის მეორედ გაცემის შესაძლებლობას.

არასრულწლოვის შემთხვევაში, თუკი მას სურს სამედიცინო გზით სქესის შეცვლა, ამისთვის მშობლების თანხმობა ხსაჭიროება.

საქართველოს კანონი პაციენტების უფლებათა შესახებ პირდაპირ კრძალავს დიკასიისაც სექსუალური ორიენტაციის ნიადაგზე. დისკრიმინაციის შემთხვევაში, პაციენტს უფლება აქვს მიმართოს სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტოს, რომელიც იმსჯელებს აღნიშნულ საქმეზე დაადგენს დარღვევის ფაქტს. პაციენტს შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობა დაცულია კანონით.

პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის ქრიოლი პირის ფიზიკურ და მორალურ ხელშეუხებლობას, პირადი ინფორმაციისა და სქესობრივი ცხოვრების საიდუმლოებისა და პირადი და კერძო სივრცის პატივისცემას მოითხოვს.

### აღდგომელაშვილი და ჯაფარიძე საქართველოს წინააღმდეგ

ევროპულ სასამართლოში წარდგენილ სარჩელში ნათქვამია, რომ ჩატარებული ჩერეკების დროს პოლიციელებმა გადააჭარბეს საკუთარ უფლებამოსილებას და დაარღვიეს კანონით დადგენილი პროცედურები, მოეპყრნენ შეურაცხმყოფელად და დამამცირებლად.

აღნიშნული ქცევები მოიცავდა უხეშ მოპყრობას და რეალურად აღქმული იყო როგორც სექსუალური ორიენტაციის შეურაცხმყოფა (მთ შორის განხორციელდა პირადი ჩხრეკა გაშიშვლებამდე და რამე სახის ახსნა-განმარტების გარეშე და უფლებების გაცნობის გარეშე). განმცხადებლები ჩივიან ევროპული კონვენციის მე-3 (არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა), მე-8 (პირადი ცხოვრების დარღვევა) და 14 (დისკრიმინაცია) მუხლთა დარღვევებზე.

# ქალის უფლებაები სისხლის სამართალში

## დაცაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის ნინართები

სექსუალური ძალადობის მსხვერპლი წებისმიერი ქალი შეიძლება გახდეს, ამიტომ მნიშვნელოვანია, ყოველი მათგანი ფლობდეს დეტალურ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა ქმედებები ითვლება სქესობრივი ხასიათის დანაშაულად და როგორ იცავს საქართველოს

კანონმდებლობა დაზარალებულს.

სქესობრივი ხასიათის დანაშაული იმ სახის დანაშაულია, რომელსაც

მსხვერპლი ძნელად ივიწყებს, რადგან ეს ისეთ ტრავმებს იწვევს, რომელმაც შეიძლება ხანგრძლივი დროის გასვლის შემდეგაც კი იჩინოს თავი და სხვადასხვა ქმედებებში გამოვლინდეს. სექსუალური ძალადობის კვლება არ ქრება და ფასისტური აუცილებლად ახდენს სხვა-დასხვაგვარ უარყოფით გავლენას.

წინამდებარე თავში განვიხილავთ სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ დანაშაულის სახეებს. ვისაუბრებთ იმ ქმედების შესახებ, რომლებიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს თანახმად, დანაშაულად ითვლება და იმაზე თუ რა სახის სასჯელებია გათვალისწინებული ამ ქმედებებისთვის, ყოველი საკითხის ბოლოს განხილული იქნება სასამართლოს პრაქტიკა, რათა მკაფიოებელისთვის უფრო ნათელი გავხადოთ რეალურად რას ნიშნავს თითოეული დანაშაული და რას ამბობს ამის შესახებ ქართულა სასამართლო.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე თავში მოცემულია ის დანაშაულები, რომლებიც იცავს პირის სქესობრივ თავისუფლებასა და ხელშეუხებლობას, ასევე, მოზარდთა ნორმალურ ზნეობრივ და ფიზიკურ განვითარებას.

### სექსუალური ძალადობის კვალი არ ქრება

## რას ნიშნავს სქესობრივი თავისუფლება?

სქესობრივი თავისუფლება ნიშნავს პირის უფლებას, საკუთარი სურვილით აირჩიოს ან არ აირჩიოს სქესობრივი პარტნიორი.

## რა არის სქესობრივი დანაშაული?

სქესობრივი დანაშაული არის ისეთი ქმედება, რომელიც მიმართულია პიროვნების ნინაადმდეგ და მიეკუთვნება სქესობრივი ურთიერთობის სფეროს.

სქესობრივი ხასიათის ძალადობრივი მოქმედება არის სასტიკი, ადამიანის დამამცირებელი და დანაშაულებრივი მოქმედება. გაუპატიურება და სქესობრივი ხასიათის ძალმომრეობით მოქმედება არ არის ურთიერთსექსუალური ოტოლვის შედეგი. ამ დროს, სქესობრივი კავშირი მხოლოდ იმიტომ მყარდება, რომ ეს სურს მოძალადეს. ამ შემთხვევაში, ქალს არ აქვს შესაძლებლობა, თავად გადაწყვიტოს, ვისთან და როდის დაამყაროს ინტიმური კავშირი. აღსანიშნავია, რომ გაუპატიურების მცდელობა-საც შეიძლება იგივე შედეგი ჰქონდეს ქალზე, როგორც თვავად გაუპატიურების აქტს. სექსუალური ძალადობრივი ქმედებები, მძიმე დაღს ასვამს ქალის ცხოვრებას, რაც ხშირად იწვევს უარყოფით მორალურ და ფსიქოლოგიურ ტრავმებს.

და მაინც, რა სახის ქმედებებია მიჩნეული დანაშაულად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად? ესენია:



- გაუპატიურება;
- სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება;
- სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედების იძულება;
- სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან;
- გარყვნილი ქმედება.

იმისათვის, რომ უფრო ნათელი იყოს რა ტიპის ქმედებებს და სასჯელებს ითვალისწინებს თითოეული დანაშაული, ქვემოთ დეტალურად ვიმსჯელებთ თითოეულ საკითხზე და ასევე განვიხილავთ სასამართლოს პრაქტიკას. მკითხველს ვთხოვთ, ასევე ყურადღება მიაქციოს სქოლიობებს, სადაც სისხლის სამართლის კოდექსის თითოეული მუხლი მოცემულია იმავე რედაქციით, როგორც საქართველოს კანონმდებლობაში.

## რა არის გაუპატიურება?

სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმნეობის გამოყენებით.

## ვინ შეიძლება ჩაიდონოს გაუპატიურება?

ნებისმიერამა შერაცხადმა პირმა, რომელმაც მიაღწია 14 წლის ასაკს.

შერაცხადია პირი, რომელიც დანაშაულის ჩადენის დროს არის ფსიქიურად ჯანმრთელი და აცნობიერებს თავისი დანაშაულებრივი ქმედების შედეგებს. სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკად დადგენილია 14 წელი. ეს ნიშნავს იმას,

რომ პირი პასუხს აგებს ჩადენილი დანაშაულისთვის იმ შემთხვევაში, თუ მას უკვე შეუსრულდა 14 წელი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის<sup>1</sup> თანახმად, გაუპატიურებისთვის საჯეოლის სახედ დანესებულია მინიმუმ – ოთხი, ხოლო მაქსიმუმ ოცი წლის ვადით თავისუფლების აღვეთა.

როგორც ხედავთ, საქართველოს კანონმდებლობა სექსუალურ თავისუფლებას იცავს, ამიტომ გახსოვდეთ, მხოლოდ თქვენ გაქვთ უფლება, აირჩიოთ თქვენი სქესობრივი პარტნიორი.

ზოგადად სქესობრივი კავშირი არის ნებაყოფლობითი ფიზიოლოგიური აქტი. გაუპატიურება ყველაზე საშიში სქესობრივი დანაშაულია, რომელიც სქესობრივ დანაშაულებს შორის ყველაზე გავრცელებულია. გაუპატიურების ერთ-ერთი დამასასიათებული ნიმანია ძალადობის გამოყენება დაზარალებულის მიმართ.

ფიზიური ძალადობა შესაძლებელია განხორციელებულის ცემით, ხელ-ფეხის შებორვით, პირის ახევით, კილურების გადაგრეხვით, ან ჯანმრთელობის დაზიანების მიზნით სხვა საშუალებების გამოყენებით.

გარდა ამისა, დამნაშავემ შეიძლება არ მოახდინოს ფიზიკური ძალადობა და იგი დაემუქროს დაზარალებულს, რომელიც შეიძლება განახორციელოს სიტყვეერად ან იარაღის მეშვეობით. ამ დროს, დამნაშავემ, შესაძლოა დააშინოს დაზარალებული სხვა პირის (მაგალითად: შვილი, დედა, და ან სხვა ახლობელი ადამიანი) გაუპატიურების მუქარითაც.

ასევე შესაძლებელია, რომ დამნაშავემ ისარგებლოს დაზარალებულის უმწეო მდგომარეობით და ისე ჩაიდინოს გაუპატიურება.

## რას ნიშნავს უმწეო მდგომარეობაში ყოფნა?

დაზარალებული არის უმწეო მდგომარეობაში, თუკი მას არ აქვს უნარი წინააღმდეგის გაუწიოს დამნაშავეს ან ვერ აცნობიერებს მის მიმართ განხორციელებულ მოქმედებებს.

<sup>1</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლი. გაუპატიურება. 1. გაუპატიურება, ესე იგი სქესობრივი კავშირი ძალადობის, ძალადობის შექარით ან დაზარალებულის უმწეობის სამოყენებით – ისჯება გამოიყენებით აღკვეთით ვადით ოხიდან ექვს წლამდე. 2. იგივე ქმედება: ა) ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით; ბ) რაბაც გამოიწვია დაზარალებულის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგი, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით ექვსიდან ცხრა წლამდე. 3. იგივე ქმედება, ჩადენილი: ა) არაერთგზის; ბ) იმს მიერ, ვისაც ადრე ჩადენილი ჰქონდა ამ კოდექსის 138-ე-141-ე მუხლებით გათვალისწინებული როგორმე დანაშაული; გ) ჯგუფურად; დ) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით, ორსული ქალის ან არასრულწლოვნის მიმართ, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით ცხრიდან თორმებით წლამდე. 4. იგივე ქმედება: ა) ჩადენილი დაზარალებულის ან სხვა პირის მიმართ, განსაკუთრებული სისასტეტით; ბ) რამაც გამოწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა, ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით თორმეტიდან თხუთმეტ წლამდე. 5. გაუპატიურება იმისა, ვისაც არ შესრულება თოთხმეტი წელი – ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით თხუთმეტიდან ოც წლამდე.



მხოლოდ თქვენ გაქვთ უფლება,

აირჩიოთ თქვენი სქესობრივი პარტნიორი



კაბელი

უფრო კონკრეტულად კი, უმწეო მდგომარეობაში იმყოფება დაზარალებული, თუ ის არის ღრმად მოხუცებული, ავადმყოფი, ფიზიკური ნაკლის მქონე, ალკო-ჰოლური (ძლიერ მთვრალი) ან ნარკოტიკული საშუალებების ზემოქმედების ქვეშ მყოფი და ა.შ. გარდა ამისა, მიიჩნევა, რომ პირი უმწეო მდგომარეობაშია, თუ ვერ აცნობიერებს რა ხდება მის თავს, რადგან ის არის სულით ავადმყოფი, გონიერასუსტი ან ღრმა ძილში მყოფი.

### **როდის მიიჩნევა დასრულებულ დანაშაულად გაუპატიურება?**

გაუპატიურება დასრულებული დანაშაულია სქესობრივი კავშირის დაწყების მომენტიდანვე.

დამნაშავის დასჯისას, გადამწყვეტი არ არის რა ურთიერთობა აქვს დაზარალებულს მასთან. იგი შეიძლება იყოს ცოლი, ყოფილი მეუღლე, საცოლე ან სრულიად უცხო ადამიანი, დამნაშავე მაინც დაისჯება მის მიერ ჩადენილი ქმედებისათვის.

კანონმდებლობა ითვალისწინებს სხვადასხვა სახის დამამტკიცებელ გარემოებებს. ეს იმას ნიმუშს, რომ დამნაშავე დაისჯება უფრო მძიმე სასჯელით მის მიერ ჩადენილი ქმედებისთვის თუ:

- დამნაშავემ გამოიყენა სამსახურებრივი მდგომარეობა;
- გაუპატიურებამ გამოიწვია დაზარალებულის ჯანმრთელობის დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგი;
- გაუპატიურება ჩაიდინა არაერთგზის (გაუპატიურება არაერთგზის ჩადენილად ჩაითვლება, თუ პირი უკვე იყო ნასამართლევი გაუპატიურების ჩადენისთვის);
- გაუპატიურება ჩაიდინა იმ პირმა, ვისაც ადრე ჩადენილი ჰქონდა რომელიმე სქესობრივი დანაშაული;
- გაუპატიურება მიზნდა ჯგუფურად, იგულისხმება, რომ გაუპატიურებაში მონაწილეობა მინიმუმ თრიმა პირმა;
- დამნაშავემ წინასწარ იცოდა, რომ დაზარალებული იყო ორსული ან არასრულნილოვანი. ორსულის გაუპატიურება ითვლება უკადურეს უზნეობად და ასეთ შემთხვევებაში, საფრთხე ემუქრება ემბრიონის სიცოცხლისუნარიანობას. რაც შეეხება არასრულნილობის გაუპატიურებას, აქ იგულისხმება 14 წლიდან 18 წლამდე ასაკის მქონე პირის მიმართ ჩადენილი ქმედება. ესეც ითვლება ერთერთ მნიშვნელოვან დამამტკიცებელ გარემოებად, რადგან მსგავსი ქმედება დაზარალებულის ზნეობრივ და ფიზიკურ განვითარებაზე უარყოფით გავლენას ახდენს;
- გაუპატიურება მოხდა განსაკუთრებული სისასტეს, გაუპატიურება ჩადენილია თუ არა განსაკუთრებული სისასტეკით, აფასებს სასამართლო. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია არსებობდეს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, უნდა დასტურდებოდეს, რომ დაზარალებულს მიადგა მძიმე მორალური ან ფიზიკური ტრატა;



**არ არის მნიშვნელოვანი,**

**როგორი ცხოვრების წესი აქვს  
დაზარალებულს**



- გაუპატიურებამ გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა. ეს ის შემთხვევაა, როდესაც გაუპატიურება პირის გარდაცვალების პირდაპირი და უშუალო მიზეზი ხდება;
- დაზარალებული არის პირი, რომელსაც არ შესრულებია 14 წელი.

ამრიგად, როგორც აღნიშნული ჩამონათვალიდან ჩანს, თუ გაუპატიურება მოხდება ზემოთ აღწერილი რომელიმე პუნქტის შესაბამისად, დამნაშავე დაისჯება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის შესაბამისად.

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს რამდენიმე გარემოება, რაც შეიძლება წინ უძლოდეს გაუპატიურებას, კერძოდ:

- მნიშვნელობა არ აქვს, როგორ იქცეოდა დაზარალებული გაუპატიურებამდე. მაგალითად, თუ ცდლობდა მამაკაცის გამოწვევას, პროვოკირებას ჩაცმულობით, ან ჟესტიკულაციით ამით დამნაშავის პასუხისმგებლობის ხარისხი არ შემცირდება;
- ასევე, არ არის მნიშვნელოვანი, როგორი ცხოვრების წესი აქვს დაზარალებულს. მაგალითად, თუ დაზარალებული მსუბუქი ყოფაქცევისაა, კანონმდებლობა მასაც ისევე დაიცავს, როგორც ნებისმიერ ქალს.

## სასამართლო პრაქტიკა

2009 წლის 15 ივლისს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება საქმეზე, სადაც პირი ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მიერ მსჯავრდებული იქნა გაუპატიურების ჩადენის გამო (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის მუ-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი).

2007 წლის 14 თებერვალს რამდენიმე ადამიანმა მოაწყო გოგონას გატაცების ინსცენირება იმ მიზნით, რომ მისი ბიძისგან გამოეძალათ თანხა. 2007 წლის 16 თებერვალს, საღამოს საათებში, ავტომანქანაში ყოფნის დროს, ზემოაღნიშნულთაგან ერთ-ერთმა პირმა განიზრახა ძალადობით დაემყარებინა სქესობრივი კავშირი გოგონასთან. ამის შემდეგ, მან სცემა და კისერზე ხელი მოუჭირა დაზარალებულს ანუ ფიზიკური ძალის გამოყენებით, მიუხედავად იმისა რომ იგი უწევდა წინააღმდეგობას, დაამყარა მასთან სქესობრივი კავშირი. 17 თებერვალს, საღამოს საათებში მსგავსი ძალადობრივი ფაქტი კვლავ განმეორდა. ამ ძალადობის შედეგად გოგონამ მიიღო სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება.

მსჯავრდებულის ადგოკატმა შემდგომში მოითხოვა გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება ჯერ სააპელაციო, ხოლო შემდეგ საქართველოს უზენაეს სასამართლოში. ადგოკატის მტკიცებით, საქმეზე იყო მხოლოდ მონმის და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტების ჩვენებები, შესაბამისად არ იყო უზყუარ და საკმარის მტკიცებულება-თა ერთობლიობა ბრალის დასადასტურებლად. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეზე იყო საქმარის და დამაჯერებელი მტკიცებულებები, კერძოდ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა და მონმებების ჩვენებები.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, პირს ბრალი ედებოდა გაუპატიურების არაერთგზის - ორჯერ (16 და 17 თებერვალს) ჩადენისთვის. უზენაესმა სასამართლომ არ მიიჩნია, რომ მტკიცებულებები დანაშაულის არაერთგზის ჩადენას ადასტურებდა და ამის გამო დამნაშავის ქმედება დაკვალიფიცირდა 137-ე მუხლის პირველი ნაწილით ანუ გაუპატიურება, ესე იგი სქესობრივი კავშირი ძალადობით. მსჯავრდებულს ამ დანაშაულისათვის მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 17 წლის, 7 თვისა და 19 დღის ვადით. სასჯელის ასეთი ზომა განპირობებული იყო იმით, რომ ამ დანაშაულისთვის დანიშნული სასჯელის ზომას დაემატა სხვა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილიც.

## რა არის სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება?

სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება არის მამათმავლობა, ლესბოსელობა ან სხვაგვარი სექსუალური კონტაქტი, გაუკულმართებული ფორმით, რომელიც ჩადენილია ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმნეობის გამოყენებით.

### ვინ შეიძლება იყოს დაზარალებული სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედების შედეგად?

დაზარალებული შეიძლება იყოს როგორც ქალი, ასევე მამაკაცი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლის 1 თანახმად, სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედებისთვის, სასჯელის მინიმალური ზომა არის ოთხი, ხოლო მაქსიმალური – ოცი წლის ვადით თავისუფლების აღვეთა.

გარდა გაუპატიურებისა, სექსობრივ დანაშაულს წარმოადგენს ისეთი ქმედებები, რომელებიც ცნობილია მამათმავლობით, ლესბოსელობით ან სხვაგვარი სექსუალური კონტაქტების გაუკულმართებული ფორმით, რომელიც ჩადენილია ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმნეობის გამოყენებით. სწორედ ეს განასხვავებს გაუპატიურებასა და სექსუალური ხასიათის ძალმომრეობით მოქმედებას ერთმანეთისგან.

მამათმავლობაც და ლესბოსელობაც ჰომოსექსუალიზმის ნაირსახეობაა. ეს უკანასკნელი, საკუთარი სექსის წარმომადგრენილისადმი ლტოლვას ნიშნავს. კერძოდ, ლესბოსელობის შემთხვევაში, სექსობრივი კავშირი მყარდება მდედრობითი სექსის პირებს შორის, ხოლო მამათმავლობის შემთხვევაში, – მამრობითი სექსის პირებს შორის. თუ ასეთი კონტაქტები დაკავშირებულია ძალადობასთან, ძალადობის მუქარასთან ან დაზარალებულის უმნეო მდგომარეობის გამოყენებასთან, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ასეთი მოქმედებები დასჯადა.

სხვაგვარ სექსუალურ კონტაქტში, გაუკულმართებული ფორმით, იგულისხმება არაპუნიბრივი სექსუალური კონტაქტის ფორმა, როდესაც ქმედება გარეგნულად ქმნის სექსობრივი კავშირის იმიტაციას. ასეთი ქმედება დასჯადა, თუ იგი ჩადენილია ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმნეო მდგომარეობის გამოყენებით.

<sup>1</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლი. სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება. 1. მამათმავლობა, ლესბოსელობა ან სხვაგვარი სექსუალური კონტაქტი. გაუკულმართებული ფორმით, ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმნეობის გამოყენებით, – ისჯება თავისუფლების აღვეთით, ვადით ოთხიდან ექვს წლამდე. 2. იგვე ქმედება: а) ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით; б) რამაც გამოიწვიო დაზარალებულის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგი, – ისჯება თავისუფლების აღვეთით, ვადით ექვსიდან ცხრა წლამდე. 3. იგვე ქმედება, ჩადენილი: а) არაერთგზის; б) იმის მიერ, ვისაც ადრე ჩადენილი ჰქონდა ამ კოდექსის 138-ე-141-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაბეჭდი; გ) ჯგუფურად; დ) დამაშვილისთვის წინასწარი შეცნობით, ორსული ქალის ან არსარულწლოვნის მიმართ, – ისჯება თავისუფლების აღვეთით, ვადით ცნიდან თორმეტ წლამდე. 4. იგვე ქმედება: а) ჩადენილი დაზარალებულის ან სხვა პირის მიმართ, განსაკუთრებული სისასტიკით; б) რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა, – ისჯება თავისუფლების აღვეთით, ვადით თორმეტიდან თხუთმეტ წლამდე. 5. სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება, ჩადენილი იმის მიმართ, ვისაც არ შესრულებია თოთხმეტი წელი, – ისჯება თავისუფლების აღვეთით, ვადით თხუთმეტიდან ოც წლამდე.

## ბასეოლები!

მნიშვნელობა არ აქვს, რა მოტივითა და მიზნით ჩაიღინა პირმა სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება, იგი აუცილებლად დაექვემდებარება კანინით დადგენილ პასუხისმგებლობას.

დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება, თუ ზემოთ აღნიშნული ხერხების გამოყენებით დამნაშავე დაიწყებს დაზარალებულთან გაუკულმართებულ სექსუალურ კონტაქტს.

**რას არის სექსობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედების იძულება?**

კონტაქტის იძულება, სახელგამტები ცნობის გამომაურების ან ქონებრივი დაზიანების მუქარით ან/და მატერიალური, სამსახურებრივი ან სხვა დამოკიდებულების გამოყენებით.

სისხლის სამართლის კოდექსის 139-ე მუხლის<sup>1</sup> თანახმად, სექსობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედების იძულებისთვის სასჯელად დადგენილია ჯარიმა ან გამასაწორებელი სამუშაო 1 წლამდე ვადით, ხოლო თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადა არის სამ წლამდე.

იმ შემთხვევაში, თუ ქალზე განხორციელდება, დიდია საშიროება იმისა, რომ მასზე განხორციელდეს იძულებითი სექსობრივი კავშირი

ან სექსუალური ხასიათის იცოდეთ, რომ თქვენ თავად ქმნით საზოგადოებრივ აზრს.

სხვაგვარი მოქმედება მისი

ნების სანინააღმდეგოდ. აქ იგულისხმება ის გარემოება, რომ ასეთი იძულებისას ქალს შესაძლოა დაემუქრნონ სახელგამტები ცნობის გამომაურებით ან ქონებრივი დაზიანებით. გარდა ამისა, იმ შემთხვევაშიც, როდესაც დაზარალებული დამნაშავებები მატერიალურად, სამსახურებრივად ან სხვაგვარად არის დამოკიდებული და ამ ფაქტს იყენებს დამნაშავე.

შეურაცხმყოფელი ინფორმაციის გავრცელების შედეგად მიყენებული მორალური ზანი განსაკუთრებით მძიმე დაღს ასეამს ქალის ცხოვრებას. ასეთი შემთხვევების დროს, ქალებმა, შესაძლოა, დუმილი ამჟობინონ და არ მოახდინონ შესაბამისი რეაგირება ამგვარ ფაქტებზე. ვინაიდან საკითხი არის ძალიან დელიკატური და დაზარალებული შესაძლოა, შემისა და დამნაშავის ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდეს, ამიტომ შესაძლებლობა იმისა, რომ ქალი გახდეს ამგვარი მოპურობის მსხვერპლი, დიდია.

**გახსოვდეთ, თქვენ გიცავთ კანონი!**



<sup>1</sup> სისხლის სამართლის კოდექსის 139-ე მუხლი. სექსობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედების იძულება. 1. სექსობრივი კავშირის, მასათმავლობის, ლესბო-ანობის ან სხვაგვარი სექსუალურ კონტაქტის იძულება სახელგამტები ცნობის გამომაურების ან ქონებრივი დაზიანების მუქარით, ანდა მატერიალური, სამსახურებრივი ან სხვაგვარი დამოკიდებულების გამოყენებით, —ისჯება ჯარიმით ან გამასაწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე. 2. იგივე ქმედება, ჩადგნილი არასრულწლოვნის მიმართ, — ისჯება გამსაწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე.

იცოდეთ, რომ თქვენ თავად ქმნით საზოგადოებრივ აზრს და გახსოვდეთ, თქვენ გიცავთ კანონი!

სწორედ ამიტომ, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თქვენს დამოკიდებულებას, გაბედულებას და დროულ რეაქციას ამგვარი ქმედებების მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ასეთ ფაქტებზე საუბარი და სათანადო რეაგირება, გარკვეულნილად, სირთულეებს უკავშირდება, მთავარია არ მოექცეთ ფსიქოლოგიური ზეგავლენის ქვეშ და იმოქმედოთ გაბედულად.

## სასამართლო პრაქტიკა

2010 წლის 23 ივლისს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება საქმეზე, სადაც პირს ბრალი ედებოდა ორი სხვადასხვა დანაშაულის ჩადენში, რომელთაგან ერთ-ერთი იყო სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება იმის მიმართ, ვისაც არ შესრულებია თოთხმეტი წელი (138-ე მუხლის მეხუთე ნაწილით).

დამნაშავემ წინასწარ იცოდა, რომ სოფელში, მისაკვებად უპანში ცხოვრობდა გოგონა, რომელსაც ჯერ არ შესრულებოდა თოთხმეტი წელი. 2009 წლის მარტში დამნაშავემ განიზრახა განხორციელებინა სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება. 2009 წლის მარტში, გოგონას სთხოვა მასთან მისვლა, რათა მიხმარებოდა ფანჯრის მინების განმენდაში. გოგონამ უარი არ უთხრა და მცირებლოვან დასთან ერთად მივიდა მასთან ბინაში. იმ დროს, როდესაც მისი და გასული იყო ოთახიდან, დამნაშავემ გამოიჩინა ძალადობა და განახორციელა სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება. ამ დროს იმ ოთახში შევიდა მეზობელი, რომლის დანახვაზე დამნაშავემ შეწყვიტა ქმედდა.

დამნაშავემ ისარგებლა იმ გარემოებით, რომ გოგონამ არ გაამზილა ზემოაღნიშული ფაქტი სირცხვილის გამო და კვლავ გაგრძელა მის მიმართ იგივე ძალმომრეობითი მოქმედება. შემდეგი შემთხვევა 2009 წლის მაისის ბოლოს მოხდა. იგი კვლავ მოტყუებით მიიყვანა თავის საცხოვრებელ ბინაში, თუმცა გოგონამ ამ მორიგი ძალადობისას შეძლო და მოახერხა გაქცევა.

აღნიშულ საქმეზე უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ჩადენილი არ არის სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება 14 წლის ასაკს მიუღწეველთან, ვინაიდან გოგონას მიმრთ არ ყოფილა სექსუალური კონტაქტი გაუკუდმორთებული ფორმით. ამ დროს არ შემდგარა არც სექსუალური კონტაქტი და არც გაუკუდმართებული ფორმის გამოყენებით ასეთი კონტაქტის დამყარების მცდელობას ჰქონია ადგილი.

უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ჩადენილია გარყვნილი ქმედება თრჯვერ. ეს დანაშაული გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 141-ე მუხლით.

საბოლოოდ, პირი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღდევთა 2009 წლის მარტში ჩადენილი ქმედებისათვის, რასაც დაემატა 2 წელი მაისში ჩადენილი ქმედებისათვის.

**რას ნიშნავს სექსობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან?**

ეს არის სრულნლოვნის სექსობრივი კავშირი, მამათმავლობა, ლესბოსელობა ან სხვაგვარი სექსუალური კონტაქტი, გაუკუდმართებული ფორმით იმ პირთან, რომელ-საც თექვსმეტი წელი ჯერ არ შესრულებია. ამ შემთხვევაში, დამნაშავემ, წინასწარ უნდა იცოდეს დაზარალებულის ასაკის შესახებ.

სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლის<sup>1</sup> თანახმად, თექვსმეტ წლამდე მიუღწეველ პირთან გაუკულმართებული ფორმით სქესობრივი კავშირის დამყარების შემთხვევაში, მინიმალურ სასჯელად განსაზღვრულია თავისუფლების შეზღუდვა სამ წლამდე ვადით, ხოლო მაქსიმალური სასჯელი, თავისუფლების აღკვეთის სახით, არის სამი წელი.

აღნიშნულ დებულებაში, მოცემულია მხოლოდ სრულწლოვანის სქესობრივი კავშირი, ანუ მამათმავლობა, ლესბოსელობა, ან სხვაგვარი სექსუალური კონტაქტი გაუკულმართებული ფორმით 16 წლის ასაკს მიუღწეველ პირთან. ესეც ის შემთხვევაა, როდესაც დამნაშავემ წინასწარ უნდა იცოდეს, რომ დაზარალებული 16 წლის ასაკის ჯერ არ არის. 16 წლამდე ასაკის მოზარდთან სქესობრივი კავშირი, ზნეობრივი თვალსაზრისით, ხელს უწყობს მის გარყვნას. ბიოლოგიური თვალსაზრისით კი, ხელს უწლის ნორმალურ ფიზიკურ განვითარებას, ვინადან 16 წელს მიუღწეველი მოზარდი სქესობრივად ჯერ კიდევ მოუმწიფებელია.

გაითვალისწინეთ, რომ 16 წელს მიუღწეველ პირთან სექსუალური კონტაქტი, თუნდაც მისივე თანხმობით, დაუშვებელი და დასჯადია!

## სასამართლო პრაქტიკა

2008 წლის 25 იანვარს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება პირის მიმართ იმისთვის, რომ მან ჩაიდინა სექსუალური კონტაქტი გაუკულმართებული ფორმით, რომელიც განახორციელა ძალადობითა და ძალადობის მუქარით არასრულწლოვნის მიმართ.

2006 წლის 30 აგვისტოს, დაახლოებით 22 საათზე, მთვრალი პირი თბილისში, ვაგზლის მოედნის მიმღებარე ტერიტორიაზე შეხვდა თავის არასრულწლოვან თანასოფლელ ბიჭს. მან განიზრახა, თავისი სექსუალური უინი დაეკმაყოფილებინა არასრულწლიერანთან გაუკულმართებული ფორმით (ორალური გზით) სექსუალური კონტაქტის დამყარებით. დამნაშავე დარწმუნებული იყო იმაში, რომ ასეთზე თავად არასრულწლოვანი არ დათანხმდებოდა, თანაც ისეთ ხალხმრავალ ადგილზე, როგორიც ვაგზლის მოედანია, ძალადობას ვერ გამოიყენებდა. მან განიზრახა, რომ მუქრით თავისუფლება უკანონოდ აღეკვთა, მატარებლით ბათუმში წაეყვანა, გზაში დაეთრო და ხელსაყრელ შემთხვევაში ძალადობითა და ასეთის მუქარით, გაუკულმართებული ფორმით მასთან სექსუალური კონტაქტი დაემყარებინა.

განზრახვის სისრულეში მოსაყვანად დამნაშავემ არასრულწლოვანს მელავში მოჰკიდა ხელი, არ მისცა საშუალება, სურვილისამებრ გადაადგილებულიყო, სცემა სახის არეში, დაემუქრა მოკვლით და ძალით ჩასვა თბილისი-ბათუმის სამგზავრო მატარებელში.

მატარებლით ქ. ბათუმის მიმართულებით მგზავრობისას დამნაშავემ მოსთხოვა არასრულწლოვნის არყის დალევა და დაათრო იყო.

ზესტაფონის რაიონის ტერიტორიაზე მოძრაობისას, როდესაც კუპეში მათთან ერთად მყოფ ერთ პირს ეძინა, ხოლო მეორე პირადი საჭიროებისათვის გარეთ იყო,

1 სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლი. სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან. სრულწლოვნის სქესობრივი კავშირი, მამათმავლობა, ლესბოსელობა ან სხვაგვარი სექსუალური კონტაქტი გაუკულმართებული ფორმით დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან, – ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე.

დამნაშავებ არასრულწლოვანს მოსთხოვა გაუუსლმართებული ფორმით - ორალური გზით სქესობრივი კავშირის დამყარება. მან მიიღო უარი, ამიტომ რამდენჯერმე გაარტყა ხელი დაზარალებულს და მოკვლის მუქარით აიძულა სექსუალური ხასიათის ქმედებები შეესრულებინა. აღნიშნული შენიშვნა კუპეში მოულოდნელად გაღვიძებულმა, რის შემდგებაც დამნაშავე პოლიციის მუშაკებმა დააკავეს.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში უდავოდ დადგენილია და უჭვს არ იწვევს, რომ დამნაშავემ ჩაიდინა სექსუალური კონტაქტი გაუუზღმართებული ფორმით, ნინასნარი შეცნობით 16 წლის ასაკს მიუღწეველთან. საბოლოოდ, პირი დამნაშავედ იქნა ცნობილი სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლის საფუძველზე და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

### რა არის გარყვნილი ქმედება?

ძალადობის გარეშე ჩადენილი გარყვნილი ქმედება იმ პირთან, როდესაც დამნაშავემ ნინასნარ იცის, რომ დაზარალებულს, თექვსმეტი წელი ჯერ არ შესრულებია.

აღნიშნული დანაშაული – გარყვნილი ქმედება ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით, ვადით ორ წლამდე. მსგავსი სქესობრივი კავშირი ნებაყოფლობითა, მაგრამ დასჯადია იმ შემთხვევაში, როდესაც დამნაშავისთვის ნინასნარ ცნობილია, რომ გარყვნილ ქმედებას ჩადის პირთან, რომელსაც 16 წელი ჯერ არ შესრულებია. გარყვნილი ქმედების დროს, დამნაშავე დაზარალებულთან არ ამყარებს სექსუალურ კონტაქტს, არამედ სხვაგვარი ქმედებით ახდენს მის გარყვნას.

გარყვნილი ქმედება შესაძლოა იყოს ორი სახის: **ფიზიკური ან ინტელექტუალური.**

**ფიზიკური გარყვნილი** ქმედების დროს, დამნაშავე ამყარებს სქესობრივ კავშირს ან სექსუალური ხასიათის ქმედებას სხვა პირთან, ან საუთარ სხეულზე, და ეს ყველაფერი ხდება 16 წელს მიუღწეველი პირის თანდასწრებით.

**ინტელექტუალური გარყვნილი ქმედება,** თავისი შინაარსით, არსებითად განსხვავდება ფიზიკური გარყვნილი ქმედებისგან. ასეთ დროს, დამნაშავე თვითონ არ ახორციელებს სექსუალური ხასიათის მოქმედებას. ის, შესაძლოა, 16 წელს მიუღწეველ პირს ესაუბროს სექსუალური ცხოვრების ისეთ დეტალებზე, რამაც შესაძლოა, მოზარდში სექსუალური ლტოლვა გამოიწვიოს. ამ დროს, დამნაშავე, ვიზუალური მასალით ახდენს მოზარდის პროვოცირებას. კერძოდ, მოზარდს უჩვენებს პორნოგრაფიულ ნანარმოებს, ფილმს, ვიდეო ჩანაწერს, სურათს ან სხვა მსგავსი ტიპის პროდუქციას. ამ შემთხვევაში, გარყვნილი ქმედება, შეიძლება ჩადენილი იქნას, როგორც მამრობითი სქესის, ასევე მდედრობითი სქესის წარმომადგენლის მიმართ.

გარყვნილება არის ერთადერთი ქმედება სქესობრივ დანაშაულებებში, რომელიც დაკავშირებული არ არის ძალადობასთან ან ძალადობის გამოყენების მუქარასთან.

და ბოლოს, გახსოვდეთ, თუ თქვენ გახდით ამ თავში აღნიშნული რომელიმე დანაშაულის მსხვერპლი:



- დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს და მოითხოვეთ წერილობითი სამედიცინო დასკვნა;
- დაუყოვნებლივ დაუკავშირდით იურისტს და გაიარეთ კონსულტაცია, რათა იგი დაგეხმაროთ თქვენი საქმის შესაბამისად წარმართვაში.

## ქალთა უფლებების დაცვა საქართველოს სისხლის სამართლის მიხელვით

### ორსულობის შეწყვეტა

**რა არის აბორტი? – ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტა.**

სამედიცინო სტატისტიკის მონაცემებით, საქართველოში შობადობა მცირდება, სტაბილურად მაღალია დედათა და ბავშვთა ავადობისა და სიკედილიანობის მაჩვენებლები, რაც კიდევ უფრო ამძიმებს ისედაც რთულ დემოგრაფიულ ვითარებას. ქვეყანაში, ჯერ კიდევ არ არის კარგად განვითარებული რეპროდუქტოლოგიური სამსახური. სამწვაროდ, აბორტების რაოდენობის შესახებ რეალური სტატისტიკური მონაცემები არ მოჰკოვება.

საქართველოში, 1955 წლიდან აბორტი ლეგალიზებულია, რომელიც ორსული ქალის თანხმობით ხდება. მისი თანხმობის გარეშე მუცლის მოშლა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს განპირობებული უკიდურესი აუცილებლობით. ეს ის შემთხვევა, როდესაც აბორტი ქალის სიცოცხლის გადარჩენის ერთადერთ საშუალებას ნარმობადგენს. აბორტი უკანონოდ ითვლება, თუ ეს კეთდება კანონითა და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილი წესის დარღვევით.

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ნათქვამია, რომ საქართველოს ყველა მოქალაქეს უფლება აქვს, დამოუკიდებლად განასაზღვროს შვილების რაოდენობა და მათი დაპატიჟის დრო. იმავე კანონის თანახმად, ქალთა ჯანმრთელობის დაცვა, აბორტების შემცირების გზით, სახელმწიფოს პრიორიტეტული ამოცანაა. გარდა ამისა, სახელმწიფო უზრუნველყოფა დასაქორწინებელ, აგრძელებული შვილის ყოლის მსურველ წყვილთა უფასო ნებაყოფლობით სამედიცინო – გენეტიკურ კონსულტაციას.

ორსულობის ნებაყოფლობითი შეწყვეტა ნებადართულია მხოლოდ სათანადო უფლების მქონე სამედიცინო დაწესებულებაში, სერტიფიცირებული ექიმის მიერ, თუ:

- ა) ორსულობის სანგრძლივობა არ აღემატება თორმეტ კვირას;
- ბ) ორსულს სამედიცინო დაწესებულებაში ჩაუტარდა ნინასწარი გასაუბრება და გასაუბრებიდან პერაციამდე გასულია სამი დღის მოსაფიქრებელი ვადა. გასაუბრების დროს ექიმშა უპირატესობა უზდა მიანიჭოს ნაყოფის სიცოცხლის დაცვას. არჩევანი ქალის პრეროგატივაა.

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 140-ე მუხლის თანახმად, თორმეტ კვირაზე მეტი სანგრძლივობის ორსულობის შემთხვევაში, აბორტი ნებადართულია მხოლოდ სამედიცინო და სოციალური ჩვენებების მიხედვით. სამედიცინო ჩვენებების ჩამონათვალს ადგენს საქართველოს მრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

ორსულობის შეწყვეტის სამედიცინო ჩვენებები უნდა დადგინდეს ლიცენზირებულ ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ ან სტაციონარულ დაწესებულებაში კომისიური წესით, რომლის შემადგენლობაში უნდა შედიოდეს: დაწესებულების მთავარი ექიმი, მკურნალი ექიმი, იურისტი და იმ სპეციალობის ექიმი, რომლის სფეროშიც შედის ორსულის დაავადება (მდგომარეობა).

სამედიცინო ჩვენებების არსებობის შემთხვევაში, ორსულს მიეცემა დასკვნა, რომელშიც აღნერილი იქნება სრული კლინიკური დიაგნოზი. ეს დასკვნა დამოწმე-

ბული უნდა იყოს ზემოთ ჩამოთვლილი სპეციალისტების ხელმოწერით და დაწესებულების ბეჭდით.

თუ ორსულს აქვს ფსიქიური ან ვენერიული დაავადება, საბუთები ორსულობის შეწყვეტის შესახებ გადაეცემა უშუალოდ იმ საავადმყოფოს (სამშობიარო სახლს), სადაც პაციენტის გადაწყვეტილი აქვს ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის ოპერაციის ჩატარება.

არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ორსული ქალის დაავადება არ არის მითითებული ინსტრუქციაში. თუმცა, ასეთი დაავადების არსებობის გამო, ორსულობის გაგრძელება არ შეძლება, რადგან შესაძლოა, ორსული ქალის სიცოცხლე საფრთხეში აღმოჩნდეს. მსგავს შემთხვევებში, საკითხი ორსულობის შეწყვეტის შესახებ იხილება კომისიურად და პაციენტისადმი ინდივიდუალური მიდგომით.

### რა ვადამდეა შესაძლებელი მოხდეს ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტა თორმეტი კვირის შემდეგ?



სამედიცინო ჩვენებით, თორმეტ კვირაზე მეტი ხანგრძლივობის ინსტრუქციის ანგარძლივობის ხელოვნურად შეწყვეტის მიზანი ნებადართულია ჩატარდეს ორსულობის ოცდაორ კვირამდე.



### იცოდეთ, აპორტის რეკლამა აკრძალულია!

### სად ტარდება ორსულობის შეწყვეტის ოპერაცია?

თორმეტ კვირაზე მეტი ხანგრძლივობის ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის მიზანი უნდა ჩატარდეს მხოლოდ ლიცენზირებულ სამეცნი-გინეკოლოგიური პროფილის სტაციონარულ დაწესებულებაში (განყოფილებაში).

იმ შემთხვევაში, თუ თორმეტ კვირაზე მეტი ხანგრძლივობის ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის მიზანი გარდაუვალი და ჩასატარებელია, მაშინ ორსული ქალი გადის შემდეგ იფიციალურ პროცედურებს:

- ორსული განცხადებით მიმართავს სამეცნი-გინეკოლოგიური პროფილის სტაციონარის მთავარ ექიმს, ან იმ მრავალპროფილიანი საავადმყოფოს მთავარ ექიმს, სადაც ფუნქციონირებს სამეცნი-გინეკოლოგიური განყოფილება;
- ორსული, განცხადებასთან ერთად, წარადგენს სამედიცინო დასკვნას თორმეტ კვირაზე მეტი ხანგრძლივობის ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის სამედიცინო ჩვენებას (სრული დიაგნოზის) აღნიშვნით;
- საავადმყოფოს (სამშობიარო სახლის) მთავარი ექიმი კომისიური წესით იხილავს შემოსულ განცხადებას და დასკვნას; კომისიის სხდომა ფორმდება ოქმის სახით, კომისიის შემადგენლობაში უნდა შედიოდეს მთავარი ექიმი, მოადგილე სამკურნალო დარგში, კათედრის წარმომადგენელი (თუ კათედრა არის დაწესებულებაში), იმ სპეციალობის ექიმი, რომლის სფეროშიც შედის ორსულის დაავადება (მდგომარეობა) და იურისტი;

- კომისიის გადაწყვეტილება შესაბამისი ჩანაწერით ფორმდება ავადმყოფის სამედიცინო დოკუმენტში (ავადმყოფის ისტორიაში) და მოწმდება წევრთა ხელმოწერით;
- სამედიცინო ჩვენებით, თორმეტ კვირაზე მეტი ხანგრძლივობის ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის ოპერაციის ჩატარების თაობაზე, დადგენილი წესით, ჩანაწერი კეთდება ე.წ. ‘სიმართლის წიგნში’;
- სამედიცინო ჩვენებით, თორმეტ კვირაზე მეტი ხანგრძლივობის ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის ოპერაციის ჩატარების თაობაზე, სავადმყოფო (სამ-შობიარო სახლი), დადგენილი წესით, გასცემს ფორმა N27-ს. აღნიშნული ფორმა გაიცემა ქალთა ტერიტორიული კონსულტაციისათვის ან ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებისთვის.

გარდა იმ სამედიცინო ჩვენებებისა, როდესაც ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტა აუცილებელია, არის სხვა პირობებიც, რომელიც კავშირში არ არის სამედიცინო მდგომარეობასთან. კერძოდ, კანონით, ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტა ნება-დართულია შემდეგ შემთხვევებში:

- თუ ქალს არ შესრულება 15 წელი.
- თუ ქალის ასაკი გადაცილებულია 45 წელს.
- თუ ორსულობა გამოიწვია გაუპატიურებამ და ეს დადგენილია სასამართლოს მიერ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აბორტი უკანონოდ ჩაითვლება, როდესაც ის კეთ-დება არალიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებებში. გარდა ამისა, სავალდებულოა, ექიმს ჰქონდეს საქმი საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერთიფიკატი. ასევე აუცილებელია, აბორტის განხორციელებისას, დაცული იყოს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები და სხვა. ორსულობის შეწყვეტა, შესაძლო, მოხდეს ოპერაციის გზით, მეჯინიკური ან ტოქსიკური ზემოქმედების ხერხით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 133-ე მუხლის<sup>1</sup> თანახმად, აბორტი, რომელიც კეთდება კანონითა და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ, უკანონოდ ითვლება და დასჯადია.

ეს დანაშაული, დასრულებულად ჩაითვლება ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის, ანუ დედის ორგანიზმიდან ნაყოფის გამოდევნის მომენტიდან.

ამრიგად, ორსულობის შეწყვეტისას, გათვალისწინებული უნდა იქნას ზემოთ აღნიშრილი ყველა პროცედურა და სტანდარტი, რომელიც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით. იმ შემთხვევებში, თუ აღნიშნული წესების დარღვევა მოხდება, ეს გამოიწვევს იმ პირის სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას, რომელმაც განახორციელა ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტა.

<sup>1</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 133-ე მუხლი. უკანონო აბორტი. 1) უკანონო აბორტი - ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ასიდან ორას აბორტი საათამდე ანდა გამასწორებელი სამუშაოთა ვადით ერთიდან ორ წლამდე. 2) იგვევ ქმედება, ჩადენილი უკანონო აბორტისათვის მსჯავრდებულის მიერ, ან რიბაც გამოიწვია შეილოსნობის სამუდამო მოშლა - ის სხვა მძიმე შედეგი, - ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე. 3) უკანონო აბორტი, რაბაც გამოიწვია სიცოცხლის მისპობა, - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამდან ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

## სასამართლო პრაქტიკა

2006 წლის 10 აპრილს უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება საქმეზე, სდაც პირს ბრალი ედებოდა იმაში, რომ ჩაიდონა სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით.

კ. ბ-ლი მუშაობდა ონის რაისაავადმყოფოს სამეანო-გინეკოლოგიურ განყოფილებაში ექიმად. 2006 წ. 11 დეკემბერს მასთან მყოფ პაციენტს, რომელსაც ეგონა, რომ იყო ფეხშიმიერ და ნაყოფის მოსაცილებლად სურდა ხელოვნური აბორტის გაკეთება, ნინასნარ გამოართვა 25 ლარი, არ გაატარა რეგისტრაციაში და, პაციენტის ნინასნარი გამოკითხვის გარეშე, დაავალა დამხმარეს აბორტისათვის იარაღების მომზადება.

ექიმმა პაციენტი გასინჯვა ხელით, მაგრამ ფეხშიმიმობა ვერ დაუდგინა და კვალი-ფიციური გამოკვლევის ჩასატარებლად გამოიყენა დამჭერი მაშები, ზონდირებით გასინჯვის დროს შეამჩნია მას შიში, ამიტომ ტკივილის გასაყუჩებლად განიზრახა ადგილობრივი საანესთეზიო საშუალება გამოყენება ისე, რომ პაციენტს არ გამოჰკითხა, პქონდა თუ არა ადრე მას ეს პრეპარატი გაკეთებული და ხომ არ აღნიშნებოდა მისი ხმარებისას რაიმე რეაქცია (გვერდითი მოვლენები); ასევე, ნაცვლად იმისა, რომ პრეპარატის შეყვანის წინ ორგანიზმის რეაქციის გამოსავლენად ჩაეტარებინა კანის სინჯვი, არ გააეყენა აღნიშნული და პაციენტის საშვილოსნოს ყელზე ინექციით შეუვანა 4 გრამი პრეპარატი, რასაც მაშინვე მოჰყვა პაციენტის მდგომარეობის მკვეთრი გართულება – ანაფილაქტიოლური რეაქცია და ინექცირებიდან 8 წუთში, მიუხედავად გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისა, ქალი გარდაიცვალა.

მიუხედავად კომპეტენტური სპეციალისტების მიერ არაერთგზის ჩატარებული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზებისა, საბოლოოდ ქალის სიკვდილის მიზეზის დადგენა შეუძლებელი გახდა. სასამართლო აღნიშნავს, რომ ერთი ექსპერტიზის მიერ სიკვდილის მიზეზის დადგენილად ცნობა, ხოლო შემდგომი ექსპერტიზით ამის შეუძლებლობა, ნიშნავს მათ დასკვნებს შეირის ნინაღმდებარებას.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ უცვლელად დატოვა ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 28 ივნისის განაჩენი, რომლითაც ექიმი გამართლდა.

## დანაშაული აღამიანის უფლებებისა და თავისუფლებების მინიჭებულებების დასრულებისას

ადამიანის უფლებები და თავისუფლებები საზოგადოებაში მთავარი ფასეულობაა, რომელთა დაცვა სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ადამიანის უფლებათა დაცვის უმთავრესი პრინციპი ადამიანების თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფა. შესაბამისად, არ შეიძლება განხორციელდეს ადამიანთა განსხვავება რასის, ეთნიკური წარმოშობის, კანის, ფერის, სქესის, რელიგიის, სქესობრივი ორიენტაციისა და სხვა ნიშნების საფუძველზე.

დისკრიმინაცია არის მრავალმხრივი და იგი არ მოიცავს მხოლოდ სახელმწიფო ან საჯარო სტრუქტურებს, არამედ ეს არის ზოგადად, სამოქალაქო საზოგადოებაში არსებული პრობლემა. დემოკრატიული საზოგადოებისა და სახელმწიფოს სოციალურ-პოლიტიკური მოწყობისა და ფუნქციონირების უმნიშვნელოვანესი პრინციპია, რომ ქვეყნის ყველა მოქალაქეს პქონდეს თანაბარი უფლებები და თავისუფლებები, სწორედ ამიტომ დაუშვებელია ადამიანების დისკრიმინაცია ანუ მათი განსხვავება რაიმე ნიშნით.

მიუხედავად საქართველოში ბოლო წლებში განხორციელებული საკანონმდებლო ცელის მიზანის აღმოფხვრას უკავშირდება, პრობლემები კვლავ მრავალფეროვანია. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არსებობს კანონები, რომელიც, თავის მხრივ დისკრიმინაციულია. ადამიანთა განსხვავება სქესის საფუძველზე არის საყოველთაო პრობლემა, რომელზეც საზოგადოება კვლავ დუმს. დისკრიმინაცია გავლენას ახდენს საზოგადოების ისეთ სფეროებზე, როგორიცაა პოლიტიკა, განათლება, დასაქმება, სოციალური და სამედიცინო მომსახურება, საქოვრებლით სარგებლობა, მართლმასჯულება, სასჯელაღსრულება და სამართალდაწყვეტილები.

თანასწორუფლებიანობის ცნებას განსაკუთრებული ადგილი უკავია ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. სწორედ ამიტომ, თანასწორუფლებიანობის დარღვევა, საფუძვლიანი მიზეზის გარეშე, არის ადამიანის ფუნდამენტური უფლებათა დარღვევა, რომელიც უარყოფით ზეგავლენას ახდენს ადამიანთა ცხოვრების ყველა ასპექტზე, რაც შემდგომში ხდება ადამიანების მარგინალიზაციის მიზეზი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო დონეზე არის უპრეცედენტო პროგრესი ამ მიმართულებით.

### რას ნიშნავს დისკრიმინაცია?

**დისკრიმინაცია** (ლათ. *discriminatio* – განსხვავება) არის სოციალურ-იურიდიული ცნება, რომელიც ასე განიმარტება: „ნებისმიერ რაციონალურ დასაბუთებას მოკლებული, ცალკეული პირებისა და ჯგუფების უფლებების შეზღუდვის ან მათდამი უარყოფითი დამოკიდებულების ფორმა, რომელიც ფიზიკურ და ბიოლოგიურ ნიშნებზე აგებულ უფლებათა და უფლებამოსილებათა იერარქიულობაში გამოიხატება“.<sup>1</sup>

ალბათ გასაკირია, მაგრამ დიკრიმინაციის ცნებას დადებითი ასოციაციური აქტს, რაც ხშირად გემოვნებაში გამოიხატება, რომელიც ლიტერატურას, ხელოვნებას და სხვა მსგავს საკითხებს უკავშირდება. არსებობს ასევე დისკრიმინაციის სხვა პოზიტიური მაგალითებიც, რომელიც ყოველდღიურ სოციალურ გარემოში ხშირად გვხდება.

მაგალითად, საქართველოს „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ კანონის თანახმად, „A“ ან/და „B“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე შეიძლება დამტკიცებული 17 წლის ასაკს მიღწეული პირი. როგორც ეხედავთ, ეს კანონი განასხვავებს ადამიანებს ასაკის მიხედვით, თუმცა ბუნებრივია, ეს არ შეიძლება ჩაითვალოს ნებატიურ დისკრიმინაციად, ვინაიდან იგი წარმოადგენს აუცილებლობას და ამგვარი განსხვავებები საზოგადოებაში ყოველთვის იქნება არსებული საჭიროებიდან გამომდინარე.

იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს დისკრიმინაციას, მნიშვნელოვანია დადგინდეს, რა ნიშნით მოხდა ადამიანთა თანასწორუფლებანობის დარღვევა. ამ ნიშნებს შორის, ერთ-ერთი არის სქესი. დისკრიმინაცია სქესის ნიშნის მიხედვით, ზოგიერთ შემთხვევაში, რჩება სოციალური უსამართლობის ფართოდ გავრცელებულ ფორმად.



### ქალი და მამაკაცი, ოჯახსა და

### საზოგადოებრივ ცხოვრებაში

### თანასწორუფლებიანია!



1 მერკვილაძე ი., გენდერულ ტერმინთა მოკლე ლექსიკონი. თბილის: კავკას. სახლი, 2003 – 112გვ.

გახსოვდეთ, რომ ქალი და მამაკაცი, ოჯახსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, თანასწორუფლებიანია!

ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა სქესის ნიშნის მიხედვით, შესაძლოა არსებობდეს საზოგადოების კულტურისა და ცხოვრების ნებისმიერ ასპექტში. ასეთი დისკრიმინაცია, შეიძლება გამოიხატოს ადამიანთა ურთიერთობებში, რაც კიდევ უფრო აძლიერებს მას. მაგალითად, აზრი იმის შესახებ, რომ მხოლოდ ერთი სქესის ადამიანი შეიძლება დასაქმდეს სამუშაოზე (გარდა განსაკუთრებით გამონაკლის შემთხვევებისა), უდავო, არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა ძირითად პრინციპებს.

სქესის ნიშნით დისკრიმინაცია ხდება მაშინ, როდესაც პირის მიმართ მოპყრობა განსხვავდება მხოლოდ სქესის საფუძველზე.

ბუნებრივია, სქესის ნიშნით დისკრიმინაციას, არ აქვს გამართლება და რა ფორმითაც უნდა იყოს გამოხატული, ენინააღმდეგება სამართლანობის პრინციპებს. ამიტომაც, მსგავსი მოქმედებები, საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, ისჯება.

გახსოვდეთ, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი აღიარებს ადამიანთა თანასწორუფლებიანობას, რომლის თანახმადაც „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, ნარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა“.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე თავში მოცემულია ნორმები, რომლებიც წარმოადგენენ მოქალაქეთა (არა მარტო საქართველოს მოქალაქეთა) პირად, სოციალური და პოლიტიკურ უფლებათა დაცვის სისხლის სამართლებრივ გარანტიას.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სისხლის სამართლის კოდექსის ეს ნაწილი მოიცავს იმ დანაშაულებებს, რომლებიც მიმართულია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ. წინამდებარე ნაწილში ვისაუბრებთ ადამიანის თანასწორუფლებიანობის დარღვევისა და თავისუფლების უკანონო აღკვეთის შესახებ.

## რას ნიშნავს ადამიანის თანასწორუფლებიანობის დარღვევა?

ეს არის რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, აღმსარებლობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ეროვნული, ეთნიკური, სოციალური, რომელიმე წოდებისადმი ან საზოგადოებრივი გაერთიანებისადმი კუთვნილების, წარმოშობის, საცხოვრებელი ადგილის ან ქონებრივი მდგომარეობის გამო, ადამიანის თანასწორუფლებიანობის დარღვევება, რამაც არსებითად ხელყო ადამიანის უფლება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლის<sup>1</sup> თანახმად, ამ

- 1 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლი. 1) ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა მათი რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, აღმსარებლობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ეროვნული, ეთნიკური, სოციალური, რომელიმე წოდებისადმი ან საზოგადოებრივი გაერთიანებისადმი კუთვნილების, წარმოშობის, საცხოვრებელი ადგილის ან ქონებრივი მდგომარეობის გამო, რამაც არსებითად ხელყო ადამიანის უფლება, — ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე. 2) იგივე ქმედება: ა) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით; ბ) რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია, — ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

სახის დანაშაულისთვის, სასჯელის სახედ დადგენილია ჯარიმა, გამასწორებელი სამუშაო, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ან თავისუფლების აღკვეთა, რომლის მაქსიმალური ვადაა სამი წელი.

ქალები, საუკუნეების მანძილზე ცდილობდნენ, საზოგადოებაში, სადაც მამაკაცები დომინირებდნენ, მოეპოვებინათ იგივე უფლებები და თავისუფლებები, რაც მამაკაცებს გააჩნდათ. ალბათ, სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა, რომ 2010 წლის 26 მარტს, მიღებული იქნა კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ. კანონში, მოცემულია გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის გარანტიება.

## რა არის გენდერი?

გენდერი არის სქესთა შორის ურთიერთობის სოციალური ასპექტი, რომელიც გამოხატულია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და გულისხმობს სოციალიზაციით განპირობებულ შეხედულებებს ამა თუ იმ სქესზე. ასე მაგალითად, კანონი უზრუნველყოფას ქალისა და მამაკაცის თანასწორ, ინდივიდუალურ უფლებებსა და თავისუფლებებს დისკრიმინაციის გარეშე. გარდა ამისა, კანონი აღიარებს თანასწორობას შრომითი ურთიერთობებისას, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო ხელს უწყობს დასაქმების თანაბარ ხელმისაწვდომობას ორივე სქესის პირთათვის.

გენდერული თანასწორობის შესახებ კანონის თანახმად, გენდერულ თანასწორობაზე ზედამხმდველობას სახელმწიფო ახორციელებს. გარდა ამისა, საქართველოს სახალხო დამცველი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს გენდერული თანასწორობის დაცვის მონიტორინგს და რეაგირებას ახდენს გენდერული თანასწორობის დარღვევაზე.

2011 წლის 5 მისის საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება „გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფაზე განსახორციელებელი 2011-2013 წლების სამოქმედო გეგმის“ დამტკიცების შესახებ, რომლის ძირითადი მიზნებია:

- გენდერული თანასწორობის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა;
- გენდერული ასპექტების განათლების სფეროში შეტანისა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა;
- ეკონომიკის სფეროში ქალისა და მამაკაცის სრული და თანაბარი მონაწილეობის წახალისება;
- გენდერული სტატისტიკის სრულყოფა;
- გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე ქალისა და მამაკაცის სრული და თანაბარი მონაწილეობის ხელშეწყობა, სამშენებლო პროცესებში ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობა;
- ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროებში გენდერული ასპექტების გათვალისწინება;
- გარემოს დაცვის საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე ქალისა და მამაკაცის თანაბარი მონაწილეობის ხელშეწყობა.

## ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

სამწუხაროდ, საქართველოში სასამართლოების პრაქტიკა დისკრიმინაციის საკითხებთან დაკავშირებით მნირია. სწორედ ამიტომ გთავაზობთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მოკლე მიმოხილვას დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ.

დისკრიმინაციის აკრძალვა დადგენილია ევროპურული კონვენციის მე-14 მუხლით, რომელ უზრუნველყოფს თანასწორ მოპყრობას კონვენციის სხვა უფლებებით სარგებლობისას.

გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-12 დამატებითი ოქმი დისკრიმინაციის აკრძალვის ფარგლებს განავრცობს და ხაზს უსვამს იმ გარე-მოებას, რომ ნებისმიერი უფლებით სარგებლობისას თანასწორობის პრინციპი უნდა იყოს დაცული.

არსებობს ორის სახის დისკრიმინაცია – **პირდაპირი და არაპირდაპირი.**

**პირდაპირ დისკრიმინაციას** ადგილი ექნება მაშინ, როცა ინდივიდს, ამ შემთხვევაში ქალს, ეპურობიან ურყოფითად იმასთან შედარებით, თუ როგორ ეპურობიან ან მოეპყრობოდნენ მამაკაცებს იგივე სიტუაციაში. მაგალითად, ასეთი შემთხვევებია:

- პირს უარი უთხრეს რესტორანში ან მაღაზიაში შეშვებაზე;
- პირი იღებს უფრო დაბალ პენსიას ან ხელფასს;
- პირი წარმოადგენს სიტყვიერი შეურაცხყოფის ან ძალადობის სუბიექტს და სხვა.

**არაპირდაპირი დისკრიმინაციის** საკითხთან მიმართებაში ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო აცხადებს, რომ უფლება არ იყო დისკრიმინირებული მაშინაც ირლევა, როცა სახელმწიფოები ვერ ახერხებენ განსხვავებულად მოეპყრონ პირებს, რომელთა მდგომარეობაც არსებითად განსხვავდება ერთმანეთისგან.

### **„აბდულაზიზი, კაბალესი და ბალკანდაილი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“<sup>1</sup>**

ევროპულმა სასამართლომ ამ საქმეზე დაადგინა, რომ გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობა განსხვავებულად ეპყრობოდა ადამიანებს სქესობრივ ნიადაგზე.

საქმე ეხებოდა ქალებს, რომლებიც კანონიერად და სამუდამოდ დასახლდნენ გაერთიანებულ სამეფოში. საიმიგრაციო წესებით, მათ ქმრებს აეკრძალათ გაერთიანებულ სამეფოში მათთან დარჩენა. თუმცა, საინტერესოა, რომ სხვა შემთხვევებში, ქმრებსათვის აკრძალვა ასეთი მკაფიო არ იყო. სახელმწიფო შეეცედა გამართლება მოექცნა ამგვარი მოეპყრობისათვის. იგი ამტკიცებდა, რომ ადამიანების ეს ორი კატეგორია განსხვავებულ ვითარებაში იმყოფებოდა.

საბილოოდ, ევროსასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა ადამიანის უფლებების დარღვევას, ვინაიდან გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობა ადგენდა რთულ პროცედურებს ქალებისთვის, განსხვავებით მამაკაცებისგან.

### **„იუნალ ტეკელი თურქეთის წინააღმდეგ“<sup>2</sup>**

თურქეთში სახელმწიფო კანონი ავალდებულებდა ქალებს მიეღოთ ქმრის გვარი დაქორნინებისას. თუმცა, კანონი უფლებას აძლევდა ქალებს შეენარჩუნებინათ თავიანთი ქალიშვილობის გვარი ქმრის გვართან ერთად. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ეს წარმოადგენდა სქესის ნიშნით დის-

<sup>1</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, *Abdulaziz, Cabales and Balkandali v. The United Kingdom* (Nos. 9214/80; 9473/81; 9474/810), 28 მაისი, 1985 წ.

<sup>2</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, *Ünal Tekeli v. Turkey* (No. 29865/96), 16 ნოემბერი, 2004.

კრიმინაციას, რადგან სახელმწიფო კანონი არ ავალდებულებდა ქმარს შეეცვალა გვარი.

## „ზარბ ადამი მალტას წინააღმდეგ“<sup>1</sup>

მალტაში ნაფიც მსაჯულთა სამსახურში გამოძახების პრაქტიკიდან გამომდინარე, უპირატესობა ენიჭებოდათ მამაკაცებს. სტატისტიკურმა მონაცემებმა აჩვენა, რომ ნაფიც მსაჯულთა 95% მამაკაცი იყო ხუთი წლის განმავლობაში. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ეს ფაქტი უტოლდება დისკრიმინაციას.

## თავისუფლების უკანონო აღკვეთა

### რა არის თავისუფლების უკანონო აღკვეთა?

თავისუფლების უკანონო აღკვეთა არის პირის იძულებითი დაკავება, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის<sup>2</sup> მიხედვით, თავისუფლების უკანონო აღკვეთისთვის დაწესებულია მინიმალური სასჯელი – ორი წლის, ხოლო მაქსიმალური, – თორმეტი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოში საკონად გავრცელებული იყო ქალის მოტაცება, როგორც ქორწინების ერთ-ერთი ფორმა. ქართული სამართალი ეპრძოდა მას, როგორც დრომოქმულ ჩვეულებას. X-XI საუკუნეებში საქორწინო კავშირის დამყარება უკვე მშობლების მოლაპრაკების გზით ხდებოდა, მაგრამ მოტაცების ინსტიტუტი ძალიან დიდან შენარჩუნდა. ეს, ერთის მხრივ, უფროსი თაობის წინააღმდეგ პროტესტი იყო, მეორეს მხრივ, რომანტიკული სასიყვარულო თავგადასავალი. თუმცა, ძალიან ბევრი ცუდი შედეგებიც მოჰყოლია ქორწინების ასეთ ფორმას. თუ მშობლებს არ მოსწონდათ შეიღების არჩევანი, ისინი ინუბებდნენ აქტიურ პრძოლას მათ დასაცილებლად. განსაკუთრებით მძიმე დღეში იყვნენ გოგონები, რომლებიც თავიანთი ნების საწინააღმდე-

1 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, Zarb Adami v. Malta (No. 17209/02), 20 ივნისი, 2006.

2 სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლი. თავისუფლების უკანონო აღკვეთა. 1) თავისუფლების უკანონო აღკვეთა, - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდნ თოს წლამდე. 2) იგივე ქმედება, ჩადებული: ა) დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით; ბ) უცხოეთი მოწილეობის წინმომადგრენის საერთაშორისო სამართლებრივ დაცვის დაქვემდებარებულის მიმართ; გ) სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით, - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე. 3. იგივე ქმედება, ჩადენილი: ა) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ; ბ) არაერთგზის; გ) ორი ან მეტი პარის მიმართ; დ) დამწაშავისათვის წინასწარი შეცნობთ ორსული ქალის, არასრულწლოვნის ან უმწერ მდგომარეობაში მყოფის მიმართ; ე) სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიშ ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების შექარით, - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან ათ წლამდე. 4. ამ მუხლის პირველი, მე-2 ან მე-3 წანილით გათვალისწინებული ქმედება: ა) ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ; ბ) რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თორმეტი წლამდე.

გოდ მოიტაცეს. ხშირ შემთხვევაში, მათ მშობლები არ თანაუგრძნობდნენ და საზოგა-დოებრივი აზრის გავლენით, გოგონები იძულებული იყენენ, ბედს შეპგუებოდნენ.

თავისუფლების უკანონო აღკვეთა შეიძლება მოხდეს მოტაცებით. მაგალითად, ქალი მოიტაცეს ცოლად შერთვის მიზნით, მისი ნების საწინააღმდეგოდ, ჩასვეს მანქანაში და გაიტაცეს. მოუხედავად მისი დაუქინბული მოთხოვნისა, მანქანა არ გაუჩერეს და არ მისცეს გადმოსვლის შესაძლებლობა. მსგავსი ფორმით თავისუფლების აღკვეთა საქართველოში, მეტად გავრცელებული ფორმაა. თუმცა, თავისუფლების უკანონო აღკვეთა, შესაძლოა, განხორციელდეს ადამიანის მოტყუებით, ანუ იგი მიიყავნონ იმ ადგილას, სადაც მოხდება მისი დამწყვდევა. როგორც ვხედავთ, თავისუფლების უკანონო აღკვეთა არის პირის იძულებითი დაკავება, როდესაც მას არ აქვს შესაძლებლობა, გადაადგილდეს თავისუფლად.

სწორედ მსგავსი ქმედებები შეიძლება ჩაითვალის თავისუფლების უკანონო აღკვეთად, რომელიც დასჯადა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის თანახმად, ამიტომ: არავის აქვს უფლება, აღკვეთოს ან სხვაგვარად შეზღუდოს თქვენი თავისუფლება სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე.

## ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიქინგი)

ბოლო პერიოდში, კრიმინალურ ბიზნესს კიდევ ერთი სარფიანი სფერო – ადამიანით ვაჭრობა დაემატა და ადამიანი ყიდვა-გაყიდვის ობიექტად იქცა. კაცობრიობის განვითარებასთან ერთად, ვითარდება ტრეფიკინგიც. იზრდება მისი მასშტაბები, სისასტიკე და მოთხოვნილებები. ეს იმითა გამოწვეული, რომ იგი ყველაზე დიდი არალეგალური ბიზნესია იარაღითა და ნარკოტიკებით ვაჭრობის შემდეგ. ადამიანით ვაჭრობა, დიდი ხანია, გასცდა ქვეყნის ფარგლებს და მან საერთაშორისო ხასიათი მიიღო. არალეგალური მიგრანტების გადაყვანა და ექსპლუატაცია გლობალური ბიზნესი გახდა, რომელსაც უდიდესი შემოსავალი მოაქვს. აღნიშნულ სფეროში მოღვაწე კრიმინალური სექტორის მოგება, მსოფლიოს მასშტაბით, 5-დან 7 მილიარდ დოლარამდე აღწევს წელიწადში. სულ უფრო მეტი დანაშაულებრივი გაერთიანება გადადის ნარკოტიკებით ვაჭრობიდან ადამიანებით ვაჭრობაზე იმ მიზეზით, რომ შემოსავალიანობა იზრდება, რისები კი მცირდება. როგორც წესი, ადამიანების ექსპლუატაცია ხანგრძლივი ხასიათისაა. ღარიბ ქვეყნებს არ შეუძლიათ ათ აკონტროლონ დემოგრაფიული პროცესები, რაც შემდგომში დაკავშირებულია მასობრივ ემიგრაციასთან, რასაც იწვევს ეკონომიკური და ყოფითი პრობლემები. სწორედ ამის შედეგია თანამედროვე ბაზრის “მონებით” გავერება. ასე რომ, ადამიანებით ვაჭრობამ, ფართო გავრცელება პპოვა და იგი ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი საქმიანობის დინამიურად განვითარებადი, მაღალ შემოსავლიანი საქმიანობის სახეობად იქცა.

ადამიანის ყიდვა შეიძლება მოხდეს ფულის გადახდით, რამე ნივთში გაცვლით ანდა ვალის სანაცვლოდ. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ექვემდებარება როგორც მყიდველი, ისე გამყიდველი.

## რა არის ტრეფიქინგი?

მონობის თანამედროვე ფორმა, რომელიც გამოიხატება ადამიანების მიმართ ექსპლუატაციით.

## რას არის ექსპლუატაცია?

პირის გამოყენება იძულებით შრომისთვის ან მომსახურებისათვის, მისი და-ნაშაულებრივ ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ან პროსტიტუციაში ჩაბმა, მონობის მსგავს მდგომარეობაში ან მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენება, სე-ქსუალური ექსპლუატაცია ან სხვა სახის მომსახურების გაწევის იძულება, აგრეთვე პირის გამოყენება სხეულის ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვისათვის, ანდა სხვა მიზნით.

## ვინ არის ტრეფიკინგის მსხვერპლი?

პირი, რომელსაც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის შედეგად მი-ადგა მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი და რომელიც საქართველოს კანონ-მდებლობით დადგენილი წესით, მიჩნეულია ტრეფიკინგის მსხვერპლად.

## ვინ არის დაზარალებული?

პირი, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1431 (ადამიანით ვაჭრობა) და 1432 (რასრულნლოვნით ვაჭრობა) მუხლებით გათვალისწინებულ და-ნაშაულში ცნობილია დაზარალებულად.

## რას ნიშავს შანტაჟი?

პირის იძულება შეასრულოს ან არ შეასრულოს რაიმე მოქმედება მისთვის ან მისი ახლობლებისთვის სახელის გამტები, ან სხვა საზიანო ცნობების გახმაურების მუქარით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1431, 1432, 1433 მუხლები, მოი-ცავს საკითხებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), არასრულნლოვნით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის (დაზარალებუ-ლის) მომსახურებით სარგებლობის შესახებ.

ამ ნორმების შესამაბისად, აღნერილი დანაშაულებისთვის, სასჯელის მინი-მალურ ზომად დაწესებულია შეიდი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო მაქსიმალურ ზომად – უვადი თავისუფლების აღკვეთა. ეს უკანასკნელი გათვალ-ისწინებულია იმ შემთხვევაში, თუ არასრულნლოვნით ვაჭრობა ჩადენილია ორგანი-ზებული ჯგუფის მიერ, ან ტრეფიკინგმა გამოიწვია არასრულნლოვნის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი.

ტრეფიკინგის დანაშაული სხვადასხვა ეტაპებისგან შედგება, კერძოდ:

- **პირის გადაბირება** – მოტყუებით ან ძალისმიერი გზით;
- **გადაყვანა** – კანონიერად ან უკანონოდ, საზღვრების გადაკვეთა ან ქვეყნის ფარგლებში გადაადგილება;
- **ექსპლუატაცია** – ადამიანების მოვაჭრის მიერ, მსხვერპლის გამოყენება ან გაყიდვა მატერიალური სარგებლის მიზნით.

2006 წლის 28 აპრილს მიიღეს კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, რომლის ძირითადი მიზნებია:

- დაიცვას ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა უფლებები და ამ გზით თავიდან იქნას აცილებული ადამიანით ვაჭრობა;

- დაიცვას ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი, გაუწიოს დახმარება და მოახდინოს მათი რეაბილიტაცია;
- განსაზღვროს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხვა სტრუქტურების თანამშრომლობის პრინციპები, რათა თავიდან იქნას აცილებული ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი).

როგორც ხედავთ, გარდა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობისა, ტრეფიკინგის მსხვერპლს იცავს ასევე აღნიშნული კანონი, რომლითაც განსაზღვრულია სახელმწიფო ორგანოების კომპეტენცია და მექანიზმები, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილების სფეროში. აღნიშნული კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე შეიქმნა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვასა და დახმარების სახელმწიფო ფონდი. ფონდის მიზანია, მსხვერპლთა და დაზარალებულთა დაცვა, დახმარება და რეაბილიტაცია. ამ მიზნის განსახორციელებლად, ფონდი ვალდებულია:

- დაიცვას მსხვერპლთა და დაზარალებულთა კანონიერი ინტერესები;
- მოახდინოს დაზარალებულთა და მსხვერპლთა თავშესაფრით უზრუნველყოფა;
- გაუწიოს იურიდიული დახმარება;
- გაუწიოს ფსიქოლოგიური და სამედიცინო დახმარება;
- ხელი შეუწყოს დაზარალებულთა და მსხვერპლთა რეაბილიტაციას ოჯახსა და საზოგადოებაში.

აღნიშნულ ვალდებულებათა განსახორციელებლად ფონდთან შეიქმნა ორი თავშესაფარი, რომლის მომსახურებით სარგებლობა შეუძლიათ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლსა და დაზარალებულებს. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თავშესაფარში მოთავსება ხდება მხოლოდ მსხვერპლის ან დაზარალებულის თანხმობით, სადაც ცხოვრების ხანგრძლივობა განსაზღვრულია 3 თვეს ვადით.

აღნიშნული ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს საჭიროებისდა მიხედვით თავშესაფრის ადმინისტრატორის მიერ. რაც შეეხება თავშესაფრის დატოვებას, ესეც მსხვერპლის ან დაზარალებულის სურვილის მიხედვით ხდება.

#### **თავშესაფარში მსხვერპლთა და დაზარალებულთათვის უზრუნველყოფილია:**

- უსაფრთხო საცხოვრებელი ადგილი;
- საკვები და ტანსაცმელი;
- ფსიქოლოგიური კონსულტაცია;
- იურიდიული დახმარება;
- ინფორმაციის მიღება გასაგებ ენაზე;
- ოჯახსა და საზოგადოებაში, რეაბილიტაციისა და ინტეგრაციისთვის, მოკლევა-დიან პროგრამებში მონაწილეობა.

ეკონომიკური და ყოფითი პრობლემების გადასაჭრელად ქალები ხშირად იძულებულები არიან, დატოვონ სამშობლო და მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად დათანხმდნენ გარკვეული სამუშაოს შესრულებას (ოჯახში მოხუცის მომვლელად, მოსამსახურედ ან ჩვილის ძირად მუშაობას და ა.შ.). სამწუხაროდ, სწორედ ასეთ დროს, ადამიანი ხშირად რჩება მოტყუებული და ტრეფიკინგის მსხვერპლი. ტრეფიკინგი ის დანაშაულია, რომელიც მსხვერპლს აყენებს დიდ სულიერ

ფიზიკურ ზიანს. ხშირად, სამედიცინო ჩარევის შემთხვევაშიც კი, ვერ ხერხდება მსხვერპლის ფიზიკური და სულიერი ჯანმრთელობის აღდგენა. იმისთვის, რომ მსგავს დანაშაულებზე მოახდინოთ დროული და ადექვატური რეაგირება, საჭიროა იცოდეთ იმ სამართლებრივი საშუალებების გამოყენება, რაც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით.

ამიტომ, თუ თქვენ გახდით ტრეფიკინგის მსხვერპლი, იცოდეთ რომ:

- ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის სტატუსის მინიჭების საკითხს საკონფრინაციო საბჭოსთან შექმნილი მუდმივმოქმედი ჯგუფი წყვეტს. მსხვერპლის სტატუსის მინიჭების შესახებ ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების ან სხვა შესაბამის დაწესებულებას (თავშესაფარს) მიმართავს კონკრეტული პირი. ჯგუფი, გადაწყვეტილებას იღებს არა უვაკანეს 48 საათისა;
- იმ შემთხვევაში, თუ ტრეფიკინგის დანაშაულის შედეგად დაზარალებულ პირს მიერიჭება მსხვერპლის სტატუსი, მას აქვს უფლება, მიმართოს ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებას (თავშესაფარს);
- ტრეფიკინგის მსხვერპლს უფლება აქვს ისარგებლოს მოსაფიქრებელი ვადით – არანაკლებ 30 დღისა. ეს პერიოდი პირს ჭირდება იმისთვის, რომ მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება ითანამშრომლოს თუ არა სამართალდამცავ ორგანოებთან;
- ალნიშნული ვადის ათვლა იწყება სწორედ იმ დღიდან, რაც პირი მიმართავს ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებას, სამართალდამცავ ორგანოს, ან სხვა შესაბამის დაწესებულებას;
- ტრეფიკინგის მსხვერპლი მხოლოდ მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში თავისუფლდება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან მისცეს ჩვენება, როგორც მოწმემ ან დაზარალებულმა;
- ტრეფიკინგის მსხვერპლთა და დაზარალებულთა სამართლებრივი დაცვა გარანტირებულია კანონით;
- ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა და მოწმეთა ვინაობა, მისამართები და სხვა პირადი ინფორმაცია საიდუმლოა და მისი გამულავება აკრძალულია, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
- ტრეფიკინგის მსხვერპლისა და დაზარალებულის პასუხისმგებლობისგან გათვალისწინების საკითხი დადგენილია კანონით. კერძოდ, თუ ტრეფიკინგის მსხვერპლად ან დაზარალებულად ყოფნის გამო: ა) უკანონოდ გადაკვეთეთ სახელმწიფო საზღვარი; ბ) დამზადეთ, გაასაღეთ ან გამოიყენეთ ყალბი დოკუმენტი, ბეჭედი, შტამპი ან ბლანკი; გ) ენეოდით პროსტიტუციას; დ) საქართველოში ცხოვრობდით საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისთვის დაფენილი წესების დარღვევით;
- ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლს უფლება აქვს მოითხოვოს დანაშაულის შედეგად მიყენებული მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანის ანაზღაურება; იმ შემთხვევაში, თუ ეს შეუძლებელია, მაშინ მასზე ფონდიდან გაიცემა კომპენსაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- სახელმწიფო ვალდებულია, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის თანხმობით მისი მოთავსება მოახდინოს ლირსეული არსებობისთვის შესაფერ, უსაფრთხო საცხოვრებელში;
- დაუშვებელია დაზარალებულის მოთავსება დაკავების ადგილების, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, გარდა კანონით დადგენილი

- გამონაკლისებისა და იმ შემთხვევებისა, როდესაც შესაძლებელია დაზარალებულის განცალკევებით მოთავსება;
- ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის მომსახურების დაწესებულება (თავშესაფარი) ვალდებულია, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლს, - გაუწიოს სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარება, უფასო იურიდიული კონსულტაცია და დახმარება.

აღნიშნული კანონის თანახმად, განსახვავებული რეჟიმია დადგენილი არასრულნლოვანი მსხვერპლთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში, თუ მსხვერპლი არის არასრულნლოვანი, ანუ პირი, რომელსაც ჯერ არ შესრულებია 18 წელი.

„ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ნინააღმდეგ პრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად:

- ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარებისა და რეაბილიტაციის განხორციელებისას, ყველა ის დაწესებულება, რომელიც ეწევა მსხვერპლთა მომსახურებას, ვალდებულია გაითვალისწინოს მსხვერპლის ასაკი, სქესი და სპეციალური მოთხოვნები;
- განსაკუთრებით დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს ბავშვებს, რომლებიც უზრუნველყოლნი უნდა იყვნენ შესაბამისი საცხოვრებელი პირობებითა და განათლებით. შესაბამისად, გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვთა სპეციალური მოთხოვნები;
- იმ შემთხვევაში, თუ ტრეფიკინგის მსხვერპლის ასაკი არ არის დადგენილი და ივრაუდება, რომ არის არასრულნლოვანი, მაშინ იგი ჩაითვლება არასრულნლოვნად. აღნიშნული მსხვერპლის მიმართ, განხორციელდება სპეციალური დაცვის ღონისძიებები იქამდე, სანამ არ დადგინდება მისი ზუსტი ასაკი;
- მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოში შექმნილია ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის შესაბამისი საშუალებები, აუცილებელია, ყველა ადამიანი მოიქცეს ყურადღებით და კარგად დაფიქრდეს, ვიდრე საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს. საზღვარგარეთ წასვლა არ ნიშნავს იმას, რომ თქვენი ეკონომიკური და ყოფითი პრობლემები აუცილებლად მოვარდდება და მშვიდობით დაპრუნდებით სამშობლოში.

**გახსოვდეთ, რომ თქვენმა დაუფიქრებელმა გადაწყვეტილებამ შეიძლება მძიმე და ფატალური შედეგები გამოიწვიოს.**

თუ საზღვარგარეთ წასვლას აპირებთ, სიფრთხილე გამოიჩინეთ და დაიცავით თქვენი უსაფრთხოების მინიმალური ზომები:

- არ ენდოთ ნებისმიერ ტურისტულ და დასაქმების სააგენტოს, რომელიც უცხოეთში მუშაობას გთავაზობთ;
- არ გადასცეთ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები (პირადობის მოწმობა, პასპორტი) არავის;
- არ მოაწეროთ ხელი კონტრაქტს, იურისტთან კონსულტაციის გარეშე;
- თუ აღმოჩნდით საეჭვო ვითარებაში, როდესაც ყველაფერი ჯერ კიდევ დასრულებული არ არის, დაუყოვნებლივ დაუკავშირდით იურისტს და გაიარეთ კონსულტაცია!

## სასამართლო პრაქტიკა

2012 წლის 18 სექტემბერს საქართველოს უზენაშამა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე, სადაც პირი დამნაშავედ ცნეს საქართველოს სსკ-ის 1431-ე მუხლის<sup>1</sup> მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

აღნიშნულ საქმეზე პირს (თ.ს) მსჯავრი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა ორგანიზებული ჯგუფის მიერ ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიინგი) ე.ი. ექსპლოატაციის მიზნით ადამიანის მოტყუებით გადაბირება და მიღება, ასევე - მის მიმართ უკანონო გარიგების განხორციელება.

თ. ს-ს ძრალი ედებოდა აგრეთვე იმაში, რომ ჩაიდინა იძულება, ადამიანისათვის ქმედების თავისუფლების უკანონო შეზღუდვა, ე.ი. მისი ფიზიკური იძულება, შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელებაც წარმოადგენს მის უფლებას და საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის სანინაალმდევო ზემოქმედება.

ორგანიზებული ჯგუფის წევრმა ერთ-ერთმა მოქალაქემ მეუღლესთან შეთანხმებით, რომელიც არის თურქეთის მოქალაქე პირობით, 2011 წლის 26 ივნისს ჩაის ფაბრიკაში სამუშაოდ მოტყუებით ჩამოიყანა ქალი. მას თვეში 800 აშშ დოლარის ანაზღაურებას პირდებოდნენ, თუმცა იგი სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით იძულებით ჩააძეს პროსტიტუციაში. მას ჩამოართვეს პასპორტი, ტელეფონი და სიმბარათი. ასევე შეუზღუდეს თავისუფალი გადაადგილების საშუალება და იგი იყო მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ. წინააღმდეგობის განევის შემთხვევაში, მას აყენებდნენ ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას.

ორგანიზებული ჯგუფის წევრები ორი თვის განმავლობაში მუქარით აიძულებდნენ თურქული ბარის და სასტუმროს კლიენტებისათვის გაეწია სექსუალური მომსახურება, რის საფასურსაც მთლიანად იღებდა ზემოაღნიშნული ქალბატონი.

<sup>1</sup> სისხლის სამართლის კოდექსის 1431-ე მუხლი. ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიინგი). 1) ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე მუქარით, ძალადობით ან იძულების სხვა ფორმით, მოტაცებით, შანტაჟით, თალღითობით, მოტყუებით, უმწერ მდგომარეობის ან ძალაუფლების პოროტად გამოყენებით, საზღაურის ანდა სრგებლის მიცემის ან მიღების გზით იმ პირის თანხმობის მისაღწევად, რომელსაც სხვა პირზე შეგვლენის მოხდენა შეუძლოა, ადამიანის გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა, დაქრივება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შევარება ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შეიღილნ თორმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ერთი წლის ვადით. 2) იგივე ქმედება, ჩადენილია: ა) დანამცვისათვის წინასწარი შეცნობით ორსულ ქალის მიართ; ბ) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით უმწერ მდგომარეობაში მყოფის ან დამნაშავეზე მატერიალურად ანდა სხვაგვარად დამოკიდებულის მიმართ; გ) სამსახურებრივი მდგრომარეობის გამოყენებით, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ცხრიდან თოთხმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ორი წლის ვადით. 3) იგივე ქმედება, ჩადენილია: ა) არაერთგზის; ბ) ორი ან მეტი პირის მიმართ; გ) დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით; დ) სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების შუქარით, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თორმეტიდან თხუთმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით სამი წლის ვადით. 4) ამ ძალის პირველი, მე-2 ან მე-3 წანილით გათვალისწინებული ქმედება: ა) ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ; ბ) რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თხუთმეტიდან ოც წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით სამი წლის ვადით.

მას სთხოვდნენ, რომ გამოემუშავებინა თანხა, რათა დაეპრუნებინა არარსებული ვალი 7000 აშშ დოლარი.

სასამართლომ გაითვალისწინა, რომ მსჯავრდებულმა აღიარა და გულწრფელად მოინანია ჩადენილი დანაშაული. შედეგად ამ საქმეზე დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება პროკურორსა და მსჯავრდებულს შორის. პირი (თ.ს) ცნობილი იქნა დამნაშავედ და მიესავა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

## დანაშაული ოჯახისა და არასრულწლოვნის ნინებალებები

ბოლო წლებში, საქართველოში დაინერგა არაერთი საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც ოჯახური დანაშაულისათვის გარკვეულ მკაფიო მიდგომებს აწესებს. ამ სახის ცვლილებები განაპირობა არსებულმა ვითარებამ და საჭიროებამ. სახელმწიფოს მდგრომა ამ მხრივ პოზიტიურად უნდა მივიჩნიოთ, რათა შესაძლოა, ასეთმა დამოკიდებულებამ ამგვარი დანაშაულების პრევენციი მოახდინოს.

ბაჟუხისმგებლობა იჯახური დანაშაულისათვის უფრო გამკაცრდა. სისხლის სამართლის კოდექსში დადგენილია თუ რას ნიშნავს ოჯახური დანაშაული, რომელიც ასე განიმარტება: ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ სხვადასხვა სახის დანაშაულის<sup>1</sup> ჩადენა. მაგალითად, ასეთია – განზრას მკვლელობა, განზრას მკვლელობა დამამდიმებელ გარემოებაში, თვითმკვლელობამდე მიყვანა, ჯანმრთელობის განზრას მძიმე დაზიანება, ჯანმრთელობის განზრას ნაკლებად მძიმე დაზიანება, ჯანმრთელობის განზრას მსუბუქი დაზიანება, ძალადობა, ოჯახში ძალადობა, გაუპატიურება, გარყვნილი ქმედება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა და სხვა.

უფრო მეტიც, 2012 წელს სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა ცვლილება<sup>2</sup>, რითაც ოჯახში ძალადობის კრიმინალიზაცია მოხდა. ამრიგად, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლობრივი მრომით ვადით თომოციდან ას ორმოცდაათ საათამდე. 2. იგივე ქმედება, ჩადენილი: ა) წინასწარი შეცნობით ორსული ქალის, არასრულწლოვნის ან უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის მიმართ; ბ) არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ; გ) ორი ან მეტი პირის მიმართ; დ) პირთა ჯგუფის მიერ; ე) არაერთგზის, – ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლობრივი მრომით ვადით ასიდან ორს საათამდე, თავისუფლების შეზღუდვით ვადით ერთ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე. შენიშვნა: ამ მუხლის მიზნებისათვის ოჯახის წევრად ითვლება: მეუღლე, დედა, მამა, პაპა, ბებია, შვილი (გერი), შვილობილი, მშვილებელი, მშვილებლის მეუღლე, ნაშვილები, მიმღები ოჯახი (დედობილი, მამობილი), მეურვე, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობლები, სიძე, რძალი, ყოფილი მეუღლე, აგრეთვე პირები, რომლებიც ეწვევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას.

<sup>1</sup> სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე, 109-ე, 115-ე, 117-ე, 118-ე, 120-ე, 126-ე, 1261-ე, 137-ე, 141-ე, 143-ე, 144-ე, 1443-ე, 149-ე, 151-ე, 160-ე, 171-ე, 253-ე, 255-ე, 2551-ე, 3811-ე, 3812 -ე მუხლები.

<sup>2</sup> სისხლის სამართლის კოდექსის 1261-ე მუხლი. ოჯახში ძალადობა. 1. ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, რამაც გამოიწვია ფინიური ტეკილი ან ტანჯვა და რასაც არ მოჰყოლია ამ კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გადით ოთხმოციდან ას ორმოცდაათ საათამდე. 2. იგივე ქმედება, ჩადენილი: ა) წინასწარი შეცნობით ორსული ქალის, არასრულწლოვნის ან უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის მიმართ; ბ) არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ; გ) ორი ან მეტი პირის მიმართ; დ) პირთა ჯგუფის მიერ; ე) არაერთგზის, – ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლობრივი მრომით ვადით ასიდან ორს საათამდე, თავისუფლების შეზღუდვით ვადით ერთ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე. შენიშვნა: ამ მუხლის მიზნებისათვის ოჯახის წევრად ითვლება: მეუღლე, დედა, მამა, პაპა, ბებია, შვილი (გერი), შვილობილი, მშვილებელი, მშვილებლის მეუღლე, ნაშვილები, მიმღები ოჯახი (დედობილი, მამობილი), მეურვე, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობლები, სიძე, რძალი, ყოფილი მეუღლე, აგრეთვე პირები, რომლებიც ეწვევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას.

მნიშვნელოვანია, რომ ასეთმა ქმედებამ არ უნდა გამოიწვიოს:

- ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება;
- ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება.

აღნიშნული პირობების არარსებობის შემთხვევაში, დანაშაულის კვალიფიკაცია მოხდება სხვაგვარად.

გარდა ამისა, კანონი უფრო მკაცრად უდგება იმ დამნაშავეებს, რომლებმაც ასეთი დანაშაული ჩაიდინეს:

- წინასწარი შეცნობით ორსული ქალის, არასრულწლოვნის ან უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის მიმართ;
- არასრულწლოვნის თანდასნრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ;
- ორი ან მეტი პირის მიმართ;
- პირთა ჯგუფის მიერ;
- არაერთგზის.

### ვინ არის ოჯახის წევრი?

სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით – მეუღლე, დედა, მამა, პაპა, ბებია, შვილი (გერი), შვილობლი, მშვილებელი, მშვილებლის მეუღლე, ნაშვილები, მომლები ოჯახი (დედობილი, მამობილი), მეურვე, შვილმვილი, და, ძმა, მეუღლის მშობლები, სიძე, რძალი, ყოფილი მეუღლე, აგრეთვე პირები, რომლებიც იწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას.

გარდა ამისა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1721-ე მუხლის<sup>1</sup> თანახმად, შვილად აყვანის მიზნით ფეხმძიმე ქალების წინასწარი შერჩევა და მშობიარობისთვის საქართველოს ფარგლებს გარეთ გაყვანის შესაძლებლობის შექმნა და ასეთ გაშვილებაში ხელის შეწყობა ისჯება. ამისთვის, სასჯელის მინიმალურ ზომად დაწესებულია სამი წლით, ხოლო მაქსიმალურ ზომად – ცხრა წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა.

აღნიშნული დანაშაული საზოგადოებისთვის განსაკუთრებით საშიშია, რომელიც გამოიხატება შემდეგ ქმედებებში:

- ფეხმძიმე ქალების წინასწარი შერჩევა და მშობიარობისთვის საქართველოს ფარგლებს გარეთ გაყვანის შესაძლებლობის შექმნა;
- ასეთ გაშვილებაში ხელშეწყობა.

ამ ორი ქმედებიდან ერთ-ერთის ჩადენა საკმარისია იმისთვის, რომ დანაშაული დამთავრებულად ჩაითვალოს. სწორედ ამიტომ, მნიშვნელობა არ აქვს, რეალურად მოხდა თუ არა ბავშვის გაშვილება საზღვარგარეთ.

<sup>1</sup> სისხლის სამართლის კოდექსის 172 1-ე მუხლი. შვილად აყვანის მიზნით ფეხმძიმე ქალების წინასწარი შერჩევა და მშობიარობისათვის აქართველოს ფარგლებს გარეთ გაყვანის შესაძლებლობის შექმნა ან ასეთ გაშვილებაში ხელის შეწყობა. 1. შვილად აყვანის მიზნით ფეხმძიმე ქალების წინასწარი შერჩევა და მშობიარობისათვის საქართველოს ფარგლებს გარეთ გაყვანის შესაძლებლობის შექმნა ან ასეთ გაშვილებაში ხელის შეწყობა, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან შეიდე წლამდე. 2. იგივე ქმედება, ჩადენილი არაერთგზის ან პირთა ჯგუფის მიერ, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან ცხრა წლამდე.

## **რას გულისხმობს ორსული ქალების შერჩევა?**

ქალების გამოძებნას, მათთან მოლაპარაკებას და გადმობირებას (მაგალითად, ფულის დაპირებით) და ა.შ.

## **რას გულისხმობს საზღვარგარეთ გაყვანისთვის შესაძლებლობების შეჯმნა?**

ეს შესაძლოა, იყოს სათანადო (შესაძლოა, ყალბი) დოკუმენტაციის გაფორმება იმისთვის, რომ მოხდეს ქალების საზღვარგარეთ გაყვანა.

ამასთან, მნიშვნელობა არა აქვთ, ორსული ქალები საქართველოს მოქალაქები არიან, მოქალაქების არმქონები პირები თუ უცხოელები, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ საქართველოში. ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია ის, რომ ორსული ქალების შერჩევა და საქართველოდან გაყვანისთვის შექმნის სათანადო შესაძლებლობა მოხდეს საქართველოს ტერიტორიაზე.

### **პროსტიტუციაში ჩაბმა და პროსტიტუციისთვის ადგილის ან საცხოვრებლის გადაცემა**

პროსტიტუცია, ლათინური სიტყვების „პრო“ და „სტატუერე“-ს შერწყმიდან მომდინარეობს და „ნინ ნამონევას“, „საჩვენებლად გამოტანას“ ნიშნავს. საქართველოს ისტორიოგრაფიასა და მწერლობაში, „სიძვის დიაც“ პირველად ნახსენებია მე-10 საუკუნის თხზულებაში „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“. საქართველოში, პირველი სამედავო სახლების გახსნა, ლაშა-გიორგის მეფობის პერიოდს უკავშირდება. მე-16 საუკუნიდან ქვეყნის სათავადოებად და სამთავროებად დაყოფის შემდეგ, აღმოსავლეთში გავრცელებულმა ქალისადმი უტილიტარულმა დამოკიდებულებამ, საქართველოშიც ფართოდ მოიკიდ ფეხი. მე-17 საუკუნეში, თბილისში გაჩინდ პირველი ბორდელები. საარქივო მასალების მიხედვით, ერთ-ერთი ბორდელი მდებარეობდა ახლანდელი ცირკის ტერიტორიაზე, დანარჩენები კი – ქარვასლის მიდამოებში, სიონის საკათედრო ტაძრის მახლობლად, ასევე ფიქრის გორაზე. მე-19 საუკუნეში თბილისში გახსნა პირველი ლეგალური ბორდელები. იმდროინდელი წყაროების თანახმად, მეძაგვი, გადიოდნენ სპეციალურ სამეცინო შემოწმებას, მომზადებას კლიენტთან ურთიერთობაში, სწავლობდნენ ქართულ და უცხოურ ლიტერატურას, ცეკვას, მუსიკას და ა.შ. მათ, საგანგებოდ შეიარაღებული დაცვა იცავდა. ყურადსალებია ის ფაქტი, რომ ზემოაღნიშნული საროსკიპოები იძეგრებოდა და კლიენტები საფასურს სალაროში იხდიდნენ.

50-60-იან წლებში, პროსტიტუციის ღია ფორმები ფეხს საქართველოშიც იყიდებდა. თბილისში, პავლოვის ქუჩაზე, კარლ მარქსის მოედანზე, რკინიგზის სადგურისა და ცირკის მიმდებარე ტერიტორიაზე, ისევე როგორც დღეს, მუდმივად იკრიბებოდნენ მეძაგვები. ბინებსა და სასტუმროებში კი ე.წ. „მაღალი დონის პროფესიონალები“ მუშაობდნენ.

80-იანი წლების ბოლოსთვის, ქალის სხეულით ვაჭრობა მომგებიან საქმედ იქცა და სამართლდამცავი ორგანოების მხრიდან, კონტროლს დაექვემდებარ. თუმცა, რიგ შემთხვევებში, როგორი აღმოჩნდა ამ პრობლემისთან გამკლავება. პროსტიტუცია მაღალშემოსავლიან და პრაქტიკულად უსაფრთხო ბიზნესად იქცა, ვინაიდან თანამედროვე კანონმდებლობა მასზე პასუხისმგებლობას არ ითვალისწინებს. იგი მხოლოდ უმნიშვნელო ჯარიმების დაკისრებით იფარგლება.

ევროპაში, ფართო გავრცელების მიუხედავად, პროსტიტუციისადმი დამო-

კიდებულება შუა საუკუნეებში თანდათან გამკაცრდა. მკვლევარების აზრით, ეს განპირობებული იყო საშიში ვენერიული დაავადებების გავრცელებით (მაგალითად, სიფილისი).

სექს-ბიზნესს, როგორც ინდუსტრიას, თავისი წესები და მოთხოვნები აქვს და იგი დაკავშირებულია სხვადასხვა სოციალურ პროცესთან. პროსტიტუციის სფეროში საქმიანობა შეიძლება იყოს როგორც „ორგანიზებული“, ასევე – „არაორგანიზებული“. „ზოგიერთ ქვეყანაში პროსტიტუცია კანონით არის აკრძალული, ზოგან კი – ლეგალიზებულია. იმ ქვეყნებში, სადაც პროსტიტუცია ლეგალიზებულია, მეძავი ვალდებულია, ისადოს კანონით დადგენილი გადასახადები, შეასრულოს კანონით დადგენილი სხვა მოთხოვნები (მაგალითად, ქურის მეძავობის შემთხვევაში, დადგეს მხოლოდ იმ განსაზღვრულ ტერიტორიაზე, რომელიც განკუთვნილია ამგვარი საქმიანობის განსახორციელებლად). სახელმწიფო კი, თავის მხრივ, ზრუნავს მეძავთა უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობაზე.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 253-ე მუხლის<sup>1</sup> თანახმად, პროსტიტუციაში ჩაბმა ისჯება თავისუფლების აღკვეთით სუთიდან შეიძლება ნლამდე ვადით. ხოლო, 254-ე მუხლის თანახმად, პროსტიტუციისათვის საცხოვრებელი ადგილის გადაცემა, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ორიდან ოთხ ნლამდე ვადით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა, პროსტიტუციას არ კრძალავს, თუმცა, პასუხისმგებლობას ანესებს პროსტიტუციაში ჩაბმისთვის, აგრეთვე პროსტიტუციისათვის ადგილის ან საცხოვრებლის გადაცემისათვის.

## რას ნიშნავს პროსტიტუციაში ჩაბმა?

ეს არის ადამიანის იძულება, რომ ივაჭროს სხეულით, მისი სურვილის საწინააღმდეგოდ.

პროსტიტუციაში ჩაბმა ძალადობით შეიძლება განხორციელდეს ადამიანის ორგანიზმები ფაზიური ზემოქმედებით – ცემა, ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება, თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა და სხვა. პროსტიტუციაში ჩაბმა, ძალადობის ან ქონების განადგურების მუქარით გულისხმობს მსხვერპლზე ფსიქიურ ზემოქმედებას, დაშინებას, რომ გამოყენებული იქნება ფიზიკური ძალადობა მის მიმართ, ახლობლის მიმართ ან განადგურებული იქნება მათი ქონება. პროსტიტუციაში ჩაბმისას, დამანაშავემ, შესაძლოა დაამატავოს პირი, რომ გაახმაურებს სახელის გამტებ ცნობებს მის შესახებ. თუმცა, ასევე შესაძლოა, გაახმაუროს ისეთი ინფორმაცია და ცნობები, რომელიც ზიანს მიაყენებს არა მხოლოდ დაზარალებულს, ასევე მის ახლო ნათესავებსაც. რაც შეეხება პროსტიტუციაში მოტყუებით ჩაბმას, ასეთ დროს, იგულისხმება მსხვერპლის შეცდომაში შეყვანა. ასეთ შემთხვევაში, შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს ისეთ ფაქტს, როდესაც მსხვერპლს მიიღებენ სხვა თანამდებობაზე (მაგალითად: ოფიციანტი, ოფისის მენეჯერი, ფოტომოდელი და სხვა), თუმცა მისი გამოყენება მოხდება მეძავედ. ამგვარ სიტუაციებში, ხშირად ვარდებიან ტრეფიკინგის მსხვერპლი.

პროსტიტუციის ადგილად შესაძლოა გამოყენებული იქნას სხვადასხვა შე-

<sup>1</sup> სისხლის სამართლის კოდექსის 253-ე მუხლი. პროსტიტუციაში ჩაბმა. 1) პროსტიტუციაში ჩაბმა ძალადობით, ძალადობის ან ქონების განადგურების მუქარით, შანტაჟით ან მოტყუებით, – ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ ნლამდე. 2) იგივე ქმედება, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ ან წინასწარი შეცნობით არასრულნლოვნის მიმართ, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან შეიძლება ნლამდე.

ნობა, ნაგებობა, სადგომი, საცავი. პროსტიტუციისათვის, ჩვეულებრივ, იყენებენ საცხოვრებელ ბინებს, სამსახურებრივ შენობებს, ღამის გასართობ დაწესებულებებს, კაზინოებს, სასტუმროებს და ა.შ. მეძავთან სქესობრივი კავშირისთვის ადგილის ან საცხოვრებლის გადაცემა ისჯება სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით.

## სასამართლო პრაქტიკა

2010 წლის 24 მარტს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება საქმეზე, სადაც პირი დამნაშავედ იყო ცნობილი ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ იმაში, რომ ჩაიდინა პროსტიტუციისათვის საცხოვრებლის გადაცემა.

2005 წელს, ქუთაისში მცხოვრებმა ქალმა ანგარების მიზნით განიზრახა, თავის მფლობელობაში არსებული 77,20 კვ.მ. საცხოვრებელი ბინა პროსტიტუციისათვის გადაეცა მეძავი ქალებისათვის. საამისოდ იგი დაუკავშირდა ნაცნობს და დაუდგენელ ორ პირს. შეთანხმდნენ, რომ ეს უკანასკნელი უზრუნველყოფნენ მეძავი ქალების საქმიანობის ორგანიზებას და ამ გზით მიღებული შემოსავლის გადაცემას ბინის მფლობელისათვის.

საცხოვრებელი ფართი შესაბამისი პირობების შექმნის შემდეგ, მფლობელმა პროსტიტუციისათვის გადასცა მეძავებს, რომლებიც შეუდგნენ სექსუალური მომსახურების განევას სხვადასხვა პირებისათვის. საცხოვრებელ ფართში მისული კლიენტი სექსუალური მომსახურებისათვის იხდიდა 50 ლარს, ხოლო მომსახურების გასაწვად შესაბამისი ოთახის დათმობისათვის – 20-დან 50 ლარამდე, რაც უშუალოდ მფლობელის შემოსავალს ნარმოადგენდა. არაერთი მოწმის ჩვენებით ირკვეოდა, რომ სხეულით ვაჭრობდნენ სასტუმროში მის მეპატრონესთან შეთანხმებით.

აღნიშნულ საქმეზე თავდაპირველად დამნაშავეს მიესავა 3 წლით თავისუფლების აღვეთა. ასევე, სახელმწიფოს სასარგებლოდ, უსასყიდლოდ ჩამოერთვა უძრავი და მოძრავი ქონება. მოგვიანებით კი საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა ქუთაისის სააპელაციო პალატას, რათა გამორკეულიყო მთელი რიგი გარემოებები, რომლებიც უკავშირდება საქმეზე ამოღებულ თანხებს, ოქროულობას და სხვა.

## კატიონ ჩატა უფლებები

ჩვენ საზოგადოებაში ქალს ოჯახის წინაშე მნიშვნელოვანი ვალდებულებები აკისრია, ამიტომაც ქალის დაპატიმრების შედეგად, ოჯახი მძიმე ვითარებაში აღმოჩნდება ხოლმე. იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება მამაკაცის დაპატიმრება, მიუხედავად ეკონომიკური და ყოფითი პრობლემებისა, ქალი განაგრძობს იმ ვალდებულებების შესრულებას, რაც მას აკისრია ოჯახისა და შვილების წინაშე. ქალის დაპატიმრების შემთხვევაში, საკითხი სხვაგვარად და შეიძლება ითქვას, უფრო რთულად არის. მამაკაცისთვის ძნელი ხდება საოჯახო საქმეების გაძლოლა და შვილების აღზრდაზე დამოუკიდებლად ზრუნვა, რასაც ჩვეულებრივ, ქალი ახორციელებს. ამას ართულებს ის გარემოებაც, თუკი მათ მცირენლოვანი შვილები ჰყავთ და დედის მონანილეობა, მათ აღზრდაში, აუცილებელია. დაპატიმრებულ დედას უნდა შეეძლოს შვილებთან კონტაქტის დამყარება, სწორედ ამიტომ, დაკავებული დედების მცირენლოვან შვილებთან ურთიერთობის საკითხი საქართველოს პატიმრობის კოდექსით რეგულირდება, რაზეც უფრო დეტალურად ქვემოთ ვისაუბრობთ.

პატიმრობის კოდექსის თანახმად, საქართველოში, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულება ხორციელდება კანონიერების, პუმანიზმის, დემოკრატიულების, კანონის წინაშე თანასწორობისა და სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპებზე დაყრდნობით. ქალი მსჯავრდებული სასჯელს იხდის ნახევრად ლიატიბის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, სადაც ერთ მსჯავრდებულ ქალზე, საცხოვრებელი ფართობის ნორმა, 3 კვ. მეტრზე ნაკლები არ უნდა იყოს.

## რა არის პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის საფუძვლები?

პატიმრობის აღსრულების საფუძვლებია:

- პატიმრობის შეფარდების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება;
- სასამართლოს მიერ, სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი, რომლითაც პირს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა.

## ვინ არის ბრალდებული?

პირი, რომლის მიმართაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული.

## ვინ არის მსჯავრდებული?

პირი, რომლის მიმართაც გამოტანილია სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი.

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, როგორც წესი, ქალებს განცალკევებით ათავსებენ. პატიმრობის კოდექსის თანახმად, მსჯავრდებულსა და ბრალდებულს უფლება აქვთ:

- უზრუნველყოფილი იყოს საცხოვრებელი სადგომით, კვებით, პირადი ჰიგიენით, ტანსაცმლით, შრომით, შრომისა და პირადი უსაფრთხოებით; სამედიცინო მომსახურებით; ახლო ნათესავებთან შეხვედრით (პაემნით), დამცველთან, საკონსულოსა და სხვა დაპლომატიურ წარმომადგენლებთან (უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის) შეხვედრით; სატელეფონო საუბრებით და მიმოწერით; ამანათებისა და ფულადი გზავნილების მიღება გაგზავნით; უფასო იურიდიული დახმარებით და სამართლებრივი კონსულტაციებით;
- მიიღოს ზოგადი და პროფესიული განათლება;
- მონაწილეობა მიიღოს სპორტულ, კულტურულ, აღმზრდელობით და რელიგიურ ღონისძიებებში;
- მიიღოს ინფორმაცია პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით, ისარგებლოს მხატვრული და სხვა ლიტერატურით;
- ენეოდეს ინდივიდუალურ საქმიანობას და პატიმრობის/ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაციის კონტროლით, იქონიოს ამისთვის საჭირო ინვენტარი;
- შეიტანოს მოთხოვნა, საჩივარი;
- ყოველდღიურად, არანაკლებ 1 საათისა, იმყოფებოდეს სუფთა ჰაერზე (ისარგებლოს გასეირნების უფლებით);
- განსაკუთრებულ, პირად გარემოებებთან დაკავშირებით, დროებით დატოვოს პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება.

### **მსჯავრდებული, დამატებით სარგებლობს:**

- სარეაბილიტაციო პროგრამებით სარგებლობის უფლებით;
- თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ, ხანმოკლე გასვლის უფლებით.

**ქალი მსჯავრდებულის მიერ თავისუფლების აღკვეთის მოხდა გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება, კერძოდ:**

- ქალი მსჯავრდებული სასჯელს იხდის ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.
- 1 ქალ მსჯავრდებულზე საცხოვრებელი ფართობის ნორმა არ უნდა იყოს 3 კვ. მეტრზე ნაკლები.

საჭიროების შემთხვევაში. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ეწყობა სპეციალური განყოფილება ფეხმძიმე ქალებისა და ბავშვებისათვის. დედის შუამ-დგომლობით, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების ნებართვითა და ად-მინისტრაციის თანხმობით, შეიძლება დედისა და 3 წლამდე ბავშვისათვის ერთად ცხოვრების პირობების შექმნა.

ადმინისტრაციის მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე შეუძლია დედას აუკრძალოს არასრულნლოგან შვილებთან ურთიერთობა.

ქალ მსჯავრდებულს უფლება აქვს, 1 თვის განმავლობაში ჰქონდეს 3 ხანმოკლე პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – თვეში 1 დამატებითი ხანმოკლე პაემანი.

ქალ მსჯავრდებულს უფლება აქვს, 1 თვის განმავლობაში საკუთარი ხარჯით ჰქონდეს 5 სატელეფონო საუბარი, თითოეული – არა უმეტეს 15 წუთისა, ხოლო წახალისების ფორმით, საკუთარი ხარჯით – ულიმიტო სატელეფონო საუბარი, თითოეული – არა უმეტეს 15 წუთისა.

ქალ მსჯავრდებულს უფლება აქვს, დამოუკიდებლად გადაადგილდეს ქალთა დაწესებულების ტერიტორიაზე დებულებით დადგენილი წესით.

ქალ მსჯავრდებულს უფლება აქვს, 1 თვის განმავლობაში ჰქონდეს 1 საოჯახო პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – თვეში 1 დამატებითი საოჯახო პაემანი.

ქალ მსჯავრდებულს უფლება აქვს, 10 კალენდარული დღის განმავლობაში ჰქონდეს 1 ვიდეოპარამანი, ხოლო წახალისების ფორმით – თვეში 1 დამატებითი ვიდეოპარამანი.

### **რა უპირატესობა აქვთ პატიმარ ორსულ ქალებს?**

გარდა ზემოთ აღნერილი უფლებებისა, კანონი უპირატესობას ანიჭებს ორსულ ქალებს. კერძოდ, ორსულ ქალებს, მეუძუერ დედებს, არასრულნლოვნებს, ავადმყოფებს, მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, ხანდაზმულებს (ქალებს – 60 წლიდან, მამაკაცებს – 65 წლიდან), უნდა ჰქონდეთ სხვა ბრალდებულებთან/მსჯავრდებულებთან შედარებით გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო პირობები.

**აქვს თუ არა მსჯავრდებულს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლება?**

ფეხმძიმე ქალებსა და 3 წლამდე ბავშვების დედებს უფლება აქვთ, წელიწადში სამჯერ ისარგებლონ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლებით. ხანმოკლე გასვლის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 5 დღეს, რომელშიც შედის მსჯავრდებულის დანიშნულების ადგილამდე მგზავრობის

დროც. ასეთ შემთხვევაში. მსჯავრდებული სასჯელს უნდა იხდიდეს ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში და მის მიმართ არ უნდა მოქმედებდეს დისციპლინური ან ადმინისტრაციული სახდელი.

## როგორია პატიმარი ქალის მიერ პაემნის უფლებით სარგებლობის პროცედურები?

აკრძალულია ბრალდებულისა და მსჯავრდებულის სრული იზოლაცია, მას აქვს პაემნის უფლება.

### საოჯახო პაემნი

საოჯახო პაემნის დროს, ქალ მსჯავრდებულს მისი წერილობითი ოხოვნის საფუძველზე შეიძლება მიეცეს შვილთან, ნაშვილებთან, მეუღლესთან, მშობელთან (მშვილებელთან), დასთან და მმასთან საოჯახო პაემნის უფლება. საოჯახო პაემანი გრძელდება არა უმტკეს 3 საათისა.

საოჯახო პაემნის მოთხოვნის შესახებ ადმინისტრაციას წერილობით უნდა ეცნობოს 5 დღით ადრე. შვილმა, ნაშვილებმა, მეუღლემ, მშობელმა (მშვილებელმა), დამ ან მმამ ადმინისტრაციას უნდა წარუდგინოს ნათესაობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ადმინისტრაცია საოჯახო პაემნის მოთხოვნის შესახებ განცხადების მიღებიდან არა უგვიანეს 5 დღისა. უზრუნველყოფს საოჯახო პაემნის ორგანიზებას გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს უარის თქმის მოტივირებული საფუძველი, რომლის თაობაზედაც განმცხადებელს იმავე დღეს უნდა ეცნობოს.

საოჯახო პაემნის უფლების მიცემაზე თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორის თანხმობა ან მოტივირებული უარი მსჯავრდებულს წერილობით უნდა ეცნობოს.

საოჯახო პაემნისათვის სპეციალურად გამოყოფილი ოთახის პირობები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სანიტარიულ-ჰიგიენურ ნორმებს და არ უნდა ლაბავდეს ადამიანის ლირსებას.

სანიმუშო ყოფაქცევისა და საქმიანობისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებს შემთხვევაში. ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაცია უფლებამოსილია ქალი მსჯავრდებულის მიმართ გამოიყონოს ნახალისების ფორმა და მას მისცეს დამატებითი საოჯახო პაემნით სარგებლობის უფლება.

### როგორი უნდა იყოს საკვები?

პატიმრობის კოდექსის 23-ე მუხლის თანახმად, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში საკვები უნდა შეიცავდეს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის აუცილებელ კომპონენტებს. აკრძალულია ბრალდებულის ან მსჯავრდებულის დასჯის მიზნით საკვების კალორიულობის შემცირება. ისინი, ყოველდღიურად, უზრუნველყოფილი უნდა იყენენ სამჯერადი კვებით.

ორსულ ქალებს, მემუმურ დედებს, არასრულწლონებს, ავადმყოფებს, მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, სანდაზმულებს (ქალებს – 60 წლიდან, მამაკაცებს – 65 წლიდან), მათი მდგომარეობის შესაბამისი კვების პირობები უნდა შეექმნათ.

## **შეიძლება თუ არა პატიმარი დედისა და ბავშვის ერთად ცხოვრება?**

თუკი არ არსებობს გამოუვალი ვითარება, არ უნდა მოხდეს ფეხმძიმე ქალისთვის თავისუფლების აღკვეთა. ხოლო თუ ეს მაინც მოხდება, მათთვის უნდა შეიქმნას სპეციალური პროცესი, რომელიც გავრცელდება მთელი ფეხმძიმობისა და ბავშვის მოვლის პერიოდზე.

დედისა და ვაკება, რომელსაც ჩვილი შვილები ჰყავს, ძალიან სათუთი თემაა. პატიმრობის კოდექსის თანახმად, საქიროების შემთხვევაში, თავისუფლების აღკვეთისა დაწესებულებაში ეწყება სპეციალური განყოფილება ფეხმძიმე ქალებისა და ბავშვებისთვის. დედის შუამდგომლობით, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების ნებართვითა და ადმინისტრაციის თანხმობით, შეიძლება დედისა და 3 წლამდე ბავშვისთვის ერთად ცხოვრების პირობების შექმნა. თუმცა, ადმინისტრაციის მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე შეუძლია დედას აუკრძალოს არასრულნლოვან შვილებთან ურთიერთობა.

პატიმრობის დროს, შესაძლებელია, მსჯავრდებულს დაედოს დისციპლინური სახდელი. ასეთი სახდელებია:

- ა) გაფრთხილება;
- ბ) საყვედური;
- გ) მუშაობის უფლების შეზღუდვა არა უმეტეს 6 თვის ვადით;
- დ) ნებადართული ნივთებით სარგებლობის უფლების შეზღუდვა არა უმეტეს 6 თვის ვადით;
- ე) ამანათისა და გზავნილის მიღების შეზღუდვა არა უმეტეს 6 თვის ვადით;
- ვ) საკნის ტაპის საცხოვრებელი სადგომში გადაყვანა 6 თვემდე ვადით;
- ზ) სამარტო საკანზე მოთავსება 20 დღემდე ვადით.
- თ) სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვა არა უმეტეს 3 თვის ვადით;
- ი) პირადი ხსასიათის კორსპონდენციის მიღება-გაგზავნის უფლების შეზღუდვა არა უმეტეს 3 თვის ვადით;
- კ) პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მაღაზიით სარგებლობის უფლების შეზღუდვა არა უმეტეს 3 თვის ვადით;
- ლ) ფულადი გზავნილი მიღება-გაგზავნის უფლების შეზღუდვა არა უმეტეს 3 თვის ვადით;
- მ) კუთვნილი ხანმოკლე პაემნის აკრძალვა არა უმეტეს ნელინადში 6-ჯერ.

იცოდეთ, რომ ორსული ქალების მიმართ არ გამოიყენება ამ მუხლის პირველი ნაწილის „ვ““და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სახდელები.

ზოგადად მსჯავრდებულის მიმართ ასევე შესაძლებელია, რომ მოხდეს ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდება თუ მან ჩაიდნა დისციპლინური დარღვევა. ადმინისტრაციული პატიმრობა განისაზღვრება 60 დღე - ლამის ვადით.

გახსოვდეთ, რომ ადმინისტრაციული პატიმრობა არ შეეფარდებათ ორსულ ქალებსა და არასრულნლოვან მსჯავრდებულებს.

## **შესაძლებელია თუ არა სასჯელის მოხდის გადავადება ქალისთვის?**

სასამართლოს შეუძლია გადაუვადოს სასჯელის მოხდა ორსულ ქალს ან ქალს, რომელსაც ჰყავს ხუთ წლამდე შვილი, სანამ ბავშვი ხუთი წლის გახდება.

იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებული უარს იტყვის შვილზე ან თავს აარიდებს შვილის აღზრდას მას შემდეგ, რაც იგი გააფრთხილა პრობაციის ბიურომ, სასამართლოს შეუძლია, ამ ორგანოს წარდგინებით, გააუქმოს სასჯელის მოხდის გადავადე-

ბა და მსჯავრდებული, სასჯელის მოსახდელად, გააგზავნოს განაჩენით დანიშნულ ადგილას.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 75-ე მუხლის თანახმად:

1. სასამართლოს შეუძლია, გადაუვადოს სასჯელის მოხდა ორსულ ქალს ან ქალს, რომელსაც ჰყავს ხუთ წლამდე შვილი, სანამ ბავშვი ხუთი წლის გახდება.
2. თუ მსჯავრდებული უარს იტყვის შვილზე ან თავს აარიდებს შვილის აღზრდას მას შემდეგ, რაც იგი გააფრთხილა პრობაციის ბიურომ, სასამართლოს შეუძლია ამ ორგანოს წარდგინებთი გააუქმოს სასჯელის მოხდის გადავადება და მსჯავრდებული, სასჯელის მოსახდელად, გააგზავნოს განაჩენით დანიშნულ ადგილას.
3. როდესაც შვილი ხუთი წლის ასაკს მიაღწევს, სასამართლო გაათავისუფლებს მსჯავრდებულს სასჯელის მოუხდელი ნაწილის მოხდისგან ან სასჯელის მოუხდელ ნაწილს შეუცვლის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით, ანდა მიიღებს გადაწყვეტილებას სასჯელის მოუხდელი ნაწილის მოსახდელად, შესაბამის დაწესებულებაში მსჯავრდებულის უკან დაბრუნების შესახებ.
4. თუ მსჯავრდებული, სასჯელის მოხდის გადავადების პერიოდში, ახალ დანაშაულს ჩაიდენს, სასამართლო მას დაუნიშნავს სასჯელს ამ კოდექსის 61-ე მუხლით გათვალისწინებული წესით (იხილეთ შესაბამისი განცხადების ნიმუში დისკუზე).

**შესაძლებელია თუ არა განაჩენის აღსრულების გადავადება იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებული ორსულადაა?**

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 283-ე მუხლის თანახმად, იმ მსჯავრდებულის მიმართ, რომელსაც სასჯელად დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა, განაჩენის აღსრულება შეიძლება გადავადოს იმ სასამართლომ, რომელმაც გამოიტანა განაჩენი.

განაჩენის აღსრულების გადავადება ხდება სახელმწიფო სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებული განაჩენის აღსრულების მომენტისთვის ორსულადაა. განაჩენის აღსრულების გადავადება ხდება მშობიარობის შემდეგ, 1 წლამდე.

განაჩენის აღსრულების გადავადების საკითხს სასამართლო განიხილავს მსჯავრდებულის, მისი ადვოკატის, კანონიერი წარმომადგენლის, ან სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის შუამდგომლობით (იხილეთ შესაბამისი განცხადების ნიმუში დისკუზე).

გახსოვდეთ, რომ თქვენს დროულ და ადეკვატურ რეაგირებაზეა დამოკიდებული შედეგები, რომლებიც დადგება თქვენს მიმართ. ამიტომ, თუ ადგილი პქონდა ამ თავში აღწერილ როტელმე დანაშაულს:

- დაუყოვნებლივ მიმართეთ იურისტს კონსულტაციისთვის. თუ თქვენ დედაქალაქში არ ცხოვრობთ და იურისტთან პირადად შეხვედრას ვერ ახერხებთ, დარეკეთ იმ ტელეფონის ნომრებზე, რომლებიც მითითებულია ამ წიგნის დასასრულს, დანართის სახით;
- იმ შემთხვევაში, თუ გახდით სქესობრივი ხასიათის დანაშაულის მსხვერპლი, დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს და გაიარეთ სამედიცინო შემოწმება.

## აღმინისტრაციული პატიმრობა არ შეეფარდებათ

### ორსულ ქალებსა და

#### არასრულწლოვან მსჯავრდებულებს.



## სამართლებრივი დაცვის ეროვნული მექანიზმი (გასაჩივრების საშუალებები)

გზამკლებში არა ერთხელ აღვნიშნეთ, რომ საკითხის გადასაწყვეტად, განცხადებით ან სარჩელით უნდა მიმართოთ შესაბამის ორგანოებს, – სამინისტროს, სააგენტოს, სასამართლოს და ა.შ.

როგორ იწერება განცხადება, რა წესების დაცვით და რა ვადაში უნდა გასაჩივრდეს გადაწყვეტილება და რა უფლებებით სარგებლობთ? წინამდებარე თავში, აღნიშნულის შესახებ მოკლედ ვისაუბრებთ. ზოგადი წესები, რა თქმა უნდა, არსებობს, მაგრამ კონსულტაცია, შესაბამისი პროფილის იურისტთან, აუცილებლად უნდა გაიაროთ.

უნდა იცოდეთ, რომ თქვენი უფლებების დაცვა შეიძლება მოხდეს სხვადასხვა საშუალებით, – როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო მექანიზმების მეშვეობით.

წინამდებარე თავი ზოგად ინფორმაციას მოიცავს. რა თქმა უნდა, შეუძლებელია ამის ფარგლებში ყველა ის პროცესუალური შესაძლებლობა განვიხილოთ, რაც არსებობს საკანონმდებლო სივრცეში, მაგრამ ეს თავი ზოგადი ცოდნის მიღებაში დაგეხმარებათ.

### ინფორმაციის მიღების უფლება

ზოგადი წესის მიხედვით, ყველას აქვს უფლება, მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა. თუკი არსებობს დედნის დაზიანების საფრთხე, საჯარო დაწესებულება ვალდებულია, მოგცეთ მისი გაცნობის შესაძლებლობა თავისი ზედამხედველობის ქვეშ ან გადმოგცეთ სათანადო წესით დამოწმებული ასლი.

რა ითვლება საჯარო ინფორმაციად? საჯარო ინფორმაცია – იფიციალური დოკუმენტი (მათ შორის ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები), საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მასამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია. საჯარო ინფორმაცია ღია გასაცნობად, თუკი არ ითვლება სახელმწიფო, კომერციულ და პრად საიდუმლოებას მიუკუთხებულ ინფორმაციად (საიდუმლო ინფორმაციად). ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს სხვის პირად ან კომერციულ საიდუმლოებას, და პირისთვის ცნობილი გახდა პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, პროფესიულ საიდუმლოებას მიეკუთვნება.

გახსოვდეთ! თქვენ უფლება გაქვთ, საჯარო დაწესებულებაში თქვენს შესახებ არსებულ პერსონალურ მონაცემებს გაეცნოთ და უსასყიდლოდ მიიღოთ ამ მონაცემების ასლები. არ შეიძლება უარი გეთქვას იმ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე, რომელიც იძლევა თქვენი იდენტიფიცირების შესაძლებლობას. ამავდროულად, ის არ უნდა იყოს სელმისანვდომი სხვა პირებისთვის.

ინფორმაციის გასაიდუმლოების თაობაზე შეგიძლიათ თავდაც მიმართოთ ადმინისტრაციულ ორგანოს. კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, პროფესიული და კომერციული ინფორმაცია (განმარტება), უვადოდ

გასაიდუმლოვდება. კომერციული საიდუმლოება ღიად გამოცხადდება, თუ მას აღარ გააჩნია ღირებულება, რის გამოც ასეთად იქნა მიჩნეული. პირადი საიდუმლოება დახურულია პირის სიცოცხლის განმავლობაში, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოებისა და მისი ვადის გაგრძელების შესახებ, შეაქვთ საჯარო რეესტრში. საჯარო მონაცემთა ბაზა (საჯარო რეესტრი) საჯარო დაწესებულების ან საჯარო მოსამასურის მიერ სისტემატურად შეგროვებული, დამუშავებული და შენახული მონაცემების სახით არსებობს. პირად საიდუმლოებად მიჩნევის საკითხს წყვეტს პირი, რომლის შესახებ ეს ინფორმაცია არსებობს (მუხლი 271), ხოლო პერსონალური მონაცემები – ეს არის საჯარო ინფორმაცია, რომელიც პირის ინდენტიკივაციის საშუალებას იძლევა. სხვა პიროვნების შესახებ პირადი ინფორმაციის მიღება შესაძლებელი მისი თანხმობის შემთხვევაში; თანხმობა უნდა იყოს გაფორმებულ სანოტარო წესით.

### **საჯარო ინფორმაციის გაცემის წესი**

(განცხადება ადმინისტრაციულ ორგანოში ინფორმაციის მოპოვების შესახებ)

საჯარო ინფორმაციის მისაღებად უნდა წარადგინოთ წერილობითი განცხადება. აუცილებელი არ არის, განცხადებაში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი ან მიზანი მიუთითოთ. ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან, პერსონალური ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა დაუშვებელია. თქვენ უფლება გაქვთ, გადაწყვეტილება პერსონალური მონაცემების ხელმისაწვდომობაზე უარის თქმის შესახებ ერთი თვის ვადაში სასამართლოში გაასაჩივროთ.

თუკი თქვენ სხვისი პერსონალური მონაცემების ან კომერციული საიდუმლოების მოთხოვნის თაობაზე განცხადებას შეიტანთ, საჭიროა შესაბამისი პირის სანოტარო წესით ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დამოწმებული თანხმობის წარდგენაც.

საჯარო დაწესებულება ვალდებულია, საჯარო ინფორმაცია გასცეს დაუყოვნებლივ, ან არა უგვიანეს 10 დღისა. თუ საჯარო ინფორმაციის გაცემისთვის საჭიროა 10-დღიანი ვადა, საჯარო დაწესებულება ვალდებულია, მოთხოვნისთანავე გაცნობოთ ამის შესახებ. აღნიშნული, შეიძლება მოხდეს შემდეგ შემთხვევებში: ა) საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა, მოითხოვს სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული მისი სტრუქტურული ქვედანაყოფიდან, ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას; ბ) მნიშვნელოვანი მოცულობის, ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას; გ) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ მის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან, ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციის.

დასაშვებია ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმაც. საჯარო დაწესებულების უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე, თქვენ უნდა გეცნობოთ დაუყოვნებლივ. ასევე, გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში, საჯარო დაწესებულება ვალდებულია, წერილობით განგიმარტოთ თქვენი უფლებები და გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი.

### **განცხადება ადმინისტრაციულ ორგანოში (ინფორმაციის მოპოვება/უფლებების შესახებ)**

ასევე უფლება გაქვთ, ადმინისტრაციულ ორგანოს მიმართოთ კონკრეტულ, მის კომპეტენციას მიეუთვნებულ საკითხთან დაკავშირებით. მაგალითად, პენსიის დასანიშნად, ან სოციალური დახმარების გასაცემად, დევნილის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით და სხვა. ამ დროს, შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს განცხადე-

ბა უნდა წარუდგინოთ. აღნიშნული განცხადების საფუძველზე, თქვენ კონკრეტულ უფლებას მოიპოვებთ. მაგალითად, საპენსიო ასაკის დადგომის შემთხვევაში, – პენ-სის მიღების უფლებას, დევნილობაში მყოფი პირისათვის – დევნილის სტატუსს მიიღებთ და კონკრეტული შეღავათებით სარგებლობის უფლებაც მოგენიჭებათ.

## განცხადების შინაარსი და ფორმა

განცხადება უნდა იყოს წერილობითი ფორმით და შეიცავდეს:

ა) იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელებას, რომელსაც მიმართავთ; ბ) თქვენს ვინაობას და მისამართს; გ) მოთხოვნას; დ) განცხადების წარდგენის თარიღსა და თქვენს ხელმოწერას; ე) განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას, მათი არსებობის შემთხვევაში.

განცხადებას უნდა დაურთოთ ყველა ის საბუთი, რომლის წარდგენის ვალდებულებაც კანონით გაეცისრებათ (იხილეთ განცხადების ნიმუში დისკაზე). დართული დოკუმენტებისა თუ სხვა სახის ინფორმაციის წარდგენის წესი ასევე განისაზღვრება გამოცემული კანონქვემდებარე აქტით ან ადმინისტრაციული ორგანოს დებულებით.

## აღმინისტრაციული ორგანოს მუშაობის ზოგადი წესები

ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, განცხადება მიღების დღესვე რეგისტრაციაში გაატაროს და დასკას მასზე რეგისტრაციის თარიღი და ნომერი. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, შესაბამისი ვადის დაცვით, ერთი თვის ვადაში, საკითხი განიხილოს. საჭიროების შემთხვევაში, თქვენ საკითხის განსახილველად, სხდომაზე მიწვეული იქნებით. ასევე, თქვენ უფლება გაქვთ, ალინიშნული საკითხის განხილვისას, დასხრება მოითხოვთ.

თავისი საქმიანობის განხორციელებისას, ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს კანონით გათვალისწინებული პრინციპების საფუძველზე. მაგალითად, კანონის წინაშე თანასწორობა (რომლის მიხედვით, ყველა თანასწორია კანონისა და ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე), საქმის მიუკერძოებლად გადაწყვეტა (ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება, თავისი უფლებამოსილება განახორციელოს მიუკერძოებლად) და სხვა. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის, თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს. ადმინისტრაციული წარმოების ენა არის ქართული, ხოლო აფხაზური – ასევე, აფხაზური.

თქვენს განცხადებას, განხილვის დასრულების შემთხვევაში, დაწესებულება ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის სახით პასუხს გასცემს. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა წერილობით ან ზეპირად. იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი თქვენს კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს ზღუდავს, თქვენი მოთხოვნის შემთხვევაში, ზეპირი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, მიღებიდან 3 დღის ვადაში, წერილობითი ფორმით უნდა გამოიცეს. წერილობით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას. წერილობითი ფორმით გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში უნდა მიეთითოს ის ორგანო, რომელშიც შეიძლება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება, მისი მის-

ამართი და საჩივრის წარდგენის ვადა. თუკი არ არის მითითებული აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი და ორგანო, მაშინ თქვენ უფლება გაქვთ, დადგენილი ერთთვიანი ვადის მაგივრად, ერთი წლის განმავლობაში გაასაჩივროთ.

გახსოვდეთ! განცხადება იმ ადმინისტრაციულ ორგანოში უნდა შეიტანოთ, რომელიც უფლებამოსილია გადაწყვიტოს განცხადებაში დასმული საკითხი და გამოსცეს შესაბამისი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტი. ადმინისტრაციული საჩივარი

თუკი არ ეთანხმებით გადაწყვეტილებას (ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს),<sup>1</sup> თქვენ უფლება გაქვთ, გადაწყვეტილება საჩივრის მეშვეობით იმავე ან ზემდგომ ორგანოში გაასაჩივროთ. იმ შემთხვევაში, თუ ზემდგომი ორგანო არ არსებობს, მშინ უშუალოდ სასამართლოში, სარჩელის შეტანის გზით. მაგალითად, მერიის გადაწყვეტილების გასაჩივრება უშუალოდ სასამართლოში მოხდება. საჩივარი წერილობით ფორმით უნდა იყოს.

დაწესებულება თქვენს საჩივარს განიხილავს და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სახით, პასუხს გასცემს. თუკი თქვენ მანც ვერ მიაწვევთ საკითხის გადაწყვეტას თქვენს სასარგებლოდ და არ ეთანხმებით აღნიშნულს, უფლება გაქვთ, სასამართლოს მიმართოთ.

## სასამართლოსაში მიართვა/ჩასაჩივრების უფლება

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის თანახმად, „ყველას აქვს უფლება, თავის უფლებათა დასაცავად, სასამართლოს მიმართოს“. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, ნებისმიერი საქმის განხილვა, გონივრულ ვადაში უნდა მოხდეს, – მიუკერძოებლად, სამართლიანად, საჯარო სხდომაზე და ა.შ.

დღესდღეობით, საქართველოში, სამ ინსტანციანი სასამართლო სისტემა არსებობს. პირველი ინსტანციის სასამართლო, – რაიონული ან საქალაქო (მაგალითად, ქ.თბილისის საქალაქო სასამართლო, ქ. ბათუმის საქალაქო სასამართლო და სხვა), მეორე ინსტანციის სასამართლო, – სააპელაციო სასამართლო (საქართველოს ფარგლებში სულ ორია, – თბილისის საოლქო სასამართლო და ქუთაისის საოლქო სასამართლო) და მესამე, – საკასაციო ინსტანცია, საქართველოს უზენაესი სასამართლო (რომელიც მოქმედებს საქართველოს მთელს ტერიტორიაზე).

ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოში, სამი კოლეგია ან პალატა არსებობს, – სამოქალაქო საქმეთა, ადმინისტრაციულ საქმეთა და სისხლის სამართლის საქმეთა. ნებისმიერი კოლეგია ან პალატა, მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საქმეებს იხილავს. სამოქალაქო კატეგორიის საქმეებს იხილავს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია, ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებს, – ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია და სისხლის სამართლის კატეგორიის საქმეებს, – სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია (სისხლის სამართლის საქმეების თაობაზე იხილეთ თავი “ქალი და სისხლის სამართალი”).

სასამართლოსადმი მიმართვის შემთხვევაში, საგნობრივი ქვემდებარების საკითხი უნდა გათვალისწინოთ, – თქვენი საკითხი რომელი კოლეგიის ქვემდებარება. მაგალითად, პენსიის დანიშვნაზე უარის თქმა ან შრომითი დავა, თუკი თქვენ საჯარო დაწესებულებაში მუშაობთ, – ადმინისტრაციული კოლეგიის განსახილველი იქნება, თუკი კერძო დაწესებულებაში ბრძანდებით დასაქმებული, – სამოქალაქო კოლეგიის განსახილველი გახდება; განქორწინებასთან დაკავშირებული საკითხები, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ განიხილება; ზოგი ქონებრივი დავა, მოდავე მხარეთა შე-

თანხმებით, შეიძლება განსახილველად არბიტრაჟს გადაეცეს და ა.შ. (არბიტრაჟში საქმის განსახილველად საჭიროა არსებობდეს საარბიტრაჟო შეთანხმება დავის არბიტრაჟში განხილვის თაობაზე. არბიტრაჟი წარმოადგენს სასამართლოს გარეშე დავის გადაწყვეტის მსოფლიოში დამკვიდრებულ და აღიარებულ სამართლებრივ ინსტიტუტს. არბიტრაჟი სწრაფად განიხილავს საპანკო, კომერციულ, საფინანსო და სამოქალაქო დავებს. არბიტრაჟის გადაწყვეტილება საბოლოოა და სავალდებულოა მხარეთათვის შესასრულებლად. არბიტრაჟის გადაწყვეტილება შეიძლება გაუქმდეს სასამართლოს ძალით.)

ადმინისტრაციული კოლეგიისადმი მიმართვის შემთხვევაში, სავალდებულოა ადმინისტრაციული საჩივრის შესაძლებლობის გამოყენება – ადმინისტრაციული ორგანოებისადმი განცხადებით ან/და საჩივრით მიმართვა. ამ შემთხვევაში, დავა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დასრულებული უნდა იყოს. ერთ-ერთ საქმეზე, სადაც მოსარჩელემ მიმართა ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და მოითხოვა იმ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, რომლითაც გადასახადი მას დაეკასრა, სასამართლო სარჩელზე თანდართული მასალის შესწავლის შედეგად იმ დასკუნამდე მივიდა, რომ მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის წარმოქაში მიღებაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

„დაუშვებელია, რომ ერთი და იგივე საგადასახადო დავა ერთდროულად იხილებოდეს ორ სხვადასხვა ინსტანციაში – სასამართლოსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საპქმოში. ასევე, დაუშვებელია, რომ მოსარჩელემ აწარმოოს ორი საგადასახადო დავა ფაქტიურად ერთი და იგივე დავის საგნის მიმართ.“

სასამართლომ არ მიიღო სარჩელი წარმოქაში და განმარტა, რომ მოსარჩელე უფლებამოსილია, საგადასახადო ორგანოთა სისტემაში დაწყებული დავა გააგრძელოს სასამართლოში, მაგრამ არა ორი, ფაქტობრივად ერთი და იგივე დავის ერთმანეთის პარალელურად წარმართვის გზით, არამედ საგადასახადო ორგანოთა სისტემაში დავის დასრულებისა და მისი სასამართლოში გაგრძელების გზით (ისიც იმ შემთხვევაში, თუ საჩივრის განმზღვევლი ადმინისტრაციული ორგანო არ დააკმაყოფილებს მოსარჩელის მოთხოვნას) სასამართლოსადმი მიმართვის შემთხვევაში, შესაბამისი ფორმა უნდა შეავსოთ. ადმინისტრაციულ საქმეზე – სარჩელი ან საჩივრი; ასევე მოპასუხისთვის, – შესაგებელი ან შეგებებული სარჩელი; სამოქალაქო საქმეზე, – სარჩელი ან საჩივრი, ასევე მოპასუხისთვის, – შესაგებელი ან შეგებებული სარჩელი (ფორმები, შემდეგ საიტებზე მოიპოვება: <http://tbappeal.court.ge>; <http://www.tcc.gov.ge/index.php?m=496>; <http://tbappeal.court.ge/index.php?lan=geo&cat=12>).

გარდა ამისა, სარჩელში კონკრეტულად და სწორად უნდა იყოს მითითებული ყველა მონაცემი, მოპასუხე – პირი ან ორგანიზაცია, რომლის მიმართ თქვენ პრეტეზია გაგარინიათ, თქვენი და სხვა პირთა საკონტაქტო ინფორმაცია, თქვენი მოთხოვნა და შესაბამისი ფორმაში სხვა ასახული ინფორმაცია.

აღნიშნული ფორმების შექსების დროს, აუცილებლად გაიარეთ კონსულტაცია იურისტთან, ვინაიდან წესისმიერი ფორმა სპეციფიკურია. არასათანადოდ შევსების შემთხვევაში, სასამართლომ, შესაძლოა, სარჩელის ხარვეზი დაადგინოს. ხარვეზის შესავსებად სასამართლო დაგრძნესებთ ვადას, რომლის განმავლობაში მოგეცემათ აღნიშნული ხარვეზის შევსების უფლება, კერძოდ, თქვენი მოთხოვნის დაზუსტების, შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენის და ა.შ. ხოლო, თუ ვერ/არ შეავსებთ ხარვეზს კანონის მოთხოვნის ფარგლებში და მოცემული ვადის დაცვით, თქვენი სარჩელი არ განიხილება.

წინა განხილულ საქმეზე მოსარჩელეს სარჩელის მიღებაზე უარი ეთქვა ასევე მეორე საფუძვლითაც: სასამართლომ ხარვეზი დაადგინა და მოსთხოვა დაყენებული

მოთხოვნის დაზუსტება. მოსამართლემ მიუთითა, რომ მოსარჩელემ არ დააზუსტა თავისი მოთხოვნა, კერძოდ, თუ რომელი გადასახადების და რა თანხების ნაწილში მოითხოვდა იგი ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობას.

სხვა საქმეზე (№3/4660-12) სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელემ უნდა დააზუსტოს მოპასუხე მხარე, ვინაიდან საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 01 მარტის №216 ბრძანებით, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №248 ბრძანებაში შეტანილი ცვლილებების თანახმად, მოხდა სისი შემოსავლების სამსახურის რეგიონალური ცენტრის ლაკვიდაცია, რის უფლებამონაცვლედ დაადგინა სისი შემოსავლების სამსახური. შესაბამისად, სასამართლოს შეფასებით, მოსარჩელემ, სადავო აქტთან მიმართებაში უნდა დააზუსტოს მოპასუხე მხარე.

სასამართლომ მისცა ვადა მოსარჩელეს აღნიშნული საკითხის დასაზუსტებლად და მიუთითა, რომ თუკი, ის დანიშნულ ვადაში არ შევსებს ხარვეზს, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

ამ საქმეზე სასამართლომ სასარჩელო განცხადების მიღებაზე უარი თქვა, ვინაიდან ხარვეზი არ იყო შევსებული.

ხარვეზის დადგენის შემთხვევაში, თქვენ განცხადებით უნდა მიმართოთ სასამართლოს სახელზე და მიუთითოთ, თუ რომელ საბუთს ურთავთ განცხადებას, რომელი ხარვეზის გამოსასწორებლად და ა.შ.. თუ ვერ მოახერხეთ სასამართლოს მიერ მითითებულ ვადაში ხარვეზის შეგვებას, უფლება გაქვთ მოითხოვოთ ხარვეზის შესაგვებად მოცემული ვადის გაგრძელება, რაც დასაბუთებული უნდა იყოს თქვენი მხრიდან, რისთვის გჭირდებათ დამატებითი ვადა, რა ხარვეზის გამოსასწორებლად და რატომ ვერ მოხერხდა მოცემულ ვადაში.

თუ მოსარჩელეს მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნა შევსებული ხარვეზი, აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლოს მიაჩინა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 447-ე მუხლის თანახმად, სასარჩელო განცხადების წარმოებაში მიღებაზე მოსარჩელეს უნდა ეთქვას უარი და დაუბრუნდეს უკან.

ხშირია შემთხვევები, როდესაც ადამიანი მიმართავდა სასამართლოს შესაბამისი საბუთებით, სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტებით და სხვა მრავალი დოკუმენტაციით მოცემული ვადის დარღვევით ანუ მოგვინებით.

ამ შემთხვევაში, ვადის გასვლის გამო, ის ვერ იქნება მიღებული და შესაბამისად, საქმის წარმოება შეწყდება.

სასამართლოში გასაჩივრებამდე, თქვენ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ ის, რომ ნებისმიერი საკითხი კონკრეტული დარღვევის მომენტიდან კონკრეტული ვადის განმავლობაში შეიძლება გასაჩივრდეს. მაგალითად, ადმინისტრაციული აქტი (სამსახურიდან გათავისუფლება) – 1 თვის ვადაში, ხელშეკრულების დარღვევა – სამი წლის განმავლობაში; უძრავ ქონებასთან დაკავშირებული დაგები – ექვსი წლის განმავლობაში და ა.შ.

აღნიშნული ვადის დაცვა მნიშვნელოვანია, ვინაიდან ხანდაზმულობის საკითხი შეიძლება დადგეს, რაც ნიშნავს იმას, რომ არაკანონიერ ქმედებას თქვენს მიმართ, გასაჩივრების ვადის გასვლის გამო თ ველარ გაასაჩივრებთ. გასაჩივრების ვადა ზოგიერთ შემთხვევაში ჩერდება, რაც ინვესტ კალენდარული ვადის გაგრძელებას!!! ასევე, დასაშვებია ვადის ალდეგნა საპატიო მიზეზით და ვადის გაგრძელება.

რა არის საპატიო მიზეზი? ავადმყოფობა, მიულინებაში წასვლა ან გასვლა საცხოვრებელი ადგილიდან და სხვა. აღნიშნული დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი ცნობებით, ქვითრებით, სამიულინებო ფურცლებით, სავიზო და სამგზავრო დოკუმენტაციით და სხვა.

ნიშანდობლივია, რომ შესაძლებელია მხოლოდ იმ ვადის აღდგენა, რაც არის დადგენილი მოსამართლის მიერ და არ არის განსაზღვრული შესაბამისი საპროცესო კანონმდებლობით. მაგალითად, ვერ დაექვემდებარება აღდგენას პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის მოცემული 14 დღიანი ვადა, ასევე როგორც სააპელაციო ინსტანციის გადაწყვეტილების გასაჩივრების 1 თვიანი ვადა, რაც არის კონკრეტულად დადგენილი შესაბამისი სამოქალაქო საპროცესო და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით. შესაძლებელია, მაგალითად, ხარვეზის დადგენის ვადის აღდგენა, თუკი დამტკიცდება, რომ საპატიო მიზეზით ვერ მოხერხდა ხარვეზის გამოსწორება და ა.შ..

კანონმდებლობაში, ხშირ შემთხვევაში ვებებით მითითებას, რომ საკითხი შეიძლება გასაჩივრდეს იმ მომენტიდან კონკრეტული ვადის განმავლობაში, როდესაც დაირღვა კონკრეტული უფლება ან როდესაც პირმა გაიგო თავისი უფლებების დარღვევის შესახებ. ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია იმის დამტკიცება, თუ როდის გახდა ცნობილი დარღვევის თაობაზე.

იმ შემთხვევაში, თუკი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ განემარტა გასაჩივრების წესი და ზუსტი პროცედურა, თუკი არ არის მითითებული შესაბამისი ორგანო ან/და გასაჩივრების ვადა, გასაჩივრების ვადა არის ერთი წელი.

ამიტომ, ნებისმიერი საქმე ინდივიდუალურია. ასევე, ზოგიერთი კატეგორიის საქმეზე საკითხის განხილვისათვის და შემდგომი გასაჩივრებისათვის დადგენილია განსხვავებული ვადები.

## სასამართლო ხარვეზი

სასამართლო დავის შემთხვევაში, მას ვინც ასაჩივრებს, ნებისმიერი ინსტანციის გასაჩივრებისას სახელმწიფო ბაჟის გადახდა დაეკისრება. დავის მოგების შემთხვევაში, ალნიშნული ხარჯი მხარეს დაუბრუნდება. სახელმწიფო

ბაჟის გადახდა, შესაბამისი ოდენობის თანხის ჩარიცხვის გზით, სპეციალურად მითითებულ საპანკო ანგარიშზე ხდება. ანგარიშის გაგება შეგიძლიათ სასამართლოში და ასევე ბანკის განყოფილებებში. შეიძლება მოხდეს სახელმწიფო ბაჟისგან გათავისუფლება, ბაჟის გადახდის გადავადება ან განანილვადება, ასევე ბაჟის დაპროცესა (მაგალითად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, თქვენ დაგიბრუნდებათ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70 პროცენტი). ალნიშნული საკითხი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით და ასევე, საქართველოს კანონით “სახელმწიფო ბაჟის შესახებ” რეგულირდება.

გახსოვდეთ! მნიშვნელოვანია, სწორად და დასაბუთებულად, შესაბამისი დამაბასტურებული დოკუმენტაციის დართვით იყოს ჩამოყალიბებული სასამართლოს წინაშე წაყენებული ნებისმიერი მოთხოვნა.

მაგალითად, გადაწყვეტილებაში საქმეზე №/3/2131-12 სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს,

ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 47-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს, მოქალაქის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, თუ მოქალაქე დასაბუთებს სასამართლო ხარვეზის გადახდის შეუძლებლობას და სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებას, შეუძლია მთლიანად ან

ნაწილობრივ გაათავისუფლოს იგი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ხარჯების გადახდისაგან, რის თაობაზეც მოსამართლეს გამოაქვს მოტივირებული განჩინება. მოცემულ შემთხვევაში, მოსამართლეს ვერ ნარმოუდგინეს გადახდის უუნარობის დამადასტურებელი მტკიცებულებები. შესაბამისად, შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გაათავისუფლების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

## მხარეთა უფლებები

სასამართლოში, გასაჩივრების დროს თქვენ მხარე ხდებით. იმ პირს, ვისაც სარჩელი შეავს, მოსარჩელე ჰქვია, ხოლო ვის მიმართაც შეტანილია სარჩელი, – მოპასუხე, მეორე ინსტანციის სასამართლოში, – შესაბამისად, აპელანტი და მონინალმდეგე მხარე იქნებით. მესამე ინსტანციაში, – შესაბამისად, კასატორი და მონინალმდეგე მხარე. სასამართლოში, საქმის ნარმოებისას, თქვენ უფლებები და ამავდროულად, ვალდებულებები გაგაჩნით. მაგალითად, სასამართლოში, სადაც ვაკითხის გასაჩივრებისას, შეგიძლიათ პირადად ან წარმომადგენლის (ადვოკატის) მეშვეობით დაცვათ თქვენი უფლებები. თუკი წარმომადგენელი გყავთ, აუცილებელად მინდობილობის გაფორმება, რომლის გარეშე თქვენს წარმომადგენელს, თქვენი უფლებამოსილების დაცვის უფლება არ ექნება. თქვენი წარმომადგენელი უფლებამოსილი გახდება წოტარისათა შესაბამისი რწმუნებულების გაფორმების შემდეგ და მხოლოდ იმ უფლების განხორციელებაში, რომელსაც თქვენ მას მიანიჭებთ. მაგალითად, თქვენ უფლება გაქვთ, წარმომადგენელს საქმის მორიგებით დამთავრების უფლება არ მიანიჭოთ, ან არ მიანიჭოთ წარმომადგენლობის უფლება საადასულებო ინსტანციაში (გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, გადაწყვეტილების აღსრულება შეიძლება მოხდეს საადასრულებო ბიუროს მეშვეობით). ასევე, თქვენ როგორც მხარეს, უფლება გაქვთ გაეცნოთ საქმის მასალებს, გააკეთოთ ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღოთ ასლები, განაცხადოთ აცილებანი, წარადგინოთ მტკიცებულებები, მათ შორის ექსპერტის (საექსპერტო დაწესებულების) დასკვნები, სპეციალისტის (ცნობები, მონაწილეობა მიიღოთ მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვათ მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, სასამართლოს წინაშე განაცხადოთ შუამდგომლობები, მისცემთ სასამართლოს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებანი, წარადგინოთ იმავე ტიპის საქმეზე სხვა სასამართლოს გადაწყვეტილებები, წარადგინოთ თქვენს მიერ მოპოვებული დასკვნები და გამოთხვათ მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყოთ მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, გასაჩივროთ სასამართლოს გადაწყვეტილებები და განჩინებები. თქვენ შეგიძლიათ საქმე დამთავროთ მორიგებით, – ანუ თანხმდებით პირობებზე და ამავდროულად, ერთი მხარე, მეორე მხარეს გარკვეულ პოზიციებს უთმობს.

თქვენ, როგორც მოსარჩელეს, უფლება გაქვთ, საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის (იხილეთ შემდგომი ქვეთავი) მომზადების დამთავრებამდე, შეცვალით სარჩელის საფუძველი ან საგანი, შეავსოთ სარჩელში მითითებული გარემოებები და მტკიცებულებები, გაადიდოთ ან შეამციროთ სასარჩელო მოთხოვნის

  
გასოვდეთ, თქვენ გევალებათ: სასამართლოს წესრიგის დაცვა. მისი შეუსრულებლობა, დაჯარიმებას იწვევება! ასევე, თქვენ უნდა დაიცვათ პროცესუალური ვადები და შეასრულოთ ყველა დავალება, რომელიც სასამართლოს მიერაა მოცემული.

ოდენობა. სარჩელის შეცვლად არ ჩაითვლება მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებული გარემოებების დაზუსტება, დაკონკრეტება და დამატება, აგრეთვე სასარჩელო მოთხოვნების ოდენობის შემცირება, ან ერთი ნივთის ნაცვლად მეორე ნივთის მიკუთვნება მისთვის, ანდა ამ ნივთის ლირებულების ანაზღაურება.

სასამართლოში მტკიცებულებათა შეგროვება მოხდება, ვინაიდან თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც თავის მოთხოვნებს ამყარებს.

გახსოვდეთ! თქვენ გევალებათ: სასამართლოს წესრიგის დაცვა. მისი შეუსრულებლობა, დაჯარიმებას იწვევეთ! ასევე, თქვენ უნდა დაიცვათ პროცესუალური ვადები და შეასრულოთ ყველა დავალება, რომელიც სასამართლოს მიერაა მოცემული.

## სასამართლო პროცესი

საპროცესო ნორმებით, გათვალისწინებულია მოსამზადებელი სტადია და მთავარი განხილვის სტადია. მოსამზადებელ ეტაპზე (წინასწარი სასამართლო განხილვა) საქმე განსახილველად მზადდება. მთავარ სტადიაზე საქმე არსებითად იხილება, უკვე არსებული მტკიცებულებების მიხედვთ და გადაწყვეტილების გამოტანა ხდება. ადმინისტრაციული კოლეგიაში, საქმის განხილვის დროს, მოსამზადებელ სტადიას, წინ უსწრებს განმწერიგებელი სხდომა, რომელზეც სარჩელის არსებითად განხილვის საკითხი წყდება. განმწერიგებელ სხდომაზე, სასამართლო არკვევს, დაცულია თუ არა ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების ხელზე მიღებიდან, გასაჩივრების ერთოვანი ვადა, თუ რომელი კონკრეტული უფლებაა დარღვეული და ა.შ. ასევე, მოსარჩელეს უფლება აქვს, გამოიხმოს სარჩელი (გამოხმობა – სარჩელის გამოტანა სასამართლოდან სასაჩირელო მოთხოვნაზე უარის თქმის გარეშე). სარჩელის გამოხმობა დასაშვებია საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე. სარჩელის გამოხმობა პირველი ინსტანციის სასამართლოში, საქმის მთავარ სხდომაზე განხილვისას, ასევე სააპელაციო და საკასაციო წესით საქმის განხილვისას, დასაშვებია მოპასუხის თანხმობით. თუ მოპასუხე არ არის თანახმა, სასამართლომ უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს საქმე.

## გადაწყვეტილების გამოტანა სასამართლოს მიერ და გასაჩივრების წესი

საქმის განხილვის შედეგად სასამართლო გადაწყვეტილებას გამოიტანს. მოსამართლეს უფლება აქვს, გამოაცხადოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. შემდგომში, 14 დღის ვადაში, მას ევალება დასაბუთებული და სრული ფორმის გადაწყვეტილების გადაცემა მხარეებისთვის. რაიონული (ან საქალაქო) სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო წესით, დასაბუთებული გადაწყვეტილების ხელზე მიღებიდან 14 დღის ვადაში. თუ თქვენ არ ეთანხმებით სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, უფლება გაქვთ საკასაციო წესით გაასაჩივროთ საქართველოს უზენაეს სასამართლოში დასაბუთებული გადაწყვეტილების ხელზე მიღებიდან 21 დღის ვადაში. ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოში, გასაჩივრების დროს, თუ თქვენ არ ეთანხმებით გადაწყვეტილების ნაწილს, შეგიძლიათ გადაწყვეტილება ნაწილობრივ გაასაჩივროთ იმ ნაწილში, რომელშიც არ ეთანხმებით. რაიონული (ან საქალაქო) სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების დროს, იწერება სააპელაციო საჩივარი სააპელაციო სასამართლოს სახელზე,

რომელიც რაიონულ (ან საქალაქო) სასამართლოში უნდა შეიტანოთ. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებისას, საკასაციო საჩივარია დასაწერი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სახელზე, რომელიც სააპელაციო სასამართლოში უნდა შეიტანოთ (აღმოსავლეთ საქართველოს ფარგლებში, – ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლოში, ხოლო დასავლეთ საქართველოს ფარგლებში, – ქ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში).

საქართველოს უზენაესი სასამართლო, საკასაციო საჩივარს, მიღებისას, დასაშვებობის საგანზე შეამოქმებს. საკასაციო საჩივარი დასაშვებია, თუ: 1. საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის; 2. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისგან; 3. სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე. თუკი სასამართლო ჩათვლის, რომ სარჩელი არ აქმაყოფილებს რომელიმე მოთხოვნას, სარჩელი დაუშვებლად იქნება ცნობილი.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ ექვემდებარება გასაჩივრებას ქვეყნის შიგნით.

## საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურება

### გაითვალისწინეთ!

ოჯახური კატეგორიის საქმეების განხილვის დროს, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ. (მუხლი 354). მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თქვენ არ გევალებათ მტკიცებულებათა წარდგენა. მხარეს ჩევულებრისამებრ ევალება თავისი პოზიციის დასამტკიცებლად ხელთ არსებული მასალის წარდგენა.

ოჯახური კატეგორიის საქმეზე სასამართლოს შეუძლია დროებითი განკარგულება გამოსაცეს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 355), მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე, რათა მოაწესრიგოს ისეთი საკითხები, როგორიცაა:

- შვილის მიმართ მშობელთა ზრუნვის საკითხები;
- ერთ-ერთი მშობლის ურთიერთობა ბავშვთან;
- ბავშვის აღსაზრდელად გადაცემა ერთ- ერთი მშობლისათვის;
- მცირენლოვანი ბავშვის შენახვის ვალდებულება;
- საკითხი ერთ-ერთი მეუღლის მიერ მეორე მეუღლისათვის მატერიალური დახმარების განევის შესახებ;
- საოჯახო მეურნეობისა და ბინით სარგებლობის საკითხი;
- საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი საქმეების განხილვასთან დაკავშირებით ხარჯების ავანსის სახით გადახდევინების საკითხი.

აღნიშნულ წესს აწესრიგებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თავი XIII. საქორწინო და საოჯახო საქმეების მიმართ ასევე გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დადგენილი წესები იმ დამატებებით, რაც დადგენილია თავში “საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებანი”. აღსანიშნავია, რომ საოჯახო – სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი საქმეები არ განიხილება სხვა ხასიათის მოთხოვნების შესახებ აღძრულ საქმეებთან ერთად.

აღნიშნული ბუნების პრობლემა ხშირად დგება განქორწინების პერიოდში ან ოჯახური ძალადობის შემთხვევაში. დროებითი განკარგულების მიზანია, დროებით, სასამართლო განხილვის დასრულებამდე, მალე და კონკრეტულად მოაწესრიგოს სა-დაცვი ურთიერთობა, დაევალოს კონკრეტულ ქმედებებისაგან თავის შეკავებით ან/და პირიქით, დაგალებით მოახდინოს ამ საკითხთა მოგვარება.

მხარემ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, განცხადებით უნდა მიმართოს სასამართლოს, თუ რამდენ ხნის განმავლობაში იმყოფება/იმყოფებოდა ქორწინებაში, როდის დაინტყო კონფლიქტი და ამჟამად რა ხდება; ვისთან იმყოფება ბავშვი, როგორია ორივე მშობლის მატერიალური მდგომარეობა, რას საჭიროებს ბავშვი, რაში გამოიხატება სირთულეები და ა.შ.; რა მდგომარეობაში მეუღლე/ მშობელი/ ბავშვი, ვისთვისაა დახმარება საჭირო, როგორია ბინის შექნისა და ფლობის პირობები; საო-ჯახო ნივთებით სარგებლობის საკითხი და სხვა.

აღნიშნულ საკითხებზე სასამართლომ განჩინება შეიძლება გამოი-ტანოს საქმის ზეპირი განხილვის ანუ მხარეთა დასწრების გა-რეშე. შემდგომში, განჩინების გამომტან სასამართლოს შეუძლია მასრეთი განცხადების საფუძველზე, შეცვალოს ან მთლიანად გააუქმის თავისი გადაწყვეტილება.

მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ დაადგინა, რომ არასრულწლოვანი ბავშვი უნდა ცხოვრობდეს დედასთან, სანამ შემ-დგომში, სასამართლო წესით, მისი საცხოვრებელი ადგილის განსაზ-ღვრა არ მოხდება. მოგვიანებით, სასამართლომ ბავშვის საცხოვრებელ ადგილად განსაზღვრა დედის საცხოვრებელი ადგილი ორშაბათიდან პარასეკვამდე, ხოლო მამას მიეცა უფლება წაიყვანოს ბავშ-ვი პარასეკვეს სკოლიდან და მოიყვანოს ორშაბათს სკოლაში.

## განსახილველი საქმე შეწყდება ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში

ოჯახურ საქმეთა თავისებურებათა სიაშია გან-

კორწინების ან ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ კატეგორიის საქმებიც (მუხლი 356). ამ დროს, სასამართლოს შეუძლია გადაწყ-ვეტილება გამოიტანოს, რომელიც შეიძლება შეხვოს:

- ქორწინები დაბადებულ ბავშვზე მშობელთა საერთო ზრუნვის საკითხს;
- ერთ-ერთი მშობლის ქორწინებაში დაბადებულ ბავშვთან ურთიერთობის მოწესრიგების საკითხს;
- ბავშვის ერთ-ერთი მშობლისათვის გადაცემის საკითხს (გასაზრდელად ან საცხოვრებლად);
- ქორწინებაში დაბადებული ბავშვისათვის მატერიალური დახმარების გაწ-ევის (რჩენის) საკითხს;
- მეუღლეთა ურთიერთრჩენის საკითხს.

ამ შემთხვევაში, საკითხის გადასაწყვეტად, განქორწინების ან ქორწინების ბა-თილად ცნობის შესახებ გამოტანილი გადაწყვეტილებით, სასამართლო, თუ ამას მოითხოვენ მხარეები თავიანთი განცხადებით, გადაწყვეტს თუ ვისთან იცხოვრებს ბავშვი, რომელ მშობელს რა ოდენობის თანხა დაეკისრება ბავშვის სარჩენად, რამ-დენი დღე და საათი და რომელ მშობელთან იქნება ბავშვი; ვალდებულია თუ არა მეუღლე არჩინოს თავისი მეორე ნახევარი, ევალება თუ არა ურთიერთჩენა (იხ. თავი “ქალი და ოჯახი”).

გაითვალისწინეთ, რომ განსახილველი საქმე შეწყდება ერთ-ერთი მეუღლის გარ-დაცვალების შემთხვევაში (მუხლი 353).

## უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმი

თუკი ვერ მიაღწევთ თქვენი უფლებების დაცვას ქვეყანაში არსებული კანონ-მდებლობის მიხედვით, თქვენ გეძლევათ უფლება, გამოიყენოთ საერთაშორისო მექანიზმები.

საერთაშორისო მექანიზმის გამოყენების შემთხვევაში, კონკრეტულ საერთაშორისო ორგანოს მიმართავთ, მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კომიტეტს ან ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს და სხვა.

ნებისმიერი საერთაშორისო ორგანო მოქმედებს კონკრეტული საერთაშორისო დოკუმენტის საფუძველზე: კონვენციის, პაქტის, რეზოლუციის და სხვა.

საერთაშორისო-სახელშეკრულებო – ორგანოები, თავისი ბუნებით, ნარმოადგენ ექსპერტების კომიტეტებს (ჯგუფებს), რომლებსაც ეკისრებათ მეთვალყურეობა ძირითად ხელშეკრულებებზე ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. შემდგომ ნაწილში მოთხოვობილია სახელშეკრულებო ორგანოების შესახებ და განმარტებულია, თუ რატომ არის მათი სამუშაო ასეთი მნიშვნელოვანი მთელი მსოფლიოს საზოგადოებისათვის.

### რა არის სახელშეკრულებლო ორგანო?

ძირითადი საერთაშორისო ხელშეკრულება ადამიანის უფლებების შესახებ ქმნის მონაწილე სახელმწიფოებისათვის იურიდიულ ვალდებულებებს ხელი გაუმართონ და დაიცვან ადამიანის უფლებები ნაციონალურ დონეზე. თუ რომელიმე ქვეყანა მიიღებს ერთ-ერთ ამ ხელშეკრულებას რატიფიკაციის გზით, ის იღებს თავის თავზე იურიდიულ ვალდებულებას განახორციელოს უფლება, რომელიც ნარმოდგენილია ამ ხელშეკრულებაში. მაგრამ ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია, ვინაიდან უფლებების აღიარება ქაღალდზე არ არის საკმარისი გარანტია იმისა, რომ მათი განხორციელება პრაქტიკაშიც მოხდება.

როდესაც პირველი ხელშეკრულება მიიღეს, იქვე აღიარებული იქნა, რომ მონაწილე სახელმწიფოებს დაჭირდებათ მხარდაჭერა და დახმარება მათ მიერ აღმდებული ვალდებულებების შესრულებისას, რათა მოხდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების აღსრულება ამ სახელმწიფოში მცხოვრებ თითოეულ ადამიანზე. ამიტომ, ყოველი ასეთი ხელშეკრულებით იქმნება დამოუკიდებელი ექსპერტებისგან შემდგარი საერთაშორისო კომიტეტი, რომლებიც აკვირდებიან თუ როგორ მიმდინარეობს ხელშეკრულების განხორციელება სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით.

ეს ძირითადად ევალებათ საერთაშორისო ორგანიზაციებს.

გაეროს სამართლებრივ სისტემაში არსებულ შემდეგ კომიტეტებზე გავამახვილებთ ყურადღებას:

- კომიტეტი რასობრივი დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ.
- სახელშეკრულებო ორგანო, რომელიც აწარმოებს დაკვირვებას, როგორ მიმდინარეობს 1969 წელს საერთაშორისო კონვენციით მიღებული ყველა ფორმის აღსრულება რასობრივი დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ.
- კომიტეტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ.
- დაარსდა 1987 წელს ეკონომიკური და სოციალური სათათბიროს დაკალების შესაბამისად, რათა შეესაბამებოდეს საერთაშორისო პაქტს საერთაშორისო ეკონომიკური სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ;

**კომიტეტი ადამიანის უფლებათა შესახებ.** დაარსდა 1976 წელს, რათა დაკვირვება მოქმედი იყო მიმდინარების სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის განხორციელება.

**კომიტეტი ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ** აწარმოებს დაკვირვებას თუ როგორ ასრულებენ მონაწილე სახელმწიფოები კონვენციას ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ, 1982 წლიდან მოყოლებული;

**კომიტეტი წამების წინააღმდეგ შეიქმნა** 1987 წელს. აწარმოებს დაკვირვებას თუ როგორ სრულდება მიღებული კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკ არაადამიანურ ან ღირსების შემძლახველი ქმედების წინააღმდეგ;

**კომიტეტი ბავშვთა უფლების შესახებ** 1990 წლიდან აწარმოებს დაკვირვებას თუ როგორ ხდება მონაწილე სახელმწიფოების მიერ ბავშვთა კონვენციის და ასევე ორი ფაკულტატიური ოქმის აღსრულება.

**კომიტეტი მშრომელი მიგრანტების შესახებ.** თავისი პირველი სესია მან ჩაატარა 2004 წლის მარტში, შემდგომში აკონტროლებს თუ როგორ სრულდება საერთაშორისო კონვენცია მშრომელი მიგრანტებისა და მათი ოჯახის წევრების უფლებების დაცვის შესახებ.

ყველა კომიტეტი შედგება დამოუკიდებელი ექსპერტებისგან 10-დან 23 ადამიან-ამდე, რომლებიც აღიარებული არიან ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. ისინი ინიშნებან ან მათ იმჩევენ მონაწილე სახელმწიფოები 4 წლის ვადით, ხელასალი არჩევის უფლებით. კომიტეტი ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ ატარებს თათბირებს გაეროს ცენტრალურ დაწესებულებებში, ნიუ იორქსა სხვა სახელშეკრულებო ორგანოები ატარებენ თავისით თათბირებს გაეროს განყოფილებებში უენევაში. ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი თავის შარტის სესიას ჩაატარებს ნიუ-იორქში. ყველა სახელშეკრულებო ორგანოს მომსახურება ხდება ხელშეკრულებისა და სამსახურის კომისიის სექტორის მიერ უენევაში. გამონაკლისს წარმოადგენს კომიტეტი ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ, რომელსაც ემსახურება განყოფილება ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ ნიუ-იორქში.

ზოგადი წესით, წებისმიერი საერთაშორისო ორგანო იხილავს როგორც ინდივიდუალურ საჩირებებს (კონკრეტული პირის მიმართ არსებულ დარღვევებზე), ასევე ანგარიშებს ადამიანის უფლებათა სიტუაციის თაობაზე, თავისი ქვემდებარე საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე. თითოეული სახელშეკრულებო ორგანოსადმი მიმართვას თავისი სპეციფიკა გააჩნია, მაგრამ ზოგადი წესებიც ახასიათებს.

## ადამიანის უფლებათა ეკრანული სასამართლო ევროპის საბჭოს სამართლებრივ სისტემას მიეკუთვნება.

ადამიანის უფლებათა ეკრანული სასამართლო, შექმნილია და მოქმედებს ადამიანის უფლებათა ეკრანული კონვენციის ფარგლებში. სასამართლოს გადაწყვეტილება სავალდებულოა შესასრულებლად. აღუსრულებლობის შემთხვევაში, სახელმწიფოს მიმართ საერთაშორისო ასპარეზზე მიღებული იქნება პასუხისმგებლობის ზომები.

მიმართვის შემთხვევაში, თქვენ სპეციალური განაცხადის ფორმა უნდა შეავსოთ. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ეკრანული სასამართლოსადმი მიმართვის შემთხვევაში, შესაბამისი ფორმა მოიპოვება ადამიანის უფლებათა ეკრანული სასამართლოს საიტზე [www.coe.int](http://www.coe.int). ადაპტირებული ვერსია ქართულ ენაზე, განთავსებულია საიტზე [www.article42.ge](http://www.article42.ge), რუსული ვერსია – [www.echr.ru](http://www.echr.ru).

ევროპულ სასამართლოსადმი მიმართვამდე, საქართველოს შიდა კანონმდებლობით გარანტირებული ყველა სამართლებრივი შესაძლებლობა უნდა გამოიყენოთ – განცხადება, საჩივარი, სასამართლოსადმი მიმართვა და ა.შ. ევროსასამართლოსადმი მიმართვის დროს, გასაჩივრების კონკრეტული ვადა არსებობს. ქვეყნის შიდა ინსტანციების მიერ ბოლო გადაწყვეტილების გამოტანიდან, გარკვეული დროის ფარგლებში. აღნიშნული ვადა ინდივიდუალურად არის დადგენილი. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსადმი მიმართვის შეთხვევაში, ექვს-თვეიანი ვადა არის დადგენილი. ვადის გასვლის შემდეგ, აღნიშნული საერთაშორისო ორგანო, თქვენს განცხადებას ვეღარ განიხილავს. საერთაშორისო ინსტანციებში განხილვა არაანარი ბაჟით არ იქნება. ერთადერთი, ფოსტისა და თარგმნის ხარჯებია საჭირო, ვინაიდან აღნიშნული საქმის განმხილველი ორგანოები, სხვა ქვეყნებშია განთავსებული და სპეციალურად შერჩეულ სამუშაო ენებზე მუშაობენ. მაგალითად, სასამართლოს სამუშაო ენები – ფრანგული და ინგლისური გახლავთ. ასევე, საჭიროა რწმუნებულების გაფორმებაც. აღნიშნული რწმუნებულება იქსება ნოტარიუსთან ვიზიტის გარეშე და არ საჭიროებს სანიტარო წესით დამტკიცებას. განხილვა რამდენიმე წელი გრძელდება, ხშირად – 5-7 წლის განმავლობაში. არსებობს განხილვის დაჩქარებული წესი, თუკი საქმე ეხება ჯანმრთელობის საკითხს, ექსტრადაციის, დეპორტაციის ან სხვა კატეგორიის საქმეს, სადაც საქმის ჩვეულებრივი წესით განხილვა მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის ადამიანს. სასამართლოს რეგისტრაციურა დააფიქსირებს თქვენ საჩივარს და თანდართული მასალების მიღებას. შემდგომში მოხდება საჩივრის დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტა, რომლის ფარგლებში სასამართლო გადაწყვეტს, მიღებს თუ არა საჩივარს არსებითად განსახილველად. თუკი გადაწყვეტილება დაუშვებლად ცნობის შესახებ იქნა მიღებული, სასამართლო არ გააგრძელებს საჩივრის განხილვას და ამის შესახებ გეცნობებათ. უარის თქმის ძირითადი მიზეზი შეიძლება გაზდეს გასაჩივრების ვადის გაშვება ან თქვენს მიერ მითითებულ უფლებათა შეუსაბამობა კონვენციაში დადგენილ უფლებებთან.

სანმ არ მოხდება საჩივრის დასაშვებად ცნობა, ინფორმაცია საჩივრის არსებობის შესახებ და გამგზავნი პირის ვინაობაზე არ არის ცნობილი სახელმწიფოსთვის, ანუ კონფიდენციალურია. თუკი არ მოხდება საჩივრის არსებითად განხილვა, ინფორმაცია დარჩება სახელმწიფოსთვის უცნობი.

თუკი სასამართლო ჩათვლის, რომ საჩივრის შემდგომი განხილვა (არსებითი განხილვა) უნდა მოხდეს (ანუ, საჩივარი და მასში მითითებული დარღვევები შეესაბამება კონვენციაში მიმოხილულ უფლებებს), საჩივარი შეტანილია 6-თვეიანი ვადის დაცვით და სხვა) საქმის მასალები გადაეგზავნება საქართველოს შესაბამის ორგანოს, რომელიც უფლებამოსილია ანარმოოს კომუნიკაცია საქართველოს სახელით. (საქართველოს შემთხვევაში, ამას იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი დეპარტამენტი ახორციელებს).

თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ სასამართლოს თქვენი გვარის და სახელის ნაცვლად კონკრეტული (თქვენი შერჩევით) ინიციალების გამოყენების შესახებ მოთხოვნით, ვინაიდან იმ მომენტიდან, როდესაც საქმის მასალები გადაეგზავნება სახელმწიფოს (მის შესაბამის საკითხის მნარმოებელ ორგანოს) გასაცნობად, შემდგომშიც – როდესაც საქმე იმყოფება არსებითი განხილვის პროცესში, ან სასამართლოს მიერ გამოტანილია გადაწყვეტილება, ინფორმაცია იდება სასამართლოს ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის.

ინიციალების გამოყენების შემთხვევაში, კონკრეტული პიროვნების ამოცნობა შეუძლებელი იქნება საზოგადოებისათვის, ხოლო მიღებული გადაწყვეტილების არსებობა გაეცნობა.

მაგრამ მიუხედავად იმისა, გამოყენებული იქნება თუ არა ინიციალები სახელმწიფოს იმ ორგანოებისთვის, რომლებიც ანარმოებენ პასუხის გაცემას სასამართლოსათვის, ცნობილი უნდა იყოს მომჩივანის (სარჩელის გამგზავნი პირის) ვინაობა. თუკი მიმართვა სასამართლოსათვის არის ანონიმური, ანუ რეალური გვარისა და სახელის დასახელების გარეშე, აღნიშნულ საჩივარს შემდგომი მსვლელობა ვერ მიეცემა (ვინაიდან შეუძლებელი გახდება დაზარალებული პიროვნების ამოცნობა და შემდგომი სასამართლო განხილვები). ამ შემთხვევაში, საჩივარი დაუშვებლად იქნება ცნობილი.

## სასამართლო განხილვის პროცედურები

სასამართლოს მხრიდან თქვენ დაგვევალებათ კითხვებზე პასუხის გაცემა და სახელმწიფოს კონტრაგუმენტუზე თქვენი შემდგომი კომენტარების წარდგენა. ასევე, თქვენ უნდა დასახელოთ მატერიალური და მორალური ზიანი, რაც უფლებათა დარღვევის გამო მოგადგათ.

ზეპირი მოსმენები, მხარეთა მოწვევით იშვიათად ტარდება, ძირითადად, მნიშვნელოვან და რთულ საქმეებზე. ძირითადად, გადაწყვეტილების მიღება მხარეთა მოწვევის გარეშე ტარდება, მაგრამ სხდომები საჯაროა. მათი ნახვა შესაძლებელია საიტზე ([www.Coe.int.ge](http://www.Coe.int.ge)).

გადაწყვეტილებაში აისახება სასამართლოს მოსაზრება დარღვეულ უფლებათა შესახებ, მათი დარღვევის დონეზე და ასევე, თქვენს მიერ მოთხოვნილი ზიანის თაობაზე.

სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოს დიდ პალატაში სამი თვის განმავლობაში. დიდი პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და სავალდებულოა შესასრულებლად. ამას ზედამხედველობას უწევს მინისტრთა კომიტეტი – ევროპის საპქოს აღმასრულებელი ორგანო.

## შეალეური ზომები

საქმის განხილვის პროცესში ან საქმის აღქვრამდე, შესაძლებელია ისეთი სიტუაცია შეიქმნას, რომ საჭირო გახდეს სასამართლოს ძალით სახელმწიფო ორგანოებისთვის კონკრეტული დავალების მიცემა. აღნიშნული პრაქტიკა დამკვიდრდა იმ საქმეებთან მიმართებაში, სადაც საჭირო იყო დაავადებული პატიმრისთვის ოპერაციის ჩატარება ან ადამიანის დეპორტის შემთხვევაში, როდესაც საჭიროა დეპორტაციის პროცედურის შეწყვეტა. აღნიშნულ წესს არეგულირებს სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლი.

ამ მუხლის ფარგლებში გადაწყვეტილების მიღება სასამართლოს მხრიდან მოხდება რამდენიმე სათოდან რამდენიმე დღემდე (მაქსიმუმ განმავლობაში). დადებითი პასუხის შემთხვევაში, სახელმწიფოს დაევალება დაკმაყოფილებული მოთხოვნის შესრულება და სასამართლოს შემდგომი ინფორმირება, თუ როგორ მოახდინა სასამართლოს დავალების შესრულება ადამიანის დარღვეულ უფლებათა აღსადგენად. მაგალითად, თუკი მოთხოვნა ეხებოდა ჯანმრთელობის საკითხს და ოპერატორის საჭიროებას – რა ზომები ჰქონდა მიღებული სახელმწიფოს კონკრეტული პირის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, თუკი მოთხოვნა ეხებოდა დეპორტაციის პროცესის შეწყვეტას ან შეჩერებას – როგორ განახორციელა აღნიშნული და სხვა.

გენდერულ საკითხებზე, აღნიშნული პროცედურა სასამართლოს ჯერ არ გამოუყენებია. მაგრამ მე-8 მუხლის ფარგლებში, აღნიშნული შუალედური პროცედურის

მოთხოვნის ოეორიული შესაძლებლობა არსებობს. მე-8 მუხლი ოჯახური და პირადი ცხოვრების საკითხს უკავშირდება, რაც ამ მუხლით რეგულირებულ საკითხთა შორის ქალთა ფუნდამენტალურ უფლებებზე საუბრის შესაძლებლობასაც იძლევა.

## ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს როლი ქალთა უფლებათა დაცვის კუთხით

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არ არის ორიენტირებული გენ-დერულ ასპექტებზე, რის გამოც ზოგიერთი საკითხი ვერ დაექვემდებარება მის განხილვას და შესაბამისად, დაუშვებლად იქნება ცნობილი წარდგენილი საჩივარი ან სასამართლო დაადგენს, რომ უფლებათა დარღვევას ადგილი არ ჰქონდა.

ქალთა უფლებათა დაცვის წარმატებული საქმეების სიაში არის:

- ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის აღიარება;
- სიკვდილის დაუშვებლობა ოჯახური ძალადობის დროს;
- აბორტის უფლება;
- გაუპატიურების დაუშვებლობა;
- და სხვა.

ქვემოთ მოყლედ მიმოვიზილავთ ზოგიერთ საქმეს.

### მშობლის ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის მდგომარეობა

საქმეში Johnston v. Ireland სასამართლომ დაადგინა, რომ დაუქორწინებელ მშობლებსა და მათ შეიღებს შორის ტრადიციული ოჯახური კავშირების ნორმალური განვითარება მოითხოვდა, რომ ეს უკანასკნელი სამართლებრივად და სოციალურად მოქცეულიყო ისეთივე პოზიციაში, როგორმაც იმყოფება ბავშვი მაშინ, როდესაც მშობლები ქორწინებაში არიან. ამიტომაც, მშობლების ოჯახური მდგომარეობის გამო ბავშვის მიმართ განსხვავებული მოყყრობა აკრძალულია მე-8 მუხლის თანახმად, მე-14 მუხლთან ერთად.

მაგრამ სხვაგარი გადაწყვეტილება აქვს მიღებული სტრასბურგის სასამართლოს ერთი სქესისგან შემდგარი წყვილის (ტრანსექსუალების) შემთხვევაში. ერთ-ერთმა მათგანმა მდედრობითი სქესი მამრობითი სქესით შეიცვალა, ხოლო მისი პარტნიორი და მათი გოგონა, (რომელიც დონორის მიერ ხელოვნური განაყოფიერების გზით დაიძალა) ამ უკანასკნელის, როგორც პავშვის მამად ცნობას ითხოვდა. ამ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო შესაბამისი ევროპული სტანდარტების არარსებობა, რომელიც ეხება ტრანსექსუალისათვის მშობლის უფლების მინიჭებისა.

შედეგად, სასამართლომ არ დაადგინა, რომ მე-8 მუხლი ითვალისწინებდა ვალებულებას, რომ პირი, რომელიც არ იყო ბილოგიური მამა, ელიარებინა მამად.

### პრეზუმცია, რომ ქმარი არის მამა, არღვევს თუ არა მე-8 მუხლს?

საქმეში K, Z, S v. the Netherlands დედა ასაჩივრებდა იმ გარემოებას, რომ მისმა უუნარობამ გაესაჩივრებინა პრეზუმცია, რომ მისი მეუღლე იყო მისი შეიღების მამა, დაარღვია მისი ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება. სასამართლოს მიაჩინდა, რომ ის პრეზუმცია, რომელიც არ ექვემდებარებოდა გასაჩივრებას, წარმოადგენს მე-8 მუხლის დარღვევას.

ამ საქმეში სასამართლომ დაასკვნა: „ოჯახური ცხოვრების პატივისცემა მოითხოვს, რომ ბიოლოგიური და სოციალური რეალობა აღემატებოდეს სამართლებრივ პრეზუმციას, რომელიც, წინამდებარე საქმის მონაცემებით, ენინააღმდეგება როგორც დადგენილ ფაქტებს, ასევე შესაბამისი პირების სურვილებს და არც ერთ მხარისათვის არ მოაქვს სარგებლი”.

## მეურვეობის მინიჭება არღვევს თუ არა მე-8 მუხლს?

საქმეზე Hendriks v. Nederlands სასამართლომ დაადგინა, რომ “მე-8 მუხლით განტკიცებული ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებით უნდა სარგებლობდნენ როგორც დაქორწინებული, ასევე გაშორებული წყვილები მათ შვილებთან ერთად”.

კონვენცია ქვეყნის ხელისუფლების ორგანოებს უკრძალავს შემდეგს: მანიჭის ან რელიგიური ნიადაგზე უარი განუცხადოს კონკრეტულ მშობლებს შვილების მეურვეობასა და მზრუნველობაზე (საქმე Hoffmann V. Austria). აღნიშნულ ვადანყვეტილებაში აფსტრიის უზენაესი სასამართლოს მიერ გაუქმდებული იყო გაშორებული დედის მეურვეობა იმის გამო, რომ მან შეიცვალა აღმასრებლობა და გახდა იეპოვას მოწმე. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ მშობელთა შორის ნებასმიერი განსხვავება, რომელიც არსებითად დაფუძნებულია მხოლოდ რელიგიურ სხვაობაზე, მიუღებელია.

საოჯახო სამართლნარმოების ხანგრძლივობასთან მიმართებაში სტრასბურგის სასამართლოს მიდგომა არის შემდეგი:

საქმეში W. v. United Kingdom სასამართლომ განმარტა, რომ ოჯახური ცხოვრების პატივისცემა მოითხოვს, რომ მშობელსა და შვილს შორის არსებული სამომავლო ურთიერთობები განისაზღვროს შესაბამისი მსჯელობის და არა მხოლოდ გასული დროის გათვალისწინებით.

საქმეზე H. v. the United Kingdom სასამართლომ გამოთქვა აზრი, რომ ხელისუფლების შესაბამისი ორგანოები ვალდებული არიან გამოიჩინონ განსაკუთრებული მონდომება მაშინ, როდესაც არსებობს საშიშროება, რომ პროცედურულმა შეფერხებამ შეიძლება შეუქცევადი ზეგავლენა მოახდინოს მხარეების ოჯახურ ცხოვრებაზე.

## გაუპატიურება

საქმეში Aydin v. Turkey სასამართლომ გაუპატიურების ფაქტი შეაფასა წამებად კონვენციის მე-3 მუხლის კონტექსტი. აღნიშნულ საქმეში ახალგაზრდა გოგონა დაექვემდებარა ძალადობას ციხეში. სასამართლომ განმარტა, რომ გაუპატიურება აჩენს ღრმა ფსიქოლოგიურ ტრაგმას, რაც უფრო დიდ კვალს ტოვებს სხვა ხასიათის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობასთან შედარებით.

საქმეში M.C v. Bulgaria სასამართლომ დაადგინა, რომ გაუპატიურების ფაქტი არღვევს კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლებს. სასამართლოს შეფასებით, სახელმწიფო ვალდებულია, აღნიშნული ფაქტის დადგომის შემთხვევაში, გამოიძიოს გაუპატიურების შემთხვევები. (საქმეში ახალგაზრდა გოგონა თავისმის მეგობარმა გააუპატიურა.)

## გენდერული ძალადობა

სასამართლომ გენდერულ ძალადობად სცნო ადამიანის უფლებათა დარღვევა საქმეში *Opuz v. Turkey*. მან შეაფასა ძალადობა როგორც კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევა, რაც უკავშირდება დისკრიმინაციას სქესის გამო. სასამართლო აღინიშნა, რომ ქვეყნის სასამართლო დისკრიმინაციულად და პასიურად მოიქცა, როდესაც არ დაიცვა ორი ქალბატონი მეულლისა და სიძის ძალადობისგან, რასაც სიდედრის სიკვდილი მოყვა. განმცხადებელი და მისი დედა ძალადობას განიცდიდნენ, რაც არ იყო შესაბამისად შეფასებული შიდა იმსტანციების მიერ და ჩაითვალა გენდერული დისკრიმინაციის გამოვლენად ევროპული სასამართლოს მხრიდან.

## აბორტის თავისუფლება

საქართველოში აბორტი დაშვებულია. მთავარია, ნორმათა შესაბამისი დაცვით განხორციელდეს – დროულად და ლეგალიზირებულ დაწესებულებაში. მაგრამ, ზოგიერთ ქვეყანაში, აბორტი არ არის ხელმისაწვდომი გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საფრთხო ემუქრება დედის ან ნაყოფის სოციოცხელეს ან ჯანმრთელობას. მაგალითად, ირლანდიდიდან ყოველწლიურად ათასობით ქალი მიერგზავრება სხვა ევროპულ ქვეყნებში აბორტების გასაკეთებლად.

საქმეში *ABC vs. Ireland*, რომელიც ეხებოდა სამ ქალბატონს, რომლებიც განიცდიდნენ მძიმე შედეგს იმის გამო, რომ აბორტის სერვისი არ იყო ხელმისაწვდომი, სასამართლო მიიჩნია, რომ იქიდან გამომდინარე, რომ ირლანდია ვერ არეგულირებს ხელმისაწვდომობას აბორტისადმი, აღნიშნული იწვევს ადამიანის უფლებათა დაცვის ვალდებულებების დარღვევას.

## სად უნდა გავაგზავნოთ საჩივარი და სხვა სახის დოკუმენტაცია?

European Court of Human Rights

Council of Europe

F - 67075 Strasbourg-Cedex

Tel: 33 (0)3 88 41 20 18

Fax: 33 (0)3 88 41 27 30

Internet: [www.echr.coe.int](http://www.echr.coe.int)

შუალედური ზომების მოთხოვნის შემცველი გასაგზავნი დოკუმენტაცია იგზა-  
ვნება ცალკე ფაქტზე:

+ 33 3 88 41 39 00

## ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი

ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი შექმნილია “ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ” კონვენციის (შემდგომში, ჩEEDA ჯ კონვენცია) საფუძველზე. ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი 5 მიზნად ისახავს პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ სფეროში სახელმწიფოს მიერ ქალთა უფლებების დაცვის გარანტიების შექმნას და ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის უზრუნველყოფას. დამატებით ინფორმაციას მოიპოვებთ [საიტზე](http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=7260):

## კონვენციის შესახებ

CEDAW კონვენცია გაერთიანებული ერების გენერალურმა ასამბლეამ 1979 წელს მიიღო და ძალაში შევიდა 1981 წლის სექტემბერში. 30 დღის შემდეგ მას მიუერთდა 20 სახელმწიფო. 2009 წლის მაისისათვის, გაეროს 192 წევრი ქვეყნიდან 186-მა ქვეყანაში მოახდინა კონვენციის რატიფიცირება.

ქალთა დისკრიმინაციის აღმოფენის კომიტეტი ქალთა უფლებებზე ორი-ენტიტებული ორგანოა, ხოლო კონვენცია არის პირველი საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც განმარტავს ტერმინს „ქალთა ნინააღმდეგ მიმართული დისკრიმინაცია“.

### რა არის ქალთა ნინააღმდეგ მიმართული დისკრიმინაცია?

CEDAW კონვენციის 1 მუხლის თანახმად, განსაზღვრება არის შემდეგი სახის:

„ამ კონვენციის მიზნებისათვის ტერმინი «ქალის დისკრიმინაცია» ნიშნავს სქესის ნიშნით ნებისმიერ განსხვავებას, გამიჯვნას ან შეზღუდვას, რომელმაც შესაძლებელია შედეგად მოიტანოს ან რიმლის მიზანია ქალის მიერ, მისი ოჯახური მდგომარეობის მიუხედავად, მამაკაცისა და ქალის თანასწორობის საფუძველზე, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამოქალაქო ან ნებისმიერ სხვა სფეროში ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა აღიარების, სარგებლობის ან გამოყენების შესაძლებლობის შესუსტება ან სრული უარყოფა.«

კონვენცია ავალდებულებს სახელმწიფოებს მიიღონ „ყველა აუცილებელი ზომები“ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად მისი ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის ოჯახში. კონვენცია ეხება „ყველა ფორმის დისკრიმინაციას“, ქალის ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის „პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამოქალაქო ან ნებისმიერ სხვა სფეროში“ (მუხლი 1).

კონვენციაში ნახსენებია ქალთა ცხოვრების შემდეგი კონკრეტული სფეროები:

ტრეფიკინგი და პროსტიტუცია (მუხლი №6)

პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრება (მუხლი №7)

თანაბარი მონაწილეობა (მუხლი №8)

მოქალაქეობა (მუხლი №9)

განათლება (მუხლი №10)

დასაქმება (მუხლი №11)

ჯანმრთელობის დაცვა (მუხლი №12)

ეკონომიკური და სოციალური სფერო (მუხლი №13)

სოფლად მცხოვრები ქალების დაცვა (მუხლი №14)

კანონის წინაშე ქალთა და მამაკაცთა თანასწორობა (მუხლი №15)

ქორწინება და ოჯახური ცხოვრება (მუხლი №16)

დევნილობაში მყოფი ქალები

კონვენციით დაცული კონკრეტული უფლებების განმარტები გაკეთებულია კომიტეტის ზოგად რეკომენდაციებში, სადაც უფრო დეტალური ინფორმაცია მოპოვება. დღევანდელ დღეს წარმოდგენილია 25 ზოგადი რეკომენდაცია.

მათი მოძიება გაეროს შემდეგ საიტზე შესაძლებელია: <http://www2.ohchr.org/english/bodies/cedaw/comments.htm>

მათ შორის მნიშვნელოვანია შემდეგი:

- ძალადობა ქალების მიმართ – ზოგადი რეკომენდაცია №19, 1992;
- თანასწორობა ქორწინებასა და ოჯახში – ზოგადი რეკომენდაცია №21, 1994;
- ქალთა მონაწილეობა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში - ზოგ-

ადი რეკომენდაცია №23, 1997;

- ქალი და ჯანმრთელობა – ზოგადი რეკომენდაცია №24, 1999;
- “დროებით სპეციალურ ზომები”- ზოგადი რეკომენდაცია №25;
- საერთაშორისო დონეზე აღებულ ვალდებულებათა შესაბამისად, კონვენციის ხელმომწერმა სახელმწიფოებმა უნდა გაატარონ შესაბამისი ზომები, რათა მიაღწიონ ქალებისა და მამაკაცების ფაქტური თანასწორობას.

CEDAW კონვენციის ფაკულტატიური ოქმი (OP CEDAW)

ქალთა წინააღმდეგ მიმართული ყველა ფორმის დისკრიმინაციის კონვენციის ფაკულტატიური ოქმი (OP CEDAW) გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1999 წლის ოქტომბერში მიიღო და ლა იყო ხელმოწერისათვის 1999 წლის დეკემბერში. ძალში შევიდა 2000 წლის დეკემბერში ათი ქვეყნის მიერ რატიფიცირების შემდეგ. 2008 წლის თებერვალში, 96 მონაწილე ქვეყანა მიუერთდა კონვენციის ფაკულტატიურ იქმს.

### რას წარმოადგენს ფაკულტატიური ოქმი?

ფაკულტატიური ოქმი კონვენციის დამოუკიდებელი ხელშეკრულებაა. ოქმი მონაწილე სახელმწიფოს განაცხადის (საჩივრის) გაკეთების უფლებას აძლევს, კონვენციაში მითითებულ უფლებებთან მიმართებაში. ანუ, ეს იმას ნიშნავს, რომ დაზარალებულ ქალბატონს საერთაშორისო კომიტეტში დარღვეულ უფლებათა გასაჩივრების საშუალება მიუცემა.

ოქმის შემადგენელი პროცედურები მიმართულია ქალთა უფლებების დარღვების განსახილებად.

## საკომისიკაციო პროცედურა

პროცედურა უფლებას აძლევს დამოუკიდებელ პირს და ადამიანთა ჯგუფს, რომლებიც თავს მიიჩნევენ ქალთა უფლებების დარღვევის მსხვერპლად, შეიტანონ საჩივრი CEDAW კომიტეტში, გაეროს ორგანიზაციაში, რომელიც მონიტორინგს უწევს კონვენციის იმპლემენტაციას (მოთხოვნათა შესრულებას). საჩივრის შეტანა მიჩნეული მსხვერპლის (დაზარალებული ქალბატონის) სახელითაც არის შესაძლებელი, მაგრამ ამ შემთხვევაში აუცილებელია მისი თანხმობა. თუმცა, ასეთი თანხმობის გარეშეც შესაძლებელია ქმედება, თუ ეს სხვადასხვა მიზეზითაა გამართლებული. საჩივრის პროცედურა დაზარალებულს უფლებას აძლევს, მოითხოვოს კონვენციით დაცული ქალთა უფლებების დარღვევით მიყენებული ზარალის ანაზღაურება. კომიტეტი მიიღებს და განიხილავს ფაკულტატიურ იქმს მიერთებული ყველა მონაწილე სახელმწიფოსგან შეტანილ საჩივრს.

### შუალედური ზომები

ფაკულტატიური ოქმი CEDAW კომიტეტს გადასცემს მანდატს, რომლითაც კომიტეტს ეძლევა უფლება, მოითხოვოს მონაწილე სახელმწიფოს მიერ იმ შუალედური ზომების გატარება, რომელიც დაიცვეს სავარაუდო დარღვევების მსხვერპლს ან მსხვერპლებს შესაძლო საშიშროებისაგან. კომიტეტს ამ მექანიზმის გამოყენება შეუძლია, თუ ჩათვლის, რომ მსხვერპლი დაუცველია ფიზიკური და მენტალური ზიანისგან, რომელიც გამოუსწორებული შედეგიდან გამომდინარეობს. კომიტეტს შეუძლია მოითხოვოს შუალედური ზომების გატარება ნებისმიერ დროს საჩივრის მიღების დღიდან.

შუალედური ზომები არის შიდა კანონმდებლობაში განხილული დროებითი განკარგულების მსგავსი ნორმები. ჩგამოყენების წესი იგივეა, რაც ადამიანის უფლებათა უროპული სასამართლოს შემთხვევაში.

## საგამოძიებო პროცედურა

ეს არის მექანიზმი, რომლის მეშვეობით CEDAW კომიტეტს შეუძლია აწარმოოს გამოძიება მონაწილე სახელმწიფოსთან თანამშრომლობით. გამოძიების პროცედურა ეხება ქალთა უფლებების დარღვევის სისტემატიურ და მძიმე შემთხვევებს, რომელთაც ადგილი აქვთ მონაწილე სახელმწიფოს იურისდიქციაში. კომიტეტის დავალებით, სპეციალურად დანიშნული ექსპერტები იკვლევენ მდგომარეობას კონკრეტულ ქვეყანაში.

## რას წარმოადგენს ქალის ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი – CEDAW?

ქალის ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანოს, რომელიც 1982 წელს ჩამოყალიბდა. კომიტეტი უფლებამოსილია მონიტორინგი გაუწიოს მონაწილე სახელმწიფოებს კონვენციის განხორციელებისას და მათი ყურადღება მიმართოს იმ საკითხებზე, რომელიც შესაბამისი რეკომენდაციებით ეხებათ ქალებს. კომიტეტი 23 წევრისგან შედგება – ქალთა უფლებების დაცვისა დამოუკიდებელი ექსპერტებისგან, რომელთა შერჩევისას მხედველობაში მიიღება სამართლიანი გეოგრაფიული განაწილება და სხვადასხვა სამართლებრივი სისტემის წარმომადგენლობა.

## როგორ მუშაობს კომიტეტი?

კომიტეტი წლიწლადში სამჯერ იკრიბება (2010 წლიდან), რათა განიხილოს მონაწილე სახელმწიფოების მიერ კონვენციით დაკისრებულებების შესრულება სახელმწიფო ანგარიშისა და ჩრდილოვანი ანგარიშების შეფასებით. კონვენცია ასევე განიხილავს ზოგადი დებულებებით მოცული საკითხების გატარებას და შემთხვევებს, რომელიც განიხილება ფაკულტატიური ოქმის (OP-CEDAW) ფარგლებში.

## რა როლი აქვს კომიტეტს?

კომიტეტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს კონვენციის დებულებათა განმარტებაში. CEDAWF ფაკულტატიური ოქმი კომიტეტს გადასცემს მანდატს, რომელიც მას უფლებას აძლევს მიიღოს ქალების ან მათი სახელით შედგენილი საჩივარი (საკომუნიკაციო პროცედურა), ასევე გამოიძიოს მძიმე და სისტემატიური ხასიათის ქალთა უფლებების დარღვევები (საგამოძიებო პროცედურა).

კომიტეტს, დღესდღეობით, 37 საქმე აქვს განხილული ან იმყოფება მის განხილვაში.

## სად უნდა გაიგზავნოს კომუნიკაცია?

თქვენი საჩივარი და სხვა კომუნიკაცია უნდა გადაიგზავნოს:  
Petitions Team

Office of the High Commissioner for Human Rights  
United Nations Office at Geneva  
1211 Geneva 10, Switzerland  
Fax:+ 41 22 917 9022

(particularly for urgent matters)

საჩივარი კომიტეტის ერთ-ერთ სამუშაო ენაზე უნდა იყოს შედგენილი (ინგ-ლისურ, რუსულ, ფრანგულ, ესპანურ, ჩინურ ან არაბულ ენაზე). თუ შესაძლებელია თქვენი საჩივარი დამატებითი ინფორმაციის დანართით შეავსეთ მტკიცებულებებით, რომლებიც თქვენს მიერ წარმოდგენილი საჩივრის საგანს უკეთესად ასახავს (მაგ: დარღვევები, მსხვერპლის ან მსხვერპლთა მდგომარეობა). ამ შემთხვევაში, შეიძლება არა მხოლოდ წერილობითი დოკუმენტაციის, არამედ წებისმიერი ნივთმტკიცებულების გამოყენება ფოტოსურატებისა და დისკების ჩათვლით.

თქვენ უფლება გაქვთ, მიღებული ზარალის ანაბლაურების (მაგ: ფინანსურისა და მორალურის). შესაძლოა, სახელმწიფოსგან მოითხოვოთ ადეკვატური ზომების მიღება, რათა შემდგომში დისკრიმინაციის ასეთ ფორმას ადგილი არ ჰქონდეს (მაგალითად, შესაბამისი კანონის მიღებას ან მისი არსებული ნორმის პრაქტიკაში ამოქმედებას).

თუკი:

საჩივარი ეხება ქვეყნას, რომელიც არ არის ფაკულტატიური ოქმის მონაბილე; (თქვენ შეგიძლიათ სხვა ქვეყნის მიმართ საჩივრით მიმართვა, სადაც ვერ მოხერხდა თქვენი უფლებების დაცვა);

საჩივარი ანონიმურია:

- არ არის თანხმობა სავარაუდო დარღვევის მსხვერპლის ან მსხვერპლების, ვისი სახელითაც საჩივარი შევსებულია, თუმცა ქმედება თანხმობის გარე-შეც გამართლებულია;
- ეროვნულ დონეზე შესაძლებელი ყველა სამართლებრივი ზომა გამოყენებული არ არის. CEDAW კომიტეტი სავარაუდო დარღვევის მსხვერპლებისგან მოითხოვს, რომ საჩივრის შეტანამდე, მათ სამართალი თავდაპირველად ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში მოიპოვონ და ამონურონ ყველა შიდა სამართლებრივი რესურსი. შესაძლებელია, კომიტეტმა დაუშვას გამონაკლისი, თუ მიიჩნევს, რომ შიდა სამართლებრივი ზომები „უმიზეზოდ გახან-გრძლივებულია“ ან „სასურველ შედეგს არ მოიტანს“.

კომიტეტის გადაწყვეტილება მოსაზრების სახით არის წარმოდგენილი, თუმცა თავისი შინაარსით არის სრულყოფილი გადაწყვეტილება.

აღნიშნულ და სხვა საკითხებზე, კონკრეტულ პასუხს იურისტი გაგცემთ. ამიტომ, სასურველად, ყოველთვის გაიაროთ იურიდიული კონსულტაცია. ჩვენი მხრიდან, გისურვებთ წარმატებებს. შეკითხვების ან შენიშვნების არსებობის შემთხვევაში, ველით თქვენს ზარს ან ვიზიტს.

# ქალადობა ოჯახში

ქალთა მიმართ ძალადობა გენდერული თანასწორობის მუდმივ პრობლემად ჩატარდება. მთელს მსოფლიოში, ყოველი მესამე ქალი, ძალადობის მსხვერპლია. გენდერული თანასწორობის მიზანია, ყველასთვის თანაბარი შესაძლებლობების მიცემა ოჯახურ, საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციოლოგიურ ცხოვრებაში, განურჩევლად სქესისა.

## რას ნარმალიზაციის მჯახში ძალადობა?

ნებისმიერი ადამიანისა და პიროვნების უფლებაა, დაცული იყოს ნებისმიერი ფორმის ძალადობისგან, მათ შორის იჯაშებიც. ძალადობას, ხშირად, ადგილი აქვს ახლობელ ადამიანებს შორის – ცოლსა და ქმარს, მშობლებსა და შვილებს, ასევე არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ პირთა შორის (იხილეთ თავი „საოჯახო სამართალი“). ორივე სქესის ნარმობადგენული შეიძლება გახდეს ძალადობის მსხვერპლი, მაგრამ როგორც მსოფლიო სტატისტიკა უჩვენებს, ქალები მსხვერპლთა უმრავლესობას – 95% ნარმობადგენენ.

1999 წლიდან გაეროს გენერალურ ასამბლეის მიერ მიღებულ იქნა მრავალი რეზოლუცია ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის თაობაზე, ხოლო 2006 წლის შემდეგ, გენერალური მდივნის ხელმძღვანელობით დაიწყო სილომისეული კვლევა ყველა ფორმის ძალადობის შესახებ. სხვა რეზოლუციებთან ერთად, გენერალურმა ასამბლეამ მიღონ № 61/143 რეზოლუცია ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრის თაობაზე, ასევე ზოგადი რეკომენდაცია №19, 1992, ქალთა ძალადობასთან მიმართებაში. ჩგაერთიანებული ერების რიგი რეზოლუციების მიხედვით, სახელმწიფო რეგულირებას დაექვემდებარა კერძო ხასიათის საკითხების დაცვის განხილვა, მათ შორის, ოჯახური ხასიათისაც.

გაეროს ორგანოების მიერ აღიარებულ იქნა, რომ შეიძლება მოთხოვონ მონაწილე სახელმწიფოს, მიიღოს ზომები ქალთა მიმართ ძალადობის აღვევთის მიზნით, სადაც ქალის უფლების თანაბარი სარგებლობა არ არის დაცული. უფრო კონკრეტულად, მაგალითად, CEDAW კონვენცია მოითხოვს მონაწილე სახელმწიფოსგან, დაგმოს ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმა.

გარდა ამისა, გაეროს ხელშეკრულებებისა და ევროპის საბჭოს ვალდებულებების შესაბამისად, საქართველო, როგორც წევრი სახელმწიფო, ვალდებულია დანერგოს, განავითაროს და გააუმჯობესოს, აუცილებლობის შემთხვევაში, ეფექტური ეროვნული პოლიტიკა განახორციელოს ძალადობის ნინააღმდეგ. ასევე, გაატაროს უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და მსხვერპლთა დაცვის, დახმარებისა და მხარდაჭერის ზომები.

ერთ-ერთ საქმეზე (A.T. v. Hungary, Communication No. 2/2003) კომიტეტმა დაადგინა, რომ „განუდერული სახის ძალადობა არის დისკრიმინაცია, რაც სერიოზულად აფერხებს ქალთა უნარს ისარგებლოს უფლებათა და თავისუფლებათა თანასწორობის საფუძველზე მამაკაცებთან ერთად“.

არაერთი წლის განმავლობაში საქართველოში არსებობდა ოჯახური კატეგორიის საქმეთა „განუხილველობის“ პრაქტიკა, ან ე. წ. „განუხილველობის“ სინდრომი. თუ ქალი ან სხვა ოჯახის წევრი ნაცემი იყო გარე პირის მიერ, რომელიც არ წარმოადგენდა ოჯახის წევრს ან ქმარს, აღნიშნული საქმე ჩვეულებრივად იხილებოდა პოლიციის ან პროკურატურის მუშაკთა მიერ. იმ შემთხვევაში, თუკი ქალი აცხადებდა ანალიგიურ ძალადობაზე, როგორც წესი, საქმეს მსვლელობა არ მიეცემებოდა.

ქმრის მიერ ცოლის გაუპატიურების შემთხვევაში, ანალიგიურ სიტუაციას ვხდებოდით. ამ დროს, სექსუალურ ურთიერთობაში შესვლა ნება-ყოფლობითია, მიუხედავად იმისა, იმყოფება თუ არა ქალი და კაცი ქორწინებაში, ქორწინება ფაქტობრივია ან იურიდიულად დამოწმებულია.

საქართველოს კანონმდებლობით აკრძალულია ძალადობრივი სექსუალური კავშირი, ცემა, სიტყვიერი შეურაცხყოფა (გინება) და სხვა ძალადობრივი ქმედებები, რაც განსჯად ქმედებას წარმოადგენს და სისხლის სამართლის კოდექსის ნორმათა შემადგენლი ნაწილია. მაგრამ დიდ ხნის განმავლობაში, სისხლის სამართლის ნორმები იჯახი ძალადობის დროს გამოიყენებელი რჩებოდა.

2006 წლის ივნისის თვეში, საქართველოს პარლამენტმა მიიღო სპეციალური კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“. აღნიშნული კანონით, პირველ რიგში, ოჯახში ძალადობის არსებობა აღიარებული იყო; მეორე – დაცვის კონკრეტული მექანიზმები დაწესდა (შემაკავებელი და დამცავი ორდერების სახით). ასევე, ისეთი სახით განმარტება შემოვიდა, როგორიც არის მსხვერპლი (დაზარალებული ქალბატონი, ბავშვი) – და მოძალადე ანუ, ვინც ძალადობას ახორციელებს.

თავიდან, დაწესებული მექანიზმების დარღვევის გამო, მოძალადისთვის ადინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით მითითებული პასუხისმგებლობა განისაზღვრა ჯარიმის სახით, რაც შემდგომი პრაქტიკის მიხედვით, ოჯახური ძალადობის აღსაკეთად არასაკმარისა აღმოჩნდა.

2006 წლის შემდეგ, საქართველოში ქალთა უფლებათა დაცვის კუთხით არაერთი ლონისძიება და საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, ასევე განუდერული კუთხით სასამართლო და სხვა სახის, პრაქტიკა დამკიდრდა. (იხილეთ ამ თავის განხილული შემდგომი მაგალითები სასამართლო პრაქტიკიდან). საქართველოში გენდერული პოლიტიკა ხორციელდება პარლამენტის მიერ მიღებული გენდერული თანასწორობის სახელმწიფო გეგმის საფუძველზე (ამჟამად ძალაშია 2012-2015 წე. სამოქმედო გეგმა).



## ორივე სქესის წარმომადგენელი



## შეიძლება გახდეს ძალადობის მსხვერპლი



ბოლო საკანონმდებლო ცვლილებების მიხედვით, 2012 წლის ივნისში განხორციელდა ოჯახში ძალადობის კრიმინალიზაცია, რაც გულისხმობს იჯახში ძალადობის სისხლის სამართლებრივ დანაშაულად აღიარებას. კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის დაქმატა 111-ე და 1261-ე მუხლები, რომლებმაც იჯახში ძალადობა სისხლის სამართლის დანაშაულად ცნო და პასუხისმგებლობის ზომებიც განსაზღვრა. სისხლის სამართლის კოდექსის 11 მუხლით განისაზღვრა პასუხისმგებლობა იჯახური დანაშაულისათვის, კერძოდ, სისხლის სამართლის კანონის განმარტებით, იჯახის ერთი წევრის მიერ იჯახის სხვა წევრის მიმართ დანაშაულის ჩადენა განიხილება როგორც იჯახური ძალადობის გამომხატველი ქმედება და დასჯადა სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლის ფარგლებში. აღნიშნული ნორმით, სახელმწიფოს ნების-მიერი ირგანო ვალდებულია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, განახორციელოს საქმების განხილვა იმ შემთხვევაში, თუკი ფაქტი მოხდა იჯახის წევრთა შორის და ასევე სხვა პირთა შორის, რისი წრეც განსაზღვრულია ზემოთ მითითებული კანონით „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, იჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ (იხლეთ შემდგომი საკითხები).

ეს იმას ნიშნავს, რომ თუკი ქალბატონი, მაგალითად, ნაცემია, აღნიშნული ფაქტის შეფასება და ამ ქმედების ჩამდენი პირის პასუხისმგებლობა აუცილებლად უნდა დადგეს სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 მუხლის მიხედვით, რომლითაც განსაზღვრულია ისეთი დასჯადი ქმედება, როგორიცაა ცემა. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 მუხლის მიხედვით, ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რომელმაც დაზარალებულის ფიზიკური ტკიფილი გამოიწვია, ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით, ვადით ას ოციდან ას ოთხმოც საათამდე, ანდა გამასხორებელი სამუშაოთი, ვადით თხუთმეტ თვემდე. იგივე ქმედება, ჩადენილი ნინაბნარი შეცნობით, არასრულწლოვნის მიმართ, ისჯება ჯარიმით ან გამასხორებელი სამუშაოთი, ვადით თხუთმეტიდან ოცდაოთხ თვემდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.

სხვა ქმედებების განხორციელების შემთხვევაშიც – მუქარა, შანტაჟი და სხვა-პასუხისმგებლობის საკითხი დადგება ზემოაღნიშნული პრინციპის მიხედვით.

## ძალადობის სახეები

კანონის გაგებით, იჯახში ძალადობა ნიშნავს ერთი წევრის მიერ სხვა წევრის, მათ შორის ქალის უფლებათა შეზღუდვას. აღნიშნული შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა საშუალებით, როგორც ფიზიკური შეხებით და სიტყვებირად, ასევე უმოქმედობით (როდესაც საჭიროა, კონკრეტული ქმედების განხორციელება და ადამიანი თავს იკავებს ქმედების განხორციელებისაგან).

მაგალითად, თუ ქმარი ცოლს უკრძალავს სამსახურში გასვლას, დასაქმებას, აღნიშნული უკვე ძალადობას წარმოადგენს. შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა, პატივისა და ლირსების შემლახველი ქმედებები (მაგალითად, გინება, ლანძღვა, უწმანური სიტყვების მომართვა), ასევე ძალადობის ერთ სახეს მიეკუთვნება.

თუკი შეურაცხყოფას, შანტაჟს, დამცირებას, მუქარა ან სხვა მოქმედებას ვხდებით და აღნიშნული პატივისა და ლირსების შელახვასთანაა დაკავშირებული, სახეზე უკვე ფინანსურული ძალადობა.

მაგალითად, ძალადობის მსხვერპლი აღნიშნავნ არაერთ განცხადებაში აღნიშნავნ, რომ ინცინდენტების შემდეგაც გრძელდება მუქარა. ეს უკანასკნელი აშკარად სახიფათოა განმცხადებლისა და მისი შვილებისათვის. მუქარა და შანტაჟი ასევე შეიძლება ზარებისა და სატელეფონო შეტყობინების საშუალებითაც ხორციელდებოდეს.

**ფიზიკური ძალადობა** შეიძლება გამოიხატოს ცემაში, წამებაში, ჯანმრთელობის დაზიანებაში, გატაცებაში, თავისუფლების შეზღუდვაში, – რაც ძალადობის უკიდურესი გამოხატვაა.

ხშირად, თუ სხვა წევრები მის კმაყოფაზე იმყოფებიან, ფინანსური ხასიათის სანქციების დაწესებით მოძალადე ცდილობს, აიძულოს მსხვერპლი მისთვის არასასურველი მოქმედებისგან თავი შეიკავოს, ან თავისივე სურვილით აიძულოს, განახორციელოს სასურველი ქმედება. აღნიშნული ეკონომიკურ ძალადობას წარმოადგენს. მაგალითად, ზოგიერთ შესწავლილ საქმეზე გამოიკვეთა, რომ მოძალადის მიერ ხდებოდა თანხის გაცემა კონკრეტული საჭროების დამტკიცების შემდეგ და შემდგომში ის შესაბამის ქვითრებსაც ამონებდა.

სასამართლოს განხილვას დაეკეთებარა არაერთი შემთხვევა, სადაც გარემოებათა შესწავლის შედეგად გამოიცა შემაკავებელი ორდერი და დადგინდა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის განხორციელების ფაქტი.

არაერთი შემთხვევაა, როცა ძალადობას ოჯახში ეკეთებარებიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები. ერთის მხრივ, ისინი გაძლიერებულ ყურადღებას საჭიროებენ, რაც გარევულნილად დამატებით ტყირთს აკისრებს ოჯახის წევრებს და ამავდროულად, აგრესიასაც ინვეგს მათში. ან, პირიქით, ძალადობა უმოქმედობაში (დაუხმარებლობაში, მოვლაზე უარის თქმაში) გამოიხატება. ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებულ მოთხოვნილებათა დაუკავშირობლობა, რაც გამოიწვევს ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს, ისევე განიხილება, როგორც ძალადობის გამოხატვა.

**სექსუალურ ძალადობად ითვლება** სქესობრივი კავშირის დამყარება ძალადობით, ძალადობის მუქარით ან უმწეო მდგომარეობის გამოყენებით, ისევე როგორც სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის მოქმედებები არასრულწლოვნის მიმართ. აღნიშნული დასჯადი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით.

ყველა შემთხვევაში, თვითი სუბიექტური მიზეზების გამო, სხვადასხვა საშუალებითაც მოძალადე ცდილობს კონტროლი დამყაროს თავის მსხვერპლთან. მოძალადის ზემოაღნიშნული ქმედებები ანადგურებს არა მხოლოდ სრულწლოვან წევრებს, მათ ჯანმრთელობას, არამედ წარუშლელ დაღს ასკამს შვილების ფსიქიკას და უხეშად ლახავს მათ უფლებებს.

### ვინ არის მოძალადე?

ნიშანდობლივია ის, რომ ხშირ შემთხვევაში მოძალადე ძალადობს კონკრეტული პიროვნების ან პირების მიმართ. ამ დროს, იგი შეიძლება დარჩეს სავსებით კეთილგანწყობილ და ნესიერ, სანიმუშო ადამიანად სხვა პირთა მიმართ. ხშირად, მოძალადე აზარტული თამაშებით არის დაკავებული, ხოლო თამაშებში წარუმატებლობის გამო იგი ხდება დეპრესიული, აგრესიული, მიეძალა ალკოჰოლურ სასმელს; ნასვამ მდგომარეობაში მყოფი მისი ოჯახის წევრების მიმართ არის აგრესიული, უმიზეზოდ აყენებს მათ სიტყვიერ შეურაცხყოფას, იმუქრება, ავინროვებს.

### რა ნიშნებით ხასიათდება ტიპიური მოძალადე?

მოძალადეთა დამახასიათებელი ნიშნებია: ეჭვინობა, მაკონტროლებელი ქცევა, იზოლაცია, სხვისი დადანაშაულება, კრიზისის დროს ცდილობს თავი მსხვერპლად წარმოადგინოს. კანონის განმარტებით, მოძალადედ ითვლება ოჯახის წევრი, რომელიც ახორციელებს ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ, სექსუალურ ძალადობას ან ზეწოლას ოჯახის სხვა წევრებზე.

## ვინ იგულისხმება ოჯახის წევრად?

ოჯახის წევრი, კანონის გაგებით, არის როგორც პირდაპირი ნათესავი, ასევე მოძალადის მხრიდან ოჯახის წევრი, ასევე ყოფილი მეუღლე და მისი ნათესავები: დედა, მამა, პაპა, ბება, მეუღლე, შვილი (გერი), შვილობილი, მშვილებლები, მშვილებლის მეუღლე, ნაშვილები, მიმღები ოჯახი (დედობლი, მამობილი), შვილშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობლები, სიძე, რძალი, ყოფილი მეუღლე, ქორწინებაში მყოფი პირები (რომლებიც ეწევიან ან ეწეოდნენ ერთან საოჯახო მეურნეობას) და მათი ოჯახის წევრები, მეურვე.

ზოგიერთ შემთხვევაში, მშობელი შვილების მხრიდან ხდება მსხვერპლი. ერთ-ერთ (მაგრამ არა ერთადერთ) შემთხვევაში, სასამართლოს განხილვას დაექვემდებარა საქმე, სადაც განმცხადებელი იძულებული გახდა, გაქცეულიყო სახლიდან მიუხედავად იმისა, რომ სახლი მისი საკუთრებაა.

გაუქიშვილი ითხოვდა დედისგან, რომ სახლი დატოვებინა. განმცხადებლის განმარტებით, ასეთი მდგომარეობა გრძელდება უკვე 8 წელიწადია, რის გამოც მას თავის შეფარება უწევს ხან ერთ, ხან მეორე ახლობელთან. ამჟამადაც, ბოლო კონფლიქტის შემდეგ, იგი იმყოფება ახლობელთან. მითითებული გარემოებების გამო 6. ბ.-ს გადაწყვეტილი აქვს საკუთარი სახლის გაყიდვა, რათა ცალკე შეიძინოს ბინა და იცხოვრის შვილისგან იზოლირებულად, თუმცა ის ამის საშუალებას არ აძლევს.

## ორდერის შეუსრულებლობა იწვევს

### სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას!

უძრავი ნივთის – საცხოვრებელი სახლით სარგებლობასა და განკარგვაში (გაყიდვაში). ასევე დადგინდა ფიზიკური, ფსიქოლოგიური და ეკონომიკური ძალადობის განხორცილების ფაქტი. დამცავი ორდერის მოქმედების ვადა განისაზღვრა 3 (სამი) თვით.

სამწუხაროდ, ძალადობა ასაკით არ შემოიფარგლება. ძალადობის ფაქტები გვხვდება სხვადასხვა ასაკის პირთა შორის, მაგალითად, ერთ-ერთ განსახილველ საქმეზე სასამართლო სხდომაზე გამოცხადდა მსხვერპლი, რომელმაც მოითხოვა შემაკავებელი ორდერის დამტკიცება და მანვე მიუთითა, რომ იგი და მისი მეუღლე 36 წელია იმყოფებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში, ჰყავთ ორი სრულწლოვანი შვილი. დაახლოებით 2006 წლიდან ჯ. ქ. სისტემატურად ძალადობს მ.ქ.-ს მიმართ როგორც სიტყვიერად, ისე ფიზიკურად, აქვს ეჭვება მასზედ, რომ იგი (მ.ქ.) მას უკეთებს ე.წ. „ჯადოს“ ტანისამოსზე და საკვებში; ჯ. ქ.-ს საცხოვრებელი ბინის ერთი ოთახი დაკეტილი აქვს ბოლომით, რათა ოჯახის სხვა წევრები არ შევიდნენ მის ოთახში. დახმარებისათვის აღნიშნულმა ქალბატონმა მიმართა მხოლოდ 2012 წელს.

## რა მექანიზმი არსებობს ოჯახში ძალადობის გადასაჭრელად?

დამცავი და შემაკავებელი ორდერები. ესენი მიეკუთვნებიან სპეციალური აღკვეთის მექანიზმებს.

## რა საერთო თვისებები აქვთ ამ ორ ტიპის ორდერებს?

ორივე შემთხვევაში, აღნიშნული ორდერებით მოწესრიგდება ურთიერთობა ოჯახში, მოძალადესა და მსხვერპლს შორის. განსხვავება გამოიხატება გამოცემის

წესში. შემაკავებელი ორდერი გამოიწერება საპატრულო პოლიციის მუშაკის მიერ, დამცავი ორდერი – უშუალოდ სასამართლოს მიერ, მიმართვის შემთხვევაში. აღნიშნული ორდერების მეშვეობით, მოძალადის კონკრეტული ქმედებების შეზღუდვა კონკრეტული დროის განმავლობაში ხდება. ამ შემთხვევაში, სასამართლოს მიერ განიხილება ფაქტობრივი გარემოებები და კონკრეტული ქმედებები. არსებული საშიშროებდან გამომდინარე, კონკრეტულ მოძალადეს აეკრძალება ამა თუ იმ ქმედების განხორციელება ან პირიქით, შეიძლება დაევალოს კონკრეტული ხასიათის ქმედების გაკეთება, მაგალითად, მსხვერპლთან მახლოვების საკითხი და ა.შ. (იხილეთ შემდგომი ქვეთავები).

ორივე ორდერით გათვალისწინებული წესების შეუსრულებლობა, დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, იწვევს პასუხისმგებლობას.

### **პასუხისმგებლობის რა ზომებია გათვალისწინებული კანონმდებლობით?**

პირველ რიგში, შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა ადმინისტრაციული ხასიათის პასუხისმგებლობას იწვევს – პატიმრობას 7 დღემდე ან გამასწორებელი სამუშაოების დანიშვნას ერთ თვემდე.

დამცავი ორდერის შეუსრულებლობა გამოიწვევს პატიმრობას 30 დღემდე ან სამთვევედროის დანიშვნას.

### **ორდერების შეუსრულებლობა სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობასაც იწვევს!**

დამცავი და შემაკავებელი ორდერების მიერ გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა, თუ მოძალადის მიმართ უკავე იყო გამოყენებული ადმინისტრაციულ სამართლდარღვევთა კოდექსის ზემოაღნიშნული მუხლი, იწვევს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას – ჯარიმს, ან საზოგადოებისთვის სასაკრებო შრომის დანიშვნას ასორმოცდაათიდან ორას საათამდე, ან ციხეში მოთავსებას ერთ წლამდე. ასევე, ამჟამად მოქმედებს ზემოთ მიმითებული სისხლის სამართლის კოდექსთ მოწესრიგებული პასუხისმგებლობის დაკისრების წესი.

### **რა განსხვავება არსებობს ამ ორ ორდერს შორის?**

შემაკავებელ ორდერს გამოწერს პოლიციის თანამშრომელი. შემდგომში, **24 საათის განმავლობაში**, პოლიციის თანამშრომელი, დაზარალებულ მოქალაქესთან ერთად, პოზიციის დასამტკიცებლად სასამართლოს წინაშე უნდა გამოვიდეს. დამცავი ორდერის შემთხვევაში, მოქალაქემ განცხადებით უნდა მიმართოს უშუალოდ სასამართლოს, სადაც **10 დღის განმავლობაში**, განცხადების განხილვა მოხდება.

დამცავი ორდერისგან განსხვავებით, შემაკავებელი ორდერის ფარგლებში ოჯახური ძალადობის საკითხი ჯერ პოლიციის, ხოლო შემდეგ სასამართლოს განხილვის საგანი ხდება სპონტანურად, წინასწარ დასახული რაიმე კონკრეტული გეგმის, წინასწარ მომზადების გარეშე; ანუ, მსხვერპლს უნდა შეეძლოს იმის გაცნობიერება, რომ თუკი იგი აღმოჩნდება ასეთ სიტუაციაში, არ უნდა დაელოდოს ხვალინდელი დღის დადგომას და კონფლიქტის მომენტშივე უნდა გამოიძახოს საპატრულო პოლიცია. გამოცხადებისთანავე, პოლიციის თანამშრომელი შეადგენს ოქმს და გამოწერს შემაკავებელ ორდერს.



**გახსოვდეთ!** შემაკავებელი ორდერი არის მსხვერპლის ყოველდღიურ ცხოვრებაში შექმნილი კრიტიკული სიტუაციიდან გამოისავალი, რომელიც იმით არის მნიშვნელოვანი, რომ ოჯახური ძალადობის სპეციფიკიდან გამომდინარე, პრობლემები გვარდება იმწუთერად, სახელდახელოდ.



როგორ მიიღწევა შემაკავებელი ორდერის გამოცემაა

მოძალადისგან თავის დაცვის, კონფლიქტური სიტუაციის განმუშავების მიზნით მსხვერპლის, ან სხვა პირის (ოჯახის წევრის, მეზობლის, ნათესავის) მიერ უშუალოდ კონფლიქტის მომენტში უნდა მოხდეს პოლიციის გამოძახება.

პოლიციის მიერ მოხდება შემაკავებელი ორდერის გამოწერა.

შემაკავებელი ორდერის დამტკიცების შესახებ საკითხი სასამართლოში განიხილება.

რა ევალება პოლიციის თანამშრომელს გამოძახების შემდეგ?

ძალადობის ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში, პოლიცია ვალდებულია:

- განცალკევებულად გამოკითხოს ოჯახში ძალადობის სავარაუდო მსხვერპლი, მოწმე, მოძალადე, რაც წერილობით დაფიქსირდება;
  - მიაწოდოს ინფორმაცია მისი უფლებების შესახებ, ანუ განუმარტოს უფლებები;
  - მსხვერპლის მოთხოვნით, ან გადაუდებელ შემთხვევაში, უზრუნველყოფს მის გადაყვანას სამედიცინო დანესხებულებაში, თავშესაფარში ან სხვა ადგილას;
  - ასევე, პატრულის თანამშრომელი, ვალდებულია დაეხმაროს პირველადი საჭიროების ნივთებისა და საიდენტიფიკაციო ღოკუმენტების წამოლებაში;
  - უზრუნველყოფს იმ პირთა უსაფრთხოება, ვინც განაცხადა ძალადობის ფაქტის თაობაზე;

შემაცავებული ორდერის სასამართლოს კანცელარიაში წარდგენიდან **24 საათის** განმავლობაში, სასამართლო განიხილავს ორდერის გამოცემის მიზანშეწონილობის საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მისა:

1. დამტკიცების;
  2. დამტკიცებაზე უარის თქმის;
  3. ან ნაწილობრივ დამტკიცების შესახებ.

ნაწილობრივ დამტკიცება ნიშნავს წარდგენილ მოთხოვნათა ნაწილის დაკმაყოფილებას.

შემაკავებელი ორდერის დამტკიცების შემთხვევაში, სასამართლო გადაწყვეტილებაში, დეტალურად იქნება ასახული მოძალადისთვის დაწესებული შეზღუდვების პირობები და მსხვერპლის დასაცავად გათვალისწინებული ღონისძიებები (იხილეთ შემდგომი ქვეთავება). თუკი შემაკავებელი ორდერის გამოცემის საკითხის განხილვისას სახეზეა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები, კერძოდ: ცემა, გაუპატიურება, ჯანმრთელობის დაზიანება და სხვა, საქმის მასალები ეგზავნება შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიულ განყოფილებას, სისხლის სამართლის საქმის აღძრის საკითხის გადასაწყიბად.

მატერიალური ზიანის მიყენების შემთხვევაში, თქვენ უფლება გაქვთ, მიმართოთ საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიას, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, სამოქალაქო კოდექსის დებულებათა დაყრდნობით. (სსკ 998-1000, 442 მუხლები).

ასევე, ძალადობის ფუქტის შემთხვევაში, შეიძლება მიმართოთ საუბრო სამსახურს (საუბრო ინსპექტორობის), რომელსაც ეკალება შემთხვევის შესახებ ინფორმაციის

გადაცემა შემდგომი რეაგირებისთვის, კერძოდ, შემაკავებელი ორდერის გამოსაწერად. შემაკავებელი ორდერი გამოიცემა ძალადობის კონკრეტული ფაქტის საფუძველზე. დამტკიცების შემთხვევაში, მოქმედებს ერთი თვის ვადამდე.

## ლაშვაზი ორდერი

**დამცავი ორდერი –** პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული წესით გამოცემული აქტი, რომელიც გამოიწერება **6 თვემდე ვადით.** შესაძლებელია აღნიშნული ორდერის მოქმედების ვადის გაგრძელება კიდევ **3 თვით.**

დამცავი ორდერის გამონერა ხდება სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგის მიერ. ამ შემთხვევაში, საჭიროა განცხადების შეტანა **ადმინისტრაციულ სასამართლოში,** საცხოვრებელი მისამართის მიხედვით. განცხადებაში ძალადობის ფაქტების დასადასტურებლად აღნერილი უნდა იყოს კონკრეტული შემთხვევები, პერიოდულობა, კონკრეტული მოწმეები და სხვა მტკიცებულებები.

### ვის აქვს დამცავი ორდერის მოთხოვნის უფლება?

დამცავი ორდერის მოთხოვნის უფლება აქვს მსხვერპლს, მისი ოჯახის წევრს, ან მსხვერპლის თანხმობით პირს, რომელიც მსხვერპლს უწევს სამედიცინო, იურიდიულ, ფსიქოლოგიურ დახმარებას. არასრულწლოვანის მიმართ ძალადობის შემთხვევაში, – ასევე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს.

### რა შეიძლება გამოვიყენოთ მტკიცებულებად?

ადრე გამონერილი შემაკავებელი ორდერები, ერთი მაინც. ასევე, ცნობები ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (თუ თქვენ ალგენიშნებოდათ დაზიანებები და ამის თაობაზე მიმართავდით ექიმს), მოწმეთა ჩვენებები, დაზიანებული ნივთები და ა.შ.


დამცავი ორდერის შემთხვევაში, მსხვერპლს აქვს შესაძლებლობა, მოემზადოს საქმისთვის, კერძოდ პირველ რიგში თავად მსხვერპლმა უნდა გაიაზროს და გაანალიზოს ის პრობლემა, რომელიც მის ცხოვრებას ამიმებს, აუტანელს ხდის, რის გამოც იგი თავს უტევდურად გრძნობს. ამის შემდეგ, მართებულია, მსხვერპლი დაინტერესდეს, თუ როგორ უნდა მოგვარდეს მისი ცხოვრებისული პრობლემები სამართლებრივი გზით; უნდა მიმართოს კონსულტაციისათვის იურისტს, ფსიქოლოგს, კომპეტენტურ პირს, რათა მიიღოს სრულყოფილი ინფორმაცია მისთვის საჭირო, მნიშვნელოვან საკითხებზე.

ანუ შემაკავებელი ორდერისგან განსხვავებით, დამცავი ორდერის გამოცემის ინიციატორი არის თავად მსხვერპლი. მსხვერპლი არ უნდა ელიტუროდეს ისეთი სიტუაციის დადგომის, როცა ძალადობის ხარისხის ჩვეულებრივზე მაღალია, როცა მისი სიცოცხლე და ჯანმრთელობა რეალური, გარდაუყვალი საფრთხის წინაშე დგება, ან და როცა კონფლიქტი საჯარო, გარშემო მყოფი საზოგადოებისათვის ხილული და ცხადი ხდება. შესაძლოა, ოჯახური ძალადობა იყოს კარგად შენილბული, უცხო თვალისგან დაფარული, ასეთ შემთხვევაში, მსხვერპლს არ უნდა ჰქონდეს იმის მოლოდინი, რომ ეს ფარული ძალადობა ოდესმე გამოაშკარავდება თავისთავად, ან სხვა პირთა მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს არსებული კონფლიქტის საზოგადოების, სახელმწიფო მეშვეობით დარწევულირებას; მსხვერპლმა თავად უნდა გამოააშკარაოს იგი (ანუ ძალადობა), თავად უნდა ჩარიოს კონფლიქტის საზოგადოება სწორედ იმ გზით, რომ მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს დამცავი ორდერის გამოცემა.

## როგორ იწერება განცხადება დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით?

პირველ რიგში, განცხადება დამცავი ორდერის გამოცემის თაობაზე, წარმოდგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით. იგი უნდა შეიცავდეს:

- განცხადების შემტანი პირის სახელს, გვარს;
- განცხადების შემტანი პირის საცხოვრებელი ადგილის მისამართს;
- მოძალადის საცხოვრებელი ან/და სამუშაო ადგილის მისამართსა და ტელეფონის (მათ შორის, მობილურის) ნომერს, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- ოჯახში ძალადობის ფაქტის აღნერას; ცნობებს, მოძალადისა და მსხვერპლის, მათი ურთიერთკავშირის შესახებ, (მონბობები: დაბადების, ქორწინების და ა.შ.); მტკიცებულებათა ჩამონათვალს, რითაც ადასტურებთ ძალადობის ფაქტებს;
- დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნას.



**გახსნვდეთ!** ნებისმიერი განცხადება თუ არ იქნება ხელმოწერილი, ვერ მოიპოვებს ოურიდიულ ძალას და ვერ განიხილება, როგორც თქვენი ან სხვა შემტანი პირის ნების გამოვლენა.

წერილობითი ფორმის პასუხს.

შემდგომში, სასამართლო განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას:

დამცავი ორდერის გამოცემის; ან გამოცემაზე უარის თქმის შესახებ; შესაძლებელია მოთხოვნათა ნაწილობრივად ცნობა. ორდერი შეიძლება გაუქმდეს ან მისი მოქმედების ვადა გაგრძელდეს (იხილეთ შემდგომი ქვეთავები).

საქმე შეიძლება განხილული იქნას **დახურულ სხდომაზე**. ამ შემთხვევაში, სხდომას დაესწრებიან: მსხვერპლი, მოძალადე, მოსამართლე, მდივანი. ეს შეიძლება მოხდეს სასამართლოს ინიციატივით, ან რომელიმე მხარის მოთხოვნით.

**თქვენ შეგიძლიათ დააყენოთ საკითხი სხდომის დახურვის თაობაზე და სასამართლო ვალდებულია, დააკმაყოფილოს, ვინაიდნ საკითხი ესხა პირად ცხოვრებას!**

თუ საქმე ესხა არასრულწლოვან ბავშვს, ამ შემთხვევაში, საქმის განხილვაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოც ჩაერთვება.

თუ იხილება ბავშვის მიმართ ძალადობის ფაქტის საკითხი, შეიძლება მოხდეს ბავშვის განცალკევება მოძალადისგან ან მშობლისგან. კანონის ფარგლებში, სანამ განხილება ძირითადი განცხადება, **განცხადების მიღებიდან 24 საათში**, სასამართლო უფლებამოსილია, **დროებითი გადაწყვეტილების სახით**, საკითხის განხილვამდე, ბავშვი გაცალევოს.

სასამართლო სხდომაზე მსხვერპლს ასევე უფლება აქვს, საკუთარი უფლებების დაცვა განახორციელოს არა პირადად, არამედ წარმომადგენლის მეშვეობით. ამ შემთხვევაში, საჭიროა ხოტარიული წესით გაფორმებული მიხდობილობის არსებობა, რაც მიანიჭებს იურისტს სასამართლოს წინაშე გამოსცლის უფლებას.

## რა ხდება განცხადების შეტანის შემდგომ?

განცხადების განხილვა ხდება განცხადების მიღებიდან **10 დღის ვადაში**, სასამართლო განიხილავს კონკრეტულ ფაქტებსა და მტკიცებულებებს. განხილვის დროს, სასურველია ორივე მხარის დასწრება. განცხადების მიღების შემდეგ, მოსამართლე აფრთხილებს განცხადებელს შეგნებულად ცრუ დასმენისთვის, ან ცრუ ჩვენებისთვის, რაც დასჯადის სისხლის სამართლებრივი წესით. ამის შემდგომ, სასამართლო გამოიძახებს პირს, ვის მიმართაც მსხვერპლი მოითხოვს ორდერის გამოცემას, ან სამი დღის ვადაში გამოითხოვს

## **რა აისახება დამცავ ან შემაკავებელ ორდერებში?**

დამცავ ან შემაკავებელ ორდერში მიეთითება:

- მისი გამოცემის თარიღი და ადგილი;
- გარემოებები, რომლებიც საფუძვლად დაედო მის გამოცემას;
- მოძალადის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და ადგილი, პროფესია და საცხოვრებელი ადგილი;
- მოქმედებების ჩამონათვალი, რომლებიც ეკრალება მოძალადეს.

**დამცავი ორდერი შეიძლება ითვალისწინებდეს:**

- მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის მოძალადისგან დაცვის ზომებს;
- მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის, მოძალადისგან გარიდებისა და თავშესაფარში მათი მოთავსების საკითხებს;
- მოძალადის ვალდებულებას, – არ შეზღუდოს მსხვერპლი, ისარგებლოს პირადი წილით, ავტომანქანით ან სხვა იმ ქონებით, რომელიც აუცილებელია პიროვნების ნორმალური არსებობისთვის;
- მოძალადის მიერ, თანასაკუთრებით ერთპიროვნულად სარგებლობის უფლების აკრძალვას;
- მოძალადის არასრულწლოვნისგან განცალკევების, მასთან შეხვედრისა და ურთიერთობის რეგულირების საკითხებს;
- მოძალადის მხრიდან მსხვერპლთან, მის სამსახურთან და სხვა იმ ადგილებთან მიახლოვების საკითხებს, სადაც მსხვერპლი იმყოფება;
- ორდერის მოქმედების ან ორდერით განსაზღვრულ პერიოდში, მოძალადისთვის იარაღით (მათ შორის, სამსახურებრივ-საშტატო იარაღით) სარგებლობის უფლების შეზღუდვას ან აკრძალვას; აღნიშნულ პერიოდში, იარაღის შეძენის ან შეძენაზე წებართვის ან ლიცენზიის მოპოვების უფლების აკრძალვასა და პირად საკუთრებაში არსებული ან/და კუთვნილი იარაღის (მათ შორის, სამსახურებრივ-საშტატო იარაღის) შენახვის, ან მისი დროებით ჩამორთმევის პირობებს;
- მოძალადის მიერ მსხვერპლის მკურნალობის, თავშესაფარში ყოფნის და სხვა, გონივრულ ფარგლებს მიკუთვნებული ხარჯების ანაზღაურების საკითხებს;
- მოძალადის სარეაბილიტაციო ცენტრში მოთავსების, მისი სარეაბილიტაციო ღონისძიებებისა და რეაბილიტაციაზე ზედამხედველობის საკითხებს;
- გაფრთხილებას ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის თაობაზე.

ასევესახასავითებს, რომლებიცაუცილებელია მსხვერპლის უსაფრთხოებისთვის. აღნიშნული საკითხები, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე განიხილება.

**შემაკავებელი ორდერი შეიძლება ითვალისწინებდეს:**

- საკუთრებით სარგებლობის შეზღუდვას, მიუხედავად იმისა, იგი ამ სახლის მესაკუთრეა თუ არა;
- მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის მოძალადისგან გარიდებისა და თავშესაფარში მათი მოთავსების საკითხებს;

- მოძალადის მიერ, თანასაკუთრებით ერთპიროვნულად სარგებლობის უფლების აკრძალვას;
- მოძალადის არასრულწლოვნისგან განცალკევების საკითხებს;
- მოძალადის მხრიდან მსხვერპლობან, მის სამსახურიან და იმ სხვა ადგილებთან მიახლოების საკითხებს, სადაც მსხვერპლი იმყოფება;
- ორდერის მოქმედების ვადით მოძალადეს ნება დაერთოს, კონკრეტულ დროს, კონკრეტული ვადის განმავლობაში, ოჯახის რომელიმე წევრის (ახლო ნათესავის) თანდასწრებით მივიდეს მდებარე საცხოვრებელი სახლში, სახლის წინ ან სხვა ადგილას და ინახულოს თავისი არასრულწლოვანი შეიძლი ბავშვის ნათესავთან ერთად თუ მის გარეშე;
- იმ შემთხვევაში, თუკი პარალელურად, სამოქალაქო წესით მიმდინარეობს ბავშვთა მიმართ გრაფიკის დატესების პროცედურა (მშობლებთან ურთიერთობის მოწესრიგების შესახებ დავა), ორდერის გამოწერისას შეიძლება უარი ეთქვას აღნიშნულზე.
- ორდერის მოქმედების ან ორდერით განსაზღვრულ პერიოდში, მოძალადისთვის იარაღით (მათ შორის, სამსახურებრივ-საშტატო იარაღით) სარგებლობის უფლების შემცირების ან აკრძალვას, აღნიშნულ პერიოდში, იარაღის შექმნის ან შექმნაზე ნებართვის, ან ლიცენზიის მოპოვების უფლების აკრძალვასა და პირად საკუთრებამა არსებული ან/და კუთვნილი იარაღის (მათ შორის, სამსახურებრივ-საშტატო იარაღის) შენახვის, ან მისი დროებით ჩამორთმევის პირობებს;
- გაფრთხილებას ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში (იხილეთ ზემოთ ქვეთავი პასუხისმგებლობის თაობაზე).

ასევე, სხვა საკითხებს, რომლებიც აუცილებელია მსხვერპლის უსაფრთხოებისთვის.

მსხვერპლს აქვს უფლება მოითხოვოს, ხოლო სასამართლოს უფლება აქვს, გამოცემულ ორდერში, მიუთითოს ზემოთ გათვალისწინებული საკითხებიდან ერთ-ერთი, ან ყველა ერთად, ძალადობის ფაქტის ადექვატურობის გათვალისწინებით.

კონკრეტულ შემთხვევას განვიხილავთ, რომელიც დაგეხმარებათ ოჯახური ძალადობისგან დაცვაში.

**მაგალითი 1:** განმცხადებელი და მისი მეუღლე 1992 წლიდან იმყოფებიან ქორწინებაში. ქორწინებიდან ერთი წლის შემდეგ მეუღლეებს შეეძინათ შვილი, რომელიც მაღლევე გარდაიცვალა; შემდგომში მეუღლეებს შეეძინათ მეორე შვილი. ქალი მიუთითებს, რომ მისი მეუღლე წლების განმავლობაში ახორციელებდა და დღემდე ახორციელებს მის მიმართ ფიზიკურ, ფიზიკოლოგიურ და ეკონომიკურ ძალადობას; სისტემატურად სცემდა, აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას, ცემის გამო მან არა-ერთხელ გამოუძახა სასწრაფო დახმარების მანექანას, გადატანილი აქვს ტვინის შერყევა. წლების განმავლობაში არასდროს ამჟღავნებდა ქმრის ძალადობას, არასდროს მიუმართავს პოლიციისთვის დახმარების მიღების მიზნით. მეუღლის ძალადობიდან გამომდინარე, გაუსაძლისი პირობების გამო, ერთ დღეს იძულებული გახდა, თავის შვილთან ერთად საცხოვრებლად გადასულიყო სხვა ადგილას, სადაც არასრულწლოვანმა შვილმა სწავლა გააგრძელა. მიუხედავად აღნიშნულისა, მეუღლე კვლავ აგრძელებდა ქალის, მათი შვილისა და მშობლების მიმართ მუქარას და შანტაჟს ტელეფონის მეშვეობით, უგზავნიდა შეურაცხყოფელ, უცენზურო მესიჯებს ტელეფონით.

მოძალადეს არაერთხელ დამუქრებია თავის არასრულნლოვან შვილს ფიზიკური ან-გარიშსწორებით. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს მიერ გამოყენებული იყო დამცავი ორდერის შესაძლებლობა.

განმცხადებელი ითხოვდა, რომ გამოცემულიყო დამცავი ორდერი მოძალადის მიმართ ექვსი თვის ვადით, რომლის თანახმადაც:

1. მოძალადეს აეკრძალება რაიმე ფორმით მიახლოება 50 მეტრის რადიუსში, მათ შორის საცხოვრებელ ადგილთან, სამსახურთან და სხვა ყველა ადგილთან, სადაც შესაძლოა ის იქინიებოდეს;
2. მოძალადეს აეკრძალება მსხვერპლთან ურთიერთობა რაიმე ფორმით, მათ შორის – ტელეფონის, კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით;
3. მოძალადეს აეკრძალება მსხვერპლის მიმართ ფიზიკური, ფსიქოლოგიური და ეკონომიკური ძალადობის განხორციელება, იძულება, სიტყვიერი შეურაცხოფა ნებისმიერი ფორმით, მათ შორის – ტელეფონის, კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით;
4. მოძალადეს დაევალება, არ შეუზღუდოს მსხვერპლს უფლება, ისარგებლოს პირადი ნივთებით, მის პირად საკუთრებაში არსებული ქონებით;
5. მოძალადე გამოცალკევებული იქნება მსხვერპლისგან მისი კუთვნილი საცხოვრებელი ბინიდან.

საქმეზე გამოიცა დამცავი ორდერი მსხვერპლის სასარგებლოდ, მოძალადის წინააღმდეგ, ყველა ზემოთ მითითებულ მოთხოვნათა დაკმაყოფილებით. –

**მაგალითი 2:** წყვილი საეკლესიო წესით დაქორწინ; 2009 წლის 24 ნოემბერს მეულებებს შეეძინათ შვილი. ცოლის განმარტებით, იგი და მათი მცირენლოვანი შვილი ერთ წელზე მეტია, რაც აღმოცხვა მეუღლესთან/მამასთან ერთად ერთ ბინაში. ქალბატონი შევლთან ერთად საცხოვრებლად გადმოვდა მშობლების ბინაში. მეუღლეთა დაშორების მიზეზი არის ის, რომ ი.თ. დაკავებულია აზარტული თამაშებთ, იგი ხშირად აგებდა კაზინოში სოლიდურ თანხებს, თამაშებში ნარუმატებლობის გამო იგი გახდა დეპრესიული, აგრესიული, მიეძალა ალკოჰოლურ სასმელს; ნასვამ მდგომარეობაში მყოფი ოჯახის წევრების მიმართ არის აგრესიული, უმიზეზოდ აყენებს მათ სიტყვიერ შეურაცხოფას, იმუქრება, ავინწროვებს, ანუობს დებოშს ყოფილი მეუღლის საცხოვრებელ სახლთან, ძალის გამოყენებით ცდილობს სახლში შექრას, არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი ითხოვს დამის საათებში ბავშვის სახლიდან გაყვანას.

ქალბატონის განმარტებით, იგი უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში იძულებული იყო, არაერთხელ მიემართა საპატრულო პოლიციისთვის დასახმარებლად, რის შედეგადაც ი.თ. სამჯერ იქნა გაფრთხილებული შეეწყვიტა მეუღლისა და მისი ოჯახის წევრების შევიწროვება, ძალადობა და მუქარა. აღნიშნულ შემთხვევაში, სასამართლომ დამცავი ორდერი დამტკიცა. მტკიცებულებად გამოყენებულ იქნა ადრე არსებული პოლიციის მიერ გაცემული გაფრთხილებები.

სასამართლოს მიერ მოხდა მოთხოვნათა ნაწილობრივად ცნობა, კერძოდ, გამოეცა დამცავი ორდერი მსხვერპლის სასარგებლოდ, მოძალადის წინააღმდეგ, რომლის თანახმადაც მოძალადეს აეკრძალ მსხვერპლის, მათი მცირენლოვანი შვილის და ოჯახის სხვა წევრების მიმართ ფსიქოლოგიური ძალადობა, მუქარა, დაშინება, შეურაცხოფა; აგრესოვე, მოძალადეს აეკრძალა იმ ადგილებთან (საცხოვრებელი ან/და სამუშაო ადგილი, ან სხვა ნებისმიერი ადგილი) მიახლოება არაფხიზელ მდგომარეობაში, სადაც იმყოფებიან მუდმივად (სანგრძლივად) ან დროებით ერთად ან ცალკე მსხვერპლი, მათი მცირენლოვანი შვილი და ოჯახის სხვა წევრები.

სასამართლოს მიერ განმცხადებელს უარი ეთქვა ფიზიკური ძალადობის ნაწილში რიგით პირველი მოთხოვნის, აგრეთვე რიგით მე-2, მე-3, მე-4 და მე-6 მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უსაფუძვლობის გამო.

## პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გაცემული გადაწყვეტილება საბოლოოა თუ არა?

**გახსოვდეთ!** გასაჩივრება არ აჩერებს გამოცემული დამტკავი ან შემაკავებელი ორდერის მოქმედებას. გამოცემული გადაწყვეტილების აღსრულება სავალდებულოა. გასაჩივრების შემთხვევაში, გადაწყვეტილებას იღებს სააპელაციო სასამართლო, საჩივრის წარდგენიდან 7 დღის გადაში.

მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 24 საათის განმავლობაში მხარეებს გადაეცემა. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საჩივრდება სააპელაციო წესით (იხილეთ ასევე თავი „სამართლებრივი დაცვის ეროვნული და საერთაშორისო საშუალებები“), თქვენთვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 3 დღის ვადაში. დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან იგულისხმება გადაწყვეტილება, სადაც აღნერილი იქნება ფაქტობრივი გარემოები, განხილული მტკიცებულებები, სასამართლოს მსჯელობა აღნიშნულთან მიმართებაში, ასევე გადაწყვეტილი საკითხები და მიღებული ზომები. გასაჩივრების სურვილის შემთხვევაში, საჩივარი შეტანილი უნდა იქნას იმ სასამართლოში, რომელმაც განიხილა საქმე და თვით სასამართლო უზრუნველყოფს საჩივრის გადაგზავნას.

აღნიშნული წესი ვრცელდება შემაკავებელი რედერზეც.

## გახსოვდეთ! დამტკავი ან შემაკავებელი ორდერი, ძალაში შედის გამოცემისთანავე.

მსარეთა გამოუცხადებლობა არ აფერხებს ამ მუხლით გათვალისწინებული საკითხების განხილვას შესაბამის სასამართლოში.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

პოლიცია ვალდებულია, რეაგირება მიახდინოს დამტკავი და შემაკავებელი ორდერების დარღვევაზე.

## რა ხდება ორდერის გამოცემის შემდგომ?

ორივე მხარის მიერ, აუცილებლად უნდა შესრულდეს მოთხოვნები. ორდერის დარღვევა იწვევს პასუხისმგებლობას.

მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება მოთხოვნებისა და ვალდებულებების დარღვევაზე რეაგირების მიზნით, მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ასევე ეგზავნება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიულ საუბნო სამსახურს.

თუკი ორდერი ეხება ასევე არასრულწლოვან ბავშვს, სასამართლო გადაწყვეტილება ეგზავნება მეურვეობისა და მზრუნველობის შესაბამის ადგილობრივ ორგანიზაცია.

თუ სასამართლო გადაწყვეტილება შეეხება იარაღთან დაკავშირებულ საკითხებს – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის განყოფილებას, მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ერთი ეგზემპლარი რჩება ორდერის გამომცემ სასამართლოში.

## ორდერის მოქმედების ვალა

ორდერი მოქმედებს მასში მითითებული დროის ვადით, ექვს თვემდე თუ არ არის გაგრძელებული სასამართლოს მიერ. გაგრძელების შემთხვევაში, – მოქმედების ვადის ამონურვამდე. შეიძლება მოხდეს ორდერის ვადამდე გაუქმება. დამცავი ორდერის მოქმედების გაუქმება შესაძლებელია მხარეთა შერიგების გამო, რის თაობაზეც საჭიროა თქვენი და მოძალადის მიმართვა სასამართლოსადმი, ერთობლივი განცხადებით.

დამცავი ორდერის მოქმედების შეცვლის საკითხს წყვეტს სასამართლო. დამცავი ორდერის მოქმედების ვადის გაგრძელება შესაძლებელია ორდერის მოქმედების პერიოდში და დამატებით არა უმეტეს 3 თვით, თუ არსებობს საფრთხე მსხვერპლის ან ოჯახის სხვა წევრის მიმართ.

დამცავი ორდერის მოქმედება შესაძლებელია გაუქმდეს მხარეთა შერიგებისას მოსამართლის სათანადო გადაწყვეტილებით, სასამართლოსათვის მხარეთა ერთობლივი მიმართვის საფუძველზე.

**ორდერის გაუქმების გამომრიცხავი გარემოებები.** თუკი სახეზეა ძალადობის ფაქტი ასევე ოჯახის სხვა წევრთა მიმართ, განსაკუთრებით ბავშვზე, მხარეთა შერიგება არ აფერხებს ორდერების დამტკიცებასა და გაუქმებას.

**პოლიციის როლი უკვე გამოცემული დამცავი და შემაკავებელი ორდერების მიმართ.** შესაძლოა, მოძალადე არ დაემორჩილოს სასამართლოს მიერ გამოცემული შემაკავებელი ან დამცავი ორდერის მოთხოვნებს, არად ჩაგდოს, არ გაითვლისნინოს სასამართლოს გადაწყვეტილება, კვლავ გაგრძელოს მსხვერპლის მიმართ ძალადობა; ასეთ შემთხვევაში, მსხვერპლს უნდა ახსოვდეს, რომ პოლიციას და სასამართლოს გააჩნია კანონმდებლობით მათთვის მინიჭებული სხვა უფლება-მოსილებებიც იმისთვის, რომ სახელმწიფომ გააგრძელოს მსხვერპლის ინტერესების დაცვა დამცავი (ან შემაკავებელი) ორდერის გამოცემის შემდეგაც კი;

კერძოდ, თუ მსხვერპლისათვის აშკარაა, რომ მოძალადე არ ასრულებს შემაკავებელი ან დამცავი ორდერის მოთხოვნებს, მსხვერპლმა უნდა გამოძახოს პოლიცია და აცნობოს მას, რომ მოძალადე არ ემორჩილება სასამართლოს გადაწყვეტილებას; ასეთ შემთხვევაში მოძალადეს შესაძლოა დაეკისროს ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

### პირველი ეტაპი:

დამცავი ორდერის გამოცემა ან შემაკავებელი ორდერის დამტკიცება სასამართლოს მიერ; შესაძლოა ამ ეტაპზე მოხდეს კონფლიქტის დარეგულირება, კერძოდ, მოძალადე დაემორჩილოს სასამართლოს გადაწყვეტილებას და აღარ განახორციელოს მსხვერპლის მიმართ ძალადობა; ასეთ შემთხვევაში აღარ მოხდება მსხვერპლს, მოძალადესა და სახელმწიფოს (პოლიცია, სასამართლო) შორის ურთიერთობის განვრცობა, (სხვა ან მეორე და მესამე ეტაპზე გადასვლა);

### მეორე ეტაპი:

- მოძალადის მიერ დამცავი ან შემაკავებელი ორდერის მოთხოვნების შეუსრულებლობა;
- მსხვერპლის მიერ პოლიციის გამოძახება;

- პოლიციის მიერ მოძალადის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის იქმის შედგენა;
- იქმის საფუძველზე სასამართლოს მიერ მოძალადის მიმართ ადმინისტრაციული სახდელის გამოყენება.

### **მესამე ეტაპი:**

- მოძალადის მიერ დამცავი ან შემაკავებელი ორდერის მოთხოვნების კვლავ შეუსრულებლობა (ანუ გადაწყვეტილების კვლავ შეუსრულებლობა მას მერე, რაც მას (მოძალადეს) უკვე დაევისრა ადმინისტრაციული სახდელი);
- მსხვერპლის მიერ პოლიციის გამოძახება;
- პოლიციის ორგანოს მიერ მოძალადის მიმართ სისხლის სამართლის აღდრა-წარმოება;
- სისხლის სამართლის საქმის საფუძველზე სასამართლოს მიერ მოძალადის მიმართ განაჩენის გამოტანა და მისი (მოძალადის) მიმართ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სასჯელის შეფარდება.

**რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ მსხვერპლი საჭიროებს სამედიცინო, ფსიქოლოგიურ ან სხვა სახსის დახმარებას? თუ სახლში დარჩენა, საშიშროებას ნარმოადგენს სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის?**

იმ შემთხვევაში, თუკი მსხვერპლი საჭიროებს პირველად და გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებას და სამართლებრივ დახმარებას, მსხვერპლი მოთავსდება კრიზისულ ცენტრში.

როგორც წესი, კრიზისულ ცენტრში მოთავსდებიან მსხვერპლის სტატუსის გარეშე პირები, თუმცა მისი იქ ყოფნა, სტატუსის მინიჭების შემდგომ შეიძლება, თუ იგი არ გამოიწვამს თავშესაფარში გადასვლის სურვილს.

საჭიროების შემთხვევაში, ოჯახური ძალადობის მსხვერპლი შეიძლება თავშესაფარში მოთავსდეს. თავშესაფრის ადგილმდებარება გასაიდუმლოებულია და იქ გადაყვანა, პოლიციის თანამშრომლების ხელშეწყობით ხორციელდება. აღნიშნული თავშესაფარი, დროებითი განთავსების ადგილს წარმოადგენს, რომელიც ფსიქოლოგიურ და სოციოლოგიურ რეაბილიტაციას, იურიდიულ და სამედიცინო დახმარების მიზანს ემსახურება.

არსებობს სახელმწიფო თავშესაფარი, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების ბაზაზე შექმნილი თავშესაფრები და კრიზისული ცენტრები. თავშესაფრისა და კრიზისული ცენტრის ადგილსამყოფელი გასაიდუმლოებულია. მათი მისამართი ცნობილია მოსამსახურების პერსონალისთვის.

### **რა ხნით მოთავსდება მსხვერპლი?**

კრიზისულ ცენტრში, მსხვერპლი მოთავსდება 3-5 დღის ვადით. შემდგომში მსხვერპლი შეიძლება მოთავსდეს თავშესაფარში, 3 თვის ვადამდე. საჭიროების შემთხვევაში, ვადა გაგრძელდება, მაგალითად, თუ მსხვერპლისთვის, მისი მდგომარეობიდან გამომდინარე, სასურველია დანესებულებაში დარჩენა.

თავშესაფარში მოთავსების ვადის ამონტურგის შემდეგ, მსხვერპლის მიმართ საფრთხის არსებობის შემთხვევაში, თავშესაფრის ადმინისტრაცია ვალდებულია, აღნიშნულის თაობაზე აცნობოს სამართალდამცავ ორგანოებს, შემდგომი რეაგირებისთვის.

## ვინ განსაზღვრავს არის თუ არა ადამიანი ძალადობის მსხვერპლი?

ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსს განსაზღვრავენ: სასამართლო ორგანოები შესაბამისი დამცავი ორდერის გამოცემით; სამართალდამცავი ორგანოები (პოლიცია), შესაბამისი შემაკვებებელი ორდერის გამოცემით; მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფი ოჯახში ძალადობის საგარაუდო მსხვერპლისთვის “ოჯახში ძალადობის მსხვერპლის” სტატუსის მინიჭებით.

**მსხვერპლის სტატუსის მინიჭება ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელ ჯგუფის მიერ. რას წარმოადგენს აღნიშნული სტატუსი?**

თუյგი მსხვერპლს არ მიუმართავს არც პოლიციისთვის, არც სასამართლოსთვის, მან შეიძლება უშუალოდ მიმართოს ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელ საუწყებათაშორისო საბჭოსთან არსებულ, ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელ ჯგუფს. მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი იქმნება ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საბჭოს მიერ. მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი შედგება არანაკლებ 3 პირისგან, მათ შორის სოციალური მუშავის, ფსიქოლოგისა და იურისტისგან. გადაწყვეტილება მიიღება საიდენტიფიკაციო კითხვარის მიღებიდან, 3 სამუშაო დღის განმავლობაში.

## როგორ ხდება სტატუსის მინიჭება

გასაუბრების შედეგად, სავარაუდო მსხვერპლის მიერ ივსება სპეციალური სა-იდენტიფიკაციო კითხვარი. მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი, უფლებამო-სილა, საჭიროების შემთხვევაში, შეხვდეს სავარაუდო მსხვერპლს დამატებითი ინფორმაციის მისაღებად. იდენტიფიცირების ჯგუფი, აღნიშნული კითხვარის სა-ფუძველზე, განიხილავს მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრის საკითხს.

თუյგი მსხვერპლს თავშესაფარში მოთავსების სურვილი ექნება, მისი გადაყვანა შესაძლებელია ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში. სტატუსის გან-საზღვრამდე, მსხვერპლი შეიძლება განთავსდეს კრიზისულ ცენტრში.

სავარაუდო მსხვერპლისთვის სტატუსის მინიჭებისას, მსხვერპლის იდენტიფი-ცირების ჯგუფმა, მსხვერპლს ინფორმაცია უნდა მიანოდოს თავშესაფრით, კრი-ზისული ცენტრითა და სხვა სახის დახმარებით სარგებლობის შესახებ.

მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფის მიერ სავარაუდო მსხვერპლისთვის სტატუსის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის შემთხვევაში, მსხვერპლის იდენ-ტიფიცირების ჯგუფი, ინფორმაციას აწვდის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს.

**აღამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი**

მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი ფუნქციონირებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმ-წიფო ფონდთან მჭიდრო თანამშრომლობით, რომელიც დღესდღეობით ოჯახური ძალადობის საკითხებზეც მუშაობს. სახელმწიფო ფონდის მიზანია ტრეფიკინგისა და ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა და დაზარალებულთა დაცვისა, დახმარებისა

და რეაბილიტაციის ღონისძიებების განხორციელება. კერძოდ, გათვალისწინებული სტატუსის მინიჭების შემთხვევაში, ფონდი მსხვერპლისთვის შემდგომი სერვისების უზრუნველყოფას ახორციელებს. თქვენთვის სასარგებლო ინფორმაციის წაკითხვას შეძლებთ ვებ-გვერდზე: <http://moh.gov.ge/page.php?86>.

## მსხვერპლის უფლებები

1. მსხვერპლის ვინაობის, მისი ჯანმრთელობისა და ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესახებ მიღებული ინფორმაცია კონფიდენციალურია და მისი გამუდავნება შესაძლებელია მხოლოდ კანონით დადგენილი წესით.
2. მსხვერპლის თავშესაფარში ან კრიზისულ ცენტრში მოთავსების შემთხვევაში, მას უნარჩუნდება სამუშაო ადგილი იმავე თანამდებობაზე.
3. მსხვერპლის სტატუსის მინიჭების შემდეგ, მსხვერპლი, სახელმწიფო ბიუჯეტიდან, შესაბამისი პროგრამებით გათვალისწინებულ საჭირო დახმარებას მიიღებს.

არასამთავრობო ორგანიზაციების ბაზაზე შექმნილი თავშესაფრების სერვისების მისაღებად, ზემოაღნიშნული სტატუსის მინიჭება საჭირო არ არის.

## მოძალადის მიმართ არსებული ექანიზმი

კანონის მიხედვით, მოძალადებისთვის უნდა ჩატარდეს სარეაბილიტაციო ღონისძიებები მიმართული მოძალადის ფსიქოლოგიურ-სოციალური დახმარებისა და გაჯანსაღებისკენ, ცალკეული მავნე ჩვევებისგან (ალკოჰოლიზმი, ნარკომანია ან ისეთი ჯისიქიური დაავადება, რომელიც შერაცხადობას არ გამორიცხავს) პირის განკურნებისა და რეაბილიტაციის მიზნით. ასევე, სარეაბილიტაციო ღონისძიებები, დაკავშირებულია ძალადობის შემდგომი გამოვლინების თავიდან აცილებასა და მსხვერპლის შემდგომი უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან. ამის უზრუნველსაყოფად, კანონის მიხედვით, უნდა შეიქმნას სპეციალიზირებული სარეაბილიტაციო ცენტრები.

### სასარგებლო ინფორმაცია

თუკი თქვენ ბრძანდებით ბინის მესაკუთრე, თქვენ უფლება გაქვთ, პოლიციის მეშვეობით, მოითხოვოთ სხვა პირთა გასახლება თქვენი კუთვნილი ქონებიდან. ამისთვის, საჭიროა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №747 ბრძანების გამოყენება („საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“). ამ შემთხვევაში, მესაკუთრეგანცხადებით უნდა მიმართოს პოლიციის საუბნო სამსახურს თავისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და მოითხოვოს გამოსახლება.

### განცხადებაში უნდა მიეთითოს:

მესაკუთრის გვარი, სახელი და მამის სახელი, მისამართი, საკონტაქტო მონაცემები, უძრავი ნივთის ზუსტი ადგილმდებარეობა, გამოსახლების მოთხოვნის შინაარსი და დასაბუთება;

## განცხადებას თან უნდა დაერთოს:

1. ამონანერი საჯარო რეესტრიდან;
2. საკადასტრო რეესტრი, ან საკადასტრო გეგმა თუ საჯარო რეესტრიდან ამონანერის მიხედვით შეუძლებელია უძრავი ნივთის ზუსტი მისამართის, ან სხვა პარამეტრების დადგენა.

აღნიშნული წესი, შეიძლება გამოყენებული იყოს ოჯახური ძალადობის დროსაც, როდესაც გადაწყვეტილი გაქვთ ცალ-ცალკე ცხოვრების საკითხი და მოძალადე ბინას არ ტოვებს. აღნიშნული წესი, ზოგად ხასიათს ატარებს, თუ მესაკუთრის თანმობის გარეშე, სხვა პირის მიერ, უძრავი ქონებით სარგებლობა ხდება და იგი უარს აცხადებს ბინის ან სხვა სახის საკუთრების დაცლაზე.

ოჯახური ძალადობის შემთხვევაში, თქვენ ყოველთვის შეგიძლიათ მიმართოთ უპნის ინსპექტორს თქვენი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით – მაგალითად, თუ მოძალადის ბრალით პრობლემა შეგექმნათ სახლში შევლისას, ან სხვა სახის საკითხებზე.

ოჯახური დავის დროს, მიუხედავად იმისა, რომ მეუღლეები ცალ-ცალკე ცხოვრობენ, ხშირ შემთხვევაში, გარკვეული სახის პრობლემები იქმნება ბავშვთან ურთიერთობაში. კერძოდ, მოძალადე, ბავშვის საშუალებით, ცდილობს კონტროლი განახორციელოს ან გავლენა მოახდინოს ყოფილ მეუღლეზე. უმეტეს შემთხვევაში, აღნიშნული, ცუდად მოქმედებს პავშზე, ვინაიდან იგი ხდება მანიპულაციის განხორციელების საშუალება.

თუკი თქვენ აღნიშნულ სიტუაციაში მოხვდებით, შეგიძლიათ გამოიყენოთ ორდერის ან დამცავი ორდერის საშუალება, ან თქვენი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიას მიმართოთ სარჩელით, ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის თაობაზე, მეორე მშობელთან და მის ოჯახთან ურთიერთობის მოწესრიგების მოთხოვნით. სანამ სასამართლო აღნიშნულზე იმსჯელებს, თქვენ შეგიძლიათ, აღნიშნული საკითხი, მანესტრიგოთ დროებითი განკარგულების გამოცემის საშუალებით (იხილეთ ასევე თავები „ოჯახური სამართალი“ და „სამართლებრივი დაცვის ეროვნული და საერთაშორისო საშუალებები“).

ნებისმიერ შემთხვევაში, აუცილებლად გაარეთ კონსულტაცია შესაბამისი პროფილის იურისტთან, ვინაიდან ოჯახური ძალადობის შემთხვევაში, უფლებათა დაცვის რამდენიმე სახის საშუალება არსებობს. ზოგჯერ, საჭიროა რამდენიმე საშუალების ერთობლივად გამოყენება, ზოგიერთ შემთხვევაში, – მხოლოდ ერთის, რისი შერჩევაც სწორად უნდა მოხდეს.

**და ბოლოს, გისურვებთ, ოჯახში ბედნიერებას და სიმშვიდეს.**

თუმცა, თუკი თქვენი სიმშვიდე ირლვევა და ძალადობას აქვს ადგილი, თქვენი უფლებების დაცვა, კანონმდებლობით და ამ თავის გათვალისწინებული მექანიზმების საშუალებით მოხდება.

# ზოგიერთ გამოყენებულ ტერმინთა განვირტებები

აღნიშნული ნაწილი შეიცავს გზამკვლევის ტექსტში გამოყენებული ტერმინების განმარტებებს და ასევე სხვა იურიდიულ ტერმინებს, რაც სამართლის ღაბირინ-თებს უფრო ნათელს გახდის მკითხველისათვის.

## ა

### ადგილსამყოფელი

იურიდიული პირის ადმინისტრაციის მდებარეობის ადგილი. იურიდიულ პირს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი ადგილსამყოფელი (იურიდიული მისამართი).

### ადვოკატი

ადვოკატის მოწმობის მქონე იურისტი. ადვოკატის მოწმობის მისაღებად იურისტები აბარებენ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ ორგანიზებულ გამოცდას.

### ადვოკატთა ასოციაცია (საქართველოს)

საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ზედამხედველობს ადვოკატებს ის საქმიანობას.

### ადმინისტრაციული პროცესი

ადმინისტრაციული დავების (საქმეების) განხილვის პროცედურათა ერთობლიობა, რომელიც დადგენილია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო (სასკ) და სამოქალაქო საპროცესო კოდექსებით (სსსკ).

### ადმინისტრაციული ორგანო

ყველა ფიზიკური და იურიდიული პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს, გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა. ადმინისტრაციული ორგანოს უმეტესობა საჯარო დაწესებულებას წარმოადგენს.

### ადმინისტრაციული საჩივარი

დაინტერესებული პირის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით.

### ალიმენტი

ფულადი თანხა, რომლის გადახდაც ეკისრება პირს თავისი ოჯახის წევრის სარჩენად.

### ამონაგები

მიღებული სარგებელი, ნაყოფი.

## **ამსრულებელი**

პირი, რომელმაც უშუალოდ ჩაიდინა დანაშაული.

## **ანალოგია**

ანალოგია არის მეთოდი, რომელიც გამოიყენება ისეთ შემთხვევაში, როდესაც სადაც ურთიერთობა მოუწესრიგებელია. არსებობს კანონისა და სამართლისა ანალოგიები. კანონის ანალოგით გამოიყენება არსებულის მსგავსი ურთიერთობის მომწერიგებელი ნორმა. სამართლის ანალოგით გამოიყენება სამართლის ზოგადი პრინციპები (მაგ. სამართლიანობა, კეთილსინდისიერება და ა.შ.). სამართლის ანალოგია გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ კანონის ანალოგიის გამოყენება შეუძლებელია.

## **ანდერძი**

გარდაცვლილი პირის მიერ სიცოცხლეში წერილობით გამოვლენილი ნება, რომლითაც იგი თავის ქონებას ან ამ ქონების ნაწილს უტოვებს ერთ ან რამდენიმე პირს.

## **აპარატი (სასამართლო)**

სასამართლოს საჯარო მოხელეთა ერთობლიობა.

## **აპელაციი**

პირი, რომელიც ასაჩივრებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილ დადგენილებას (გადაწყვეტილებას) თბილისის ან ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში.

## **აპელაცია**

პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილების გასაჩივრება (გადასინჯვას მოთხოვნა) სააპელაციო სასამართლოში.

## **არასრულწლოვანი**

ფიზიკური პირი 7-დან 18 წლამდე (შეად. სრულწლოვანი).

## **არბიტრაჟი**

არსებობს დავის განხილვის ტრადიციული (სასამართლო) და ალტერნატიული მეთოდები. არბიტრაჟი ქონებრივი დავის განხილვის ალტერნატიული მეთოდია. საქმე განსახილველად საარბიტრაჟო სასამართლოს გადაეცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დავის მონაწილეებს შორის არსებობს შეთანხმება (ხელშეკრულება) არბიტრაჟის წესით საქმის განხილვის თაობაზე.

## **არსებითი პირობები (ხელშეკრულების)**

ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება ან/და რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ.

## **აუქციონი**

ქონების საჯარო წესით შეთავაზება, როდესაც ყველაზე მაღალი ფასის გადამდები ამ ქონების მესაკუთრე ხდება.

### **აფექტი**

უცრად ალძრული და სწრაფწარმავალი ემოცია, რომელიც ადამიანში იწვევს საკუთარ ქმედებაზე კონტროლის დაკარგვას.

### **აქტივი**

პირის ქონება, მოთხოვნები და უფლებები (შეად. პასივი).

### **აქცეპტი**

თანხმობის გამოცხადება ხელშეკრულების დადების შეთავაზებაზე (ოფერტზე). აქცეპტის შემდეგ ხელშეკრულება დადებულად ითვლება.

### **აღდგენა (ვადის)**

საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა დადგენილია კანონით, ან მას მოსამართლე განსაზღვრავს. თუ კანონით დადგენილ ვადაში საპროცესო მოქმედება ვერ შესრულდა, სასამართლო უფლებამოსილია აღადგინოს გაშვებული ვადა (შეად. გაგრძელება).

### **აღიარება**

ერთი მხარის მიერ ისეთი ფაქტობრივი გარემოების არსებობის ან არარსებობის დადასტურება (აღიარება), რომელზედაც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნებსა თუ შესაგებელს.

### **აღიარებითი სარჩელი**

სარჩელის სახე, რომელიც გამოიყენება უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენის, აგრეთვე დოკუმენტების ნამდვილობის აღიარებისა ან სიყალბის დადგენის მიზნით.

### **აღკვეთის ღონისძიება**

სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიება, რომელიც გამოიყენება იმ მიზნით, რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს წინასწარ გამოიძიებასა და სასამართლოს, აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა, ხელი არ შეეშალოს სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას, უზრუნველყოფილ იქნეს განაჩენის აღსრულება. აღკვეთის ღონისძიებებია: პატიმრობა, გირაო, პირადი თავდებობა, არასრულწლოვანი ბრალდებულის მეთვალყურეობაში გადაცემა, სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა.

### **აღმასრულებელი**

პირი, რომელსაც ევალება სასამართლოს საბოლოო დადგენილებების (გადაწყვეტილებების) რეალურად განხორციელება, მათი შესრულების უზრუნველყოფა.

### **აღმჭურველი აღმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი**

აქტი, რომელიც დაინტერესებულ მხარეს ანიჭებს რაიმე უფლებას ან სარგებელს.

### **აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიება**

ღონისძიება, რომელიც შესაძლოა სასამართლოს მიერ სასჯელის ნაცვლად დაენიშნოს იმ არასრულწლოვანს, რომელმაც პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული.

### **ალსრულება (გადაწყვეტილების)**

სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მოცემული ვალდებულებების განხორციელება რეალურ ცხოვრებაში.

### **აღნერილობითი ნაწილი**

სასამართლო გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომელშიც აღინიშნება სამართლებრივი შეფასება და კანონები, რომლითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა ამ გადაწყვეტილების მიღებისას.

### **აცილება**

აცილების საფუძვლის (მაგ. ნათესაური კავშირი მხარესთან) არსებობისას მოსამართლის, ექსპერტის, თარჯიმნის, სპეციალისტის ან/და სხდომის მდივნის ჩამოშორება საქმის განხილვისაგან (იხ. თვითაცილება).

### **ახსანა-განმარტება**

საქმის ზეპირი მოსმენისას მხარეთა მიერ საკუთარი პოზიციების ჩამოყალიბება დავის ფაქტობრივი გარემოებებისა და სამართლებრივი საფუძვლების შესახებ (იხ. მტკიცებულება).

## **ბ**

### **ბათილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი**

ბათილია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ იგი მომზადდა ან გამოიცა კანონის ნორმების არსებითი დარღვევით.

### **ბაჟი (სახელმწიფო )**

სასამართლო მომსახურებისათვის გადასახდელი თანხა, რომელიც, როგორც წესი, გამოითვლება დავის საგნის ღირებულებიდან.

### **ბენეფიციარი**

პირი, რომელიც დასახელებულია (მაგ. ხელშეკრულებით) მატერიალური სარგებლის მიმღებად.

### **ბიუჯეტი (სახელმწიფო )**

ფინანსური სახსრების ერთობლიობა, რომლითაც უზრუნველყოფილია სახელმწიფოს ფუნქციონირება.

### **ბრალდებული**

პირი, რომლის მიმართაც პროკურორის ან პროკურორის თანხმობით გამომძიებლის მიერ გამოტანილია დადგენილება ბრალდებულის სახით პასუხისმგებაში მიცემის შესახებ.

### **ბრალდების მხარე**

პროკურორი, აგრეთვე დაზარალებული, სამოქალაქო მოსარჩევე და მათი წარმომადგენლები.

## **ბრძანება (მოსამართლის)**

მოსამართლის ერთპიროვნული გადაწყვეტილება, რომელიც იძლევა სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების გამოყენების, მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების შემზღვევი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების ნებართვას.

## **გ**

### **გაგრძელება (ვადის)**

სასამართლოს მიერ დამატებითი ვადის განსაზღვრა მხარისათვის ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესასრულებლად. ვადის გაგრძელება გამოიყენება მაშინ, როდესაც საპროცესო ვადა განსაზღვრული იყო სასამართლოს მიერ. (შეადალდება).

### **გადასახადი**

სავალდებულო, უპირობო, არაექვივალენტური და უსასყიდლო ფულადი შენატანი სახელმწიფო ბიუჯეტში.

### **გადაცდომა (ადმინისტრაციული)**

ქმედება, რომელიც აკრძალულია კანონით, თუმცა არ მიეკუთვნება სისხლის სამართლის დანაშაულებს.

### **გადაწყვეტილება**

სასამართლოს განაჩენი, განჩინება, დადგენილება, ბრძანება, განკარგულება.

### **გადაწყვეტილება**

შესასრულებლად სავალდებულო სასამართლო დადგენილება, რომლითაც საქმე არსებითად წყდება.

### **გადახდისუუნარობა**

მოვალის უუნარობა, დააკმაყოფილოს კრედიტორის ვადამოსული მოთხოვნა.

### **გადაწყვეტილების განმარტება**

სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის იმპუნქტების განმარტება, რომელთა შინაარსიც ბუნდოვანია.

### **გამასწორებელი სამუშაო**

სასჯელის სახე, რომელიც სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით შეეფარდება მსჯავრდებულსა და რის საფუძველზეც მისი ხელფასიდან სახელმწიფოს შემოსავალში დაიქვითება თანხა განაჩენით დადგენილი ოდენობით.

### **გამართლება**

სასამართლო განაჩენით განსასჯელის (მსჯავრდებულის) უდანაშაულოდ ცნობა.

### **გამართლებული**

პირი, რომლის მიმართაც სასამართლომ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი.

### **გამარტივებული წარმოება**

წარმოების სახე, როდესაც საქმე განიხილება ნაკლებ დროში, ნაკლები საპროცესო მოქმედებების განხორციელების გზით ხდება.

### **გამომძიებელი**

თანამდებობის პირი, რომელიც ახორციელებს სისხლის სამართლის საქმეთა წინასწარ გამოძიებას.

### **გამოსაცდელი ვადა**

სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენით განსაზღვრული დროს მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებულმა უნდა დაამტკიცოს, რომ გამოსწორდა.

### **გამოცხადება (მხარის)**

საქმის ზეპირ მოსმენაზე მხარის დასწრება და განხილვაში მონაწილეობა.

### **განაჩენი**

რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება, რომლითაც პირი ცნობილ იქნა დამნაშავედ ან უდანაშაულოდ.

### **განახლება (წარმოების)**

კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებულ საქმეზე წარმოების ხელახლა დაწყება.

### **განკარგვა**

ქინების გადაცემა სხვა პირისათვის სასყიდლით (მაგ. ნასყიდობისას) ან უსასყიდლოთ (მაგ. ჩუქებისას).

### **განკარგულება**

გადაწყვეტილება, რომელსაც იღებს სასამართლოს თავმჯდომარე სხდომის თავმჯდომარის მიმართვის ან/და მანდატურის დაკავების ოქმის საფუძველზე, იმ პირის მიმართ, რომლის მიერაც დარღვეულ იქნა წესრიგი სასამართლოში.

### **განმცხადებელი**

პირი, რომელიც მიმართავს სასამართლოს განცხადებით თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად.

### **განსასჯელი**

პირი, რომლის მიმართ შედგენილია საბრალდებო დასკვნა და საქმე განსახილებად გადაეცა სასამართლოს. აგრეთვე, პირი, რომელთან საპროცესო შეთანხმების დადების დამტკიცების თაობაზე პროკურორის მიერ შეტანილია შუამდგომლობა სასამართლოში.

### **განსხვავებული აზრი**

იმ მოსამართლის მოსაზრება, რომელიც სასამართლო დადგენილების (გადაწყვეტილების) გამოტანისას არ ეთანხმება კოლეგის დანარჩენ 2 წევრს.

## **განსჯადობა**

სასამართლოს უფლებამოსილება განიხილოს მისდამი უწყებრივად დაქვემდებარებული საქმეები კონკრეტული გეოგრაფიული სივრცის ფარგლებში (იურის-დიქტის). განსჯადობა სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალში ზოგადად განისაზღვრება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სისხლის სამართალში -წინასწარი გამოძიების ადგილის მიხედვით.

## **განუხილველად დატოვება**

სარჩელზე, სააპელაციო ან/და საკასაციო საჩივარზე წარმოების დასრულება მათი არსებითი განხილვის გარეშე და იგივე სარჩელით, სააპელაციო და საკასაციო საჩივრით ხელახლა მიმართვის უფლების დატოვებით (შეად. შეწყვეტა).

## **განჩინება**

სასამართლოს დადგენილება, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება (მაგ. განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ). საქმე არსებითად წყდება მაშინ, როდესაც გადაწყვეტილება სარჩელში მოცემულ მოთხოვნას (სასარჩელო მოთხოვნას) შეეხება.

## **განჩინება**

კოლეგიური წესით გამოტანილი პირველი, სააპელაციო ან საკასაციო ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება (განაჩენის გარდა) ნებისმიერ საკითხზე.

## **გარიგება**

ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა (შეთანხმება) იმ მხარეებს შორის, რომლებსაც სურთ სამართლებრივი ურთიერთობის (მაგ. ხელშეკრულების) წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა.

## **გირავნობა**

მოძრავი ნივთის გამოყენება მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად, ისე, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში კრედიტორს აქვთ უფლება მოითხოვოს დაგირაცებული ნივთის რეალიზაცია, ან მოიპოვოს ამ ნივთზე საკუთრების უფლება (შეად. იპოთეკა).

## **ც**

## **დადგენილება**

სასამართლოს გადაწყვეტილება და განჩინება.

## **დადგენილება**

საქმის ერთპიროვნულად განმხილველი მოსამართლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება (გარდა განჩენისა) ნებისმიერ საკითხზე. აგრეთვე პროეურორის და გამომძიებლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ნებისმიერ საკითხზე, რომელიც წარმოშობა საქმის წინასწარი გამოძიებისას.

## **დავალება**

მოსამართლის წერილობითი ბრძანება, რომელიც მოითხოვს პირის მიერ განსაზღვრული მოქმედების განხორციელებას.

### **დავის განხილვის ალტერნატიული მეთოდები**

არსებობს დავის განხილვის ტრადიციული (სასამართლო) და ალტერნატიული მეთოდები. დავის განხილვის ალტერნატიული მეთოდებია მოლაპარაკება, არბიტრაჟი, მედიაცია და ა.შ. დავის ალტერნატიულ განხილვაში სასამართლო არ მონაწილეობს.

### **დავის საგანი**

სასარჩელო მოთხოვნის არსი (მაგ. ზიანის ანაზღაურება, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა).

### **დავის საგნის ლირებულება**

სასარჩელო მოთხოვნის არსი (მაგ. ზიანის ანაზღაურება, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა).

### **დაზარალებული**

სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც დანაშაულის შედეგად მიადგა ფიზიკური, მორალური ან ქონებრივი ზიანი.

### **დაზღვეა**

წერილობითი ხელშეკრულება, რომლითაც სადაზღვევო კომპანია (მზღვეველი) ვალდებულია აუნაზღაუროს დამზღვევს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყნებული ზიანი, ხოლო დამზღვევი ვალდებულია გადაიხადოს სადაზღვევო შესატანი დადგენილი პერიოდულობით.

### **დაინტერესებული მხარე**

პირი, რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება.

### **დამნაშავე**

პირი, რომლის მიმართაც სასამართლოს მიერ გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი. დამსწრე

პირი, რომელიც მოიწვევა საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების, მიმდინარეობისა და შედეგების დასადასტურებლად.

### **დამცველი**

პირი, რომელიც იცავს ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის, მსჯავრდებულის ინტერესებს წინასწარი გამოძიების დროს და სასამართლოში საქმის განხილვისას.

### **დამხმარე**

პირი, რომელმაც ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას (მაგ. ამსრულებელს მისცა იარაღი).

### **დანაშაული**

სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დასჯადი ქმედება (მაგ. მკვლელობა, ჯანმრთელობის დაზიანება და სხვა).

## **დანაშაულთა ერთობლიობა**

პირის მიერ ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენა, რომლებიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლებით ან მუხლის ნაწილებით და რომელთაგან არც ერთისათვის პირი არ ყოფილა მსჯავრდებული.

## **დანაშაულის მომზადება**

დანაშაულის ჩადენისათვის პირობების განზრას შექმნა, რათა მომავალში შესაძლო გახდეს დანაშაულის განხორციელება ან გაადვილდეს მისი ჩადენა.

## **დანაშაულში თანამინანილებობა**

ორი ან მეტი პირის განზრას ერთობლივი მონაწილეობა განზრახი დანაშაულის ჩადენაში.

## **დანაშაულის რეციდივი**

განზრაზე დანაშაულისათვის წინათ ნასამართლევი პირის მიერ განზრახი დანაშაულის ჩადენა.

## **დასაშვებობა**

სასამართლო განჩინებისა და დადგენილების სარეზოლუციო ნაწილში მოცემული დასკვნების ფაქტობრივი და სამართლებრივი არგუმენტაცია.

## **დასაშვებობა**

პირობები, რომლებსაც აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს სასამართლო წარმოების დაწყება. სასამართლო არ მოიღებს იმ სარჩელს, საჩივარს, განცხადებას, შუამდგომლობასა თუ მტკიცებულებას, რომელიც არ არის დასაშვები. დასაშვებობა მოწმდება დასაშვებობის ეტაპზე.

## **დაუძლეველი ძალა**

მოვლენა (გარემოება), რომელიც არ ექვემდებარება ადამიანის კონტროლს (მაგ. წყალდიდობა, მიწისძვრა და სხვ.) და შესაბამისად, გამორიცხავს მის შესაძლებლობას შეასრულოს სავალდებულო მოქმედება. დაუძლეველი ძალის დროს არ არსებობს ბრალი.

## **დაუსწრებელი გადაწყვეტილება**

დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოდის იმ შემთხვევაში, თუ: 1. მოპასუხე (მონიანადმდეგე მხარე) არ წარმოადგენს შესაგებელს; 2. ერთ-ერთი მხარე არ მიიღებს მონაწილეობს საქმის ზეპირ განხილვაში (მთავარ სხდომაში).

## **დაჩქარებული წარმოება**

მაგისტრატ მოსამართლეთა მიერ მათი განსჯადი საქმეების წარმოების წესი. დაჩქარებული წარმოების დროს მთავარ სხდომაზე მტკიცებულებათა გამოქვეყნება არ არის სავალდებულო.

შედეგად, საქმის განხილვა მნიშვნელოვნად ჩქარდება. სასამართლოს მიერ მხარისათვის გარკვეული საპროცესო მოქმედებების შესრულებისათვის განუსაზღვრელი ვადის მიცემა ან მიცემული ვადის შემოკლება.

## **დაცვის მხარე**

ეჭვმიტანილი, ბრალდებული, განსასჯელი, მსჯავრდებული, მისი კანონიერი წარმომადგენელი, დამცველი, სამოქალაქო მოპასუხე და მისი წარმომადგენელი.

## **დეკრიმინალიზაცია**

ქმედების დასჯადობის გაუქმება.

## **დელიქტი**

მართლსაწინააღმდეგო მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც ზიანს აყენებს მე-სამე პირის ქონებას.

## **დეპონირება**

თუ კრედიტორი აყოვნებს შესრულების მიღებას, მოვალე უფლებამოსილია ვალ-დებულება დეპონირებით შესრულოს. დეპონირების დროს შესრულების საგანი შესანახად გადაეცემა სასამართლოს ან ნოტარიუსს, ხოლო ფულის ან ფასიანი ქაღალდის შეიძლება ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე.

## **დისპოზიციური ნორმა**

ნორმა, რომელიც არ არის შესასრულებლად სავალდებულო (შეად. იმპერატი-ული ნორმა). ურთიერთობის მონაწილეებს შეუძლიათ დისპოზიციურ ნორმაში მოცემული ალტერნატივებიდან აირჩიონ ერთ-ერთი ან თავად მოფიქრონ, თუ როგორ სურთ მათ შორის არსებული ურთიერთობის მოწესრიგება.

## **დისკიპლინური გადაცდომა**

გადაცდომის სპეციალური სახე, რომელიც შეიძლება ჩადენილ იქნას მხოლოდ საჯარო მოსამახურის მიერ (მაგ. სამსახურებრივ მოვალეობათა ბრალული შეუსრულებლობა, ან არაჯეროვნად შესრულება). დისკიპლინური გადაცდომა იწვევს დისკიპლინურ პასუხისმგებლობას.

## **დისკიპლინური პასუხისმგებლობა**

პასუხისმგებლობის სპეციალური სახე, რომელიც დგება საჯარო მოსამახურის მიმართ, კანონით ან უწყების შიდა რეგულაციით განსაზღვრული წესების დარღვევის დროს. დისკიპლინური პასუხისმგებლობის ზომად შეიძლება გამოყენებულ იქნას: შენიშვნა; გაფრთხილება; ხელფასის დაკავება; სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან ჩამოშორება ხელფასის გაცემის შეჩერებით; უფრო დაბალი თანამდებობრივ სარგოზე გადაყვინა; სამსახურიდან გათავისუფლება. ერთი დისკიპლინური გადაცდომის მიმართ შეიძლება მხოლოდ ერთი პასუხისმგებლობის ზომა იქნას გამოყენებულ.

## **ქ**

### **ემანსიპაცია**

არასრულწლოვანი პირისათვის სამოქალაქო ურთიერთობებში კანონისმიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე მონაწილეობის უფლების მინიჭება. ემანსიპაციის ერთ-ერთი საფუძველია ქორწინება.

### **ექსპერტი**

სპეციალური ცოდნის მქონე პირი, რომელიც ადგენს დასკვნას და შეიძლება მიწვეულ იქნეს საქმის ზეპირ მოსმენაზე ჩვენების მისაცემად.

### **ექსპერტის დასკვნა**

ექსპერტის წერილობითი მოსაზრება მის წინაშე დასმულ საკითხთან დაკავშირებით.

## **ეჭვმიტანილი**

პირი, რომლის მიმართ არსებობს დანაშაული ჩადენის გონივრული ეჭვი. პირი ეჭვმიტანილად ითვლება დაკავების ან პირის ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანისთანვე.

## **3**

### **ვადა**

თარილი, დრო ან დროის განსაზღვრული მონაკვეთი, რომელსაც უკავშირდება სამართლებრივი ურთიერთობის (მაგ. ხელშეკრულების, ნორმატიული აქტის) წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა

### **ვალის გაშვება**

ვითარება, როდესაც მართალია საპროცესო ვადა ამონურა, მაგრამ საპროცესო მოქმედება ჯერაც არ არის შესრულებული.

### **ვალდებულება**

მოქმედება ან მოქმედებისაგან თავის შეკავება, რომელიც უნდა შესრულდეს მოვალის მიერ კრედიტორის სასარგებლო

### **ვალის გადაკისრება**

კრედიტორთან დადებული ხელშეკრულება, რომლითაც ვალდებულების შესრულებას თავის თავზე იღებს მესამე პირი. ასეთ შემთხვევაში, მესამე პირი დაიკავებს თავდაპირველი ოვალის ადგილს. მაგ.: ა. და ბ.-ის შორის დაიდო ხელშეკრულება. ბ.-ის მიერ შესასრულებელი ვალდებულება იკისრა გ-მ.. შედეგად გ-მ ბ.-ის ადგილი დაიკავა და ხელშეკრულების მხარები გახდნენ ა. და გ..

## **4**

### **ზეპირი მოსმენა (სინ. მთავარი სხდომა)**

საქმის განხილვა სასამართლო სხდომის დარბაზში მოსამართლის, მხარეებისა და საქმეში მონაბილე სხვა პირთა უშუალო დასწრებით. საქმის ზეპირ მოსმენაზე მონიანალმდეგე მხარეები სასამართლოს წარუდგენენ საკუთარი პოზიციის დასასაბუთებელ მტკიცებულებებსა და არგუმენტებს. ზეპირი მოსმენაზე დასწრება შეუძლია ნებისმიერ სხვა პირს, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც მთავარი სხდომა დახურულად ტარდება (მაგ. როდესაც საქმე სახელმწიფო საიდუმლოს შეეხება).

### **ზეპირი მოსმენის გარეშე**

წარმოების წესი, როდესაც არ ტარდება საქმის ზეპირი მოსმენა. ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვა დასაშვებია მხარეთა თანხმობით ან კანონით დადგენილ შემთხვევებში. საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა მნიშვნელოვნად აჩქარებს წარმოებას, ხდის მას უფრო მოსახერხებელსა და იაფს.

### **ზიანი**

მატერიალური დანაკლისი, ფიზიკური ან მორალური ტრაგემა.

### **თავისუფლების აღკვეთა**

სასჯელის სახე, რომელიც სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით შეეფარდება მსჯავრდებულს, რის საფუძველზეც მას ათავსებენ სასჯელალსრულების დაწესებულებაში.

### **თავისუფლების უკანონო აღკვეთა**

სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედება, რომლის დროსაც პირი სხვა პირს არ აძლევს თავისუფალი გადაადგილების უფლებას, ან იძულებით გადაადგილებს ერთი ადგილიდან სხვა მიმართულებით, ისე, რომ მას ამის უფლება არ აქვს არც პროფესიული საქმიანობიდან და არც სხვა გარემოებიდან გამომდინარე.

### **თავისუფლების შეზღუდვა**

სასჯელის სახე, რომელიც სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით შეეფარდება მსჯავრდებულს და რის საფუძველზეც მას ათავსებენ გამასწორებელ ცენტრში ზედამხედველობის განხორციელების მიზნით. თავისუფლების შეზღუდვის დროს არ ხდება მსჯავრდებულის საზოგადოებისაგან იზოლირება.

### **თავმჯდომარე (სასამართლოს)**

პირი, რომელიც ხელმძღვანელობს სასამართლოს საქმიანობას.

### **თანაამსრულებელი**

ამსრულებელი, რომელიც სხვასთან ერთად უშუალოდ ჩადის დანაშაულს.

### **თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა**

სასჯელის სახე, რომელიც შეეფარდება სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით მსჯავრდებულს და რის საფუძველზეც მას ეკრძალება ეკავოს დანიშვნითი თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში ანდა ეწეოდეს პროფესიულ ან სხვაგვარ საქმიანობას.

### **თანასაკუთრება**

ორი ან მეტი პირის საკუთრების უფლება ქონებაზე. (სინ. საერთო საკუთრება)

### **თანაშემწე (მოსამართლის)**

სასამართლოს მოხელე, რომელიც იღებს მოქალაქეებს, მათ საჩივრებსა და განცხადებებს, ამზადებს სათანადო საქმეებს სასამართლო სხდომაზე განსახილველად, სამართლებრივ ლიტერატურას და სასამართლო პრაქტიკის მასალებს, ადგენს სათანადო დოკუმენტების პროცესებს, მოსამართლის დავალებით ასრულებს საქმის განხილვასთან დაკავშირებულ სხვა მოვალეობებს.

### **თარჯიშისანი (გამოძახება)**

პირი, რომელიც ფლობს უცხო ენას. სასამართლო იძახებს თარჯიშის იმ შემთხვევაში, თუ პროცესის მონაწილემ არ იცის ქართული ენა ან/და საჭიროა ითარგმნოს უცხო ენაზე შედგენილი ესა თუ ის წერილობითი ტექსტი.

## **თალღითობა**

სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედება, რომლის დროსაც პირი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით მოტყუებით უფლება სხვის ნივთს ან ქონებრივ უფლებას.

## **თვითაცილება**

ვითარება, როდესაც მოსამართლე, ექსპერტი, თარჯიმანი, სპეციალისტი ან/და სხდომის მდივანი საკუთარ თავს უცხადებს აცილებას.

## **თვითდამცველი პირი**

პირი, რომელიც ადვოკატის დახმარების გარეშე საკუთარ თავს თავად წარმოადგენს სასამართლო პროცესში.

## **ი**

## **იმპერატიული ნორმა**

ნორმა, რომელიც შესასრულებლად სავალდებულოა ყოველგვარი დათქმისა და გამონაკლისების გარეშე (შეად. დისპოზიციური ნორმა). ურთიერთობის მონაწილეებს არ არიან უფლებამოსილი საწინააღმდეგოდ მოიქცნენ.

## **ინდივიდუალური აქტი**

ერთჯერადი ხასიათის მქონე სამართლებრივი აქტი, რომელიც მიიღება კონკრეტული საკითხის, პრობლემის გადასაწყვეტად, ნორმატიული აქტის საფუძველზე და მის მიერ დადგენილ ფარგლებში (შეად. ნორმატიული აქტი).

## **ინდმენარმე (ინდივიდუალური მენარმე)**

ფიზიკური პირი, რომელიც უწუალოდ ახორციელებს სამენარმეო საქმიანობას. ამ საქმიანობაში ინდმენარმე გამოიდის საკუთარი სახელით და ნაკისრი ვალდებულებებისათვის პასუხს აგებს პირადად, მთელი თავისი ქონებით.

## **ინსტანცია**

სასამართლოს იერარქიული დონე სასამართლოების ერთიან სისტემაში. საქართველოში მოქმედებს პირველი (რაიონული (საქალაქო)), მეორე (სააპელაციო) და მესამე ინსტანციის (საკასაციო) სასამართლოები.

## **ინსტანციურობა**

ზემდგომი სასამართლოს უფლებამოსილება გასაჩივრების შემთხვევაში გადას-ინჯოს ქვემდგომი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

## **ინტერესთა კონფლიქტი**

რეალური ან შესაძლო წინააღმდეგობა პიროვნების კერძო ინტერესსა და მის საკარო ან კორპორატიულ ვალდებულებას შორის.

## **იპოთეკა**

უძრავი ნივთის (ბინის, მიწის ნაკვეთის) გამოყენება მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად, ისე, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არა-ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში კრედიტორი მოახდენს ამ ნივთის რეალიზაცია, ან მოპოვოს მასზე საკუთრების უფლებას მასზე (შეად. გირავზობა).

### **იურიდიული პირი**

რეგისტრირებული ორგანიზაცია (შპს, სს, სპს, სსიპ და სხვ.), რომელიც საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩევედ და მოპასუხედ.

### **იურიდიული მისამართი (ადგილსამყოფელი)**

იურიდიული პირის ცენტრალური ადმინისტრაციის მდებარეობის ადგილი. იურიდიულ პირს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი ადგილსამყოფელი.

### **იურისტი**

იურიდიული განათლების მქონე პირი

### **იჯარა**

ხელშეკრულება, რომლითაც მეიჯარე გადასცემს მოიჯარეს განსაზღვრულ ქონებას დროებით სარგებლობაში. მეიჯარე ვალდებულია უზრუნველყოს ნაყოფის მიღების შესაძლებლობა გადაცემული ქონებიდან, ხოლო მოიჯარე ვალდებულია გადაიხადოს დათქმული საიჯარო ქირა (შეად. ქირავნობა).

## **ქ**

### **კალენდარული წელი**

დროის მონაკვეთი, რომელიც მოიცავს პერიოდს 1-ლი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

### **კანონი**

პარლამენტის მიერ მიღებულ ნორმათა ერთობლიობა, რომელიც აწესრიგებს ერთგვაროვან საზოგადოებრივ ურთიერთობებს (შეად. კოდექსი).

### **კანონიერი ინტერესი**

ინტერესი იმ სამართლებრივი ურთიერთობისადმი (ხელშეკრულების შესრულება, ადმინისტრაციული აქტის გამოცემა), რომლისგან გამომდინარე შედეგები შესაძლოა პოზიტიურად ან ნეგატიურად აისახოს პირის უფლებრივ მდგომარეობაზე.

### **კანონიერი ძალა**

სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ამოქმედება, როდესაც იგი აღარ ექვემდებარება გასაჩივრებას და შესაძლებელია მიქცეულ იქნეს აღსარულებლად.

### **კანონისმიერი წარმომადგენელი**

პირი, რომელსაც წარმომადგენლობით უფლებამოსილება მინიჭებული აქვს კანონით. კანონისმიერ წარმომადგენელს (მაგ. მმობელს, ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელს) არ სჭირდება რაიმე სპეციალური დოკუმენტი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განსახორციელებლად (შეად. გარიგებისმიერი წარმომადგენელი).

### **კასატორი**

პირი, რომელიც ასაჩივრებს სასამართლო სასამართლოს დადგენილებას (გადაწყვეტილებას) საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

### **კასაცია**

სასამართლოს მიერ მიღებული დადგენილების (გადაწყვეტილების) გასაჩივრება (გადასინჯვის მოთხოვნა) საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

### **კერძო სამართლი**

კანონთა ერთობლიობა, რომლებიც აწესრიგებენ ქონებრივ, საავტორო, საო-ჯახო, მემკვიდრეობით, სამწარმეო და შრომით ურთიერთობებს. კერძო სამარ-თალი ემყარება პირთა თანასწორობისა და ნების თავისუფლების პრინციპებს.

### **კერძო საჩივარი**

საჩივრის ფორმა, რომლითაც ხდება ქვემდგომი სასამართლოს მიერ გამოტ-ანილი განჩინების გასაჩივრება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში.

### **კერძო ბრალმდებელი**

დაზარალებული ან მისი წარმომადგენელი, რომელიც მხარს უჭერს ბრალდებას სასამართლოში.

### **კერძო გამოძიება**

დაცვის მხარის მიერ ბრალდებულის, განსასჯელის ან მსჯავრდებულის დაცვი-სათვის საჭირო მონაცემების შეგროვება და მტკიცებულებათა სახით მათი წარდგენა პროცესის მწარმოებელ ორგანოში.

### **კერძო განჩინება**

სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომლითაც სასამართლო სახ-ელმწიფო ორგანოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციის ან თანამდებობის პირის ყურადღებას მიაქცევს საქმეზე დადგენილ კანონის დარღვევის ფაქტზე, დანა-შაულის ჩადების მიზეზსა და ხელშემწყობ პირობებზე, რომლებიც საჭიროებს სათანადო ზომების მიღებას. აგრეთვე, კერძო განჩინება სასამართლომ შეიძლე-ბა გამოიტანოს მოქალაქეთა უფლებების დარღვევისა თუ კანონის სხვა დარ-ღვევათა გამოვლენისას, რომლებიც დაშვებული იყო წინასწარი გამოძიებისას ან ქვემდგომი სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას.

### **კვალიფიკაცია**

ჩადენილი ქმედების ფაქტობრივი გარემოებების და სისხლის სამართლებრივი ნორმით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების ზუსტი შე-საბამისობის დადგენა.

### **კოდექსი**

კოდექსის ცნება ემთხვევა კანონის ცნების შინაარსს, თუმცა მიიჩნევა, რომ კოდექსი რამდენიმე კანონის გაერთიანებას წარმოადგენს.

### **კოლეგია**

შემადგენლობა სამი მოსამართლის მონაწილეობით. (შეად. პალატა)

### **კოლეგია**

ვითარება, როდესაც ორი ან მეტი ნორმა ერთსა და იმავე სამართლებრივ ურთი-ერთობას სხვადასხვაგვარად აწესრიგებს. ქვეყნის უზენაესი (ძირითადი) კანონი.

### **კომპენსაცია**

ზიანიდან გამომდინარე ფულადი ანაზღაურება. კომპენსაცია გაიცემა მორალური ზიანის მიყენების, საკუთრების უფლების ჩამორთმევის და სხვ. შემთხვევიში.

### **კონდემნაცია**

იურიდიული პროცედურა, რომლის მქონეობითაც სახელმწიფო სამართლიანი ფასის გადახდის სანაცვლოდ ართმევს პირს კერძო საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.

### **კონკლუდენტური მოქმედება**

შემთხვევა, როდესაც მხარეთა თანხმობა ხელშეკრულების დადების თაობაზე გამოიხატება სხვულის მოძრაობით, უესტებით ან დუმილით.

### **კონსტიტუცია**

ქვეყნის უზენაესი (ძირითადი) კანონი, რომლიდანაც გამომდინარეობს ყველა სხვა სამართლებრივი აქტი. საკონსტიტუციო კონტროლს ახორციელებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო.

### **კონტრაგენტი**

ხელშეკრულების მონაწილე პირი.

### **კონფისკაცია**

საკუთრების ჩამორთმევა საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე (ანაზღაურების გარეშე) (შეად. კონდემნაცია).

### **კრიმინალიზაცია**

ქმედების დასჯადად გამოცხადება.

### **კრედიტორი**

პირი, რომელსაც გააჩნია მოთხოვნა მოვალის მიმართ.



### **ლეგატარი**

ლეგატის (საანდერძო დანაკისრის) მიმღები.

### **ლეგატი (საანდერძო დანაკისრი)**

მოანდერძის მიერ მემკვიდრისათვის სხვა პირ(ების)ს სასარგებლოდ ვალდებულების შესრულების დაკისრება სამკვიდროს ხარჯზე.

### **ლიზინგი**

ხელშეკრულება, რომლითაც ლიზინგის გამცემი ვალდებულია სარგებლობაში გადასცეს ლიზინგის მიმღებს შეძენილი ან დამზადებული ქონება. თავის მხრივ, ლიზინგის მიმღები ვალდებულია გადაიხადოს შეთანხმებული საზღაური. ლიზინგის ხელშეკრულების მოქმედება, როგორც წესი, გრძელდება ლიზინგის საგნის ამორტიზაციამდე.

## გ

### **მაგისტრატი მოსამართლე**

მოსამართლე, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს მხოლოდ განსაზღვრული კატეგორიის მარტივი დავები.

### **მამკვიდრებელი (მოანდერძე)**

პირი, რომლის ქონებაც რჩება მის მემკვიდრეს მისი გარდაცვალების შემდეგ.

### **მანდატური**

მოხელე, რომელიც უზრუნველყოფს წესრიგს სასამართლოში.

### **მართლმსაჯულება**

სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ფორმა. მართლმსაჯულებას ახორციელებენ საერთო სასამართლოები.

### **მართლუნდებელი (წარმდგენი)**

პირი, რომელიც ავალებს წარმომადგენელს მისი სახელით და მისი ინტერესების შესაბამისად განახორციელოს საპროცესო ან სხვა მოქმედებები სასამართლოში ან მის გარეთ.

### **მესამე პირი**

პირი, რომელიც უშუალოდ არ მონაწილეობს სამართლებრივ ურთიერთობაში, მაგრამ შესაძლოა გააჩნიავს კანონიერი ინტერესი ამ ურთიერთობის შიმართ.

### **მედიაცია**

პროცესი, რომლის დროსაც ნეიტრალური პირი ეხმარება დავის მონაწილეებს სადაც საკითხების გაანალიზებასა და კომპრომისის გზით კონსენსუსის (შეთანხმების) მიღწევაში.

### **მედიატორი**

ნეიტრალური პირი, რომელიც ეხმარება დავის მონაწილეებს კომპრომისის გზით კონსენსუსის (შეთანხმების) მიღწევაში.

### **მემკვიდრე**

პირი, რომელიც ხდება მამკვიდრებლის უფლებამონაცვლე მისი გარდაცვალების შემდეგ.

### **მეურვე**

პირი, რომელიც ზრუნავს 7 წელს მიუღწეველ მცირენლოვან ან სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ აღიარებულ სრულნლოვან პირზე.

### **მეურვეობა**

ზრუნვა 7 წელს მიუღწეველ მცირენლოვან ან სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ აღიარებულ სრულნლოვან პირზე.

## **მზრუნველი**

პირი, რომელიც ზრუნავს 7-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვან ან სასამართლოს მიერ შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარებულ სრულწლოვან პირზე.

## **მზრუნველობა**

ზრუნვა 7-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვან ან სასამართლოს მიერ შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარებულ სრულწლოვან პირზე.

## **მთავარი სხდომა**

ზეპირი მოსმენა, რომლის დროსაც სასამართლო განიხილავს უშუალოდ სასარჩელო მოთხოვნის ფაქტობრივ და სამართლებრივ მართებულობას.

## **მიმდინარე საქმე**

საქმე, რომელზეც მიმდინარეობს წარმოება სასამართლოში. საქმის წარმოება იწყება სარჩელის, განცხადების, საპრალდებო დასკვნის ან საჩივრის შეტანით და სრულდება ამ საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანით.

## **მინდობილობა**

სელშეკრულება, რომლის ძალითაც რწმუნებული ვალდებულია მარწმუნებლის სახელითა და ხარჯზე შეასრულოს მისთვის დავალებული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედება.

## **მიუღებელი შემოსავალი**

სარგებელი, რომელსაც მიიღებდა პირი, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო.

## **მოვალე**

პირი, რომელსაც აკისრია ვალდებულება კრედიტორის მიმართ.

## **მოთხოვნის დათმობა**

კრედიტორის მიერ მოვალის მიმართ არსებული მოთხოვნის მესამე პირისათვის გადაცემა სასყიდლით ან უსასყიდლოდ.

## **მომხმარებელი**

პირადი საჭიროებისათვის საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) გამომყენებლი, შემძენი, შემკვეთი ან ასეთ განზრახვის მქონე მოქალაქე.

## **მომხსენებელი მოსამართლე**

სასამართლო კოლეგიის წევრი, რომელსაც ევალება საქმის მომზადება მის ზეპირ მოსმენაზე განსახილველად.

## **მოპასუხე**

პირი, რომლის წინააღმდეგაც მოსამარჩელემ სარჩელი წარადგინა სასამართლოში.

## **მოსამართლესთან კომუნიკაცია**

საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან წებისმიერი ფორმით ურთიერთობა.

### **მოსარჩელე**

პირი, რომელმაც სარჩელი წარადგინა სასამართლოში მოპასუხის წინააღმდეგ.

### **მორიგება**

მხარეთა შეთანხმება, რომლითაც განისაზღვრება მორიგების პირობები და სრულდება საქმის წარმოება.

### **მოსამართლე**

სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენელი, რომელიც ახორციელებს მართლმაჯულებას. მოსამართლე თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს დამოუკიდებლობის, მოუკერძობლობისა, სამართლიანობის და კანონის უზენაესობის პრინციპებით.

### **მოძრავი ქონება (მოძრავი ნივთი)**

ნივთი, რომელიც ფიზიკური ზემოქმედების შედეგად შეიძლება გადაადგილდეს (შეად. უძრავი ქონება).

### **მოწმე**

პირი, რომლიც სამართალწარმოებისას იძლევა ჩვენებას საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოების შესახებ.

### **მოწინააღმდეგე მხარე**

პირი, რომლის წინააღმდეგაც გასაჩივრებულია სასამართლო დადგენილება სააპელაციო ან უზენაეს სასამართლოში.

### **მოხელე**

საჯარო მოსამსახურე, რომელიც ინიშნება ან აირჩევა სახელმწიფო ან ადგილობრივი ოფიციალური ფორმით საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ თანამდებობაზე. სასამართლო მოხელე ადმინისტრირებას უწევს სასამართლოს საქმიანობას ან ეხმარება მოსამართლეს მართლმსაჯულების გამხორციელებაში.

### **მსჯავრდებული**

პირი, რომლის მიმართაც გამოტანილია სასამართლოს გამამტყუნებელი განარენი.

### **მტკიცებულება**

სასამართლოში წარდგენილი ინფორმაცია, ამ ინფორმაციის შემცველი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომლის საფუძველზეც მხარეები სასამართლოში ადასტურებუნ ან უარყოფენ ფაქტებს. (იხ. ნივთიერი მტკიცებულება, წერილობითი მტკიცებულება)

### **მტკიცებულების გამოკვლევა**

საქმის ზეპირ განხილვაზე მხარეთა მოსაზრებების მოსმენა სადაც მტკიცებულებებსა და მათში მოცემული ყველა იმ გარემოების თაობაზე, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ საქმისათვის.

### **მტკიცებულების გამოქვეყნება**

საქმის ზეპირ მოსმენაზე მტკიცებულების შინაარსის გაცნობა.

### **მტკიცების ტვირთი**

მხარის მოვალეობა მტკიცებულებათა მეშვეობით სასამართლოს წინაშე ამტკიცოს ფაქტობრივ გარემოებათა ნამდვილობა.

### **მუნიციპალიტეტი**

თვითმმართველი ერთეული, რომელიც წარმოადგენს დასახლებას ან დასახლებათა ერთობლიობას, ჰყავს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, აქვს საკუთარი ქონება, ბიუჯეტი, ადმინისტრაციული ცენტრი და არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

### **მფლობელობა**

საკუთარი წევით ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის მოპოვება. არსებობს პირდაპირი და არაპირდაპირი მფლობელობა. პირდაპირი მფლობელობა, თუ პირი ნივთს უშუალოდ ფლობს. არაპირდაპირია მ., თუ პირი უშუალოდ არ ფლობს ნივთს (მაგ. აქვს გაქირავებული, განათხოვრებული და ა.შ.).

### **მცდელობა (დანაშაულის)**

ვითარება, როდესაც დანაშაულებრივ ქმედების განხორციელება დაიწყო, მაგრამ უშედეგოდ დასრულდა (მაგ. მკვლელობის მცდელობა).

### **მცირენლოვანი**

ფიზიკური პირი, რომელსაც არ შესრულებია 7 წელი. მცირენლოვანი პირი ითვლება ქმედუნაროვ. მცირენლოვნი პირის ინტერესებს სასამართლოში იცავს მისი კანონიერი წარმომადგენელი. მცირენლოვან პირი, რომელსაც არ ჰყავს კანონიერი წარმომადგენელი სასამართლო უნიშნავს საპროცესო წარმომადგენელს.

### **მძევლად ხელში ჩაგდება**

სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედება, რომლის დროსაც პირი სხვა პირს (მძევალს) არ აძლევს თავისუფალი გადაადგილების უფლებას, ან იძულებით გადააადგილებს ერთი ადგილიდან სხვა მიმართულებით, იმ მიზნით, რომ მძევლის გათვალისუფლების პირობით აიძულონ როგანიზაცია ან პირი, შეასრულოს ან არ შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება.

### **მხარე**

პირი, რომელიც მონაწილეობს დაგაში. მხარეს წარმოადგენენ: მოსარჩელე, მოპასუხე, აპელანტი, კასატორი, მოწინააღმდეგე მხარე, მესამე პირი, ბრალდების მხარე, დაცვის მხარე და სხვა.

## **6**

### **ნასამართლობა**

პირის სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც იწყება სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან და გრძელდება როგორც სასჯელის მოხდის პერიოდში, ისე მისი მოხდის შემდეგ კანონით დადგენილ განსაზღვრული დროის განმავლობაში მის გაქარწყლებამდე ან მოხსნამდე.

## **ნარდობა**

ხელშეკრულება, რომლითაც შემკვეთის მხრიდან ანაზღაურების სანაცვლოდ მე-ნარდე კისრულობს ვალდებულებას შეასრულოს განსაზღვრული სამუშაო (ააშე-ნოს სახლი, გაარემონტოს ავტომანქანა და ა.შ.).

## **ნასყიდობა**

ხელშეკრულება, რომლითაც გამყიდველი გადასცემს ქონებაზე საკუთრების უფლებას მყიდველს, ხოლო მყიდველი ვალდებულია გადაიხადოს შეთანხმებუ-ლი ფასი.

## **ნაყოფი**

შემოსავალი, სარგებელი (ამონაგები) ან/და უპირატესობა, რომელსაც ნივთი ან უფლება იძლევა.

## **ნაფიცი მსაჯული**

საარჩევნო სიიდან შემთხვევითი შერჩევის წესით გამორჩეული საქართველოს მოქალაქე, რომელიც მონაწილეობს სისხლის სამართლის საქმის განხილვაში და სხვა 11 ნაფიც მსაჯულთან ერთად გამოაქვს ვერდიქტი განსასჯელის დამნა-შავედ ან უდანაშაულოდ ცნობის შესახებ.

## **ნაწილობრივი გადაწყვეტილება**

ხშირია შემთხვევა, როდესაც დავა ორი ან მეტი მოთხოვნის თაობაზე მიმდი-ნარებოს. ასეთ დროს შესაძლოა აღმოჩნდეს, რომ რომელიმე მოთხოვნა ან მოთხოვნები სხვებზე ადრე არია მზად მათზე გადაწყვეტილების გამოსატნად. გადაწყვეტილებას, რომელიც ამ მოთხოვნასა თუ მოთხოვნებს შეეხება ეწოდება ნანილობრივი. დარჩენილ მოთხოვნებთან მიმართებით საქმის წარმოება გაგრ-ძელდება.

## **ნივთი**

მატერიალური სხეულის მქონე ქონებრივი სიკეთე, რომლის ფლობა, სარგებლო-ბა და განკარგვა კანონით არ არის აკრძალული.

## **ნივთიერი მტკიცებულება**

ის საგანი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომელიც თავისი ხარისხით, თვისე-ბით ან არსებობით იძლევა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებ(ებ)ის დადგენის საშუალებას (იხ. მტკიცებულება).

## **ნივთობრივად უნაკლო (ქონება)**

ქონების ნივთობრივი უნაკლონობის საკითხი წარმოიშობა ხელშეკრულებ-ის შესრულებასთან დაკავშირებით. ქონება ნივთობრივად უნაკლოა თუ იგი ხელშეკრულებით შეთანხმებული ხარისხისაა. თუ ხარისხი არ არის შეთანხმებუ-ლი, მაშინ ნივთი უნაკლოდ ჩაითვლება, თუ იგი ვარგისია ქონების ხელშეკრულე-ბით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი სარგებლობისათვის.

## **ნორმა**

ერთი კონკრეტული ქცევის წესი დადგენილი კანონით ან ჩვეულებით (მაგ. გან-ზრას მკვლელობა ისკერდა თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თხუთმეტ წლამდე).

## ნორმატიული აქტი

სამართლებრივი აქტი, რომელიც გამოცემულია პირთა განუსაზღვრელი წრის მიმართ ან/და არეგულირებს მრავალჯერადი ხასიათის ურთიერთობებს.

## ნოტარიუსი

საჯარო მოხელე, რომელიც ახორციელებს პირებს შორის სამართლებრივი ურთიერთობებისა (მაგ. ხელშეკრულება) და იურიდიული ფაქტების დადასტურებულ დოკუმენტს აქვს უდავო მტკიცებულებითი ძალა.

## ორგანიზაციონი (დანაშაულის)

პირი, რომელიც ქმნის ჯგუფს დანაშაულის ჩასადენად ან/და ხელმძღვანელობს დანაშაულის ჩადენას.

## ო

### ორგანული კანონი

კანონის სახე, რომელიც მიიღება მხოლოდ კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევებში და მხოლოდ განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სფეროთა მოსაწესრიგებლად (მაგ. არჩევნები, მოქალაქეობა). ორგანული კანონი იერარქიულად კანონზე მაღლა დგას.

### ორგერი

ადვოკატის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელსაც გასცემს საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია.

### ოფერტი

შეთავაზება ხელშეკრულების დადების შესახებ, რომელშიც მოცემულია ამ ხელშეკრულების პირობები. ოფერტს აქვს მბოჭავი ძალა – ოფერენტი მეორე მხარის თანხმობის (აქცეპტის) შემთხვევაში ვალიდებულია შეასრულოს ხელშეკრულება მის მიერ შეთავაზებული პირობებით.

### ოქმი (სხდომის)

საპროცესო დოკუმენტი, რომელსაც ადგენს სხდომის მდივანი და რომელშიც გადმოცემულია საქმის ზეპირი მოსმენის შინაარსი.

## პ

### პალატა

მოსამართლეთა გაერთიანება მათი სპეციალიზაციის მიხედვით მეორე ან მესამე ინსტანციის სასამართლოებში. არსებობს სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის საქმეთა პალატები. პალატა იყოფა კოლეგიებად. საქართველოს უზენაეს სასამართლოში მოქმედებს დიდი პალატა. დიდი პალატა განიხილავს განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებს 9 მოსამართლის შემადგენლობით.

### პასივი

პირის შესასრულებელ ვალდებულებათა ერთობლიობა (შეად. აქტივი).

### **პასუხისმგებლობა (სანქცია)**

სამართლებრივი შედეგი (მაგ. ჯარიმა), რომელიც მოჰყვება პირის არამართლზომიერ ქმედებას. პასუხისმგებლობის სიმძიმე დამოკიდებულია მრავალფაქტორზე. უმთავრესი მათ შორის არის ქმედების საშიშროება და სამართალდამრღვევის ბრალეულობის ხარისხი.

### **პასუხისმგებლობის ასაკი**

ასაკი, რომლის მიღწევიდან პირს ეკისრება პასუხისმგებლობა არამართლზომიერი ქმედების ჩადენისათვის. სისხლის ს ი პასუხისმგებლობა იწყება 14 (გამონაკლის შემთხვევებში 12), ადმინისტრაციული – 16, ხოლო სამოქალაქო – 10 წლის ასაკიდან.

### **პაექრობა**

საქმის ზეპირი მოსმენის ეტაპი, როდესაც მონინალმდეგე მხარეები ცდილობენ გააბათილონ ერთმანეთის მოთხოვნები და არგუმენტები.

### **პენალზაცია**

სისხლის სამართლის კანონით განსაზღვრული სასჯელის ზომის გამკაცრება (მაგ. 5 წლიანი სასჯელის 7 წლამდე გაზრდა).

### **პერსონალური მონაცემები**

სავარრო ინფორმაცია, რომელიც იძლევა პირის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას (მაგ. მოქალაქის პირადი ნომერი). ასეთი ტიპის ინფორმაციის გაცემა გარეშე პირზე ნებადართულია მხოლოდ იმ პირის წინასწარი ნებართვით, ვისზეც აღნიშნული ინფორმაცია დაცულია.

### **პირადი არაქონებრივი უფლებები**

სახელი, გვარი, პატივი, ლირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა და საქმიანი რეპუტაცია. აღნიშნული უფლებათა გასხვისება დაუშვებელია.

### **პირგასამტებლობა**

ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალება. პირგასამტებლობით განსაზღვრება თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.

### **პირდაპირი დაკითხვა**

საქმის ზეპირ მოსმენაზე მოწმის დაკითხვა იმ პირის მიერ ვინც იგი გამოიძახა ამ სტატუსით (შეად. ჯვარედინი დაკითხვა).

### **პირველი ინსტანციის სასამართლო**

ყველაზე დაბალი ინსტანციის სასამართლო, რომელსაც თავდაპირველად მიმართავს მოსამართელე, განმცხადებელი ან ბრალდების მხარე. პირველი ინსტანციის სასამართლოს განეკუთვნება რაიონული ან საქალაქო სასამართლი. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მეორე (სააპელაციო) ინსტანციის სასამართლოში.

### **პირი**

სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტი. არსებობენ ფიზიკური და იურიდიული პირები. პირი მათი განმაზოგადებელი სახელწოდებაა.

## **პირობითი მსჯავრი**

ინიშნება იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ მსჯავრდებულის გამოსწორება შესაძლებელია დანიშნული სასჯელის მოხდის გარეშე. სასამართლო ადგენს გამოსაცდელ ვადას, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებულმა არ უნდა ჩაიდინოს ახალი დანაშაული და უნდა შეასრულოს მისთვის დაკისრებული მოვალეობა.

## **პრაქტიკა (სასამართლო)**

სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით დადგენილი მიღომები ამართლებრივ ნორმათა განმარტების და ურთიერთობათა მოწესრიგების თაობაზე (შეად. პრეცენდენტი).

## **პრევენცია**

ქმედებები, რომლებიც მიმართულია ახალი დანაშაულის თავიდან აცილებისაკენ.

## **პრეზუმეცია**

სამართლებრივი დაშვება, ვარაუდი. პრეზუმეციის ძალით სასამართლო მიიჩნევს, რომ განსაზღვრული დებულება ჭეშმარიტია, სანამ მოწინააღმდეგ მხარე საპირისპიროს დამტკიცებას ვერ შეძლებს. მაგ. არსებობს პრეზუმეცია, რომ ქონების მფლობელი მისი მესაკუთრეა. გიორგის მოჰპარეს სურათი. გიორგიმ უნდა ამტკიცოს, რომ მოპარული სურათის მესაკუთრეა თავადაა და არა ამ ქონების ფაქტობრივი მფლობელი.

## **პრეიუდიცია**

ვითარება, როდესაც ფაქტობრივი გარემოებები არ საჭიროებენ მტკიცებას. პრეიუდიციული ძალის მქონეა საყოველთაოდ აღიარებული ფაქტები (მაგ. მზე აღმოსავლეთიდან ამოდას), ასევე ის ფაქტები, რომლებიც დადგენილია სასამართლოს მიერ სხვა საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით.

## **პრეცედენტი**

იდენტურ ან მსგავს დავაზე ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული დადგენილება, რომელიც სარეკომენდაციო ხასიათისაა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლისათვის.

## **პროკურორი**

საჯარო მოხელე, რომელიც ნინასწარი გამოძიების სტადიაზე ხელმძღვანელობს გამოძიებას, ხოლო სასამართლოში გამოდის, როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი და მხარს უჭერს ბრალდებას.

## **პროკურორის სანქცია**

პროკურორის მიერ გამომძიებლის, ქვემდგომი პროკურორის დადგენილების დამტკიცება.

## **პროცესის მნარმოებელი ორგანო**

გამომძიებელი, პროკურორი და მოსამართლე (სასამართლო).

## ქ

### **რაიონული სასამართლო**

პირველი ინსტანციის სასამართლო, რომელიც განიხილავს საკუთარ განსჯადობას მიკუთვნებულ სარჩელებსა და განცხადებებს. საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში 37 რაიონული სასამართლოა.

### **რასობრივი დისკრიმინაცია**

დანაშაული, რომელსაც პირი სჩადის ეროვნული ან რასობრივი მტრობის ან განხეთქილების ჩამოგდების, ეროვნული პატივისა და ღირსების დამცირების მიზნით. რასობრივ დისკრიმინაციად ითვლება აგრეთვე რასის, კანის ფერის, სოციალური კუთვნილების, ეროვნული ან ეთნიკური წარმომავლობის ნიშნით ადამიანის უფლებების პირდაპირი ან არაპირდაპირი შეზღუდვა, ანდა იმავე ნიშნით ადამიანისათვის უპირატესობის მინიჭება.

### **რეაბილიტაცია**

უკანონო ან დაუსაბუთებლად მსჯავრდებული ან ბრალდებული პირისათვის უფლებების აღდგენა, როდესაც დადგინდება მისი უდანაშაულობა გამამართლებელი განაჩენით, ან მის მიმართ გამოტანილი იქნება დადგენილება (განჩინება) სისხლის სამართლებრივი დევნის შეზყვეტის თაობაზე.

### **რეალაქტი**

ადმინისტრაციული ორგანოს მოქმედება ან მოქმედებისაგან თავის შეკავება, რომელიც არ არის დაკავშირებული სამართლებრივი აქტის გამოცემასთან (ზაგ. პოლიციის მუშაკის მიერ სატრანსპორტო მოძრაობის მოწესრიგება).

### **რესტიტუცია**

პირველდელი მდგომარეობის აღდგენა. სახელშეკრულებო ურთიერთობებში რესტიტუცია ხდება ხელშეკრულებიდან მხარეთა გასვლისას იმ დროს, რათა ისინი ამ ხელშეკრულების დადებამდე არსებულ ვითარებას დაუბრუნდნენ. მაგ. ა.-მ ბ.-ს მიყიდა წიგნი 15 ლარად. ბ.-მა წიგნის მიღების დროს აღმოაჩინა, რომ ა.-ს ხელშეკრულების პირობები დაერღვია (წიგნს ბოლო გვერდები აკლდა). ბ. გავიდა ხელშეკრულებიდან. შედეგად მოხდა რესტიტუცია ა.-მ დაიბრუნა წიგნი, ხოლო ბ.-მა 15 ლარი.

### **რეფერენტი**

საჯარო მოსამსახურე საქართველოს უზენაეს სასამართლოში, რომელიც ეხმარება მოსამართლესა და მოსამართლის თანაშემწეს საქმესთან დაკავშირებული ტექნიკური ხასიათის მოქმედებების შესრულებაში.

## ს

### **სააპელაციო სასამართლო**

მეორე ინსტანციის სასამართლო, რომელიც განიხილავს სააპელაციო საჩივრებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებზე.

## **საკასაციო საჩივარი**

წერილობითი მიმართვა საქართველოს უზენაესი სასამართლოსადმი, რომლითაც პირი ითხოვს სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გადამოწმებას.

## **საპრალებო დასკვნა**

პროკურორის მიერ წინასწარი გამოძიების დასრულებისას შედგენილი საპროცესო გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც სისხლის სამართლის საქმე სასამართლოს გადაეცემა არსებითად განსახილველად.

## **საგამძიებო კოლეგია**

სააპელაციო სასამართლოს სტრუქტურული ერთეული, სადაც მოსამართლე ერთპიროვნულად განიხილავს საჩივრებს საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებებზე, მათი ვადის გაგრძელებასა და სხვა საკითხებზე.

## **საგამძიებო მოქმედება**

საპროცესო მოქმედება, რომელიც ტარდება მტკიცებულებათა შეკრების უზრუნველსაყოფად (დაკითხვა, ამოღება, ჩხრევა, დათვალიერება, საგამძიებო ექსპერიმენტი, ჩვენების ადგილზე შემოწმება, წარდგენა ამოსაცნობად, შემოწმება, ექსპერტიზა, ნიმუშის აღება საექსპერტო კვლევისათვის, გვამის ექსპურაცია).

## **საერთო სასამართლოები**

პირველი (რაიონული ან საქალაქო), მეორე (სააპელაციო) და მესამე (საკასაციო) ინსტანციის სასამართლოები. საერთო სასამართლოები ახორციელებენ მართლმსაჯულებას (შეად. საკონსტიტუციო სასამართლო).

## **საზიარო უფლება**

უფლება, რომელიც რამდენიმე პირს ერთობლივად ეკუთვნის. მაგ. თუ ნინო და გელა ერთად შეიძენენ აგარაკს შიდა ქართლში, მათ საზიარო საკუთრების უფლება ექნებათ შეძენილ უძრავი ნივთზე.

## **საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა**

სასჯელის სახე, რომელიც შეეფარდება სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით მსჯავრდებულს და რის საფუძველზეც იგი ვალდებულია ანაზღაურების გარეშე შეასრულოს მისთვის განსაზღვრული სამუშაო.

## **საიდუმლო ინფორმაცია**

ინფორმაცია, რომელიც მიეკუთვნება სახელმწიფო, კომერციულ, პროფესიულ ან/და პირად საიდუმლოებას.

## **საკუთრების მინდობა**

წერილობით დადებული ხელშეკრულება, რომლითაც პირი (მინდობილი მესაკუთრე) მართავს მისთვის გადაცემულ ქონებას ამ ქონების მესაკუთრის (საკუთრების მიმნდობის) ინტერესების შესაბამისად.

## **სამართალი**

ნორმათა ერთობლიობა, რომელიც აწესრიგებს სახელმწიფოს და ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის წარმოშობილ ყველა ურთიერთობას. სამართალი ეფუძნება სამართლებრივ აქტებს, სასამართლო გადაწყვეტილებებსა და ჩვეულებებს.

## **სამართალდარღვევა (ადმინისტრაციული)**

გადაცდომა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით (შეად. დანაშაული).

## **სამართალდამრღვევი**

პირი, რომელმაც ჩაიდინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა.

## **სამართალნარმობა**

საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო სასამართლოებში საქმეთა განხილვის წესი.

## **სამართლებრივი აქტი**

უფლებამოსილი სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული (გამოცემული), შესასრულებლად სავალდებულო, ნორმატიული (მაგ. კანონი) და ინდივიდუალური აქტები.

## **სამკვიდრო ქონება (სამკვიდრო)**

ქონება, რომელსაც მამკვიდრებელი უტოვებს მემკვიდრე(ებ)ს. სამკვიდრო ქონება (სამკვიდრო) მოიცავს მამკვიდრებლის როგორც ქონებრივი უფლებებს (აქტივი), ისე მის მოვალეობებს (პასივი).

## **სამოტივაციო ნაწილი**

სასამართლო გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომელშიც აღინიშნება სამართლებრივი შეფასება და კანონები, რომლითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა ამ გადაწყვეტილების მიღებისას.

## **სამოქალაქო აქტი**

ფიზიკური პირის სამოქალაქო და საოჯახო სამართლებრივი სტატუსის განმსაზღვრელი ფაქტი (დაბადება, ქორწინება, განქორწინება, მამობის დადგენა, შვილად აყვანა, სახელის, მამის სახელის, გვარის შეცვლა, მოქალაქეობის შეცვლა, გარდაცვალება), რომელიც ექვემდებარება სავალდებულო რეგისტრაციის.

## **სამოქალაქო პროცესი**

სამოქალაქო საქმეების განხილვის პროცედურათა ერთობლიობა, რომელიც დადგენილია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით (სსსკ).

## **სამოქალაქო სამართალი**

კანონების ერთობლიობა, რომელიც აწესრიგებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის წარმოშობილ კერძო ურთიერთობებს (მაგ. ხელშეკრულების დადება, ქორწინება, მემკვიდრეობა).

## **სამოქალაქო საქმე (სამოქალაქო დავი)**

დავა, რომელშიც ერთი პირი იცავს მის ქონებრივ ან პირად არაქონებრივ უფლებებს მეორე პირის მხრიდან არამართლზომიერი ჩარევისაგან.

## **სამოქალაქო მოსარჩელე**

პირი, რომელსაც დანაშაულის შედეგად მიადგა ქონებრივი, ფიზიკური ან მორალური ზიანი და რომელმაც წარადგინა სამოქალაქო სარჩელი სისხლის სამართლის საქმეზე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. პირს სამოქალაქო მოსარჩელე ცნობს პროცესის მწარმოებელი ორგანო დადგენილებით (განჩინებით).

## **სამოქალაქო მოპასუხე**

პირი, რომელსაც სამოქალაქო სარჩელით წაეყენა მოთხოვნა დანაშაულის შედეგად მიყენებული ქონებრივი, ფიზიკური ან მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე. პირს სამოქალაქო მოპასუხედ ცნობს პროცესის მწარმოებელი ორგანო დადგენილებით (განჩინებით).

## **სანქცია**

დამსჯელობითი ლონისძიება (მაგ. თავისუფლების აღკვეთა), რომელიც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობის სახით კანონის დამრღვევი პირისათვის.

## **საპატიო მიზეზი**

ავადმყოფობა, ახლო ნათესავის გარდაცვალება ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოება, რომელიც პირისაგან დამოუკიდებელი

## **საპროცესო გადაწყვეტილება**

გამომძიებლის, პროკურორის დადგენილება, საპრალდებო დასკვნა, სასამართლოს (მოსამართლის) განაჩინი, განჩინება, დადგენილება.

## **საპროცესო ვადა**

ვადა, რომლის განმავლობაშიც უნდა განხორციელდეს საპროცესო მოქმედება.

## **საპროცესო მოქმედება**

ნებისმიერი ქმედება, რომელიც მიმართულია საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი უფლების განხორციელების ან ვალდებულების შესრულებისაკენ (მაგ. ხარვეზის შეგვება).

## **საპროცესო დოკუმენტი**

დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ცნობას ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების ჩატარების შესახებ.

## **საპროცესო კანონმდებლობა**

კანონთა ერთობლიობა, რომელიც არეგულირებს სამართალწარმოების წესს.

## **საპროცესო წარმომადგენელი**

არასრულწლოვანისა (14 წლის ასაკიდან) და ქმედუუნარო პირისათვის სასამართლოს მიერ დანიშნული წარმომადგენელი.

## **სარეზოლუციო ნაწილი**

გადამცვეტილების ის ნაწილი სადაც კონკრეტულად მოცემულია, თუ რა გა-დაწყვიტა სასამართლომ განსახილველ საქმესთან მიმართებით. სარეზოლუციო ნაწილი შეიცავს დასკვნას მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მის დაკმაყოფილებაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმის შესახებ, მითითებას ხარჯების განაწილების თაობაზე, აგრეთვე დადგენილების გასაჩივრების ვადასა და წესზე.

### **სასამართლო**

ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას ან საკონსტიტუციო კონტროლს.

### **სასამართლო ხელისუფლება**

სახელმწიფო ხელისუფლების შტო, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულება-სა და საკონსტიტუციო კონტროლს.

### **სასამართლო ხარჯი**

სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები.

### **სასამართლოს გარეშე ხარჯი**

მსარის მიერ ადვოკატისათვის გადახდილი ჰინორარი, დაკარგული ხელფასი (განაცდური), მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად განეული ხარჯები, აგ-რეთვე სხვა აუცილებელი ხარჯები.

### **სასჯელი**

სახელმწიფო იძულების ღონისძიება, რომელიც სასამართლო განაჩენით შეეფარდება დამნაშავეს.

### **საქალაქო სასამართლო**

პირველი ინსტანციის სასამართლო, რომელიც განხილავს მის განსჯადობას მიეუთხოვდებულ სარჩელებსა და განცხადებებს. საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში 5 საქალაქო სასამართლოა (თბილისის, რუსთავის, ქუთაი-სის, ფოთისა და ბათუმის).

### **საქმე**

დავა, რომელიც მიმდინარეობს სასამართლოში. საერთო სასამართლოები განიხილავნ სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის კატეგორიის საქმეები.

### **სარჩელი**

მოთხოვნის სასამართლოში გაცხადების ფორმა, რომლითაც პირს სურს საკუთარი დარღვეული ან/და სადაცოდ ქცეული უფლების დაცვა.

### **საქორნიო ხელშეკრულება**

მეულელებს შორის დადებული ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება მათი ქონებრივი უფლებები და მივალეობები როგორც ქორნინების განმავლობა-ში, ისე განკორნინებისას. საქორნიო ხელშეკრულება იდება წერილობითი ფორმით და მოწმდება ნოტარიუსის მიერ.

## **საცხოვრებელი ადგილი (ძირითადი მისამართი, დომიცილი)**

ადგილი, რომელსაც ფიზიკური პირი ჩვეულებრივ საცხოვრებლად ირჩევს.

## **სახაზინო დამცველი**

პირი, რომელიც იცავს იმ ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის, მსჯავ-რდებულის ინტერესებს წინასწარი გამოძიების დროს და სასამართლოში საქმის განხილვისას, რომელიც გადახდისუნარაო. სახაზინო დამცველი აგრეთვე შე-იძლება დაენიშნოს იმ განსასჯელს, რომლის დამცველიც არ გამოცხადდა სასა-მართლო სხდომაზე.

## **სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი**

საჯარო მოსამსახურე, რომელიც სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში ეწევა პოლიტიკურ საქმიანობას. სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობის პირებს წარმოადგენენ: ა) საქართველოს პრეზიდენტი; ბ) საქართველოს პარლამენტის წევრი; გ) საქართველოს პრემიერ-მინისტრი და საქართველოს მთავრობის სხვა წევრი; დ) აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი; ე) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობათა ხელმძღვანელები.

## **საჯარო ინფორმაცია**

საჯარო დაწესებულების ან საჯარო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი, აგრეთვე საჯარო დაწესებულებაში დაცული ოფიციალური ინფორმაცია.

## **საჯარო მოსამსახური**

ფიზიკური პირი, რომელიც საქმიანობს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში. არსებობს საჯარო მოსამსახურის 4 სახე: სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი, მოხელე, დამზადებელი მოსამსახურე, შტატგარეშე მოსამსახურე.

## **საჯარო რეესტრი**

საჯარო დაწესებულება, სადაც ხორციელდება ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა (მაგ. პინაზე საკუთრების უფლების, ყადაღის, გირავნობის, იპოთეკის წარმოშობის და ცვლილებების შესახებ მონაცემების) რეგისტრაცია.

## **საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ)**

შესაბამისი კანონის საფუძველზე შექმნილი, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს საჯარო საქმიანობას.

## **სისხლის სამართლის პროცესი**

სისხლის სამართლის საქმეების განხილვის პროცედურათა ერთობლიობა, რომელიც დადგენილია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით (სსსსკ).

## სისხლის სამართლი

კანონთა ერთობლიობა, რომელიც აწესრიგებს და განსაზღვრავს პასუხისმგებლობას ადამიანის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულქმედებებისათვას.

## სისხლის სამართლის საქმე

სახელმწიფოს მიერ დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის მიმართ აღძრული საქმე.

## სეკვესტრი (წილის იძულებითი მართვა)

იპოთეკარის განცხადების საფუძველზე, სასამართლოს მიერ, აუქციონზე იძულებითი გასხვისგან ნაცვლად უძრავი ქონების მმართველის დანიშვნა. მმართველი შესაძლოა იყოს ერთ-ერთი იპოთეკარი.

## სერვიტუტი

სხვისი მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების გამოყენება იმგვარად, რომ პირს უფლება მიეცეს, ცალკეულ შემთხვევებში ისარგებლოს ამ ნაკვეთით, ან აკრძალოს ამ ნაკვეთზე მესაკუთრის მიერ ზოგიერთი მოქმედების განხორციელება. მაგ. სოფელ თმოგვისარში მცხოვრებ დათოს, მისი კარის მეზობელი ირაკლისაგან განსხვავებით, ან აქვს გასასვლელი ამ სოფელზე გამავალ მთავარ გზატკეცილზე. შესაბამისად, ირაკლის მიწის ნაკვეთი იტვირთება სერვიტუტით და დათოს ენიჭება უფლება გაიაროს მასზე საკუთარი ავტომობილით, რათა მთავარ გზატკეცილამდე მოხვდეს.

## სესხი

ხელშეკრულება, რომლითაც გამსესხებელი (კრედიტორი) გადასცემს ფულს ან გვირვენულ ნივთს მსესხებელს (მოვალეს), ხოლო მსესხებელი ვალდებულია დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი. მაგ. თუ გამსესხებელმა მსესხებელს ასესხა 500 ცალი თაბახის ფურცელი, ის ვალდებულია დაუბრუნოს იმავე ხარისხისა და რაოდენობის თაბახის ფურცელი.

## სოლიდარული პასუხისმგებლობა (ვალდებულება)

ვითარება, როდესაც თითოეული მოვალე მთლიანი ვალდებულებისათვის აგებს პასუხს. მაგ. ა.-მ და ბ.-მ გ.-ს მიჰყიდეს 2 ველოსიპედი. გ.-ს შეუძლია გადმოცემის მოთხოვნით სურვილისამებრ მიმართოს ან ა.-ს ან ბ.-ს. მოთხოვნის მიღების შემთხვევაში თითოეული მათგანი ვალდებულია გადასცეს გ.-ის 2- ვე ველოსიპედი და არა ერთი

## სოციალურად დაუცველი

ფიზიკური პირი, რომელიც საჭიროებს ფინანსურ მხარდაჭერას, რათა ელემენტარული ცხოვრებისეული პირობები შეიქმნას. სოციალურად დაუცველ პირად მიიჩნევა სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირი.

## სპეციალისტი

პირი, რომელსაც აქვს საჭირო ცოდნა და ჩვევები, რათა გაუწიოს სასამართლოს კონსულტაცია ან აღმოუჩინოს ტექნიკური დახმარება. სასამართლო სპეციალისტს მოიწვევს ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულებისას (ადგილზე დათვალიერება, მოწმეთა დაკითხვა, მტკიცებულებათა უზრუნველყოფა, გეგმებისა და გაანგარიშებების შედგენა და ა.შ.).

## **სპიკერი მოსამართლე**

მოსამართლე, რომელიც აწვდის ინფორმაციას საზოგადოებასა და მედიას სასა-მართლოს საქმიანობის, აგრეთვე კონკრეტული გადაწყვეტილებების თაობაზე, მათ მიმართ საზოგადოების ინტერესის არსებობის შემთხვევაში.

## **სრულწლოვანი**

ფიზიკური პირი, რომელსაც შეუსრულდა 18 წელი (შეად. არასრულწლოვანი).

## **სტანდარტული პირობები (ხელშეკრულების)**

ხელშეკრულების წინასწარ ჩამოყალიბებული, მრავალჯერადი გამოყენებისათვის გამიზნული პირობები, რომელთაც ერთი მხარე (შემთავაზებელი) უდგენს მეორე მხარეს.

## **სხდომის თავმჯდომარე**

მოსამართლე, რომელიც უძღვება და წარმართავს სასამართლო სხდომას.

## **სხდომის მდგარი**

სასამართლოს მოხელე, რომელიც ესწრება საქმის ზეპირ მოსმენას, ეხმარება მოსამართლეს დაადგენს შესაბამის სხდომის ოქმს.

## **ტ**

### **ტრანსმისია (მემკვიდრეობითი)**

თუ მემკვიდრე სამკვიდროს გახსნის შემდეგ, მაგრამ სამკვიდროს მიღებამდე გარდაიცვალა, მაშინ სამკვიდროდან მისი წილის მიღების უფლება გადადის მის მემკვიდრებზე. მაგ. თემური თორნიკეს მემკვიდრეა. თორნიკე გარდაიცვალა. მალევე (სანამ თემურის სამკვიდროს მიღებდა) გარდაიცვალა თორნიკე. ტრანსმისიით თემურის სამკვიდროს მიღების უფლება თორნიკეს მემკვიდრეებზე გადავიდა.

### **ტრანსფორმირება (სასარჩელო მოთხოვნის )**

სასარჩელო მოთხოვნის ჩამოყალიბება კანონის მოთხოვნათა შესაბამისად. სასა-მართლოს შეუძლია დაეხმაროს მოსარჩელეს მოთხოვნის ტრანსფორმირებაში.

## **ჟ**

### **უდავო ფაქტობრივი გარემოება**

ფაქტობრივი გარემოება, რომლის ნამდვილობას მხარეები არ ხდიან სადაც უდავოდ.

### **უდავო წარმოება**

სასამართლო წარმოება, რომელშიც განმცხადებელს არ ჰყავს მოდავე მხარე.

### **უზენას სასამართლო (საქართველოს)**

მესამე, ბოლო ინსტანციის სასამართლო, რომელიც განიხილავს საკასაციო საჩივრებს საპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე. საქართველოს უზენა-ესი სასამართლო მდებარეობს ქალაქ თბილისში.

### **უზრუნველყოფა (სარჩელის)**

საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანამდე სასამართლოს მიერ მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედებების შესრულების აკრძალვა ან მოქმედების განხორციელების დავალდებულება, მმ მიზნით, რათა შემდგომში შეუძლებელი არ გახდეს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება.

### **უზრუნველყოფის ღონისძიება**

საშუალება რომლითაც ხდება სარჩელის უზრუნველყოფა. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებია: а) ყადალის დადება ქონებაზე, ფასიან ქალალდებსა და ფულად სახსრებზე; ბ) მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა; გ) მოპასუხის ავალდებულება გადასცეს მის მფლობელობაში არსებული ნივთი აღმასრულებელს სეკვესტრის (ქონების იძულებითი მართვის) სახით; დ) სხვა პირებისათვის მოპასუხისათვის ქონების გადაცემის ან ვალდებულების შესრულების აკრძალვა; ე) და სხვა, მათ შორის, ისეთიც, რომელიც პირდაპირ არ არის კანონით გათვალისწინებული.

### **უზუფრუქტი**

უძრავი ნივთის გადაცემა სხვა პირის სარგებლობაში ისე, რომ იგი უფლებამოსილია, როგორც მესაკუთრები, გამოიყენოს ეს ნივთი, მაგრამ მესაკუთრისაგან განსხვავებით, მას არა აქვს ამ ნივთის გასხვისების, იპოთეკით დატვირთვის ან მემკვიდრეობით გადაცემის უფლება.

### **უკუძალა (კანონის)**

კანონის მიერ მის მიღებამდე არსებული ურთიერთობების მოწესრიგება. როგორც წესი, კანონს უკუძალა არ აქვს.

### **უსაფუძვლო გამდიდრება**

პირის მიერ მატერიალური სარგებლის მიღება სათანადო საფუძვლის (მაგ. ხელშეკრულების) გარეშე.

### **უწყებრივი ქვემდებარება**

სასამართლოს უფლებამოსილება განიხილოს კონკრეტული დავა, სადაცო ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე. სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს მხოლოდ ის დავები, რომელთა განხილვა უწყებრივად ექვემდებარება სასამართლოს.

### **უწყება (შეტყობინება)**

ოფიციალური შეტყობინება, რომლითაც მხარეს ან მის წარმომადგენელს ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების თარიღი და ადგილი.

### **უფლებაუნარიანობა**

პირის უნარი, ჰქონდეს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები. უფლებაუნარიანობა ფიზიკურ პირს წარმოეშობა დაბადების, ხოლო იურიდიულ პირს რეგისტრაციის მომენტიდან.

## **უფლების ბოროტად გამოყენება**

უფლებით სარგებლობა ისე, რომ მხოლოდ სხვებს ადგებათ ზიანი და არ არის გამოკვეთილი ამ უფლებით მოსარგებლე პირის ინტერესის უპირატესობა.

## **უფლებრივად უნაკლო ნივთი**

ნივთი უფლებრივად უნაკლოა, თუ მესამე პირს არ შეუძლია განუცხადოს მყიდველს პრეტენზია თავისი უფლებების გამო. მაგ. ა.-მ შეიძინა ბინა ბ.-გან. ბ.-ს ახალი ბინა უფლებრივად უნაკლო იქნება, თუ გასხვისების მომენტში იგი ნამდვილად ა.-ის საკუთრებას წარმოადგენდა.

## **ულირსი მემკვიდრე**

პირი, რომელიც განზრახ ხელს უშლიდა მამკვიდრებელს მისი უკანასკნელი ნების განხორციელებაში ან/და ჩაიდინა განზრახი დანაშაული ან სხვა ამორალური საქციელი მოანდერისი მიერ ანდერძში გამოთქმული უკანასკნელი ნებასურვილის საწინააღმდეგოდ.

## **უძრავი ქონება (უძრავი ნივთები)**

მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობა-ნაგებობანი (ბინა), რომლებიც მყარად დგას მიწაზე (შეად. მოძრავი ქონება).

## **ფ**

## **ფაქტობრივი გარემოება**

კონკრეტული მოვლენა (ფაქტი), რომელსაც ადგილი ჰქონდა მხარეებს შორის დავასთან დაკავშირებული ურთიერთობისას (მაგ. ხელშეკრულების დადება, ფასის გადახდა).

## **ფიზიკური პირი**

ადამიანი

## **ფილიალი (წარმომადგენლობა)**

იურიდიული პირის განცალკევებული ქვედანაყოფი, რომელიც წარმოადგენს ამ იურიდიული პირის და ახორციელებს მის საქმიანობას.

## **ფიცი**

მოწმის ზეპირი პირობა, რომ იღაბარაკებს მხოლოდ სიმართლეს საქმის მისთვის ცნობილი ფაქტობრივი გარემოებების შესახებ.

## **ფიქცია (იურიდიული)**

სამართლის მიზნებისათვის რამე ინსტიტუტის ხელიცნურად შექმნა (გამოგონება). მაგალითად, იურიდიული პირის გაეცა ფიქციის გზით არის შექმნილი.

## **ფრენშაიზინგი (ფრენშაიზი)**

გრძელვადიანი ხელშეკრულება, რომლითაც ფრენშაიზორი შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ ფრენშაიზის მიმღებს გადასცემს სანარმოს გაძლილის მთლიან სისტემას კონცეფციას), მათ შორის, სახელწოდებას, სავაჭრო ნიშნებს, რეკლამას, პროდუქციის შექმნისა და მომსახურების განევის მეთოდებს. ცნობილი ფრენშაიზორები არიან კოკა-კოლა და მაკდონალდსი.

## ქ

### **ქირავნობა**

ხელშეკრულება, რომლითაც გამქირავებელი გადასცემს წივთს დამქირავებელს სარგებლობაში, ხოლო დამქირავებელი ვალდებულია გადაიხადოს დადგენილი ქირა.

### **ქმედუნარიანობა**

პირის უნარი, თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს უფლებები და განახორციელოს ვალდებულებები (მაგ. დაღოს ხელშეკრულება). ფიზიკური პირი ქმედუნარიანობას იძენს სრულწლოვანების მიღწევით ან ემან-სიპაციით. იურიდიული პირი ქმედუნარიანობას იძენს რეგისტრაციით.

### **ქმედუუნარი**

ფიზიკური პირი, რომელიც არ არის უფლებამოსილი დამოუკიდებლად შეიძინოს უფლებები ან იყისროს ვალდებულებები. მის ნაცვლად აღნიშნულს მისი კანონისმიერი წარმომადგენელი ახორციელებს. ქმედუნარიანოდ ითვლება 7 წლამდე ასაკის ადამიანი ასევე, პირები, რომლებიც ასეთად ცნო სასამართლომ ფსიქიკური მდგომარეობის გამო.

### **ქონება**

ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობა, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს. ქონება სამოქალაქო ურთიერთობების ობიექტია.

### **ქონების ჩამორთმევა**

სასჯელის სახე, რომელიც სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით შეეფარდება განზრახი დანაშაულისათვის მსჯავრდებულ პირს და რის საფუძველზეც მას სახელმწიფოს სასარგებლოდ უფასოდ ჩამორთმევა დანაშაულის საგანი ან /და იარალი, დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთი ან/და დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონება.

### **ქორწინება**

ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში.

### **ქურდობა**

სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედება, რომლის დროსაც პირი ფარულად ეუფლება სხვის მოძრავ წივთს მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით.

### **ყადაღა**

უზრუნველყოფის ღონისძიება, რომელიც უკრძალავს მოპასუხეს გაასხვისოს ყადაღადადებული ქონება.

## **ყაჩალობა**

სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედება, რომლის დროსაც პირი ახორციელებს თავდასხმას სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით.

## **შ**

### **შეგებებული სარჩელი**

მოპასუხის მიერ მოსარჩელის საწინააღმდეგოდ აღძრული სარჩელი.

### **შეზღუდულებუნარინი**

არასრულწლოვანი ფიზიკური პირი შეიიდიდან თვრამეტ წლამდე, ასევე სრულწლოვანი, რომელსაც სასამართლომ აღკოჰოლური ან ნარკოტიკული ნივთიერებების ბოროტად გამოყენების გამო დაუწესა მზრუნველობა.

### **შემაჯამებელი გადაწყვეტილება**

გადაწყვეტილება, რომელიც ამთავრებს სისხლის სამართლის პროცესის ამა თუ იმ სტადიას.

### **შესაგებელი**

მოპასუხის მოსაზრებები სარჩელში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებსა და სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე.

### **შესწორება**

დადგენილებაში არსებული უსწორობებისა და აშკარა არითმეტიკული შეცდომების გამოსწორება.

### **შეწყალება**

პრეზიდენტის აქტით (განკარგულებით), მსჯავრდებულის გათავისუფლება სასჯელის მოხდისაგან ან სასჯელის შემცირება ან შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით, ხოლო სასჯელმოხდილისათვის ნასამართლობის მოხსნა.

### **შრომის ხელშეკრულება**

ხელშეკრულება, რომლის ძალითაც დასაქმებული ვალდებული ხდება შეთანხმებული ანაზღაურების სანაცვლოდ შეასრულოს განსაზღვრული სამუშაო დამსაქმებლის სასარგებლოდ.

### **შეწყვეტა (საქმის წარმოების)**

არსებითი განხილვის გარეშე და იგივე სარჩელით სასამართლოსთვის ხელახლა მიმართვის აკრძალვით (შეად. განუხილველად დატოვება).

### **შუალობითი ამსრულებელი**

პირი, რომელმაც დანაშაული ჩაადენინა ისეთ პირს, რომელსაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება ასაკის, შეურაცხადობის ან სხვა გარემოების გამო.

**შუამდგომლობა**  
მხარის მიმართვა სასამართლოსადმი კონკრეტული პროცესუალური მოქმედების განხორციელების მოთხოვნით (მაგ. მთავარი სხდომის გადადება).

**შტატგარეშე მოსამსახური**  
საჯარო მოსამსახურე, რომელიც დანიშვნით ან შრომითი ხელშეკრულებით მიიღება სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად.

## ჩ

**ჩვენება**  
პირდაპირი ან ჯვარედინი დაკითხვისას მოწმის მიერ მისთვის დასმულ კითხვებზე გაცემული პასუხები. მოწმეს კითხვები შეიძლება დაქვეას მხოლოდ საქმის გარემოებებთან დაკავშირებით.

**ჩვეულება**  
განსაზღვრულ ურთიერთობების რეგულირების დამკვიდრებული წესი, რომელსაც კონკრეტული სოციუმი სავალდებულო ძალის მქონედ მიიჩნევს. ჩვეულება სამართალია თუ იგი აღიარებულია კანონით და არ ეწინააღმდეგება მას.

## ც

**ცესია**  
უფლების (მოთხოვნის) დათმობა. ცესის დროს თავდაპირველი კრედიტორი თავის ადგილს ახალ კრედიტორს უთმობს (შეად. ვალის გადაკისრება). მაგ. ა-მ მაღაზიდან გამოიწერა წიგნი. სანამ წიგნს მოუტანდნენ, შეიტყო, რომ დიდი ხნით უწევდა უცხოეთში გამგზავრება. გამოწერაში ცვლილების შეტანას ამჯობინა წიგნი მისი ძმის ეჩუქებინა. შეადგინა ჩუქების ხელშეკრულება, რითიც მას დაუთმო შეძენილი წიგნის მოთხოვნის უფლება.

## ძ

**ძალაში შესვლა (გადაწყვეტილების)**  
თარიღი, რომლის შემდეგაც სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება იურიდიულ ძალას იქნება. გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლას უკავშირდება მისი აღსრულების დაწყება.

**ძარცვა**  
სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედება, რომლის დროსაც პირი პეტარად ეუფლება სხვის მოძრავ ნივთს მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით.

## ნ

**ნამქეზებელი**  
პირი, რომელიც აქტიური ფსიქიკური ზემოქმედებით სხვა პირს აღუძრავს დანაშაულის ჩადენის განზრახვას და ამ უკანასკნელის მეშვეობით ახორციელებს თავის ჩანაფიქრს.

### **ნარმდგენი (მარწმუნებელი)**

პირი, რომელიც ავალებს ნარმომადგენელს განახორციელოს საპროცესო მოქმედებები სასამართლოში მის ნაცვლად, მისი ინტერესების დაცვით.

### **ნარმოება**

სასამართლოში საქმის განხილვის პროცესი

### **ადმინისტრაციული ნარმოება**

ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა სამართლებრივი აქტის მომზადების, გამოცემისა და აღსრულების, ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის, აგრეთვე ადმინისტრაციული ხელშეკრულების მომზადების, დადების ან გაუქმების მიზნით.

### **ნარმოებაში მიღება**

სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც დასაშვებსა და უხარვეზო საპროცესო დოკუმენტს (მაგ. სარჩელს) სასამართლო იღებს არსებითად განსახილველად.

### **ნარმომადგენელი**

პირი, რომელიც მარწმუნებლის (წარმდგენის) სახელით და მისი ინტერესების შესაბამისად ასრულებს საპროცესო მოქმედებებს სასამართლოში.

### **წერილობითი მტკიცებულება**

აქტები, საბუთები, საქმიანი და პირადი ხასიათის წერილები, რომლებიც შეიცავს ცნობებს საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებათა შესახებ (იხ. მტკიცებულება).

### **წინასწარი გამოძიება**

გამომძიებლის ან/და პროკურორის მიერ განხორციელებულ მოქმედებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია დანაშაულებრივი ქმედების დადგენა და მისი ჩამდენი პირის მხილება.

### **წინარე ხელშეკრულება**

ხელშეკრულება, რომლითაც სამომავლო ხელშეკრულების დადების ვალდებულება წარმოიშობა

## **b**

### **ხანდაზმულობა**

იურიდიული შედეგის მქონე მოქმედებათა განხორციელებისათვის კანონით განსაზღვრული ვადის გასვლა (მაგ. სახელშეკრულებო ვალდებულებების ხანდაზმულობა შეადგენს 3 წელს). ამ ვადის გასვლის შემდეგ სასამართლოსათვის მიმართვა უპერსპექტივორია. დანაშაულის ჩადენის შემდეგ სისხლის სამართლის კანონში მითითებული ვადების გასვლა, რაც შეუძლებელს ხდის პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებაში მიცემას ან გამამტყუნებელი სასამართლო განაჩენის აღსრულებას.

## **ხარვეზი**

საპროცესო დოკუმენტის ნაკლი, რომელიც ექვემდებარება გამოსწორებას. ხარვეზის არსებობისას მოსამართლეს გამოაქვს განჩინება ხარვეზის დადგენის შესახებ, რომლითაც განისაზღვრება მისი გამოსწორების ვადა.

## **ხარჯები (საპროცესო)**

ფულადი თანხა, რომლის გადახდა პირს უწევს საქმის აღჭრისა და წარმოებისათვის (მაგ. ბაჟი).

## **ხელშეკრულება (გარიგება)**

შეთანხმება ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირებს შორის, რომლითაც ისინი იღებენ უფლებებს ან/და კისრულობენ ვალდებულებებს.

## **ხელშეკრულების ფორმა**

ფორმა, რომლითაც გარეგნულად გამოიხატება ხელშეკრულების დადება. არსებობს ზეპირი და წერილობითი ხელშეკრულებები. ხელშეკრულების ფორმა შეუძლიათ თავად განსაზღვრონ კონტრაგენტებმა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული იმპერატიულად არის დადგენილი.

## **ხულიგნობა**

სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედება, რომლის დროსაც ძალადობით ან ძალადობის მუქარით პირი უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას.

## **ჯ**

### **ჯარიმა**

პასუხისმგებლობის ფორმა, როდესაც სამართალდამრღვევს ეკისრება ფულადი თანხის გადახდა სახელმწიფოს სასარგებლოდ. სასჯელის სახე, რომელიც სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით შეეფარდება მსჯავრდებულს და რის საფუძველზეც მას ეკისრება ფულადი გადასახდელის გადახდა.

### **ჯგუფური დანაშაული**

დანაშაული, რომელსაც უშუალოდ ჩადის ორი ან მეტი პირი.

### **ჯვარედინი დაკითხვა**

საქმის ზეპირ მოსმენაზე მოწინააღმდეგე მხარის (მაგ. ბრალდების მხარის მიერ დაცვის მხარის)

## იურიდიული გზამკვლევის პირველი გამოსხივის ავტორები:

### მარინა კვაჭაძე

სამართლის დოქტორი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორი, საერთაშორისო სამართლის ექსპერტი, „უფლება ჯანმრთელობაზე“ ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი, „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ კონსულტანტი, საქართველოში ქალთა უფლებების დაცვის საკითხებში (UNIFEM)-ის კონსულტანტი.

პროფესორ მ. კვაჭაძის ავტორობით, გამოცემულია მონოგრაფია „თანამედროვე მედიცინის სამართლებრივი ასპექტები“ (ქართულ და რუსულ ენებზე); არის სახელმძღვანელოების თანაავტორი „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლი“; „კონსტიტუციური სამართლა“; „ადამიანის უფლებები და ჯანდაცვა“; თანაავტორობით გამოცემული აქტს ლექსიკონები: „თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ლექსიკონი“; „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ლექსიკონი“; „ქართულ - ლათინური სამართლის ლექსიკონი“. საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ გამოქვეწნებული აქტს სამეცნიერო სტატიები ადამიანის უფლებათა სამართლის სფეროში, არის მთელი რიგი მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების რედაქტორი.

### მარია ჯაფარიძე

ივ. ჯავახაშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლმცოდნეობის ბაკალავრიატის კურსდამთავრებული და საქართველოს უნივერსიტეტის მაგისტრი; საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი. ამჟამად სწავლობს ჩიკაგო-კენტის სამართლის სკოლაში (ჩიკაგო, ილინოისის შტატი, აშშ) საერთაშორისო და ტრანსნაციონალური სამართლის მაგისტრატურაზე.

2006 წლიდან 2011 წლამდე მუშაობდა ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ ადვოკატად. 2011 წლიდან არის სს „თბილისი ცენტრალი“-ს მთავარი იურისტი.

მისი ავტორობით 2008 წელს გამოცემულია კვლევის ანგარიში: „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და იძულებითი შრომის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში – მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის“, ხოლო თანაავტორობით ბრძოლა „დაავადებული პატიმრების ჯანმრთელობის დაცვის შიდასახელმწიფოებრივი გარანტიები და საერთაშორისო სტანდარტები“. იგი ასევე არის ავტორი სამი სხვადასხვა თემატიკის მქონე სტატიისა, რომელიც დაბეჭდილია სამხრეთ კავკასიის სამართლის უურნალის 2010-2011-2013 წლის ნომრებში.

## ქალების უფლეოება

თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, სამართლის მაგისტრის წოდებით. 2011 წლიდან დაიწყო სადოქტორო პროგრამის კურსი კავკასიის სამართლის სკოლაში.

ადამიანის უფლებებზე პოლონეთის „ჰელსინკის ფონდის“ ერთწლიანი საერთაშორისო სპეციალიზირებული უმაღლესი კურსისა და ბულგარეთის გენდერული კვლევის ინსტიტუტის ორნლიანი პროგრამის კურსდამთავრებული.

მას ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა საერთო სპეციალიზაციით და არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი. 2002 წლიდან მუშაობს „კონსტიტუციის 42-ე მუხლში“; ჩართული იყო სხვადასხვა პროექტებში, რომელსაც ორგანიზაცია ახორციელებდა 2003 წლიდან. ის იყო გამგებების წევრი 2009 წლის იანვრიდან 2010 წლის იანვრამდე, ასევე 2011 წლიდან დღემდე.

2010 წლის ივნისიდან 2011 წლის აპრილამდე იგი ასევე იყო ქალთა გაეროს ფონდის (UN Women) იურისტი. 2012 წლის მაისიდან იგი არის გაეროს განვითარების პროგრამის კონსულტანტ-ექსპერტი შშმ პირთა საქათხებზე. 2009 წლიდან არის სამხრეთ კავკასიის სამართლის უურნალის (GLZ) სარედაქციო კოლეგიის წევრი.

ის არის თანაავტორო სხვადასხვა გამოცემისა, რომელიც დაბეჭდილია როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, მათ შორის: „მოდერნიზაციის საერთაშორისო მექანიზმები“ (მოსკოვი და ტევერის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რუსეთი, 2003-2004); „საქართველო: ინფორმაცია, აგრძელა და უსაფრთხოების საკითხები“ (თემა: სამართლებრივი დაცვის მექანიზმები აგრძელისაგან, 2009); „საქმე – ცინკაბაძე საქართველოს წინააღმდეგ“, „კვიციანი – საქართველოს წინააღმდეგ“ და სხვა.

საქმიანობის ძირითადი სფერო: ადამიანის უფლებები (მათ შორის, ქალთა უფლებები).

## თანამდებობა ჯანებაშვილი

თბილისის ჰუმანიტარული ინსტიტუტის კურსდამთავრებული, სადაც მოიპოვა სამართლის მაგისტრის სარისები. გარდა ამისა, სწავლობდა ვარშავის უნივერსიტეტში, სამართლისა და ადმინისტრირების ფაკულტეტზე. 2009 წლს სწავლობდა კოლეგიუმშის უნივერსიტეტში, ში, ადამიანის უფლებათა ადვოკატირების პროგრამის ფარგლებში. ამჟამად სწავლას აგრძელებს კავკასიის სამართლის სკოლაში, სადოქტორო პროგრამაზე. ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლში“, საქმიანობას ეწევა 2003 წლიდან. 2007 წლიდან, არის პროექტის „სტრატეგიული სამართალწარმოება კავკასიაში“ კოორდინატორი. 2010 წლის თებერვლიდან კი, არის ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ გამგების თავმჯდომარე. 2011 წლის თებერვლიდან – 2012 წლის ინვრამდე იყო ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორი. 2012 წლის თებერვლის შემდგომ არის PRI საქართველოს რეგიონალური ოფისის პროექტის კოორდინატორი.

## სურილი გზამკევის მორჩი გამოხვის პროცესი:

ელენ ფილიპავა, ნაზიდორლა ჯავახავილი

(ინფორმაცია ავტორთა შესახებ იხ. ზემოთ)

ასევე:

### მარიამ ზაქარიაშვილი

ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული სამართლისმცოდნეობის სპეციალობით. ასევე დაამთავრა გოეთეს ინსტიტუტი. 2008 წელს გახდა ავტორიზებული პირი საჯარო რეგისტრის მიწის ბაზრის განვითარების პროექტში უძრავი ქონების რეგისტრატორის სტატუსით. 2008 წელს მუშაობდა კომპანია „აიდისი“-ს მთავარ იურისტად უძრავი ქონების სამართლებრივ საკითხებზე, 2009 წელს ჩაირიცხა გერმანიის კიოლნის უნივერსიტეტში სამაგისტრო პროგრამაზე აღნიშნული პროგრამის ფარგლებში 2009 წლის ივლისში გაემგზავრა გერმანიაში ქალაქ კიოლნს უნივერსიტეტში, სადაც მუშაობდა თემაზე: „გამოხატვის თავისუფლება, სამართლებრივი შედარება საქართველო-გერმანიას შორის.“

2010 წელს მონაწილეობდა USAID-ის მიერ განხორციელებულ სასამართლო ად-მინისტრირებისა და მენეჯმენტის რეფორმის პროექტში მკვლევარად. 2010-2011 წლებში მუშაობდა შპს „მ.გ. იურისტ ჯგუფის“ გენერალურ დირექტორად. 2011 წლის ნოემბრიდან 2012 წლის მარტამდე იყო სტაუიორი ააიპ „ეონსტიტუციის 42“-ე მუხლში, ხოლო 2012 წლის მარტიდან დღემდე მუშაობს ამავე ორგანიზაციაში იურისტად. მისი თანაავტორობით გამოცემულია კვლევა: „საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეებზე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შეფასება“.

### თამარ გაპისონია

დაასრულა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მიენიჭა სამართლის მაგისტრის წილება. 2007 წელს მან გაიარა სტაუირბა, „ინტერაიონის“ ლონდონის ოფისში (დიდი ბრიტანეთი). იმავე წელს ის მინვეის ადამიანის უფლებათა პელიკანის ფონდის მიერ პოლონეთში გამართულ საზაფხულო სკოლაში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ. 2008 წელს თამარ გაბისონიამ მონაწილეობა მიიღო რეგიონულ პროგრამაში – ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები, რომელიც ორგანიზებული იყო შვედეთის სამოქალაქო განვითარების ფონდის და რაულ ვალენბერგის ინსტიტუტის მიერ. საზაფხულო სკოლა მოიცავდა ორ ეტაპს, რომელიც გამართა ქალაქ ლუნდსა (შვედეთი) და ქალაქ ოპერიდში (მაკედონია). 2008 წელს მან მონაწილეობა მიიღო ბრიუსელში (ბელგია) ორგანიზებულ ტრენინგში, რომელიც დაფინანსებული იყო საერთაშორისო პროფესიონალურების მიერ და შეხებოდა შრომითი უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტებს. 2009 წელს ის დაესწრო ტრენინგ პროგრამას ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების შესახებ, რომელიც დაფინანსდა კანადის სამოქალაქო განვითარების ფონდის მიერ და ჩატარდა მონრეალში (კანადა).

თამარ გაბისონიას ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა საერთო სპეციალიზაციით. ის არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი. მუშაობს „კონსტიტუციის 42“-ე მუხლში 2003 წლიდან. 2008-2009 წლებში ის ასევე მუშაობდა საქართველოს პროგრაფშირებში იურისტად. ის იყო ადვოკატი საქმეში „აბდულხამიდ ალიევი საქართველოს წინააღმდეგ“, რომელზედაც ევროპულმა სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება. ამჟამად არის ა/ო „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“-ს აღმასრულებელი დირექტორი.

თანავტორია შემდეგი გამოცემების: „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო და თქვენი ძრითადი უფლებები“; „ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილებები“; „პატიმრობის პირობები“, „შიდასახელმწიფო ბრივი გარანტიები ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პატიმრების დაცვისთვის და საერთაშორისო სტანდარტები“; „ЕС, ევროპული კონვენცია და მისი გამოყენება საქართველოში“.

## რუსულად მჯობლივი ვიზი

„ბიზნესის სახელმწიფო ინსტიტუტის“ კურსდამთავრებული, სადაც მოიპოვა სამართლის მაგისტრის ხარისხი; ადვოკატთა ასოციაციის წევრი, ადვოკატი საერთო სპეციალიზაციით.

ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლში“ საქმიანობას ეწევა 2003 წლიდან, სადაც თავდაპირველად მონაწილეობას იღებდა იურიდიული კლინიკის პროგრამაში.

2003 წლიდან მუშაობს ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“-ს იურისტად. დასაქმებული იყო სხვადასხვა დროს ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ პროექტებში, მათ შორის 2012 წლის ივლისიდან მუშაობს ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“-ს „ლია საზოგადოების ინსტიტუტის“ მიერ დაფინანსებული პროექტის „სტრატეგიული სამართლწარმოება მოწყვლად და მარგინალური მოსახლეობისათვის“ იურისტის თანამდებობაზე. ძრითადად მუშაობს სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და საკონსტიტუციო საქმეებზე, აქვს სისხლის, ეკოლოგიურ საკითხებსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმეებზე მუშაობის გამოცდილება.

მისი თანავტორობით გამოცემულია კვლევები: „სახელმწიფო ქონების პრივატიზების აგრესიული პოლიტიკა, ანუ „პრივატიზება ქართულად“; „ბიზნეს სფეროში არსებული კანონმდებლობისა და პრაქტიკის კვლევა“; „აღკვეთის ღონისძიებების გამოყენება სისხლის სამართლის პროცესში-კანონმდებლობისა და პრაქტიკის კვლევა“; ბრომურა – „იცოდეთ თქვენი უფლებები, თუ განიცადეთ მატერიალური ზიანი წიაღისეულის მოპოვების შედეგად“; გზამკვლევი – საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის პროცედურები“; ანგარიში – „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობა და კონსტიტუციური კონტროლი საქართველოში.“

## მოსამართლები:

### თვა თადაშვილი

დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1999-2005 წლებში მუშაობდა ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში მოსამართლის თანაშემწედ.

2005-2006 წლებში მუშაობდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოსამართლის თანაშემწედ. 2006-2012 წლებში იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე. 2012 წლის 16 ოქტომბრიდან არის თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე. დაიბადა 1976 წლის 18 ოქტომბერს, ქ. თბილისში.

### დიანა გერევაშვილი

სწავლობდა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტზე. სტაურება გაარა საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში; შემდგომში ჩააბარა ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდა. 1999-2000 წლებში მუშაობდა საქართველოს პარლამენტის აპარატში წამყვან სპეციალისტად. 2000-2002 წლებში მუშაობდა სულხან-საბა არბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

2000-2005 წლებში მუშაობდა საქართველოს იურისტთა ასოციაციის იურიდიული დახმარების ცენტრის ადვოკატად. 2002-2003 წლებში მუშაობდა კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტში ინტელექტუალური საქუთრების კათედრის ლექტორად. 2002-2005 წლებში მუშაობდა საქართველოს რადიოს პირველი არხისა და გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის ცენტრის პროექტში: „მე, შენ და კანონი“ იურისტ-ექსპერტად და გადაცემის წამყვანად.

2003-2004 წლებში მუშაობდა საქართველოს რადიოს პირველი არხის გადაცემის „თქვენი უფლებები“-ს და „სოციალური დაცვის ალიანსი“-ს წამყვანად და იურისტ-ექსპერტად.

2006 წლიდან კითხველობს საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართლის ლექციათა კურსს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. 2007 წლიდან არის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი.

საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 22 სექტემბრის №783 ბრძანებულებით დაინიშნა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ.

